დავით ფანჩულიძე

ნარკვევები ფრანგული ლიტერატურის ისტორიიდან

გამომცემლობა „განათლება"
თბილისი — 1974

84 (ФР)
84—09
ფ 249

პროფ. დ. ფანჩულიძის წიგნი „ნარკვევები ფრანგული ლიტერატურის ისტორიიდან" – განკუთვნილია სპეციალისტი-ლიტერატურათმცოდნეების, მასწავლებლების, ასპირანტებისა და უმაღლესი სასწავლებლების ფილოლოგიური ფაკულტეტების სტუდენტებისათვის.

წიგნი მიზნად ისახავს გააცნოს ფართო მკითხველ საზოგადოებას ახალი და უახლესი პერიოდის ფრანგული ლიტერატურის ზოგი მთავარი წარმომადგენლის ცხოვრება, მოღვაწეობა და შემოქმედება.

7—2—2—105
П ——————— 174—75
М—602 (02)—74

© გამომცემლობა „განათლება", 1974 წ.

წინასიტყვაობა

ფრანგული ლიტერატურა მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი და უმშვენიერესი ლიტერატურაა. საუკუნეთა მანძილზე ფრანგი მწერლები ჰქმნიდნენ ადამიანის სულის ამამაღლებელ ნაწარმოებებს, რომლებსაც ინტერესით კითხულობენ და სწავლობენ არა მხოლოდ საფრანგეთში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, ყველა კულტურულ ქვეყანაში.

ფრანგმა მწერლებმა და მოაზროვნეებმა დიდი წვლილი შეიტანეს მსოფლიო კულტურის საერთო საგანძურში. მათმა საკაცობრიო იდეალებმა სათანადო გამოძახილი ჰპოვეს ქართულ კულტურასა და მწერლობაშიც.

ქართველი ხალხი, მისი სახელგანთქმული მწერლები და პოეტები, მთელი მოწინავე ინტელიგენცია ადრიდანვე მხურვალე ინტერესს, სიყვარულსა და პატივისცემას იჩენდა ფრანგული სიტყვაკაზმული მწერლობისადმი.

ქართული და ფრანგული ლიტერატურის საფუძვლიანი მცოდნე და ღირსეული დამფასებელი, ცნობილი მკვლევარი და ლიტერატორი კიტა აბაშიძე სიამაყის გრძნობით ამბობდა: „პარიზში რომ წიგნი გამოვა, ორი-სამი კვირის შემდეგ იგი თბილისში უკვე წაკითხული აქვთო“.

თაეიანთ მხრივ ფრანგი მწერლები, პოეტები, დრამატურგები, საზოგადო მოღვაწეები აღტაცებული იყვნენ საქართველოთი, ქართველი ხალხით, მისი უძველესი და თანამედროვე კულტურით, ლიტერატურით. ბევრი მათგანის შემოქმედებაში გარკვეული ადგილი უჭირავს ქართულ თემატიკას.

სახელოვანი ტრადიციების ღირსეული განმგრძობის, ქართული საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის საპატიო დამსახურება ისიცაა, რომ მუდამ მისაწვდომს ხდის ქართველი მკითხველისათვის ფრანგულ მხატვრულ შედევრებს, ეწევა ფრანგუ-

ლი ლიტერატურის ფართო პოპულარიზაციას, მის მეცნიერულ კვლევა-ძიებას.

წიგნში გაანალიზებულია მარქსის, ენგელსის, ლენინის გამონათქვამები ფრანგული ლიტერატურის შესახებ, აგრეთვე მაქსიმ გორკის დამოკიდებულება ფრანგული მწერლობისადმი; განხილულია (მეტ-ნაკლებად) ახალი და უახლესი პერიოდის გამოჩენილი ფრანგი მწერლებისა და პოეტების ცხოვრება, მოღვაწეობა და შემოქმედება, ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტების გათვალისწინებით.

ნარკვევების მიზანია დაეხმაროს უმაღლესი სასწავლებლების ფილოლოგიური ფაკულტეტების სტუდენტობას და ყველა დაინტერესებულ პირს საზღვარგარეთული ლიტერატურის, კერძოდ, ფრანგული ლიტერატურის შესწავლაში.

დავით ფანჩულიძე.

თბილისი, 1974 წლის 2 აპრილი.

კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი ფრანგული ლიტერატურის შესახებ

მარქსი და ენგელსი სისტემატურად ადევნებდნენ თვალყურს საფრანგეთის ეკონომიურ, პოლიტიკურ, კულტურულ ცხოვრებას. მათ საფრანგეთი მიაჩნდათ ევროპის ცენტრად, საიდანაც ხელისგულივით მოჩანდა ყველაფერი, რადგან „სწორედ საფრანგეთს ეპირა მთავარი როლი მთელს ევროპის ისტორიაში 1789 წლის რევოლუციის შემდეგ"[1].

მარქსისა და ენგელსის გამონათქვამები ხელოვნების საკითხებზე ყოველი ჰეშმარიტი მეცნიერისათვის სახელმძღვანელო დებულებებია.

კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის მოღვაწეობაში მუდამ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მათ ლიტერატურულ ინტერესებს. მარქსისა და ენგელსის ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებების ჩამოყალიბებაში გარკვეული როლი შეასრულა მათმა განსაკუთრებულმა ლინგვისტურმა ნიჭმა. მარქსს უყვარდა ხოლმე თქმა: „უცხო ენა იარაღია არსებობისათვის ბრძოლაში". მარქსი და ენგელსი თავისუფლად ფლობდნენ დასავლეთევროპულ და ბევრ სხვა ენებს, რაც საშუალებას აძლევდა მათ ეკითხათ უცხო ენებზე დაწერილი ლიტერატურა, ყოველთვის ყოფილიყვნენ მსოფლიო ლიტერატურის განვითარების კურსში, გამოეთქვათ თავიანთი ღრმად მეცნიერული აზრები და შეექმნათ დიადი ესთეტიკური მოძღვრება.

კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი დიდ ინტერესს იჩენდნენ ფრანგული ლიტერატურისადმი. ფრიად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მარქსისა და ენგელსის ლიტერატურული თანამშრომლობა სწორედ საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში დაიწყო 1844 წლის სექტემბერში.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის ძვირფას საგანძურშია მთელი რიგი სტატიები, წერილები, შენიშვნები ფრანგული ლიტერატურის შესახებ, რომლებიც

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩ. ნაწ., ტ. I, თბილისი, 1949 წ., გვ. 117.

გაჟღენთილია მატერიალისტური, რევოლუციური სულისკვეთებით. ამ გამოკვლევებს დღესაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ფრანგული ლიტერატურის განვითარების ძირითადი პროცესების სწორად ახსნისა და გარკვევის საქმეში.

მარქსი და ენგელსი აღფრთოვანებული იყვნენ ფრანგული ენითა და ლიტერატურით. ისინი საფუძვლიანად იცნობდნენ ყველა პერიოდის ფრანგ მწერალთა შემოქმედებას. მათ შრომებში უხვადაა გამოყენებული ცალკეული ადგილები, მოხდენილი გამონათქმები ფრანგი მწერლების მხატვრული ნაწარმოებებიდან.

შუასაუკუნეების დასავლეთევროპული ლიტერატურიდან ენგელსი ცალკე გამოყოფს მეთორმეტე საუკუნის ფრანგულ ლიტერატურას და იგონებს ფილოსოფოს-სქოლასტიკოსის პიერ აბელარისა და მისი სატრფოს ელოიზას სიყვარულის ისტორიას, ახასიათებს აბელარს და წერს: „აბელარისათვის მთავარია არა თვითონ თეორია, არამედ ეკლესიის ავტორიტეტისადმი წინააღმდეგობა“.[1] ენგელსის აზრით, ამ დროისათვის „ჩრდილოეთ საფრანგეთი წარმოადგენს ფილოსოფიური და თეოლოგიური მოძრაობის ცენტრს“.[2]

ფ. ენგელსი არჩევს რომანულ ლიტერატურას და დასძენს, რომ „საფრანგეთი ამასთანავე ერთად წარმოადგენს რაინდობის განვითარების ცენტრს და აქ ის პირველად ჩამოყალიბდა მეთერთმეტე საუკუნის ბოლოს.“[3] ამავე ნაშრომში ენგელსი იძლევა ფრანგული პროვანსული ლირიკის საინტერესო დახასიათებას; შემდეგ მიუთითებს იმაზე, რომ ეპიკური პოეზია პირველად აღმოცენდა ჩრდილოეთ საფრანგეთში და ფრანგული საგმირო ეპოსის „როლანდის სიმღერის“ ტექსტი არსებობდა პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობამდე.

შუა საუკუნეებში სამხრეთ საფრანგეთი, ე. ი. პროვანსი, მოწინავე იყო. პროვანსული პოეზია მისაბაძი გახდა ყველა დანარჩენისათვის. პროვანსელი ლირიკოსები, ან როგორც მათ უწოდებენ, ტრუბადურები, შეყვარებული მომღერალი რაინდები იყვნენ, გატაცებულნი უმთავრესად გათხოვილი ქალებით, რადგან მათი აზრით, თუ ქალი გათხოვილია, ეს იმას ნიშნავს, რომ ის ლამაზია. შემდეგ და შემდეგ რაინდული პოეზია უმთავრესად ხორციელ სიყვარულს გამოხატავდა.

ფ. ენგელსი წერს: „შუასაუკუნეების რაინდული სიყვარული

---

[1] Ф. Энгельс. Материалы по истории Франции и Германии. Архив Маркса и Энгельса. т. X, გვ. 300—302.

[2] იქვე. [3] იქვე.

სრულიადაც არ იყო ცოლქმრული სიყვარული. პირიქით, თავისი კლასიკური სახით გამოხატული, პროვანსელებში, რაინდული სიყვარული აფრაგაშლილი მიექანება ცოლქმრული ერთგულების დარღვევისაკენ და პოეტებიც ამ ღალატს უმღერიან. პროვანსული სასიყვარულო პოეზიის უმაღლესი აყვავების გამოხატულებაა „ალბა“ (albas), გერმანულად განთიადის სიმღერები. მკვეთრი ფერადებით ხატავენ ისინი, როგორ წევს რაინდი თავისი სატრფოს — სხვისი ცოლის — ლოგინში, გარეთ კი გუშაგი დგას, რომელიც ხმას აწვდის რაინდს, როგორც კი დილის რიჟრაჟი (albas) იწყება, რათა იგი შეუმჩნეველად გაიპაროს; განშორების სცენა ყველაზე ბრწყინვალე მომენტებია სიმღერაში. ჩრდილოეთის ფრანგებმა და ასევე ყოჩაღმა გერმანელებმაც გადმოიღეს პოეზიის ეს სახე“.[1]

რაინდული პოეზიის წარმომადგენლებმა მრავალი პოეტური ფორმა შექმნეს და ამით საფუძველი ჩაუყარეს ახალ, მაღალ პოეტურ კულტურას საფრანგეთში, რითაც სხვებს დიდად გაუსწრეს წინ. ენგელსს ყოველივე ეს სხვებისათვის მიუღწეველ მაგალითად მიაჩნდა.

ენგელსი ფრანგი ხალხის დიდ დამსახურებად თვლიდა, რომ შუა საუკუნეებში ასეთ მაღალ საფეხურზე ავიდა ფრანგული პოეზია, რომელმაც განვითარების ფართო პერსპექტივები გადაუშალა მთელს დასავლეთევროპულ ლირიკას.

მსოფლიო ისტორიაში რენესანსის ანუ აღორძინების პერიოდი იყო უჩვეულო სოციალური, ეკონომიური, პოლიტიკური, კულტურული გარდაქმნების პერიოდი. ენგელსის თქმით: „ეს იყო უდიდესი პროგრესული გადატრიალება. როგორიც კი მანამდე კაცობრიობას განუცდია, ეს იყო დრო, რომელსაც ბუმბერაზები ესაჭიროებოდა და რომელმაც ბუმბერაზები წარმოშვა. ბუმბერაზები აზრის სიძლიერით, გზნებითა და ხასიათით, მრავალმხრივობითა და განსწავლულობით“[2].

ამ დიდმნიშვნელოვან ისტორიულ პროცესში ენგელსისავე თქმით ფრანგებმაც შეიტანეს თავიანთი წვლილი. მათ იტალიელებთან და გერმანელებთან ერთად შექმნეს „ახალი, პირველი თანამედროვე ლიტერატურა“.[3]

---

[1] ფრიდრიხ ენგელსი. ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, თბილისი, 1953 წ., გვ. 93-94.

[2] ფრიდრიხ ენგელსი. ბუნების დიალექტიკა, თბილისი, 1954 წ., გვ. [illegible].

[3] იქვე.

მეჩვიდმეტე საუკუნის ფრანგული ლიტერატურა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ყურადღებისა და დაკვირვების საგანი იყო. მათ შრომებში ხშირად ვხვდებით ისეთ დიდ ფრანგ მწერლებს როგორიც იყვნენ: თავისუფლად მოაზროვნე ფილოსოფოსი — სკეპტიკოსი პიერ ბეილი, ფრანგული კლასიცისტური დრამატურგიის კორიფეები პიერ კორნელი და ჟან რასინი, ფრანგული კლასიციზმის თეორეტიკოსი ბუალო.[1]

კ. მარქსი და ფ. ენგელსი მაღალ შეფასებას აძლევდნენ განმანათლებელთა ეპოქას საერთოდ, კერძოდ ფრანგულ განმანათლებლობას. მათ მოგვცეს განმანათლებლობის კლასიკური დახასიათება მის მრავალ ასპექტში, ბრწყინვალედ განმარტეს ამ დიდი მოვლენის ისტორიული მნიშვნელობა და განმანათლებულთა მსოფლმხედველობა, მისი ნაციონალურ-ისტორიული თავისებურებანი, ფრანგული საგანმანათლებლო ლიტერატურის მატერიალისტური და რეალისტური ხასიათი. ენგელსი წერს: „დიდი ადამიანები, რომელთაც საფრანგეთში ადამიანთა თავები გაანათლეს მოახლოებული რევოლუციისათვის, თვითონაც უკიდურეს რევოლუციონერებად გამოდიოდნენ. ისინი არავითარ გარეგან ავტორიტეტს არ ცნობდნენ, რა სახითაც არ უნდა ყოფილიყო ეს უკანასკნელი. რელიგია, შეხედულება ბუნებაზე, საზოგადოება, სახელმწიფოებრივი წყობილება, ყოველივე ეს უაღრესად შეუბრალებელ კრიტიკას დაექვემდებარა; ყოველივე ამას თავისი არსებობა უნდა გაემართლებინა გონების სამსჯავროს წინაშე ან უარი ეთქვა არსებობაზე. მოაზროვნე გონება ერთადერთ მასშტაბად იქცა, რომლითაც ყველაფერს ზომავდნენ. ეს იყო დრო, როცა, როგორც ჰეგელი ამბობს, სამყარო ყირამალა იქნა დაყენებული, უწინარეს ყოვლისა იმ აზრით, რომ ადამიანის თავი და მისი აზროვნებით აღმოჩენილი დებულებანი პრეტენზიას აცხადებდნენ, რათა ისინი ყოველივე ადამიანური მოქმედებისა და საზოგადოებრიობის საფუძვლად მიეჩნიათ; შემდეგ იმ ფართო აზრითაც, რომ სინამდვილე, რომელიც ამ დებულებებს ეწინააღმდეგებოდა, ფაქტიურად თავიდან ბოლომდე გადატრიალებულ იქნა. ყველა წინანდელი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ფორმები, ყველა ტრადიციული წარმოდგენა გამოცხადდა არაგონიერად და გადაყრილ იქნა როგორც ძველი ხარა-

---

1. კ. მარქსს თავის „კაპიტალში“ მოაქვს ერთი საინტერესო ადგილი ბუალოდან: „აი როგორია ადამიანი ნამდვილად. იგი ხან თეთრს ირჩევს და ხან შავს, დილით გმობს იმას, რასაც საღამოს იცავს. აუტანელი სხვებისთვის, ტყვირთად ხდება თავის თავს, იგი ყოველ წამს ვით მოდას იცვლის თავის აზრს“. კარლ მარქსი. კაპიტალი. ტ. I, თბილისი. 1954 წ., გვ. 822.

ხურა: დღემდე ქვეყანას მხოლოდ ცრურწმენანი ხელმძღვანელობდნენ; ყოველივე წარსული მხოლოდ შებრალებისა და ზიზღის ღირსია. განთიადი მხოლოდ ახლა დაიწყო (დადგა გონების სუფევა), ამიერიდან ცრომორწმუნეობამ, უსამართლობამ, პრივილეგიებმა და ჩაგვრამ ადგილი უნდა დაუთმოს სამარადისო ჭეშმარიტებას, სამარადისო სამართლიანობას, ბუნებაზე დაფუძნებულ თანასწორობას და განუსხვისებელ ადამიანურ უფლებებს".[1]

ფრანგმა განმანათლებლებმა იდეოლორგიურად მოამზადეს საფრანგეთის 1789 წლის დიდი ბურჟუაზიული რევოლუცია. ამ იდეოლოგიურ მოძრაობას შემტევი, მებრძოლი ხასიათი ჰქონდა. იგი იყო ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი ეტაპი ბურჟუაზიული კულტურის ისტორიაში. მე-18 საუკუნის ფრანგი მწერლები ლიტერატურას მიიჩნევდნენ, უმთავრესად როგორც მოწინავე, პროგრესული იდეების პროპაგანდის მძლავრ საშუალებას. მათ საბრძოლო დროშას ეწერა „ძმობა, ერთობა, თავისუფლება".

ფრანგი განმანათლებელი მწერლების ადრინდელი თაობიდან ენგელსის ყურადღება მიუქცევია აბატი პრევოს გახმაურებულ, ფსიქოლოგიურ რომანს „მანონ ლესკოს", რომლის შესახებაც ის თავის შეხედულებას გამოთქვამს კაპიტალურ გამოკვლევაში „ბუნების დიალექტიკაში". ენგელსი წერს: „კავალერ დე გრიეს ჰქონდა ემოციური მოთხოვნილება მანონ ლესკოს სიყვარულისა და დაუფლებისა, თუმცა მანონმა არაერთის გზით გაჰყიდა თავისი თავიცა და დე გრიეც: მისდამი სიყვარულის გამო ის თავლითად დამეძავ სატრფოს ხარჯზე მცხოვრებ მაჰანკლად იქცა".[2]

ფ. ენგელსის აზრით, მარტო ემოციური მოთხოვნილება თითქმის არაფერს არ ნიშნავს და არაფერს არ ამტკიცებს.

კ. მარქსი და ფრ. ენგელსი თავის მრავალ შრომასა და წერილში არჩევენ ფრანგი განმანათლებლების სახელოვანი პლეადის: მონტესკიეს, ვოლტერის, დიდროს, ჟან ჟაკ რუსოს; ბომარშეს ფილოსოფიურ ნააზრევს და მხატვრულ ნაწარმოებებს. მარქსთან ერთად ენგელსი იყო საფუძვლიანი მცოდნე და დამფასებელი ამ დიდი ფრანგი მწერლების მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობისა.

ცნობილია, რომ მარქსი და ენგელსი დენი დიდროს საყვარელ პროზაიკოსად თელიდნენ, განსაკუთრებით მოსწონდათ დიდროს ნა-

---

1 ფრიდრიხ ენგელსი. ანტი-დიურინგი, თბილისი, 1952 წ., 20-21.

2. ფრიდრიხ ენგელსი. ბუნების დიალექტიკა, თბილისი, 1954 წ., გვ. 207-208.

წარმოები „რამოს ძმისწული“. 1869 წლის 15 აპრილს კ. მარქსი სწერდა ფ. ენგელსს: „ჩვენ სახლში აღმოჩნდა „რამოს ძმისწულის“ ორი ეგზემპლარი. გიგზავნი ერთ მათგანს. ეს შეუდარებელი ნაწარმოები ერთხელ კიდევ შესაძლებლობას მოგცემს დასტკბე მით“[1] (ხაზგასმა ჩვენია — დ. ფ.).

დენი დიდროს მხატვრულ-ფილოსოფიურ პროზაში „რამოს ძმისწული“ ნამდვილად შედევრია. მასში მწერალმა იშვიათი ოსტატობით დაგვიხატა თავისი დროის საზოგადოებრივი ცხოვრება: ფეოდალური ურთიერთობის გადაგვარება და წარმავლობა, ბურჟუაზიული წყობილების ბინძური ხასიათი და ამორალობა. მწერლის გამჭრიახმა გონებამ მთელი რეალისტური სრულყოფით წარმოგვიდგინა ფულის, ოქროს ყოვლად გამრყვნელი და დამღუპველი გავლენა ადამიანებზე, ოჯახზე, საზოგადოებრივ ურთიერთობაზე.

გახრწნილმა საზოგადოებრივმა ცხოვრებამ ბუნებით ნიჭიერი და ჯანსაღი რამო მიიყვანა ასეთ დასკვნამდე: თუ გინდა მდიდარი იყო და მაშასადამე ბედნიერი, უნდა გახდე თავხედი, არამზადა, გათახსირებული, მასხარა, ურცხვი, ჰორიკანა, ქურდი, მლიქვნელი, ცბიერი, მუქთახორა, მატყუარა, საზიზღარი, უსინდისო. რამო ამბობს: „ჩე და ჩემი მსგავსნი ვიპარავთ, მაგრამ ვიპარავთ მოპარულს, ვიპარავთ ნაქურდალს“. „ოქროა ყველაფერი და სხვა დანარჩენი იმის გარეშე — არაფერია“. „კარგი ღვინის სმა, კარგი საჭმელი, რბილ საწოლში ლამაზ ქალებთან დროს გატარება... სხვა ყველაფერი ამაოებაა“.

დიდრო ბალზაკის წინამორბედია. ის არსებული, უკუღმართი საზოგადოებრივი ცხოვრების მკაცრი, დაუნდობელი კრიტიკოსია. ის თავისი ძლიერი მხატვრული კალმით ააშკარავებს, როგორც ფეოდალური, ასევე ბურჟუაზიული წყობილების მთელ გახრწნილობასა და სიდამპლეს. ამაშია დიდროს რეალიზმის ძალა და სიძლიერე.

როდესაც ფ. ენგელსმა კ. მარქსისაგან გაგზავნილი „რამოს ძმისწული“ მიიღო მარქსის ბარათით, იმ დღესვე დაიწყო მისი კითხვა, მეორე დღეს ენგელსმა ასეთი ბარათი გაუგზავნა მარქსს: „დიდი მადლობა „რამოს ძმისწულის“ გამოგზავნისათვის, რომელმაც მე დიდად მასიამოვნა“.[2] (ხაზგასმა ჩვენია — დ. ფ.).

მარქსსა და ენგელსს აღაფრთოვანებდათ დიდროს ღრმა აზ-

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс об искусстве. Москва, 1957 г. т. I, გვ. 403.

[2] იქვე.

როვნება, მისი დაუცხრომელი მოღვაწეობა ფილოსოფიურ და ლიტერატურულ სარბიელზე, მოსწონდათ დიდროს მომხიბლავი პიროვნება, როგორც ნამდვილი ენციკლოპედისტისა, რომელიც ყველგან და ყველაფერში შეუდარებელ ცოდნას იჩენდა და ყველა დარგში თავისი ნიჭის ღრმა კვალს ტოვებდა. ენგელსია ავტორი დიდროს შემდეგი ბრწყინვალე დახასიათებისა: „თუ ვინმეს მთელი თავისი სიცოცხლე ჭეშმარიტებისა და სამართლიანობისათვის" მიუძღვნია (ამ გამოთქმის საუკეთესო მნიშვნელობით), ეს სწორედ დიდრო იყო".[1] (ხაზგასმა ჩვენია — დ. ფ.).

ბუნებრივი ადამიანის" პრობლემაზე მსჯელობა (მეტ-ნაკლებად), ყველა ფრანგი განმანათლებლის თხზულებაში გვხვდება, მაგრამ ჟან ჟაკ რუსომ უფრო სრულ ფორმებში ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებანი „ბუნებრივი ადამიანის" შესახებ. რუსომ უურადღება გაამახვილა პიროვნების სოციალური და პოლიტიკური თავისუფლების საკითხებზე და მოგვცა ჰუმანისტური მოძღვრება — „ადამიანის ჩამოყალიბების ხელოვნება". რუსოს არ სწამდა ეგრეთწოდებული „განათლებული ხელმწიფე". მისი აზრით, ყოველი მონარქი ტირანია, რომელიც იმისკენ მიისწრაფვის, რომ დათრგუნოს ხალხი, ჩაახშოს ადამიანებში ყოველივე ადამიანური. „ადამიანი თავისუფალი იბადება—, თქვა რუსომ, — შემდეგ კი იგი ყველგან ბორკილებშია". თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ მისწრაფება ადამიანის თანდაყოლილი, ბუნებრივი მოთხოვნილებაა, და თუ ადამიანები ვერ აღწევენ ამ მიზანს, ამის მიზეზია უკარგისი, ანტიჰუმანისტური საზოგადოებრივი წყობილება.

ფ. ენგელსი მაღალ შეფასებას აძლევდა ჟან ჟაკ რუსოს პროგრესულ, რევოლუციურ შეხედულებებს, უწოდებდა მათ „დიალექტიკური მსჯელობის ნიმუშებს", ის თავის მრავალ შრომასა და წერილში არჩევს რუსოს თხზულებებს და მოსწონს ფრანგი მწერლის დამაჯერებელი მსჯელობანი და მხატვრულად გამოთქმული აზრები. ენგელსი წერს: „ჩვენ უკვე რუსოს ნაწერებში გვხვდება არა მარტო აზრთა განვითარება, რომელიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავს მარქსის მიერ „კაპიტალში" გამოთქმულ აზრებს, არამედ დეტალებშიც ჩვენ ვხედავთ მთელ რიგ ისეთ დიალექტიკურ გამოთქმებს,

---

[1] ფრიდრიხ ენგელსი. ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული, თბილისი, 1935 წ., გვ. 28.

რომლებსაც მარქსი ხმარობს".[1] (ხაზგასმა ჩვენია — დ. ფ.).

ენგელსი თავის გამოკვლევებში მეცნიერული მსჯელობის დროს არაერთხელ იმოწმებს ფრანგ განმანათლებელთა თხზულებებს, როგორც სამაგალითოს, უფრო ხშირად კი დენი დიდროსა და ჟან ჟაკ რუსოს ნაწარმოებებს. „ანტი-დიურინგში" ფრიდრიხ ენგელსი წერს: „საკუთრივ ფილოსოფიის ფარგლებს გარეთ მათაც (ფრანგმა განმანათლებლებმა. დ. ფ.) შესძლეს დიალექტიკის სანიმუშო ნაწარმოებები მოეცათ; გავიხსენოთ მხოლოდ დიდროს „რამოს ძმისწული" და რუსოს ტრაქტატი „უთანასწოროების წარმოშობაზე ადამიანთა შორის".[2]

ისე როგორც მარქსისათვის, ასევე ენგელსისათვის დიდი დაკვირვებისა და კვლევის საგანი იყო მე-19 საუკუნის ფრანგული ლიტერატურა, ამ დროის ორი ძირითადი მიმართულების — რომანტიზმისა და რეალიზმის გარკვევა-გაშუქება.

მარქსმა და ენგელსმა მოგვცეს საერთოდ რომანტიზმისა და რეალიზმის, კერძოდ ფრანგული რომანტიზმისა და რეალიზმის კლასიკური დახასიათება. მარქსიზმის კლასიკოსები უმთავრესად ორი სახის რომანტიზმს არჩევდნენ: რეაქციულ-კონსერვატულსა და პროგრესულ-რევოლუციურს. ორივე სახის რომანტიზმისათვის საერთო იყო არსებული სინამდვილით უკმაყოფილება, ყველაფრისადმი რომანტიკული დამოკიდებულება, მაგრამ მათ შორის იყო არსებითი ხასიათის განსხვავება. რეაქციულ-კონსერვატული რომანტიზმი უმთავრესად პესიმისტური სულისკვეთებით იყო გამსჭვალული, წარსული იტაცებდა — აწმყოს უარყოფდა წარსულისათვის. პროგრესულ-რევოლუციური რომანტიზმი კი, პირიქით, უმთავრესად ოპტიმიზმით იყო აღსავსე, მომავალი იტაცებდა — აწმყოს უარყოფდა უკეთესი მომავლისათვის.

კ. მარქსი ფ. ენგელსისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში წერდა: „პირველი რეაქცია საფრანგეთის რევოლუციისა და მასთან დაკავშირებული განმანათლებლობის წინააღმდეგ, რა თქმა უნდა, ის იყო, რომ ყველაფერს შუა საუკუნეების თვალსაზრისით რომანტიკულად უყურებდნენ".[3]

როგორც ვხედავთ, აქ ლაპარაკია რეაქციულ-კონსერვატული

---

1. ფრიდრიხ ენგელსი. ანტი-დიურინგი, თბილისი, 1952 წ., გვ. 167. 2 იქვე, გვ. 25.

3 კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, თბილისი, 1940 წ., გვ. 212.

რომანტიზმის წარმომადგენლებზე, რომლებიც ძირითადად თავიანთ იდეალს წარსულში ხედავდნენ, უარყოფითად ეკიდებოდნენ საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციას, მასთან დაკავშირებულ განმანათლებლობას და შუა საუკუნეების აღდგენას მოითხოვდნენ. ეს აზრი ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს რომანტიზმის ამ ნაკადის წარმომადგენელი მწერლები არსებული სინამდვილისადმი მხოლოდ ასეთი დამოკიდებულებით იფარგლებოდნენ. მათ შემოქმედებაში (მეტნაკლებად) მაინც არის მთელი რიგი მომენტები, რომლებიდანაც აშკარად ჩანს, რომ ისინი (ნებით თუ უნებლიეთ) ობიექტურად, მხატვრული ნიჭის ძალით, მაღლდებოდნენ თავიანთ სუბიექტურ შეზღუდულობაზე და სინამდვილის რეალისტური განვითარების ტენდენციას გამოხატავდნენ.

ფრ. ენგელსი იძლევა ყოველივე ამის ნათელ, ამომწურავ ახსნა-განმარტებას, ის წერს: „რომანტიზმის ყველა ნაირსახეობას, გარდა პროგრესულ-რევოლუციური ნაკადისა, ასეთი თუ ისეთი დოზით ახასიათებს რეაქციული და კონსერვატიული მსოფლმხედველობრივი ტენდენციები, მაგრამ ეს გარემოება მათი ნიჭიერი წარმომადგენლების მემკვიდრეობის მიმართ ნიჰილისტური დამოკიდებულებისათვის საფუძველს არ იძლევა".

პროგრესულ-რევოლუციური რომანტიკოსი მწერლები თავიანთი სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებებით უმთავრესად მოწინავე, პროგრესულ, ხშირად რევოლუციურ პოზიციებზე იდგნენ, ისინი ძირითადად ხალხის ფიქრებსა და განწყობილებებს გამოხატავდნენ, მებრძოლი პატრიოტები იყვნენ და თავიანთი შემოქმედებით აღაგზნებდნენ ხალხს უკეთესი მომავლისათვის საბრძოლველად.

ფრანგულ ლიტერატურაში რეაქციულ-კონსერვატული რომანტიზმის წარმომადგენლები არიან: შატობრიანი, მადამ დე სტალი, ბენჟამენ კონსტანი, შარლ ნოდიე, ალფონს დე ლამარტინი, ალფრედ დე ვინი, ალფრედ დე მიუსე. პროგრესულ-რევოლუციური რომანტიზმისა: ვიქტორ ჰიუგო, ჟორჟ სანდი, ეჟენ სიუ, ალექსანდრე დიუმა — მამა.

მარქსი და ენგელსი აფასებდნენ ფრანგული რომანტიზმის პირველი ნაკადის წარმომადგენელთა შემოქმედებას, მათ მხატვრულ ნიჭს, ამასთანავე სასტიკად აკრიტიკებდნენ შატობრიანისა და ლამარტინის რეაქციულ შეხედულებებს.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის პოლიტიკურ-ლიტერატურულ გამონათქვამებში ფრიად საყურადღებოა აგრეთვე მათი შეხედულებანი ფრანგული რომანტიზმის მეორე ნაკადის წარმომადგენელთა მხატვრულ შედევრებზე. ისინი საერთოდ მალალ შეფასებას აძ-

ლევდნენ ამ მწერლების ტალანტს, მხატვრულ ოსტატობას, ამავე დროს აკრიტიკებდნენ მათ მცდარ სოციალ-უტოპიურ მოსაზრებებს.

მარქსსა და ენგელსს მოსწონდათ ნიჭიერი ფრანგი მწერალი ქალის ჟორჟ სანდის სოციალური რომანები. ისინი თავიანთ შრომებში იყენებდნენ ჟორჟ სანდის მოსწრებულ გამოთქმებს. ასე, მაგალითად, კ. მარქსი წიგნში „ფილოსოფიის სიღატაკე“ აღნიშნავს, რომ „მხოლოდ იმ წყობილებაში, სადაც კლასებსა და კლასთა ანტაგონიზმს ადგილი არ ექნებათ, სოციალური ევოლუციები აღარ იქნება პოლიტიკური რევოლუციები. მანამდე კი საზოგადოების თითოეული საყოველთაო გარდაქმნის წინა დღეს, სოციალური მეცნიერების უკანასკნელი სიტყვა ყოველთვის ეს იქნება: „ბრძოლა ან სიკვდილი; სისხლიანი ომი ან არარაობა. ასე ულმობლადაა საკითხი დასმული“.[1] ეს სიტყვები, მოხდენილი გამოთქმა მარქსს მოტანილი აქვს ჟორჟ სანდის მოთხრობიდან „იან ჟიშკა“. ენგელსი ჟორჟ სანდს უწოდებს „ქალთა უფლებების მგზნებარე დამცველს“,[2] რომლის მხატვრულ შემოქმედებაში დიდი სიყვარულითა და სიმპათიით არის გამოხატული სოციალური უსამართლობის მსხვერპლი ქალები, მათი ათრთოლებული გულის ფეთქვა. მწერლის ჰუმანისტური შეხედულებით ყველა ადამიანი უნდა შეუკავშირდეს ერთმანეთს სიყვარულისა და სათნოების საფუძველზე და ამ გზით მიაღწიოს თავისუფლებას და ბედნიერებას. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჟორჟ სანდის ეს კონცეფცია მცდარი იყო, იგი მომდინარეობდა ფრანგი სოციალისტ-უტოპისტების მოძღვრებიდან. მიუხედავად ამისა, ჟორჟ სანდის ნაწარმოებებმა დიდი პოპულარობა მოიპოვა საზოგადოების ფართო ფენებში ქალთა უუფლებობის წინააღმდეგ ნიჭიერად გამოთქმული თამამი პროტესტის გამო.

ჟორჟ სანდის სოციალურ რომანებს ღრმა შემეცნებითი ღირებულება აქვთ. ენგელსი დიდად აფასებდა ხალხურობას ჟორჟ სანდის შემოქმედებაში. ის მწერალი ქალის ნოვატორობას იმაში ხედავდა, რომ მან განსაკუთრებული ყურადღების საგნად აქცია მშრომელი ადამიანები, მათი ყოფა-ცხოვრება, მისწრაფებანი, სიხარული და ტანჯვა. ეს კი ახალი მიმართულება იყო. ენგელსი ამ მიმართულების წარმომადგენელთა შორის ჟორჟ სანდის გვერდით ასახელებს ეჟენ სიუს და ჩარლზ დიკენსს.[3]

ეჟენ სიუმ თავისი სოციალური რომანებით სახელი გაითქვა,

---

1. კ. მარქსი. ფილოსოფიის სიღატაკე. თბილისი, 1931 წ., გვ. 257.
2 К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, т. 4, გვ. 533.
3 К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, т. 2, გვ. 415.

არა მარტო საფრანგეთში, არამედ მის გარეთაც. ამ რომანებს გატაცებით კითხულობდნენ მშრომელთა ფართო მასები. ფრიდრიხ ენგელსი ყოველივე ამას დადებით მოვლენად თვლიდა ლიტერატურული ცხოვრების განვითარებაში. განსაკუთრებით დიდი წარმატება მოიპოვა ეჟენ სიუს გახმაურებულმა რომანმა „პარიზის საიდუმლოებანი". ამის გამო ენგელსი წერდა: „ეჟენ სიუს კარგად ცნობილმა რომანმა „პარიზის საიდუმლოებანი" ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებრივ აზრზე, განსაკუთრებით გერმანიაში. ნათელი ფერები, რომლებითაც წიგნში გამოხატულია სიღატაკე და დემორალიზაცია, დიდ ქალაქებში წილად რომ ხვდათ „დაბალ ფენებს" არ აყოვნებენ საზოგადოების ყურადღება მიაქციონ საერთოდ არაფრის მქონეთა მდგომარეობას".[1]

როგორც ვხედავთ, ფრიდრიხ ენგელსმა მოიწონა და ქების ღირსად ჩათვალა ეჟენ სიუს მიერ სინამდვილის რეალისტური ასახვა, კერძოდ ის, რომ მწერალმა გაილაშქრა სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ, სააშკარაოზე გამოიტანა მშრომელი ადამიანების დუხჭირი, აუტანელი ცხოვრების პირობები.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი ქებით იხსენიებდნენ ფრანგი ხალხის ერთ-ერთ უდიდეს პოეტს, ფრანგული რევოლუციურ-დემოკრატიული პოეზიის მამამთავარს ბერანჟეს. ისინი დიდად იყვნენ დაინტერესებული ბერანჟეს მებრძოლი ლექსებით, პოლიტიკური სატირით, მისი შემოქმედების ხალხურობით. მარქსი და ენგელსი 1848 წელს „დემოკრატიული ასოციაციის ადრესში საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობისადმი" სწერდნენ: „თქვენ ფრანგებო, თქვენ გეკუთვნით პატივი და დიდება იმისათვის, რომ ჩაუყარეთ მთავარი საფუძვლები ხალხთა იმ კავშირს, რომელსაც ასე წინასწარმეტყველურად უმღერა თქვენმა უკვდავმა ბერანჟემ".[2]

მარქსიზმის კლასიკოსები აღნიშნავდნენ ბერანჟეს, როგორც მომღერალი მგოსნის უდიდესი პოპულარობას, მისი ლექსების ფორმისა და შინაარსის განსაკუთრებულ თავისებურებას. მათ შრომებში ხშირად ვხედებით ბერანჟეს სახელს, მის პოეტურ გამოთქმებს.

მარქსი და ენგელსი ბალზაკს როგორც იშვიათ რომანისტს იმდროის დასავლეთევროპულ ლიტერატურაში პირველ ადგილზე აყენებდნენ. ისინი საფუძვლიანად იცნობდნენ ბალზაკის მსოფლმხედველობას, მის შემოქმედებას და გადაწყვეტილი ჰქონდათ ცალკე გამოკვლევა დაეწერათ ამ დიდი ფრანგი მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс об искусстве. Москва. 1957. т. I, გვ. 485. [2] იქვე. გვ. 474.

კ. მარქსი ბალზაკს „სოციალურ მეცნიერებათა დოქტორს“ უწოდებდა.

მარქსი „კაპიტალის“ პირველ ტომში ეხება ფულის მიმოქცევის საკითხს და წერს: „ფულის გამორიცხვა მიმოქცევის სფეროდან პირდაპირ საპირისპირო იქნებოდა მისი კაპიტალის სახით გამოყენებისა, ხოლო საქონლის დაგროვება განძის შექმნის მიზნით — აშკარა უგუნურობა“.[1] იქვე სქოლიოში მარქსი აღნიშნავს— ასე, მაგალითად, ბალზაკს, რომელსაც საფუძვლიანად აქვს შესწავლილი ყველა ელფერის სიძუნწე, გამოჰყავს მოხუცი ჩარჩი გობსეკი, უკვე გაბავშვებული, როდესაც იგი იწყებს ახუხულავებული საქონლისაგან განძის შექმნას“.[2]

მარქსს მოსწონდა ბალზაკის რომანი „გლეხები“. ის ამ ნაწარმოებში ხედავდა თავისი ზოგიერთი თეორიული შეხედულების მხატვრულ ილუსტრაციას. მარქსი აღნიშნავს: „თავის უკანასკნელ რომანში,—„გლეხები“ ბალზაკი, რომელიც საერთოდ შესანიშნავია რეალურ ურთიერთობათა ღრმა გაგების მხრივ, მოხდენილად გვიხატავს, თუ როგორ მუქთად უსრულებს სხვადასხვა სამუშაოს წვრილი გლეხი მევახშეს, რათა მისი წყალობა შეინარჩუნოს, და თანაც არ ჰგონია, რომ მევახშეს რაიმეს საჩუქრად აძლევდეს, რადგან თავისი საკუთარი შრომისათვის მას ნაღდი ფულის ხარჯვა არ უხდება. მევახშე, თავის მხრივ, ერთი გასროლით ორ კურდღელს კლავს. იგი აღარ საჭიროებს ნაღდად ხარჯვის გაწევას ხელფასისათვის და გლეხს, რომელსაც საკუთარი მიწის მუშაობაზე მოცდენა სწრაფი ტემპით ანადგურებს, უფრო და უფრო ახვევს სავახშო ქსელის ბადეში“[3].

ბალზაკის მხატვრულ ქმნილებებში მარქსსა და ენგელსს ყველაზე მეტად მოსწონდათ მწერლის კრიტიკული რეალიზმი, საზოგადოებრივი ცხოვრების (ყოველმხრივ) მხატვრული ასახვის ბრწყინვალე ნიჭი და უტყუარი ალღო. „ბალზაკი“ — წერს ენგელსი, — გვაძლევს ფრანგული საზოგადოების ყველაზე უფრო შესანიშნავ რეალისტურ ისტორიას, ქრონიკის სახით აღწერს, თითქმის წლიდან წლამდე 1816 წ-დან 1848 წ-მდე აღმავალი ბურჟუაზიის სულ უფრო და უფრო გაძლიერებულ შეტევას თავადაზნაურულ საზოგადოებაზე... ფრანგული საზოგადოების მთელ ისტორიას, საიდანაც მე ეკონომიური დეტალების თვალსაზრისითაც კი უფრო მეტი გავიგე (მაგალითად, რევოლუციის შემდეგ რეალური... და

---

[1] კარლ. მარქსი. კაპიტალი, ტ. I. თბილისი, 1954 წ., გვ. 742. [2] იქვე.

[3] კარლ მარქსი. კაპიტალი, ტ. 3. ნაწილი I, თბილისი, 1959 წ., გვ. 50-51.

პირადი საკუთრების გადანაწილება); ვიდრე იმ პერიოდის ყველა, ერთად აღებული, პროფესიონალი ისტორიკოსების, ეკონომისტებისა და სტატისტიკოსების წიგნებიდან"[1].

ფრიდრიხ ენგელსის ამ სიტყვებს ღრმა აზრი აქვს. ენგელსი ამ თავის ნათელ და მკაფიო გამონათქვამში წინ სწევს და ხაზს უსვამს საზოგადოებრივი ცხოვრების ბალზაკისეულ მხატვრულ ასახვას, როგორც სანიმუშო რეალისტურ ასახვას. ბალზაკის ნაწარმოებში შემეცნებითი და ესთეტიკური ღირსებები ერთმანეთშია შერწყმული, ღრმა აზრი და მისი მხატვრულად გამოხატვის ფორმა ერთმანეთს ავსებენ და ამშვენებენ. ბალზაკის რომანებიდან მკითხველი მხოლოდ ცხოვრების დიდ ცოდნას კი არ იძენს, ის ამასთანავე ესთეტიკურად ტკბება, ყოველ საგანს და მოვლენას ხედავს, გრძნობს, განიცდის.

ბალზაკის რეალიზმის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ ის არ კმაყოფილდება სინამდვილის წვრილმანების პასიური, ფოტოგრაფიული ასახვით, არამედ ცხოვრებას წარმოგვიდგენს მაღალმხატვრულად, შესანიშნავად გადმოგვცემს ცხოვრების ტიპიურ, დამახასიათებელ მოვლენებს, ის სწორად ხატავს საზოგადოებრივ ურთიერთობას მის რეალისტურ განვითარებაში.

1859 წელს ენგელსი ლასალს სწერდა: „თქვენ სრულიად სამართლიანად ილაშქრებთ ამჟამად გაბატონებული ც უ დ ი ინდივიდუალიზაციის წინააღმდეგ, რომელიც წვრილმან გრძნობაში მდგომარეობს და ეპიგონთა მომაკვდავი ლიტერატურის არსებით ნიშანს შეადგენს"[2]. ენგელსი გმობდა იმ დროის ბურჟუაზიულ ლიტერატურაში გავრცელებულ უარყოფით მოვლენას, რომელიც ერთმანეთისაგან თიშავდა ტიპიურსა და ინდივიდუალურს, ზოგადსა და კერძოს, და დაბეჯითებით მოითხოვდა მათ დიალექტიკურ მთლიანობაში წარმოდგენას. გერმანელი მწერალი ჭალის მინა კაუცკისადმი გაგზავნილ წერილში ენგელსი აღნიშნავდა, რომ „თვითეული პირი ტიპს წარმოადგენს, მაგრამ ამასთანავე გარკვეულ ინდივიდუალურ ადამიანსაც. „ეს", როგორც იტყოდა მოხუცი ჰეგელი, ასეც უნდა იყოს"[3]. სწორედ ბალზაკს ჰქონდა დიდი ხელოვანის ოსტატობა, რომელთაც ის წარმოგვისახავდა „ტიპიზებულ ინდივიდუალობას" და „ინდივიდუალიზებულ ტიპს".

ინგლისელი მწერალი ჭალის მარგარიტა ჰარკნესისადმი გაგ-

---

1. კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, თბილისი, 1949 წ., გვ. 447.

2 К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, т. XXV, გვ. 259.

3 კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, თბილისი, 1949 წ., გვ. 434.

ზავნილ წერილში ფრიდრიხ ენგელსი რეალიზმის ასეთ კლასიკურ ფორმულას იძლევა: „რეალიზმი გულისხმობს, გარდა დეტალების უტყუარობისა, ტიპიური ხასიათების ტიპიურ მდგომარეობაში სწორად გადმოცემას".[1]

აი, ასეთი რეალიზმის სწორუპოვარ დიდოსტატად მარქსი და ენგელსი თელიდნენ ონორე დე ბალზაკს, რომლის მხატვრულ შედევრებს უხვად იყენებდნენ თავიანთი თეორიული შეხედულებების საილუსტრაციოდ.

ბალზაკი ბრწყინვალედ ხატავს ტიპიურ სახეებს ტიპიურ გარემოებებში. ის თავისებურად აღწერს ბუნებას, ადამიანთა საცხოვრებელ ადგილებს და ეს ყოველივე ადამიანური ცხოვრებისა და ურთიერთობის გახსნას ემსახურება. მხატვრულად წარმოგვისახავდა რა მისი დროის ფრანგული საზოგადოების ცხოვრებას, ბალზაკი ამით გვიჩვენებდა ნამდვილ სურათებს, ადამიანთა ნამდვილი ურთიერთობის სცენებს. ამიტომაა, რომ ბალზაკის შემოქმედებას დიდი სოციალური, შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს.

პოლიტიკური შეხედულებით ბალზაკი ლეგიტიმისტი იყო, მაგრამ მისი მხატვრული შემოქმედების მეთოდი — კრიტიკული რეალიზმი; ამ რეალიზმით მწერალი დამაჯერებლად წარმოგვისახავდა სოციალური სინამდვილის იმ მოვლენებსაც კი, რომლებიც პირდაპირ ეწინააღმდეგებოდნენ მის პოლიტიკურ შეხედულებებს.

ბალზაკის შემოქმედების ამ წინააღმდეგობებზე ნათლად მიუთითებს ენგელსი: „მართალია, ბალზაკი პოლიტიკურად ლეგიტიმისტი იყო, მისი უდიდესი ნაწარმოები განუწყვეტელი ელეგიაა მაღალი საზოგადოების საბოლოოდ დაშლის გამო; მისი სიმპათიები იმ კლასის მხარეზეა, რომელიც განწირულია გადაშენებისათვის, მაგრამ ამასთან ერთად მისი სატირა არასოდეს არ ყოფილა უფრო მწვავე, მისი ირონია უფრო მწარე, ვიდრე მაშინ, როდესაც ის ამოქმედებს არისტოკრატებს, კაცებსა და ქალებს, რომლებსაც იგი ღრმა სიმპათიით ეკიდება".[1]

ბალზაკი არ იფარგლება ერთი რომელიმე სოციალური ფენის წარმოსახვით. ერთსა და იმავე ნაწარმოებში ის გვიჩვენებს მოპირდაპირე კლასების წარმომადგენლებს, თანაბარი სიძლიერით გვიხატავს ყველას. ხშირად სიმართლე, კრიტიკული რეალიზმის მეთოდი აიძულებს მწერალს სიმპათიური თვისებებით აღჭურვოს ისინი, ვისაც პოლიტიკურად არ თანაუგრძნობს.

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс об искусстве, Москва, 1957 г., т. I, стр. 11.

ფ. ენგელსი წერს: „ერთადერთი ადამიანები, რომლებზედაც იცი (ბალზაკი დ. ფ.) დაუფარავი აღტაცებით ლაპარაკობს, ესენი არიან მისი ყველაზე აშკარა მოწინააღმდეგეები, რესპუბლიკელი ბეჭრები... ადამიანები, რომლებიც იმ დროს (1830—1836) ნამდვილად იყვნენ ხალხის მასების წარმომადგენლები“.[1] ენგელსს აქ მხედველობაში ჰყავს რევოლუციონერები, რომლებიც ამ პერიოდში შარიკადებზე იბრძოდნენ და იღუპებოდნენ.

ფრიდრიხ ენგელსი მიუთითებდა მე-19 საუკუნის ფრანგული კრიტიკული რეალიზმის დიდ უპირატესობაზე ნატურალიზმთან შედარებით და სამაგალითოდ ასახელებდა ბალზაკს. ენგელსს ეკუთვნის ასეთი გამონათქვამი: „ბალზაკს მე რეალიზმის გაცილებით უფრო დიდ ოსტატად ვთვლი, ვიდრე წარსულის, აწმყოსა და მომავლის ყველა ზოლაებს“.[2] ენგელსის ამ სიტყვებს ღრმა აზრი აქვს. ბალზაკი კრიტიკული რეალიზმის მწვერვალია, ის თავის შემოქმედებაში გვიხატავს საზოგადოებრივ ცხოვრებას მის რეალისტურ, დიალექტიკურ განვითარებაში, იძლევა საზოგადოებრივი ურთიერთობის არა მშრალ, სქემატურ, ფოტოგრაფიულ ასახვას, არამედ — ძლიერ მხატვრულ სურათს, მაღალ სოციალურ, ფსიქოლოგიურ განზოგადებას. ცხადია, ემილ ზოლას მხატვრულ შემოქმედებასაც (მეტ-ნაკლებად) გააჩნია ეს თვისებები, მაგრამ ისინი არ არიან იმ სახის, იმ სიძლიერის, იმ სიღრმის, როგორც ბალზაკთან. ეს იმით აიხსნება, რომ ემილ ზოლას მისმა ნატურალისტურმა მეთოდმა ხელი შეუშალა ამაღლებულიყო ბალზაკის რეალიზმის დონემდე.

ბალზაკი ძვირფასია და შესანიშნავი თავისი შემოქმედებითი მეთოდით — კრიტიკული რეალიზმით, იმით, რომ ის გვიხატავს ცხოვრების მართალ, მხატვრულ სახეს, ეპოქის ტიპიურ ხასიათებს; დუხჭირ, უაღრესად მძიმე სოციალურ თანამედროვეობაში ბალზაკმა შესძლო მიეგნო, აღმოეჩინა პროგრესული მოვლენები, რომელთაც მომავალი ეკუთვნოდათ. „იგი ხედავდა, — სწერს ენგელსი, — მომავლის ნამდვილ ადამიანებს იქ, სადაც კი იმ დროს შეიძლებოდა მათი პოვნა, მე ამას ვთვლი რეალიზმის

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс об искусстве, Москва, 1957 г., т. I, გვ. 11.

[2] იქვე, გვ. 12.

ერთ-ერთ უდიდეს გამარჯვებად, მოხუცი ბალზაკის ერთ-ერთ უდიდეს თავისებურებად".[1]

ბალზაკის ნაწარმოებებში იგრძნობა ავტორის პროგრესული ტენდენცია, რომელიც შერწყმულია ობიექტური სამყაროს განვითარების კანონებთან, კანონზომიერ წინსვლასთან, „ცხოვრების სიმართლესთან".

ენგელსი დიდი ყურადღებით ეკიდებოდა რეალიზმისა და პროგრესული ტენდენციურობის თანხვედრილობას. ის არ იყო წინააღმდეგი ტენდენციური მხატვრული შემოქმედებისა, მაგრამ გაფრთხილებას იძლეოდა, რომ ტენდენცია თავისთავად გამომდინარეობდეს მდგომარეობიდან და მოქმედებიდან, მასზე საგანგებო მითითების გარეშე, რომ მწერალი ვალდებული არაა მკითხველს მზა სახით მისცეს მის მიერ გამოსახული საზოგადოებრივი კონფლიქტების მომავალი ისტორიული გადაწყვეტა. ამნაირად, მხატვრულ ქმნილებაში ავტორის ტენდენცია უნდა გამომდინარეობდეს ცხოვრების სწორად, რეალისტურად ასახვიდან, ნაწარმოების შინაარსიდან. მარქსი და ენგელსი ასეთ მკვეთრად გამოვლენილ ტენდენციურ მწერლად სთვლიდნენ ონორე დე ბალზაკს.

მარქსისა და ენგელსის შეხედულებანი, გამონათქმები ფრანგულ ლიტერატურაზე, მუდამ სახელმძღვანელოა ამ ლიტერატურის ძირითადი პროცესების სწორად შესწავლისა და გაგებისათვის. ესაა დიადი მეცნიერული საუნჯე, რომელსაც უნდა ემყარებოდეს საერთოდ ლიტერატურის, კერძოდ ფრანგული ლიტერატურის ყოველი ჭეშმარიტი მკვლევარი.

---

1 К. Маркс и Ф. Энгельс об искусстве, Москва, 1937 г., т. I, გვ. 12.

3. ი. ლენინი და ფრანგული ლიტერატურა

მთელმა XIX საუკუნემ, იმ საუკუნემ, რომელმაც ცივილიზაცია და კულტურა მისცა მთელ კაცობრიობას, საფრანგეთის რევოლუციის ნიშნით ჩაიარა.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი

ლენინი იყო დიდი მცოდნე და დამფასებელი მსოფლიო კულტურისა. მას უყვარდა თქმა: „კომუნისტი მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდე, როცა შენს მეხსიერებას გაამდიდრებ ყველა იმ სიმდიდრის ცოდნით, რაც კაცობრიობას შეუმუშავებია“.[1]

ასეთი ღრმა, ყოველმხრივ განათლებული კომუნისტის ნიმუში თვითონ იყო ლენინი. მისი არწივისებური ხედვა წვდებოდა მსოფლიო კულტურის განვითარების ყოველ მნიშვნელოვან მოვლენას. ლენინი საფუძვლიანად ფლობდა კაცობრიობის კულტურულ მემკვიდრეობას. მან ჩინებულად იცოდა საზღვარგარეთული ლიტერატურა და ხელოვნება, ის გატაცებით კითხულობდა დასავლეთ ევროპული ლიტერატურის კლასიკოსებს: გოეთეს, ჰაინრიხ ჰაინეს, ჩარლზ დიკენსს, ვიქტორ ჰიუგოს, მოლიერს, ემილ ვერჰარნს, ანრი ბარბიუსს, ანატოლ ფრანსს, ემილ ზოლას, ოქტავ მირბოს, პოლ ბურჟეს, ჯეკ ლონდონს, ჯონ რიდს, გერჰარტ ჰაუპტმანს, ეპტონ სინკლერს, ეჟენ პოტიეს, ალფონს დოდეს, პოლ ვაიან-კუტიურიეს და სხვ.

ლენინს საკვებით სამართლიანად ეამაყებოდა თავისი სამშობლოს დიადი ლიტერატურა. ის სიამაყის გრძნობით იცნებოდა, როდესაც რუსული ლიტერატურის შედევრებს საზღვარგარეთული ლიტერატურის შედევრებს ადარებდა. ამ მხრივ–ფრიად დამახასიათებელია ლენინის დამოკიდებულება რუსული ლიტერატურის გენიოსი მწერლის ლევ ტოლსტოისადმი.

მაქსიმ გორკი მოგვითხრობს: „ერთხელ მივედი მასთან და ვხედავ: მაგიდაზე „ომისა და მშვიდობის“ ტომი დევს.

— ჰო, ტოლსტოია! მომინდა ნადირობის ეპიზოდის წაკითხვა

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი თხზ., ტ. 31. თბილისი, 1952 წ., გვ. 344.

და აი, მომაგონდა, რომ ამხანაგს წერილი უნდა მივწერო. კითხვისათვის დრო სრულებით აღარ მრჩება. მხოლოდ წუხელ წავიკითხე თქვენი წიგნი ტოლსტოიზე.

გაიღიმა, თვალები მოჭუტა, სიამოვნებით გასწორდა სავარძელში, ხმას დაუდაბლა და ჩქარა განაგრძო.

— რა ბუმბერაზია, ჰა? რა დიდი ადამიანია! აი ხელოვანი ბატონო ჩემო... — და — იცით კიდევ რა არის განსაცვიფრებელი? ამ გრაფამდე ლიტერატურაში ნამდვილი გლეხი არა ყოფილა.

მერე შემომხედა მოჭუტული თვალებით და მკითხა:

— ვინ შეიძლება მის გვერდით დავაყენოთ ევროპაში?

თავის თავს თვითონვე უპასუხა:

— არავინ.

და ხელების ფშვნეტით ჩაიცინა, კმაყოფილმა".[1]

აი როგორ მშვენივრად გადმოგვცემს მაქსიმ გორკი რუსული ლიტერატურის უდიდესი რომანისტის ლევ ტოლსტოის გიგანტურ ფიგურას.

• • •

ლენინი, როგორც დიდი ინტერნაციონალისტი აფასებდა და პატივს სცემდა აგრეთვე სხვა ხალხების ლიტერატურას, რომელთა შორის აღსანიშნავია დასავლეთევროპული ლიტერატურა, კერძოდ ფრანგული ლიტერატურა.

ლენინი მისთვის ჩვეული გულისხმიერებით ეკიდებოდა ფრანგულ ხალხურ პოეზიას, რენესანსის ეპოქის ფრანგულ ლიტერატურას, განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ფრანგული განმანათლებლური ლიტერატურისადმი, მაღალ შეფასებას აძლევდა დენი დიდროს მატერიალისტურ შეხედულებებს, მის ესთეტიკურ კონცეფციებს.

ფრანგ განმანათლებლებს დიდი როლი მიუძღვით საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის იდეოლოგიურ მომზადებაში. ამ რევოლუციამ გაჰკაფა გზა კაცობრიობის ახალი ცივილიზაციისაკენ, მან ბევრი რამ მისცა პროგრესულ კაცობრიობას. ყოველივე ამას ლენინი დიდმნიშვნელოვან მოვლენად თვლიდა, ის არა ერთხელ აღნიშნავდა, რომ სწორედ ამ რევოლუციის ნიშნით ვიდოდა მთელი მეცხრამეტე საუკუნე.

ლენინს სწამდა საფრანგეთის რევოლუციური პროლეტარია-

---

1. ლენინი კულტურისა და ხელოვნების შესახებ, თბილისი, 1957 წ., გვ. 605-605.

ტი. ის მასზე დიდ იმედებს ამყარებდა. ლენინი წერდა: „საფრანგეთის მასები, იქნებ, ეს ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილ, პოლიტიკურად ყველაზე აღზრდილ, ყველაზე ცოცხალ და გულისხმიერ მასათაგანს წარმოადგენს“.[1]

მე-19 საუკუნის 90-იან წლებში რევოლუციურმა აღმავლობამ მოიცვა მთელი ევროპა, განსაკუთრებით საფრანგეთი, სადაც ცნობილი დრეიფუსის პროცესთან დაკავშირებით მუშათა რევოლუციურმა მოძრაობამ ახალი გაქანება მიიღო. ბურჟუაზიული კულტურა ღრმა კრიზისის ხანაში შევიდა, რამაც გარკვეული გავლენა მოახდინა ლიტერატურასა და ხელოვნებაზე.

პირველი მსოფლიო ომის წინ საფრანგეთში მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობა კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა, მან ფართო მასობრივი ხასიათი მიიღო.

ლენინი ასე ახასიათებს ამ პერიოდს: „რომანულ ქვეყნებში — იტალიაში, მეტადრე საფრანგეთში — კლასობრივი ბრძოლის გამწვავება მჟღავნდება განსაკუთრებით მძაფრი, მკვეთრი, ნაწილობრივ პირდაპირ რევოლუციური აფეთქებით, როდესაც პროლეტარიატის გულში ჩამარხული სიძულვილი თავისი მჩაგვრელებისადმი უეცარი ძლიერებით ამოხეთქს ხოლმე, და პარლამენტური ბრძოლის „მშვიდობიანი“ ვითარება იცვლება ნამდვილი სამოქალაქო ომის ცეცხლით“.[2]

ფრანგი მწერლები ეხმაურებოდნენ ამ სოციალურ-პოლიტიკურ ძვრებსა და მოვლენებს, მაგრამ ზოგიერთი მათგანი ცალმხრივად, სუბიექტურად, როგორც მაგალითად, პოლ ბურჟე და მორის ბარესი.

ლენინი პარიზში ემიგრაციის დროს დადიოდა ფრანგულ თეატრსა და ოპერაში: იყო ფოლი ბერჟერის თეატრში, მოისმინა ოპერაში კომპოზიტორ ქრისტოფ გლიუკის „არმიდა“. მან ფრანგულ სცენაზე ნახა ცნობილი ფრანგი მწერლის პოლ ბურჟეს პიესა „ბარიკადა“, რომლის გამოც წერდა: „რეაქციულია, მაგრამ საინტერესოაო“.[3] როგორც ვხედავთ ლენინი აკრიტიკებს პოლ ბურჟეს პოლიტიკურ მრწამსს, პიესის იდეურ ჩანაფიქრს, მაგრამ აფასებს მწერლის მხატვრულ ნიჭს.

რაც შეეხება მეორე ფრანგ მწერალს მორის ბარესს ლენინი მას სასტიკად კიცხავს და უწოდებს „არჭირეაქციონერს“, ვინაიდან მორის ბარესი იმპერიალისტური რეაქციის წარმომადგენელი იყო,

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 28, გვ. 607.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 15, გვ.

[3] ლენინი ლიტერატურის შესახებ, თბილისი, 1945 წ., გვ. 194.

შოვინისტურ პოზიციებზე იდგა და თავს ესხმოდა მარქსისტებს. მორის ბარესმა გამოაქვეყნა სტატიების კრებული „ფრანგული სული და ომი“, რომელშიც აშკარად გამოთქვა თავისი რეაქციული, ანტიდემოკრატიული, ნაციონალისტური ფიქრები და განწყობილებანი.

ლენინს მოსწონდა ფრანგული პატრიოტული სიმღერები. პარიზში ცხოვრების დროს ლენინმა თავის ბინაში ფრანგი დამლაგებელი ქალის სევდიანი სიმღერა გაიგონა, მიიხმო და სთხოვა გადმოეცა სიტყვები ამ ლექსისა. ფრანგმა ქალმა ლენინის სურვილი შეასრულა. ეს ელზასური სიმღერა ასეთი სიტყვებით თავდებოდა: „თქვენ აიღეთ ელზასი და ლოტარინგია, მაგრამ თქვენი სურვილის წინააღმდეგ ჩვენ ვრჩებით ფრანგებად; თქვენ მოახერხეთ გაგეგერმანელებინათ ჩვენი მინდვრები, მაგრამ ჩვენს გულს თქვენ ვერასოდეს ვერ დაიპყრობთ“.

როგორც ნადეჟდა კრუპსკაია გადმოგვცემს, ლენინი აღტაცებული იყო ამ სიმღერით, რომელიც ძლიერ ეხმატკბილებოდა მის მაშინდელ სულიერ განწყობილებას.

ლენინი სიმპათიურად ეპყრობოდა კომუნარის შვილს გასტონ მონტეგიუსს, რომელიც ფრანგი მუშების საყვარელი პიროვნება იყო. მის გულწრფელ ლექსებში ლენინი ბევრ დადებით მომენტებს ხედავდა. ლენინი მღეროდა ხოლმე მონტეგიუსის მისალმებას მეჩვიდმეტე პოლკისადმი, რომელმაც უარი სთქვა ესროლა გაფიცულთათვის: „სალამი, სალამი თქვენ მე-17 პოლკის ჯარისკაცებო“.

პარიზში ცხოვრების დროს ლენინი დადიოდა ქალაქის გარეუბნის თეატრში, სადაც ის მუშათა კლასის სახეებს აკვირდებოდა. ერთი ასეთი თეატრალური სანახაობა აღწერილი აქვს ნადეჟდა კრუპსკაიას: „მახსოვს, — წერს ნ. კრუპსკაია, — ერთხელ ვნახეთ პიესა, რომელშიც აწერილი იყო მაროკოში მსჯავრდადებული ჯარისკაცის წვალება. საინტერესო იყო მაყურებელთა დარბაზი: დიდი უშუალობით ეხმაურებოდნენ ყოველივეს მუშები, რომლებითაც გაჭედილი იყო თეატრი. სპექტაკლი ჯერ არ იყო დაწყებული. უცებ მთელმა თეატრმა შეწყობილად დაიწყო ძახილი: „ჭუდი! ჭუდი!“ თურმე თეატრში შემოსულ ვიღაც მანდილოსანს მაღალი მოდური ფრთებიანი ქუდი ეხურა და ხალხი მოითხოვდა, რომ ქალს ქუდი მოეხადა. ის იძულებული გახდა დამორჩილებოდა. სპექტაკლი დაიწყო. პიესაში ჯარისკაცს მაროკოში გზავნიან, ხოლო მისი და და დედა სიღატაკეში რჩებიან. ბინის პატრონი თანახმაა არ გადააძგევინოს მათ ბინის ქირა, თუ ჯარისკაცის და ხასად დაუდგება მას. „პირუტყეო! ძაღლო!“ — გაისმის ყოველი მხრიდან. პიესაში გამოხატული იყო, თუ როგორ აწვალებდნენ მაროკოში ჯარისკაცებს,

რომლებიც უფროსებს არ ემორჩილებოდნენ. სპექტაკლი ოჯანყებითა და „ინტერნაციონალის“ მღერით თავდებოდა. ამ პიესის დადგმა აკრძალული იყო, მაგრამ პარიზის გარეუბნებში მას დგამდნენ და ის მქუხარე ტაშს იწვევდა“[1].

ლენინი პარიზის კომუნას დიდმნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენად თვლიდა. მას კარგად ჰქონდა შესწავლილი პარიზის კომუნის შესახებ დაწერილი ლიტერატურა, განსაკუთრებით მოსწონდა პარიზის კომუნის მგზნებარე მომღერალი ნიჭიერი პოეტი ეჟენ პოტიე.

მსოფლიოში განთქმული ლექსის „ინტერნაციონალის“ ავტორის ეჟენ პოტიეს სახელი განუყრელადაა დაკავშირებული პარიზის კომუნასთან. მან არა მარტო საუცხოო ლექსები შეჰქმნა პარიზის კომუნის შესახებ, არამედ იგი მისი აქტიური მონაწილეც იყო. ამის გამო კომუნარები ეჟენ პოტიეს „რევოლუციის ჯარისკაცს“ უწოდებდნენ.

1913 წელს გაზეთ „პრავდაში“ ლენინმა რამდენიმე სტატია მიუძღვნა ეჟენ პოტიეს ცხოვრების, მოღვაწეობისა და შემოქმედების გაშუქებას. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავს „ინტერნაციონალის“ საერთაშორისო პოლიტიკურ მნიშვნელობას. მიუთითებს იმაზე, რომ ეს ლექსი თარგმნილია ყველა ევროპულ და არა მხოლოდ ევროპულ ენებზე. „ინტერნაციონალის“ სიმღერის მეშვეობით სხვადასხვა ადგილს გადახვეწილი მუშები, რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, ერთმანეთის ნაცნობები ხდებიან, ერთმანეთს უმეგობრდებიან და უძმობილდებიან. როდესაც ყველა ქვეყნის მუშებმა „ინტერნაციონალი“ ერთხმად დააგუგუნეს, ამით იგი მსოფლიო პროლეტარულ სიმღერად აქციეს.

ლენინი აღწერს, თუ როგორ მძიმე ეკონომიურ და პოლიტიკურ პირობებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ეჟენ პოტიე, როგორ ჰქმნიდა იგი თავის შესანიშნავ ლექსებს. კომუნის დამარცხების შემდეგ ეჟენ პოტიე იძულებული გახდა ინგლისსა და ამერიკაში გადასახლებულიყო.

ლენინი წერს: „კომუნა ჩაახშეს... მაგრამ პოტიეს „ინტერნაციონალმა“ მისი იდეები მთელ მსოფლიოს მოჰფინა და პარიზის კომუნა ახლა უფრო მეტად არის ცოცხალი, ვიდრე ოდესმე“.

ლენინი ეხება პოტიეს მოღვაწეობას განდევნილობის წლებში და დასძენს, რომ „1876 წელს ეჟენ პოტიემ დაწერა პოემა „ამერიკის მუშები საფრანგეთის მუშებს“. ამ პოემაში მან დახატა კაპი-

---

[1] ნ. კრუპსკაია. მოგონებანი ლენინზე, წიგნში ლენინი კულტურისა და ხელოვნების შესახებ, თბილისი. 1957 წ., გვ. 591–592.

ტალიზმის უღელქვეშ მგმინავი მუშების ცხოვრება, მათი სიღატაკე, აუტანელი, მძიმე შრომა, ექსპლოატაცია, მათი მტკიცე რწმენა თავიანთი საქმის მომავალი გამარჯვებისადმი".

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ეჟენ პოტიე შევიდა „მუშათა პარტიაში" (1884 წელს). ამ დროს გამოიცა მისი ლექსების პირველი ტომი, 1887 წელს კი — მეორე ტომი სახელწოდებით „რევოლუციური სიმღერები". ამის შემდეგ პოეტს დიდხანს აღარ უცოცხლია. ის გარდაიცვალა 1887 წლის 6 ნოემბერს. პარიზის მშრომელებმა დიდი პატივისცემით გააცილეს თავიანთი საყვარელი მგოსნის ნეშთი პერ-ლაშეზის სასაფლაოზე. პოეტის კუბოს ამშვენებდა კომუნის წევრის ალისფერი ყელსახვევი. პოლიციამ სამგლოვიარო პროცესია დაარბია. შეიქმნა საშინელი ხოცვა-ჟლეტა, დააპატიმრეს პროცესიის მრავალი მონაწილე. მიუხედავად ამისა, მუშები მაინც ხმამაღლა გაიძახოდნენ„ გაუმარჯოს კომუნას", „გაუმარჯოს პოტიეს".

ლენინი თავის ნარკვევს ეჟენ პოტიეს შესახებ ასე ამთავრებს: „პოტიე სიღატაკეში გარდაიცვალა. მაგრამ მან ჰეშმარიტად ხელთუქმნელი ძეგლი დაგვიტოვა. იგი იყო ერთ-ერთი უდიდესი პროპაგანდისტი სიმღერის საშუალებით. როდესაც მან შეთხზა თავისი პირველი სიმღერა, მუშა სოციალისტების რიცხვი, დიდი-დიდი, ათეულობით განიზომებოდა. ეჟენ პოტიეს ისტორიული სიმღერა ახლა ათეულ მილიონობით პროლეტარებმა იციან".

ლენინი სტატიაში „მუშათა გუნდების განვითარება გერმანიაში" კვლავ იხსენებს ეჟენ პოტიეს „ინტერნაციონალს" და აღნიშნავს მის დიდ როლს სოციალიზმის პროპაგანდის საქმეში. ლენინი იმაზე მიუთითებს, რომ მუშური გუნდების სიმღერებს მშრომელი მასები გატაცებით უსმენენ და ითვისებენ. „მთავრობები საზიზღარ პოლიტიკურ დაბრკოლებებს უქმნიან ასეთ პროპაგანდას, მაგრამ ვერავითარი პოლიციური ღონები ხელს ვერ შეუშლიან იმას, რომ მსოფლიოს ყველა დიდ ქალაქში, ყველა საფაბრიკო დაბაში და სულ უფრო ხშირად მოჯამაგირეთა ქოხებში გაისმის შეხმატკბილებული პროლეტარული სიმღერა დაჭირავებული მონობისაგან კაცობრიობის მოახლოებული განთავისუფლების შესახებ".

ეჟენ პოტიეს შემოქმედებაში, ყველაზე ძვირფასი, ყველაზე ძლიერი ლექსი, როგორც იდეური, ისე მხატვრული თვალსაზრისით მისი უკვდავი „ინტერნაციონალია". ეს ლექსი დაიწერა 1871 წლის ივნისში. „ინტერნაციონალი" მებრძოლი, ოპტიმისტური განწყობილებებით აღსავსე ნაწარმოებია. მასში ნათლად იგრძნობა „კომუნისტური პარტიის მანიფესტში" გამოთქმული იდეები, პირველი ინტერნაციონალური რევოლუციური აზრები. ეს მოწინავე იდეები

მსოფლიო პროლეტარიატს მოუწოდებდნენ სოლიდარობისაკენ, შეერთებისაკენ, ერთ მთლიან, უძლეველ ძალად გაერთიანებისაკენ.

„ინტერნაციონალი“ არის მსოფლიო პროლეტარიატის ჰიმნი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ იგი მიღებულ იქნა საბჭოთა სახელმწიფოს ოფიციალურ ჰიმნად, 1944 წლიდან კი — პარტიულ ჰიმნად.

ლენინი კარგად იცნობდა არა მხოლოდ ფრანგულ რევოლუციურ ლიტერატურას, არამედ ის კარგად იცნობდა აგრეთვე ფრანგულ რომანტიკულ ლიტერატურას, ამ მხრივ აღსანიშნავია ლენინის სიმპათიური დამოკიდებულება დიდი ფრანგი რომანტიკოსი პოეტისა და მოაზროვნის ვიქტორ ჰიუგოსადმი.

ლენინი სიამოვნებით კითხულობდა პარიზში ვიქტორ ჰიუგოს ნაწარმოებებს, განსაკუთრებით მოსწონდა მას ჰიუგოს ლექსთა კრებული „შურისძიება“. ეს ლექსები დაწერილია მწარე დღეებში, როცა პოეტი ნაპოლეონ მესამის მიერ განდევნილი იყო სამშობლოდან. „შურისძიება“ მრისხანე სატირაა საფრანგეთის მეორე იმპერიის წინააღმდეგ.

1851 წლის 2 დეკემბრის სახელმწიფო გადატრიალების დროს ვიქტორ ჰიუგო რესპუბლიკელ დეპუტატებს შეუერთდა, გესლიანი პროკლამაციები დაწერა ნაპოლეონ მესამის მთავრობის წინააღმდეგ, არისტოკრატად დაბადებული, დემოკრატი და რევოლუციონერი გახდა. ტყუილად კი არ ამბობდა ვ. ჰიუგო საგულისხმო სიტყვებს: „პოეტი რომ არ ვყოფილიყავი, ჯარისკაცი ვიქნებოდიო“ — მართლაც, ბრძოლის გუნებაზე მყოფი ეს ანთებული სულის ადამიანი მედგრად იბრძოდა დრომოჭმული ტრადიციების წინააღმდეგ.

ვიქტორ ჰიუგოს დაუცხრომელი, რევოლუციური პიროვნება კიდევ უფრო მეტი ძალით გამოჩნდა საფრანგეთში 1848 წლის რევოლუციის შემდეგ, განსაკუთრებით 1851 წლის სახელმწიფოს გადატრიალების შემდეგ. ლექსთა კრებულში „შურისძიება“ ვ. ჰიუგომ ღრმად და მაღალმხატვრულად გამოხატა თავისი მგზნებარე პატრიოტული გრძნობები, მისი საყვარელი ფრანგი ხალხის სიძულვილი ნაპოლეონ მესამის აუტანელი რეჟიმისადმი.

„შურისძიება“ პოეტური პამფლეტია რეაქციული ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ამავე დროს ეს არის გაბმული ჰიმნი მშრომელი მასების განთავისუფლებისა მჩაგვრელებისაგან. ვიქტორ ჰიუგოს ამ წიგნს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, არა მხოლოდ საფრანგეთისათვის, არამედ მთელი ევროპისათვის, ვინაიდან პოეტმა მასში ხალხთა ეროვნულ-გამანთავისუფლებელ მოძრაობას დაუ-

ჰირა მხარი, წამოაყენა მაღალი ჰუმანისტური იდეალები, განადიდა თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირები.

დიდი ფრანგი მწერალი თანაუგრძნობდა რუს ხალხს. ის ღრმა სიყვარულსა და პატივისცემას იჩენდა მისი საუკეთესო წარმომადგენლებისადმი, რომლებსაც მეფის ხელისუფლება ციმბირის კატორღაში ახრჩობდა. ვიქტორ ჰიუგოს თვალში სწორედ ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლები წარმოადგენდნენ რუს ხალხს.

ვიქტორ ჰიუგოს ამ წიგნმა, როგორც მებრძოლი, დემოკრატიული სატირის ნიმუშმა დიდი როლი შეასრულა ფრანგული პროგრესული იდეოლოგიის შემდეგ გაფართოებასა და გაძლიერებაში, ფრანგული პოეტური კულტურის აყვავებაში, მან დიდი გავლენა მოახდინა აგრეთვე პარიზის კომუნის ლიტერატურაზე.

ლენინს მოსწონდა ამ ლექსების იდეურ-პოლიტიკური პათოსი და მაღალმხატვრულობა. ამიტომ ხალისით კითხულობდა მათ. ამავე დროს ლენინს შეუმჩნეველი არ დარჩენია ის ფაქტი, რომ ვიქტორ ჰიუგო ხშირად ფილანთროპიულ პოზიციებზე იდგა, რაც ჩრდილს აყენებდა მის რევოლუციურ გუნება-განწყობილებას. ნადეჟდა კრუპსკაიას სწორედ ეს აქვს მხედველობაში როცა წერს: „ამ ლექსებში ბლომადაა რაღაც გულუბრყვილო მაღალფარდოვანობა, მაგრამ მაინც იგრძნობა რევოლუციის ქროლა".[1]

ვ. ი. ლენინი აფასებდა ემილ ზოლას, როგორც დრეიფუსის მამაც დამცველს, მოსწონდა მისი რომანები „ჟერმინალი" და „სიცოცხლის სიხარული".

ხალხთა მასებში რევოლუციური შეგნებულობის ზრდა სიმართლით და ნიჭიერადაა გამოხატული ფრანგი რევოლუციონერი, კომუნისტი მწერლის ანრი ბარბიუსის შემოქმედებაში.

ლენინი დიდად აფასებდა ანრი ბარბიუსის შემოქმედებას. ის დადებითად გამოეხმაურება მის რომანებს: „ცეცხლსა" და „სიცხადეს".

1919 წელს ლენინი წერდა „მასებში რევოლუციური შეგნების ზრდის ყველგან შემჩნეულ, მასობრივი მოვლენის ერთ-ერთ განსაკუთრებით თვალსაჩინო დადასტურებად შეიძლება ჩაითვალოს ანრი ბარბიუსის რომანები: „ცეცხლში" და „სიცხადე". პირველი უკვე გადათარგმნილია ყველა ენაზე და გავრცელებულია საფრანგეთში 230.000 ეგზემპლარის რაოდენობით. სრულიად უმეცარის, იდეებითა და ცრურწმენით მთლად დაბეჩავებული ობივატელისა და მასაში მომუშავე ადამიანის გადაქცევა რევოლუციონერად სწორედ ომის ზეგავლენით ნაჩვენებია არაჩვეულებ-

---

1 ნ. კრუპსკაია. ლენინი ლიტერატურის შესახებ. თბილისი, 1945, გვ. 204.

რივი სიძლიერით, ნიჭიერად და მართლად".[1] (ხაზგასმა ჩვენია — დ. ფ.).

ლენინი ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ ბარბიუსი არის თავისებური, ორიგინალური რეალისტი, რომელიც სინამდვილეს მხატვრულად ასახავს მის რევოლუციურ ასპექტსა და განვითარებაში, განსაკუთრებული და ახალი ბარბიუსის შემოქმედებაში ესაა ხალხის რევოლუციური შეგნების ზრდის, მასების გარევოლუციურების ჩვენება სრული სიმართლით.

როგორც ვხედავთ ლენინი ომის თემაზე დაწერილ ნაწარმოებებიდან პირველ რიგში ასახელებს და არჩევს ანრი ბარბიუსის რომანებს „ცეცხლსა" და „სიცხადეს" აძლევს მათ მაღალ შეფასებას, როგორც მხატვრული, ისე იდეურ-პოლიტიკური თვალსაზრისით.

1919 წელს ანრი ბარბიუსმა ჩამოაყალიბა მწერალთა საერთაშორისო ჯგუფი („სიცხადე"), რომელშიც გაერთიანებული იყვნენ იმ დროის გამოჩენილი მწერლები. ამ ჯგუფმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ეს ჯგუფი უშვებდა ჟურნალ „კლარტეს". იგი გამოდიოდა 1919 წლიდან 1928 წლამდე. ჟურნალს 1919 წლიდან 1924 წლამდე რედაქტორობდა ანრი ბარბიუსი.

1922 წლის 15 ნოემბერს დიდმა ლენინმა ასეთი მისალმება გაუგზავნა „კლარტეს" ჯგუფს:

„ძვირფასო მეგობრებო:

ესარგებლობ შემთხვევით გიძღვნათ საუკეთესო სალამი. მე მძიმე ავადმყოფი ვიყავი და ერთ წელზე მეტია არ შემეძლო მენახა თქვენი ჯგუფის არც ერთი ნაწარმოები. ვიმედოვნებ, რომ თქვენი ორგანიზაცია des anciens combattants[2] განაგრძობს არსებობას, იზრდება და მტკიცდება არა მარტო რიცხობრივად, არამედ სულიერადაც იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ბრძოლის გაღრმავებისა და გაფართოების მხრივ. ასეთი ომის წინააღმდეგ ბრძოლას ღირს შესწიროს კაცმა სიცოცხლე, ამ ბრძოლაში უნდა იყო ულმობელი, ყველა სოფიზმი მის დასაცავად უკანასკნელ კუნჭულამდე უნდა დევნო".[3]

ლენინი ახლოს იცნობდა ფრანგ რევოლუციონერ მწერლებს: პოლ ვაიან-კუტიურიესა და რაიმონ ლეფევრს, რომლებიც თავიანთი შემოქმედებითა და საზოგადოებრივი მოღვაწეობით დიდად უწყობ-

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 29, თბილისი, 1952 წ., გვ. 603-604

[2] ომის ყოფილი მონაწილეებისა, ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, თბილისი, 1952 წ., გვ. 513.

დნენ ხელს მასებში სოციალიზმის იდეების გავრცელებასა და განმტკიცებას. ისინი წერდნენ ხალხზე, წერდნენ ხალხისათვის, წერდნენ რევოლუციური ჰუმანიზმის სულისკვეთებით.

ლენინი ურჩევდა მათ კიდევ უფრო ღრმად შეესწავლათ თავისუფლებისმოყვარე ფრანგი ხალხის გმირული წარსული, საფრანგეთის 1789, 1848 წლის რევოლუციები, პარიზის კომუნა, გამოეხატათ თავიანთ ნაწარმოებებში ფრანგი მშრომელი ხალხის საარსებო ინტერესები.

ფრანგი მწერლები აღფრთოვანებული იყვნენ ლენინის რჩევა-დარიგებით, მისი დიადი გენიით.

* * *

ლენინი საჭიროდ თვლიდა ყოველ კომუნისტს ღრმად და საფუძვლიანად შეესწავლა ლიტერატურის მთელი ისტორია, ვინაიდან მას დიდი შემეცნებითი ღირებულება აქვს.

ლენინის წიგნებში უხვადაა გამოყენებული მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა თხზულებებიდან მნიშვნელოვანი ადგილები. ის მუდამ ინტერესით, ყურადღებით კითხულობდა ფრანგ მწერალთა მხატვრულ ნაწარმოებებს და აძლევდა მათ სათანადო შეფასებას. ლენინის გამონათქვამებიდან ფრანგული ლიტერატურის შესახებ ირკვევა, რომ ის საფუძვლიანად იცნობდა ამ ლიტერატურას და ხშირად იმოწმებდა მათ თავის შრომებში.

ფრანგ მწერალთა ნაწარმოებების შეფასების დროს ლენინი ემყარებოდა ცხოვრების რეალისტური ასახვის პრინციპს. ლიტერატურის ხალხურობისა და პარტიულობის პრინციპს. ის განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას ისეთ მხატვრულ ნაწარმოებებზე, რომლებშიც სინამდვილე ნაჩვენებია „არაჩვეულებრივი სიძლიერით, ნიჭიერად და მართლად“.

ფრანგ ავტორთა მხატვრული შედევრების ანალიზის დროს ლენინი წინ სწევდა მათ ისეთ იდეურ და მხატვრულ ღირსებებს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ მუშათა კლასისათვის, მის ბრძოლაში ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ხელს უწყობდნენ მშრომელი მასების იდეურ-პოლიტიკური აღზრდისა და გათვითცნობიერების საქმეს.

ფრანგი მწერლები ვ. ი. ლენინის შესახებ

ლენინი ჩემთვის წარმოადგენს ერთ-ერთ უველაზე დიდბუნებოვან, ერთ-ერთ უველაზე სრულყოფილ ადამიანს, რომელიც კი ოდესმე არსებობდა. იგი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, უველაზე მაღლა დგას ადამიანთა საუკუნეობრივ მისწრაფებათა განმხორციელებლებს შორის.

ანრი ბარბიუსი

მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელი, სახელოვანი კომუნისტური პარტიის დამაარსებელი და ორგანიზატორი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი თავისი გენიალური მოღვაწეობით, იდეებითა და საქმეებით უდიდეს გავლენას ახდენდა მთელ კაცობრიობაზე.

ვ. ი. ლენინი უველას აოცებდა და ხიბლავდა მსოფლიო კულტურის საფუძვლიანი ცოდნით, არაჩვეულებრივი ერუდიციით, უსაზღვრო ინტელექტუალური ჰორიზონტით. მსოფლიოში არ არის ქვეყანა, სადაც დიდი სიყვარულითა და სიმპათიით არ წარმოთქვამდნენ ვ. ი. ლენინის დიად სახელს. ეს სახელი გასცდა საბჭოთა კავშირის ფარგლებს და გახდა სოციალური და ეროვნული განთავისუფლების, მსოფლიოს რევოლუციური გარდაქმნისა და განახლების სიმბოლო, მშრომელ ადამიანთა თავისუფლებისა და ბედნიერების სიმბოლო.

ვ. ი. ლენინმა დიდი სახელი და ავტორიტეტი მოიპოვა დასავლეთ ევროპის ერთ-ერთ უდიდეს სახელმწიფოში — საფრანგეთშიც. ფრანგი მშრომელები, საფრანგეთის კომუნისტური პარტია, ფრანგი მწერლები დიდად დავალებულად თვლიან თავს ვ. ი. ლენინისაგან. ფრანგები ამაყობენ იმით, რომ ლენინი ხშირად იმყოფებოდა მათ სამშობლოში ემიგრაციის დროს, რომ ის იცნობდა საფრანგეთის ეკონომიურ, პოლიტიკურ, კულტურულ ცხოვრებას, ახლო ურთიერთობა ჰქონდა საფრანგეთის მუშათა კლასთან, საზოგადო მოღვაწეებთან, მწერლებთან.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი დამაარსებე-

ლი, საფრანგეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე მარსელ კაშენი ასე ახასიათებდა ლენინს: „ლენინამდე არავინ არ გასძღოლია კაცობრიობას ისტორიული განვითარების უფრო მნიშვნელოვან ეტაპზე, ახლა ლენინიზმის მოწინააღმდეგეთა ბანაკშიც კი არავინ უარყოფს იმ პეშმარიტებას, რომ ეს დიდი სახელმწიფო მოღვაწე გამოჩენილი პიროვნება იყო. ისტორიული მეცნიერების სერიოზული წარმომადგენლები აღნიშნავდნენ იმ ამბების უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობას, რომლებსაც ლენინი ხელმძღვანელობდა 1917 წლიდან — ცარიზმის დამხობის მომენტიდან დაწყებული“.[1] (ხაზგასმა ჩვენია — დ. ფ.).

საფრანგეთში გამოქვეყნებულია საინტერესო შრომები, მონოგრაფიები, მოგონებები, სტატიები, წერილები ვ. ი. ლენინის შესახებ. ამ მხრივ ფრიად საგულისხმოა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის მორის ტორეზის შრომები, რომლებშიც მჭევრმეტყველურად და შთამაგონებლად გადმოცემულია ვ. ი. ლენინის დიადი სახე, მისი მოძღვრების — ლენინიზმის ყოვლისშემძლეობა. მორის ტორეზი აღფრთოვანებით ლაპარაკობს იმ ღრმა სიყვარულსა და პატივისცემაზე, რომელიც ლენინს ჰქონდა საფრანგეთისადმი, ფრანგი ხალხისადმი, საფრანგეთის კომუნისტური პარტიისადმი, ფრანგული კულტურისადმი; ის სიამაყის გრძნობით მოგვითხრობს აგრეთვე, რომ საფრანგეთის მშრომელ მასებში, ფრანგ კომუნისტებში, ფრანგ ინტელიგენციაში ვ. ი. ლენინი სარგებლობდა დიდი სახელით და ავტორიტეტით, ყველას ხიბლავდა და აღაფრთოვანებდა პარიზში მისი ღრმად შინაარსიანი და შთამაგონებელი ლექციები, ყოველივე ეს დიდად უწყობდა ხელს კომუნისტი კადრების მომზადებასა და გამოწრთობას.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრი, უაკ დიუკლო თავის შრომებში, კერძოდ 1967 წელს გამოცემულ წიგნში: „1917 წლის ოქტომბერი და საფრანგეთი“, ახასიათებს ვ. ლენინს, როგორც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ბელადს, რომელმაც უმაგალითო გმირობა მოახდინა კაცობრიობის ისტორიაში, მტკიცე საფუძველი ჩაუყარა

---

[1] Марсель Кашен. Незабываемые встречи. — В кн.: О. Ленине. Воспоминания зарубежных современников», М., 1962.

სოციალიზმის აშენების საქმეს საბჭოთა კავშირში, აღაგზნო მსოფლიოს მშრომელი მასები უკეთესი მომავლის — თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრებისათვის საბრძოლველად.

საფრანგეთის უხუცესი კომუნისტი ცნობილი პუბლიცისტი და მწერალი ჟან ფრევილი თავის წიგნში „ლენინი საფრანგეთში", აღნიშნავს, რომ ის ახალგაზრდობიდანვე მოჯადოებული იყო ლენინის სახით და მუდამ დიდი ინტერესით კითხულობდა და სწავლობდა მის თხზულებებს. მან შრომატევადი სამუშაო შეასრულა, გულმოდგინედ, კეთილსინდისიერად შეკრიბა ყველა ფაქტი, დოკუმენტი, ცნობა 1908-დან 1912 წლამდე ვ. ი. ლენინის პარიზში ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

ჟან ფრევილი დიდხანს მუშაობდა მასალების შეგროვებაზე, მან მთელი საფრანგეთი შემოიარა და თავის თვალით ნახა ის ადგილები, სადაც ვ. ი. ლენინს თუნდაც ცოტა ხნით უცხოვრია და უმუშავნია. ამ საინტერესო ძიების პერიოდში ჟან ფრევილს შეუმჩნევია ფრანგი მშრომელი მასების ღრმა სიყვარული და პატივისცემა ვ. ი. ლენინისადმი.

„მე გაოცებული ვიყავი, — ამბობს ჟან ფრევილი, — თუ როგორ პოულობდა ლენინი დროს საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზე გულმოდგინე დაკვირვებისათვის, რაოდენ ღრმად სწავლობდა იგი ჩვენს მუშათა მოძრაობას, როცა რუსეთის რევოლუციურ ბრძოლას ხელმძღვანელობდა. ამ პრობლემების შესანიშნავმა ცოდნამ ლენინს საშუალება მისცა შემდგომში ჩვენთვის დიდი დახმარება გაეწია საფრანგეთის კომუნისტური პარტიის შექმნაში".

* * *

ფრანგული მხატვრული სიტყვის დიდოსტატები ანატოლ ფრანსი, რომენ როლანი, ანრი ბარბიუსი, პოლ ვაიან-კუტიურიე, რაიმონ ლეფევრი, მოხიბლული იყვნენ ლენინის დიადი პიროვნებით, მათ აღაფრთოვანებდათ ლენინის რევოლუციური გენია, მისი დაუცხრომელი ბრძოლა მშვიდობისათვის. ისინი თავიანთ ხალხთან ერთად ამაყობდნენ იმით, რომ ლენინი გულმოდგინედ სწავლობდა მათი ქვეყნის რევოლუციურ წარსულს, სისტემატურად ადევნებდა თვალყურს საფრანგეთის საზოგადოებრივ ცხოვრებას, ხშირად უხდებოდა საფრანგეთში ყოფნა, ახლო ურთიერთობა ჰქონდა ფრანგ საზოგადო მოღვაწეებთან და მწერლებთან.

გამოჩენილი ფრანგი მწერალი ანატოლ ფრანსი 900-ან წლებ-

ში ინტერესით კითხულობდა მარქსისა და ენგელსის თხზულებებს, სწავლობდა მათ მოძღვრებას სოციალიზმის შესახებ. მის მსოფლმხედველობასა და შემოქმედებაში თანდათან ძლიერდებოდა დემოკრატიული ტენდენციები.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და განხორციელების დროს, რევოლუციის შემდეგ პერიოდში ანატოლ ფრანსს აღაფრთოვანებდა რუსეთის რევოლუციონერების, ბოლშევიკების და მათი გენიალური ბელადის ვ. ი. ლენინის უმაგალითო გმირობა.

ჰეშმარიტი მწერლისათვის დამახასიათებელი ობიექტურობითა და გულწრფელობით აფასებდა ანატოლ ფრანსი ვ. ი. ლენინის უდიდეს როლს კაცობრიობის განვითარების ისტორიაში, ლენინის მიერ შექმნილ საბჭოთა სახელმწიფოს, მის სოციალურ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ გარდაქმნებს. 1920 წელს ანატოლ ფრანსი საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წევრი გახდა.

საინტერესოა გავარკვიოთ, თუ როგორ მივიდა აქამდე ანატოლ ფრანსი.

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში კაპიტალიზმი შევიდა თავისი განვითარების იმპერიალისტურ სტადიაში. ეს პერიოდი შემობრუნების პერიოდია ძველიდან ახლისაკენ.

XIX საუკუნის 90-იან წლებში საფრანგეთში, ისევე როგორც სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოებში, კიდევ უფრო ძლიერდება კაპიტალისტური კონცენტრაცია, რომელიც ანადგურებს მრავალ საწარმოს, ხალხი იტანჯება უმუშევრობისა და გაჭირვების გამო. მსხვილი მონოპოლისტები თანდათანობით ზრდიან თავიანთ როლს სახელმწიფოთა როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში. ბურჟუაზია თავს ესხმის დემოკრატიას, ის იწყებს იმპერიალისტური ომების იდეოლოგიურ მომზადებას, ძლიერდება შოვინიზმი, რასობრივი სიძულვილი, სოციალური უთანასწორობა, კოლონიური დაპყრობები, სამხედრო ავანტიურათა ქადაგება.

ვ. ი. ლენინი თავის წიგნში „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“, მიუთითებს, რომ XX საუკუნის დამდეგს, თითქმის ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში ადგილი აქვს იმპერიალიზმის მიმართ წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ოპოზიციას; მიუხედავად იმისა, რომ ეს ოპოზიცია რეფორმისტულ და თავისი ეკონომიური საფუძვლით რეაქციული იყო, მას მაინც ჰქონდა გარკვეული მნიშვნელობა. ლენინი წერს: „ფინანსური ოლიგარქიის საშინელი ბატონობის საშინელი ფაქტები იმდენად ეჩხირება თვალში ყველას, რომ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში — ამერიკაშიც, საფრანგეთშიც და გერმანიაშიც — გაჩნდა ლი-

ტერატურა, რომელიც ბურჟუაზიულ თვალსაზრისზე დგას, მაგრამ მაინც დაახლოებით სწორ სურათს იძლევა და აკრიტიკებს კიდევაც — რა თქმა უნდა, მეშჩანურად — ფინანსურ ოლიგარქიას"[1]

ამ დიდმა სოციალურმა გარდატეხებმა, რევოლუციურმა აღმავლობამ, დრეიფუსის პროცესმა, შემდეგ რუსეთის 1905 წლის რევოლუციამ ანატოლ ფრანსი უფრო დაახლოვა სინამდვილესთან, სოციალიზმის მარქსისტულ მოძღვრებასთან. ამ დროს ის გამოდის მგზნებარე სიტყვებით სხვადასხვა თვალსაჩინო ადგილებზე, აქვეყნებს წერილებს, რომლებშიც ქადაგებს სოციალისტურ იდეებს. ამ სიტყვებსა და წერილებში ანატოლ ფრანსი ამხელს იმპერიალისტური სახელმწიფოების პოლიტიკას; გულმხურვალედ მიმართავდა მუშათა კლასს, რომელსაც, მისი აზრით, მომავალი ეკუთვნოდა. ანატოლ ფრანსმა მხარი დაუჭირა რუსეთის მუშათა კლასს 1905 წლის რევოლუციაში.

1905 წელს ანატოლ ფრანსი არჩეულ იქნა „რუსი ხალხის მეგობართა საზოგადოების" თავმჯდომარედ, ის გამოდიოდა რუსეთის 1905 წლის რევოლუციის ცილისმწამებელთა წინააღმდეგ. ფრანსი მბობდა: „ეს რევოლუცია მსოფლიო რევოლუციაა. იგი მსოფლიო პროლეტარიატს უჩენებს ბრძოლის საშუალებებს, მიზნებს, ძალას და დანიშნულებას. ნევის, ვისლისა და ეოლგის ნაპირებზე ახლა წყდება ახალი ევროპისა და მომავალი კაცობრიობის ბედი" (ხაზგასმა ჩვენია — დ. ფ.).

ანატოლ ფრანსს რუსეთზე, რუს ხალხზე, რუს რევოლუციონერებზე მაღალი წარმოდგენა შეექმნა. ის ამბობდა: „რუსეთი თვალუწვდენელი ქვეყანაა, მას აურაცხელი სიმდიდრე გააჩნია". (ხაზგასმა ჩვენია დ. ფ.).

დიდი ფრანგი მწერალი დარწმუნებული იყო, რომ პროლეტარიატი აუცილებლად გაიმარჯვებდა. ერთი თავისი გამოსვლა ფრანგი ხალხის წინაშე 1905 წლის პირველ თებერვალს ფრანსმა ასე დაამთავრა: „ძმური სალამი რუს რევოლუციონერებს", „გაუმარჯოს რუსეთის პროლეტარიატს".

დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამ ანატოლ ფრანსს კიდევ უფრო განუმტკიცა რწმენა სოციალისტური იდეებისადმი. ის აქტიურად იცავდა რუსეთში ახლად წარმოშობილ საბჭოთა სახელმწიფოს და სასტიკად კიცხავდა იმათ, ვინც ხმას იმაღლებდა საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. ფრანსი ააშკა-

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 22, თბილისი, 1951 წ., გვ. 283.

რაებდა იმპერიალისტური ომის გამჩაღებელთა მზაკვრულ გეგმებს, ემხრობოდა და იცავდა საბჭოთა რუსეთის ლენინურ სამშვიდობო პოლიტიკას, მგზნებარედ ქადაგებდა სოციალიზმისა და კომუნიზმის იდეებს.

— „რა არის სოციალიზმი?“ — სვამდა კითხვას ანატოლ ფრანსი, — და თვითონვე უპასუხებდა:

„სოციალიზმი ეს არის კაცობრიობის სინდისი“.

ანატოლ ფრანსი იცნობდა მარქსის, ენგელსის, ლენინის თხზულებებს. ის ინტერესით კითხულობდა მათ მოძღვრებას მეცნიერული სოციალიზმისა და რევოლუციის შესახებ, თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ დიდი ფრანგი მწერალი ბოლომდე ვერ ამაღლდა მეცნიერული სოციალიზმის პეშმარიტ გაგებამდე, რევოლუციის კლასობრივი ხასიათის სწორ გაგებამდე.

ანატოლ ფრანსი ამბობდა: „კარლ მარქსმა 1871 წელს (ფრანსს აქ მხედველობაში აქვს კარლ მარქსის წიგნი „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“, რომელიც გამოქვეყნდა 1871 წელს — დ. ფ.) იწინასწარმეტყველა ყოველივე ის, რაც ახლა ხდება. „ის იყო პეშმარიტად გენიალური ადამიანი“[1] (ხაზგასმა ჩვენია — დ. ფ.).

საბჭოთა წყობილება ანატოლ ფრანსს მიაჩნდა „მტკიცე და ხანგრძლივ წყობილებად“.[2] (ხაზგასმა ჩვენია — დ. ფ.).

ვ. ი. ლენინი დიდად აფასებდა ანატოლ ფრანსის პროგრესულ მოღვაწეობას. ლენინი გამოეხმაურა მოწინავე ფრანგული ბურჟუაზიული ენტელიგენციის ჯგუფის გამოსვლას იმპერიალისტური ინტერვენციის წინააღმდეგ.

ვ. ი. ლენინი საბჭოების სრულიად რუსეთის VII ყრილობაზე 1919 წლის 5 დეკემბერს თავის მოხსენებაში ამბობდა: „ლუმანიტეს“ („კაცობრიობა“) 26 ოქტომბრის (1919) ნომერში მოთავსებულია საფრანგეთის ინტელიგენციის, საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრის, მთელ რიგ წარმომადგენელთა განცხადება, ამ განცხადებაში, რომელიც იწყება ანატოლ ფრანსის ხელმოწერით, სადაც არის ფერდინანდ ბიუისონის ხელმოწერა, მე დავითვალე ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენელთა 71 გვარი, რომლებსაც იცნობს მთელი საფრანგეთი და რომლებიც აცხადებენ, რომ წინააღმდეგი არიან რუსეთის საქმეებში ჩარევისა, იმიტომ, რომ ბლოკადა, შიმშილით სიკვდილის გამოყენება, რომლის

---

[1] Анатоль Франс. Собр. соч., т. 8, Москва, 1960, გვ. 745.

[2] იქვე, გვ. 742.

გამოც იღუპებიან ბავშვები და მოხუცნი, შეუწყნარებელია კულტურისა და ცივილიზაციის თვალსაზრისით, რომ ამას ვერ მოითმენენ. ხოლო ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი ოლარი, რომელიც მთლიანად ბურჟუაზიულ თვალსაზრისზე დგას, თავის წერილში ამბობს: „მე როგორც ფრანგი — ბოლშევიკების მტერი ვარ, როგორც ფრანგი — დემოკრატიის მომხრე ვარ, სასაცილოა ჩემში ეჭვის შეტანა წინააღმდეგში, მაგრამ როცა ვკითხულობ, რომ საფრანგეთი იწვევს გერმანიას მონაწილეობა მიიღოს რუსეთის ბლოკადაში, როცა ვკითხულობ, რომ საფრანგეთი ასეთი წინადადებით მიმართავს გერმანიას, — სახეზე სირცხვილის სიწითლეს ვგრძნობ". ეს, შესაძლოა გრძნობების უბრალო სიტყვიერი გამოხატვა იყოს ინტელიგენციის წარმომადგენლის მხრივ, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ეს არის მესამე გამარჯვება, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ იმპერიალისტურ საფრანგეთზე თვით მის შიგნით. აი, რას მოწმობს ეს გამოსვლა, თავისთავად მერყეევი, უბადრუკი გამოსვლა იმ ინტელიგენციისა, რომელსაც როგორც დავინახეთ, ათეულ და ასეულ მაგალითზე, შეუძლია მილიონჯერ მეტი ხმაური ატეხოს, ვიდრე ძალა შესწევს, მაგრამ რომელიც განირჩევა კარგი ბარომეტრის თვისებით იძლეოდეს იმის მაჩვენებელს საითკენ იხრება წვრილი ბურჟუაზია, იძლეოდეს იმის მაჩვენებელს საითკენ იხრება საზოგადოებრივი აზრი, მთლიანად ბურჟუაზიული".

აი, როგორ მივიდა ფრანგული ბურჟუაზიული ინტელიგანციის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენელი ანატოლ ფრანსი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პროგრესულ გაგებამდე, მისი დიადი, მსოფლიო-ისტორიული შედეგების გულწრფელ აღიარებამდე, მან ვ. ი. ლენინის პიროვნებაში დაინახა გენიალური ადამიანი, რომელიც იყო ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი, ბოლშევიკების პარტიის ბელადი, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელი.

ანატოლ ფრანსი ამ დროს თავის თავს კომუნისტს უწოდებდა, ის კიდევ უფრო აქტიურად გამოდიოდა საბჭოთა სახელმწიფოს დასაცავად.

ანატოლ ფრანსი ამბობდა: „მე ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავი ვ. ი. ლენინით, მაგრამ მხოლოდ ახლა ვარ მე სულით და გულით ნამდვილი ბოლშევიკი". (ხაზგასმა ჩვენია — დ. ფ.).

ვ. ი. ლენინის გასაოცარი ცხოვრებით, შემოქმედებით და მოღვაწეობით მოხიბლული ანატოლ ფრანსი წერს: „მე დიდ პატივს ვცემ ვ. ი. ლენინს. ის იღწვის კაცობ-

რიობის პროგრესის სასარგებლოდ“ (ხაზგასმა ჩვენია — დ. ფ.).

მარსელ კაშენის გადმოცემით ანატოლ ფრანსი ვ. ი. ლენინს თვლიდა რუსეთის უდიდეს ადამიანად. ანატოლ ფრანსს ეკუთვნის გამოთქმა: „ვ. ი. ლენინი არის ჩვენი ეპოქის უდიდესი პოლიტიკური მოაზროვნე“.

* * *

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ბელადი ლენინი და მისი შრომები განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემითაა გარემოსილი რომენ როლანის შემოქმედებაში.

რომელ როლანი აღფრთოვანებული იყო ლენინის გენიალური პიროვნებით. ფრანგმა მწერალმა კარგად იცოდა, რომ ლენინი იყო არა მხოლოდ უდიდესი რევოლუციონერი, ქვეყნის გარდაქმნის უბადლო ორგანიზატორი, სახელოვანი კომუნისტური პარტიის ბელადი, ის ამავე დროს იყო უდიდესი მარქსისტი, უდიდესი თეორეტიკოსი, ბრწყინვალე მცოდნე და დამფასებელი საკაცობრიო კულტურისა, ხელოვნებისა და ლიტერატურისა.

რომენ როლანი ხშირად სარგებლობდა თავის ნაწარმოებებში ლენინის ბრძნული გამონათქვამებით. მას საფუძვლიანად ჰქონდა შესწავლილი ლენინის შრომები: „რა ვაკეთოთ?“, „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ და სხვ.

რომენ როლანს განსაკუთრებით მოსწონდა ვ. ი. ლენინის ბრძნული გამონათქვამები ოცნებისა და სინამდვილის შესახებ. ცნობილია, რომ ვ. ი. ლენინი მაღალ შეფასებას აძლევდა ჯანსაღ, მებრძოლ, პროგრესულ, რევოლუციურ ოცნებას, ფანტაზიას, რომელიც ხელს უწყობს ობიექტური სინამდვილის სწორი გზით წინსვლასა და განვითარებას. ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ „უაზრობაა უარჰყო ფანტაზიის როლი უაღრესად ზუსტ მეცნიერებაშიც კი“[1].

ვ. ი. ლენინი მიესალმებოდა ისეთ ოცნებას, რომელიც მშრომელ ხალხს აღაგზნებდა ბედნიერი მომავლისათვის საბრძოლველად. მაგრამ სასტიკად უარყოფდა ოცნებას, რომელიც წარმავალი, დრომოჭმული კლასის რეაქციულ ინტერესებს გამოხატავდა.

რომენ როლანს იტაცებდა ჯანსაღი ოცნებისა და სინამდვილის ურთიერთ მიმართებაზე ვ. ი. ლენინის მკაფიო, ყოვლის მომცველი მსჯელობა. ძას თავის შრომაში „ლენინი. ხელოვნება და მოქმედე-

---

1. ვ. ი. ლენინი. ფილოსოფიური რვეულები, თბილისი, 1936 წ., გვ. 336.

ბა“ მოაქვს შემდეგი ვრცელი ამონაწერი ვ. ი. ლენინის წიგნიდან „რა ვაკეთოთ?“.

„უნდა ვიოცნებოთ!“ დავწერე ეს სიტყვები და შემეშინდა. წარმოვიდგინე, რომ ვიმყოფები „გამაერთიანებელ ყრილობაზე“, ჩემს პირდაპირ სხედან „რაბოჩეე დელოს“ რედაქტორები და თანამშრომლები. და აი დგება ამხანაგი მარტინოვი და მრისხანედ მომმართავს: „ნება მიბოძეთ, გკითხოთ, აქვს კიდევ ავტონომიურ რედაქციას უფლება იოცნებოს პარტიის კომიტეტების წინასწარ დაუკითხავად?“. მარტინოვის შემდეგ კი დგება ამხანაგი კრიჩევსკი და (ფილოსოფიურად აღრმავებს რა ამხანაგ მარტინოვს, რომელმაც დიდი ხანია უკვე გააღრმავა ამხანაგი პლეხანოვი) კიდევ უფრო მრისხანედ განაგრძობს: „მე უფრო შორს მივდივარ. გეკითხებით, აქვს კი საერთოდ მარქსისტს უფლება იოცნებოს, თუ ის არ ივიწყებს, რომ მარქსის მიხედვით კაცობრიობა ყოველთვის განსახორციელებელ ამოცანებს ისახავს და რომ ტაქტიკა იმ ამოცანების ზრდის პროცესია, რომლებიც პარტიასთან ერთად იზრდებიან?“.

ამ მრისხანე კითხვების უბრალო გახსენებაც კი ერუანტელსა მგვრის ტანში, და ეფიქრობ, მხოლოდ — სად დავიმალო, ვის ამოვეფარო. შეეცდები ამოვეფარო პისარევს.

„უთანხმოებაც არის და უთანხმოებაც, — წერდა პისარევი ოცნებასა და სინამდვილეს შორის არსებული უთანხმოების საკითხის გამო. — ჩემს ოცნებას შეუძლია წინ გაუსწროს მოვლენათა ბუნებრივ მსვლელობას, ან მას შეუძლია გაინავარდოს სულ განზე, იქითკენ, სადაც ვერასოდეს ვერ მიაღწევს მოვლენათა ვერავითარი ბუნებრივი მსვლელობა. პირველ შემთხვევაში ოცნებას არავითარი ზიანი არ მოაქვს; მას შეუძლია გაამაგროს და გააძლიეროს კიდეც მშრომელი ადამიანის ენერგია... ასეთ ოცნებაში ისეთი არაფერია, რასაც შეუძლია შერყვნას ან მოადუნოს სამუშაო ძალა. სრულიად პირიქით. ადამიანი რომ სავსებით მოკლებული იყოს ამგვარი ოცნების უნარს, მას რომ არ შეეძლოს ხანდახან წინ გაუსწროს და გონებით წარმოიდგინოს მთლიან და დასრულებულ სურათში სწორად ის ქმნილება, რომელიც ეს-ეს არის ისახება მის ხელში, — მაშინ მე სრულებით არ ძალმიძს წარმოვიდგინო, რა აღმძვრელი მიზეზი აიძულებდა ადამიანს დაეწყო და დაესრულებინა უდიდესი და დამჭანცველი სამუშაოები ხელოვნების, მეცნიერებისა და პრაქტიკული ცხოვრების სფეროში... ოცნებასა და სინამდვილეს შორის უთანხმოებას არავითარი ზიანი არ მოაქვს, თუკი მეოცნებე პიროვნებას სერიოზულად სწამს თავისი ოცნება, თუ ის ყურადღებით უკვირდება ცხოვრებას, თავის დაკვირვებას და ადარებს თავის საოცნებო კოშკებს და საზოგადოდ კეთილსინდისიერად მუშაობს თავი-

სი ფანტაზიის განსახორციელებლად. როდესაც რაიმე კავშირი არსებობს ოცნებასა და ცხოვრებას შორის, მაშინ ყველაფერი თავის რიგზეა".

აი, სწორედ ასეთი ცნობა, სამწუხაროდ, ძალიან ცოტაა ჩვენს მოძრაობაში და ამაში ყველაზე მეტად დამნაშავენი არიან ლეგალური კრიტიკისა და არალეგალური „მაჩანჩალობის" წარმომადგენელნი".[1]

ცნობილია, თუ როგორ მოსწონდა და უყვარდა რომენ რ ო ლ ა ნს რუსული ლიტერატურის დიდება და სიამაყე ლ ე ვ ტ ო ლ ს ტ ო ი, რა ძლიერი გავლენა ჰქონდა ლევ ტოლსტოის რომენ როლანის მსოფლმხედველობასა და შემოქმედებაზე. როდესაც რომენ როლანმა დაიწყო ლევ ტოლსტოის შემოქმედების წინაალმდეგობათა შესწავლა და გარკვევა, როგორც თვითონვე აღნიშნავს, მას ამ საქმეში დიდად დაეხმარა ლენინის შრომები ლევ ტოლსტოის შესახებ.

რომენ რ ო ლ ა ნ ი დიდი ინტერესით და აღტაცებით გადაასცემს თავის მკითხველებს ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს სამართლიან სიამაყეს დიადი რუსული ლიტერატურით, ამავე დროს სხვა ხალხების ლიტერატურის საფუძვლიან ცოდნას და დაფასებას, მისდამი ღრმა სიყვარულსა და პატივისცემას. ასეთი იყო ვ. ი. ლენინი ყველგან და ყოველთვის როგორც დიდი რევოლუციონერი, მოაზროვნე, ინტერნაციონალისტი.

რომენ როლანი ლენინს უწოდებს „რევოლუციის ტიტანს, რევოლუციის გენიას". მისი აზრით, „ნაპოლეონის შემდეგ ევროპის ისტორიამ არ იცის ასეთი ფოლადის ნებისყოფის ადამიანი... და რაც მთავარია, კაცობრიობას ჯერ არ წამოუყენებია ადამიანთა ასეთი ბელადი, მასწავლებელი, რომლისთვისაც სრულიად უცხოა რაიმე პირადი ინტერესები. ლენინის დიადი სახე სიცოცხლეშივე აღიბეჭდა ადამიანთა გულებში და უკვდავი დარჩება საუკუნეებში"[2].

რომენ როლანისათვის ლენინი იყო გმირული სულისკვეთებით ანთებული ადამიანი, რევოლუციური მოქმედების ოსტატი, რომლის სიტყვები და აზრები „ხმალივით სუფთა და ბასრი იყო". ფრანგმა მწერალმა ლენინის ეს ძვირფასი თავისებურებანი ნიჭიერად გამოხატა სტატიაში „ლენინი. ხელოვნება და მოქმედება".

ლენინის პიროვნებით ასე გატაცებული რომენ როლანი კიდევ უფრო მეტად დაუახლოვდა საბჭოთა კავშირს, საბჭოთა ხალხს, უფ-

---

1 Р о м е н Р о л л а н. Собр. соч., т. 14, Москва, 1958, გვ. 559—560. შდრ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 5, თბილისი, 1949 წ., გვ. 449—450.

2 Р о м е н Р о л л а н. Собр. соч., т. 13, Москва, 1958, გვ. 117.

რო მტკიცედ დადგა სოციალიზმისა და კომუნიზმის მხარეზე, ის ჩალისით და ბეჯითად სწავლობდა რუსულ ენას, ხშირად იმყოფებოდა საბჭოთა კავშირში. როლანი წერდა: „ერთადერთი ნამდვილი მსოფლიო პროგრესი განუყრელად დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის ბედთან, საბჭოთა კავშირი წარმოადგენს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მხურვალე კერას“.[1]

• •

ანრი ბარბიუსი თავის მდიდარ და ნაყოფიერ მოღვაწეობაში ხელმძღვანელობდა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით. მას უნდოდა დაეწერა წიგნი ლენინზე, დაიწყო კიდეეც, მაგრამ სიკვდილმა ხელი შეუშალა ბოლომდე განეხორციელებია ეს კეთილშობილური ჩანაფიქრი. მწერალმა მოასწრო მხოლოდ ნარკვევის დაწერა „ლენინის შესახებ“, რომელიც შესავალი წერილის სახით დაერთო წიგნს „ლენინის წერილები ნათესაებისადმი“. იგი გამოვიდა საფრანგეთში 1936 წელს. ამ ნარკვევიდანაც ნათლად ჩანს ანრი ბარბიუსის გატაცება ლენინის დიადი პიროვნებით, რომელიც მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „იყო ადამიანი, რომელმაც თავის გონებაში გამოატარა რევოლუცია, მოამზადა, განახორციელა, გადაარჩინა იგი. ლენინი უდიდესი და ყოველმხრივ უსპეტაკესი შემოქმედთაგანია ისტორიისა, ადამიანი, რომელზე მეტიც არავის გაუკეთებია ადამიანებისათვის“.

ზემოაღნიშნულ შრომაში ანრი ბარბრიუსი აშუქებს ვ. ი. ლენინის რევოლუციურ მოღვაწეობას. იგი შედგება თავებისაგან: „ლენინი“, „პროფესიონალი რევოლუციონერი“, „პოლიტიკური მოღვაწე“, „ლენინი — თეორეტიკოსი“, „ლენინი — ფილოსოფოსი“. მწერალი ფრანგ მკითხველებს აცნობს ლენინის მრავალმხრივ საინტერესო პიროვნებას, მის საოცარ ერუდიციას, საგნებსა და მოვლენებში ღრმად ჩაწვდომის იშვიათ ნიჭსა და უნარს. ბარბიუსი წერს იმის შესახებ, რომ ლენინმა რუსეთში შექმნა სახელოვანი კომუნისტური პარტია, რომელიც გახდა არა მხოლოდ რუსეთის პროლეტარიატის, არამედ მთელი მსოფლიო პროლეტარიატის ავანგარდი. ლენინმა, მარქსისა და ენგელსის მოძღვრება მის ყველა დარგში წინ წასწია და განავითარა ახალ პირობებთან შეფარდებით, ყოველივე ამის საფუძველზე შეიქმნა ლენინიზმი. ბარბიუსი წარმოგვიდგენს ლენინს არა მხოლოდ როგორც რევოლუციის გენიას, ის აგრეთვე წარმოგვიდგენს მას ისეთ ადამიანად, რომლის

[1] Ромен Ролан. Собр., соч., т. 13. Москва. 1958, გვ. 392.

მთელი ცხოვრება იყო „ხვალინდელი სოციალისტური ადამიანის დიადი მაგალითი“. ბარბიუსის ღრმა რწმენით ლენინი იყო „ყველაზე ადამიანური“ ადამიანი დედამიწაზე.

ანრი ბარბიუსის ჭეშმარიტი აზრით, ვ. ი. ლენინმა განსაცვიფრებელი გადატრიალება მოახდინა ისტორიაში. „თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე, — წერს ბარბიუსი, — ლენინი თანდათანობით, ნელ-ნელა ამზადებდა ყველაზე განსაცვიფრებელ გადატრიალებას კაცობრიობის ისტორიაში. მან მთელი თავისი არსება მოახმარა მის წინაშე მდგომ ამოცანას. მთელი ამ წლების განმავლობაში იგი ყოველთვის იყო მოძრაობის ნამდვილი ბელადი და სულისჩამდგმელი; იგი იყო გაანგარიშებული, გადამწყვეტი დარტყმით 1917 წლის ოქტომბერში რომ გარდაქმნა მთელი მსოფლიოს სახე და შეცვალა მსოფლიო ისტორიის სვლა. მსოფლიოს რუკაზე კაპიტლისტურ ქაოსში აღმოჩნდა სოციალისტური ქვეყანა“.

ანრი ბარბიუსი მუდამ აღტაცებული იყო ვ. ი. ლენინის მოღვაწეობით. ბარბიუსმა ლენინს მიართვა თავისი წიგნი „სინათლე უფსკრულში“ წარწერით: „ლენინს, რომელმაც პირველად დაწერა დიადი დაუწერავი კანონები, მხურვალე პატივისცემის გრძნობით. ანრი ბარბიუსი“.

* *

პოლ ვაიან-კუტიურიე გამოჩენილი ფრანგი რევოლუციონერი, პოეტი და პუბლიცისტი, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ორგანიზატორი დიდად აფასებდა ვ. ი. ლენინს და სწავლობდა მისგან.

1921 წელს პოლ ვაიან-კუტიურიე ჩამოვიდა მოსკოვში ინტერნაციონალის მესამე კონგრესზე დასასწრებად, ნახა ვ. ი. ლენინი, მოისმინა მისი სიტყვები. ვ. ი. ლენინი და პოლ ვაიან-კუტიურიე ხშირად საუბრობდნენ. მათი საუბარი ეხებოდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ამოცანებს, ფრანგ მშრომელ ხალხს, საფრანგეთის დიდ რევოლუციას, პარიზის კომუნას, ლენინი ურჩევდა ფრანგ მწერალს კარგად შეესწავლა ჟან-პოლ მარატი. ვ. ი. ლენინის დიადი პიროვნებით მოხიბლული პოლ ვაიან-კუტიურიე შემდეგ ხშირად ამბობდა, რომ ლენინი თავისი მხრებით ატარებს ახალ მსოფლიოს.

პოლ ვაიან-კუტიურიეს დიდი ლენინი წარმოდგენილი ჰყავდა მომავლის ადამიანის პირველსახედ. ის წერდა: „ვლადიმერ ილიასძე იყო და დარჩა განუწყვეტელი მოქმედების განსახიერებად და

ამავე დროს თავით ფეხთამდე მარქსისტად. მასთან შეხვედრა ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, თითქოს დაბუთულ ოთახში გრიგალი შემოიჭრაო; ცრურწმენებითა და ფორმალური დოქტრინებით დატვირთულ ტვინში მას სიცოცხლე შეჰქონდა.

აზრისა და ნებისყოფის ამ გიგანტს არ შეიძლებოდ: სულიერი დრამები ჰქონოდა. მას ახასიათებდა თავისი საქმის სიმართლის მტკიცე რწმენა, არავითარი ყოყმანი, დასახული მიზნიდან რაიმე გადახვევა.

ლენინ-ინტელიგენტს ეხერხებოდა ეაზროვნა, როგორც მუშას. ლენინ-ორატორის ლაპარაკში ვერ გაიგონებდით ლიტონ ფრაზებსა და უაზრო მაღალფარდოვანობას. კაცმა, რომელმაც მთელი სამყარო შესძრა, ვის შეგნებაშიც განუწყვეტლივ გადამუშავდებოდა ყველაფერი, რითაც ცოცხლობდა და სუნთქავდა ეს სამყარო, — ამ კაცმა შეგნებული ცხოვრების ბოლომდე შეინარჩუნა საოცარი უნარი ეგრძნო და ეაზროვნა, როგორც ჩინელ კულის, როგორც ბარგისმზიდავ ზანგს. ჩაგრული ანამიტი, ინდიელი მისთვის ისევე გასაგები იყვნენ, ისეთივე გადაშლილი წიგნი იყვნენ, როგორც ლენინგრადელი მელითონე, როგორც პარიზელი ფეიქარი, როგორც ახალი ვირგინიის მეშახტე. ლენინი ახალი ადამიანის დამთავრებული ტიპია, იგი ჩვენთვის მომავლის ადამიანის პირველსახე იყო.

ასეთი წარმოსდგა ჩემს წინაშე ვლადიმერ ილიას-ძე მასთან ჩემი შეხვედრის პირველი დღეებიდან".

•

მწერალი რევოლუციონერი რაიმონ ლეფევრი სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე გამოვიდა რევოლუციური ალმაცლობის პერიოდში. მან შექმნა დაუვიწყარი სახეები სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლი ადამიანებისა. ის თავიდანვე იყო გატაცებული რევოლუციური ჰუმანიზმის ძლევამოსილი იდეებით.

1920 წელს რაიმონ დეფევრი მოსკოვში ჩამოვიდა კომინტერნის მეორე კონგრესზე დასასწრებად. კონგრესის სხდომებზე ის ხშირად ხვდებოდა დიდ ლენინს და ესაუბრებოდა მას. ლენინის რჩევა-დარიგებანი გულშიჩამწვდომი და შთამაგონებელი იყო ფრანგი მწერლისათვის. ლეფევრი დიდი გატაცებით წერდა ლენინზე, როგორც უაღრესად საინტერესო ადამიანზე, რევოლუციის ბელადზე და გაბედულად მიჰყვებოდა მის გზას.

ვ. ი. ლენინის წარმტაცი პიროვნება, მისი იდეები და საქმეები, ახალი შთაგონებების წყარო გახდა მოწინავე ფრანგი მწერლებისათვის. ვ. ი. ლენინმა მათ ახალი ჰორიზონტი გადაუშალა და აღავსო ისინი კაცობრიობის ნათელი და ბედნიერი მომავლის რწმენით.

ფრანგული ლიტერატურისა და საერთოდ კულტურის მოწინავე წარმომადგენლები გულდასმით სწავლობდნენ და იკვლევდნენ დიდი ლენინის შემოქმედებასა და მოღვაწეობას. სწერდნენ მასზე საგულისხმო სტატიებს, ნარკვევებს, ქმნიდნენ მხატვრულ ნაწარმოებებს. ასეა დღესაც.

ვ. ი. ლენინის გენიალური მოძღვრება თავისუფლებისმოყვარე ფრანგი ხალხისათვის, მისი სახელოვანი მწერლებისა და მოღვაწეებისათვის, ისე როგორც მსოფლიოში ყველა პროგრესული ადამიანისათვის, — მზის მანათობელი ლამპარია, რომელიც გზას უნათებს მთელს კაცობრიობას მათ დაუცხრომელ ბრძოლაში ჰუმანისტური იდეების განხორციელებისათვის.

მაქსიმ გორკი და ფრანგული მწერლობა

Литература Франции, командующая литература Европы.
Максим Горький.

მაქსიმ გორკის ბავშვობიდანვე უყვარდა საფრანგეთი, ფრანგი ხალხი, ფრანგული მწერლობა. ის ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ფრანგული ლიტერატურისადმი, რადგან თვლიდა მას „დასავლეთ ევროპის მეთაურ ლიტერატურად".[1]

დიდი რუსი მწერალი თავიდანვე აქტიურად გამოვიდა ფრანგული ლიტერატურის საუცხოო ტრადიციების დასაცავად; ამავე დროს მან მკაცრად გააკრიტიკა საფრანგეთის ბურჟუაზიული საზოგადოება, რომელიც ღუპავს ნამდვილ ტალანტს.

1896 წელს მაქსიმ გორკიმ გამოაქვეყნა საინტერესო სტატია: „პოლ ვერლენი და დეკადენტები", რომელშიც მან პირველმა მოგვცა დეკადენტობის საფუძვლიანი ანალიზი. მან დაასაბუთა, რომ დეკადენტობა მავნე ლიტერატურული მოძრაობაა, იგი ანტიჰუმანისტური, ანტისაზოგადოებრივი მოვლენაა და საჭიროა მის წინააღმდეგ შეუნელებელი ბრძოლა.

მაქსიმ გორკის გამოსვლა დეკადენტობის წინააღმდეგ ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მე-19 საუკუნის 90-იანი წლების საზღვარგარეთულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით ფრანგულ ლიტერატურაში. ბევრი მწერალი დაიფიქრა მაქსიმ გორკის ღრმა აზრებმა, მისმა შთამაგონებელმა სიტყვებმა, ზოგიერთი მათგანის შემოქმედებაში არსებითი ხასიათის გარდაქმნა-გადახალისება მოხდა.

ცხრაასიან წლებში მაქსიმ გორკის სახელი თანდათან იპყრობდა ფრანგი საზოგადოების ყურადღებას. მისი რომანების ფრანგულმა თარგმანებმა აღტაცებაში მოიყვანა ფრანგი მკითხველი. ფრანგულ ჟურნალ-გაზეთებში უკვე ხშირად იხსენიებოდა მაქსიმ გორკი, როგორც დიდი რუსი რომანისტი, მას რუსეთის ბალზაკს უწოდებდნენ.

1906 წელს მაქსიმ გორკიმ წერილით მიმართა ანატოლ ფრანსს. ამ წერილში ის წერდა: „ძვირფასო ანატოლ ფრანს! თქვენი სახით

---

[1] Максим Горький. О литературе, М., 1953 г., გვ. 669.

მე მივმართავ რუსი ხალხის ყველა მეგობარს მხურვალე თხოვნით, გააძლიეროს თავისი ენერგია რუსი ხალხის განთავისუფლებისათვის რომანოვების ბარბაროსული ხელისუფლებისაგან და მათი ბნელი კომპანიისაგან".[1]

ანატოლ ფრანსი გულთბილად გამოეხმაურა მაქსიმ გორკის ამ მოწოდებას, მან გაილაშქრა საფრანგეთის მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც სესხით დაეხმარა რუსეთის თვითმპყრობელობას იმისათვის, რომ ჩაეხშო რევოლუცია. მაქსიმ გორკისადმი თავის პასუხში ანატოლ ფრანსი წერდა: „მაქსიმ გორკი! მთელი ჩვენი ქვეყნის ყველაზე ამაყი გულები და ყველაზე დიადნი სულნი თქვენთან არის. მე, როგორც „რუსი ხალხის მეგობართა საზოგადოების" თავმჯდომარე, გისურვებთ წარმატებებს გამათავისუფლებელ რევოლუციაში. გემოწმებით და მწარე აღშფოთებას გამოვთქვამ იმის გამო, რომ ფრანგი იმპერიალისტები ფულით დაეხმარნენ ჯალათთა მთავრობას, რომელიც ტანჯავს თქვენს დიდსულოვან ხალხს".[2]

1905 წლის რევოლუციის დროს მაქსიმ გორკი მსოფლიო მწერლად იქცა. მეფის მთავრობის მიერ გორკის დაპატიმრების გამო აღშფოთებული ანატოლ ფრანსი წერდა: „გორკის საქმე — ჩვენი საერთო საქმეა. ისეთი ტალანტი, როგორიც გორკია, მთელს მსოფლიოს ეკუთვნის. მისი განთავისუფლებით დაინტერესებულია მთელი მსოფლიო".

ცნობილი ფრანგი მწერალი ვიქტორ მარგერიტი მაქსიმ გორკის „ახალი დროის წინასწარმეტყველს" უწოდებდა.

მაქსიმ გორკი ამბობდა: „Я очень многим обязан иностранной литературе, особенно французской"[3].

ის მაღალ შეფასებას აძლევდა ფრანგული ლიტერატურის კლასიკოსთა შემოქმედებას. მისი საყვარელი მწერლები იყვნენ: ვიქტორ ჰიუგო, ფრედერიკ სტენდალი, ონორე დე ბალზაკი, გუსტავ ფლობერი, პროსპერ მერიმე, ემილ ზოლა, გი დე მოპასანი, ანატოლ ფრანსი, რომენ როლანი, ანრი ბარბიუსი.

განსაკუთრებული იყო მაქსიმ გორკის დამოკიდებულება ვიქტორ ჰიუგოს პიროვნებისა და მისი შემოქმედებისადმი. გორკისათვის ვიქტორ ჰიუგო იყო „ტრიბუნი და პოეტი, რომელიც მსოფლიოში ქარიშხალივით გრგვინავდა და სიცოცხლეს ანიჭებდა ყოველივეს, რაც მშვენიერია ადამიანის სულში"[4].

---

1 Максим Горький. Собр. соч., т. 23. м., 1953., გვ. 391.

2 Анатоль Франс. Собр. соч., т. 8, М., 1960, გვ. 700.

3 Максим Горький. О литературе, М., 1953 г.

4 Максим Горький. Собр. соч., т. 7, М., 1959, გვ. 70.

ვიქტორ ჰიუგოს მხატვრული ნაწარმოებებიდან მაქსიმ გორკის ყველაზე ნეტად მისი განთქმული რომანი — ეპოპეა „საბრალონი“ მოსწონებია. სწორედ ამ რომანმა შთააგონა მაქსიმ გორკის დაეწერა დიდი მხატვრული ნაწარმოები რუს ჟან ვალჟანზე, სათნო კატორღელზე, ვინმე ალექსანდრე ვასილის ძე რიაბინინზე.

დიდ პროლეტარულ მწერალს სურდა გადაეცლახა ვიქტორ ჰიუგოს მორალურ-ქრისტიანული ტენდენციები და სრულიად ახლებურად გაეშუქებინა ადამიანისა და ადამიანობის პრობლემა საზოგადოებაში.

ეს კეთილშობილური იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრი ჩვენს დიდ მწერალს, სამწუხაროდ, განუხორციელებელი დარჩა.

მაქსიმ გორკიმ ადრიდანვე მიიქცია საზოგადოების ყურადღება, როგორც ნიჭიერმა მწერალმა, როგორც განუმეორებელმა ნოვატორმა, როგორც სრულიად ახალი ტიპის მწერალმა. მსოფლიო ლიტერატურაში მან შეიტანა ახალი იდეა, ახალი თემა, ახალი მეთოდი. მან ახლებურად დააყენა სინამდვილისადმი, საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი ხელოვნების დამოკიდებულების საკითხი.

რომენ როლანის სიტყვებით რომ ვთქვათ, მაქსიმ გორკი დანტეს მსგავსად ჯოჯოხეთიდან გამოვიდა, მაგრამ ის იქიდან მარტო როდი გამოსულა, მან თან გამოიყოლა, მან იხსნა მასავით ტანჯული ამხანაგები.

ლენინი წერდა, რომ „გორკი უდავოდ არის პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი ხელოვნების უდიდესი წარმომადგენელი“, რომელმაც „თავისი დიადი მხატვრული ნაწარმოებებით მტკიცედ დაუკავშირა თავისი თავი რუსეთისა და მთელი მსოფლიოს მუშათა მოძრაობას“[1]

მაქსიმ გორკის გამოსვლა რუსულსა და მსოფლიო ლიტერატურაში იყო მანამდე უჩვეულო მოვლენა. მისმა სახელმა ელვასავით გადაუარა მთელ ქვეყანას. მან შექმნა ახალი ეპოქა ლიტერატურაში. მაქსიმ გორკიმ კლასიკოსი მწერლების ჰუმანიზმი მებრძოლ, სოციალისტურ ჰუმანიზმად აქცია.

ყველაფერმა ამან მაქსიმ გორკის მაშინვე გაუთქვა სახელი მთელ მსოფლიოში.

ფრანგული ჟურნალი „La Revue des Revue“ 1900 წლის იანვარში ბეჭდავს „თომა გორდეევის“ ნაწყვეტების თარგმანებს და მის ავტორს ახასიათებს შემდეგი სიტყვებით: „ეს ახალგაზრდა რუსი მწერალია, რომელმაც ძლიერ წამოიწია წინ ამ უკანსკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში. მისმა პირველმა მოთხრობებმა მაშინვე შეუქმნეს მას პირველი რანგის მწერლის სახელი. გორკიმ

---

1. ვ. ლ ე ნ ი ნ. თხზ., ტ. 26, გვ. 123.

რამდენიმე თვის წინ გამოსცა მოთხრობების ორი ტომი, რომლებიც უკვე გაიყიდა. მზადდება ახალი გამოცემა სამ ტომად. გორკის პირველ რომანს „თომა გორდეევს“ აღტაცებაში მოჰყავს საზოგადოება. მის მოთხრობებში ასახულია მეზღვაურების, მუშებისა და მაწანწალების ცხოვრება, ასახულია უდიდესი ოსტატობით და ხალხის ცხოვრების, ავტორისათვის მახლობელი ცხოვრების, ღრმა ცოდნით“.

ერთი წლის განმავლობაში „თომა გორდეევი“ საფრანგეთში უკვე მე'სამე ცალკე გამოცემად გამოვიდა. გორკის წარმატება აქ ისე საყოველთაო ხდება, რომ უკვე 1901 წელს ფრანგი კრიტიკოსი ანრი ბორდო სპეციალურ სტატიაში სახელწოდებით „შეკრა“ — გამოდის ფრანგულ ლიტერატურაში გორკისა და ჩეხოვის შეკრის წინააღმდეგ, რომლებიც მისი სიტყვებით, ფრანგ მწერლებს ბაზრიდან სდევნიან.

საფრანგეთში გორკის რომანის „დედის“ მიხედვით კინო-სურათიც კი შეიქმნა. გორკის ნაწარმოებების ფრანგულ თარგმანებს გულმოდგინედ დაეწაფა ფრანგი მკითხველი. ამ ნაწარმოებებმა ისინი დიდად აღაფრთოვანა. ფრანგულ პრესაში უკვე ხშირად იბეჭდება წერილები მაქსიმ გორკის შესახებ; ფრანგი კრიტიკოსები აღნიშნავდნენ: გორკისავით ძლიერად არავის არ შეუძლია იმოქმედოს მკითხველზე. მისი დიადი, ცოცხალი მხატვრული სახეები წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენენ. გორკის სიდიადე ისაა, რომ მას ეხერხება დროისათვის შესაფერისი სიტყვის თქმა. მისი ნაწარმოებები გაჟღენთილია ბრძოლისა და ოპტიმიზმის იდეებით. მისი გმირები იმედითა და რწმენით შეჰყურებენ მომავალს და სხვ...

მაქსიმ გორკის პიროვნებაში ფრანგმა მკითხველმა იმთავითვე დაინახა დიდი მხატვარი და დიდი მოაზროვნე.

ფრანგული კრიტიკული რეალიზმის კორიფეების: ბალზაკისა და სტენდალის შემოქმედება მაქსიმ გორკის დაკვირვებისა და შესწავლის საგანი იყო.

მაქსიმ გორკის ანცვიფრებდა ბალზაკის მხატვრული ტალანტი, მისი ეპიკური სტილი, წარმტაცი პლასტიკა, მოწონდა ყველაფერი, რაც აქცევდა ბალზაკს მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს მასწავლებლად.

პირველი რომანი, რომელიც ბალზაკის ნაწარმოებებიდან მაქსიმ გორკიმ წაიკითხა, იყო „შაგრენის ტყავი“. ამ ფილოსოფიურმა ნაწარმოებმა დიდად ასიამოვნა მაქსიმ გორკი. მას განსაკუთრებით მოეწონა ანტიკვარული მაღაზიის აღწერა და დიალოგები ბანკეტზე. შემდეგ გორკიმ წაიკითხა რომანი „მამა გორიო“, ამას მოჰყვა ბალზაკის სხვა შედევრების კითხვა, რის შედეგადაც გორკი განცვიფრებული დარჩა.

ბალზაკის მხატვრული ნაწარმოებებით აღფრთოვანებულ მაქსიმ გორკი ჯერ კიდევ 1911 წელს წერდა:

«Человеческая комедия» была прочитана мною уже лет в двадцать; эта книга нанесла сильнейший удар моему неоформленному романтизму, и я почувствовал в ней гений Бальзака и полюбил его горячей любовью, как, вероятно, любят учителя и друга.

Двумя-тремя годами позднее в России явился перевод полного собрания сочинений Бальзака, я дважды прочитал все его книги и тут понял всю величину этого писателя, эпический размер его таланта изумил и пленил меня. Широта его планов, смелость мысли, правда слова и гениальные предвидения будущего, уже во многом оправданные настоящим,— делают его одним из величайших учителей мира»[1].

როგორც თვით გორკი წერს ლევ ტოლსტოი ურჩევდა ხოლმე მას უფრო მეტი ეკითხა ფრანგი ავტორები განსაკუთრებით კი ბალზაკი, სტენდალი, ფლობერი, მოპასანი, ვინაიდან ამ მწერლებს ეხერხებათო წერა.

მაქსიმ გორკის რწმენით ბალზაკის შემოქმედება ამოუწურავი თემაა. ბალზაკი — ეს სანიმუშო, სამაგალითო, მისაბაძი მწერალია. გორკი წერს:

«Книги Бальзака наиболее дороги мне той любовью к людям, тем чудесным знанием жизни, которое с великой силою и радостью я всегда ощущал в его творчестве».[2]

მაქსიმ გორკი სტენდალს თვლიდა ორიგინალურ მწერლად, რომელსაც ჰქონდა იშვიათი ალღო ცხოვრებისა, ძლიერი მხატვრული ნიჭი და შორმსჭვრეტელი ჭკუა-გონება.

სტენდალი იყო იშვიათი მხატვრული გემოვნების მქონე მწერალი. ის ახლოს იდგა თავის დროსთან, თავისი ნათელი სტილითაც. ბალზაკისადმი პასუხში სტენდალი აღნიშნავდა, რომ მას სძულს დამრგვალებული სტილი. როცა „პარმის სავანეს“ ვწერდი, ყოველ დილით სწორი ტონის საპოვნელად ორ-სამ გვერდს ვკითხულობდი სამოქალაქო კოდექსიდან. მე არ მაღფრთოვანებს მოდური სტილი, მას მოთმინებიდან გამოვყავარ, — ამბობდა სტენდალი.

სტენდალის მხატვრული სტილისა და მისი შემოქმედების კარგად მცოდნე მაქსიმ გორკი გაბედულად და თამამად გამოვიდა იმათ წინააღმდეგ, ვინც დაუსაბუთებლად უწუნებდა სტილს ნიჭიერ ფრანგ მწერალს.

---

[1] Максим Горький. О литературе, М., 1953, გვ. 126.

[2] იქვე.

გორკის მიერ დაწერილ „წინასიტყვაობაში“, რომელიც წამძღვარებული აქვს ა. კ. ვინოგრადოვის წიგნს „Три цвета времени“, ნათლად ჩანს დიდი რუსი მწერლის საქმის ღრმა ცოდნაზე დამყარებული მსჯელობა სტენდალის პიროვნების, შემოქმედებისა და მხატვრული სტილის შესახებ.

ჯერ განვიხილოთ რამდენიმე ავტორის შეხედულება სტენდალისა და მისი შემოქმედების შესახებ, შემდეგ კი მაქსიმ გორკის მარჯვე კრიტიკული გამოსვლა მათ წინააღმდეგ, მის მიერ სტენდალის გულთბილი დაცვა და ჰე'შმარიტების აღდგენა.

ფრანგული ლიტერატურის ისტორიკოსი გუსტავ ლანსონი თავის წიგნში „ფრანგული ლიტერატურის ისტორია“ წერს: „ის (სტენდალი — დ. ფ.). არის საკმარისად ვულგარული და უსიამოვნო ადამიანი, უხეში და პრეტენზიული... მისი პირადი თავგადასავალი არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს“.[1] ...სტენდალის შემოქმედებაში ფორმას არ აქვს მნიშვნელობა. ის არ არსებობს, როგორც მხატვრული ფორმა, ის არის მხოლოდ იდეების ანალიტიკური გამოხატულება“.[2]

პროფ. ა. კირპიჩნიკოვი, რომელმაც დაწერა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის“ მეოთხე ტომში მთელი თავი „მე-19 საუკუნის ლიტერატურის ისტორიისა„ სტენდალის რომანის „წითელი და შავის“ შესახებ, წერს: «Роман написан очень небрежно; в нем вообще мало искусства... жизнь передана плохо... действующие лица вовсе не отличаются полнотой и живостью. Бейль вовсе не заботился о стиле своих произведений, и это важнейшая из причин невнимания к нему современников»[3].

ასეთივე შეხედულების იყო სტენდალის ნაწარმოებსა და სტილზე ფრანგი მწერალი ემილ ზოლა, რომელიც თავის ნარკვევში „პარმის სავანეზე“ ასეთ დასკვნას აკეთებს: „პარმის სავანე“ ეს ნამდვილი რომანი კი არაა, არამედ ანალიტიკური ხასიათის, სათავგადასავლო წიგნია, რომელშიც არ არსებობს მეთოდი, არ არსებობს კომპოზიციური მთლიანობა. სტენდალი იღებს ადამიანთა თავებს მხოლოდ

---

[1] L'homme est assez vulgaire, un peu déplaisant, tour à tour grossier ou prétentieux... ses aventures personelles ne sont guère intéressantes.

Gustave Lanson. Histoire de la littérature française, Paris, 1909,. p. 1006.

[2] La forme, dans Stendhal, est indifférente; elle n'existe pas, comme forme d'art, elle n'est que la notation analytique des idées. Ibid. p. 1009.

[3] Всеобщая история литературы. 1892. С.-Петербург. т. IV. გვ. 797, 798, 799.

და ახდენს მათზე ფსიქოლოგიურ ცდებს, ამიტომაა, რომ მისი გმირები მსჯელობენ, ლაპარაკობენ და არ განიცდიან. ისინი ცხოვრების სინამდვილიდან კი არ არიან აღებული, არამედ შექმნილი არიან სტენდალის გონებით. ამის გამოა, — დასძენს ზოლა, — რომ სტენდალის გმირები მკითხველის მეხსიერებაში არ რჩებიან. რაც შეეხება სტენდალის სტილს „პარმის სავანეში", ზოლას იგი მდარე სტილად მიაჩნია.[1]

როგორც ჩანს, მაქსიმ გორკის საფუძვლიანად შეუსწავლია ზემოაღნიშნული მასალები და მცდარად მიუჩნევია ისინი. გორკი გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამოც, რომ სტენდალს სტილს უწუნებდნენ ონორე ბალზაკი და სტეფან ცვაიგი.

სტენდალის სტილის უარყოფითად შემფასებლების წინააღმდეგ მაქსიმ გორკის საკმარისად მიაჩნია გუსტავ ფლობერის დადებითი შეხედულება სტენდალის სტილზე, და ეს სწორი მიდგომაა საკითხისადმი, ვინაიდან ფლობერი იყო განსაკუთრებული ტალანტი, ფრანგული მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატი.

მაქსიმ გორკის მოაქვს შემდეგი ადგილი გუსტავ ფლობერის წერილიდან მისი მეგობრის ალფრედ დე პუატევენისადმი:

«Вчера вечером я прочел в постели первый том «Красного и чёрного» Стендаля. Эта вещь отличается изысканным умом и большой тонкостью. Стиль — французский; но разве это просто стиль? Это подлинно стиль! Тот старый стиль которым теперь не владеют вовсе»[2].

მაქსიმ გორკის სტენდალი მიაჩნია სანიმუშო მწერლად და ის მკაცრად აკრიტიკებს ყველას, ვინც შეეცადა დაემცირებინა ან გაეყალბებინა ნიჭიერი ფრანგი მწერალი.

გორკი მოხდენილად იყენებს ფლობერის ავტორიტეტულ შეხედულებას და წერს: «Эта оценка величайшего мастера стиля перекрывает все оценки критиков, которые между прочим упрекали Стендаля и в том, что он будто бы писал торопливо, потому что «не хотел давать времени художнику стилизировать, приукрашать действительность». Но действительность требует и достойна «приукрашения» только тогда, когда она — неуклонное продолжение борьбы её главного героя, человека массы, за свободу от физического и моралъ-

---

[1] Emile Zola. Les Romanciers naturalistes, Stendhal, Paris, p. 74.

[2] Максим Горький. Предисловие к книге А. К. Виноградова «Три цвета времени» М., 1945, зд. 7.

ного плена, а не тогда, когда она — «творимая легенда» и прямо или косвенно оправдывает рабство человека»[1].

მაქსიმ გორკი სამართლიანად ხედავს სტენდალის პიროვნებაში ისეთ მწერალს, რომელსაც თითქმის არაფერი რჩება შეუმჩნეველი საზოგადოებრივ ცხოვრებაზე დაკვირვების დროს. ის თავისი თვალით ყველაფერს ხედავს. ღრმად იჭრება საგნებსა და მოვლენებში, საფუძვლიანად სწავლობს ადამიანებს, მათ ურთიერთობას, უკვირდება ადამიანებს ცალკე და ადამიანებს საზოგადოებაში. სტენდალს გააჩნია არა მხოლოდ სინამდვილის იშვიათი მხატვრული აღქმის უნარი, მას ამავე დროს ახასიათებს პოლიტიკური სიმახვილე. რაც მთავარია, სტენდალი ნათლად ხედავს, რომ ბურჟუაზიული საზოგადოება დაქვეთების გზაზეა, რომ მასების რევოლუციური აზვირთების ტალღა მატულობს.

მშვენივრად შეამჩნია მაქსიმ გორკიმ ეს დიდი მოვლენები სტენდალის შემოქმედებაში, რაზედაც ნათლად მიუთითებს მისი შემდეგი სიტყვები: «Стендаль был первым литератором, который почти на другой день после победы буржуазии начал проницательно и ярко изображать признаки неизбежности внутреннего социального разложения буржуазии и её туповатую близорукость»[2].

მაქსიმ გორკის მოსწონდა ბალზაკისა და სტენდალის საოცარი მხატვრული ნიჭი და იშვიათი ალღო ცხოვრებისა, მოსწონდა მათ მიერ დახატული საგნები და ადამიანები, მათ მიერ ასახული ამბები და მოვლენები, ისტორიული და თანამედროვე ფაქტები, განსაკუთრებით მათი ტიპიზაციის ხელოვნება.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ არაჩვეულებრივად გაიზარდა მაქსიმ გორკის ავტორიტეტი, არა მხოლოდ ფრანგულს, არამედ მთელ მსოფლიო ლიტერატურაში. ზედიზედ გამოდიოდა გორკის თხზულებანი საფრანგეთში: „თომა გორდეევი“, „სამნი“, „მტრები“, „დედა“, „იტალიური ზღაპრები“, „ბავშვობა“, „ხალხში“, „ჩემი უნივერსიტეტები“. „არტამონოვების საქმე“, „ცხოვრება კლიმ სამგინისა“ და სხვ.

გორკის თხზულებათა სრული კრებულების ფრანგულ ენაზე გამოცემა დიდი ლიტერატურული მოვლენა იყო ფრანგული კულტურის ისტორიაში.

სარა ბერნარის თეატრში წარმატებით იდგმებოდა მაქსიმ გორ-

---

[1] М. Горький. Предисловие к книге А. К. Виноградова. «Три цвета времени», М., 1945, გვ. 7.

[2] იქვე.

კის პიესა „მტრები" და ფრანგი მწერლის ვიქტორ მარგერიტის მიერ გასცენირებული გორკის რომანი „დედა".

მაქსიმ გორკის გაელენა ფრანგულ ლიტერატურაზე რევოლუციური ხასიათისა იყო. კაპიტალისტური წყობილების სულის შემხუთველ ატმოსფეროში მაქსიმ გორკიმ მშრომელ ადამიანებს შთააგონა გმირობა და თავდადება, მოუწოდა აქტიური ბრძოლისაკენ. მან ჯერ კიდევ 900-იან წლებში საქვეყნოდ გამოააშკარავა მეფის თვითმპყრობელობის ბინძური რეჟიმი, რომელმაც უდანაშაულო ადამიანთა ხოცვა-ჟლეტა მოაწყო 1905 წელს. გორკიმ თავის სტატიაში „მშვენიერი საფრანგეთი" გაბედულად აღიმაღლა ხმა საერთაშორისო რეაქციის წინააღმდეგ, რომელიც მეფის თვითმპყრობელობას ეხმარებოდა რუსეთის რევოლუციის ჩახშობის საქმეში.

რომენ როლანისა და ანრი ბარბიუსის მეგობრობა მაქსიმ გორკისთან, მანათობელი შუქურა იყო ამ გამოჩენილი ფრანგი მწერლებისათვის.

მაქსიმ გორკი რომენ როლანს საფრანგეთის ლევ ტოლსტოის უწოდებდა. რომენ როლანი მიაჩნდა დიდ ჰუმანისტად, რომელსაც ჩინებულად ესმოდა სოციალური იდეების მნიშვნელობა და რომელიც თავის გულში ინახავდა კაცობრიობის საუკეთესო იდეალებს.

მაქსიმ გორკი აღნიშნავდა, რომ საბჭოთა მწერლები რომენ როლანს უწოდებდნენ „ჩვენს რომენ როლანს" და ამ „ჩვენში" გამოჩენილი ფრანგი მწერლისადმი დიდი, გულწრფელი სიყვარული და პატივისცემა იყო ჩაქსოვილიო.

რომენ როლანი თავის მხრივ მაქსიმ გორკის ძვირფას მასწავლებლად და საყვარელ მეგობრად თვლიდა. განსაკუთრებით მადლიერი იყო ის მაქსიმ გორკისა იმის გამო, რომ მან რომენ როლანი საბჭოთა კავშირს, საბჭოთა ხალხს დაახლოვა და დაამეგობრა. ყოველივე ამან კი, თავის მხრივ კეთილმყოფელი გაელენა იქონია ნიჭიერი ფრანგი მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

რომენ როლანი მაქსიმ გორკის გარდაცვალების დღეებში წერდა: „მე მხოლოდ ერთი ვარ მილიონთაგან, რომლისთვისაც გორკის სიკვდილი უდიდესი დანაკლისია კაცობრიობისათვის იმ ხნიდან, რაც ლენინი გარდაიცვალა. გორკი სიტყვის პირველი, უმაღლესი მხატვარი იყო. არც ერთ დიდ მწერალს არ შეუსრულებია უფრო მაღალი როლი".

სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელი ფრანგულ ლიტერატურაში ანრი ბარბიუსი მჭიდროდ იყო დაკავშირებული მაქსიმ გორკი თან. ის ყოველთვის აღფრთოვანებას გამოთქვამდა გორკის დიდი პიროვნებისა და მისი ბრწყინვალე შემოქმედების გამო.

ანრი ბარბიუსის სტატიებში მაქსიმ გორკის შესახებ გაშუქებუ-

ლია ის ღრმა და მრავალმხრივი გავლენა, რომელიც მოახდინა მაქსიმ გორკიმ საერთოდ საზღვარგარეთულ ლიტერატურაზე, კერძოდ ფრანგულზე. ბარბიუსი ამტკიცებდა: „გორკი — ეს დიადი ჩირაღდანია. მან ახალი გზები გაუხსნა მთელ მსოფლიოს, რომლებითაც წავლენ კულტურის მოღვაწეები“. ბარბიუსის ღრმა რწმენით, მსოფლიოს ყოველმა მოწინავე მწერალმა უნდა მიბაძოს მაქსიმ გორკის, უნდა იაროს მისი გზით.

თავის მხრივ მაქსიმ გორკი დიდად აფასებდა ანრი ბარბიუსს და მის შემოქმედებას, განსაკუთრებით მოსწონდა ბარბიუსის ნოვატორული გამოსვლა ფრანგულ ლიტერატურაში. მაქსიმ გორკი სამართლიანად ხედავდა ანრი ბარბიუსის პიროვნებაში მისთვის ყოველმხრივ მახლობელ მწერალს, უპირველესად დიდ მხატვარ რეალისტს, რომელსაც წილად ხვდა შეექმნა „საშინელი და სასიხარულო წიგნი „ცეცხლი“, საოცრად უბრალო და შეუბრალებლად მართალი წიგნი“.[1]

მაქსიმ გორკის აზრით, ბარბიუსი ახალი ტიპის მწერალი იყო ფრანგულ ლიტერატურაში, მწერალი-ტრიბუნი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სოციალისტურ რეალიზმს, ის პრაქტიკულად ანხორციელებდა ლიტერატურის პარტიულობის პრინციპებს.

თანამედროვე ფრანგული ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი ლუი არაგონი ღრმა მცოდნეა და დიდი დამფასებელია მაქსიმ გორკის შემოქმედებისა. არაგონი თავის საინტერესო სტატიაში „გორკის შუქი“, რომელიც მან გამოაქვეყნა 1955 წელს ჟურნალში „Nouvelle critique“ უმთავრესად გორკის „იტალიურ ზღაპრებზე“ მსჯელობს, მაგრამ ის მწერლის მთელ შემოქმედებას არჩევს და ფრიად საგულისხმო აზრებს გამოსთქვამს გორკისა და მისი ნაწარმოებების შესახებ

ლუი არაგონი იგონებს თავისი ბავშვობის წლებს და აღნიშნავს, რომ იმ დროსაც კი მაქსიმ გორკის საფრანგეთში დიდი ავტორიტეტი და სახელი ჰქონდა. ყველგან მის წიგნებს კითხულობდნენ. მაქსიმ გორკის აყენებდნენ გი დე მოპასანზე მაღლა. გორკი გახდა საფრანგეთში ადამიანთა „ფიქრთა მპყრობელი“, მეოცე საუკუნის ჟან-ჟაკ რუსო და დენი დიდრო.

იმავე ლუი არაგონი გადმოგვცემს ასეთ ამბავს: თორმეტი წლის არაგონს თურმე ახალგაზრდა ქართველმა გოგონამ გორკის ნაწარმოები მისცა წასაკითხად. ლამაზი ქართველი ქალიშვილის ასეთ თავაზიანობას არაგონისათვის გული აუჩუყებია. ამ შემთხვევას მომავალ მწერალზე ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია, რომ 1934

[1] Максим Горький. Собр. соч., т. 24, М., 1953, გვ. 199.

წელს თავისი განთქმული რომანის „ბაზელის ზარების“ ერთ-ერთ მთავარ გმირად მშვენიერი ქართველი ქალი გამოიყვანა, რომელსაც კატერინა სიმონიძე დაარქვა.

დიდი იყო მაქსიმ გორკის გავლენა ფრანგულ ლიტერატურაზე სოციალისტური რეალიზმის აღმოცენებასა და დამკვიდრებაში. თანამედროვე პროგრესული ფრანგული ლიტერატურა წინ მიდის და ვითარდება სწორედ სოციალისტური რეალიზმის გზით.

ჟან რასინი

(1639—1699)

ადამიანი და ხალხი. ბედი ადამიანისა, ბედი ხალხისა. აი რატომაა რასინი დიდი.
ალექსანდრე პუშკინი.

ფრანგული კლასიციზმის აყვავების პერიოდში ჟან რასინი თავისი უფროსი თანამედროვის პიერ კორნელის ტრადიციების გამგრძელებელია. მან მაღალ საფეხურზე აიყვანა ფრანგული ეროვნული დრამატურგია და დაუსახა ფართო პერსპექტივები.

ჟან რასინის შვილი, ლუი რასინი, თავის მემუარებში აღნიშნავს: „მამაჩემი მთლად გრძნობა და გული იყო". ეს დახასიათება პირდაპირ ფოტოგრაფიული ასახვაა ჟან რასინის გრძნობიერებითა და კეთილშობილებით აღსავსე პიროვნებისა, და სწორედ ამიტომაა, რომ იგი ადამიანის გულისა და გრძნობის იშვიათი მცოდნეა, ადამიანის ტანჯვისა და სიყვარულის შეუდარებელი მგოსანია.

ჟან რასინი დაიბადა 1639 წლის 21 დეკემბერს პატარა პროვინციულ დაბა ლა ფერტე-მილონში, ადგილობრივი სასამართლოს მოხელის ოჯახში. რასინი ჯერ კიდევ პატარა იყო, როცა მას მშობლები გარდაეცვალა და აღსაზრდელად აიყვანა მისმა ბაბუამ.

ჟან რასინი ჯერ სწავლობდა ქალაქ ბოვეს კოლეჯში, რომელიც იანსენისტური მოძრაობის ერთ-ერთი კერა იყო, შემდეგ კი (1655 წელს) გადაიყვანეს პორ-რუაიალში და ჩარიცხეს მაღალი წრეებიდან გამოსულ რჩეული ახალგაზრდობისათვის განკუთვნილ ე. წ. „პატარა სკოლაში". აქ რასინი სწავლობდა 1658 წლის ბოლომდე.

„პატარა სკოლაში" მასწავლებლებად იყვნენ იანსენისტური იდეებით გატაცებული პედაგოგები. მიუხედავად ამისა, რასინმა ამ სკოლაში სათანადო ფილოლოგიური განათლება მიიღო. იმ დროისათვის ეს იყო რამდენადმე პროგრესული განათლება.

1658 წლის ბოლოს რასინი პარიზშია და სწავლას განაგრძობს დარკურის კოლეჯში. მან 1660 წელს დაამთავრა ფილოსოფიის კურსი. ამ კოლეჯის მასწავლებლობაც იანსენისტური მოძღვრების მომხრენი იყვნენ. როგორც ვხედავთ, ჟან რასინის მოწაფეობისა და სტუდენტობის წლები მიმდინარეობდა იანსენისტური იდეების მიმდე-

ვართა ხელმძღვანელობის ქვეშ. ამ მოძრაობის ლიდერები იმედით შესჰყურებდნენ მას, როგორც განსაკუთრებულად ნიჭიერ ჰაბუკს, ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ თავიანთი გავლენის ქვეშ მოექციათ ახალგაზრდა რასინი და წარემართათ მისი შემოქმედებითი ნიჭი იანსენისტური გზით. ცხადია, ყოველივე ამან გარკვეული გავლენა იქონია რასინის მსოფლმხედველობაზე, მაგრამ დროთა ვითარებაში რასინი თანდათან თავისუფლდება იანსენიზმისაგან.[1]

რასინთა ოჯახის ეკონომიური მდგომარეობა გაუარესდა. ახალგაზრდა რასინს აღარ ჰქონდა მატერიალური დახმარების იმედი. ამ გარემოებამ იგი მწარედ დააფიქრა, მან გულმოდგინედ დაიწყო სამუშაოს ძებნა. ერთხანს ადვოკატობას აპირებდა, მაგრამ ამ განზრახვაზე ხელი აიღო, მისთვის ყველაზე საინტერესო და მიმზიდველი აღმოჩნდა ლიტერატურული მოღვაწეობა.

60-იანი წლების დასაწყისში რასინი გაეცნო ცნობილ მწერალს ჟან ლაფონტენს. მათ შორის მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. რასინს ლაფონტენთან სისტემატური მიმოწერა ჰქონდა ლიტერატურული საკითხების ირგვლივ. იგი დაუახლოვდა თეატრალურ წრეებს, დაინტერესდა თეატრალური ცხოვრებით და დაიწყო დრამატურგიული ნაწარმოებების წერა.

1660 წლიდან რასინის, როგორც პოეტის სახელი, უკვე ცნობილი ხდება. მან დაწერა ლექსი ლუი XIV-ის ქორწინებაზე, ოდები: „სენის ნიმფე", „მეფის გამოჯანმრთელების შესახებ". „დიდება მუზებს".

მეფემ რასინისადმი მეტი ყურადღება და სიმპათიები გამოიჩინა; ამით რასინი კიდევ უფრო დაუახლოვდა მეფის კარს, გაიუმჯობესა ეკონომიური მდგომარეობა, მეფემ რასინი ფულით დააჯილდოვა და ჩარიცხა იმ პოეტთა სიაში, რომელიც მეფისაგან მუდმივ პენსიას იღებდნენ.

ამ პერიოდში ჟან რასინი გაეცნო და დაუახლოვდა ბუალოსა და მოლიერს. მოლიერის თეატრში დაიდგა რასინის პირველი ტრაგედია „თებაიდა ანუ ერთმანეთის მტერი ძმები". შემდეგ რასინმა მოლიერს შესთავაზა მეორე პიესა „ალექსანდრე დიდი". ამ პიესის დიდი წარმატების შემდეგ მოლიერსა და რასინს შორის ჩამოვარდა

---

1 იანსენიზმი — მე-17 საუკუნეში ჰოლანდიასა და საფრანგეთში გავრცელებული ჰოლანდიელი ეპისკოპოსის კორნელიუს იანსენიუსის (1535—1638) მიერ ჩამოყალიბებული რელიგიურ-რეფორმატორული, ფილოსოფიური (ადამიანის შოქმედება არაა დამოკიდებული მის ნებისყოფაზე) მოძრაობაა, რომელიც წარმოადგენდა კათოლიციზმის ნაწილობრივად განახლებისა და კალვინიზმისადმი უმნიშვნელო დათმობების გზით იეზუიტების წინააღმდეგ შეუწყვეტელ ბრძოლას.

იდეური უთანხმოება, რის გამოც, რასინმა აზრი შეიცვალა. მოლიერს ეს ტრაგედია გამოართვა და გადასცა დასადგმელად მოლიერის მოქიშპე თეატრს ბურგონის ოტელს, ამ თეატრშივე გადაიბირა მან საუკეთესო მსახიობი ქალი ტერეზა დიუპარკი, რომელიც სიკვდილამდე რასინის ნაწარმოებათა მთავარ როლებს ასრულებდა.

ყოველივე ამან რასინსა და მოლიერს შორის უთანხმოება კიდევ უფრო გაამწვავა — ისინი სამუდამოდ დაშორდნენ ერთმანეთს. ამის შემდეგ რასინი ახლო ურთიერთობას ამყარებს ბუალოსთან.

ჟან რასინმა თავისი ცხოვრების ბოლო პერიოდში გამოაქვეყნა ორი შესანიშნავი ტრაგედია — „ესთერი“ და „ათალია“. ეს პიესები თავიანთი იდეურ-პოლიტიკური მიზანდასახულობით ახალი საფეხურია რასინის შემოქმედებაში. პოეტმა ამ ნაწარმოებებში, განსაკუთრებით „ათალიაში“, თუმცა მალულად, მაგრამ მაინც საგრძნობლად გამოააშკარავა მონარქიული წყობილების დაშლის გზაზე დაქანება, აჯანყებული ხალხისადმი მხარდაჭერა და პროტესტის სამეფო კარის წრისადმი. ამ პერიოდში რასინმა ზურგი შეაქცია სასახლის არისტოკრატიას და გაბედულად წარუდგინა მეფეს მოხსენებითი ბარათი საფრანგეთის უბედურებათა და ხალხთა მასების სიღატაკის შესახებ. ამან გამოიწვია მეფის განრისხება და რასინი გაძევებულ იქნა. 1699 წლის 22 აპრილს იგი გარდაიცვალა.

გარდა ზემოდასახელებული ნაწარმოებებისა ჟან რასინის კალამს ეკუთვნის: „ანდრომაქე“,„დავაჭარნი“, „ბრიტანიკე“, „ბერენიკე“, „ბაიაზეთი“, „მითრიდატი“, „იფიგენია ავლიდში“, „ფედრა“.

აქ ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ „ფედრას“. ჟან რასინის ტრაგედიებიდან „ფედრამ“ იმთავითვე მიიქცია ფართო საზოგადოების ყურადღება. ეს ტრაგედია რასინის პოეტური გენიის ერთ-ერთი შესანიშნავი გამოხატულებაა.

ჟან რასინი თვითონვე აღნიშნავს „ფედრას“ წინასიტყვაობაში, რომ მან ამ ნაწარმოების სიუჟეტი აიღო ბერძენი დრამატურგის ევრიპიდესა („იპოლიტე“) და რომაელი დრამატურგის სენეკასაგან („ფედრა“).

როგორც ცნობილია ევრიპიდეს (480—406) ამ თემაზე დაწერილი აქვს ორი პიესა. პირველი იყო „იპოლიტე“, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია, მეორე — „გვირგვინოსანი იპოლიტე“, ტრაგედიას საფუძვლად უდევს საბერძნეთში გავრცელებული მითი იპოლიტესა და ფედრას შესახებ. მითის შინაარსი ასეთია: „ათენის მეფეს თეზევსს პირველი ცოლისაგან ამორძალ ანტიოპესაგან ჰყავდა ვაჟი იპოლიტე. დედის გარდაცვალების შემდეგ იპოლიტე იზრდებოდა ტროიძენში. თეზევსმა შეირთო კრეტის მეფის მინოსის ასული ფედრა, და, ათენში რომ მოჰყავდა, გზად ტროიძენში გაჩერდა თავისი ვაჟის სა-

ნახავად. ფედრას შეუყვარდა იპოლიტე, უმანკო ყმაწვილი და სახელგანთქმული მონადირე, მაგრამ იპოლიტემ უარყო მისი სიყვარული. ეს დამარცხება ვერ გადაიტანა ფედრამ და თავი მოიკლა, ხოლო სიკვდილის წინ წერილი დასტოვა, რომელშიც თავის გერს ბრალსა სდებდა: ჩემი გაუპატიურება მოინდომა და ამიტომ მოვიკალი თავიო. განრისხებულმა თეზევსმა დასწყევლა თავისი შვილი, მისი თხოვნით პოსეიდონმა დაღუპა იპოლიტე, ხოლო არტემიდემ გამოამჟღავნა სიმართლე, აღადგინა იპოლიტეს პატიოსნება. ამის შემდეგ იპოლიტეს კულტი დაწესდა ტროიძენში".[1]

— აკად. ს. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, რომ ევრიპიდეს „იპოლიტეში" თავისი თემა ასე აქვს გაშლილი: ფედრამ ვნებიანმა და ავხორციელმა ქალმა თვითონ გაუმხილა თავისი სიყვარული იპოლიტეს და უარი მიიღო. საზოგადოებას არ მოსწონებია უსირცხვილო და უნამუსო დედოფლის ასახვა, და პოეტიც შეჯიბრებაში დამარცხებულა. ევრიპიდეს ანგარიში გაუწევია საზოგადოების აზრისთვის და შეუქმნია მეორე ტრაგედია („გვირგვინოსანი იპოლიტე"), რომელშიც საქმის ვითარება ასეა წარმოდგენილი: „ფედრა უაღრესად პატიოსანი ქალია, უზომოდ უყვარს იპოლიტე, მაგრამ როგორც კეთილშობილი და მაღალი ზნეობის ადამიანი, ვერ ბედავს იპოლიტეს გაუმჟღავნოს თავისი გრძნობა. მხოლოდ შემთხვევით, ფედრას სურვილის გარეშე. შეიტყობს იპოლიტე, რომ ის ფედრას უყვარს".[2]

სოფოკლესაც (496—406) უცდია თავისი ნიჭი ამ თემაზე და დაუწერია ტრაგედია „ფედრა", რომლის მთავარი გმირი ფედრაა, მაგრამ სოფოკლეს ეს პიესა ვერ აღმოჩნდა ისე ძლიერი და იგი საზოგადოებამ დაიწუნა. ამგვარად, ევრიპიდეს ტრაგედიას ბევრი მიმბაძველი გამოუჩნდა, რომელთაგან მთავარია სენეკა („ფედრა") და ჟან რასინი („ფედრა").

ჟან რასინის „ფედრა" ხუთმოქმედებიანი ტრაგედიაა. პიესა იწყება იპოლიტესა და მისი აღმზრდელის თერამენეს საუბრით. იპოლიტე დარდობს, რომ მამამისი თეზევსი ამდენი ხანია არა ჩანს; ნეტავ რა დაემართა, რა მოუვიდა. — ფიქრობს ის, და გადაწყვეტს მოძებნოს იგი. თერამენე იპოლიტეს აუწყებს, რომ ფედრა სიკვდილის პირასაა მისული რაღაც გამოურკვეველი დარდისაგან. ის შეუპყრია რაღაც სენს, მაგრამ არ ამხელს, მალავს.

---

1 სიმონ ყაუხჩიშვილი, ანტიკური ლიტერატურის ისტორია. თბილისი, 1953 წ., გვ. 204—205.

2 სიმონ ყაუხჩიშვილი, ანტიკური ლიტერატურის ისტორია. თბილისი, 1953 წ., გვ. 204.

ტრაგედიის შემდეგი სცენები ფედრასა და მისი ძიძის, მისი გულის მესაიდუმლის, ენონას საუბრებს გადმოგვცემს. ირკვევა, რომ თეზევსის ცოლს ფედრას გატაცებით, თავდავიწყებით უყვარს თავისი გერი იპოლიტე. ქალი შეპყრობილია ვნებათა ღელვით და მზად არის ყველაფერი ანაცვალოს იპოლიტეს. ფედრა იტანჯება სიყვარულისა და მოვალეობის გრძნობას შორის. ის სიგიჟემდეა მისული, არ იცის რა ქნას, ვერ ბედავს გაუმხილოს თავისი სიყვარული იპოლიტეს.

ამ დროს მოდის ცნობა, თითქოს თეზევსი დაიღუპა. ფედრას ხელ-ფეხი ეხსნება. ქმრისადმი მოვალეობისა და ერთგულებისაგან გათავისუფლებული ფედრა გამოუტყდება იპოლიტეს მისდამი უსაზღვრო სიყვარულში. ის პირდაპირ ეუბნება თავის გერს, რომ მას უყვარს ერთგული, ამაყი, კოხტა, თავნება, ახოვანი, მშვენიერი ჭაბუკი, და ეს ჭაბუკი იპოლიტეა.

„მიყვარხარ — მეთქი გაგიქებით, მეტად ძლიერად
და არა ეცდილობ გავიმართლო თავი ცბიერად,
ტრფობას, რომელმაც გადამაგდო მართალი გზიდან,
განა წუხილის და სირცხვილის გარეშე ვიტან?"[1]

ფედრას ამ სიტყვების გამგონე, უმწიკვლო, გულმართალი იპოლიტე განცვიფრებულია.

თურმე ცნობა თეზევსის დაღუპვის შესახებ, ტყუილი ყოფილა, ის ცოცხალი აღმოჩნდა და სახლში ბრუნდება.

ამის შემდეგ იწყება ფედრას ახალი, უფრო მძაფრი ტრაგედია. მას ფიქრადაც არ მოსდის ცილი დასწამოს უდანაშაულო იპოლიტეს. როცა ფედრას თავისი ძიძა ენონა დაჟინებით თხოვს დაასწროს იპოლიტეს და დააბეზღოს იგი მამის წინაშე, გაკვირვებული ფედრა მას უპასუხებს, — „მართალს როგორ დავდო ასეთი ბრალი". ქმრის წინაშე შიშისა და მოვალეობის გრძნობა საგონებელში აგდებს ფედრას; ვაითუ იპოლიტემ მართლაც და გაამჟღავნოს ეს ამბავი, მაშინ?—ფიქრობს ის. ფედრა მერყეობს, მას სინდისი ქენჯნის, მაგრამ როცა ის გაიგებს, რომ იპოლიტეს სატრფო ჰყოლია. რომ მას სხვა ვინმე (არიცია) ჰყვარებია, ის კარგავს ყოველგვარ წონასწორობას, თანხმდება დააბეზღონ იპოლიტე. ამ ულირს საქციელს ენონა ასრულებს.

განრისხებულმა თეზევსმა არ შეისმინა უდანაშაულო იპოლი-

---

[1] ჟან რასინი, „ფედრა", ბათუმი. 1958 წ., გვ. 43. თარგმანი ფრანგულიდან პოეტ გიორგი სალუქვაძისა.

ტეს ახსნა-განმარტება და შვილი სასიკვდილოდ გაიმეტა. როცა ფედრა გაიგებს იპოლიტეს დაღუპვის ამბავს, ის საწამლავს სვამს და სიკვდილის წინ ქმარს ყველაფერში გამოუტყდება.

თვითონ რასინი „ფედრას“ თვლიდა თავის ერთ-ერთ ყველაზე შესანიშნავ ნაწარმოებად, მართლაც, რასინის მხატვრულმა ნიჭმა სწორედ „ფედრაში“ მიაღწია თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს. აქ მთელი მხატვრული სრულყოფილებით ნაჩვენებია ქალის ტანჯვა, ჯერ ფარული, შემდეგ გამოაშკარავებული სიყვარულის შედეგად.

როგორც უკვე ვთქვით, რასინმა „ფედრას“ წერის დროს გამოიყენა ამავე თამაზე დაწერილი ევრიპიდესა და სენეკას ნაწარმოებები, მაგრამ მან მასში რამდენიმე ახალი არსებითი ცვლილება შეიტანა. რასინმა სენეკას მსგავსად თავის ტრაგედიას დაარქვა „ფედრა“, მაშასადამე, ფედრა გახდა პიესის მთავარი მოქმედი პირი და არა იპოლიტე, როგორც ეს ევრიპიდესთანაა. რასინმა იპოლიტეს სახეც თავისებურად გაიაზრა და დახატა. ევრიპიდეს ტრაგედიაში ფედრა იპოლიტეს უმხელს თავის სიყვარულს, იპოლიტე კი უარს ეუბნება. რადგან ის (იპოლიტე) თაყვანს სცემს უმანკოების ღვთაებას არტემიდეს და არ სცნობს სიყვარულის ღვთაებას აფროდიტეს. ამის გამო აფროდიტე განრისხდება და შურს იძიებს იპოლიტეზე.

რასინმა შეცვალა ევრიპიდეს ტრაგედიის მითოლოგიური საფუძველი. მან თავის „ფედრაში“ ცოცხალ ადამიანთა სახეები წარმოადგინა.

რასინის ფედრა არაა ცილისმწამებელი. „ფედრას“ წინასიტყვაობაში რასინი წერს ,რომ „ევრიპიდემ და სენეკამ ფედრა გამოიყვანეს ცილისმწამებლის როლში, მე კი ვფიქრობდი, რომ ცილისწამებაში არის რაღაც მეტისმეტი სიმდაბლე, მეტისმეტი ბოროტება. ისეთი სათნო და კეთილშობილი დედოფლის ათვის, როგორიც ფედრაა, ცილისწამება არაა ბუნებრივი და დამახასიათებელი თვისება. ფედრა არც მთლიანად დამნაშავეა, არც სრულიად უდანაშაულო“.[1]

ევრიპდესა და სენაკას ნაწარმოებებში იპოლიტეს დანაშაული მდგომარეობს იმაში, რომ მან ნამდვილად გააუპატიურა თავისი დედინაცვალი ფედრა, „დაეუფლა მას ძალით“. რასინთან კი იპოლიტეს ბრალი ედება მხოლოდ იმაში, რომ მან განიზრახა ჩაედინა ასეთი რამ. რასინს ამით უნდოდა თეზევსი გაეთავისუფლებინა სირცხვილისაგან, რომელსაც შეეძლო მაყურებელთათვის ნაკლებ მიმზიდველი გაეხადა იგი.[2]

---

[1] Oeuvres complètes de Jean Racine. Paris, p. 241.

[2] იქვე, გვ. 241.

ამრიგად, რასინმა თავისი შორეული წინამორბედებისაგან დამოუკიდებლად, ბევრი რამ ახალი შეიტანა იპოლიტესა და ფედრას ურთიერთობასა და სიყვარულში. რასინის მიხედვით იპოლიტეს გულგრილი დამოკიდებულება ფედრასადმი აიხსნება იმით, რომ იპოლიტეს სხვა ქალი უყვარს, სახელდობრ, არიცია. იპოლიტეს სიყვარული არიციასადმი ძირეულ მომენტად უნდა ჩაითვალოს, რადგან იგი დიდ როლს ასრულებს ტრაგედიის კვანძის გახსნაში.

რასინი მთელს ნაწარმოებში, განსაკუთრებით მეოთხე მოქმედების მეექვსე სურათში, ოსტატურად ხსნის ფედრას ხასიათს, მისი ღრმა სიყვარულით გამოწვეულ ტანჯვას. აქ დიდი პოეტის მიერ მხატვრული სიტყვის მთელი სიძლიერითაა წარმოდგენილი მწარე აღსარება ორმაგად ტრაგიკულ მდგომარეობაში მყოფი ქალისა.

ფ ე დ რ ა ამბობს:

> ცრემლთა მორევში ვერ ვახრჩობდი ტანჯვა-წამებას:
> ჩუმად ვტიროდი მწუხარების გასაქარვებლად.
> მაშინაც, როცა იდუმალი ჯავრით ვკვდებოდი,
> სხვების წინაშე უნებლიედ ვიღიმებოდი.[1]

ფედრა თავისი ვნებათა ღელვის მსხვერპლია. მისი უბედურების წყარო თვით მასშივეა. ფედრას სიყვარული მაგნიტურად მიმზიდველია.

ფედრასათვის სიყვარული ყველაფერია. ფედრა უდანაშაულო დამნაშავეა, ის მსხვერპლია თავის სიყვარულისა (თუმცა ეს სიყვარული, გარკვეული აზრით, სამართლიანია). ამ სიყვარულში ბევრი რამაა სათუთი და მიმზიდველი.

გამოუვალმა ტრაგიკულმა მდგომარეობამ ფედრას სიყვარული სიძულვილად აქცია და დაღუპა იგი. რასინის ფედრა და იპოლიტე თავიანთი ბუნებრიობით, უმანკოებითა და სათნოებით მიმზიდველნი არიან, მკითხველის მეხსიერებაში მათი სახეები წარუშლელია.

პიერ კორნელს გმირობის გამომხატველ პოეტს უწოდებენ (ნაპოლეონი ამბობდა: „კორნელი რომ ჩემს დროს ცოცხალი ყოფილიყო, თავადობას მივანიჭებდიო"), ჟან რასინისათვის შეიძლებოდა გვეწოდებინა სიყვარულისა და ტანჯვის პოეტი. თუ კორნელის ნაწარმოებებში მამაკაცები სწყვეტენ ქალთა ბედს, რასინის შემოქმედებაში ქალები სწყვეტენ მამაკაცთა ბედს.

ა. ლუნაჩარსკის სიტყვებით რომ ვთქვათ: „რასინი შესანიშნა-

---

[1] ჟან რასინი, „ფედრა". 1958. გვ. 67, თარგმანი ფრანგულიდან პოეტ გიორგი სალუქვაძისა.

ეი, განსაცვიფრებელი ფსიქოლოგია. წმინდა და ნათელ ფერებში, ყოველგვარი რომანტიკის გარეშე, ის იპრება ადამიანის სულში და გვიჩვენებს გრძნობათა უწმინდეს ძაფებს, ყოველნაირი შინაგანი დისჰარმონიის თრთოლვას, შინაგანი ბრძოლის ელემენტებს, რომლებიც მსჭვალავენ ადამიანის სულს. განსაკუთრებით საოცარია რასინის ჩაწვდომა ქალის გულის სიღრმეში".[1]

ქართულ-ფრანგულ ლიტერატურულ ურთიერთობაში თავისი საპატიო ადგილი უჭირავს ჟან რასინს. ჯერ კიდევ ძველ ქართულ დრამატურგიულ მწერლობაში გვხვდება რასინის სახელი და მისი პიესები.

დავით ჩოლოყაშვილს ქართულად გადმოუკეთებია ჟან რასინის „იფიგენია ავლიდში" („ეფიღენია"). რასინს იხსენიებდნენ დაეით ბატონიშვილი და იასე გარსევანიშვილი.[2]

ალექსანდრე ჭავჭავაძე გატაცებული იყო ფრანგული კლასიცისტური ლიტერატურით, განსაკუთრებით პიერ კორნელისა და ჟან რასინის შემოქმედებით. როგორც პოეტი-აკადემიკოსი ი. გრიშაშვილი აღნიშნავს, ალექსანდრე ჭავჭავაძეს უთარგმნია რასინის ტრაგედიები „ესთერი" და „ფედრა". ი. გრიშაშვილი სამართლიანად შენიშნავს, რომ „ბიბლიურ თემაზე დაწერილი პიესა „ესთერი" განკუთვნილი იყო შინაური წარმოდგენისათვის, სადაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ სენ-სირის მონასტრის ქალიშვილებს. შესაძლოა, ა. ჭავჭავაძემ იცოდა ყოველივე ეს და ამ პიესის თარგმანით მასაც სურდა შინაური წარმოდგენის დადგმა, სადაც, ალბათ, მთავარ როლებს შეასრულებდნენ მაშინდელი ბრწყინვალე კნეინები, და მათ შორის ა. ჭავჭავაძის ასულნიც".[3]

---

1 А. В. Луначарский. История западноевропейской литературы в ее важнейших моментах. М., Л., 1930, გვ. 229.

2 ტ. რუხაძე. ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, თბ., 1949 წ.

3 ა. ჭავჭავაძე. თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, წიხათქმით, შენიშვნებით და ლექსიკონით, თბილისი, 1940, გვ. 338.

ჟან ბატისტ მოლიერი

(1622—1673)

მე ვიცნობ და მიყვარს მოლიერი ახალგაზრდობის წლებიდან. და მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში მისგან ვსწავლობდი.

გოეთე

მოლიერის მბატევრული შემოქმედებით აღფრთოვანებული დიდი რუსი კრიტიკოსი ბესარიონ ბელინსკი წერდა: „მოლიერმა ძალიან დიდი გავლენა მოახდინა მის თანამედროვე საზოგადოებაზე და აამაღლა ფრანგული თეატრი. ამის გაკეთება კი შეეძლო მხოლოდ ისეთ ადამიანს, რომელიც დაჯილდოებული იქნებოდა არა მარტო ტალანტით, არამედ გენიით".

სწორედ ამ ტალანტითა და გენიით შეძლო მოლიერმა გადაეღახა ეროვნული ლიტერატურის საზღვრები და გამხდარიყო ყველა ხალხისათვის მისაბაძი და საყვარელი მწერალი. მან თავისი უკვდავი შემოქმედებით, ღრმა ჰუმანიზმითა და ხალხურობით საყოველთაო მოწონება და პატივისცემა დაიმსახურა. მის მიერ დიდოსტატურად შექმნილი ტიპიური, „უნივერსალური სახეები", ინარჩუნებენ თავიანთ ძალას და მომხიბლაობას შემდგომ ეპოქებშიც და სხვა ქვეყნების მკითხველთა და მაყურებელთა აღტაცებას იწვევენ.

მოლიერი სცენური სახელია, რომელიც ფსევდონიმად ამოირჩია ოცი წლის ჟან ბატისტ პოკლენმა. იგი დაიბადა 1622 წლის 15 იანვარს ბურჟუის ოჯახში. მოლიერის მამას ჟაკ პოკლენს შპალერის მაღაზია ჰქონდა და ვაჭრობდა. ის გატაცებული იყო სიმდიდრით და მაღალ წრეებთან სიახლოვით, ბევრი კაპიტალი რომ დააგროვა, მეფის სასახლის კამერდინერი გახდა.

ათი წლის მოლიერს დედა გარდაეცვალა. ამ დროს ის სწავლობდა კლერმონის კოლეჯში, სადაც ეუფლებოდა ლათინურ ენას

და დედანში თავისუფლად კითხულობდა რომაელი მწერლების ნაწარმოებებს. ფრანგულ ენაზე თარგმნა ლუკრეციუსის პოემა „საგანთა ბუნებისათვის“. ის გატაცებული იყო აგრეთვე ბერძენი ფილოსოფოსების თხზულებებით. კოლეჯის დამთავრების შემდეგ მოისმინა ორლეანში იურიდიულ მეცნიერებათა კურსი და მიიღო იურისტის დიპლომი. ამ პერიოდში მოლიერმა გაიცნო ფრანგი მატერიალისტი ფილოსოფოსი პიერ გასენდი, რომლის მსოფლმხედველობამ გარკვეული გავლენა მოახდინა მის შემოქმედებაზე.

მოლიერს თავიდანვე იტაცებდა თეატრი. 1643 წელს მან თავის ახლო მეგობრებთან ბეჟარებთან ერთად შექმნა დასი და ჩამოაყალიბა ე. წ. „ბრწყინვალე თეატრი“. ამ თეატრის არსებობა ხანმოკლე აღმოჩნდა. 1645 წელს მოლიერი იძულებული გახდა მიეტოვებინა პარიზი და ბეჟარებთან ერთად მოხეტიალე კომენდიანტების მსგავსად პროვინციებში წასულიყო და იქ ეძია თავისი ბედი. მისმა დასმა მოიარა საფრანგეთის ბევრი ქალაქი. საფრანგეთის პროვინციებში გამგზავრება მოლიერისათვის ნაყოფიერი გამოდგა. აქ გამოიწრთო მოლიერის დიდი სამსახიობო ნიჭი, აქ ჩამოყალიბდა ის, როგორც გენიალური მეამბოხე დრამატურგი, აქ შეიძინა მან ცხოვრების მდიდარი გამოცდილება და ყოველმხრივ მომზადებული დაბრუნდა 1658 წელს თავის მშობლიურ ქალაქ პარიზში.

თავისი ცხოვრების უკანასკნელ თოთხმეტ წელიწადში მოლიერმა შექმნა ოცდაათზე მეტი კომედია, რაც წარმოადგენს მსოფლიო დრამატურგიის ოქროს ფონდს.

მოლიერი გარდაიცვალა მოულოდნელად 1673 წლის 17 თებერვალს, თავისი პიესის „ეჭვით ავადმყოფის“ მეოთხედ წარმოდგენისას, რომელშიც ის მთავარი მოქმედი გმირის არგანის როლს ასრულებდა. ფინალური სცენის დროს ძალიან ცუდად გახდა, სპექტაკლი ძლივს მიიყვანა ბოლომდე, შემდეგ სასწრაფოდ წაიყვანეს შინ, სადაც მალე გარდაიცვალა ორმოცდათორმეტი წლის ასაკში.

მოლიერის მგზნებარე სიცოცხლე შეწყდა მისთვის ყველაზე ძვირფას და საყვარელ ადგილას — სცენაზე, ჩაქრა გენიალური პიროვნების ცხოვრების ლამპარი, მაგრამ არ ჩამქრალა ის ცეცხლი, რომელიც მან თავისი შემოქმედებით დაანთო, და რომელიც უფრო და უფრო გიზგიზებს საზოგადოებრივი ცხოვრების მანკიერებათა ამოსაწვავად.

— ეს დიდი ადამიანი, — ბალზაკის სიტყვებით რომ ვთქვათ, — გარდაიცვალა მაშინ, როცა მისი გენია სრულ აყვავებას განიცდიდა, და მზად იყო ახალი შედევრების შესაქმნელად.

მსოფლიოს ხალხებში მოლიერის ტალანტისა და გენიისადმი ღრმა სიყვარული და პატივისცემა, რაც დრო გადის უფრო ღრმაედება და ფართოვდება. მოლიერი კიდევ უფრო მეტად შარავანდმოსილია, ის კიდევ უფრო ამაყად ყელმოღერებული დგას მსოფლიო დრამატურგიის ცის ტატნობზე.

საფრანგეთის ეროვნულ მეცნიერებამ ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში ყველაზე დიდ ავტორიტეტს ბუალოს ჰკითხა: ვინ უფრო ნეტად აშშვენებს ჩვენს ქვეყანას. ბუალომ უყოყმანოდ და გადაჭრით უპასუხა — მოლიერი. „პოეტური ხელოვნების“ სახელგანთქმული ავტორი არ შემცდარა. მოლიერი თავისი უკვდავი მხატვრული შემოქმედებით ამშვენებდა არა მარტო თავის დროს, სამშობლოსა და ხალხს, იგი ამშვენებდა და კვლავაც ამშვენებს ყველა დროს, ყველა ქვეყანასა და ხალხს.

პირველი ერთმოქმედებიანი კომედია პროზად, რომელიც მოლიერმა პარიზში დაბრუნების შემდეგ დაწერა და დადგა, იყო „სასაცილო პრანცია ქალები“ (1659), წოქმედება ხდება პარიზში გორჟიბუსის სახლში. სპექტაკლმა მოხიბლა მაყურებელი. პიესაში გამოთქმული აზრები მთელ პარიზს მოედო, ე. წ. „პრეციოზული სტილის“ წინააღმდეგ გაბედულმა გალაშქრებამ ყველანი გააოცა.

„სასაცილო პრანცია ქალებში“ წამოყენებული სიყვარულისა და ქორწინების პრობლემას მოლიერი უფრო ფართოდ და ღრმად აშუქებს კომედიებში „ქმართა სკოლა“ (1661) და „ცოლთა სკოლა“ (1662), რომლებიც დაწერილია ლექსად. აღსანიშნავია, რომ მწერალი იცავს ადამიანის ბუნებრივ უფლებებს და მოთხოვნილებებს, მაღალ საზოგადოებრივ მორალს და კიცხავს ძალადობას, მატერიალურ ანგარებას, ეგოისტურ ინტერესებს.

ფრანგული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარები მოლიერის შემოქმედებას ჰყოფენ სამ პერიოდად, რომლის მიხედვითაც პირველ პერიოდს განეკუთვნება ზემოდასახელებული პიესები და სხვ. შეორეს — მოლიერის შემოქმედების შედევრები: „ტარტიუფი ანუ მუსმუზელა“ (1664), „დონ ჟუანი ანუ ქვის სტუმარი“ (1665) და „მიზანთროპი“ (1666).

მესამეს კი — „ძალად ექიმი“ (1666), „სიცილიელი ანუ სიყვარული მხატვრობს“ (1667), „ჟორჟ დანდენი ანუ გასულელებული ქმარი“ (1668), „ძუნწი“ (1668), „ბატონი დე პურსონიაკი“ (1669), „სკაპენის ცუოლუტობა“ (1670), „გაზნაურებული მდაბიო“ (1670), „ეშვით ავადმყოფი“ (1673) და სხვ.

მოლიერის შემოქმედებით გზაზე მეორე პერიოდი მწვერვალია. „ტარტიუფი“, „დონ ჟუანი“ და „მიზანთროპი“ წარმოადგენს თავისებურ ტრილოგიას“, მაგრამ არა იმ გაგებით, რომ მათ ერთნაი-

ტრი სიუჟეტი აქვთ და ერთმანეთის გაგრძელებას წარმოადგენენ, არამედ იმით, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების უკუღმართობით აღშფოთებული მოლიერი თავისი ბასრი მხატვრული კალმით კიდევ უფრო დიდი დიაპაზონით გამოდის მისი თანამედროვე საზოგადოების მთელი მანკიერების წინააღმდეგ. ამ კომედიებში სოციალურ ბოროტებათა მხილება და კრიტიკა უფრო ღრმა, უფრო ძლიერი და უფრო ფართო მასშტაბისაა. ეს ნაწარმოებები ე. წ. „მაღალ კომედიის“ ნიმუშებია. ტარტიუფი, დონ ჟუანი და ალსერტი უნივერსალური ტიპიური სახეებია.

„ტარტიუფი“ ხუთმოქმედებიანი კომედიაა და დაწერილია ლექსად. ნაწარმოებში წარმოდგენილია პარიზელი ვაჭრის ორგონის ოჯახი. ამ ოჯახში შესული ტარტიუფი თავისი ფარისეველური და თვალთმაქცური ღვთისმოსაობით ყველას მოტყუებას და დამონებას ცდილობს. ტარტიუფმა ისე დააბრმავა ორგონი, რომ მთელ თავის ქონებას მას უფორმებს. ორგონი ტარტიუფს ძმად თვლის, ეთაყვანება, ყველაფერს უჯერებს, მზად არის თავისი ქალიშვილიც კი მას მიათხოვოს, ეს იმ დროს, როცა უზნეო და თაღლითი ტარტიუფი ორგონის ცოლს ეარშიყება. ორგონის დედასაც ჭვრივ პერნელს ტარტიუფი წმინდა ადამიანად, ღვთისნიერ კაცად მიაჩნია.

ორგონის ცოლი ელმირა, ვაჟი დამისი, ქალიშვილი მარიანა, მისი საქმრო ვალერი, ელმირას ძმა კლეანტი, მარიანას მოახლე დორინა, აშკარად ხედავენ, რომ ტარტიუფის პატიოსნება, კეთილკაცობა, ღვთისმოსაობა, თავმდაბლობა, მოჩვენებითია, ყალბია. ეს არის ძველი იარაღი სასულიერო პირებისა, თავიანთი მზაკვრული მიზნების განხორციელებისათვის. ტარტიუფი საშინელი ტიპია თავისი ბნელი ზრახვებით. ტარტიუფის მთელი დანაშაულობანი გამოაშკარავდება, რის შედეგადაც მას აპატიმრებენ.

ტარტიუფი სრულიად ორიგინალური სახეა მოლიერის გმირთა გალერეაში. ის ცბიერი, გაქნილი, ფარისეველი ადამიანია. მას საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ტაქტიკა აქვს, რომლითაც ჰქმნის თავისთვის საჭირო და სასარგებლო გარემოს.

მას ეხერხება ადამიანის სუსტი ადგილების გამოცნობა, თავის პიროვნების სულ სხვანაირად ჩვენება, თავის თავის შენიღბვა. ყოველივე ამით ხანგრძლივი დროის მანძილზე ტარტიუფი აღწევს წარმატებას. ტარტიუფში მოლიერმა შეაერთა ადამიანის თითქმის ყველა უარყოფითი თვისება. ის მთლიანად უარყოფითი სახეა, საშინელი ადამიანია: ტარტიუფი არის თვალთმაქცი, პატივმოყვარე, თავხედი, ხარბი, ზნედაცემული, ინტრიგანი, აგენტი, ქურდი, ადამიანი, რომელიც არაფერს არ თაკილობს. ტარტიუფის სახით მო-

ლიერმა თავისი დროის საზოგადოებრივი ცხოვრების მთელი მანკიერება გვიჩვენა.

მოლიერმა „ტარტიუფით“ გამანადგურებელი დარტყმა აგემა მეჩვიდმეტე საუკუნის საფრანგეთის აბსოლუტურ მონარქიას, სამღვდელოებას, რელიგიას. ტარტიუფი იქცა უნივერსალურ მხატვრულ სახედ, ტარტიუფობა გახდა ფარისეველობისა და თვალთმაქცობის სინონიმი.

„დონ ჟუანი“ პროზად დაწერილი ხუთმოქმედებიანი კომედიაა: მოქმედება წარმოებს სიცილიაში, რომელიც ამ დროს ესპანეთს ეკუთვნოდა. სიუჟეტი აღებულია ესპანური ლეგენდიდან ერთი ამორალური აზნაურის დონ ხუან დე ტენორიოს შესახებ, რომელიც სარგებლობდა თავისი თანამდებობითა და სილამაზით, იტაცებდა ქალიშვილებს, უპატიოსნოდ ექცეოდა მათ და ტოვებდა ბედის ამარა.

დონ ხუანმა სიცოცხლეს გამოასალმა მოხუცი კომანდორი, რომელიც თავის ქალიშვილს გამოესარჩლა. კომანდორს გულშემატკივრებმა ქვის ქანდაკება აუმართეს საფლავზე. დონ ხუანის უხამსი საქციელით შეძრწუნებულებმა ბერებმა მიიტყუეს იგი მონასტერში და მოკლეს. ამ საქმის კვალის დასაფარავად გაავრცელეს ხმა, თითქოს დონ ხუანმა შეურაცხჰყო კომანდორის ქანდაკება და გაცოცხლებულმა ქანდაკებამ იგი მიწაში შთანთქა.

მოლიერმა ორიგინალურად გამოიყენა ეს ლეგენდა. მისი ნაწარმოების მთავარი გმირი დონ ჟუანი მეჩვიდმეტე საუკუნის საფრანგეთის თავადაზნაურობის ტიპიური წარმომადგენელია. მან გაიცნო, დაუახლოვდა და კიდევაც შეირთო დონა ელვირა, მაგრამ შემდეგ მიატოვა. დაუსჯელობით გათამამებული ატყუებს საბრალო სოფლელ ქალიშვილებს და აცდენს მათ ცხოვრების წესიერი გზიდან. არაფერი არ მოქმედებს მასზე, არავინ არ ებრალება. მისთვის ქალი მხოლოდ ვნებათა დაკმაყოფილების ობიექტია.

დონ ჟუანის ასეთ უმსგავსო საქციელს კრიტიკულად უყურებენ მისი მამა დონ ლუისი და მსახური სგანარელი.

დონ ჟუანი იმდენად გათავხედებულია, რომ უარს ეუბნება თავის მევალეებს. ერთხელ მან გადაარჩინა უცნობი აზნაური, რომელიც ელვირას ძმა — დონ კარლოსი აღმოჩნდა. დონ კარლოსი სწორედ მას დაეძებდა შურისძიებისათვის, მაგრამ დონ ჟუანმა მოახერხა მასთან შერიგება. ნაწარმოებს ისეთივე ფინალი აქვს, როგორც ლეგენდას.

მოლიერის დონ ჟუანი თავისებურად ახალი სახეა. ის სხვა მდგომარეობასა და პირობებში ტარტიუფს მოგვაგონებს, განსაკუთრებით თავისი ცბიერებით, პირმოთნეობითა და ფარისეველო-

ბით. ამავე დროს მას გააჩნია დადებითი თვისებებიც. საჭირო შემთხვევაში ემარჯვება რაინდული შემართება, გონებამახვილი და განათლებულია, ზოგჯერ მას თავისუფალი აზროვნება ახასიათებს: დასცინის თავისი დროის კანონს, რომელიც გამოგონილია სუსტების დასაჩაგრავად და ძლიერების დასაცავად. მასხრად იგდებს მორალურ კოდექსებს, რელიგიას თელის პირმოთნეობისა და თვალთმაქცობის იარაღად. ის ტრაბახობს თავისი ათეისტური მრწამსით, მაგრამ მათხოვარს ოქროთითაც ვერ აიძულებს ღმერთი აუგად ახსენოს. საბოლოოდ კი ყველაფერი ეს მაინც გარეგანი ბრჭყვიალა ფასადია დონ ჟუანის ამორალური, მტაცებელი პიროვნებისა. მოლიერი აშიშვლებს თავისი გმირის მთელ მანკიერებას და ამით ამხელს მთელი იმ კლასის მანკიერებას, რომლის წარმომადგენელიც ის არის.

„მიზანთროპი" ხუთმოქმედებიანი კომედიაა დაწერილი ლექსად. მოქმედება მიმდინარეობს პარიზში. მთავარი მოქმედი გმირი ალესტი მაღალი ინტელექტის კაცთმოყვარე ფილოსოფოსი, ალალი, პატიოსანი და პრინციპული ადამიანია. ის გაიცნობს, დაუახლოვდება და შეიყვარებს არისტოკრატიული წრის კეკლუც ქალიშვილს სელიმენას. თითქოს ყველაფერი კარგად მიდის, მაგრამ აღმოჩნდება, რომ ალესტისათვის ასე ძვირფასი და საყვარელი ქალიშვილი ფუქსავატი, ქარაფშუტა და ცბიერია, რომელიც ცხოვრების მიზანს მხოლოდ სიამტკბილობასა და გართობაში ხედავს.

ალესტი გრძნობს არსებული საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ მანკიერებას. ხედავს „ლექსების მოხელე" ორონტს როგორ აქებენ პირში და როგორ დასცინიან ზურგს უკან, ხედავს ადამიანთა თვალთმაქცობას, მატყუარობას, ეგოიზმს, სასამართლოს, პოლიციის, მთელი სახელმწიფო აპარატის დაკნინებას, უსამართლობას. იგი ააშკარავებს ყველაფერს, მაგრამ, სამწუხაროდ ამ ბრძოლაში ალესტი მარტოა, მისი ახლო მეგობარი ფილენტიც კი არ ეთანხმება მას, პირიქით საწინააღმდეგო პოზიცია უჭირავს. ფილენტი ყოველივეს შეგუების მომხრეა, რადგან, მისი აზრით, სხვანაირად შეუძლებელია საზოგადოებაში ცხოვრება.

სელიმენაც ყოველ ნაბიჯზე ატყუებს ალესტს. ალესტი სელიმენას ბევრ რამეს უთმენს, ბოლოს რომ გამოასწოროს, თხოვს მიატოვოს არსებული წრის ხალხი და გაჰყვეს ცოლად. სელიმენა უარს ეუბნება. მაშინ ალესტი გადაწყვეტს გასცილდეს ამ აუტანელ, ფარისეველ, განუკურნებელი სენით დაავადებულ საზოგადოებას და დაიმკვიდროს ბინა ისეთ ადგილას, სადაც გულწრფელ და პატიოსან ადამიანს თავისუფლად შეეძლება ცხოვრება.

ნაწარმოებში საზოგადოებრივი უსამართლობის წინააღმდეგ

ამხედრებულ ალესტს უპირისპირდება მისი მეგობარი ზომიერი და მორჩილი ფილენტი „ოქროს შუალედის“ გამომხატველი. ალესტისა და ფილენტის ერთმანეთთან შეჯახება წარმოადგენს პიესის ერთ-ერთ სიუჟეტურ ხაზს.

ალესტი დონ კიხოტს მოგვაგონებს, როცა ის რეალურ სინამდვილეს სათანადო ალღოს ვერ უღებს, ვერ იხედება ცხოვრების სიღრმეში და ბეღურებს ზარბაზნებს ესვრის. ალესტი წარმოგვიდგება ჰამლეტის სახით, როცა ის თავის ირგვლივ გამეფებულ უსამართლობაში და პირად ტანჯვებში, საკაცობრიო სამართლიანობის დარღვევას ხედავს.

ალესტი რთული ბუნებისაა. არსებითად ალესტი არაა მიზანთროპი, რადგან ის იბრძვის არა საერთოდ ადამიანთა მოდგმის წინააღმდეგ, არამედ არსებული საზოგადოებრივი ცხოვრების წინააღმდეგ. ალესტს სძულს მაღალი წრის პირმოთნე, თვალთმაქცი ადამიანები და უყვარს ხალხი; გავიხსენოთ როგორ მტკიცედ და ხალისით გამოვიდა ის ძველი ხალხური სიმღერის დასაცავად.

ალესტი ტრაგიკომიკური სახეა. ჰუმანისტმა მოლიერმა ბევრი თავისი აზრი და გრძნობა ჩააქსოვა ალესტის პიროვნებაში. ალესტის ტრაგედია, ესაა დიდი გაქანების ადამიანის ტრაგედია აბსოლუტიზმის სულისშემხუთველ ატმოსფეროში.

მოლიერის შემოქმედების მესამე პერიოდის პიესებიდან აღსანიშნავია „ძალად ექიმი“, პროზად დაწერილი სამმოქმედებიანი კომედია. მოლიერმა აქ მისთვის ჩვეული მხატვრული ოსტატობით გამოიყენა ძველი ფრანგული ფაბლიო „გლეხ-ექიმზე“ და შექმნა საუცხოო ორიგინალური ნაწარმოები. მთავარი მოქმედი გმირი სგანარელია, იგი ხის მჭრელია, ხშირად ლოთობს და ცოლს მარტინას სცემს ხოლმე. სგანარელი ადრე ექიმთან მსახურობდა და ცოტაოდენი ლათინური იცის. მარტინას გადაწყვეტილი აქვს სამაგიერო გადაუხადოს თავის ქმარს. ამ დროს აქ მოსული ორი კაცი ეძებს ისეთ ექიმს, რომელიც დამუნჯებულ ადამიანს აალაპარაკებს. მარტინამ მაშინვე მიუთითა თავის ქმარზე, მაგრამ ისინი გაიფრთხილა, წინასწარ თუ მაგრად არ სცემეთ, ისე მკურნალობას არ დაიწყებსო. მართლაც ასე მოიქცნენ, ღონემიხდილი სგანარელი დათანხმდა.

სგანარელს საიდუმლოდ გააგებინეს, რომ ლუცინდამ მუნჯობა მოიგონა იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინა საშინელი ქორწინება. შემდეგ კი გაჰყოლოდა თავის საქმროს ლეანდრს.

სგანარელმა შეიფერა ძალად ექიმობა და დაიწყო ავადმყოფების მიღება, მათი მოტყუება და ფულის აღება. ნამდვილად კი არაფერი გაეგება ექიმობის.

სგანარელი თავხედურად გაიძახის: „რადგანაც კარგად მიდის საქმე (ე. ი. ახერხებს ადამიანთა მოტყუებას), მე გადავწყვიტე მაგრად ჩავუჯდე ხელი ამ მედიცინას. ჩემი აზრით, ეს საუკეთესო ხელობაა. სულ ერთია, ცუდად მუშაობ, თუ კარგად, მაინც ერთნაირად ხარ დაჯილდოებული. ცუდი ნამუშევრისათვის პასუხს არავინ გეკითხებინება. ისე ვჭრით და ისე ვკერავთ, როგორც მოგვესურვება... შეცდომები ჩვენთვის არ არსებობს და დამნაშავე ყოველთვის ის არის, ვინც კვდება. ამ პროფესიის ღირსება იმაშია, რომ გარდაცვალებულებს ახასიათებთ იშვიათი თავშეკავება და ზრდილობა; არასოდეს არ მომხდარა, რომ მკვდარმა უჩივლოს ექიმს, რომელმაც ის სიცოცხლეს გამოასალმა".

მოლიერს მძაფრი სარკაზმით მზის სინათლეზე გამოჰქონდა თავისი დროის მედიცინის მანკიერებანი, უვიცი და გაიძვერა ექიმების ბნელი საქმეები. ამ მხრივ აღსანიშნავია აგრეთვე კომედიები: „მფრინავი ექიმი", „სიყვარულის მკურნალი", „ბატონი დე პურსონიაკი", „ეჭვით ავადმყოფი".

სამმოქმედებიანი კომედია — ბალეტი „ეჭვით ავადმყოფი" დაწერილია პროზად. მესამე ინტერმედია, რომელიც წარმოადგენს ახალგაზრდა ექიმების მიღების ცერემონიალს, დაწერილია ლექსად. კომედიის „ეჭვით ავადმყოფის" მთავარი მოქმედი გმირი, არგანია. ის სულ წამლებზე ფიქრობს, რადგან „ავადმყოფი და უძლური კაცია". ექიმებს არ იკლებს, მათი ყველაფერი სჯერა. ასევე სწამს არგანს მეაფთიაქე ფლერანის და თავისი მეორე ცოლის ბელინისა. ამ ადამიანებმა არგანი „საწველ თხად" აქციეს. არგანს უნდა, რომ ქალიშვილი მიათხოვოს თავისი ექიმის ვაჟს, რომელიც მომავალი ექიმი იქნება. არგანის მეორე ცოლი ეფერება და ელოლიავება ქმარს, გულში კი სულ იმას ფიქრობს, რომ არგანი მალე გარდაიცვალოს და მისი მემკვიდრეობა მას დარჩეს. არგანის ეჭვით ავადმყოფობა მძიმე მდგომარეობაში აყენებს ყველას. ბოლოს მოსამსახურე გოგო ტუანეტი ურჩევს არგანს თვითონ გახდეს ექიმი, მოიპოვოს ექიმის წოდება და ყოველგვარი ავადმყოფობა მოიცილოს. ამ რჩევას არგანი დაიჯერებს, მას ექიმად აკურთხებენ, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მოლიერის მიერ ჩაფიქრებულ მწვავე სატირას გაიძვერა ექიმებზე.

მომავალი ბურჟუაზიისა და წარმავალი თავადაზნაურობის ურთიერთობის თემაზე მოლიერმა შექმნა რამდენიმე კომედია, რომელთაგან პირველ რიგში აღსანიშნავია „ჟორჟ დანდენი ანუ გასულელებული ქმარი". იგი სამმოქმედებიანია და დაწერილია პროზად. მოქმედება მიმდინარეობს ჟორჟ დანდენის სახლის წინ სოფელში.

გამდიდრებული გლეხი ჟორჟ დანდენი ითხოვს ცოლად გაღარიბებული სოფლელი აზნაურის ქალიშვილს ანჟელიკას. ამით სურს დაუახლოვდეს მაღალ არისტოკრატიულ წრეებს და თავი მოიწონოს. ანჟელიკას და მის მშობლებს კი უნდათ ისარგებლონ ჟორჟ დანდენის სიმდიდრით. ანჟელიკა ღალატობს ქმარს. მას უყვარს აზნაური კლიტანდრი. ანჟელიკასა და მის მშობლებს თავი მოაქვთ თავიანთი წარმოშობით, ისინი ჟორჟ დანდენისაგან მოითხოვენ განსაკუთრებულ მოპყრობას და პატივისცემას. ანჟელიკა ყოველ ფეხის ნაბიჯზე ატყუებს, ამასხარავებს და რქებს აბამს თავის ჩერჩეტ ქმარს. მოტყუებული და დამცირებული ჟორჟ დანდენი ინანიებს თავის შეცდომას, წინდაუხედავ ქორწინებას და თავის თავს ეუბნება: „ახია შენზე ჟორჟ დანდენ! რისი ღირსიც იყავი, სწორედ ის მოგივიდა".

ჟორჟ დანდენი უხეში და აუტანელი ადამიანია. მან ფულით იყიდა ანჟელიკა. ჟორჟ დანდენი რქადადგმული, მესაკუთრე ქმარია. მას მოლიერი კი არ თანაუგრძნობს, არამედ დასცინის.

იგივე თემა გაბურეუაზებულ ადამიანზე, რომელსაც უნდა როგორმე მოხვდეს თავადაზნაურულ წრეში, უფრო ღრმად და ფართოდ არის ასახული მოლიერის ხუთმოქმედებიან კომედია-ბალეტში „გააზნაურებული მდაბიო". იგი დაწერილია პროზად. მთავარი მოქმედი გმირი ბატონი ჟურდენი, გაუნათლებელი კაცია, უთავბოლო ლაპარაკი იცის, ყოველ სისულელეს აღტაცებაში მოჰყავს. ჟურდენი მდიდარია და ვერ ურიგდება თავის სოციალურ მდგომარეობას. რადაც უნდა დაუჯდეს სურს თავადაზნაურებს მიბაძოს, მათ დაუახლოვდეს და დაუკავშირდეს, გახდეს აზნაური, რადგან მისი აზრით „თავადაზნაურობა პატიოსანი საზოგადოებაა".

ჟურდენი ცდილობს შეითვისოს აზნაურთა ქცევა და მანერები, შეისწავლოს მუსიკა, ცეკვა, ფარიკაობა, ფილოსოფია და ამრიგად მიიღოს სათანადო განათლება. ამ მიზნით ის კიდევაც მოიწვევს მასწავლებლებს და საქმეს შეუდგება, მაგრამ ეს მასწავლებლები გაიძვერა და ვერაგები აღმოჩნდებიან, რომლებიც ბოროტად იყენებენ ჟურდენის სურვილებს და მიამიტობას, ასულელებენ და ატყუებენ მას.

პატიოსან მდაბიო ახალგაზრდას კლეონტს გულწრფელად უყვარს ჟურდენის ქალიშვილი ლიუსილი. ჟურდენი წინააღმდეგია მათი ქორწინებისა, რადგან უნდა ქალიშვილი რომელიმე აზნაურს გაატანოს. მაშინ კლეონტი გადაიცვამს თურქულ ტანსაცმელს და წარდგება მათ წინაშე როგორც ხონთქრის ვაჟი. გულუბრყვილო ჟურდენი დათანხმდება ქორწინებას.

თავისი გონებრივი შეზღუდულობის გამო ჟურდენი ვერ ამჩნევს, რომ არისტოკრატები დორანტი და დორიმენი თვალთმაქცი და მუქთახორა ადამიანები არიან, რომლებიც ელაქუცებიან მას და ფულებს სცინცლავენ.

ნაწარმოებში დადებით გმირებად წარმოდგენილია კლეონტი და ლიუსილი, რომლებიც ადამიანში პირად ღირსებებს ყველაფერზე მაღლა აყენებენ. კლეონტი სამარცხვინოდ თვლის აზნაურის წოდების მითვისებას. მისი სამართლიანი აზრით, პირმოთნეობა, ცბიერება, მოტყუება ადამიანს ძალიან ამცირებს, იმიტომ, რომ ეს საშინელი უსინდისობაა. ის გულახდილად აცხადებს: „აზნაური არ გახლავართ".

ამბებსა და მოვლენებს საღად, რეალურად უყურებენ ქალბატონი ჟურდენი და მსახური ქალი ნიკოლი. ქალბატონი ჟურდენი ყოველთვის თავისი ოჯახის ინტერესების სადარაჯოზეა. ის ქმარს კიცხავს იმის გამო, რომ უყაირათოდ ფანტავს თავის ქონებას და მტაცებელ სტუმრებს სახლიდან ითხოვს.

ხუთმოქმედებიანი კომედია „ძუნწი" დაწერილია პროზად, მოქმედება ხდება პარიზში, ჰარპაგონის სახლში. მისი მოკლე შინაარსი ასეთია: ჰარპაგონის ქალიშვილს ელიზას და ვალერის ერთმანეთი უყვართ, ჰარპაგონის ვაჟს კლეანტს კი ღარიბი გოგონა მარიანა მოწონს. ოჯახის უფროსს ჰარპაგონს სურს ცოლად შეირთოს ლამაზი მარიანა. ვაჟს მდიდარი ქვრივი მოგვაროს, ქალიშვილი ვინმე მოხუცს გაატანოს.

მოხერხებული მაჭანკალი ფროზინა შლის ძუნწი ჰარპაგონის უცნაურ გეგმებს. ფულით გატაცებამ ჩაკლა ჰარპაგონის პიროვნებაში მამობრივი სიყვარული, დაარღვია მისი ოჯახი, მის წინააღმდეგ გამოვიდნენ არა მხოლოდ მზარეული და მეეტლე ჟაკი, კლეანტის მსახური ლაფლეში, არამედ შვილები და მათი შეყვარებულები. ბოლოს გამოირკვა, რომ ვალერი ყოფილა მდიდარი კაცის ანსელმის შვილი, მარიანა — მისი და. კომედიის დასასრულს ჰარპაგონს დაუბრუნდება ფულიანი ყუთი, ელიზას ითხოვს ვალერი, კლეანტი დაქორწინდება მარიანაზე.

ჰარპაგონის მთავარი და ერთადერთი თვისება სიძუნწეა. ჯერ კიდევ პუშკინმა სთქვა, რომ „მოლიერის ძუნწი, ძუნწია და მეტი არაფერიო".

„ძუნწში" ასახულია ფულის ყოვლად გამრყვნელი ძალა ადამიანებზე, მორალზე, ოჯახზე, საზოგადოებრივ ურთიერთობაზე. ჰარპაგონი ამბობს: „ფული ჩემი სისხლხორცი, ჩემი გულღვიძლიაო". მას თავის ოჯახში სასტიკი, აუტანელი რეჟიმი აქვს შემოღებული, ყველას უბრძანებს: „ავეჯი ბევრი არ ხეხოთ, გაცვდება,

ნურავის დაალევინებთ ღვინოს, სანამ რამდენჯერმე არ მოითხოვოს, ახალ ტანსაცმელს ხშირად ნუ ჩაიცვამთ, გაფუჭდება, ნასუფრალზე თვალი გეპიროთ, არა წახდეს რა". ჰარპაგონს სიტყვა „მიეცი" ისე ეჯავრება, რომ არასოდეს არ იტყვის: სალამი მიმიცია. საკუთარი ეტლი რომ დაემტვრა, მის შესაკეთებლად ფული არ გაიმეტა. თავის ცხენებს ნაკლებად კვებავს, ფულის დახარჯვის შიშით. ღამე ლაპარაკის დროს სინათლეს აქრობს, რადგან ლაპარაკი სიბნელეშიც შეიძლება და ხარჯიც ნაკლები იქნება და სხვ.

მოლიერმა სიძუნწე გამოხატა როგორც სოციალური ბოროტება. ამავე დროს მან გვიჩვენა ღრმა წინააღმდეგობა ძუნწი ადამიანის ფსიქოლოგიაში, რომლის შესახებ კ. მარქსი თავის „კაპიტალში" წერს: „კაპიტალისტის მფლანგველობას არასოდეს არა აქვს ისეთი გულღია ხასიათი, როგორც დარდიმანდი ფეოდალის მფლანგველობას და მის წიაღში, პირიქით, მუდამ იმალება უაღრესად ბინძური სიძუნწე და წვრილმანური ანგარიშიანობა, ...კაპიტალ-ინდივიდის კეთილშობილ გულში იმავედროულად ვითარდება ფაუსტისებური კონფლიქტი დაგროვებისადმი მისწრაფებასა და სიამოვნების წყურვილის შორის".[1]

სწორედ ჰარპაგონს ახასიათებს „უაღრესად ბინძური სიძუნწე და წვრილმანური ანგარიშიანობა", „ფაუსტისებური კონფლიქტი დაგროვებისადმი მისწრაფებასა და სიამოვნების წყურვილს შორის", რომელიც განუწყვეტლივ ღრღნის მის გამოფიტულ გულს.

ძალიან მხიარული კომედიაა მოლიერის „სკაპენის ცუღლუტობა" — პროზად დაწერილი სამმოქმედებიანი პიესა. მოქმედება ხდება ნეაპოლში. არგანტის შვილი ოქტავი შემთხვევით შეხვდება ობლად დარჩენილ ლამაზ ქალიშვილს გიაციანტის და შეუყვარდება. მამის დაუკითხავად კიდევაც ჯვარს დაიწერს მასზე. არგანტი განრისხდება, მაგრამ ჭკვიანი, მოხერხებული და გაბედული სკაპენი სხვადასხვა ოინებით საქმეს კარგად დაამთავრებს. ჟერონტის ვაჟს ლეანდრს, რომლის მსახური სკაპენია, უყვარს არგანტის ქალიშვილი ზერბინეტი. აქაც მძიმე მდგომარეობაა შექმნილი მშობლების მხრივ, მაგრამ მარდი სკაპენი თავისი მჭევრიანი ენერგიით ჩაერევა საქმეში და ყველაფერს კეთილად დააბოლოებს.

როგორც ვხედავთ, ნაწარმოების მთავარი მოქმედი გმირი უბრალო ადამიანი, მსახური სკაპენია, რომლის გამჭრიახ გონებასა და მოქმედებასთან დაკავშირებულია კომედიის ყველა რგოლი. მოლიერი ხშირად სარგებლობდა ფრანგული ხალხური ფარსებით და სწორედ აქედან იღებდა მაცოცხლებელ, დემოკრატიულ ძალა-

[1] კარლ მარქსი, „კაპიტალი", ტ. 1, თბილისი, 1954 წ., გვ. 749.

სა და ძლიერებას მისი კომედიები. ამავე დროს მოლიერი იყენებდა იტალიურ ნიღბთა კომედიის ხერხებსაც. ყოველივე ამის ერთ-ერთი საუცხოო ნიმუშია „სკაპენის ცუღლუტობა".

მოლიერს ეჯავრება წარმავალი, პარაზიტული, მუქთახორა, თვალთმაქცი კლასი, უყვარს და პატივსცემს შემოქმედ მშრომელ ხალხს, სიცოცხლისუნარიანსა და თავისუფლებისმოყვარეს, ჭკვიანსა და პატიოსანს, პირდაპირსა და მართალს. ხალხის დაბალი ფენებიდან გამოსული ადამიანები მოლიერის შემოქმედებაში ყველგან ფაქიზად და სიმპათიით არიან წარმოდგენილი, ისინი მკითხველებსა და მაყურებლებში შეუნელებელ ინტერესს იწვევენ.

კლასიციზმის თეორეტიკოსი ბუალო, რომელიც დიდად აფასებდა მოლიერის შემოქმედებას, უსაყვედურებდა მას „ხალხთან გადაჭარბებულ სიახლოვეს". გამოჩენილი კრიტიკოსის აზრით, მოლიერი ამცირებდა თავის ნიჭს, როდესაც ასე უხვად იყენებდა ხალხურ შემოქმედებას, კერძოდ ფარსებს.

ბუალოს შენიშვნები მოლიერის მიმართ, ძირითადად იყო მისი თავადაზნაურული იდეოლოგიის („შეისწავლეთ სასახლე და გაეცანით ქალაქს") გამოხატულება, რაშიც ნათლად გამოჩნდა ამ დიდ მწერლებს შორის არსებითი მსოფლმხედველობრივი განსხვავება.

* *

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ინტერესით კითხულობენ და დგამენ ახალი დროის უდიდესი ფრანგი კომედიოგრაფის მოლიერის პიესებს. ამ ქვეყნებს შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს საქართველოს, სადაც უკვე მეცხრამეტე საუკუნის 50-იანი წლებიდან, როგორც კი აღორძინდა ქართული თეატრი, დაიწყო მოლიერის დრამატურგიული შედევრების თარგმნა და მათი წარმატებით დადგმა ქართულ სცენაზე.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული კულტურის მესვეურები ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი დიდ ამოცანებს უყენებდნენ ქართულ თეატრს. ისინი მუდამ, სიტყვითა და საქმით აქტიურად მონაწილეობდნენ ქართული ეროვნული თეატრის წინსვლასა და განვითარებაში. ეროვნული თეატრი, როგორც სახალხო სკოლა მათი მუდმივი ყურადღებისა და ზრუნვის საგანი იყო. ილია და აკაკი თეატრს თელიდნენ ტრიბუნად, საიდანაც შეიძლება ერს დაანახვო თავისი თავი და აღაგზნო იგი უკეთესი მერმისათვის საბრძოლველად.

ილია წერდა: „სცენა იგივე სკოლაა, რომელიც ცხოველის სურათებით ელაპარაკება კაცის გულსა და ჭკუასა... სცენა ხალხის მწვრთნელი, ხალხის გამზრდელი უნდა იყოს".

აკაკი ამბობდა: „თეატრი საზოგადოდ უმაღლესი სასკოლო სარბიელია, საიდანაც ხელოვნურად შეზავებული, სარგო და იმავე დროს სასარგებლო რამ, მსმენელ-მაყურებლებს გრძნობა-გონებას უხიბლავს და ცხოვრების ბრძმედში ატარებს“.

1850 წლის 2 იანვარი (ახალი სტილით 14 იანვარი) ღირსსახსოვარი ისტორიული თარიღია ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ამ დღეს აღორძინდა ქართული თეატრი, რომელსაც სახელოვნად გაუძღვა წინ ჩვენი დიდი კომედიოგრაფი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე გიორგი ერისთავი.

ახლად აღორძინებული ქართული ეროვნული თეატრის პირველი წარმოდგენა იყო გიორგი ერისთავის კომედია „გაყრა“. სპექტაკლმა განსაკუთრებულად აღაფრთოვანა ქართველი ხალხი. სიხარული და ზეიმი მთელი თვეებით გრძელდებოდა. ასეთივე დიდი მოწონება დაიმსახურეს გიორგი ერისთავის კომედიებმა „დავამ“, „ძუნწმა“, „შეშლილმა“ და სხვ.

გიორგი ერისთავი გახდა ახალი ქართული დრამატურგიის მამამთავარი, ეროვნული თეატრის ხელმძღვანელი, რეჟისორი, მსახიობი, პირველი ქართული ლიტერატურული ჟურნალის „ცისკრის“ დამაარსებელი და რედაქტორი.

ახალი ქართული ლიტერატურის ნიჭიერი მკვლევარი ვახტანგ კოტეტიშვილი გიორგი ერისთავის მრავალმხრივი მოღვაწეობის შესახებ წერს: „პრესა არა გვქონდა — ჟურნალი დაგვიარსა, თეატრი არა გვქონდა — შეჰქმნა, დრამატული ნაწარმოებები არ მოგვეპოვებოდა — დაგვიწერა, მსახიობი არ იყო — თვითონ იკისრა როლი, ცოტას ფიქრობდნენ საქართველოზე და მთელი თავისი სიცოცხლე — საქართველოზე ფიქრს მოანდომა“.

ასეთ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა თეატრის რეპერტუარის საკითხს. ქართველი თეატრალური მოღვაწეები გიორგი ერისთავის მეთაურობით ფიქრობდნენ, რომ მთავარი და წამყვანი უნდა იქნეს ორიგინალური პიესები, ამავე დროს რეპერტუარი უნდა შეივსოს თარგმნილი ნაწარმოებებით. მათმა შორსმჭვრეტელმა ჰკუა-გონებამ სათარგმნელად და სცენაზე დასადგმელად ახალი დროის უდიდესი ფრანგი კომედიოგრაფის მოლიერის დრამატურგიული შედევრები შეარჩია. ეს არჩევანი სწორი იყო. ქართული კულტურის შემდგომმა მსვლელობამ იგი საესებით გაამართლა.

ასე მოვიდა მარად ცოცხალი მოლიერი დიდი თეატრალური ტრადიციების ქვეყანაში, თავისი ტალანტითა და გენიით, თავისი უკვდავი ნაწარმოებებით და გახდა. ჩვენი ხალხისათვისაც მისაბაძი და საყვარელი მწერალი. მოლიერის ჰუმანიზმმა და ხალხურო-

ბამ, სიცილმა, სატირამ, ირონიამ, იშვიათმა მხატვრულმა ოსტატობამ საქართველოში საყოველთაო მოწონება და პატივისცემა დაიმსახურა.

დასავლეთ ევროპის დრამატურგთაგან მოლიერი პირველია, რომლის შემოქმედებამ ფრიად ნაყოფიერი როლი შეასრულა ახლად აღორძინებული ქართული თეატრის ისტორიაში. მეცხრამეტე საუკუნის 50-70-იან წლებში ქართულ სცენაზე, პროფესიულ და სცენისმოყვარეთა სპექტაკლებში მოლიერის კომედიები განსაკუთრებული წარმატებით სრულდებოდა.

მოლიერის პიესებიდან „ძალად ექიმი", პირველი იყო, რომელიც ქართულად გადმოაკეთა გიორგი ერისთავმა 1852 წელს, და იმავე წლის შემოდგომაზე დაიდგა ქართულ სცენაზე. სპექტაკლს სიხარულითა და კმაყოფილებით შეხვდა ქართველი მაყურებელი. „ძალად ექიმი" წარმატებით იდგმებოდა არა მხოლოდ თბილისსა და ქუთაისში, არამედ საქართველოს ბევრ სხვა კუთხეში.

მოლიერის კომედიების ქართულად თარგმანის კეთილშობილურ საქმეს ხელი მოჰკიდეს გამოჩენილმა ქართველმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა: აკაკი წერეთელმა თარგმნა „სკაპენის ცუღლუტობა" (1873), დიმიტრი ყიფიანმა — „ცოლის შერთვევინება" (1862), „სიყვარული მკურნალობს" (1879), „სიცილიელი ანუ სიყვარული მხატვრობს" (1879 წ.), „ჩინებული სასიძონი", „ექვით ავადმყოფი" — სათაურით „დაუჯინია ავად ვარო", გიორგი თუმანიშვილმა — „ყორე დანდენი" (1877); იგივე პიესა თარგმნა აგრეთვე კოტე მესხმა, დიმიტრი ყიფიანის ქალიშვილმა ელენემ — „სგანარელი ანუ ქმარი, რომელსაც ჰგონია „ცოლი მღალატობსო" (1871) და „პრანჩია ქალები", ივანე მაჩაბელმა — „ექვით ავადმყოფი" (1879) და რედაქცია გაუკეთა პეტერბურგში მყოფ ქართველი სტუდენტების მიერ თარგმნილ მოლიერის „ძუნწს" (1880), ივანე მაჭავარიანმა — „ტარტიუფი", სტეფანე ჭრელაშვილმა — „დონ ჟუანი" (1890), კონსტანტინე ანდრონიკაშვილმა — „გააზნაურებული მდაბიო" (1924), ფატი გოკიელმა — „ძალად ექიმი" (1936), ეს ამ პიესის მესამე თარგმანია), გ. ფრონისპირელმა — „სკაპენის ოინები" (1937), ეს არის მეორე თარგმანი.

ფრანგული ენისა და ლიტერატურის საუცხოო მცოდნე ჩვენი ცნობილი მწერლები და მთარგმნელები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მოლიერის სახელგანთქმული კომედიების ქართული თარგმანის რაც შეიძლებოდა მაღალ მხატვრულ დონეზე შესრულებაში.

დიმიტრი ყიფიანის მიერ თარგმნილი პიესებიდან განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია „ცოლის შერთვევინებამ", რომელიც

დაიდგა 1862 წელს, სპექტაკლში გამოვიდნენ დიმიტრი ყიფიანის შვილები: ნიკოლოზი, ელენე და კოტე. ფარგმანმა და სპექტაკლმა მაღალი შეფასება დაიმსახურა. მოლიერის ამ კომედიამ საქართველოს ბევრი კუთხე შემოიარა და ყველგან დიდი წარმატება მოიპოვა.

1866 წელს გაზეთი „დროება" სპექტაკლების: „ძალად ექიმისა" და „ცოლის შერთვევინების" გამო წერდა: „მადლობა ღმერთს, რომ ბოლო დროს მაინც გველირსა სცენაზე იმისთანა სურათის ნახვა, რომელიც ცხოვრების სინამდვილეს ცხადად წარმოადგენს. ამ კომედიების წარმოდგენის დროს გულითადი სიცილი განუწყვეტლივ გრიალებდა პარტერში და ეს საყოველთაო სიცილი გვიმტკიცებდა ნათლად, რომ ყველა ჩვენთაგანს ბევრჯერ უნახავს ჩვენს ცხოვრებაში ხშირად ამისთანა სურათები".

ქართველი ხალხი ძალიან გაიტაცა მოლიერის შემოქმედებამ, რასაც ბუნებრივად მოჰყვა მისი კომედიების ახალ-ახალი თარგმანები და სპექტაკლების რიცხვის ზრდა.

დიდი გამოხმაურება ჰპოვა ქართველ ხალხში აკაკის მიერ თარგმნილმა „სკაპენის ცუღლუტობამ" და მისმა წარმოდგენამ ქართულ სცენაზე. ზოგიერთი ფიქრობდა, რომ ეს კომედია სცენაზე არ ივარგებდა და მაყურებელს ვერ დააინტერესებდა. მოხდა სრულიად პირიქით, „სკაპენის ცუღლუტობამ" აღაფრთოვანა დამსწრენი. მან პირველი წარმოდგენიდანვე მიიქცია ფართო საზოგადოების ყურადღება. იმ დროს ქართულ პრესაში ვკითხულობდით: „დიდი ხანია ამისთანა მშვენიერი წარმოდგენა ქალაქის ქართველ საზოგადოებას არ უნახავს. პირნათლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოთამაშეების მომეტებულმა ნაწილმა სწორედ არტისტის ხელოვნებით ითამაშეს და ნამდვილი ნიჭი გამოიჩინეს. საზოგადოება, რომელიც წარმოდგენას ესწრებოდა, აღტაცებაში მოვიდა".

„სკაპენის ცუღლუტობა" ჩვენში გადაიქცა სახალხო კომედიად. იგი დაიდგა საქართველოს შორეულ დაბებსა და სოფლებშიც კი. ყველგან მოსწონდათ თარგმანიც და სპექტაკლიც. ასე დამკვიდრდა ქართული თეატრის რეპერტუარში მოლიერის „სკაპენის ცუღლუტობა". აღსანიშნავია, რომ 1880 წელს ნიჭიერი და გამოჩენილი მსახიობის კოტე მესხის საბენეფისოდ წარმოდგენილ ამ კომედიაში ჟერონტის როლს თვითონ აკაკი წერეთელი ასრულებდა.

ჟურნალ „ივერიაში" 1879 წელს გამოქვეყნდა მოლიერის სამი კომედიის ქართული თარგმანი: „ეშვით აგდმყოფი" მთარგმნელი ივანე მაჩაბელი, „სიყვარული მკურნალობს" და „სიყვარული მხატერობს" მთარგმნელი დიმიტრი ყიფიანი. დიმიტრი ყიფიანის თარგ-

მანებს წამძღვარებული აქვს მოლიერის შემდეგი სიტყვები: „კომედია საკითხავად კი არა, წარმოსადგენად იწერება, საქმე წარმოდგენაა“.

დიდი ფრანგი კომედიოგრაფის ეს საგულისხმო გამონათქვამი საფუძვლად ედო ჩვენი მწერლებისა და მთარგმნელების შეხედულებებს მოლიერის კომედიების ქართულ სცენაზე დადგმისას. თეატრალურ რეცენზიებში ავტორები მოუწოდებდნენ ჩვენს მაღალნიჭიერ მსახიობებს უფრო მკაფიოდ გამოეკვეთათ თავიანთი სცენური ოსტატობა, კიდევ უფრო მეტად დაეხვეწათ თავიანთი როლები, უფრო მეტი მსატვრული სრულყოფით ეჩვენებინათ მოლიერის გმირთა უკვდავი სახეები.

კომედიური ნიჭით განსაკუთრებულად დაჯილდოებულმა ჩვენმა მსახიობებმა შესძლეს მათ წინაშე მდგარი ამოცანების ბრწყინვალედ გადაწყვეტა. სცენის ოსტატთა ამ სახელოვანმა პლეადამ, „ქართული თეატრის მოძღვრის“ ვასო აბაშიძის მეთაურობით საუცხოო ტრადიციები შექმნა მოლიერის პიესების ქართულ სცენაზე წარმატებით დადგმისა.

1886 წელს ილია ჭავჭავაძე თავის „ივერიაში“ წერდა: „ჩვენ მეტისმეტად ჭების სურვილით არ მოგვდის, რომ ესე გაოცებულნი ვართ ჩვენი არტისტების ნიჭისაგან. ერთნი და იგივენი კვირაში ერთხელ სულ სხვადასხვა პიესებს ამზადებენ, ხანდისხან კვირაში ორჯელაც, და მერე რა რიგად ჰთამაშობენ!.. ეს რომ უთხრათ ვინმეს ევროპიელს, არ დაიჯერებს. იქ რომელი არტისტი გაჰბედავს სცენაზე გამოვიდეს, რომ ათი და ოცი რეპეტიცია მაინც არ გამოიაროს. სულ ცოტა, ორი და სამი თვე არ ემზადოს. ჩვენები კი ორი და სამი რეპეტიციით, ზოგჯერ იმაზე ნაკლებითაც ახერხებენ თამაშობასა და მერე ისე, რომ თქვენი მოწონებული“.

ქართველი მაყურებელი შეუნელებელი ინტერესით ესწრებოდა მოლიერის ყველა სპექტაკლს. ჩვენი მსახიობები კიდევ უფრო დახელოვნებულად გამოდიოდნენ „სასაცილო პრანჭია ქალების“, „ჟორჟ დანდენის“, „დონ ჟუანის“, „ძუნწის“, „ეჭვით ავადმყოფის“, „ტარტიუფის“, „გააზნაურებული მდაბიოს“ წარმოდგენებში.

ჩვენმა სახელოვანმა მთარგმნელებმა თითქმის ზუსტად იცოდნენ როდის რა ეთარგმნათ მოლიერის შემოქმედებიდან. ასე, მაგალითად, მეცხრამეტე საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში წოდებრივი სიამაყით განებივრებულ ქალთა ზოგიერთ წრეში გავრცელებული იყო პრანჭვა-გრეხა, პრანჭიაობა, რაც ძალიან ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებდა და საზოგადოების მხრივ დაცინვისა და გაკიცხვის საგანი ხდებოდა. 1862 წლის ჟურნალ „ცისკარში“ ვკითხულობთ: „ერთი საზოგადო შენიშვნა უნდა მივცეთ განათლებულ

ქალებს: თქვენ რომ ქართულად ელაპარაკებოდეთ, ის პასუხს გაგცემთ ყოველთვის რუსულად. ზოგჯერ სიჩქარის გამო ქართულს ურევს, აი ამრიგად: ეი ბოღუ კი მართალია, პაჟალუსტა წადი, ია ნე ნავიჟუ შენ, ეტო რას ნიშნავს, მნე ნენრავიტსია ძალიან, ზაჩევ გაბუტული ტი დღეს და სხვა მრავალი".

მაღალი წრის ზოგიერთი ქართველი ქალის ასეთ მეტიჩრობას, შეუფერებელ საქციელს ჰგმობდნენ ქართული კულტურის მოწინავე წარმომადგენლები. პირველ რიგში ასეთ პრანჭიაობას სასტიკად კიცხავდნენ ილია და აკაკი. ამ დროს მოლიერის „სასაცილო პრანჭია ქალების" თარგმნა და სცენაზე წარმოდგენა ფრიად საჭირო და სასარგებლო საქმე იყო. ამ კომედიას ჩვენშიც დიდი მამხილებელი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა.

მოლიერის კომედიების ქართულად თარგმანის საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის დიმიტრი ყიფიანს. ის ახლოს იცნობდა ქართული თეატრის მდგომარეობას და მის რეპერტუარს. მოლიერის კომედიების დიმიტრი ყიფიანისეულმა თარგმანებმა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ილია ჭავჭავაძე საგანგებოდ მიუთითებდა დიმიტრი ყიფიანის ნაყოფიერ მთარგმნელობით მოღვაწეობაზე. ილია წერდა: „დიმიტრი ყიფიანმა კარგად იცის, რა ძვირფასი რამ არის ხალხისათვის სცენა, თვითონ იმ თხზულებათა აღმორჩევა, რომელთაც ის ჰსთარგმნის ხოლმე, ცხადად გვიმტკიცებს, რომ მას სცენა მიაჩნია იმ დიდ სკოლად, საცა ოსტატად მოწვეულნი უნდა იყვნენ იმისთანა სახელოვანნი კაცნი, როგორც შექსპირი და მოლიერია".

*

მეცხრამეტე საუკუნის ქართველ მწერალთა შორის თავისი შემოქმედების სატირული სიმახვილით, ბასრი კალმით, „ქართველი მოლიერის". საპატიო სახელი დაიმსახურა ახალი ქართული თეატრის ფუძემდებელმა გიორგი ერისთავმა, რომელიც იმ მხრივაც მოგვაგონებს მოლიერს, რომ დრამატურგიც იყო და არტისტიც, რეჟისორიცა და თეატრის ხელმძღვანელიც.

როგორც საფრანგეთში მოლიერის კომედიების საფუძველზე, ასევე საქართველოში გიორგი ერისთავის შემოქმედების საფუძველზე, მთელი თაობები აღიზარდნენ. მოლიერისა და გიორგი ერისთავის რეალიზმის მამხილებელი და დემოკრატიული ხასიათი სანიმუშო გახდა თვითეული მათგანის მშობლიური ლიტერატურისათვის. ჰუმანისტი სატირიკოსები მოლიერი და გიორგი ერისთავი იყვნენ ნოვატორი დრამატურგები, ნოვატორი მსახიობები.

მოლიერის სიცილი, სატირა, იუმორი ორიგინალურ, თავისე-

ბურ გამოსატულებას პოულობს გიორგი ერისთავის კომედიებში. როგორც მოლიერმა, ისევე გიორგი ერისთავმა თავიანთი რეალისტური მეთოდი მომართეს ცხოვრებაში არსებული ბოროტებისა და სიმახინჯის წინააღმდეგ საბრძოლველად. როგორც მოლიერი, ისე გიორგი ერისთავი უარყოფს ყოველივე ხელოვნურსა და ნაძალადევს, დრომოჭმულ, მოძველებულ ზნე-ჩვეულებებს, ბოროტებას, პირმოთნეობას. ისინი იცავენ ადამიანის ბუნებრივ უფლებებს და მოთხოვნილებებს, მაღალ საზოგადოებრივ მორალს და კიცხავენ ძალადობას, მატერიალურ ანგარებას, ეგოისტურ მისწრაფებებს.

გიორგი ერისთავმა კარგად იცოდა ფრანგული ენა და ლიტერატურა. მის კალამს ეკუთვნის ვიქტორ ჰიუგოსა და ბერანჟეს ლექსების ქართული თარგმანები. მანვე გადმოაკეთა ქართულად მოლიერის კომედია „ძალად ექიმი“, რომელიც 1852 წლიდან წარმატებით იდგმებოდა თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა ადგილებში. გიორგი ერისთავისათვის ადრიდანვე საგულისხმო და საინტერესო გახდა ფრანგული ლიტერატურა, განსაკუთრებით მოლიერის დრამატურგიული შემოქმედება.

გიორგი ერისთავისათვის, ისევე როგორც რუსული ეროვნული კომედიის შემქმნელებისათვის: გრიბოედოვის, გოგოლის, ოსტროვსკისათვის, მოლიერი იყო საქვეყნოდ აღიარებული ავტორიტეტი, უდიდესი კომედიოგრაფი.

პირველი დიდი მცოდნე და ღირსეული დამფასებელი მოლიერის შემოქმედებისა ქართულ ლიტერატურაში არის გიორგი ერისთავი. მისმა კეთილმყოფელმა დამოკიდებულებამ მოლიერის დრამატურგიისადმი დიდად შეუწყო ხელი ფრანგი ავტორის მხატვრული შედევრების ქართულად თარგმნისა და სცენაზე დადგმის მზარდ წარმატებებს, საერთოდ მოლიერიზმის გავრცელებას საქართველოში..

მოლიერის შემოქმედების ფართო პოპულარიზაციას საქართველოში დიდი ამაგი დასდო გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ გიორგი წერეთელმა. საქმის ცოდნით დაწერილ თავის სტატიებში ქართული თეატრის შესახებ, გიორგი წერეთელი ღრმა ანალიზს უკეთებდა მოლიერის მხატვრულ სახეებს და მიუთითებდა იმ საერთო მომენტებზე, რაც აახლოებდა მოლიერის კომედიებს ქართული ცხოვრების სინამდვილესთან.

გიორგი წერეთელი მოლიერის პიესების ქართულ თარგმანებს და ქართულ სცენაზე მათ წარმოდგენას საჭირო და მნიშვნელოვან მოელენად თვლიდა. მოლიერის ქართველი მთარგმნელებიდან ის გამოყოფდა დიმიტრი ყიფიანის თარგმანებს და „ჩინებულს“ უწოდებდა მათ. გიორგი წერეთელი ყოველივე ამას მიიჩნევდა ქართველი

მკითხველისა და მაყურებლის ფართოდ გათვითცნობიერების კეთილშობილ საქმედ.

მოლიერის ცხოვრებითა და შემოქმედებით ძალიან დაინტერესდა აგრეთვე თვალსაჩინო პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე სარაჯიშვილი. უცხო ენების ცოდნა, კერძოდ ფრანგულისა, ფართო განათლება, ალ. სარაჯიშვილს საშუალებას აძლევდა. თამამად და საფუძვლიანად ემსჯელა მოლიერის კომედიების თავისებურებათა შესახებ. ჩვენი მკვლევარი ფრანგი მწერლის ასეთი დიდი პოპულარობის მიზეზს საქართველოში სავსებით სამართლიანად იმაში ხედავს, რომ ფრანგული ხასიათი ახლოსაა ქართულთან, მოლიერის სიცილი, სატირა, იუმორი გასაგები და მახლობელია ქართველი ხალხისათვის.

ალ. სარაჯიშვილი მოლიერს თვლის „ქართული კომედიის პაპად“. მისი აზრით, მოლიერმა კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა ქართული თეატრის განვითარებაზე საერთოდ, კერძოდ ქართველი კომედიოგრაფების გიორგი ერისთაისა და ზურაბ ანტონოვის დრამატურგიაზე. „ქართველობაში, — წერს ალ. სარაჯიშვილი, — არც ერთი უცხო ქვეყნის მწერალი ისე ცნობილი არ არის, როგორც მოლიერი — იმისი კომედიები სხვებისაზედ უფრო მოგვწონს, მის სიცილს ადვილად და ხალისიანად ვყვებით ხოლმე და მისი ნათქვამი სრულებით არ გვეუცხოება — თითქოს მოლიერსა და ჩვენს შორის ორ საუკუნეს არ გაევლოს, თითქოს ეს კაცი ჩვენი ახლო ნათესავი ყოფილიყოს“.

*

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ახალი ერა დაიწყო მოლიერის მემკვიდრეობის ათვისების საქმეში. მისი კომედიები შევიდნენ და დამკვიდრდნენ ქართული საბჭოთა თეატრის რეპერტუარში. ამავე დროს მოლიერი ჩვენში გახდა მეცნიერული კვლევისა და შესწავლის საგანი.

1937 წელს თბილისში გამოიცა მოლიერის კომედიების ერთტომეული, რომელშიც შევიდა ცხრა პიესა. თარგმანები ორიგინალს შეადარა ცნობილმა ქართველმა. მწერალმა და მთარგმნელმა ილოდიონ ქავჟარაძემ, წინასიტყვაობა, რედაქცია და შენიშვნები ეკუთვნის პუბლიცისტსა დ საზოგადო მოღვაწეს პლატონ კეშელავას. წიგნი იხსნება ნიჭიერი ქართველი მხატვრის შალვა ბერიტაშვილის მიერ დახატული მოლიერის მშვენიერი სურათით. ეს იყო სახელოვანი ტრადიციების გაგრძელება, მოლიერისადმი ქართველი ხალხის მადლიერების გრძნობის გულწრფელი გამოხატულება.

1947 წელს დოც. ნუნუ ქადეიშვილმა წარმატებით დაიცვა სა-

კანდიდატო დისერტაცია თემაზე: „მოლიერის ქართული თარგმანები". 1953 წელს პროფ. შოთა რევიშვილმა გამოაქვეყნა წიგნი „საზღვარგარეთული ლიტერატურა", უფრო გვიან დოც. ნიკო ურუშაძემ — „ნარკვევები საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორიიდან", რომლებშიც ცალკე თავი აქვს დათმობილი მოლიერის ცხოვრებისა და შემოქმედების საფუძვლიან გარჩევას. 1960 წელს ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში" პროფ. ნატალია ორლოვსკაიამ დაბეჭდა საინტერესო სტატია სათაურით „მოლიერი ქართულ სცენაზე". გამოქვეყნებულია ჩვენი წერილიც „ქართველი მოლიერი" (ჟურნ. „თეატრალური მოამბე", 1973 წ., № 1).

ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში 1967 წელს ჟან ვილარის ფრანგული თეატრის ჩამოსვლა საქართველოში. მათ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში მაყურებელს რამდენჯერმე უჩვენეს მოლიერის „ძუნწი" და მარივოს „იღბლიანი ფანდი". ქართველი მაყურებელი აღფრთოვანებული შეხვდა ჟან ვილარს და მის თეატრს. ვილარი გამოვიდა მოლიერის „ძუნწის" მთავარი მოქმედი გმირის ჰარპაგონის როლში და წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

ნიჭი, ჭეშმარიტება, გამბედაობა, დემოკრატიზმი და ხალხურობა — აი, რა ამშვენებს მარად ცოცხალ მოლიერის პიროვნებას და მის უკვდავ შემოქმედებას. ამ თვისებების გამო შეიყვარა იგი ასე ძალიან ქართველმა ხალხმა.

მოლიერი ჩვენმა დიდმა მწერლებმა და მთარგმნელებმა, ჩვენმა სახელგანთქმულმა მსახიობებმა ქართველი ხალხისათვის სამარადისოდ გახადეს „შორეული თვისიანი".

ახალი დროის კომედიოგრაფიაში მოლიერი წარმოადგენს დიდ მდინარეს, დანარჩენები ამ მდინარის შენაკადები არიან. უველა გამორჩენილი კომედიოგრაფი მოლიერის ნიჭიერი მოწაფეა. ამასთანავე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს ბევრ სხვა ჟანრის მწერალს აღაფრთოვანებდა მოლიერის გენია, მარტო ის რად ღირს, რომ მოლიერის დიდი დამფასებელი და მგზნებარე თაყვანისმცემელი იყო გოეთე, რომელიც წერდა: „მე ვიცნობ და მიყვარს მოლიერი ახალგაზრდობის წლებიდან. და მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში მისგან ვსწავლობდი... ჩემში აღფრთოვანებას იწვევს არა მარტო მისი მხატვრული ხერხების სრულყოფა, არამედ უწინარეს ყოვლისა, მშვენიერებით აღსავსე ხელოვანის ბუნება და მაღალი შინაგანი კულტურა".

მოლიერის მასწავლებლობა არასოდეს არ დამთავრდება, მას ყოველთვის ეყოლება ახალ-ახალი მოწაფეები, ნიჭიერი მიმბაძველები და სწორედ ამაშია მოლიერის სიდიადე და უკვდავება.

შარლ ლუი მონტესკიე

(1689—1755)

თავისუფალ სახელმწიფოში ადამიანი თვითონ უნდა მართავდეს თავის თავს.

მონტესკიე.

1755 წლის 11 თებერვალს დენი დიდრომ ცხარე ცრემლით გამოიტირა თავისი უფროსი თანამოკალმე შარლ ლუი მონტესკიე. დიდრომ ღრმა მწუხარება გამოთქვა იმის გამო, რომ მონტესკიე, ეს გენიოსი მოაზროვნე, რომელმაც სახელი გაუთქვა თავის სამშობლო საფრანგეთს, არ იყო დაფასებული სიცოცხლეში, გაბატონებული წრეები მას ცხოვრებას უმწარებდნენ, ავიწროებდნენ და დევნიდნენ. მართლაც, უსიხარულოდ ვიდოდა მონტესკიეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის წლები, ისე როგორც ყველა დიდი ადამიანისა, ფეოდალური და ბურჟუაზიული წყობილების დროს.

სამაგიეროდ მშობლიურმა ფრანგმა ხალხმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ თავიდანვე შეიყვარა მონტესკიე და სათანადოდ დააფასა მისი მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა. მონტესკიე თავისი ჰუმანისტურ-განმანათლებლური იდეებით მგზნებარედ იბრძოდა დრომოჭმული ტრადიციებისა და შუასაუკუნეების სქოლასტიკის წინააღმდეგ.

მონტესკიე დაიბადა 1689 წლის 18 იანვარს, ქ. ბორდოს მაგისტრატის მოხელის ოჯახში. შვიდი წლის მონტესკიე შეიყვანეს იეზუიტთა კოლეჯში, რომელიც ნიჭიერმა ბავშვმა წარმატებით დაასრულა. აქ მონტესკიემ კარგად შეისწავლა ანტიკური და რომაული ლიტერატურა, ძველი საბერძნეთისა და რომის ისტორია. ის დიდად დაინტერესდა სამოქალაქო თავისუფლების პრობლემით და ანტიკური რესპუბლიკური იდეალებით.

1716 წლამდე მონტესკიე ცნობილი იყო როგორც შარლ ლუი სეკონდა, ბარონ დე ლა-ბრედი, ამ წელს კი მას უშვილო ბიძა გარდაეცვალა, რომლისაგანაც მიიღო გვარი დე მონტესკიე, ბიძის მამული და ბორდოს პარლამენტის პრეზიდენტის თანამდებობა. მონტესკიე არჩეული იქნა ბორდოს აკადემიის წევრად.

მონტესკიე ხშირად მოგზაურობდა საზღვარგარეთ. სხვადასხვა დროს ის ცხოვრობდა იტალიაში, ჰოლანდიაში, გერმანიასა და ინგლისში. მან კარგად შეისწავლა ამ ქვეყნების სოციალური და პოლიტიკური წყობილების ისტორია.

მონტესკიეს ცხოვრება და მოღვაწეობა მოუხდა ლუი XIV-ისა და ლუი XV-ის მეფობის დროს. მას სასტიკად სძულდა როგორც აბსოლუტური წყობილება, ასევე კათოლიციზმი. ლუი XIV საფრანგეთის „მზე-მეფე" დიდძალ თანხას ხარჯავდა უთავბოლო ომებსა და თავის კარის შენახვაზე; ის ყოველნაირად ცდილობდა თავის განდიდებას: ჯერ ამბობდა — „სახელმწიფო ეს მე ვარ", შემდეგ „საფრანგეთი — ეს მე ვარ". როდესაც ის ევროპაშიც გაბატონდა, მას შეეძლო ეთქვა: „ევროპა — ეს მე ვარ".

ლუი XIV-ის მეფობის დროს საფრანგეთი მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ყოველივე ამას ძლიერ განიცდიდნენ მშრომელი მასები, რომლებიც კიდევაც ახდენდნენ ამბოხებებს აუტანელი სახელმწიფო რეჟიმის წინააღმდეგ.

მოხდენილად ამბობდა მონტესკიე: „საფრანგეთი პარიზმა ჩაყლაპა. პარიზი — ვერსალის სასახლემ და სასახლე კი ლუი XIV-ემ".

მონტესკიემ პირველმა გაილაშქრა ლუი XIV-ის დესპოტიზმისა და საერთოდ რელიგიური ფანატიზმის წინააღმდეგ.

თავისი მებრძოლი ჰუმანისტური, განმანათლებლური შეხედულებებით მონტესკიე ეკუთვნის მე-18 საუკუნის სახელოვან ფრანგ მოღვაწეთა პლეადას, რომელმაც იდეოლოგიურად მოამზადა საფრანგეთის 1789 წლის რევოლუცია და რომელიც აქტიურად გამოვიდა ფეოდალური ჩაგვრის, დესპოტიზმისა და ხალხთა მონობის წინააღმდეგ.

მონტესკიეს სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის დასაწყისი აღინიშნა მისი შესანიშნავი მოხსენებებით, რომლებიც მან წაიკითხა ბორდოს აკადემიაში საბუნებისმეტყველო დარგებიდან: ფიზიკიდან, ბოტანიკიდან, ანატომიიდან. მონტესკიემ მრავალი საინტერესო ნაწარმოები დაუტოვა კაცობრიობას, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია: ეპისტოლარული ხასიათის რომანი „სპარსელთა წერილები", მეცნიერული გამოკვლევა „მსჯელობანი რომაელთა დიდებისა და დაცემის მიზეზების შესახებ", სოციოლოგიური და იურიდიული ნაშრომი „კანონთა არსი".

მონტესკიეს დაინტერესებას აღმოსავლეთის თემატიკით მოჰყვა მისი მხატვრული ნაწარმოები „სპარსელთა წერილები". მონტესკიეს დროს მოწინავე ევროპელი მოღვაწენი კიდევ უფრო მეტს მოგზაურობდნენ აღმოსავლეთის ქვეყნებში: სპარსეთში, თურქეთში, საქართველოში. ასეთ პირობებში ისეთი გამოჩენილი მწერალი

და ფილოსოფოსი, როგორიც მონტესკიე იყო, არ შეიძლებოდა არ დაინტერესებულიყო აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხთა ცხოვრებით. ერთი მთავარი მიზეზთაგანი მაინც ამ დაინტერესებისა იყო ის, რომ მონტესკიემ გადაწყვიტა აღმოსავლეთის თემატიკის ფონზე შენიღბულად, ჭარაგმულად გამოეხატა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება იმდროინდელი საფრანგეთის აბსოლუტური წყობილებისადმი. აღმოსავლეთის ქვეყნებში მონტესკიე არ ყოფილა, მაგრამ როგორც ჩანს, ის სპარსეთსა და საქართველოს გაეცნო ცნობილი ფრანგი მოგზაურების ტავერნიესა და შარდენის შთაბეჭდილებათა წიგნებიდან.

რომანი „სპარსელთა წერილები“ განმანათლებლური პროზის საინტერესო ნაწარმოებია. მონტესკიე მასში გამოხატავს ფრანგულ განმანათლებლურ იდეებს. რომანის კომპოზიცია არაა რთული. ერთი მხრივ წარმოდგენილია დესპოტური სპარსეთი, მეორე მხრივ მონარქიული საფრანგეთი. სპარსელი მეგობრები უზბეკი და რიკა ველარ აიტანენ სპარსეთში გამეფებულ ტირანიას, ჩაგვრასა და მონობას და გამოვლენ უსამართლობის წინააღმდეგ, ისინი ჰუმანისტურ იდეებს ქადაგებენ, სიმართლისა და ჭეშმარიტებისათვის იბრძვიან, ამის გამო მათ სასტიკად ავიწროებენ და სდევნიან. ისინი სტოვებენ თავიანთ სამშობლოს და საფრანგეთში მიდიან, იწყებენ იქ ახლებურ ცხოვრებას, სწავლობენ ევროპულ კულტურას. უზბეკი და რიკა წერენ დღიურებს, რომლებშიც გადმოცემულია მათი შთაბეჭდილებანი. ისინი ამ დღიურების საფუძველზე წერილებს სწერენ სპარსეთში და იქიდანაც იღებენ პასუხებს. უზბეკი და რიკა წერილებს სწერენ ერთმანეთსაც. სპარსეთიდან მიღებულ წერილებში ასახულია აღმოსავლური დესპოტიზმი, საფრანგეთიდან გაგზავნილ წერილებში დახასიათებულია საფრანგეთის მონარქიული წყობილება.

მონტესკიე მისთვის ჩვეული მხატვრული ოსტატობით კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს აღმოსავლურ დესპოტიზმს, კერძოდ სპარსეთში გაბატონებულ ადამიანთა მონობასა და ჩაგვრას, სპარსელი ქალების უუფლებობას. „სპარსელთა წერილებში“ უფრო მეტად ფეოდალური საფრანგეთის ცხოვრებაა წარმოდგენილი. მწერალი რამდენადმე უპირატესობას აძლევს მონარქიას დესპოტიზმთან შედარებით, მისი აზრით, მონარქიულ წყობილებაში (ე. ი. იმდროინდელ საფრანგეთში — დ. ფ.) უფრო მეტია თავისუფლება, საფრანგეთში ქალები არ არიან ისეთ მონურ მდგომარეობაში და ისეთი უუფლებონი, როგორც სპარსეთში, მაგრამ მონარქია ყოველ წუთში შეიძლება გადაიქცეს დესპოტიზმად. მონტესკიე რომ მონარქიას გამოჰყოფს ტირანიისაგან ეს მისი შეცდომაა, ვინაიდან

მონარქია და ტირანია „ერთიდაიგივე ცნების მხოლოდ სხვადასხვა სახელწოდებაა“ (მარქსი).

„სპარსელთა წერილებმა“ მონტესკიეს დიდად გაუთქვეს სახელი. მოწინავე ფრანგმა ადამიანებმა მასში დაინახეს ის, რასაც ისინი ფიქრობდნენ, განიცდიდნენ და უარყოფდნენ. რომანი მაღალმხატვრული ნაწარმოებია, ნათელი ფრანგული სტილისა, იგი აღსავსეა ღრმა საკაცობრიო, პროგრესული, ჰუმანისტურ-განმანათლებური იდეალებით, ხალხურობით. „სპარსელთა წერილებმა“ ახალი ფურცელი გადაშალა ფრანგული მხატვრული პროზის ისტორიაში.

აღსანიშნავია, რომ მონტესკიე „სპარსელთა წერილებში“ ხშირად იხსენიებს საქართველოს, გურიას, იმერეთს, საქართველოს დედაქალაქ თბილისს; მას ზოგჯერ მოქმედების ადგილი გადმოაქვს საქართველოში და სხვა.

წიგნში „მსჯელობანი რომაელთა დიდებისა და დაცემის მიზეზების შესახებ“, მონტესკიე გვიჩვენებს, რომ დესპოტური რეჟიმი შლის სახელმწიფოს, მიჰყავს იგი დაღუპვამდე. ის მოითხოვს პოლიტიკურ თავისუფლებას. მონტესკიეს აზრით, თუ ფრანგ ხალხს ნამდვილად უყვარს თავისი სამშობლო, მან უნდა გადაიგდოს მონობის უღელი და მოსპოს დესპოტიზმი.

ოცი წელიწადი მუშაობდა მონტესკიე შესანიშნავ გამოკვლევაზე „კანონთა არსი“. ამ წიგნში მან გამოთქვა თავისი შეხედულებანი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ძირითად პროცესებზე, საერთო კანონზომიერებაზე. მონარქიული წყობილება, ამბობს მონტესკიე, სულს ართმევს ადამიანს და აქცევს მას ეგოისტად. ასეთ წყობილებაში მეცნიერები თუ გაბედავენ და სიმართლეს იტყვიან, მათ თავს ამოაყოფინებენ ბასტილიის ციხეში. ისტორიკოსებს არა აქვთ უფლება სიმართლე სთქვან და წერონ, ამიტომაა, რომ ისინი ხშირად ღალატობენ ჭეშმარიტებას და სხვა.

მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდანვე ეცნობა მონტესკიეს ჰუმანისტურ-განმანათლებლურ შეხედულებებს. ქართველი საზოგადო მოღვაწეები დედანში კითხულობდნენ ამ ფრანგი ფილოსოფოსის და მწერლის ნაწარმოებებს და თარგმნიან მათ. ასე მაგალითად, დავით ბატონიშვილმა ქართულად თარგმნა მონტესკიეს მთავარი თხზულება „კანონთა არსი“ („გულისხმისყოფისათვის რჯულთასა“) და ხაზი გაუსვა მონტესკიეს მთელ რიგ შესანიშნავ გამონათქვამებს, რომლებიც შეესაბამებოდა ჩვენი მთარგმნელისა და მისი თავისუფლებისმოყვარე ხალხის მოთხოვნილებათა ინტერესებს: მოვიტანთ ერთ მაგალითს. „რესპუბლიკასა შინა აქვს ყოველსა კაცსა უზენაესი ფლობაი თა-

ნასწორ, რესპუბლიკასა შინა არს სიყვარული დემოკრატიისა, ხოლო სიყვარული დემოკრატიისა არს სიყვარული თანასწორობისა. მონარქიასა შინა და დესპოტიკათა შინა არავინ იღწვის თანასწორობისათვის“.

მონტესკიე თავის შრომებში არკვევს ომების წარმოშობის მიზეზებს, ის გმობს ომს, როგორც კაცობრიობის ყველაზე დიდ უბედურებას და გვიჩვენებს, რომ ომის გაჩაღებით დაინტერესებული არიან მხოლოდ საზოგადოების ნაძირალა ადამიანები, რომ დაპყრობითი ომების გაჩაღების წყარო ექსპლოატაციაზე აგებული პოლიტიკური წყობილებაა. მონტესკიე მოითხოვს სახელმწიფოთა შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დადებას, მისი აზრით მშვიდობის დაცვა ყველა პატიოსანი ადამიანის წმინდა მოვალეობაა, ეს მისი ბუნებრივი მოთხოვნილებაა.

დღეს, როდესაც აქტიური ბრძოლა წარმოებს ხალხთა შორის მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ახლებურად გაისმის მონტესკიეს სიტყვები: თუ კიდევ უფრო საშინელ გამანადგურებელ იარაღს გამოიგონებენ, ის მაშინვე იქნება აკრძალული ადამიანის უფლებით და დასამარებული ხალხთა ერთსულოვანი შეთანხმებით.

მონტესკიეს ჰუმანისტურ-განმანათლებლური იდეები შესულია და დამკვიდრებული ფრანგული და მსოფლიო პროგრესული კულტურის საერთო საგანძურში. საბჭოთა ხალხი მადლიერებისა და პატივისცემის გრძნობით იგონებს მონტესკიეს — სახელმწიფოთა და ხალხთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობის იდეის მგზნებარე მქადაგებელსა და დამცველს.

ჟან ჟაკ რუსო

(1712–1778)

ძირს სოციალური უთანასწორობა. გაუმარჯოს ადამიანთა ბუნებრივ თანასწორობას და ბუნებრივ ერთობას.

ჟან ჟაკ რუსო.

კაცობრიობის პროგრესული აზრის განვითარების ისტორიაში დიდ ფრანგ განმანათლებელს, მოაზროვნეს და მწერალს ჟან ჟაკ რუსოს თავისი საპატიო ადგილი უჭირავს. ის იყო რევოლუციური იდეების მგზნებარე პროპაგანდისტი, მისი სიტყვები ცეცხლივით ეკიდებოდა ადამიანთა გულებს, და აღაგზნებდა მათ უკეთესი მომავლის დამკვიდრებისათვის საბრძოლველად.

ჟან ჟაკ რუსო იყო გამოჩენილი ფილოსოფოსი, ფრანგული მხატვრული სიტყვის შესანიშნავი ოსტატი, ჩინებული პედაგოგი. მისმა პროგრესულმა მოძღვრებამ დიდი როლი შეასრულა არა მარტო ფრანგული კულტურის, არამედ მთელი მსოფლიო კულტურის განვითარებაში.

ჟან ჟაკ რუსო 1712 წლის 28 ივნისს დაიბადა შვეიცარიაში, ქალაქ ჟენევაში ხელოსნის ოჯახში. დედამისი მის მშობიარობას გადაყვა, რასაც შემდეგ ჰაბუკი რუსო ძლიერ განიცდიდა. მომავალმა დიდმა ფილოსოფოსმა და მწერალმა ადრიდანვე გამოსცადა დუხჭირი ცხოვრება, სხვადასხვა პროფესია, ბევრი ხეტიალი. მას არასოდეს არ აშინებდა დაბრკოლებანი და სიძნელეები, პირიქით, ასეთ პირობებში იგი უფრო იწრთობოდა და მტკიცდებოდა, ის სწორედ ამ დაბრკოლებებისა და სიძნელეების გადალახვაში ხედავდა ცხოვრების აზრს.

ახალგაზრდა რუსო გატაცებით ეუფლებოდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგებს, ის დაინტერესებული იყო მუსიკითა და ბუნებისმეტყველებით, ფილოსოფიითა და მხატვრული ლიტერატურით. ჟან ჟაკ რუსო თავიდანვე ახლოს იდგა ხალხთან, კარგად იცნობდა საზოგადოების დაბალი ფენების ცხოვრებას; ყოველივე ამან იგი შემდეგ ბევრ რამეზე დააფიქრა.

ერთხანს ჟან ჟაკ რუსო სასულიერო სემინარიაში სწავლობდა,

აქედან გარიცხული რუსო ადგილობრივ საკრებულო ტაძრის გუნდში მიაბარეს მუსიკის შესასწავლად, მან აქაც ცოტა დრო დაჰყო, შემდეგ კი დაიწყო მოგზაურობა სხვადასხვა ღირსშესანიშნავ ადგილებსა და ქვეყნებში, რასაც ჟან ჟაკ რუსო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა .„მოხეტიალე, მოგზაური კაცის ცხოვრება,—წერდა ჟან ჟაკ რუსო, — აი, რა არის ჩემთვის საჭირო. მოგზაურობა ფეხით, კარგ ამინდში, ლამაზ ქვეყანაში, აი, ეს არის ჩემი გემოვნებისათვის შესაფერისი წესი ცხოვრებისა. ფეხით მოგზაურობას აქვს რაღაც ისეთი, რაც აცხოველებს ჩემს აზრებს. მე თითქმის არ შემიძლია აზროვნება, თუ ერთ ადგილზე ვარ გაჩერებული. საჭიროა, რომ ჩემი სხეული მოძრაობაში იმყოფებოდეს, რათა ჩემი აზრიც ამოძრავდეს".

1741 წელს ჟან ჟაკ რუსო ჩავიდა პარიზში, სადაც გაიცნო გამოჩენილი ფრანგი განმანათლებლები: დიდრო, დალამბერი, კონდილიაკი და ახლო მეგობრული ურთიერთობა დაამყარა მათთან.

ჟან ჟაკ რუსო დაინტერესებული იყო მეცნიერების სხვადასხვა დარგების შესწავლით. ის კითხულობდა დეკარტის, ლოკის და ლაიბნიცის თხზულებებს, სწავლობდა მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, გატაცებული იყო ხელოვნებით, კერძოდ მუსიკით, კარგად შეისწავლა ლათინური ენა და თავისუფლად კითხულობდა რომაელ ავტორთა ნაწარმოებებს.

1745 წელს იტალიიდან პარიზში დაბრუნებული ჟან ჟაკ რუსო სასტუმროში მოხვდა. აქ მან გაიცნო მრეცხავი ქალიშვილი, 22 წლის ტერეზა ლევასერი, იგი ღარიბი იყო, სრულიად უბრალო ქალიშვილი, სანდომიანი, გულკეთილი და ლამაზი. სასტუმროში მყოფი ფუქსავატი, თავხედი ახალგაზრდები ხშირად მედიდურად უყურებდნენ ტერეზას და აბუჩად იგდებდნენ მას. ჟან ჟაკ რუსო იცავდა ტერეზას და სასტიკად კიცხავდა უქნარა და ქარაფშუტა ყმაწვილებს. გენიალურ მოაზროვნეს ჟან ჟაკ რუსოს ტერეზა ებრალებოდა და ყოველმხრივ თანაუგრძნობდა მას. ხშირად ხვდებოდა, ასეირნებდა, ესაუბრებოდა, ყოველივე ამას ის მოყვა, რომ ჟან ჟაკ რუსომ დაიწყო მასთან ცხოვრება, რუსოსაგან ტერეზას ეყოლა ხუთი შვილი.

ფეოდალურ, თავად-აზნაურული მორალის წარმომადგენლებმა არ აპატიეს ჟან ჟაკ რუსოს დაბალი წრიდან გამოსულ ქალიშვილთან ცხოვრება, რელიგიური წესების დარღვევა. ზოგიერთებმა დიდ მწერალს უზნეობაც კი დააბრალეს, იმის გამო, რომ რუსო მრეცხავ ქალს დაუკავშირდა და სხვა.

სინამდვილეში ტერეზა ლევასერი აღმოჩნდა ჟან ჟაკ რუსოს ერთგული მეუღლე, მისი განუყრელი მეგობარი, რომელიც მასთან ერთად იყო ჭირსა და ლხინში. ჟან ჟაკ რუსოს გარდაცვალების კარგა ხნის შემდეგ იქნა სათანადოდ დაფასებული ამ ფრიად გულკეთილი

და ალალი ქალის დამსახურება და მას რევოლუციური საფრანგეთის კონვენტმა მუდმივი პენსია დაუნიშნა.

1749 წელს რუსოს ახლო მეგობარი და თანამებრძოლი, ფრანგული ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი დენი დიდრო დააპატიმრეს. რუსო სისტემატურად ნახულობდა თავის ძვირფას მეგობარს, და აი ერთ დღეს, როცა პარიზში საშინლად ცხელოდა, რუსო გაუდგა გზას ვენსენის ციხისაკენ, ნელა რომ ევლო, თან წაიღო გზაში წასაკითხად „მერკურ დე ფრანსი". გადაშალა თუ არა, წაიკითხა ცნობა, რომლითაც დიჟონის აკადემია აცხადებდა კონკურსს თემაზე: „ზნეობის გარყვნას თუ გაუმჯობესებას შეუწყო ხელი მეცნიერებათა და ხელოვნებათა წინსვლამ?"

ჟან ჟაკ რუსო ძლიერ აღელდა, მას მოეჩვენა, თითქოს ახალი მსოფლიო დაინახა და ახალი კაცი გახდა. რუსო ჩავიდა ვენსენში. დიდრომ მაშინვე შეამჩნია მღელვარება და მიზეზი ჰკითხა, რუსომ აუხსნა ყოველივე, მაშინ დიდრომ ურჩია განევითარებინა თავისი აზრები და მიეღო მონაწილეობა დიჟონის აკადემიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში. რუსო დათანხმდა, შეუდგა შრომის წერას, რამდენიმე თვეში დაამთავრა იგი და წარადგინა საკონკურსოდ ასეთი სათაურით: „მსჯელობა მეცნიერებათა და ხელოვნებათა შესახებ". რუსოს ამ გამოკვლევამ აკადემიის პრემია დაიმსახურა და მას საქვეყნოდ გაუთქვა სახელი.

ჟან ჟაკ რუსომ გაილაშქრა ბურჟუაზიული ცივილიზაციის წინააღმდეგ, რადგან მისი აზრით, იგი არაა აგებული დემოკრატიულ, ჰუმანისტურ საწყისებზე. რუსოს რწმენით ასეთი ცივილიზაციის დროს საზოგადოების დაბალი ფენები დაჩაგრული, დამონებული, ექსპლოატირებული არიან, ყველგან გამეფებულია მლიქვნელობა, გაიძვერობა, მატყუარობა. ყოველივე ამით შეშფოთებული გენიალური მოაზროვნე რუსო ადრინდელი პატრიარქალური ყოფაცხოვრებისაკენ დაბრუნებას მოითხოვს. მართალია, ჟან ჟაკ რუსო ყველაფერში სწორი არ იყო, მაგრამ ის, ძირითადად მაინც მაღლდებოდა ცალკეული საკითხების სწორად დასმისა და გადაწყვეტის დონემდე. განსაკუთრებით ძლიერი იყო რუსო ძველი, უვარგისი რეჟიმის კრიტიკასა და უარყოფაში და ახალის, უკეთესის ქებასა და დამკვიდრებაში.

მეორე შრომა, რომელიც მან ასევე დიჟონის მიერ გამოცხადებულ კონკურსის შედეგად დაწერა, იყო: „მსჯელობა ადამიანთა შორის უთანასწორობის წარმოშობისა და საფუძვლების შესახებ". მასში ავტორმა თავისი ახალი შეხედულებანი კიდევ უფრო გაალრმავა და განავითარა და იშვიათი მიხვედრილობით კაცობრიობის უბედურების წყაროდ კერძო საკუთრება მიიჩნია. რუსო ამბობდა:

„ვინც პირველად შემოღობა მიწის ნაკვეთი და იფიქრა, ეს ჩემიაო და იპოვნა ბრიყვები, რომლებმაც დაუჯერეს მას, იყო საზოგადოების პირველი დამფუძნებელი და მაშასადამე, პირველი დამნაშავე“.

ჟან ჟაკ რუსომ გენიალურად განჭვრიტა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონები, დიალექტიკური პროცესები და გამოთქვა თავისი ფრიად ღირსშესანიშნავი აზრები, რომლებიც დღესაც საინტერესო და საგულისხმოა.

რუსოს შემდეგი შრომა „საზოგადოებრივი ხელშეკრულება“ მუდმივ საკითხავ წიგნად იქცა, განსაკუთრებით მე-18 საუკუნის საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ლიდერებისათვის. რუსომ კიდევ ახალი ფურცელი გადაშალა თავის მსჯელობაში კაცობრიობის პროგრესის თაობაზე. მას არ სწამდა ეგრეთწოდებული „განათლებული ხელმწიფე“. მისი აზრით ყოველი მონარქი ტირანია, რომელიც იქითკენ მიისწრაფის, რომ დათრგუნოს ხალხი, ჩააბნოს ადამიანებში ყოველივე ადამიანური. „ადამიანი თავისუფალი იბადება“, — სთქვა რუსომ, — შემდეგ კი იგი ყველგან ბორკილებშია“. თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ სწრაფვა ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა, და თუ ადამიანები ვერ აღწევენ ამ მიზანს ამის მიზეზი ცუდი, უვარგისი საზოგადოებრივი წყობილებაა.

ჟან ჟაკ რუსოს კალამს ეკუთვნის აგრეთვე რევოლუციური ხასიათის წიგნი „ემილი, ანუ აღზრდის შესახებ“, რომელიც მკითხველ საზოგადოებაში სამაგიდო წიგნადაა ქცეული. იგი იწყება ღრმააზროვანი სიტყვებით: „რაც საგანთა შემოქმედის ხელიდან გამოდის, ყველაფერი კარგია, ადამიანის ხელში კი ყველაფერი ფუჭდება“. ამ რომანში რუსომ გამოთქვა თავისი ახალი შეხედულებანი სწავლა-აღზრდის შესახებ და ჩამოაყალიბა საკუთარი პედაგოგიური სისტემა. მან უარყო შუასაუკუნეობრივი, სქოლასტიკური სწავლა-აღზრდა და თავისი სახელოვანი წინამორბედის — ფრანსუა რაბლეს ჰუმანისტური შეხედულებები განავითარა და ბევრი რამ ახალი შეიტანა ბურჟუაზიულ პედაგოგიურ მეცნიერებაში.

რუსოს შეხედულებით ბავშვი უნდა იზრდებოდეს თავისუფლად. აღზრდის პერიოდში ერთად უნდა იყოს შერწყმული ფიზიკური, გონებრივი, მორალური აღზრდა. ბავშვიდან ჩვენ უნდა მივიღოთ ყოველმხრივ მომზადებული პიროვნება, შრომისმოყვარე, თავდადებული, პატიოსანი ადამიანი და მოქალაქე. ჟან ჟაკ რუსო ამბობდა: „თუ უქნარა შეჰკამს იმას, რაც მას არ შეუქმნია, იგი იპარავს მას, შრომა არის საზოგადოებრივი ადამიანის აუცილებელი მოვალეობა, ყოველი უსაქმური მოქალაქე გაიძევრაა“.

ამ წიგნმა აღაფრთოვანა პროგრესული კაცობრიობა. ჰერდერი

აღტაცებული იყო „ემილით“, გოეთე „ემილს“ თვლიდა „ბუნებრივი აღზრდის სახარებად“. იმანუილ კანტისათვის „ემილი“ აღმოჩნდა გასაოცარი წიგნი, რომელმაც დაიპყრო მისი აზრი და გონება.

ჟან ჟაკ რუსო სანტიმენტალიზმის მამამთავარია ევროპულ ლიტერატურაში. ის შესანიშნავი პოეტი, მწერალი, დრამატურგი, ხელოვნებათმცოდნეა. მისი მხატვრული ნაწარმოებები „იულია, ანუ ახალი ელოიზა“ ევროპული სანტიმენტალური რომანის მწვერვალია. რომანი რამდენადმე მოგვაგონებს შუასაუკუნეების ბერ ფილოსოფოსს პიერ აბელარსა და მის მოწაფე ელოიზას შორის მომხდარი ტრაგიკული სიყვარულის ისტორიას.

რუსოს რომანის სრული სათაურია: „იულია, ანუ ახალი ელოიზა ალპების მთის ძირას მდებარე პატარა ქალაქში მცხოვრები ორი შეყვარებულის წერილები“.

ნაწარმოებს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს პეტრარკას შემდეგი ლექსი გარდაცვლილი ლაურასადმი: „სანამ ის ცოცხალი იყო მსოფლიო არ იცნობდა მას, მაგრამ მე ვიცნობდი და დავრჩი მის გამოსატირებლად“. ვინც „ახალ ელოიზას“ გულდასმით ბოლომდე წაიკითხავს იგრძნობს და მიხვდება პეტრარკას ამ სიტყვების ღრმა აზრს, დაინახავს რომ პეტრარკას მსგავსად ჟან ჟაკ რუსოც მაღალი წარმოდგენის იყო სუფთა, ბუნებრივ, ჭეშმარიტ სიყვარულზე, რომელიც ადამიანს გმირად, ძვირფას არსებად აქცევს, რომ ადამიანური ცხოვრების აზრი და მიზანი სწორედ ნამდვილ სიყვარულშია.

რომანის სიუჟეტური ხაზი ასეთია: არისტოკრატიული ოჯახის ქალიშვილს იულია დეტანჟს შეუყვარდება დაბალი წრიდან გამოსული თავისი მასწავლებელი სენ-პრე. ამ უკანასკნელსაც თავის მხრივ ძლიერ გაიტაცებს იულიას მომხიბლავი სახე. ქალიშვილის დედა ვერ აიტანს მის სახლში დატრიალებულ უბედურებას (იმას, რომ მის ქალიშვილს შეუყვარდა მდაბიო და ხელმოკლე ადამიანი) და ჯავრისაგან გრდაიცვლება. დედის გარდაცვალების შემდეგ სასოწარკვეთილი იულია, უხალისოდ და უსიყვარულოდ, მითხოვდება შეძლებულსა და მაღალი ჩამომავლობის კაცს—ვოლმარს. იულია ცდილობს დაემორჩილოს ბედს, შექმნას მყუდრო ოჯახი, მაგრამ სიყვარულს კვლავ განაგრძობს სენ-პრესადმი. ჟენევის ტბის ნაპირას მცხოვრები იულია მოულოდნელად გარდაიცვლება (ტბაზე ნავით სეირნობის დროს წყალში გადავარდნილი თავისი ბავშვი იულიამ გადაარჩინა, თვითონ კი გაცივდა). მისი ბავშვების აღზრდა შემდეგ სენ-პრემ იკისრა.

პიერ აბელარისა და ელოიზას წერილებიდან ვგებულობთ, რომ მათი სიყვარული „დანაშაულებად“ იქცა რელიგიის მძვინვარების პირობებში. საბრალო გოგონამ ელოიზამ თავი მოიკლა, პიერ აბელარი სასტიკად დაისაჯა. ამნაირად, სარწმუნოება თავისი მორალითა

და დოგმებით წინ გადაეღობა გულწრფელ სიყვარულს და მტკრად აქცია იგი.

განმანათლებელმა ჟან ჟაკ რუსომ თავის ნაწარმოებში მაღალმხატვრულად წარმოგვიდგინა მეთვრამეტე საუკუნის ახალი ელოიზა მარად უკვდავი ქალის—იულია დეტანჟის სახით და ამით დიდმა მწერალმა კიდევ უფრო შარავანდმოსილი გახადა კაცობრიობის თვალში შუასაუკუნეების ელოიზა.

„ახალი ელოიზის" მთავარი მოქმედი გმირია ყოველმხრივ სანიმუშო და მომხიბლავი ქალი იულია დეტანჟი. იგი დღენიადაგ სულ იმაზე ფიქრობს, რომ შექმნას ოჯახი — ნამდვილი, გულწრფელი სიყვარულით, მაგრამ მის კეთილშობილურ ჩანაფიქრს წინ ეღობება წოდებრივი უთანასწორობა.

იულიასა და სენ-პრეს წერილები მხატვრული შედევრებია, მათი მღელვარებისა და ფიქრის იშვიათი გადმოცემაა. ამ ახალგაზრდების სპეტაკი სიყვარული ანკარა წყაროსავით მოედინება. განსაკუთრებით დიდ ინტერესს და მოწონებას იმსახურებს რომანის მოქმედ გმირთა ადამიანური დამოკიდებულება ერთმანეთისადმი, მათი ურთიერთობა, ტაქტი, მეგობრობა, ერთმანეთის დაფასება, ისინი იმდენად პირადი ბედნიერებისათვის არ ზრუნავენ, რამდენადაც სხვების ბედნიერებისათვის, საერთო ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის. ამიტომ თვლიან რუსოს „ახალ ელოიზას" ადამიანის სულის ამამაღლებელ ნაწარმოებად.

„ახალ ელოიზაში" ბრწყინვალედაა ნაჩვენები სიცოცხლე ადამიანთა გულისა. ბელინსკის აზრით მეთვრამეტე საუკუნემ შექმნა თავისი რომანი, „რუსოს „ახალმა ელოიზამ", წერს ბელინსკი, — გამოხატა უარყოფისა და დაეჭვების ამ საუკუნის მეორე მხარე — გულის მხარე, ამიტომაც ის მომავლის წინასწარმეტყველებად უფრო ჩანდა, ვიდრე აწმყოს გამოხატულებად, და ბევრი იმდროინდელი ადამიანი (მათ შორის კარამზინიც) „ახალ ელოიზაში" ხედავდა მარტოოდენ სანტიმენტალობას და მხოლოდ მით იყო აღტაცებული".

ამ იშვიათი მხატვრული ენით დაწერილმა რომანმა დიდი ინტერესი გამოიწვია მკითხველთა ფართო წრეებში. იმდენად ბევრი იყო ნაწარმოების წაკითხვის მსურველი, რომ ფულს იხდიდნენ მის წასაკითხად. ნაპოლეონი ისე მოხიბლა „ახალმა ელოიზამ", რომ ომის დროს იცლიდა და პირამიდების ჩრდილში კითხულობდა მას. გოეთე თვითონვე ამბობდა, რომ მისი „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი" შექმნილია „ახალი ელოიზის" მიხედვით. პუშკინის ტატიანასათვის „ახალი ელოიზა" იქცა მუდმივ საკითხავ წიგნად. კიდევ მეტი, მსოფლიო ლიტერატურაში ოთხასზე მეტი მხატვრული ნაწარმოებია დაწერილი „ახალი ელოიზის" მიბაძვის საფუძველზე.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები დიდად აფასებდნენ ჟან ჟაკ რუსოს დამსახურებას პროგრესული კაცობრიობის წინაშე, მისი მოძღვრების მნიშვნელობას მსოფლიო კულტურის განვითარების საქმეში. მათ საუსებით სამართლიანად მიაჩნდათ ეს დიდი ფრანგი განმანათლებელი ისეთ საზოგადო მოღვაწედ, რომელიც გულწრფელად და თავდადებით იბრძოდა რევოლუციური ლოზუნგების: „ძმობა ერთობა, თავისუფლების" განხორციელებისათვის. ენგელსი თავის „ანტი-დიურინგში" წერს: „საკუთრივ ფილოსოფიის ფარგლებს გარეთ მათაც (ფრანგმა განმანათლებლებსაც, დ. ფ.) შესძლეს დიალექტიკის სანიმუშო ნაწარმოებები მოეცათ: გავიხსენოთ მხოლოდ დიდროს „რამოს ძმისწული" და რუსოს „ტრაქტატი უთანასწორობის წარმოშობაზე ადამიანთა შორის"...[1] „რუსოს მოძღვრება თითქმის მედიდურად ამკღავნებს თავის დიალექტიკურ წარმოშობას. ბუნებრივ და ველურ მდგომარეობაში ადამიანები თანასწორნი იყვნენო"... რუსო უთანასწორობის წარმოშობაში პროგრესს ხედავს. მაგრამ ეს პროგრესი ანტაგონისტური იყო, იგი იმავე დროს რეგრესსაც წარმოადგენდა". „ყოველი შემდგომი პროგრესი (პირველყოფილ მდგომარეობასთან შედარებით) მხოლოდ მოჩვენებით წინსვლას წარმოადგენდა ცალკე ადამიანის გაუმჯობესების მხრივ, ნამდვილად კი ხელს უწყობდა ადამიანთა მოდგმის დაქვეითებას[2]" ენგელსი იქვე შიუთითებს: „ამრიგად, ჩვენ უკვე რუსოს ნაწერებში გვხვდება არა მარტო აზრთა განვითარება, რომელიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავს მარქსის მიერ „კაპიტალში" გამოთქმულ აზრებს, არამედ დეტალებიც ჩვენ ეხედავთ მთელ რიგ ისეთ დიალექტიკურ გამოთქმებს, რომლებსაც მარქსი ხმარობს".[3]

ჟან ჟაკ რუსოს ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოები „აღსარება" სამაგიდო წიგნად იქცა. იგი მართლაც შეუნელებელი ინტერესით იკითხება. მასში ავტორი თავისი გულის კარნახით გულწრფელად და მიუდგომლად გადმოგვცემს თავისი მდიდარი შინაარსით აღსავსე ცხოვრების ისტორიას, ამ წიგნში ჟან ჟაკ რუსო კიდევ უფრო ძლიერად წარმოგვიდგება როგორც სოციალური რეფორმატური და რუსოიზმის შემოქმედი. მთელი წიგნის მანძილზე ჟან ჟაკ რუსო ხაზს უსვამს თავის პოეტურ მრწამსს. პიროვნების თავისუფლების პრინციპს, იმას, რომ „გონება ჩვენ გვატყუებს, გრძნობა კი არ გვატყუებს არასოდეს". „ადამიანი დიდია მხოლოდ თავისი გრძნობით". როგორც ვთქვით „აღსარების" მთავარი გმირი თვითონ ჟან ჟაკ

---

[1] ფ რ ი დ რ ი ხ ე ნ გ ე ლ ს ი. „ანტი-დიურინგი", თბ., 1952 წ., გვ. 25.

[2] იქვე, გვ. 165—166.

[3] ფ რ ი დ რ ი ხ ე ნ გ ე ლ ს ი. ანტი-დიურინგი, თბ., 1952 წ. გვ. 165—166.

რუსოა თავისი ინტიმური გრძნობებით და სოციალურ-პოლიტიკური მისწრაფებებით. „აღსარება" ჟანრობრივი ხასიათით სრულიად ახალი მოვლენა იყო მე-18 საუკუნის ევროპულ ლიტერატურაში.

რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული კრიტიკა მაღალ შეფასებას აძლევდა ჟან ჟაკ რუსოს ცხოვრებასა და შემოქმედებას. სწორი, შესანიშნავი ანალიზი მოგვცეს თავიანთ შრომებში ჟან ჟაკ რუსოს მემკვიდრეობის შესახებ ჩერნიშევსკიმ და პლეხანოვმა, ბელინსკიმ და ვერცენმა, ასევე სოციალისტური ლიტერატურის ფუძემდებელმა მაქსიმ გორკიმ. დიდი რუსი მწერალი ლევ ტოლსტოი აღფრთოვანებული იყო ჟან ჟაკ რუსოს სანტიმენტალიზმით და როცა კითხულობდა მის ცალკეულ ნაწარმოებებს, ამბობდა, ასე მგონია ყოველივე ეს ჩემი დაწერილიაო.

საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში გარკვეულია ჟან ჟაკ რუსოს ადგილი მსოფლიო ლიტერატურაში, მითითებულია ჟან ჟაკ რუსოს მსოფლმხედველობის ნაკლოვან მხარეებზე, მის შეცდომებზე, მაგრამ ხაზგასმულია ის, რომ ჟან ჟაკ რუსო, მიუხედავად ყოველივე ამისა, მაინც მაღლდებოდა მთელი რიგი საკითხების სწორად დასმისა და გადაწყვეტის დონემდე.

ქართველი საზოგადოებრიობა იმთავითვე იცნობდა ჟან ჟაკ რუსოს, ეცნობოდა მის შემოქმედებას. ქართველი მოწინავე ადამიანები დედანში კითხულობდნენ ამ დიდი ფრანგი განმანათლებლის ცალკეულ ნაწარმოებებს. მე-18 საუკუნეშივე ჩვენს ლიტერატურაში მოკრძალებით წარმოთქვამდნენ ჟან ჟაკ რუსოს სახელს. ზოგიერთი ჩვენი სახელოვანი მწერალი არა მარტო თარგმნიდა ჟან ჟაკ რუსოს ნაწარმოებებს, არამედ კიდეეაც იყენებდა მის პროგრესულ შეხედულებებს თავის შემოქმედებაში. ქართულად არის თარგმნილი „ჰაზინი" ჟან ჟაკ რუსოსი „სხვადასხვა საგანთათვის". ახლა ცნობილია, რომ დავით ესტატეს-ძე ციციშვილმა ქართულად გადმოთარგმნა ჟან ჟაკ რუსოს თხზულება „ჰსჯა" ანუ „ტრაქტატი იმის შესახებ, უწყობს თუ არა კულტურა კაცობრიობის პროგრესს ხელს?"

დიდი მნიშვნელობის ფაქტია, რომ მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში კიდევ უფრო ფართო პოპულარობით სარგებლობდა ჟან ჟაკ რუსო. ისეთი გამოჩენილი, მაღალნიჭიერი მგოსანი, როგორიც იყო ალექსანდრე ჭავჭავაძე ახლოს იცნობდა ფრანგულ ლიტერატურას, კერძოდ ფრანგულ განმანათლებლურ ლიტერატურას. ის დედანში თავისუფლად კითხულობდა ფრანგ მწერალთა შესანიშნავ ნაწარმოებებს. ალექსანდრე ჭავჭავაძის ცნობილი ლექსი „ვაჭ, სოფელსა ამას" დაწერელია იმ დროს, როდესაც მან შეადგინა თხზულება „ახლოით განჩხრეკილი კაცი". ამ ნაწარმოებებს ერთი

და იგივე წყარო უნდა ჰქონდეს. ეს წყარო უნდა იყოს ფრანგული განმანათლებლური ლიტერატურა.

ალექსანდრე ჭაჭავაძის „ახლოით განჩხრეკილი კაცი" ღრმა შინაარსის, სიბრძნითა და ჭეშმარიტი მეტყველებით აღსავსე თხზულებაა, რომელშიც პირუთვნელად დასმულია საკაცობრიო მნიშვნელობის პრობლემები, გამოთქმულია ახალი, მართალი აზრები, გაძოკვლეულია ადამიანის ბუნება. ამაღე დროს იგი არის ადამიანის გამაბნეველი წიგნი, კაცობრიობის უკეთესი მერმისის რწმენის შემქმნელი და განმამტკიცებელი.

აღსანიშნავია, რომ ცნობილმა მწერალმა და კრიტიკოსმა გიორგი ნატროშვილმა 1969 წლის ჟურნალ „მნათობში" (№ 12) გამოაქვეყნა საინტერესო გამოკვლევა: „უდაბნოში დაწერილი წიგნი", რომელშიც ავტორმა დაასაბუთა, რომ ალ. ჭაჭავაძის „ახლოით განჩხრეკილი კაცის" ფრანგული წყარო არის ვოლნეის წიგნი „ნანგრევები ანუ ფიქრები იმპერიების აყვავებასა და დაცემაზე", მაგრამ თარგმანი კი არაა, არამედ ორიგინალური ნაწარმოებიაო. გიორგი ნატროშვილის ამ საყურადღებო მიგნებით ახალი ფურცელი გადაიშალა ალ. ჭაჭავაძის მემკვიდრეობის მეცნიერულად შესწავლის საქმეში.[1]

ბავშვობიდან მოყოლებული, ცხოვრების აუტანელმა პირობებმა, გამუდმებულმა დევნამ და შევიწროვებამ, ბრძოლამ და შრომამ გაუტეხეს ჟან ჟაკ რუსოს ჯანმრთელობა და 1878 წლის 2 ივლისს ჟან ჟაკ რუსო სამუდამოდ გამოესალმა კაცობრიობას. იგი გარდაიცვალა ტვინში სისხლის ჩაქცევისაგან. მისი ანდერძის თანახმად დასაფლავებულ იქნა ერმონენვილში. 1794 წელს კი მისი ნეშტი გადაასვენეს პარიზის პანთეონში, რომლის შესავალს ამშვენებს დიდებული წარწერა: „ღირსეულ შვილთ მადლიერი სამშობლოსაგან".

რომენ როლანის სიტყვებით რომ ვთქვათ, ჟან ჟაკ რუსო იყო თავისი ეპოქის ფიქრთა მპყრობელი. მან თავისი პროგრესული მოძღვრებით ღრმა კვალი დაამჩნია არა მარტო ფრანგულ, არამედ მსოფლიო კულტურას. ჟან ჟაკ რუსო დიდად იყო

---

1 ჟან ჟაკ რუსოს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ქართულ ენაზე გამოქვეყნებულია საინტერესო შრომები. პროფ. სერგი დანელიას „ჟან ჟაკ რუსოს ცხოვრება და პედაგოგიური სისტემა", თბილისი, 1947 წ. დოც. ემ. გოგინავას „ჟან ჟაკ რუსო და მისი პედაგოგიური შეხედულებანი", წიგნში ჟან ჟაკ რუსო „ემილი, ანუ აღზრდის შესახებ", თბილისი, 1949 წ. დოც. გასტონ ბუაჩიძის, „ჟან ჟაკ რუსო ქართულ მწერლობაში", თბილისი, „მნათობი", 1962 წ. № 6. დ. ჯანჩულიძის, „ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის", თბილისი, 1969 წ., „ჟან ჟაკ რუსო", გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1938 წ., „დიდი ფრანგი განმანათლებელი", გაზ. „კომუნისტი", 1962 წ.

დავალებული თავისი დიდი წინაპრებისაგან, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ კიდევ უფრო მეტად არიან დავალებული მისგან მისი მემკვიდრეები. შესანიშნავად ამბობს ყოველივე ამის შესახებ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი მორის ტორეზი: „ჩვენ მე-18 საუკუნის ენციკლოპედისტთა რევოლუციური აზრის კანონიერი მემკვიდრეები ვართ. ჩვენ განვაგრძობ იმათ საქმეს, ვინც კაცობრიობის პირველ რიგებში იბრძოდა“. ჟან ჟაკ რუსო სწორედ ასეთ ადამიანთა მოწინავე რიგებში იდგა მუდამ. მისი ღრმად შინაარსიანი სიტყვები დღესაც ახლებურად გაისმის, როცა პროგრესული კაცობრიობა საბჭოთა კავშირის მეთაურობით აქტიურად იბრძვის მსოფლიოში ხალხთა შორის ძმობის, ერთობის, თავისუფლებისა და მშვიდობის დასამყარებლად.

პიერ ჟან ბერანჟე

(1780—1857)

საფრანგეთის ეროვნული სულის მთელი არ-
სი გამოითქვა ბერანჟეს სიმღერებში.

ბ ე ს ა რ ი ო ნ ბ ე ლ ი ნ ს კ ი

ბერანჟე არის მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ფრანგული რევოლუციურ-დემოკრატიული პოეზიის უდიდესი წარმომადგენელი. ის იყო პოეტი მომღერალი, სახალხო მგოსანი, ფრანგი ხალხის დიდება და სიამაყე. ბერანჟემ იშვიათ მხატვრულ ფორმებში გამოხატა თავისი ხალხის ფიქრები და განწყობილებანი, რითაც განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა მშრომელთა ფართო ფენებში. მის გასაოცარ პოპულარობაზე მეტყველებს იმ ფაქტი, რომ ქუჩაში მიმავალ ბერანჟეს ხალხი ტაშს უკრავდა.

პიერ ჟან ბერანჟე დაიბადა 1780 წლის 19 აგვისტოს პარიზში. მისი მამა ჟან ფრანსუა ნოტარიუსთან მუშაობდა, დედა მარია ჟანა შამპი ხელოსნის ქალიშვილი იყო. ქორწინების შემდეგ ცოტაოდენი ხნის გასვლისას პატარა ბერანჟეს მშობლები ერთმანეთს გასცილდნენ. მომავალი პოეტი ჯერ ბაბუასთან (დედის მხრივ) იზრდებოდა, შემდეგ პარიზის პანსიონში. ცხრა წლის ბერანჟემ პანსიონის სახურავიდან დაინახა თუ როგორ აიღეს შტურმით 1789 წლის 14 ივლისს ფრანგმა რევოლუციონერებმა ბასტილიის ციხე-სიმაგრე. ამ დიდმნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენას შემდეგ პოეტმა საუცხოო ლექსი მიუძღვნა „თოთხმეტი ივლისი“.

როდესაც ბერანჟეს ბაბუას დამბლა დაეცა, ბავშვი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, ამიერიდან მას მზრუნველობდა მამიდა, რომელთანაც ბერანჟე იმყოფებოდა 1795 წლამდე. პირველი მხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც ბერანჟემ მამიდის ოჯახში წაიკითხა, იყო რასინისა და ვოლტერის პოეტური ქმნილებანი, მირაბოს მიერ თარგმნილი ტასოს „განთავისუფლებული იერუსალიმი“ და სხვ.

1789 წლის რევოლუციის შემდეგ საფრანგეთში შეიქმნა უფასო „პატრიოტული სკოლები“, სადაც იზრდებოდნენ მოქალაქე-პატრიოტები. ბერანჟე ამ სკოლაში შეიყვანეს. ნიჭიერი ახალგაზრდა ღრმად

განიმსჭვალა სახალხო-რევოლუციური სიმღერებისადმი სიყვარულითა და პატივისცემით, ამავე დროს მას იტაცებდა რესპუბლიკური იდეალები.

1795 წელს ბერანჟე კვლავ პარიზშია და ცდილობს გაიკაფოს გზა დამოუკიდებელი ცხოვრებისაკენ. მან გამოსცადა მძიმე გაჭირვება, ახლოს გაეცნო საზოგადოების დაბალი ფენების დუხჭირ პირობებს. მის თვალწინ მოხდა ნაპოლეონ ბონაპარტის იმპერიის შექმნა, რესტავრაცია, ივლისის მონარქია, 1848 წლის რევოლუცია. ამ სოციალურ-პოლიტიკურ ამბებსა და მოვლენებს ბერანჟე თავისებურად ეხმაურებოდა. მისი უკვდავი რევოლუციური პოეზია განგაშის აღმძვრელი საყვირი იყო, რომელიც მოუწოდებდა მშრომელ მასებს უვარგისი პოლიტიკური რეჟიმის დასამხობად.

ბერანჟე გარდაიცვალა 1857 წლის 16 ივლისს.

ბერანჟემ ფრანგული ხალხური სიმღერა ახალ, მაღალ საფეხურზე აიყვანა, ფოლკლორულ ლექსს უფრო მეტი მუსიკალობა, სინაზე და სინატიფე მიანიჭა, გაამდიდრა იგი რევოლუციურ-დემოკრატიული შინაარსით, ბერანჟეს სიდიადე იმაშია, რომ ის თავისი მგზნებარე სიმღერებით რეაქციული ძალების წინააღმდეგ გამოდიოდა მთელი ფრანგი ხალხის სახელით. მისი ლექსები მშრომელი მასებისათვის მისაწვდომი, გასაგები და გულშიჩამწვდომი იყო, რადგან ეს ლექსები მათ საარსებო ინტერესებს გამოხატავდნენ.

ბერანჟემ ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო პატარა ლექსებით და იმთავითვე მიიპყრო ფართო საზოგადოების ყურადღება. უკვე ნათლად ჩანდა, რომ მისი პოეზიის მთავარი, წამყვანი თემა იქნებოდა: ძმობა, ერთობა, სიყვარული, სიმართლე და თავისუფლება.

დიდად გაუთქვა სახელი ბერანჟეს ლექსმა „მეფე ივეტომ", იგი დაწერა 1813 წელს და მაშინვე გავრცელდა ხალხში. ესაა მძაფრი სატირა ნაპოლეონ ბონაპარტზე, მის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე. ბერანჟე სიმპათიურად იყო განწყობილი ნაპოლეონისადმი, როცა ის რევოლუციური საფრანგეთის იდეალებს განასახიერებდა, მაგრამ როდესაც ნაპოლეონი განმათავისუფლებელი ომიდან, დაპყრობით ომზე გადავიდა, პოეტმა გაიცხა ის, დაინახა რა მასში თავისუფლების ჩამხშობი, დესპოტი, დამპყრობელი. ბერანჟე ირონიულად აქებს ლეგენდარულ გულუბრყვილო მეფე ივეტოს და დასცინის ნაპოლეონ ბონაპარტის იმპერიის აუტანელ რეჟიმს, რომლის ქვეშაც იტანჯებოდა და სულს ღაფავდა მშრომელი ხალხი.

რესტავრაციის პერიოდში ბერანჟეს მებრძოლი ხმა კიდევ უფრო ძლიერად გაისმის. ის აქვეყნებს დემოკრატიული სულისკვეთებით აღსავსე ლექსებს, რომლებშიც იცავს საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის მონაპოვარს: პოეტი კიცხავს რესტავრაციის სოცია-

ლურ-პოლიტიკურ რეჟიმს, კათოლიკურ რეაქციას, ემიგრაციიდან დაბრუნებულ თავად-აზნაურობას და კლერიკალურ წრეებს. ამ მხრივ აღსანიშნავია ლექსები: „თეთრი ნიშანი“, „თხოვნა ჯიშიანი ძაღლისა“, „მარკიზ დე კარაბა“, „ეშმაკის სიკვდილი“ და სხვ.

ბერანჟე მწვავე სატირით ააშკარავებს საფრანგეთის მედიდურ თავად-აზნაურობას, რომელიც უცხო ჯარის დახმარებით დაბრუნდა საფრანგეთში და ყოყოჩობს. ძლიერია სატირიკული ლექსი „მარკიზ დე კარაბა“, მასში ავტორი ხატავს მემამულე ემიგრანტს, რომელმაც უცხოელთა მხარდაჭერით მიაღწია გამარჯვებას და მოითხოვს განსაკუთრებულ პრივილეგიებს. მარკიზ დე კარაბას ახასიათებს თავხედობა, მბეცური სიძულვილი, სიხარბე, გარყვნილება. ის იმდენად უტიფარია, რომ თავი ხოტბა-დიდების ღირსად მიაჩნია და ჰკონია, რომ მისი „ბრწყინვალე აზნაურობა“ მემკვიდრეობით გადაეცემა მის შვილებს.

სატირიკოსი ბერანჟე არ ინდობს ფრანგი მშრომელების მტრებს: რეაქციონერებს, თავადებს, კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებს. გვიხატავს მათ კაცუნებად, რომლებიც სულიერად გამოფიტულები და დაკნინებული არიან. ლექსში „ეშმაკის სიკვდილი“ ახასხულია სამღვდელოების მატყუარობა, ვერაგობა, თაღლითობა. ამავე თემასაა აგებული მისი ლექსები: „პაპის ქორწილი“, „მაჰმადიანი პაპი“, „პაპის შვილი“, „კეთილი პაპი“ და სხვ.

პოეტი გაბედულად გამოთქვამს იმ აზრს, რომ მონარქისტული წყობილება დამღუპველად მოქმედებს სამართლიანი საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებაზე, ახშობს პატრიოტულ, ჰუმანურ იდეალებს.

ბერანჟე იყო 1830 წლის ივლისის რევოლუციის აქტიური მონაწილე. ამ დროს დაწერილი ლექსები ყუმბარებივით ვარდებოდა ბურბონთა ცინასტიის დასამხობად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ რთულ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში ნიჭიერმა პოეტმა წვრილ-ბურჟუაზიული მერყეობა განიცადა, ლუი ფილიპეს გამეფება კინაღამ პროგრესული შემობრუნება ეგონა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ რევოლუციის შემდეგ ბურჟუაზია გაძლიერდა, რამაც კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა მშრომელი ხალხი. ახლა ბერანჟეს ლექსების მთავარი თემა გახდა ფინანსური ბურჟუაზიის, მმართველი ოლიგარქიის, ბანკებისა და ბირჟების სატირიკული სურათების დახატვა. ლექსებში „ოქრო“, „ფული“, პოეტი წარმოგვიდგენს გამდიდრებით გატაცებულ საფრანგეთის ბურჟუაზიას. ივლისის მონარქიის დროს ბერანჟე ხედავს, რომ ყველაფერი ყიდვა-გაყიდვის საგანია, ყველგან უსინდისო ვაჭრობაა გამეფებული: მღვდელები ვაჭრობენ ცოდვების მონანიებით, ვექილები — სიცრუით,

პოეტები თავიანთი ფანტაზიით. ზოგჯერ ბერანჟეს ჰგონია, რომ თავისუფლებას აღარც მებრძოლები ჰყავს და აღარც დამცველები, მაგრამ ის თავისი დიდი ტალანტით მაინც მაღლდება საგნებისა და მოვლენების სწორად გაგებისა და შეფასების დონემდე. ლექსში „ლოკოკინები", ბერანჟე ააშკარავებს მუქთახორა კლასს, რომელიც სხვისი შრომით ცხოვრობს, საფრანგეთის ფინანსური ბურჟუაზიის წარმომადგენლებს გვიხატავს, როგორც გასუქებულ ლოკოკინებს, გონებაჩლუნგ და ცხოველად ქცეულ არსებებს.

ფრანგ ხალხს ისე მოსწონდა და უყვარდა ბერანჟეს სიმღერები, რომ მღეროდნენ სახლებში, ქუჩებში, ბარიკადებზე. დიდმა პოეტმა შეძლო ხალხის გულისა და ფიქრის დაპყრობა, კარგად გაიგო მათი ჭირ-ვარამი და კიდეც გახდა მათი მედროშე. ის თავისი ლექსებით წინ მიუძღოდა აჯანყებულ ხალხს თავისუფლებისა და ბედნიერი ცხოვრების მოსაპოვებლად. ბერანჟე თავის თავს „ხალხის შვილს" უწოდებდა და ამაყობდა, რომ მისი პოეზია მთლიანად ხალხს ეკუთვნოდა.

ბერანჟე ღრმა სიყვარულით აღწერს უბრალო ადამიანების ცხოვრებას, დემოკრატიულ საფრანგეთს, მის რევოლუციურ ტრადიციებს. აღსანიშნავია მისი ლექსები: „მოხუცი სერჟანტი", „ძველი დროშა". „მარკიტანტი" და სხვ. ბერანჟე ხალხში ხედავს საფრანგეთის ნათელ მომავალს, სამშობლოს ბურჯს, სახელსა და დიდებას.

ლექსში „მოხუცი სერჟანტი" პოეტი იგონებს რევოლუციური ბრძოლების გმირს და ხატავს რესპუბლიკური არმიის მხედართმთავრის იდეალურ სახეს. მოხუცი სერჟანტის აზრით მთავარი ის კი არაა, რომ დაიბადო და იცოცხლო, არამედ ის, რომ იბრძოლო სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ერთ-ერთი ჯარისკაცის ჭოხის ტრაგიკული სურათია წარმოდგენილი ლექსში „ძველი დროშა". ამ ჭოხში საფრანგეთის დამტვერიანებული დროშა ინახება. დადგება ნანატრი დღე და ეს დროშა კვლავ აფრიალდება. ხალხი გაიღვიძებს, ტკივილებს მოიშუშებს, ბრძოლის ველზე გავა, რისხვად დაატყდება თავის მჩაგვრელებს და ძველი დიდების დღეებს აღადგენს.

ბერანჟე ძლიერად გრძნობდა და განიცდიდა მშრომელი ხალხის ტანჯვას. ის მთელ რიგ თავის ლექსებში მკაფიოდ აგვიწერს უსამართლობითა და გაჭირვებით დაბეჩავებულ ადამიანებს. ასეთებია მაგალითად ლექსები: „ყაკი", „წითური ჟანა", „მათხოვარი" და სხვ. ლექსში „ყაკი" დახატულია გლეხის ოჯახის მძიმე ტრაგიკული სურათი: ყაკის სახლში მოვლენ გადასახადის ამკრეფნი და სასამართლოს წარმომადგენლები. ყაკს ძინავს. ცოლი ტირის, ქმარს ეუბნება, რომ

ჩქარა ადგეს და რაიმე იღონოს გარეთ, რადგან სახლში აღარაფერია, თავის ბეჭედს წამოიძრობს გასაყიდად, მაგრამ რას ხედავს ქმარი გაყინული წევს. „წითურ ჟანაში“ პოეტი აგვიწერს გლეხის ქალის უმწეო მდგომარეობას: ქმარი ციხეშია, ზრდის სამ შვილს, იტანს ყოველგვარ გაჭირვებას და იმედით შეჰყურებს მომავალს. ლექსში „მათხოვარი“. ბერანჟე წარმოგვიდგენს ერთ დროს ბრწყინვალე მომღერალი ქალის ახლა კი დაბრმავებული და ხმადაკარგული მათხოვრის გამწარებულ სიცოცხლეს. იგი ეკლესიის შესავალთან დგას და გამვლელ-გამომვლელთაგან მოწყალებას თხოულობს.

ბერანჟე ძლიერია უსამართლო საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან გარიყული ადამიანების ფიქრებისა და განცდების გადმოცემაში, მაგრამ უტოპიური სოციალიზმის იდეებით გატაცებული პოეტი ყოველთვის ვერ ხედავს ამ მძიმე მდგომარეობიდან რეალურ გამოსავალს. მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის აღმავლობის პერიოდში ბერანჟე ააშკარავებს ბურჟუაზიის მტაცებლურ, ეგოისტურ ბუნებას, კიცხავს მშრომელთა ექსპლოატატორებს, თანაუგრძნობს პროლეტარიატს, მაგრამ ზოგჯერ პოეტს ჰგონია, რომ ბურჟუაზია და პროლეტარიატი დროებით არიან ერთმანეთისაგან გათიშული, ისინი გამონახავენ საერთო ენას ე. ი. ყველაფერი მშვიდობიანად წავა, ბურჟუაზია დაუთმობს პროლეტარიატს და მოხდება მათი შერიგება-შეკავშირება. ასეთი მცდარი შეხედულებანი იყო მწერლის წვრილბურჟუაზიული მსოფლმხედველობის ანარეკლი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ზოგჯერ ბერანჟეს რევოლუციურ-დემოკრატიული განწყობილებანი მერყეევი იყო.

40-იან წლებში, როდესაც მომწიფდა რევოლუციური სიტუაცია, ბერანჟე კვლავ რევოლუციური შეტევების მომხრეა. ის წერს ლექსს „წარღუნა“, რომელშიც მგზნებარედ უმღერის ხალხის აზვირთებულ ტალღას, მის დაუცხრომელ ძალას, პოეტი ხალხს წარმოგვიდგენს, როგორც მრისხანე ოკეანეს, რომლის აღელვებული ზვირთები წალეკავს ძირგამომპალ პოლიტიკურ რეჟიმს, გაანადგურებს მშვიდობის მტრებს და დაამყარებს რესპუბლიკურ წყობილებას, ე. ი. ხალხთა ძმურ კავშირს. ფრიად საყურადღებოა აგრეთვე ბერანჟეს ლექსი „ხალხთა წმინდა კავშირი“, რომელიც მარქსსა და ენგელსს ძალიან მოსწონდათ.

ბერანჟეს სძულდა ნაპოლეონ მესამე და მეორე იმპერიის რეჟიმი. მისი სატირა „სიკვდილი და პოლიცია“ სწორედ მის წინააღმდეგ იყო მიმართული.

ამაღელვებელია ბერანჟეს ბრწყინვალე ლექსი „მშვიდობით“, რომელშიც ის სიკვდილის წინ ემშვიდობება თავის საყვარელ სამშობლოს და ხალხს, მგოსანი გულწრფელად ამბობს, რომ მასზე მე-

ტად საფრანგეთი არაფის არ ჰყვარებია და თუ რაიმე აწუენინა თხოვს პატიებას[1].

ბერანჟე ამბობდა: ხელოვნება უნდა ემსახურებოდეს თანამედროვეობას, საზოგადოებას, უწინარეს ყოვლისა — ხალხს. სწორედ თვითონ ბერანჟეს პოეზია იყო ამ პოეტური მრწამსის სრული გამოხატულება.

გამოჩენილი რუსი რევოლუციონერი-დემოკრატები: ბელინსკი, გერცენი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი მაღალ შეფასებას აძლევდნენ ბერანჟეს შემოქმედებას.

დიდი იყო ბერანჟეს პოეზიისადმი ინტერესი საქართველოშიც. ბერანჟეს ლექსების თარგმნა დაიწყეს აკაკიმ, გიორგი ერისთავმა, გრ. ბაგრატიონ-მუხრანსკიმ გ. გვაზავამ, ირ. ევდოშვილმა. ეს დიდებული ტრადიცია კვლავ გრძელდება ჩვენს დროშიც.

აკაკის ძალიან მოსწონდა ბერანჟეს შემოქმედება. როდესაც გამოქვეყნდა გიორგი გვაზავას მიერ ბერანჟეს ლექსების ქართული თარგმანის კრებული აკაკი გამოეხმაურა მას და დაბეჭდა წერილი „ბერანჟეს ლექსები ქართულად".

აკაკი თავის წერილ — რეცენზიას იმით იწყებს, რომ პოეტური თარგმანი დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. მთარგმნელმა ზედმიწევნით უნდა იცოდეს ის ენა საიდანაც თარგმნის, დახელოვნებული უნდა იყოს თავის ენაში და ნიჭითაც უნდა ედრებოდეს უცხო ავტორს. თუ ასე არ მოხდა და სიტყვა-სიტყვით ითარგმნა ეს ცოცხალის მოკვლა და მერე მკვდრის ღელერჭით გადათრევა იქნება.

აკაკის აზრით, „საზოგადოდ დარგმანი დედნის ჩრდილია ხოლმე". მაშინაც კი, როდესაც მთარგმნელმა ჩინებულად იცის ორივე ენა და ნიჭითაც უტოლდება დედნის ავტორს, — „გამოეპარება ის წერილმანობა, რომელიც შეადგენს თვითეული ხალხის განსაკუთრებითს სულის საიდუმლო მოძრაობას, რომელიც მხოლოდ ავტორს შეუძლია დედის რძესთან ერთად შეესისხლხორცებია, რომ პოეტური ნაწარმოები მოექარგა და გაესხივოსნებია"[2].

ცხადია, ჩვენი სასიქადულო მგოსანი ამას ლაპარაკობს კლასიკოსთა თხზულებების თარგმანებზე და არა, როგორც თვითონ წერს, „უმნიშვნელო და უხეირო" ნაწარმოებებზე, რომლებიც თარგმანში შეიძლება უკეთესი აღმოჩნდეს.

ფრიად საყურადღებოა აკაკის შეხედულებანი პოეტური ნაწარ-

---

1 რა კარგად აქვს ეს გრძნობა გამოხატული ჩვენს სახელოვან პოეტს გიორგი ლეონიძესაც: არ დაიდარდო, დედაო, რაც მე სიკვდილით გაწყინე; მე შენი ძუძუს ნათელი საქვეყნოდ გამოვაბრწყინე.

2 აკაკი წერეთელი. თხზ. სრ კრ. ტ. 13, თბილისი, 1961 წ., გვ.. 432.

მოეზების შესახებ, რომლებსაც ის ორ ჯგუფად პყოფს. აკაკი წერს: „პოეტური ნაწარმოები, ლექსები, ორგვარია: ერთი აღვიძებს გონებას, ამაღლებს, მერე გადადის გრძნობაზე და ორივეს ერთად ჰსუვალავს. მეორე კი—თითქოს საქმეც კი არა აქვს რა გონებასთანაო, თავის თავად უძვრება სულსა და გულში და თითქმის უნებურად ჰხიბლავს ადამიანს. ამ უკანასკნელთაგანს ეკუთვნიან სახალხო მგოსნები, მათი ლექსები უფრო სასიმღერო არიან, ვიდრე სადეკლამაციო, ხმამაღლა საკითხავი და მართლაც, მათი კითხვის დროს გულში უეჭველად იმღერის მკითხველი. ამ უკანასკნელი დარგის მგოსნები იშვიათად იბადებიან, როგორც ინგლისელების ბერნსი, გერმანელების ჰაინე, და გნებავთ კოლცოვიც, რომელიც ჭებით მოსახსენებელია. ამათთაგანია, მაგრამ უფრო ძლიერი, ფრანცუზების მგოსანი ბერანჟე რომელმაც თავისი თანამედროვე საფრანგეთის ყოფა-ცხოვრება სასიმღერო ლექსებით გამოსახა. მისი ლექსები ერთსა და იმავე დროს კიდეც ატკბობენ და კიდევაც ანაღვლიანებენ მკითხველს. კითხულობ — გეცინება. მაგრამ იმ სიცილში რაღაც ეკალივით იჩხელიტება. ყოველ მის ნათქვამში ლირიზმი და სატირა ერთად არიან შენათხსი და თანასწორის ძლიერებით იმორჩილებენ მკითხველს. ამგვარი ნაწარმოების სხვა ენაზე გადაღება თითქმის მოუხერხებელია და ვერც არავინ დაიჩემებს, რომ ბერანჟე სამაგალითოდ გვაქვს გადმოღებულიო[1].

როგორც ეხედავთ აკაკი სახალხო მგოსნებს დიდ უპირატესობას აძლევს პოეტებს შორის, ვინაიდან „მათი ლექსები უფრო სასიმღერონი არიან, ვიდრე სადეკლამაციო, ხმამაღლა საკითხავი". აკაკის-სახალხო მგოსნებად სამართლიანად მიაჩნია რობერტ ბერნსი, ჰაინრიხ ჰაინე და კოლცოვი, მაგრამ ყველა მათგანზე მაღლა ის ჟან პიერ ბერანჟეს აყენებს, როგორც უფრო ძლიერ სახალხო მგოსანს. საერთოდ ასეთი დარგის პოეტები, აკაკის აზრით, იშვიათად იბადებიან.

---

[1] აკაკი წერეთელი. თხზ. სრ. კრებ. თხუთმეტ ტომად, ტ. 13, თბილისი, 1961 წ., გვ. 433.

ვიქტორ ჰიუგო

(1802—1885)

ვიქტორ ჰიუგო იყო ტრიბუნი და პოეტი, რომელიც მსოფლიოში ქარიშხალივით გრგვინავდა და სიცოცხლეს ანიჭებდა ყოველივეს, რაც მშვენიერია ადამიანის სულში.

მაქსიმ გორკი

დიდი სახელი ჰქონდა მას და ღირსიც იყო იგი ამ სახელის ტარებისა, — ამბობდნენ ვიქტორ ჰიუგოს შესახებ მისი გარდაცვალების დღეებში. დროთა ვითარებაში ეს სახელი კიდევ უფრო გაიზარდა. ვ. ჰიუგოს ომახიანი პოეტური ხმა კვლავ ბუკსა და ნაღარასავით გაისმის.

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში იშვიათია მწერალი, რომელსაც იმდენი სითბო, ალერსი და სიყვარული დაემსახურებინოს ხალხში, რამდენიც ვიქტორ ჰიუგოს.

ვიქტორ ჰიუგო იყო პროგრესული რომანტიზმის ბელადი და თეორეტიკოსი, ბრწყინვალე რომანისტი, პოეტი და დრამატურგი, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი და მგზნებარე ორატორი.

ვიქტორ ჰიუგო დაიბადა საფრანგეთის ქალაქ ბეზანსონში 1802 წლის 26 თებერვალს, სამხედრო პირის ოჯახში. პატარაობიდანვე იგი დიდი ინტერესით სწავლობდა უცხო ენებს, ბევრს კითხულობდა. ჯერ კიდევ ჭაბუკს წაკითხული ჰქონდა: ვოლტერის, რუსოს, დიდროს ნაწარმოებები, დიდ ფრანგ პოეტთა ლექსები და თვითონაც წერდა ოდებს, ბალადებს, სატირებს, ელეგიებს. მამასთან ერთად ის იყო იტალიაში, ესპანეთში.

1820 წელს ვიქტორ ჰიუგო რედაქტორობს ჟურნალ „ლიტერატურულ კონსერვატორს“, რომელშიც ბეჭდავს თავის პირველ რომანს „ბიუგ ჟარგალს“. ამავე დროს იფართოებს ნაცნობ-მეგობართა წრეს, დადის და ახლო მეგობრობა აქვს კონსერვატიული რომანტიზმის წარმომადგენლებთან: ფრანსუა — რენე დე შატობრიანთან, ალფრედ დე ვინისთან, ალფონს დე ლამარტინთან, ალექსანდრე სუშესთან, ემილ დეშანთან, აბატ ლამენესთან. 1822 წელს ვიქტორ ჰიუგო აქვეყნებს თავის „ოდების“ პირველ ტომს, რომელმაც პოეტს

დიდი სახელი გაუთქვა, და აქედან მოყოლებული მისი ხანგრძლივი ცხოვრება ტიტანური შემოქმედებითი შრომისა და გმირული საზოგადოებრივი ბრძოლის დიდებულ ეპოპეად იქცა.

ვიქტორ ჰიუგომ განვლო გრძელი, ძნელი და რთული გზა ცხოვრებისა. ის ბევრ რამეს მოესწრო. მის თვალწინ მოხდა ისეთი დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური ამბები, როგორც 1830 წლის ივლისის რევოლუცია, 1848 წლის რევოლუცია, საფრანგეთ-პრუსიის ომი, პარიზის კომუნა. ჰუმანისტი რომანტიკოსი ვიქტორ ჰიუგო გულგრილი მეთვალყურე, ან უბრალო დამკვირვებელი კი არ იყო ამ სოციალურ-პოლიტიკური ძვრებისა, არამედ ყოველივე გულთან მიჰქონდა დიდ მწერალს. იგი-გამსჭვალული იყო მშრომელი ხალხისადმი ღრმა სიყვარულის გრძნობით, ენერგიულად ემსახურებოდა თავისი დროის მოვლენებს, აქტიურად და დაუღალავად მონაწილეობდა საზოგადოებრივი პროგრესისათვის დიდსა და საპატიო ბრძოლაში.

ვიქტორ ჰიუგო აქტიურად გამოეხმაურა 1848 წლის რევოლუციას, გამოაქვეყნა ბრწყინვალე ლექსთა კრებული „შურისძიება“ საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს მწერალი თავგამოდებით იცავდა ფრანგ ხალხს, აღვიძებდა მათში პატრიოტულ სულისკვეთებას. ვიქტორ ჰიუგო აღფრთოვანებული შეხვდა პარიზის კომუნის გამარჯვებას. კომუნარები მასზე ამბობდნენ „ჩვენი ვიქტორ ჰიუგოო“.

მწერლის ცხოვრებაში ხშირად ყოფილა ისეთი მომენტი, როცა მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, მაგრამ სახელოვანი პოეტი მუდამ პოულობდა თავის თავში ძალასა და ენერგიას, რომ გადაელახა დაბრკოლება, რათა ეცოცხლა თავისი სამშობლოსათვის, ფრანგი ხალხისათვის, მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის.

ვიქტორ ჰიუგო თავიდანვე იმ აზრს ავითარებდა, რომ მომავალში კლასობრივ ბრძოლას, ხალხებს შორის შუღლსა და სიძულვილს შეცვლიდა ხალხთა მეგობრობა და მშვიდობიანი ცხოვრება. რომ მოისპობოდა ადამიანთა ოცვა-ჟლეტის ყოველგვარი იარაღი და ქვეყნად ჰარმონია დამკვიდრდებოდა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების მუდმივ მოქმედი ფაქტორები იქნებოდა სიყვარული და ძმობა, თავისუფლება და ერთობა.

იგი ამბობდა, ერთი ხელით ვწერ, ორიეთი კი ვიბრძვი, მწერალი რომ არ ვყოფილიყავი, ჯარისკაცი ვიქნებოდიო. და მართლაც, მუდამ ბრძოლის გუნებაზე მყოფი ეს დიდი პოეტი თავისი ანთებული სულით დაუცხრომლად იბრძოდა დრომოჭმული, უვარგისი ტრადიციების წინააღმდეგ, რომ ამით გზა გაეკაფა ახლისა და უკეთესისათვის, სადაც ადამიანს თავისუფლად და ბედნიერად შეეძლებოდა ცხოვრება.

ვიქტორ ჰიუგო წარმოგვიდგება როგორც დიდი პატრიოტი და

მოქალაქე, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის აქტიური მებრძოლი. ის იყო ერთი პირველთაგანი, რომელიც ამტკიცებდა, რომ მშვიდობის საქმე მთელი კაცობრიობის მიზანია, რომ ამ მიზნის მიღწევა შეიძლება შეფერხდეს ან დაჩქარდეს, მაგრამ მისი უარყოფა ან აცილება შეუძლებელია. იცავდა რა საყოველთაო მშვიდობის იდეას, მწერალი მტკიცე რწმენას გამოთქვამდა, რომ დადგება დრო, როცა „ყველა ერი საერთო იდეალებით დაუკავშირდება ერთმანეთს და ომს შუამავლობით შეცვლისო".

თავისი ჰუმანისტური, დემოკრატიული მრწამსი ვ. ჰიუგომ 1877 წლის 25 მარტს ლიონის მუშების კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში ასე გამოთქვა: „მშვიდობა მომავლის სიტყვაა, იგი ბეოცე საუკუნის სახელიაო". ჯერ კიდევ მაშინ მწერალი ნათლად ხედავდა მშრომელ ხალხში ნამდვილ მებრძოლს მშვიდობისათვის. ის ამბობდა: „ბობილიზებული არმიების მრისხანე აჩრდილი, მთელი ეს პირქუში საომარი ბაკქანალია მშვიდობისაკენ მძაფრ მისწრაფებას ბადებს. ვიმეორებ დაბეჯითებით, ვის სურს ომი? — მეფეებს. ვის სურს მშვიდობა? — ხალხებს".

ვიქტორ ჰიუგოს გაბედული, ჰუმანისტური ლოზუნგები სწრაფად იკაფავდნენ გზას მშრომელი მასების გულისაკენ. 1848 წელს მან დაარსა გაზეთი „ლევენემან", რომელსაც ასეთი სიტყვები წარუმძღვარა: „ბიზღი მონარქიას, ღრმა და სათნო სიყვარული ხალხს". ყოველივე ეს მეპარტელ რეაქციულ წრეებს შეუწყნარებელი არ დარჩა და დიდ მწერალს დევნა დაუწყეს. ლუი ბონაპარტის მუხანათური რეჟიმის დროს ვიქტორ ჰიუგო განდევნილი იყო საფრანგეთიდან. სამშობლოდან დაშორებით, სამშობლოზე ფიქრით გაატარა ვიქტორ ჰიუგომ თითქმის ცხრამეტი წელი, მაგრამ არ შემდრკალა, არ დაძაბუნებულა, ფარ-ხმალი არ დაუყრია; პირიქით, ამ მძიმე წლებში მთელი სიმაღლით აღიმართა კაცობრიობის წინაშე, უფრო მრისხანედ და ხმამაღლა გამოვიდა თავისი პოლიტიკური მტრების წინააღმდეგ. სწორედ ამ დროს შექმნა მან თავის უდიდესი მხატვრული ნაწარმოებები, რომელთა სტრიქონებიდან მუდამ ანათებს ვიქტორ ჰიუგოს დიადი სახელი.

როდესაც ვ. ჰიუგოს გესლიანი პამფლეტის „პატარა ნაპოლეონის" ერთი ეგზემპლარი ლუი ბონაპარტს ჩაუვარდა ხელში, მან ირონიული ღიმილით აიღო წიგნი, მედიდურად გადაფურცლა, შემდეგ თავის ირგვლივ მყოფთ მიუბრუნდა და უთხრა: „აი, ბატონებო, „პატარა ნაპოლეონი", რომელიც დიდ ჰიუგოს შეუქმნია". ლუი ბონაპარტმა იტალიაზე გამარჯვების აღსანიშნავად პოლიტიკური ამნისტია რომ გამოაცხადა, ვ. ჰიუგომ ყურადღება არ ეიაქცია და სამშობლოში არ დაბრუნდა. ეაიძვერა იმპერატორს იმის შიში ჰქონდა,

რომ მწერალი, რომელსაც მთელი კაცობრიობა სცნობდა, სადღაც შორს დევნილივით ცხოვრობდა. ვ. ჰიუგოს სთხოვეს საფრანგეთში დაბრუნებულიყო, მაგრამ ამაოდ, მან კვლავ უარი განაცხადა. იგი ამბობდა: ისეთ იმპერატორისაგან, როგორც ლუი ბონაპარტია, ამნისტიას არ მივიღებო. მწერალი იმპერატორისადმი გაგზავნილ პასუხში პირდაპირ წერდა: „ნუ გგონიათ, რომ საფრანგეთში არ დავბრუნდები. მე დავბრუნდები, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც თქვენ მანდ აღარ იქნებით, როდესაც თავისუფლება აღდგება".

ვიქტორ ჰიუგოს წინასწარმეტყველება ახდა. 1870 წელს, როგორც კი გაიგო ლუი ბონაპარტის სამხედრო დამარცხება და მისი ტახტიდან ჩამოგდება, მაშინვე გაემგზავრა კუნძულ გერნსიდან ბრიუსელში, საიდანაც მოხუცებული, მაგრამ სულით გაუტეხელი დაუბრუნდა თავის საყვარელ პარიზს. მწერალს დიდძალი ხალხი შეხვდა სადგურზე. ეს იყო დაუვიწყარი შეხვედრა ფრანგი ხალხისა თავის ერთ-ერთ უდიდეს და უსაყვარლეს მწერალთან.

სამშობლოში დაბრუნებული პოეტი პირველი დღეებიდანვე ჩადგა საფრანგეთისა და მისი დედაქალაქის — პარიზის დამცველ პატრიოტთა მოწინავე რიგებში. ის თავისი ახალი ნაწარმოებებით, მგზნებარე მოწოდებებით, სიტყვითა და საქმით აღაგზნებდა ფრანგ ხალხს. მედგრად დაიცვა თავისი სამშობლო და დიდებული ქალაქი პრუსიელების შემოტევისაგან. ვ. ჰიუგო ნაციონალური კრების წევრად აირჩიეს. მას სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე კალამი ხელიდან არ გაუგდია.

ვიქტორ ჰიუგო გარდაიცვალა 1885 წლის 22 მაისს. მასზე ამბობდნენ, სიცოცხლეშივე ეზიარა უკვდავებასო, და მართლაც, ვ. ჰიუგომ სიცოცხლეშივე აიგო ხალხის გულში მარადიული ძეგლი, რომელსაც ეპოქათა მღელვარე ცვლაში ვერც დრო ვნებს, ვერც წვიმა და ვერც ქარიშხალი.

ახალგაზრდა ვ. ჰიუგო შატობრიანის ძლიერ გაელენას განიცდიდა. ამბობდა: „მე მინდა ვიყო შატობრიანი, ანდა არაფერი". ასეთი იყო ჭაბუკი პოეტის საბრძოლო პროგრამა სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლისას.

ოდესღაც შატობრიანმა ამაყად განაცხადა: ჩვენს დროში ყველაფერი დაწერილია, დასაწერი აღარაფერიაო. რაც დრო გადიოდა, ფრანგული ლიტერატურა უფრო და უფრო მეტად საჭიროებდა ახალ შთაგონებებს, ახალ პოეტურ ფორმებს, ახალ მხატვრულ სახეებს და აი, დაიბადა პოეტი, რომელმაც შემდეგ თავისი ნიჭით ყველანი განაცვიფრა, ყველას ყურადღება მიიპყრო, ყველანი აღაფრთოვანა. გაიცნო იგი ლიტერატურაში უკვე სახელმოხვეჭილმა შატობრიანმაც და მყისვე მას „დიადი ბავშვი" შეარქვა.

ასე დაიწყო ვიქტორ ჰიუგომ სალიტერატურო კარიერა. 1813 წელს შატობრიანმა ჟურნალი „კონსერვატორი" დაარსა. ახალგაზრდა ჰიუგო ამ ჟურნალის ყველაზე აქტიური და ბეჯითი თანამშრომელი იყო. როდესაც შატობრიანმა „კონსერვატორში" თავისი წერილი „ვანდეას შეესახებ" გამოაქვეყნა, ვიქტორ ჰიუგომ მისი საუკეთესო ადგილები მაშინვე გალექსა და ოდა „ვანდეა" დაწერა.

შატობრიანის წერილები, მისი პროზა ჭაბუკ ჰიუგოს პოეტური შემოქმედების წყაროს წარმოადგენდა. დამწყები პოეტი ჰიუგო შატობრიანის მხატვრულ ნაწარმოებებში თავისი ლექსებისათვის დასამუშავებელ მასალას პოულობს. შატობრიანს იგი თავის მასწავლებლად აცხადებს, ცდილობს მიბაძოს მას. ჰიუგო ამ დროს, უპირველეს ყოვლისა, კათოლიკურ-ფეოდალური იდეალების მომღერალია. ჰიუგო, ისე როგორც შატობრიანი, კათოლიკური მისტიციზმით არის გამსჭვალული.

1822 წელს გამოვიდა ჰიუგოს ლექსების პირველი კრებული — „ოდები". 1824 და 1826 წლებში გამოიცა მისი „ოდების" მეორე და მესამე ტომი. 1827 წელს გამოქვეყნდა ლექსების კრებული „ოდები და ბალადები". ამ ლექსებში ჯერ კიდევ ჩანდა კლასიცისტური ლიტერატურის ტრადიციები, ამასთანავე ახალი მოტივებიც, რომლებიც შემდეგ ხმამაღლა გაისმის რომანტიკულ ლირიკაში. თუ „ოდებში" აშკარად ჩანს კლასიცისტური ტრადიციები, შატობრიანის გავლენა, „ბალადებში" ჰიუგო რამდენადმე თავს აღწევს ყოველივე ამას და დამოუკიდებელი გზით მიდის.

ჰიუგო უმღერის ბურბონებს, ილაშქრებს ნაპოლეონ ბონაპარტის წინააღმდეგ. პოეტი მრისხანე სიტყვებით თავს ესხმის „უზურპატორს, რომელმაც მოიტაცა მეფის სისხლით შეღებილი გვირგვინი, რომელმაც ხალხებს აურაცხელი უბედურება მოუტანა, გარდაიცვალა იგი და მსოფლიომ თავისუფლად ამოისუნთქა".[1]

მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა ვიქტორ ჰიუგო შატობრიანისა და მისი სკოლის გავლენას განიცდის, ის წერს რომანებს: „ბიუგ ჟარგალს" და „ჰან-ისლანდიელს", რომელთა გმირები განსხვავდებიან შატობრიანის, ლამარტინისა და ვინის გმირებისაგან.

ჰიუგო პროგრესულმა რომანტიკულმა ტენდენციებმა მიიყვანა იმ რომანების შექმნამდე. მას უნდოდა ეჩვენებინა ფართო საზოგადოებრივი ცხოვრება, მტკიცე ნაბისყოფის ადამიანი, აქტიური გმირი.

„ბიუგ ჟარგალის" შინაარსს საფუძვლად უდევს კუნძულ სანდომინგოზე 1791 წლის ზანგების აჯანყების ეპიზოდი. რომანის

---

[1] Oeuvres complètes de Victor Hugo. Poésie, Odes et Ballades, p 115—116.

გმირს ბიუგ ჟარგალს, ერთი კოლონისტის მონა ზანგს, ფარულად უყვარს თავისი ბატონის ლამაზი ქალიშვილი მარია, კაპიტან ლეოპოლდ ლოვერნეს საცოლე. ბიუგ ჟარგალს აჯანყებაში მონაწილეობისათვის სიკვდილი მიუსაჯეს. ამ უბედურებისაგან იგი კაპიტანმა იხსნა. მადლიერმა ზანგმა აჯანყების შემდეგ მომხდარი რევოლუციის დროს, რომელიც მთელ კუნძულს მოედო, გადაარჩინა თავისი მხსნელი და საცოლეს შეახვედრა, ამის შემდეგ თვითონ ზანგი თეთრებს ჩაბარდა. თეთრებმა იგი დახვრიტეს.

მართალია, „ბიუგ ჟარგალი" ჰაბუკი პოეტის ფანტაზიის ნაყოფი უფროა, ვიდრე სინამდვილიდან აღებული გმირი, მაგრამ ის განცალკევებულ ცხოვრებას კი არ ეწევა შატობრიანის რენესავით, არამედ ხალხში ტრიალებს, აჯანყების მეთაურია, იცის თავდადებული მეგობრობა და თავისი სიტყვის შემსრულებელია. ის დაუდგრომელი ბუნებისაა. მართალია, ხშირად სევდითაა შეპყრობილი, სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი, ცხოვრებაზე გულაცრუებულია. მაგრამ ის ამ ცხოვრებას კი არ გაურბის, არამედ აქტიურად იტანს ყოველ გაჭირვებას და მებრძოლია.

1823 წელს ჰიუგომ გამოაქვეყნა თავისი მეორე რომანი „ჰან ისლანდიელი". ჰან ისლანდიელი რაღაც ნახევრად ქაჯის, ნახევრად ადამიანის შთამომავალია. ბერებმა უდაბური ტყის მივარდნილ ადგილას ნახეს ბავშვი. წამოიყვანეს და მონასტერში გაზარდეს. ყოველივე ამისათვის მადლობის მაგიერ მან გადაწვა მონასტერი, დაჯდა ხის მორზე და ისლანდიიდან ნორვეგიაში გაცურა. აქ ჰანმა ჩამოანგრია მაღაროები, რის შედეგადაც ასობით მუშა დაიღუპა. ბაზრობის დროს დაანგრია კლდე და მთელი სოფელი ამოწყვიტა. უფსკრულზე გადაკიდებული ხიდი ააფეთქა იმ დროს, როცა ხიდზე უამრავი ხალხი იყო. წირვის დროს ცეცხლი წაუკიდა ეკლესიას, ჭარიშხლიან ღამეში შუქურაზე ცეცხლი ჩააქრო და სხვ. ყოველივე ამასთან ერთად ის კაციშვილიაა, თავის საზრდოს ის უნაწილებს თავის ერთადერთ მეგობარს, თეთრ დათვს, რომლის საშუალებითაც ის ზოგჯერ კლდეებზე მოგზაურობს. ჰანის ვაჟს შეუყვარდა ქალიშვილი. ქალიშვილმა კი ჯარისკაცი შეიყვარა. როდესაც ჰანის შვილი დაიღუპება, ჰანმა შური იძია შვილის მეტოქეზე. ლეგიონი შეიტყუა ხეობაში, გაჩაღებული ბრძოლის დროს მას მეამბოხენი თავს დაესხნენ, აქედან გამოიქცა, ცეცხლი წაუკიდა ყაზარმებს და თვითონაც შიგ დაიღუპა.

რომანში ჰან ისლანდიელს უპირდაპირდება დანიის მეფის შვილი ორდენერი. მას მიზნად აქვს დასახული ციხიდან გაათავისუფლოს თავისი სატრფო, ეტელის მამა — იოჰან შუმახერი. ამისათვის გაემგზავრება იმ ყუთის საპოვნელად, რომელშიც შუმახერის გამამართლებელი საბუთებია, ეს საბუთები მას მტრებმა მოჰპარეს. ორ-

დენერს საშინელი ამბები გადახდება თავს, მისი სიცოცხლე ხშირად ბეწვზე ჰკიდია. ქარიშხლის დროს ჯალათის სამორიგეოში ათევს ღამეს. მას ნახევრად მხეც ადამიანთან, ჰან ისლანდიელთან, მოუხდა ბრძოლა. ამ ბრძოლაში ის კინაღამ დაიღუპა. აჯანყებული მაღაროელები ჯაშუშობას დასწამებენ და მის მოკვლას განიზრახავენ, მაგრამ ამ საფრთხეს გადარჩება და აჯანყებაში მონაწილეობას მიიღებს, რისთვისაც ციხეში ჩასვამენ როგორც სახელმწიფო მოღალატეს და მას სიკვდილით დასჯა მოელის.

გმირი ორდენერი საშინელ, საიდუმლოებით მოცულ, უცნაურ და გაუთვალისწინებელ ქვეყანაში მოქმედებს. მან არ იცის შუმახერის მტრების კავშირი აჯანყებულებთან. მისთვის უცნობია თვით აჯანყების მიზანი. მან ისიც კი არ იცის, თუ რა არის იმ ყუთში, რომელსაც ის ეძებს. რომანში ამბების განვითარებას ისიც ამძაფრებს, რომ ორდენერი რომანის მოქმედი პირების უმრავლესობისათვის უცნობი გმირია. ეს გმირი ადამიანია, მაგრამ მისი სახელი არავინ იცის, არავინ იცის, რომ ის დანიის მეფის შვილია.

ასეთი კონტრასტები, ასეთი დაპირდაპირებანი მახინჯისა ლამაზთან, ცუდისა კარგთან, კეთილისა ბოროტთან, რომელიც ახასიათებს რომან „ჰან ისლანდიელს“, შემდეგში ჰიუგოსათვის დამახასიათებელი სტილია. ეს მისი საყვარელი მეთოდია.

მხატვრული შემოქმედების თავისუფლებისათვის ბრძოლის დროს შატობრიანი ფეოდალურ-კათოლიკურ წარსულს აიდეალებდა და აპოეტურებდა. ამასვე ცდილობდა ადრე ვიქტორ ჰიუგოც, მაგრამ ოციან წლებში ყოველივე ამას თავს აღწევს, ფეოდალურ-მონარქისტული ილუზიებისაგან თავისუფლდება და შემოქმედებითს თავისუფლებას მოითხოვს ჰუმანისტური იდეების პროპაგანდისათვის, სამართლიანობის ზეიმისათვის.

ვიქტორ ჰიუგო თავისი ახალი სოციალურ-პოლიტიკური იდეებით უპირდაპირდება შატობრიანს. მას აღარ ახასიათებს სინამდვილიდან შატობრიანისებური და ლამარტინისებური გაქცევა, არც ნოვალისისებური სწრაფვა ირეალურ სამყაროში, არც ლეოპარდისებური სასიკვდილო განწყობილება და მიუსესებური ცრემლდენა.

1848 წლის რევოლუციამდე საფრანგეთის წერილმა ბურჟუაზიამ შესძლო იმ დემოკრატიულ და რადიკალურ განწყობილებათა მეტნაკლებად შენარჩუნება, რასაც ბურჟუაზია 1789 წლის რევოლუციის შემდეგ განუდგა. წერილბურჟუაზიულ დემოკრატიზმთან და რადიკალიზმთან კავშირმა ჰიუგო რეაქციული, კონსერვატიული რომანტიკოსების ჯგუფს ჩამოაცილა და ცხოვრებას დაუახლოვა.

პოეტმა დაინახა თავისი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გზა. ეპოქის რეალისტურმა ტენდენციებმა საგრძნობლად შეასუსტა

ჰიუგოს შემოქმედებაში ბუნდოვანი ეგოცენტრიზმი და პოეტი საუკუნის გამოძახილად გადააქცია. მის ფორმითა და შინაარსით ერცელსა და მრავალფეროვან შემოქმედებაში ფართო ადგილი დაიკავა იმ დროის სოციალურმა ვითარებამ. ეს ვითარებანი მწერალმა ისტორიულ მომენტებთან დააკავშირა.

ჰიუგო მებრძოლ, პროგრესულ რომანტიკოსად იქცა. ის უკვე საკითხების დასმისას რეალისტია, ხოლო მათი გადაწყვეტისას რომანტიკოსი. ამიერიდან მისი მხატვრული შემოქმედება აღსავსეა ოპტიმიზმით, ბრძოლისა და შეტევის პათოსით, გამარჯვების რწმენით. რეალურ სინამდვილესთან დაახლოებამ ახალი, მძლავრი ბიძგი მისცა ჰიუგოს მემარცხენეობას, კონსერვატიული რომანტიკოსებისაგან გათიშვას და დამოუკიდებელი გზით სვლას.

ვიქტორ ჰიუგო ძირითადად ჰუმანისტი რომანტიკოსია, მაგრამ რომანტიზმი და რეალიზმი ჰიუგოს მხატვრულ შემოქმედებაში მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. მისი შემოქმედება უნდა გავიგოთ, როგორც სინამდვილის მხატვრული ასახვის პროცესი, რომანტიზმი და რეალიზმი კი როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების მხატვრულად გარდაქმნის მეთოდი, რომელიც განუყრელად დაკავშირებულია მწერლის საერთო მსოფლმხედველობასთან.

საინტერესო ფაქტია ფრანგული ლიტერატურის ისტორიაში, რომ რომანტიზმის ბატონობის დროს რეალისტი ბალზაკი „ადამიანურ კომედიას" წერს, ხოლო ამავე ეპოქაში, რომანტიკოსი ჰიუგო აქვეყნებს თავის „აღმოსავლურ ჰანგებს", „საუკუნეთა ლეგენდას", „განშვრეტას", „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს", პიესა „ერნანის" და სხვ. ჰიუგოს შემოქმედებას აშკარად ემჩნევა რეალისტური მიდრეკილება.

ყოველ დიდ მწერალს თავისებური წარმოდგენა აქვს ხელოვნებასა და ლიტერატურაზე. ვიქტორ ჰიუგომ საკუთარი ლიტერატურული შეხედულებანი გამოთქვა „კრომველის" წინასიტყვაობაში, კრიტიკული სტატიების კრებულში — „ლიტერატურა და ფილოსოფია ერთად", ლირიკული ლექსების კრებულების, დრამებისა და რომანების წინასიტყვაობებში, აგრეთვე წიგნში — „უილიამ შექსპირი".

ჰიუგომ უარყო ფრანგული კლასიცისტური ესთეტიკის პრინციპები და ლიტერატურა სინამდვილისაკენ მიაბრუნა. მისი რომანტიკულ-რეალისტური პოეტიკა უარყოფაა ფრანგული კლასიცისტური პოეტიკისა. ცხოვრების თანაბარი ხელოვნება, — ასეთია ჰიუგოს პოეტიკის მთავარი ფორმულა.

ჯერ კიდევ ადრე თავისი „ოდების" წინასიტყვაობაში პოეტი წერდა: „ყოველ მწერალს, რომელ სფეროშიაც არ უნდა მოქმედებ-

დეს მისი სული, მთავარ მიზნად სარგებლობის მოტანა უნდა ჰქონდეს დასახული".

ვიქტორ ჰიუგომ ეს ძირითადი პრინციპი კიდევ უფრო განავითარა და დაასაბუთა „კრომველის" წინასიტყვაობაში. იგი თავის მხატვრული სიტყვით და საქმით ერთგულად ემსახურებოდა მწერლის ამ მაღალ და წმინდა მოვალეობას. პოეტი ყოველთვის იმაზე ზრუნავდა, რომ თავისი მხატვრული შემოქმედებით რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოეტანა ხალხისათვის.

ვიქტორ ჰიუგოს ახალი ლიტერატურული შეხედულებანი გამოთქმულია „კრომველის" წინასიტყვაობაში. ის 1827 წლის ოქტომბერში გამოქვეყნდა და მთელი გადატრიალება მოახდინა ფრანგული ლიტერატურის ისტორიაში. იგი ეპოქალური მნიშვნელობის დოკუმენტი შეიქმნა. ამ წინასიტყვაობის გამოქვეყნება ნიშანი გახდა რომანტიკოსებსა და კლასიცისტებს შორის ლიტერატურული ომის დაწყებისა.[1]

ბუალოსა და რასინს ჰიუგომ შექსპირი და კალდერონი დაუპირისპირა. „ჰამლეტის" ავტორში მან მონახა თავისი ახალი პრინციპების დიდი მოკავშირე. ვოლტერი შექსპირს „თავისი გმირების სისხლით დამთვრალ ველურს" უწოდებდა. ფრანგულ სცენაზე შექსპირის ტრაგედიებიდან ადრე თითქმის არც ერთი არ დადგმულა, იმდენად ემორჩილებოდა ფრანგული საზოგადოების გემოვნება ვერსალის სასახლის არისტოკრატიული წრეების გემოვნებას. სტენდალის შემდეგ შექსპირის პროპაგანდა საფრანგეთში ვიქტორ ჰიუგომ გააგრძელა. „შექსპირი თეატრის ღმერთია", ამბობს პოეტი და შემთხვევითი არაა, რომ ჰიუგო უდიდეს ინგლისელ დრამატურგს თავის მასწავლებლად აცხადებს. შექსპირი ახალი ლიტერატურული მიმართულების დროშად იქცა.

ვიქტორ ჰიუგო თაყვანს სცემდა შექსპირის შემოქმედებას. მას უნდოდა შეექმნა შექსპირის მასშტაბის ძლიერი ხასიათის მქონე სრულყოფილი ტრაგიკული გმირები, შეექმნა სოციალური ძვრების საფუძველზე დიდი მხატვრული ნაწარმოებები.

ისტორიულ კონფლიქტებზე ჰიუგოს ცოტა პიესები როდი დაუწერია, და დაუწერია ძლიერად, მაღალმხატვრულად, მაგრამ მან, ისე როგორც ვერც ერთმა სხვა ფრანგმა პოეტმა-რომანტიკოსმა, ვერ მოგვცა შექსპირისეული სრულყოფილი სახეები.

შეუძლებელია გავიზიაროთ ფრანგული ლიტერატურის მკვლევარის ლანსონის აზრი: „შექსპირი იყო მასწავლებელი, რომელსაც მოუხმობდნენ რომანტიკოსები; სინამდვილეში კი ბაირონმა მეტი

[1] Ernest Dupuy. Victor Hugo, L'homme et le poète, Paris p. 28.

მისცა მათ, ვიდრე შექსპირმა. Jeune premier — რომანტიკული დრამისა სულ პირდაპირ მისი პოემებიდან მოდის. გრისხანე, პირქუში, გამწარებული სულისა, ის მოდის არ ვიცით საიდან და მიდის საიდუმლოების, დანაშაულისა და სიყვარულის სამმაგი მომხიბვლელობით გარემოცული"[1].

არაა მართებული, თითქოს ჰიუგო უხვად იყენებდა. ბაირონის მხატვრულ ნიმუშებს თავისი დრამატული ნაწარმოებების შექმნის დროს, რომ ბაირონის გმირები მისი გმირების პროტოტიპებს წარმოადგენენ. უფრო საფიქრებელია ნაწილობრივი შილერიზაცია ჰიუგოს დრამებში, ე. ი. „ინდივიდების გადაქცევა დროის, სულის უბრალო რუპორებად". (მარქსი).

უნდა აღინიშნოს, რომ შილერისა და ჰიუგოს დრამები უფრო რეფლექსურ კონფლიქტებს ასახავენ, ვიდრე სინამდვილეში მომხდარ კონფლიქტებს (იგულისხმება, რომ შილერისა და ჰიუგოს დრამებს შორის განსხვავება მაინც დიდია).

ფრანგ რომანტიკოსებს მოსწონდათ ინგლისელი და გერმანელი პოეტები, მაგრამ მონურად არ ბაძავდნენ მათ. შატობრიანი მიუთითებდა ინგლისური პოეზიის შედევრებზე, მაგრამ მათი გადაჰარბებული შექებისაგან მუდამ თავს იკავებდა. მადამ დე სტალს უყვარდა გერმანული ლიტერატურა, მაგრამ მიბაძვაზე უარს ამბობდა. ის მოითხოვდა, რომ მეზობელი ქვეყნის ლიტერატურასთან შეგობრულ შეჯიბრებაში შექმნილიყო ფრანგული ეროვნული ლიტერატურა. ლამარტინი გულგრილად იყო განწყობილი გერმანული პოეზიისადმი.

ფრანგულ რომანტიზმში რეალიზმი უფრო მეტია, ვიდრე იდეალიზმი, წინააღმდეგ გერმანული რომანტიზმის რეაქციული ნაკლისა, რომელიც წარმოადგენდა გერმანული იდეალისტური ფილოსოფიის გამოხატულებას ლიტერატურაში.

ფრანგულ ლიტერატურაში თავიდანვე ძლიერი იყო მატერიალისტურ-რეალისტური ტენდენციები, ამიტომაც წარმოშვა მან დიდი რეალისტები: ბალზაკი, სტენდალი, მერიმე, ფლობერი და სხვ. ბალზაკის შემოქმედებამ აღფრთოვანებაში მოიყვანა კაცობრიობის უდიდესი გენიოსები მარქსი და ენგელსი.

როგორ ესმის ეიქტორ ჰიუგოს მიმბაძველობის საკითხი ლიტერატურაში? — „კრომველის" წინასიტყვაობაში ის წერს: პოეტი განსაკუთრებით იკავებს თავს სხვისი განმეორებისაგან, იქნება ეს სხვა შექსპირი თუ მოლიერი, შილერი თუ კორნელი".

---

[1] G. Lanson. Histoire de la littérature française. Paris, 1909, p. 978.

ჰიუგოს აზრით, მონური მიმბაძველობა ხელოვნების დამღუპველია. რაც არ უნდა სრულყოფილად გადმოვიღოთ რომელიმე დიდი პოეტი, მაინც ვერ მივწვდებით მის ორიგინალურ სულს, მის გენიას. „რატომ უნდა მივეტმასნოთ მასწავლებელს? რატომ უნდა დაევმყნათ სხვის ნიმუშს? უკეთესია იყო ეკალი ან შავი ნარი, გამოკვებილი იმავე ნიადაგით, რომლითაც საზრდოობს კედარი და პალმა, ვიდრე ამ ბუმბერაზ ხეებზე ამოსული სოკო ან ხავსი".

სტენდალის მსგავსად, ვიქტორ ჰიუგომ წამოაყენა სინამდვილის მართლად ასახვის პრინციპი, მაგრამ საბოლოო ანგარიშით ყოველივე ეს სხვაგვარად ესმოდა, ვიდრე სტენდალს.

—სინამდვილე ბუნებაში და სინამდვილე ხელოვნებაში, — ამბობს ვიქტორ ჰიუგო, — ერთმანეთისაგან განსხვავდებიან". „ხელოვნება ვერ გადმოგვცემს აბსოლუტურ სიმართლეს. ხელოვნება ვერ მოგვცემს თვით საგანს". ხელოვნება ფურცლავს საუკუნეთა ბუნების დიდ წიგნს, ეკითხება ქრონიკებს, ავსებს მათში დაშვებულ ხარვეზებს, აღადგენს ფაქტებს, ზნე-ჩვეულებებს, ხასიათებს, ფანტაზიით ავსებს უფსკრულებს, აერთებს ჯგუფებად იმას, რაც დანაწევრებულია, მათში ჰარმონია შეაქვს და სხვა და სხვა.

„ამნაირად, ხელოვნების მიზანი ღეთაებრივია: აღადგინოს, თუ მას საქმე აქვს ისტორიასთან, შექმნას, თუ მას საქმე აქვს პოეზიასთან".

ვიქტორ ჰიუგოს თავისებური წარმოდგენა ჰქონდა მწერალზე: „ყოველი ნაწარმოებიდან, — ამბობს ის,—როგორიც არ უნდა იყოს იგი, უმნიშვნელო თუ დიდებული, მოჩანს პიროვნება, პიროვნება მწერლისა. ეს მისი სასჯელია, თუ ის პატარაა, ეს მისი ჯილდოა, თუ ის დიდია".

ჰიუგოს აზრით, მწერალმა სინამდვილეს დიადი უნდა მიუმატოს და დიადს ნამდვილი. მან უნდა გამოხატოს გზა სიბნელიდან — სინათლისაკენ, ბოროტებიდან—სიკეთისაკენ, ცხოვრებიდან—ადამიანისაკენ. „ჰიუგოსათვის სიმართლე ხელოვნებაში იმდენად ჭეშმარიტება არაა, რამდენადაც სამართლიანობა, რომლის შემეცნება მხატვარს შეუძლია მხოლოდ თავის წარმოსახვის საშუალებით. ეს წარმოსახვა მიმართული უნდა იყოს არა უფერულისა და უხამსისადმი, არამედ მხოლოდ ნათელისა და დიადისადმი, დამახასიათებელისა და ინდივიდუალურად სახიერისადმი. ჰიუგოს მიხედვით, ხელოვნების წყარო წარმოსახვაა, შთაგონებაა, და არა მხატვრის გონება. მხატვარს არ ესაჭიროება ნატურა, რომელსაც მან ზუსტად უნდა ადეენოს თვალ-ყური. ის იძლევა არა ისეთ სინამდვილეს, როგორიც არის, არამედ ისეთს, როგორიც უნდა იყოს. სამართლიანობის რომანტიკული გაგება შედგება ისტორიის სიმართლისაგან,

რომელიც გამრავლებულია პოეტის სუბიექტურ სიმართლეზე".[1] ვიქტორ ჰიუგოს გმირები მისი სუნთქვით ცოცხლობენ და მისი ხმით ლაპარაკობენ.

ჰიუგომ ფრანგული კლასიციზმის წინააღმდეგ სალაშქროდ აღმართულ დროშას დააწერა: რომანტიზმი, ანუ ლიტერატურული ლიბერალიზმი. ეს ლოზუნგი მხატვრული შემოქმედების თავისუფლებას ნიშნავდა. „ერნანის" წინასიტყვაობაში პოეტი წერს: „რომანტიზმი ლიბერალიზმია ლიტერატურაში... თავისუფლება ხელოვნებაში, თავისუფლება საზოგადოებაში, — აი ორმაგი მიზანი, რომლისკენაც ერთსულოვნად უნდა მიისწრაფოდეს ყველა თანმიმდევარი და ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანი...

ლიტერატურული თავისუფლება პოლიტიკური თავისუფლების პირმშოა. ეს პრინციპი საუკუნის პრინციპია და ის გაიმარჯვებს".[2]

ჰიუგოს კრიტიკა ფრანგული კლასიციზმისა არ ნიშნავდა ნიჰილისტურ დამოკიდებულებას, არ ნიშნავდა ხელაღებით უარის თქმას XVII—XVIII საუკუნეების ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე. ჰიუგოს წარსულის ჯანსაღ ტრადიციებზე უარი არასოდეს არ უთქვამს, მაგრამ ამასთანავე მას ესმოდა, რომ „მემკვიდრეობის დაცვა სრულიადაც არ ნიშნავს მხოლოდ მემკვიდრობით დაკმაყოფილებას".[3] ამ მხრივ საგულისხმოა და დამახასიათებელი მისი სიტყვები „აღმოსავლური ჰანგების" პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში:

„სხვა ხალხები გაიძახიან: ჰომეროსი, დანტე, შექსპირი, ჩვენ კამბობთ ბუალო"[4] ამრიგად, ვიქტორ ჰიუგო ბუალოს თვლის XVII საუკუნის საფრანგეთის ერთ-ერთ უდიდეს პოეტად.

სახელგანთქმულმა მოხუცმა მსახიობმა ტალმამ თავისი სიკვდილის წინა ხანებში ახალგაზრდა ვიქტორ ჰიუგოს შესჩივლა, რომ ძველთაგანვე მომდინარე ცრურწმენა მსახიობებს ჯერ კიდევ ადამიანებად არ სცნობსო. მსახიობს მხოლოდ როლი უხვევს სახელს, მე კი მთელ ჩემს სიცოცხლეში ერთხელაც არ მჭონია ნამდვილი როლი, ერთხელაც არ მითამაშნია ჩემი სურვილისამებრ. მართალია, ტრაგედია მშვენიერია, კეთილშობილი, ამაღლებული, ერთი სიტყვით, იგი ყველაფერია, მაგრამ ამ დიდებასთან ერთად მე მოვითხოვდი ცხოვრების სინამდვილესა და სიმარტივეს, მე მინდოდა გამომეხატა ადამიანი, ისეთი როგორიც ის სინამდვილეშია, ადამიანი თავი-

---

[1] С. Мокульский. Гюго и романтическая драма во Франции (Виктор Гюго. Избранные драмы, т. I, გვ. XL.

[2] Victor Hugo. Hernani, Paris, p. 2.

[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, 1948, გვ. 657.

[4] V. Hugo. Les Orientales, p. 9

სი ხასიათის სხვადასხვაობით, რომელიც არ იქნებოდა განყენებული, მოარული ცნება, რაღაც ტრაგიკული თოჯინა. დაე, ის მეფეც იყოს, მაგრამ იმავე დროს იყოს ადამიანი. თქვენ ხომ გინახავართ მე კარლოს VI-ის როლში? მე იქ შთაბეჭდილება მოვახდინე სიტყვებით: „პური! მომეცით პური!“ ვინაიდან ამ სიტყვებში გამოჩნდა არა მეფური, არამედ ადამიანური ტანჯვა. აქ ტრაგიკულიც იყო და სამართლიანიც, სიდიადეც იყო და სიღატაკეც. მაყურებლის წინაშე ერთსა და იმავე დროს წარმოდგა მეფეც და მათხოვარიც. სიმართლე, სიმართლე — აი რას ვეძებდი მე მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში, მაგრამ რას იზამთ? შექსპირს მოვუხმობ და დიუსის მაძლევენო.

მოხუცი მსახიობის ასეთ გულწრფელ აღსარებაზე ახალგაზრდა ჰიუგომ უპასუხა: „მეც სწორედ იმის დაწერაზე ვოცნებობ, რის შესრულებაზეც თქვენ ოცნებობთო“. და შემდეგ პოეტმა ტალმას გაუზიარა თავისი პირველი ტრაგედიის — „კრომველის“ გეგმა. ჰიუგოს უნდოდა ტრაგედია დრამით შეეცვალა, „პერსონაჟების“ ნაცვლად შიგ ცოცხალი ადამიანები შეეყვანა, დრომოჭმული ტრადიციების ნაცვლად ცხოვრების სინამდვილე წარმოედგინა; ეჩვენებინა თავისუფალი გადასვლა გმირულიდან ჩვეულებრივზე, მოეცა თავისუფალი კილო, რომელიც ადვილად თავსდება ყოველგვარ ფორმაში, იქნება ეს ეპიკური, ლირიკული, სატირული, სერიოზული თუ სახუმარო ფორმა, განედევნა „ტირადები“ და ლექსები, რომლებიც მხოლოდ ეფექტების მოსახდენად იყო გამიზნული.

ვიქტორ ჰიუგო თავისი დრამებისათვის დასამუშავებელ მასალას, სიუჟეტს ხშირად იღებდა აღორძინების ეპოქიდან, აგრეთვე XVII საუკუნიდან. ჰიუგოს დაინტერესება წარსულით განსხვავდება ყველა ფრანგი კონსერვატორი რომანტიკოსის დაინტერესებისაგან.

ჰიუგო წარსულში ისეთ მასალებს ეძებს, რომლებიც მას საზოგადოების შეურაცხყოფილი და დაჩაგრული ფენების დახასიათებისათვის ესაჭიროება. თავისი პირველი დრამის გმირად ვიქტორ ჰიუგომ გამოიყვანა ინგლისის რევოლუციის ბელადი ოლივერ კრომველი, რომელიც ფეოდალური წესრიგისა და მონარქიის წინააღმდეგ იბრძოდა.

ჰიუგომ კრომველი, თუმცა რომანტიკული იდეალიზაციის ასპექტში, მაგრამ, ძირითადად მაინც ისტორიული სისწორით წარმოადგინა; ერთის მხრივ, მისი კრომველი ახალი, ანტიფეოდალური ძალების ლიდერია, მეორეს მხრივ, არათანმიმდევარი რევოლუციო-

ნერი, რომელმაც აიმხედრა როიალისტებიც და რესპუბლიკელებიც, თვითონ კი ცდილობს ბოლო მოუღოს რევოლუციას.

ვიქტორ ჰიუგომ „კრომველის" წინასიტყვაობაში ე. წ. გროტესკის თეორიას ისეთი დასაბუთება და ახსნა-განმარტება მისცა, რომ გაზეთი „გლობუსი" 1827 წლის 6 დეკემბრის ნომერში აღნიშნავდა: „ვიქტორ ჰიუგოს უფლება აქვს მთელი ეს თეორია გროტესკისა თავისად გამოაცხადოს".

ვიქტორ ჰიუგო ხშირად ხმარობს ასეთ გამოთქმებს: რეალური, მაგრამ იდეალური, ისინი არიან ზეადამიანები, მაგრამ ადამიანები. თეატრში არის ორი რამ, რასაც ხელოვნება ღირსეულად უნდა დაეყრდნოს: ღმერთი და ხალხი. ღმერთი, ვისგანაც ყველაფერი მოდის და ხალხი, ვისკენაც ყველაფერი მიდის. ღმერთი, რომელიც არის პრინციპი, ხალხი, რომელიც არის ბოლო.[1]

საგულისხმოა, რომ რეალიზმის მამამთავარი ბალზაკი ჰიუგოსებურად განსაზღვრავს ხელოვნების სიმართლეს და ბუნებრივ სიმართლეს. ბალზაკი თავის შრომაში „წერილები ლიტერატურასა. თეატრსა და ხელოვნებაზე" აღნიშნავს, რომ ხელოვნების დანიშნულება ბუნებისაგან ასლის გადაღებაკი არაა, არამედ მისი გამოხატვა. მწერალი უბადრუკი ასლის გადამღები როდია, ის შემოქმედია, პოეტია.[2]

ცხადია, ამით ბალზაკი რომანტიკულ სკოლას არ შეგვიძლია მივაკუთვნოთ, როგორც ამას ჩადიან ბურჟუაზიული მკვლევარები (ბრანდესი, კოტლიარევსკი, ლანსონი). ლანსონი წერს: რომ „ნახევარი მისი (ე. ი. ბალზაკის — დ. ფ.) ნაწარმოებებიდან რომანტიკულია"[3]

ბალზაკი რეალისტია, ის ბურჟუაზიული რეალიზმის მწვერვალია. მას სწორედ ესმოდა ლიტერატურის დანიშნულება, მწერლის დიდი როლი საზოგადოებრივი ცხოვრების სიმართლით წარმოსახვის საქმეში.

„კრომველის" წინასიტყვაობაში გამოთქმული ახალი ლიტერატურული შეხედულებანი პროგრესულმა ფრანგმა მწერლებმა მიიღეს როგორც თავიანთი საბრძოლო პროგრამა.

როგორც ვხედავთ, ვიქტორ ჰიუგოს გალაშქრებამ ფრანგული კლასიცისტური ესთეტიკის წინააღმდეგ ნაყოფიერი შედეგი გამოიღო, მისი მეოხებით ფრანგულმა ლიტერატურამ ახალი ნაბიჯი გა-

---

[1] Oeuvres complètes de V. Hugo. Littérature et philosophie mélées, p. 21.

[2] Бальзак об искусстве, 1941, გვ. 164.

[3] G. Lanson. Histoire de la littérature française. Paris, 1909, p. 1002.

დადგა თავის განვითარების გზაზე და საზოგადოებრივი იდეალების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

პიესა „კრომველი" მოსამზადებელი საფეხური იყო კლასიციზმური ესთეტიკის ციხე-სიმაგრეზე იერიშის მისატანად. დრამა „ერნანით" აღნიშნა ჰიუგოს გადამწყვეტი გამარჯვება ფრანგ კლასიცისტებსა და მათ მიმდევრებზე.

ეს იყო გამარჯვება ფრანგული დრამატურგიის დარგში.

ასეთსავე გამარჯვებას მოასწავებდა რომანი „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი". მას იგივე მნიშვნელობა ჰქონდა რომანტიკული რომანისათვის, რაც „ერნანის" რომანტიკული დრამისათვის.

თავისი ახალი ლიტერატურული პრინციპების პრაქტიკულად განხორციელება ვიქტორ ჰიუგომ დაიწყო ლირიკული ლექსების კრებულით — „აღმოსავლური ჰანგები".

„აღმოსავლური ჰანგები" ახალი, მაღალი საფეხურია ვიქტორ ჰიუგოს შემოქმედებაში. ეს არის გარდატეხის პერიოდი მის ცხოვრებაში. ეს ლექსები გამოხატავენ ჰიუგოს გადასვლას იდეურ-მხატვრული ზრდის ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე. „აღმოსავლურმა ჰანგებმა" დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ამ ლექსებით პოეტმა მკითხველის წინაშე ახალი პოეტური ქვეყანა გადაშალა.

ეს ლექსები მჭუხარე ლექსებად იქნა აღიარებული. ფრანგი პოეტებისათვის „აღმოსავლური ჰანგები" პოეტურ სახარებად გადაიქცა.

ჰიუგომ დაანგრია „რითმის ბასტილია", გაათავისუფლა რა სიტყვა, ამით მან აზრი გაათავისუფლა. „აღმოსავლურმა ჰანგებმა" ახალი პოეტის წარმოშობა გვამცნო, ახალი თემატიკით, ახალი ფორმით, მხატვრული თქმის ახალი ნაირობით. ეს ლექსები ნათელი მაჩვენებელია პოეტის მობრუნებისა კონსერვატიულ-რეაქციული რომანტიზმიდან პროგრესული რომანტიზმისა და რეალიზმისაკენ.

აღმოსავლეთის თემატიკაზე შექმნეს თავიანთი ნაწარმოებები ბაირონმა და გოეთემ: ბაირონმა „აღმოსავლური პოემები", გოეთემ „დასავლურ-აღმოსავლური დივანი".

ვიქტორ ჰიუგოს „აღმოსავლური ჰანგები" უმთავრესად საბერძნეთის განმათავისუფლებელი ომით შთაგონებული ლირიკული ლექსების კრებულია. ამ ლექსებში მთავარია განმათავისუფლებელი ომის თემა, ძალადობისადმი შურისძიების საკითხი, მონური მორჩილების მიმართ ადამიანის ამხედრება, უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ აჯანყებისაკენ მოწოდება.

ხალხმა ეს კრებული მიიღო, როგორც მებრძოლი წიგნი; ვინაიდან მასში ისმოდა ხმამაღალი სიმღერა ადამიანთა თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე. ამ კრებულის ბევრ ლექსში პოეტი ჰუმა-

ბისტურ იდეებს ქადაგებს. ეს ჰუმანისტური იდეები შემდეგ ჰიუგოს შემოქმედების მთავარ მოტივებად იქცევა.

ჰიუგოს დროინდელი საბერძნეთისადმი ინტერესის გაღვივებას მხატვრულ ლიტერატურაში ხელი შეუწყო XVIII საუკუნის ბოლოს კუნძულ ქიოსიდან პარიზში გადმოსახლებული ადამანტ კორაის მემუარებმა. 1821 წლის მარტში თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ ბერძენი ხალხის აჯანყებამ მსოფლიო პროგრესული საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. ჟურნალ-გაზეთებში ბევრი იწერებოდა საბერძნეთის ამბების შესახებ.

ჟურნალ „აპოლონში“, რომელიც პირველად გამოვიდა პარიზში 1822 წელს, ვხედებით ლექსებს საბერძნეთზე. ამ ლექსებიდან აღსანიშნავია ჰიაცინტ გასტონის ლექსი „საბერძნეთის აღორძინება“. ჟურნალის მორიგ ნომერში ლექსებთან ერთად მოთხრობებიც დაიბეჭდა საბერძნეთის შესახებ. 1824 წელს ფორიელი სცემს „ბერძნულ ხალხურ სიმღერებს“. ამ ლექსებმა ხალხში დიდი გამოხმაურება პოვა. პრესამ დადებითად შეაფასა ისინი. განსაკუთრებით აქებდა მათ რომანტიკოსების ჟურნალი „გლობუსი“. ბერძენთა საქმის პოპულარიზაციაში გარკვეული როლი შეასრულა ეჟენ დელაკრუას სურათმაც „ხოცვა-ჟლეტა კუნძულ ქიოსზე“. ამაზე საკითხს ეხმაურებოდა პოეტისა და დრამატურგის კაზიმირ დელავინის წიგნი „მესენიური ელეგიები“, გამოცემული ჰიუგოს „აღმოსავლური „ჰანგების“ გამოქვეყნებამდე რამდენიმე წლით ადრე.

იმ დროის პროგრესული ადამიანები თანაგრძნობას უცხადებდნენ ბერძენ ხალხს მათს ნაციონალურ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ. ვიქტორ ჰიუგო ფილელინისტთა პირველ რიგებში იდგა, და იდგა როგორც მებრძოლი პოეტი.

დიდი ინგლისელი პოეტი ბაირონიც გაიტაცა საბერძნეთის ამბებმა. ცნობილია, რომ, როცა საბერძნეთში აჯანყება დაიწყო, ბაირონი იტალიაში გაემგზავრა, იქიდან კი საბერძნეთში ჩავიდა.

პუშკინი ყოველთვის აღმაფრენით უმღეროდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ჩაგრულ ხალხებს, ის მხურვალედ თანაუგრძნობდა ბერძენი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. პუშკინი ამბობდა, რომ — «Ничто еще не было так народно, как дело греков. Гречанка верная! не плачь, — он пал героем».

როდესაც გენერალ ფაბვიეს მეთაურობით საბერძნეთისაკენ ფრანგ მოხალისეთა შეიარაღებული რაზმი გაემგზავრა, აღფრთოვანებულმა ვიქტორ ჰიუგომ დაწერა ლექსი „ენთუზიაზმი“. ამ შესანიშნავ ლექსში პოეტი ფრანგებს ტანჯული ბერძენი ხალხის დასახ-

მარებლად მოუწოდებს და გენერალ ფაბვიეს მიმართავს, რომ გაუძღვეს წინ ფრანგთა რაზმებს და სისხლისმსმელ თურქებს რისხვად დაატყდეს:

> საბერძნეთისკენ! საბერძნეთისკენ! დაიძრათ ჩქარა!
> სად ხალხის სისხლის ნაკადულები მდინარებს ღვარად,
> რათა ტანჯულ ხალხს მოუწმინდოთ სისხლი,
> საბერძნეთისკენ! შურისძიების ავანთოთ ალი,
> მოძმენო ჩემნო, მომგვარეთ ცხენი, შემარტყით ხმალი!
> თავისუფლების აღდგენის მიზნით[1].

ჰიუგოს სურს ჯარისკაცთა რიგებში ჩადგეს და საკუთარი თვალით ნახოს, თუ ცხენზე წამოსკუპულ თურქების მედროშეს როგორ წააცლის თავს ფრანგი მებრძოლი. პოეტი აღსავსეა პატრიოტული გრძნობებით, ბერძენთა ტკივილს იგი ისე განიცდის, როგორც საკუთარ ტკივილს, თავს ესხმის თურქთა სიბეცესა და კაციჭამიობას, მათ დასჯას მოითხოვს და ადამიანთა ზნეობრივად ამაღლებულ გრძნობებს უმღერის.

„აღმოსავლური ჰანგები" იხსნება ლექსით „ცეცხლი ციღან". განრისხებულმა ღმერთმა ციდან გოგირდისა და ცეცხლის წვიმა ჩამოუშვა, მრუშობისა და გარყვნილების ქალაქები სოდომი და გომორი გაანადგურა. აქ ჰიუგოსათვის დამახასიათებელი მხატვრული სიძლიერით აღწერილია, თუ როგორ დადის შავი ღრუბელი ცაში და ეძებს ამ ქალაქებს. როდესაც იგი გაუსწორდება სოდომსა და გომორს, სწორედ ამ დროს წამოვა ციდან გოგირდისა და ცეცხლის წვიმა, ეს საშინელება ქარიშხლიან ღამეში ყველაფერს გააჩრობს მოსპობს ადამიანს თავისი სამყოფელით, ძირფესვიანად დაწვავს ხეებს.

ლექსი „კანარისი" შეეხება მამაც ბერძენ მეზღვაურ კანარისს, რომელმაც თავი გამოიჩინა ბერძენთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ომში თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ. პოეტი მთელი სიძლიერით უმღერის და აქებს ამ ბერძენ ვაჟკაცს.

ლექსში „სერალის თავები" მოცემულია შემაძრწუნებელი სურათები, თუ როგორ სჭრიდნენ თურქები თავებს ბერძენ პატრიოტებს. ჰიუგო აღწერს ცივილიზაციას, რომელშიც ნათლად მოჩანს ბარბაროსობის ნაშთები. წარმოდგენილია თურქეთის ქალაქი სტამბოლი, მდიდრულად მორთული სასახლე — სერალი. სულთანმა ქალაქი და სასახლე ექვსი ათასი ბერძენი ჯარისკაცის მოკვეთილი თავებით მოფინა. გაისმის სამი ხმა: პირველი ხმა ეკუთვნის თავდადებულ მებრძოლ მეზღვაურ კანარისს, რომლის შესახებაც ჰორი გაურცელდა. თითქოს ის დაიღუპა: მეორე — გმირულად დაღუპულ

[1] L'oeuvre de Victor Hugo. Les Orientales, Paris. p. 59.

ბოცარისს, რომლის გვამი თურქებმა საფლავიდან ამოიღეს და თავი მოჰკვეთეს; მესამე — ეპისკოპოსს იოსებ როგუსკომს, რომელიც მუხანათურად მოკლეს მისოლონგში. დასახელებულია აგრეთვე მრავალი ბერძენი ჯარისკაცი, მათ შორის ბაირონის გვერდით მებრძოლი მამაცი ვაჟკაცი კიტცო, რომელიც უკვდავ ბაირონს უყვარდაო, აღნიშნავს ჰიუგო.

ბრძოლის ველზე გმირულად დაღუპული მარკოს ბოცარისი მწარედ მოთქვამს თავის ორმაგად ტრაგიკულ ბედზე: „ასე მეგონა საბერძნეთისათვის მეორედ ვკვდებოდი“ — ამბობს ის.

პოეტი თავისი ომახიანი ხმით .ოპტიმისტურად მიმართავს სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპულ მეომრებს: „თქვენთვის ყველაფერი სიხარულია. პატივია, ზეიმია, გამარჯვებაა. მართალია, ბრძოლის ველზე დაეცით, მაგრამ ისტორიაში გაიმარჯვებთ“. და შემდეგ დასძენს: „სიკვდილი ვერ ჩააქრობს თქვენს დიდებას, თქვენს სახელს“.

„ფაშას დარდში“ პოეტი წარმოგვიდგენს მწუხარე, სასოწარკეთილ ფაშას. მისი მხლებლები საგონებელში არიან ჩავარდნილი იმისა გამო, რომ აგერ სამი დღეა, მათი ბატონი სახეს არავის უჩვენებს, ნეტავ რა მოხდა? — ეკითხებიან ერთმანეთს ფაშას მცოლეები, — იქნებ ცუდი სიზმარი ნახა, ან გემი დაიღუპა, ან რომელიმე ლამაზმა ქალმა შეაშინა, ან ჯარისკაცთა ამბოხება მოხდა? შეიძლება ფაშა დასტირის ომში დანგრეულ ქალაქებს, ადამიანთა გვამებით მოფენილ ველებს, საბერძნეთის ხანძარს, ობლების კვნესას, ქვრივების მოთქმას, დამხვრჩალ ბავშვებს? არა, ის გულქვაა და არამზადა, მას ასეთი სურათები არ აწუხებს. იგი ქალივით გოდებს მხოლოდ იმის გამო, რომ ვეფხვი მოუკვდა.

„მეკობრეთა სიმღერა“ მოგვითხრობს სულთანის მხეცურ ინსტიქტებზე. სულთანის დავალებით მეკობრეები დაძრწიან და ლამაზ ქალებს დაეძებენ. ერთ ადგილს მონასტერს შეამჩნევენ და თავიანთ ხომალდს იქითკენ მიმართავენ. ზღვის ნაპირს რომ მიადგებიან, ჭადრის ქვეშ მძინარე ლამაზ მონაზონს შეამჩნევენ. მეკობრები ხომალდს აჩერებენ, თავს ესხმიან მძინარე ქალს. მონაზონს გამოეღვიძება და საშინელ ყვირილს მორთავს. „რამდენიც არ უნდა იყვირო, მონაზონო, ვერავინ გიშველის, ჩვენს სულთანს ლამაზი ქალები უყვარს“. სტაცებენ ხელს საბრალო ქალს, შეკრავენ და ხომალდში ჩააგდებენ. ამ უბედურებაში ის კიდევ უფრო ლამაზი და მიმზიდველი ხდება: სახე უწითლდება, ნაწნავი ეშლება, თვალები მომხიბლავად უბრწყინავს, „თავს არ ვიცოცხლებო“, გაჰკივის ის. მეკობრეები ლამაზ ასულს სულთანს მიჰგვრიან სერალში და მიჰყიდიან.

ვიქტორ ჰიუგო თავის იდეებს ადამიანთა თავისუფლებაზე საუ-

ცხოლდ გამოხატავს ლექსში „დატყვევებული ქალი“. ქალს, რომელიც თურქებს ტყვედ წაუყვანიათ, ასე ალაპარაკებს პოეტი; მე მეყვარებოდა ეს ზღვა და ეს ქვეყანა, ტყვეობაში რომ არ ვიტანჯებოდე და თოფიანი მეციხოვნეები სულს არ მიხუთავდნენ. მიყვარს ზღვის ეს მშვენიერი ნაპირი, სადაც ზამთრის მძაფრი ყინვები ვერ აღწევს, სადაც ყველაფერი ვარდების სურნელებით არის გაჟღენთილი. მახარებს ცაზე ღრუბლების გამოჩენა, დედამიწას მადლიანი და კურთხეული წვიმით რომ რწყავს, მინდვრებზე ყველაფერს აცოცხლებს, და ხოჯოებიც მარგალიტებივით გაბრწყინდებიან. მიყვარს სამხრეთის მშვენიერი ღამეები, მიყვარს მოჩუხჩუხე ნაკადულების ხმაური მოსმენა, პალმის ქვეშ სილაზე ჯდომა და სამშობლოზე სიმღერა. ჩემი ერთადერთი ნუგეში აქ ისაა, რომ ღამის სიჩუმეში ფანჯარასთან ვზივარ ხოლმე, მთვარის სინათლეზე ზღვას გავსცქერი და თავისუფლებაზე ვოცნებობ.

„მთვარის შუქი“ ეხება სულთანის ცოლის უქმ ცხოვრებას, მის ფუჭ ოცნებებს, მის მოჩვენებებს.

ლექსში „ჩადრი“ პოეტი აგვიწერს თურქი ქალის დაბეჩავებულ მდგომარეობას, რომელსაც ჩადრის ქვეშ სული ეხუთება და უფლება არა აქვს ვინმეს შეხედოს. ამ თურქ ქალს ოთხი ძმა ჰყავს, რომლებიც მის ყოველ ნაბიჯს უთვალთვალებენ. ერთხელ აბანოდან მოამავალმა, სახლს რომ მიუახლოვდა, ჩადრი ოდნავ გადაიწია. ამან ძმები იმდენად აღაშფოთა, რომ და სასიკვდილოდ გაიმეტეს.

„გამაგრებული კოშკი“ შემდეგს მოგვითხრობს: სისხლისმსმელ ფაშას ციცაბო კლდეზე კოშკი აუშენებია. პოეტი ზღვას ემუდარება, რათა მან თავისი ტალღებით კლდე ჩამოანგრიოს და მასზე აშენებული კოშკი უფსკრულში ჩაიტანოს, რომ ამ კოშკში მცხოვრები ხალხის მიაგვრელები მოსპოს. პოეტი ოცნებობს იმ დღეზე, როცა ზღვის ამ ნაპირზე ქიოსელი მეზღვაური გემით გამოივლის, თავის მგზავრებს უჩვენებს იმ ადგილს, სადაც ოდესღაც ციცაბო კლდე იყო ფაშას კოშკით, და ამაყად ეტყვის მათ: „ის აღარ არის“.

„წაგებულ ბრძოლაში“ პოეტი ალაპარაკებს დამარცხებულ ფაშას, რომელიც მწარედ მოთქვამს წაგებული ბრძოლების გამო. როცა მდიდარი იყო და საკუთარი არმია ჰყავდა, ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად. მას ღმერთად მოჰქონდა თავი, დაპყრობილ ბერძნებს ჰყიდდა, როგორც მონებს. ახლა ის მიწასთან არის გასწორებული, დიდებაც დაკარგა და ქონებაც. დამარცხებული, ახლა უკვე სიკვდილზე ფიქრობს. იგი გარბის ღამის წუვდიადში. უფლებააყრილსა და დამარცხებულს ყველგან სახრჩობელა ელანდება.

შემდეგ ლექსში — „ხეები“ ვიქტორ ჰიუგო აგვიწერს იმ ად-

გილს კუნძულ კრეტაზე, რომელიც მრავალი ბრძოლის მოწმეა. პოეტი აღნიშნავს რომ ამ ხევზე ევროპაში მიმავალ მრავალ კაეკასიელს გაუვლია აქ ბევრი სისხლია დაღვრილი. აქ მოდიოდნენ ქრისტიანები, რომლებიც თავდადებულად იბრძოდნენ თავიანთი სარწმუნოების დასაცავად. ეს ხევი სისხლის მორევად გადაიქცა.

„აღმოსავლურ ჰანგებში“ აღსანიშნავია ლექსი „ბავშვი“.

ეს პირველი ლექსია, რომელიც ჰიუგომ ბავშვზე დაწერა. ჰიუგოსათვის ბავშვი ყველაზე ძვირფასი არსებაა. მისი აზრით, ბავშვები ცხოვრების ყვავილები არიან. ბავშვთა სამყარო ადრეულ გადაიქცა ჰიუგოს შემოქმედების ერთ-ერთ მოწოდებად, მისი ადამიანური სულის ნაწილად. ბავშვების გამოყვანას თავის მხატვრულ ნაწარმოებებში ვიქტორ ჰიუგო შემთხვევითობად კი არ თელიდა, არამედ იგი მას საკუთარი შემოქმედების ორგანულ ნაწილად მიაჩნდა.

ჰიუგოს აზრით, მხატვრულმა ლიტერატურამ უნდა გაასპეტაკოს ბავშვის გონება, აღზარდოს იგი ხალხისათვის სასარგებლო საქმის სიყვარულით. ჰიუგოს მომხიბლავი სურათები აქვს დახატული ბავშვთა ყოფა-ცხოვრებიდან, ხოლო ამ სურათებში მისთვის მთავარი მაინც პატრიოტიზმი და ჰუმანიზმია.

განვიხილოთ ჰიუგოს ეს ლექსი, რომელშიც პოეტი ნათელი, მიმზიდველი ფერებით გვიჩვენებს ბავშვის სახეს.

საბერძნეთის კუნძული, ოდესღაც ღვინის ქვეყანა ქიოსი თურქთა შემოსევის გამო გაჩანაგებულია, იქ ყველაფერი გადამწვარია, დარჩენილია მხოლოდ შიშველი კლდე, კლდეზე ბუჩქი, ხოლო ბუჩქთან ბერძენი ობოლი ბავშვი, ცისფერთვალება, უსახლკარო, მშიერი, ტიტველი. დაღვრემილი ზის იგი ეულად დარჩენილ ასკილის ბუჩქთან, პოეტი თავისი ფანტაზიით საბრალო ბავშვთან მიდის და მზრუნველ მამასავით ალერსით მიმართავს: რა მოგცე, გენაცვალე? რით გაგახარო? რა შეაშრობს შენს თვალებზე ცრემლებს, რა გაგიჭარწყლებს სევდა-ნაღველს, რას ინატრებ? ლამაზ ყვავილს, გემრიელ ნაყოფს, თუ ტყეში ტკბილად მგალობელ შაშვს? ბავშვი ხელს საძულველი თურქეთისაკენ გაიშვერს და პოეტს მხოლოდ ტყვია-წამალს სთხოვს. ამრიგად, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ ბერძენ ბავშვსაც კი, მხოლოდ ერთი გრძნობა ამოძრავებს: შეიარაღდეს და საზიზღარ თურქ დამპყრობლებზე შური იძიოს.

ვიქტორ ჰიუგომ შემდეგ პერიოდში მთელ რიგ თავის ნაწარმოებებში ბავშვთა ცხოვრების კიდევ უფრო ამაღელვებელი და სამახსოვრო სურათები მოგვცა. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი, „შემოდგომის ფოთლები“ და „ბაბუად ყოფნის ხელოვნება“, „ოთხმოცდაცამეტი“ და „საბრალონი“.

ჰიუგოს ბავშვები თითქოს მოზრდილი ადამიანებივით აზროვ-

ნებეხ და ბჭობენ, მოქმედებენ და იბრძვიან. ისინი გულწრფელნი არიან, მათ კეთილი გრძნობები აქვთ.

ლექსში — „ლაზარა“ დაპირისპირებულია სიმდიდრე და თავისუფლება. ჰიუგო უმღერის თავისუფლებას და ადიდებს მას. ბუნების შვილი ლაზარა ლამაზი ქალია,მისი მშვენიერების შესახებ ხმამ ფაშას ყურამდე მიაღწია; ფაშა გადაწყვეტს ყველაფერი დათმოს ლაზარასთვის, მაგრამ ამაოდ: მშვენიერ ასულს ასეთი რამეები არ ხიბლავს, სიმდიდრეს ზიზღით უყურებს. ლამაზი ლაზარა მოხიბლულია მხოლოდ ერთი ახალგაზრდა ბერძენი ვაჟკაცით კლეთით, რომლის სიმდიდრეს ლურჯი ცა, ციცი წყარო, თოფი და მთის თავისუფლება შეადგენს.

ლექსში — „აღებული ქალაქი“ ჰიუგო წარმოგვიდგენს ცეცხლმოკიდებულ ქალაქს, სადაც საშინელი გოდება გაისმის. აქ ხოცვა-ჟლეტა მასობრივი მოვლენაა. კოშკის ნანგრევები საფლავებად იქცნენ. ყველას — მამებს, ქმრებს, ცოლებს — უბედურება და სიკვდილი თავს დასტრიალებს. სამარცხვინო მონობაში ჩავარდნილი დედები მწარედ მოთქვამენ. საბრალო ქალწულები შიშისაგან ცახცახებენ და ტირიან, წინასწარ გრძნობენ, რომ მათ ცხენის კუდზე გამოაბამენ და ნაფლეთებად აქცევენ. ხმლით დასერილმა მღვდლებმა ჯვრები მიატოვეს. ბავშვთა გვამები ველზე ყრია.

ლექსში—„გამოთხოვება არაბ ქალთან“ არაბეთში მყოფი ბერძენი მეომარი ემშვიდობება არაბ ქალიშვილს, რომლის სახლშიაც ის ცხოვრობდა. მათ ერთმანეთი შეუყვარდათ. ქალიშვილი ეხვეწება ბერძენ ჯარისკაცს მასთან სამუდამოდ დარჩეს. რა ქნას კეთილმა სტუმარმა, საგონებელშია ჩავარდნილი: ჯარის ნაწილი, რომელშიაც ის ირიცხება, განთავისუფლებულ საბერძნეთში ბრუნდება, ისიც გახარებული სამშობლოში მიემგზავრება. არაბი მასპინძელი რწმუნდება, რომ მისი სტუმარი სამშობლოში აუცილებლად დაბრუნდება, ცხენს წყალს დაალევინებს, თავისი ხელით შეუკაზმავს და ღია ფანჯარასთან დააბამს. ფეხმარდი ცხენი ჰიხვინებს, მიწას სცემს ტორებს, ქალი გზას ულოცავს შეყვარებულ მხედარს.

— თუ როდისმე ცოლის შერთვა გადაწყვიტო, — ეუბნება ქალი ბერძენს, — ჩვენთან დაბრუნდი, აქ ვინც მოგეწონოს, ის აირჩიე, მასში ჰპოვებ მეგობარს, ის შენთვის თავდადებული იქნება, მისი სახით გეყოლება მორჩილი ცოლი, რომელსაც მუდამ ეყვარები. იცოდე, ჩვენი სახლის კარები შენთვის მუდამ ღია იქნება. მწველი თვალების გეშინოდეს, ავსულებს უფრთხილდი, ბებერ ქალს მოერიდე, რომელიც ჯოხით სილაზე რაღაცას ხაზავს. თუ შენ აღარ დაგვიბრუნდები, ზოგჯერ ჩვენზე იფიქრე ხოლმე, უდაბნოს ქალიშვილებზე, ტკბილხმოვან ქალწულებზე, რომლებიც ფეხშიშველი

ცეკვავენ. ოჰ! მშვენიერო ახალგაზრდავ, წარმავალო, ლამაზო ფრინველო, გახსოვდეს, რომ ყველაზე მეტად და განსაკუთრებით ერთს ჰოგონდები, რომლის გულშიც წარუშლელი იქნება შენი სახე.

„აღმოსავლურ ჰანგებში" არის აგრეთვე ლექსი — „მაზეპა" ამ თემაზე ბაირონმა დაწერა პოემა „მაზეპა". პუშკინმა „პოლტავაში" მაზეპა ერთ-ერთ მოქმედ პირად გამოიყვანა. ბაირონის პოემა 1818 წლის შემოდგომაზეა დაწერილი, მას საფუძვლად უდევს ვოლტერის წიგნი „კარლოს XII-ის ისტორია". ამის შესახებ თვითონ პოეტიც მიუთითებს. პუშკინის პოემა „პალტავა" 1828 წლის ოქტომბერში დაიწერა და გამოქვეყნდა 1829 წლის მარტში. რაც შეეხება ვიქტორ ჰიუგოს ლექსს, ის დაწერილია 1828 წლის მაისში.

პუშკინმა მაზეპა რეალისტურად გაიაზრა. მისი მაზეპა მოღალატეა და ეგოისტი. მას ამოძრავებს შურისძიების გრძნობა პეტრე პირველის წინააღმდეგ და არა ის, რომ სარგებლობა მოუტანოს თავის სამშობლოსა და ხალხს. პუშკინის მაზეპა რეალისტური, მართალი სახეა.

ბაირონის პოემის ღერძს მხოლოდ ერთი მოქმედი პირი წარმოადგენს, „პოლტავაში" კი რამდენიმე მოქმედი პირია. ბაირონის პოემაში მეამბოხე რომანტიკული ინდივიდუალისტია, რომელიც ცალკეული პიროვნების კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის იბრძვის; პუშკინის „პოლტავაში" კი მთავარი სახელმწიფო ინტერესებია, ასეთი ინტერესების გამომხატველი პოემაში პეტრე პირველია. პუშკინი იცნობდა ბაირონის პოემას და სწყინდა, რომ ინგლისელი პოეტი მაზეპას ახალგაზრდობის მხოლოდ ერთ ეპიზოდზე შეჩერდა და არ შეეხო მას, როგორც პირადი ანგარების მოყვარულს, როგორც გამცემს. ბაირონი მხოლოდ ცხენზე მიკრული ადამიანის პორტრეტმა გაიტაცა, რაც მან ვოლტერის წიგნიდან შეიტყო. ბაირონს წარმოდგენილი ჰყავს ცხენზე მიკრული მაზეპა უდაბნოში, სადაც არც ერთი სულიერი არსება არ არის, სადაც ჰაერიც კი არ მოძრაობს, მხოლოდ ყორანი დაფრინავს და ყველაფერი ეს მას კლდეზე მიჯაჭვულ პრომეთეს აგონებს. მაზეპას სახე ენათესაება ბაირონის სხვა გმირებს, მაშასადამე, ის პოეტის გმირთა ოჯახში უცხო არ არის.

ჰიუგომ მაზეპა თავისებურად გაიგო. საერთო ბაირონსა და ჰიუგოს შორის აქ ისაა, რომ ორივე პოეტისათვის წყარო ერთია — ვოლტერის წიგნი „კარლოს XII-ის ისტორია". განსხვავება იმაშია, რომ მაზეპას სახე მათ მიერ სხვადასხვანაირად არის გააზრებული.

ბაირონის მაზეპა მგრძნობიარე სანტიმენტალური ტიპია. იგი დიდ ტანჯვას განიცდის და პოეტიც ამიტომ თანაუგრძნობს მას.

ჰიუგოს მაზეპა რომანტიკული საბეა. იტანჯება მისი მაზეპა. მაგრამ ის იმდენად ძლიერი ნებისყოფისაა, რომ გასაჭირს იტანს. უბედურება მას აწრთობს. ცხენი ხეტიალს ვერ უძლებს და კვდება. სად არ ატარა მან მაზეპა, ნაფლეთებად აქცია მისი კანი, სისხლი ადინა, მაგრამ სული ვერ ჩაუქრო.

„აღმოსავლური ჰანგები“ ახალი, მაღალი საფეხურია ვიქტორ ჰიუგოს შემოქმედებაში. განმათავისუფლებელი ომის თემატიკამ ჰიუგოს შემოქმედება გაამდიდრა, პოეტი ახალი შთაგონებებით აავსო, იგი ახალ გზაზე გამოიყვანა.

ჰიუგომ „აღმოსავლურ ჰანგებში“ ეშმარიტი ადამიანური გრძნობები აამეტყველა, ძველი ესთეტიკური ნორმები დაამსხვრია და პოეტური მეტყველების ახალი სამყარო შექმნა. მან ამით ფრანგულ ლიტერატურაში პოეტური შემოქმედების თავისუფლება დაამკვიდრა.

ბერანჟე ამბობდა: არის წლები და არის ეპოქები ხალხის ცხოვრებაში, როდესაც საუკეთესო მუსიკას განგაშის აღმძვრელი საყვირები წარმოადგენსო. ვიქტორ ჰიუგოს „აღმოსავლური ჰანგები“ სწორედ განგაშის აღმძვრელი საყვირები იყვნენ, რომლებიც ჩაგრულ ხალხთა დასახმარებლად მოუწოდებდნენ იმ დროის მოწინავე ადამიანებს.

ყოველივე ეს ცხადყოფს ამ ლირიკის მებრძოლ ხასიათსა და მის პროგრესულ მნიშვნელობას.

1830 წლის 25 თებერვალს დაიდგა ჰიუგოს დრამა „ერნანი“. რომელიც დაიწერა 1829 წელს. სპექტაკლმა წარმატებით ჩაიარა, მიუხედავად იმისა, რომ ჰიუგოს მოწინააღმდეგეები მას მტრულად შეხვდნენ.

ამ ნაწარმოების ცენტრალური ფიგურა მეფე კი არ არის ანდა ანტიკური გმირი, არამედ ყაჩაღია. მწერალი მეფეს ალაპარაკებს ჩვეულებრივი ენით. „ერნანის“ მოკლე შინაარსი ასეთია: ყაჩაღ ერნანის უყვარს მშვენიერი ქალიშვილი დონა სოლი. ქალსაც თავის მხრივ უყვარს იგი. ისინი მზად არიან ერთმანეთის ცხოვრება გაიზიარონ. ერნანის უპირისპირდება ორი მეტოქე; დონ რუი გომეც დე სილვა და მეფე დონ კარლოსი. მათაც მოსწონთ დონა სოლი.

ერთ ღამეს დე სილვას სახლთან ერთმანეთს შეხვდებიან ერნანი და დონ კარლოსი. ერნანი ბრძოლაში იწვევს კასტილიის მეფეს. ეს უკანასკნელი ყაჩაღთან ბრძოლას თავის დამცირებად თვლის. ერნანის მამა დონ კარლოსის მამის განკარგულებით იქნა მოკლული. მოაგონდა რა ყოველივე ეს, შვილს სისხლი აემღვრა, მაგრამ მაინც თავი შეიკავა, რაინდულმა ეაკაცობამ სძლია, მეფე უვნებლად გაუშვა.

ერნანი განაგრძობს დონა სოლთან სიარულს. მასთან ალერსს. გაივლის რამდენიმე ხანი და ქალს მისი სურვილის გარეშე დე სილვაზე გაათხოვებენ. ამის შემდეგ ერნანი გადაცმული დადის, როგორც მოგზაური. ის კვლავ წინანდელ ურთიერთობაშია თავის შეყვარებულ დონა სოლთან, ერთხელ დე სილვა ერანის წააწყდება თავის ცოლთან ალერსის დროს, მაგრამ, სტუმართმოყვარეობის ჩვეულების ერთგული, არ გასცემს ყაჩაღს.

დონ კარლოსმა ერთ ხელსაყრელ მომენტში თავის ხელქვეითებს დონა სოლი მოატაცებინა. ერნანი და დე სილვა შეკრებენ თანამებრძოლებს და გადაწყვეტენ დონ კარლოსის მოკვლას. ამ დროს დონ კარლოსს იმპერატორ კარლოს V-ედ აკურთხებენ და ეს ახალი მბრძანებელი აპატიებს თავის მოწინააღმდეგეებს დანაშაულს და დონა სოლს ერნანის დაუთმობს.

თავმოყვარე და თავისი სიტყვის პატრონი ერნანი გადაწყვეტს სატრფო დაუბრუნოს მის ქმარს და თვითონ შორს სადმე გადაიკარგოს, მაგრამ დონა სოლი ეევდრება ერნანის დარჩეს მასთან. ისინი ერთად იწყებენ ცხოვრებას. აღშფოთებული დე სილვა მოაგონებს ერნანის მისდამი მიცემულ ფიცს, რომ ის შეეგებებოდა სიკვდილს, თუ დე სილვა მას დაინახავდა დონა სოლთან მწოლარეს. ერთ ღამეს, როდესაც დონა სოლი და ერნანი ნეტარებაში არიან, დე სილვა ჩაბერავს ერნანისაგან მიცემულ საყვირში, ამით ის ერნანის აუწყებს სიკვდილისათვის მომზადებას. შემდეგ მოვა დე სილვა და ერნანის მიაწოდებს საწამლავით სავსე თასს, თან ეტყვის: ამ სამარცხვინო საქციელს ბოლო უნდა მოეღოს. ერნანი უყოყმანოდ იღებს საწამლავიან თასს, მაგრამ დონა სოლი გამოსტაცებს მას ხელიდან და პირველი სვამს საწამლავს, ისე, რომ რამდენიმე წვეთს უტოვებს ერნანისაც, რომელიც მას სიამოვნებით მიიღებს. ამრიგად, ორივენი კვდებიან.

ნაწარმოებში ერთმანეთისადმი დაპირისპირებულია მდგომარეობითა და საქმიანობით განსხვავებული ადამიანები. ერთი მხრივ, თავზე ხელაღებული, უუფლებო ყაჩაღი — ერნანი, მეორე მხრივ, უფლებამოსილი მეფე.

დრამა „ერნანის“ უცებ არ დაუმსახურებია საზოგადოების დიდი ყურადღება, ის თანდათანობით ახდენდა ძლიერ ზემოქმედებას მაყურებელზე, მაგალითად, 1838 წელს, როცა აღადგინეს სპექტაკლი „ერნანი“, მაყურებელი მას არაჩვეულებრივი ოვაციებით შეხვდა. მაშინ ჰიუგოს ერთმა მოწინააღმდეგემ ასეთი აზრი გამოთქვა: „აქ გასაკვირველი არაფერია, ვინაიდან აეტორმა პიესაში ბევრი რამ შეცვალა“, მაგრამ მას მეორემ უპასუხა: „თქვენ სცდებით, ჰიუგომ პიესა კი არა, საზოგადოება შეცვალა“.

1931 წლის მარტში ვიქტორ ჰიუგომ გამოაქვეყნა თავისი ისტორიული რომანი „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“, რომლის მთავარი გმირი, მისი სული და გული, ხალხი, თვით პარიზი და ტაძარია, სადაც გაშლილია მთელი მოქმედება. ეს ტაძარი შუასაუკუნეების ხალხის მხატვრული გენიის განსახიერებაა.

რომანის მოქმედ პირთა შორის პირველად უნდა დავასახელოთ ბოშა ქალი ესმერალდა. ნაწარმოების ძირითადი იდეურ-მხატვრული ხაზი მასთან არის დაკავშირებული და მის გარშემო ტრიალებს. ესმერალდა სიცოცხლითა და სიყვარულით აღსავსე გოგონაა, მკვირცხლი, მოუსვენარი, ხალისიანი. იგი ცხოვრების პოეზიაა. ის მუდამ ხალხთან არის. ესმერალდა პარიზის ქუჩების მშვენება და დიდებაა. ის თავისი „ნასწავლი“ თხით სახალხო მხიარულებისა და გართობის წყაროა. მისი გამორჩენისთანავე ადამიანთა ქიცილ-ხივილი ავსებს პარიზის ქუჩებს. მას თავისი წარმოდგენა აქვს ცხოვრებაზე. უყვარს თავისუფლება, ლაღი სიცოცხლე, ის თავისი მდიდარი ბუნებით უპირისპირდება ქრისტიან-კათოლიკურ სამყაროს, ზიზღით უცქერის ასკეტურ ყოფიერებას. ესმერალდამ, რომელიც სილამაზისა და კეთილშობილების განსახიერებაა, იცის ჰეშმარიტი სიყვარულის ფასი, ის კი არ მალავს ამ ფაქიზ გრძნობას, პირიქით, თამამად ამჟღავნებს თავის სიყვარულს კაპიტან ფებუსისადმი.

საინტერესოა ესმერალდას ბიოგრაფია. მისი დედა გუდულა შეაცდინა ერთმა კაცმა და გაუჩნდა ქალიშვილი, რომელსაც აგნესა დარაქვა. ბავშვი ძალიან ლამაზი იყო. როცა ერთი წლის აგნესა სახლში მარტო ჰყავდა გუდულას, ქუჩაში მიმავალმა ბოშებმა ისარგებლეს მისი იქ არყოფნით და ბავშვი გაიტაცეს. ამ უბედური დღიდან გუდულას თვალზე ცრემლი არ შემშრალა. ის მოწიწებით ინახავდა პატარა მოქარგულ ფაჩუჩს, რომელიც აგნესას დარჩა.

ბოშებმა ცალი ფაჩუჩი, რომელიც თან გაჰყვა აგნესას, გახადეს მას, ფარჩაში გაუხვიეს და შიგ ჩაატანეს პერგამენტზე დაწერილი შემდეგი სიტყვებით: „იპოვე ამისი ცალი, დედაც მოგნახავს და გულში ჩაგიკრავს“. გააკეთეს ავგაროზი და ჩამოჰკიდეს ბავშვს ყელზე სახელად ესმერალდა დაარქვეს. ეს სიტყვა ესპანური წარმოშობისაა და ქართულად ნიშნავს ზურმუხტს.

განვლო 15 წელმა. გუდულა არ ივიწყებდა თავის შვილს. ესმერალდა უკვე შესანიშნავი მოცეკვავე და მომღერალი ბოშა ქალი, დადის პარიზის ქუჩებსა და მოედნებზე თავისი თხით და ამხიარულებს ხალხს. ყველას უყვარს იგი. გუდულაში კი ის, როგორც ბოშა ქალი, სიძულვილსა და ზიზღს იწვევს. ვინაიდან მას მოხეტიალე ბოშებმა მოსტაცეს ერთადერთი ასული, რომელიც ახლა ესმერალდას ხნის იქნებოდა.

ერთხელ, როცა მწუხარე გუდულა წააწყდება მოედანზე ესმერალდას, ზიზღით გამოელაპარაკება მას, და ეუბნება, რომ ის სიკვდილის ღირსია.. ამან შეაძრწუნა საბრალო ესმერალდა, რომელიც სახრჩობელზე მიჰყავდათ და გაკვირვებულმა ჰკითხა ქალს: „რა დაგიშავეთ, რომ ასე მომმართავთ?" მაშინ გუდულამ აუხსნა მას, თუ რატომ სძულს ბოშები, შემდეგ უბიდან ამოიღო პატარა ფაჩუჩი. მის დანახვაზე ესმერალდა აცახცახდა, მან გახსნა თავისი ავგაროზი. გამოიღო ფაჩუჩი და შეადარა. ისინი ერთმანეთის ცალი აღმოჩნდნენ. დედამ იცნო შვილი და მაგრად ჩაიკრა გულში. დიდხანს არ გაგრძელებულა ეს ბედნიერი წუთები დედა-შვილის ცხოვრებაში — ესმერალდა ჩამოსახრჩობად წაიყვანეს. გამწარებულმა გუდულამ ჯალათს, რომელსაც ძალით მიჰყავდა ესმერალდა, ხელზე უკბინა. გაბრაზებულმა ჯალათმა ისე მაგრად დაანარცხა ქვაფენილზე იგი, რომ საბრალო ქალმა იქვე განუტევა სული. ესმერალდა ჩამოახრჩვეს.

ესმერალდა მოსწონს და უყვარს ორ ადამიანს: კლოდ ფროლოსა და კვაზიმოდოს.

კლოდ ფროლო პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის მთავარდიაკონია. მას უყვარს ესმერალდა, მაგრამ ეს სიყვარული ეგოისტური ხასიათისაა. ამ სიყვარულმა კლოდ ფროლოს პიროვნებაში მბეცური ინსტინქტები აღძრა, ის თავის პირად „მე"-ზე ფიქრობს. ის ღუპავს ესმერალდას იმისათვის, რომ სხვას არ ჩაუვარდეს ხელში. ეს ასკეტი რას არ აბრალებს საცოდავ ქალს იმის გამო, რომ მან უარი განაცხადა მისი ვნებების დაკმაყოფილებაზე.

ოცი წლისა იყო კლოდ ფროლო, როცა პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის მთავარდიაკონი გახდა. ერთ დილას, როცა ის წირვიდან შინ ბრუნდებოდა, ღვთისმშობლის ძეგლთან მოხუც ქალთა ჯგუფი შეამჩნია. მიუახლოვდა მას და დაინახა ტომარა, რომელშიაც გახვეული იყო რაღაც ცოცხალი არსება. გახსნა ტომარა და დაინახა საშინელი მახინჯი ბავშვი. მან იქვე ფიცი დადო თავის თავთან, რომ გაზრდიდა მას, როგორც შვილს. სახელად დაარქვა კვაზიმოდო. ეს სიტყვა ლათინური წარმოშობისაა და ქართულად ნიშნავს „ვითომ", „თითქმის".

ნახევრად ადამიანს, ნახევრად ველურს — კვაზიმოდოს ესმერალდა უყვარს ნამდვილი სიყვარულით. მისთვის მთავარია არა პირადი „მე", პირადი განცდა. ესმერალდას სიყვარულისათვის ის მზად არის თავი გაწიროს, მოკვდეს კიდევაც საყვარელი არსების ბედნიერებისათვის.

თუ კლოდ ფროლო ყოველნაირად ცდილობს ესმერალდას დაღუპვას და ჯალათებს უგდებს ხელში, კვაზიმოდო პირიქით მოქმე-

დებს, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ დაიხსნას საბრალო ქალი და მზად არის მისი გულისათვის ყოველგვარი ტანჯვა გადაიტანოს.

კვაზიმოდო გარეგნულად საშინელი შესახედავი იყო: მას ჰქონდა ოთხკუთხედი ცხვირი, ცხენის ნალისებური პირი, პაწაწინა მარცხენა თვალი, თითქმის სულ დაფარული წითელი ჯაგრისებური წარბით, მარჯვენა თვალი სავსებით დაკარგული ვეებერთელა მეჭეჭის ქვეშ, უსწორმასწორო ჩამტვრეული კბილები, რომლებიც მოგვაგონებდნენ ძველი ციხის კედელთა ქონგურებს, გამსკდარი ტუჩი, რომლის ზემოდან მოჩანდა სპილოს ეშვისებური ერთი კბილთაგანი, გაპობილი ნიკაპი... უფრო ძნელი გადმოსაცემია ის ნარევი სიბრაზის, გაკვირვებისა და სევდისა, რომელიც აღბეჭდილი იყო ამ ადამიანის სახეზე.

კვაზიმოდოს ჰქონდა დიდი თავი, რომელსაც ფარავდა მუდამ აბურძგნული ჯაგრისებური წითელი თმა, წინ და უკან ვეებერთელა კუზი, ამოვარდნილი თეძოები, ნამგლისებური ფეხები, რომლებიც მუხლებით ეხებოდნენ ერთმანეთს, ფართო ტერფები, საზარელი ხელები.

როცა საბრალო კვაზიმოდო შეხვდა ულამაზეს არსებას—„მზის სხივს“, „ფრინველთა გალობას“, „ყვავილის ცვარს“ — ესმერალდას, მხოლოდ მაშინ იგრძნო ასე ძლიერად თავისი სიმახინჯე. ამის გამო ეუბნებოდა ის სენაკში შეფარებულ ესმერალდას: — ხომ არაფერს გიშავებთ? ძალიან მახინჯი ვარ არა? ნუ შემომხედავთ. მხოლოდ მისმინეთ. დღისით აქ იყავით ხოლმე, ღამით კი შეგიძლიათ ისეირნოთ ტაძარში. ოღონდ იცოდეთ, არც დღისით და არც ღამით ტაძრიდან არ გახვიდეთ, თუ არა დაიღუპებით, მოგკლავენ, და მეც თავს არ ვიცოცხლებ.

მეორე დღეს დილით გამოეღვიძა ესმერალდას. გაახილა რა თვალი, დაინახა კვაზიმოდოს შემზარავი სახე. შეშინებულმა თვალები მყისვე დახუჭა. კვაზიმოდომ შეამჩნია და უთხრა: — ნუ გეშინია, მე თქვენი მეგობარი ვარ, იმისათვის მოვედი, რომ გამეგო როგორ გძინავთ. განა ყოველივე ეს თქვენ გულს გტკენთ? როდესაც თვალები დახუჭული გაქვთ რა იქნება თქვენს ახლოს ვიყო? ოღონდ თვალი გაახილეთ და მე წავალ, კედელს ამოვეფარები.

როცა კვაზიმოდო კელავ შეხვდება სენაკში ესმერალდას, ეუბნება: „მე ყრუ ვარ, შეგიძლიათ მელაპარაკოთ ხელების ქნევით, ნიშნებით, ჩემი ბატონი ყოველთვის ასე მელაპარაკება. მე მალე მივეჩვევი თქვენი სურვილების გაგებას, თქვენი გამოხედვით და ტუჩების მოძრაობით“. ესმერალდამ გაიღიმა და კვაზიმოდოს ჰკითხა: „რატომ გადამარჩინეთ?“ კვაზიმოდომ, რომელიც დაძაბული ყურა-

დღებით ადევნებდა თვალს ესმერალდას ტუჩებისა და თვალების მოძრაობას, უპასუხა: — „გაიგე, თქვენ მე მეკითხებით, თუ რატომ გადაგარჩინეთ“.

თქვენ დაივიწყეთ ის უბედური, რომელსაც ერთხელ ღამით თქვენი მოტაცება უნდოდა, ის საცოდავი, რომლის დასახმარებლადაც თქვენ მეორე დღესვე მოხვედით, როცა ის სამარცხვინო ბოძზე იყო მიკრული. წყლის ერთი წვეთისათვის, ამ გულწრფელი შებრალებისათვის, მე არ დავიშურებ მთელს ჩემ სიცოცხლეს. თქვენ დაივიწყეთ ის საბრალო, მაგრამ მან არ დაგივიწყათ თქვენ.

მთელი ჩემი უბედურება, — განაგრძობს კვაზიმოდო, — ისაა, რომ მე ჯერ კიდევ ვგავარ ადამიანს, მერჩია კი ცხოველი ვყოფილიყავი, როგორც თქვენი თხა. ესმერალდა გაკვირვებული უსმენდა და ეუცხებოდა საბრალო მახინჯს.

ესმერალდას კვაზიმოდო ებრალებოდა, კაპიტანი ფებუსი კი უყვარდა. მან იცოდა, რომ ფებუსი ცოცხალი იყო. სახრჩობელაზე მიყვანილმა ესმერალდამ დაინახა ფებუსი აივანზე, ვიღაც ქალთან ერთად, ეს ქალი მას მისი და ეგონა, ნამდვილად კი ის მისი საცოლე იყო.

ესმერალდასათვის ფებუსის სიცოცხლე ყველაფერია, ის არასოდეს ივიწყებს მას. მისდამი სიყვარულის კოცონი მუდამ გიზგიზებს ესმერალდას გულში. ჰიუგო ამბობს: სიყვარული ჰგავს ხეს: ის თვითონ იზრდება, მას ჩვენში ღრმად აქვს ფესვები გადგმული და ხშირად მწვანეა განადგურებულ გულშიც კი.

ერთხელ, როცა ესმერალდამ თავის სენაკიდან თვალი მოჰკრა ბოედანზე მიმავალ ფებუსს, ყვირილი მორთო: „ფებუს! ფებუს! მოდი, ერთი სიტყვა მაინც მითხარი“. კაპიტანის მხრივ ამ ძახილს არავითარი გამოხმაურება არ მოჰყოლია. მხოლოდ კვაზიმოდო შეეეედრა ესმერალდას — გავედევნები იმ კაცს და მოგიყვანო. გახარებულმა ესმერალდამ უთხრა: „ჰო, წადი! გაიქეცი, მომგვარე კაპიტანი და შეგიყვარებ“.

კვაზიმოდო გაეკიდა ფებუსს, კიდევაც ნახა იგი, მაგრამ ამაოდ: მიუხედავად ხვეწნა-მუდარისა, კაპიტანი არ წამოჰყვა, უკან დაბრუნებულმა კვაზიმოდომ, ესმერალდა რომ დაემშვიდებინა, უთხრა: „ფებუსი ვერ ვნახეო“. ესმერალდა გაჯავრდა და წყრომით გააგდო იგი. ამ დღიდან საბრალო მახინჯი მასთან ახლოს აღარ მისულა, ყურადღებასა და მზრუნველობას კი არ აკლებდა. როცა ესმერალდას ეძინა, ვიღაცას მიჰქონდა მასთან საჭმელი, საღამოობით უხეირო ხმით ლექსებს უმღეროდა. ერთხელ დილით ვიღაცამ ესმერალდას სენაკის ფანჯარაზე ყვავილებიანი ჭოთანი შემოდგა, ცოცხალ-ჩიტებიანი გალიაც მოიტანა. — ყოველივე ამას კვაზიმოდო აკეთებდა.

იმისათვის, რომ უფრო მკაფიოდ დაანახვოს მკითხველს კვაზიმოდოს კეთილშობილება, ვიქტორ ჰიუგო არ იბრალებს თავის საყვარელ გმირს და საცოდავ ესმერალდას საშინლად აწამებს. კონტრასტებში ყველაზე მეტად შეიძლება დაინახოს ადამიანმა გმირის ბუნება. ამიტომ არის კონტრასტების ეს ვირტუოზი მწერალი ასეთი სიძლიერით რომ აღწევს უდიდეს ემოციებს. ამავე დროს კონტრასტების წყალობით ასე კარგად და წარუშლელად არის კლოდ ფროლოსა და კაპიტან ფებუსის სახეები.

განა მკითხველს ეს ამ ქვეყნად მოვლენილი ზღაპრული ურჩხული კვაზიმოდო იმიტომ არ უყვარს, რომ არაადამიანურ ტანჯვას ატანინებს მწერალი?

ვიქტორ ჰიუგომ ერთმა პირველთაგანმა ფრანგული ლიტერატურის ისტორიაში დაგვანახა, რომ ყველაზე კეთილშობილი გრძნობების გამომხატველები არიან არა მაღალი ფენების წარმომადგენლები, როგორც მაგალითად, კარდინალი ბურბონელი, ფებუსი დე შატოპერი, დე გონდლორიეს ოჯახი, მაღალი წრის თავადაზნაურობა, არამედ ხალხიდან გამოსული ადამიანები: ესმერალდა, კვაზიმოდო, ამ მხრივ საინტერესოა რომანის ბოლო ორი თავი: „ფებუსის ქორწინება“ და „ქორწინება კვაზიმოდოსი“.

„კვაზიმოდოს ქორწინება“ მოგვითხრობს ამ ადამიანის ტრაგიკულ ბედზე. აქ ხაზგასმულია, რომ „სიყვარული სიკვდილზე ძლიერია“. ეს თავი ასე მთავრდება: „როდესაც სცადეს კვაზიმოდოს ჩონჩხის მოცილება ესმერალდას ჩონჩხისაგან, ის მთლად დაიმსხვრა და მტვრად იქცა“.

რაც შეეხება „ფებუსის ქორწინებას“, მწერალი მას მომაკვდინებელი ირონიით ამთავრებს: „ფებუს დე შატოპერმაც ტრაგიკულად დაამთავრა ცხოვრება, ის დაქორწინდა“.

„პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის“ წერა ვიქტორ ჰიუგომ დაიწყო 1830 წლის 25 იელისს, მაგრამ ვინაიდან 27 იელისს საფრანგეთში რევოლუციამ იფეთქა, მწერალმა მასზე მუშაობა შეწყვიტა და მხოლოდ ამავე წლის პირველ სექტემბერს განაახლა.

გადმოცემის თანახმად, ვიქტორ ჰიუგოს ჯერ კიდევ 1828 წელს შეუდგენია გეგმა-მონახაზი ნაწარმოებისა, რომელშიც გამოყვანილი იყო ლამაზი ბოშა ქალიშვილი ესმერალდა. იგი შეყვარებია ორ პიროვნებას: პოეტ პიერ გრენგუარს და ხუცეს კლოდ ფროლოს. მეფის ბრძანების თანახმად ესმერალდა უნდა ჩამოეხრჩოთ, მაგრამ პიერ გრენგუარმა გააპარა და მის მაგიერ თვითონ წავიდა სახრჩობელაზე. მღვდელმა კლოდ ფროლომ კი, პირიქით, გაქცეულ ესმერალდას მიაგნო და ჯალათებს ჩაუგდო ხელში. 1830 წლის დასაწყისშ-

ამ გეგმა-მონახაზის გვერდებზე პირველად გამოჩნდა კაპიტან ფებუს დე შატოპერის სახელი.

რომანი ძალიან მოკლე დროში დაიწერა, ამას იმ გარემოებამაც შეუწყო ხელი, რომ ვ. ჰიუგოს ხელშეკრულება ჰქონდა დადებული ჩეტისმეტად მომთხოვნ გამომცემელ შარლ გოსლენთან.

ამ სიჩქარეს ის მოჰყვა, რომ ნაწარმოების პირველ გამოცემას აკლია მეოთხე ნაწილის მეექვსე თავი და მეხუთე ნაწილის ორივე თავი. როგორც ვ. ჰიუგო აღნიშნავს წიგნის მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში, ეს თავები დაიკარგა, მაგრამ შემდეგ, როცა ისინი აღმოჩნდა, რომანის 1832 წლის გამოცემას დაურთო.

1831 წლის 16 მარტს გამოქვეყნდა „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი".

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ გამომცემელ გოსლენის მეუღლეს, რომელიც განსწავლულ ქალად ითვლებოდა, ვ. ჰიუგოს რომანი „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი" არ მოეწონა, საშინლად მოსაწყენ ნაწარმოებად მიიჩნია, ქმარს არწმუნებდა, ამ რომანს არავითარი წარმატება არ ექნებაო. უფრო საოცარია ის, რომ ფრანგ ლიტერატორ-კრიტიკოსთა დიდმა ნაწილმა ასეთივე აზრი გამოთქვა ამ უკვდავი ნაწარმოების შესახებ. მაგრამ ასეთი მკაცრი აზრი არ გაამართლა ცხოვრებამ. პირიქით, „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარმა" გამოქვეყნებისთანავე ანდამატივით მიიზიდა მკითხველი საზოგადოება, იგი ხელი-ხელ საგოგმანებელი წიგნი გახდა, რომელსაც არასოდეს დაეღება საუკუნეთა მტვერი.

ვიდრე წერას შეუდგებოდა ვიქტორ ჰიუგომ გულმოდგინედ შეისწავლა პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი. მისმა მახვილმა თვალმა ტაძრის ერთ-ერთი კოშკის ბნელ კუნჭულსაც მიაღწია, სადაც შეამჩნია, კედელზე ხელით ამოკვეთილი სიტყვა ბერძნულ ენაზე: ანანკე (ქართულად — ბედისწერა). ამ სიტყვის სევდიანმა და საბედისწერო აზრმა ძალიან განაცვიფრა ავტორი" და შეაქმნევინა ძვირფასი წიგნი „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი".

უბადლო ოსტატობით მხატვრულ სახეებში გადმოცემულია ბედისწერასთან შერკინების, სიკეთისა და ბოროტების ბრძოლის იდეა, სათნოების, მშვენიერებისა და სიყვარულის გარდამქმნელი, გამაკეთილშობილებელი და ყოვლისშემძლე ძალა. სიკეთისა და წმინდა სიყვარულის გრძნობა, თვალისმომჭრელი სილამაზისა და სიცოცხლით სავსე ქალწულის ხილვა თვით მხეცისმაგვარ, ველურ და მახინჯ არსებას გარდაქმნის, ადამიანობის, სულიერი სისპეტაკისა და მშვენიერების სიმაღლემდე აიყვანს, ყრუსა და თითქმის დამუნჯებულ ადამიანს სიყვარულისა და მშვენიერების სადიდებელ სიმღერასაც კი ათქმევინებს, მაშინ, როდესაც აკი გული, ანგარებიანი

და ვნებიანი სიყვარული, დემონური ძალა, ციებცხელებიანი წარმოსახვა, ავხორცი გრძნობები, ეგოიზმი და ეშვიანობა მაღალი ინტელექტით დაჯილდოებულ, ფიცხი ბუნების ადამიანს ბოროტებას ჩაადენინებს და მხეცად აქცევს.

„პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ იშვიათი ნიმუშია რომანტიზმისა და რეალიზმის შერწყმისა, „ისტორიის სიმართლისა“ და „მწერლის სიმართლის“ ოსტატურად შეხამებისა.

ფრიად საყურადღებოა და საგულისხმო „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში“ განვითარებული მოსაზრება ხელოვნებასა და კერძოდ კი ხუროთმოძღვრებაზე. როგორც რევოლუციური ეპოქის შვილი, ვიქტორ ჰიუგო ხელოვნებასა და ხუროთმოძღვრებას განიხილავს ისტორიული განვითარების პროცესში. ხელოვნების ერთი ფორმა ცვლის მეორე ფორმას, ხდება განვითარება უდაბლესიდან უმაღლესისაკენ. ყოველი თაობის საკაცობრიო აზრი, მთავარი იდეა გამოხატვის ახალ, ეპოქის შესაფერ წესსა და საშუალებას ეძებს და იძენს. ყოველ თაობას მთავარი იდეის გამოხატვის თავისი წესი და მასალა გააჩნია. დროთა მსვლელობაში ერთი ხელოვნება მეორეს ცვლის. ავტორის სიტყვით, „ქვეყნიერების ექვსი ათასეული წლის მანძილზე, ჰინდოსტანის უველაზე უხსოვარი პაგოდიდან კოლნის კათედრალამდე ხუროთმოძღვრება ადამიანთა მოდგმის უველაზე დიადი დამწერლობა იყო“. „ნივთთა შექმნის დღიდან ქრისტიანული ერის მეთხუთმეტე საუკუნემდე ჩათვლით ხუროთმოძღვრება კაცობრიობის უდიდესი წიგნი, მთავარი მატიანე იყო“. მეტადრე შუა საუკუნეებში საზოგადოების უველა მატერიალური და ინტელექტუალური ძალა ხუროთმოძღვრებაში იყრიდა თავს. ღვთის ტაძართა აგების საბაბით ხელოვნებამ ბრწყინვალე განვითარებას მიაღწია. „მაშინ ვინც კი პოეტად იბადებოდა, ხუროთმოძღვარი ხდებოდა“. ფეოდალიზმის მიერ უოველმხრივ შევიწროებული ხალხის გენია გზას ამ ხელოვნების საშუალებით იკაფავდა და თავის „ილიადებს“ კათედრალების ფორმით ჰქმნიდა. უველა დანარჩენი ხელოვნება ხუროთმოძღვრების კანონებსა და მოთხოვნებს ემორჩილებოდა და ეგუებოდა. ხუროთმოძღვარი, პოეტი, ოსტატი თავის პიროვნებაში აერთიანებდა ქანდაკებასაც, ფერწერასაც და მუსიკასაც.

ჰიუგოს აზრით, გუტენბერგამდე ხუროთმოძღვრება მთავარი და საუოველთაო დამწერლობა იყო. ეს გრანიტის წიგნი აღმოსავლეთმა დაიწყო, ბერძნულმა და რომაულმა ანტიკურობამ გააგრძელა და შუა საუკუნეებმა უკანასკნელი ფურცელი ჩაწერა.

მეთხუთმეტე საუკუნეში ადამიანის აზრმა გამარადისების უფრო ხანგრძლივი, უფრო გამძლე. უფრო მარტივი, ადვილი და უსას-

რულო შესაძლებლობის მქონე საშუალება, წიგნის ბეჭდვა აღმოაჩინა. წიგნის ბეჭდვის გამოგონება უდიდესი ისტორიული მოვლენა, რევოლუციათა მშობელი დედა, კაცობრიობის აზრის გამოსახვის სრულიად ახალი წესია. ადამიანის აზრი განიძარცვავს ძველ ფორმას და ახალი ფორმით აღიჭურვება. ნაბეჭდი სიტყვის სახით აზრი უფრო მარადი, წარუხოცელი გახდა, ვიდრე ოდესმე. მკვიდრი იყო და სიცოცხლის უნარიანი გახდა. „კაცთა მოდგმას ორი წიგნი, ორი ნუსხა, ორი ანდერძი, ორი აღთქმა გააჩნია, ქვით ხუროთმოძღვრება და წიგნის ბეჭდვა, ბიბლია ქვისა და ბიბლია ქაღალდისა".

მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნიდან ხუროთმოძღვრება თანდათან სუსტდება. იგი აღარ არის საზოგადოების უმთავრეს იდეათა გამომხატველი. ძველი გოტიკის გენია მაინცის გრანტურ-საბეჭდი დაზგის მიღმა ჩაესვენა. „აი ამ ჩამავალ მზეს, — ამბობს ჰიუგო, -- ჩვენ ალიონად მივიჩნევთ". ხუროთმოძღვრების ბატონობისაგან თავისუფლდებიან სხვა ხელოვნებანი — ჭანდაკება, ფერწერა, მუსიკა „აი რამ წარმოშვა რაფაელი, მიქელ-ანჯელო, ჟან გუჯონი, პალესტრინა — ეს ბრწყინვალე მნათობები თვალის მომჭრელი მეთექვსმეტე საუკუნისა".

ხელოვნებასთან ერთად გრანიტის გარსისაგან ყოველმხრივ თავისუფლდება ადამიანის აზრი. როდესაც შუა საუკუნეების მზე ჩაესვენა და გოტიკის გენია სამუდამოდ გაქრა ხელოვნების ტატნობზე, ხუროთმოძღვრებაც სულ უფრო და უფრო გამქრქალდა, გახუნდა, დაკნა, წაიშალა. იგი ხესავით ტიტვლდება, ფოთლები სცვივა, ზეზეურად ჰკნება და მჭლეედება, აღარაფერს გამოხატავს, თვით მოგონებასაც კი სულ სხვა დროთა ხელოვნებაზე. ადამიანის აზრმაც მიატოვა იგი, შავ მუშებს და ხელოსნებს, ქვის მთლელებს მოუხმობს საშველად ხელოვანთა ნაკლებობის გამო. ხუროთმოძღვრული ფორმა სულ უფრო და უფრო იშლება, ქრება და წინ წამოიწევა გეომეტრიული ფორმა, როგორც ავადმყოფის დამჭლეებულ სხეულზე ჩონჩხის ძვლები. ხელოვნების ლამაზი სახეები ადგილს უთმობენ გეომეტრიის ცივსა და ულმობელ ხაზებს. შენობა შენობას აღარ ჰგავს, იგი უფრო მრავალწახნაგა სხეულია. ამავე დროს ხუროთმოძღვრება ამოდ წვალობს დაფაროს ეს სიტიტველე.

ვიქტორ ჰიუგომ გენიალურად განჭვრიტა თანამედროვე ბურჟუაზიული დასავლეთის ხუროთმოძღვრების გაშიშვლებული გეომეტრიული ფორმები, გიგანტური კუბებივით ერთმანეთზე აჩხორიალი ტიტველი კედლები. „ხუროთმოძღვრება მოკვდა და აღარ დაბრუნდება", — დაასკვნის გულგატეხილი მწერალი. — ჩვენი მამა-პაპანი ქვის სასახლეებში ცხოვრობდნენ, ჩვენი შვილიშვილები ალბათ თაბაშირის სახლებში იცხოვრებენო. „ეს რა თქმა უნდა

იმას არ ნიშნავს, რომ ხუროთმოძღვრება ხან აქ, ხან იქ აღარ შექმნის მშვენიერ ძეგლებს, ხელოვნების ობოლ მარგალიტებს. დროდადრო, თვით წიგნის ბეჭდვის ბატონობის ხანაშიც შეიძლება აღმართონ სვეტები გადამდნარი ზარბაზნებისაგან მთელი არმიის გამოყენებით", — შენიშნავს ირონიულად ვიქტორ ჰიუგო.

ვ. ჰიუგო წერს: „დიად შემთხვევას მეოცე საუკუნეშიც შეუძლია მოულოდნელად წარმოშვას გენიალური ხუროთმოძღვარი, ისე როგორც მეცამეტე საუკუნეში დანტე", მაგრამ ხუროთმოძღვრება ვეღარ იქნება საზოგადოებრივი, ერთობლივი, გაბატონებული ხელოვნება. დიადი პოემა, დიადი აზრი, დიადი შენობა, კაცობრიობის დიადი ქმნილება აღარ აიგება, იგი დაიბეჭდება. მაგრამ მწერალი ამასთან დაუმატებს, ნეტავ მომავალმა სულ გააქარწყლოს ჩემი შიში, ჩემი აზრი ხუროთმოძღვრების სიკვდილზეო. ყოველ შემთხვევაში, მოუხმობს იგი, ახალი ძეგლების მოლოდინში დავიცვათ ძველი ძეგლები, შეძლებისდაგვარად ხალხს შთავაგონოთ ეროვნული ხუროთმოძღვრების სიყვარული, ვამხილოთ უამრავი შებღალვანი, ნგრევა. სწორედ ეს არისო, აცხადებს ვიქტორ ჰიუგო, ამ წიგნის და თვით მისი ავტორის ცხოვრების მიზანი.

თავისუფლებისმოყვარე ფრანგი ხალხი მწერალს პასიურ მჭვრეტელად, უქნარად კი არ ჰყავს გამოყვანილი, არამედ მებრძოლ ძალად, რომელსაც შესწევს ღონე და უნარი ბოლომდე იბრძოლოს თავისი მიზნის განსახორციელებლად.

შუა საუკუნეებზე სხვა რომანტიკოსებიც ბევრს წერდნენ, მაგრამ ამ ეპოქისადმი ვიქტორ ჰიუგოს დამოკიდებულება პრინციპულად განსხვავდება რეაქციულ-კონსერვატიული რომანტიკოსების დამოკიდებულებისაგან.

რომანი „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი" სცილდება ისტორიული რომანის ფარგლებს, თანამედროვე სინამდვილესთან ის მჭიდროდ არის დაკავშირებული, გამსჭვალულია ანტიფეოდალური და ანტიკლერიკალური განწყობილებებით და მისწრაფებებით. რომანი აღსავსეა დემოკრატიული, ჰუმანური ტენდენციებით და მასში ძლიერ ისმის სიყვარული ამ ცხოვრებისადმი, მისწრაფება უკეთესი საზოგადოებრივი წყობილებისაკენ.

შეიძლება ითქვას, რომ ძნელია მოიძებნოს მსოფლიო ლიტერატურაში მეორე ისეთი მწერალი, რომელსაც ესოდენ ღრმა ცოდნით და სიყვარულით, ესოდენ შთაგონებით, ნათელხილვით და ცოცხლად წარმოედგინოს მშობლიური ქალაქის და იმ ტაძრის სურათი, სადაც მოქმედება იშლება.

გროტესკის თეორიის შემქმნელის, კონტრასტების უბადლო ოსტატის ვიქტორ ჰიუგოს აზრით ცხოვრება არის სიკეთისა და ბო-

როტების, სინათლისა და სიბნელის, სამართლიანობისა და უსამართლობის, სიყვარულისა და სიძულვილის ბრძოლის არენა. ამ ბრძოლის პროცესს მწერალი იხილავს ისტორიულ ასპექტში და გამოთქვამს რწმენას, რომ ცხოვრება თანდათან მიემართება წინ და მაღლა: ბოროტებიდან სიკეთისაკენ, სიბნელიდან სინათლისაკენ, უსამართლობიდან სამართლიანობისაკენ, სიძულვილიდან სიყვარულისაკენ, სიმახინჯიდან მშვენიერებისაკენ.

როგორც ბევრი სხვა დიდი მწერლის შემოქმედებაში, ისევე ვიქტორ ჰიუგოს შემოქმედებაშიც ძნელია კაცმა ამოირჩიოს ერთი რომელიმე საუკეთესო და ყველაზე დახვეწილი მხატვრული ქმნილება. თითქმის ყველა მისი ნაწარმოები გენიალურია და ჰეშმარიტ შედევრს წარმოადგენს, თითქმის ერთნაირად ძლიერი და შესანიშნავია, მაგრამ პირობითად მაინც, შეიძლებოდა ვ. ჰიუგოს რომანებიდან თავისი სპეციფიკით, თავისებურებით, დახვეწილობით, „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ წინ დაგვეყენებინა. ამ რომანმა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვიქტორ ჰიუგო მიაკუთვნა იმ დიდ ადამიანთა სახელოვან პლეადას, რომელთაც ძრა მარტო თავიანთი დროის იდეების მწვერვალზე ასვლა შესძლეს, არამედ ნაციონალური საზღვრები გადალახეს და მსოფლიოს გულში შეიჭრნენ, ყველა დროისა და ხალხის უსაყვარლეს მწერლებად იქცნენ.

1831 წლის 25 ივლისს ვ. ჰიუგო ბეჭდავს „ჰიმნს ივლისის დღეებში დაღუპული მებრძოლებისადმი“. 1830 წლის ივლისის რევოლუციას ვ. ჰიუგო აღფრთოვანებით შეხვდა. რევოლუციის გმირებს დიდმა ჰუმანისტმა მწერალმა ასე მიმართა: „დიად სახელთა შორის თქვენი სახელები უდიდესია, თქვენს გვერდით ყოველი სხვა დიდება უმნიშვნელო მოჩანს“.

როგორც ცნობილია, ივლისის რევოლუციამ ბოლო მოუღო ბურბონთა დინასტიას და რესტავრაციის ეპოქის ფეოდალურ რეაქციას. ამის შემდეგ ნათლად გამოვლინდა ბურჟუაზიის ნამდვილი სახე. რევოლუციამ ვერ გაამართლა ხალხის იმედები. გამარჯვების შედეგებით ისარგებლეს მებრძოლეებმა და ფინანსისტებმა, რომლებმაც 1830 წელს თავიანთი ხელისუფლება დაამყარეს.

ამრიგად, 30-იანი წლების რევოლუციურმა მოძრაობამ ვიქტორ ჰიუგოზე გარკვეული გავლენა მოახდინა. მართალია, ჰიუგო ამ მოძრაობის მხარეზე არ გადასულა, მაგრამ მან მწერალში ისეთი სერიოზული შემოქმედებითი აღმავლობა გამოიწვია, რომ ჰიუგომ უფრო აქტურად დიაწყო ბრძოლა თავისი მხატვრული კალმით თავისუფლების მტრების წინააღმდეგ, ტირანებისა და მონარქების წინააღმდეგ: პოეტმა შეიგნო რა, ბურჟუაზიული სინამდვილის წინააღმდეგობანი, საჭიროდ დაინახა „თავისი ჩანგისათვის მიემატებინა

ბრინჯაოს სიმი", რომელსაც ხალხთა ტანჯვა, მწუხარება და ტკივილები უნდა გამოეთქვა. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ვიქტორ ჰიუგოს ჰუმანიზმს, მის შეხედულებებს აშკარად ემჩნევა უტოპიური სოციალიზმის გავლენა.

ძლიერი რევოლუციური განწყობილებების დროს ვიქტორ ჰიუგო აღფრთოვანებულია, რომ სცენაზე იდგმება მონარქიის წინააღმდეგ დაწერილი მისი პიესა „მარიონ დე ლორმი". ეს პიესა გამოირჩევა თავისი მხატვრულობით და ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით.

„მარიონ დე ლორმი" სცენაზე დაიდგა 1831 წლის 11 აგვისტოს. იგი შეიცავს ასეთ შინაარსს:

მარიონ დე ლორმი პარიზის მაღალ საზოგადოებაში სასიყვარულო ინტრიგების ქსელის გამბმელია. მისი მსუბუქი ყოფაქცევის შესახებ ყველამ გაიგო, რის გამოც მარიონ დე ლორმი იძულებული გახდა პარიზი მიეტოვებინა და ჩუმად გაპარულიყო. ის გადასახლდა პატარა პროვინციულ ქალაქ ბლუაში, სადაც სამხედრო ნაწილი იდგა. აქ პარიზიდან ხშირად ჩამოდიოდნენ ცნობილი პირები. პირველ ხანებში მარიონ დე ლორმი შედარებით წესიერად იქცეოდა, მაგრამ მარტოობა დიდხანს ვერ შეძლო. მან გაიცნო უპატრონოდ გაზრდილი ლამაზი ვაჟკაცი დიდიე.

შემთხვევით ქალაქ ბლუაში ჩამოდის მარიონის ძველი თაყვანისმცემელი ახალგაზრდა მარკიზ სავერნი. გაიგებს რა მარიონის აქ ყოფნას, ესტუმრება და გადაწყვეტს კვლავ განაგრძოს მასთან ადრინდელი ურთიერთობა. მარიონი თავს იკავებს, ვინაიდან ის ამჟამად გატაცებულია ჰაბუკი დიდიეთი. სავერნი გვიანობამდე რჩება მარიონთან, ეს უკანასკნელი შესთავაზებს ღამის გათევას თავის ბინაზე იმის შიშით, რომ ახალგაზრდა ვაჟს უცნობ ქალაქში ვინმე თავხედმა შეურაცხყოფა არ მიაყენოს. სავერნი არ თანხმდება და მიდის. გაივლის ცოტა ხანი, შემოდის დიდიე. მარიონს გაეხარდება მისი მოსვლა ვინაიდან ის ძალიან კმაყოფილია, რომ დიდიე ბედნიერად თვლის თავს მასთან ყოფნით. ჰაბუკი მარიონის ფეხთით ჩამოჯდება, მათ ერთმანეთს შეფიცეს სიყვარული. დიდიე მარიონს ცოლად გაყოლას სთხოვს. ქალი უარზეა.

უცებ ქუჩიდან მოისმა საშინელი ყვირილი. დიდიე გავარდება ქუჩაში და ნახავს, რომ ახალგაზრდა ვაჟს თავს დასხმიან ვიღაც არამზადები, ის გადაარჩენს მას და ბრუნდება მარიონთან. ვაჟი მას უკან მისდევს მადლობის სათქმელად. შევლენ რა ერთად მარიონის ოთახში, ქალი შეკრთება სავერნის დანახვის გამო. სავერნი ქალს სიტყვიერ შეურაცხყოფას მიაყენებს, დიდიე ამას ვერ ითმენს და სავერნის შეელაპარაკება.

ამ ამბის შემდეგ ბლუას პატარა სამეიტნოში თავი მოიყარეს ადგილობრიემა წარჩინებულმა პირებმა და პარიზიდან ჩამოსულმა რამდენიმე გავლენიანმა სტუმარმა. გაიმართა საუბარი საფრანგეთის თანამედროვე პოლიტიკაზე, რიშელიეს მიერ მეფის ძალაუფლების შეზღუდვაზე და ახალ ლიტერატურულ ნაწარმოებებზე. აქ ერთმანეთს შეხვდნენ საველრნი და დიდიე, მოაგონდებათ მარიონთან შეხვედრა და კვლავ შელაპარაკდებიან. დამსწრენი მათ ისე წააქეზებენ, რომ საქმე დუელამდე მივა. ამ დროს გაიგებენ, რომ მეფემ რიშელიეს დაჟინებითი მოთხოვნით გამოსცა კანონი დუელში მონაწილეთა დასჯის შესახებ.

მიუხედავად ამისა, დიდიე ინათხოვრებს ხმალს ვინმე ლანჟელისაგან და დუელში იწვევს საველრნის, დიდიე ხმლის ერთი მოქნევით დასცემს მას. მოდის მარიონი. დაინახავს ყოველივე ამას, ის შეწუხდება. საველრნი თავს მოიმკვდარუნებს. დიდიეს შეიპყრობენ, ჭალი თან გაჰყვება მას. მეფის სასახლეში მასხარა ეუბნება მარიონს, რომ დიდიეს მკაცრი სასჯელი მოელის.

საველრნი შეიპარება თავისი ბიძის მარკიზ დე ნანჟის კოშკში და მის მსახურს აუწყებს, რომ დუელში მოკლეს მარკიზის ძმისწული— საველრნი. საველრნის ამხანაგები ყველაფერს მოამზადებენ მის დასაკრძალავად. მარკიზ დე ნანჟი, გაიგებს ამ ამბავს და დიდ მწუხარებაში ჩავარდება.

დაპატიმრებულ დიდიეს მარიონი ჩუმად გააპარებს. ისინი გადაცმულნი შეუერთდებიან მოხეტიალე თეატრს. მოგზაურობის დროს ისინი შეხვდებიან საველრნის. აქვე გამოჩნდება მოხუცი მარკიზ დე ნანჟიც. ის იცნობს თავის ძმისწულს. მარკიზის მსახური ლაფემასი მარიონს ეუბნება: ოღონდ შენი ხელის შეხება მაღირსე, დიდიეს არ გავთქვამ და სასჯელისაგან გავათავისუფლებინებო. მარიონი უარზეა. ის თვითონ მიდის მეფესთან და სთხოვს დიდიეს შეწყნარებას, მაგრამ ამაოდ. რიშელიეს დაჟინებითი მოთხოვნით მეფემ ხელი მოაწერა ბრძანებას დიდიეს, საველრნისა და ლანჟელის დასჯის შესახებ. მარიონის ხვეწნა-მუდარამ, მისმა ცრემლებმა მეფეს ბრძანება შეაცვლევინა. გახარებულ ქალს ბრძანების ქაღალდი მიაქვს ციხეში. იქ მისვლისას ის შეხვდება მეფისაგან გამოგზავნილ შიკრიკს, რომელსაც საწინააღმდეგო ბრძანება მიაქვს. ეს ყველაფერი რიშელიეს მიერ მოწყობილი საქმე იყო. დიდიეს და საველრნის დასასჯელად ამზადებენ, ლანჟელს კი ათავისუფლებენ.

ლაფემასის დახმარებით მარიონი კვლავ ცდილობს დიდიეს გადარჩენას. მოისყიდის მეციხოვნეს, შევა დიდიესთან, მაგრამ დიდიე დაეჭვდება, ის ფიქრობს; ვაი თუ მარიონმა ის სხვაზე გაცვალა, უღალატა და ამით მოიპოვა მისი ციხიდან გაპარების საშუალება.

ის მკაცრი სიტყვებით მიმართავს მარიონს და არ სთანხმდება გაქცევაზე. ახლოვდება დასჯის ჟამი, დიდიე და სავერნი მამაცურად ხვდებიან სიკვდილს.

დიდიესა და სავერნის დასჯის მომენტში გამწარებული მარიონ დე ლორმი, გაიშვერს ხელს რიშელიესკენ და საჯაროდ დაიყვირებს: „აი, ჯალათი წითელ მანტიაში გამოწყობილი“.

პიესაში ერთ მხარეზე არიან მეფე ლუი XIII და კარდინალი რიშელიე, მეორე მხარეზე — მარიონ დე ლორმი და დიდიე. პირველი ორი საზოგადოების უმაღლესი ფენის წარმომადგენელია, მეორენი კი — დაბალი ფენისა. დიდიეს არც მაღალი ჩინი აქვს და არც პრივილეგია, ის დაბალი წრიდანაა. რიშელიე მას ავიწროებს, დევნის, სიკვდილით სჯის.

მარიონ დე ლორმი იძულებული იყო თავისი სხეულით ევაჭრა. სხვათა ვნებები დაეკმაყოფილებინა. ის შინაგანი ბუნებით არ იყო ასეთი. მასაც ჰქონდა კეთილშობილი გრძნობები, ფაქიზი განცდები, ყოველ შემთხვევაში, მარიონ დე ლორმს გულწრფელად უყვარდა დიდიე, რომელიც მას უმანკო ქალიშვილად თელიდა. მარიონ დე ლორმი მსუბუქი ყოფაქცევის ქალად პარიზის გადაგვარებულმა არისტოკრატიულმა წრეებმა გახადეს. ყველაზე ძლიერად მარიონ დე ლორმმა ეს თავისი ტრაგედია მას შემდეგ იგრძნო, რაც ის ქალაქ ბლუაში გადასახლდა და საზოგადოების დაბალი ფენების ცხოვრებას გაეცნო. ის აქ გარდაიქმნა.

1831 წლის ნოემბერში ვიქტორ ჰიუგო აქვეყნებს თავისი ლირიკული ლექსების კრებულს — „შემოდგომის ფოთლები“, სადაც პირველსავე ლექსში პოეტს მთავარ ღირსებად მიაჩნია, რომ ყოველი სუნთქვა, ყოველი სხივი, ხელსაყრელი იქნება იგი, თუ დაძღუპველი, აელვარებს და აღერებს მის ათასხმოვან კრისტალურ სულს. რომელიც პოეტის სათაყვანო ღმერთმა ყველაფრის ცენტრში მოაქცია. როგორც მჭუხარე გამოძახილი.

„შემოდგომის ფოთლებში“ ჰიუგო უმღერის ადამიანს, მის ფიქრებს, მის განცდებს, აგვიწერს ადამიანის შინაგან სამყაროს. ამ ლექსების ლირიკული გმირი ადამიანია, რომელიც მეგობართა წრეში ტრიალებს და რომელსაც ოჯახი აქვს. მას უყვარს, მხიარულობს, წუხს და, ჰიუგოს აზრით, სწორედ ყოველივე ეს უნდა გაიხადოს პოეტმა თავისი პოეზიის საგნად.

როგორც აღვნიშნეთ, იელისის რევოლუციის დროს და მის შემდეგ ვიქტორ ჰიუგოს პიესებს, რომლებიც სცენაზე დიდი წარმატებებით იდგმებოდა, რევოლუციურ-პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა. მათში გამოთქმული იდეები კიდევ უფრო აღვიევებდნენ ხალხში მონარქიის საწინააღმდეგო განწყობილებებს.

აღსანიშნავია ვ. ჰიუგოს მოთხრობები, რომელშიც ავტორი გამოხატავს თავის შეხედულებებს ადამიანის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, ესენია: „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“ (1829), „კლოდ გე“ (1834), ვიქტორ ჰიუგო ილაშქრებს სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. ის ქადაგებს კაცთმოყვარეობის იდეებს, და აღნიშნავს: ადამიანი რომ დანაშაულს ჩადის, ეს მისი ბუნებიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების აუტანელი პირობებიდან.

ჰიუგო თანაუგრძნობდა ტანჯულებსა და ჩაგრულთ. მას სწამდა კაცობრიობის პროგრესული განვითარება, სწამდა, რომ სიკეთე ბოროტებაზე, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გაიმარჯვებს, მაგრამ მას არ ესმოდა კლასობრივი ბრძოლის არსი. ის მორალის ქადაგებით ფიქრობდა საზოგადოების შეცვლას. ასეთმა უტოპიურმა ოცნებებამ ვიქტორ ჰიუგო იქამდე მიიყვანა, რომ ის ფიქრობდა ბურჟუაზიული საზოგადოების წინააღმდეგობათა გადაჭრას ამ საზოგადოების არსებობის პირობებში.

„კლოდ გე“ რომანტიკული მოთხრობაა. მასში ვიქტორ ჰიუგოსათვის დამახასიათებელი ლირიზმით მოცემულია გმირის საშინელ განცდათა ღრმა ანალიზი, ამავე დროს გამოხატულია მწერლის სოციალური შეხედულებები. აი, როგორ მოგვითხრობს მწერალი ამ უბედური ადამიანის ცხოვრებაზე.

პარიზში ცხოვრობდა ერთი კაცი, სახელად კლოდ გე. იგი ღარიბი მუშა იყო, ჰყავდა ოფიციალურად გაუფორმებელი ცოლი და ბავშვი. მუშა ნიჭიერი და მოხერხებული იყო, მაგრამ ცხოვრების დუხჭირი პირობებისაგან დაჩაგრული. მან არ იცოდა წერა-კითხვა მაგრამ იცოდა ფიქრი.

ერთ ზამთარს კლოდ გე უმუშევარი დარჩა. კაცი, ქალი და ბავშვი იყინებოდნენ და შიმშილობდნენ. კაცმა ჭურდობა ჩაიდინა რომ სამ დღეს მაინც გამოეკვება ოჯახი. ამის გამო მას 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

სასჯელის მოსახდელად ის გაგზავნეს კლერვოს გამასწორებელ სახლში. კლოდ გეს, ოდესღაც პატიოსან მუშას, ახლა კი ჭურდს, მკაცრი და კეთილშობილი სახე ჰქონდა, ნაადრევად დანაოჭებული შუბლი, შეეერცხლილი თმა, ალერსიანი და ჭკვიანი თვალები, ლამაზი წარბები. კოხტა ცხვირი, წინ გამოწეული ნიკაპი, პატარა ტუჩები. ის ლაპარაკობდა მშვიდად, მოძრაობდა წყნარად და მუდამ ჩაფიქრებული იყო. გამასწორებელი სახლის ზედამხედველი დესპოტი ადამიანი იყო. თავისნება და უხამსი, კერპი და თავხედი, — ყოველივე ამით ის კიდევაც ამაყობდა, თავს ნაპოლეონს ადარებდა.

კლოდი რომ აქ მოიყვანეს, ზურგზე ნომერი მიაკრეს და სამუშაოზე მიამაგრეს. პირველ ხანებში ზედამხედველმა იგი კარგ მუშად იცნო და ცუდად როდი ეპყრობოდა. ერთ დღეს ის მიხვდა, რომ კლოდი თავის „ცოლზე“ ფიქრობდა და ხუმრობით უთხრა: ის შეძავ ქალად იქცაო. კლოდის შეკითხვაზე, თუ რა დაემართა ბაეშვს, პასუხი არ იყო.

გაიარა გარკვეულმა ხანმა და კლოდი შეეგუა თავის მდგომარეობას. ამხანაგებს შორის დიდი გავლენა მოიპოვა, ყველას უყვარდა, ყველა ყურს უგდებდა მას. კლოდს საინტერესო გამოხედვა ჰქონდა. ადამიანის გამოხედვა კი ფანჯარაა, საიდანაც მოჩანს აზრები, რომლებიც თავშია მოთავსებული. ზოგი ადამიანი რკინასა ჰგავს, ზოგი მაგნიტს! კლოდი მაგნიტი იყო. სამი თვე არ გასულა მისი აქ მოყვანის დღიდან და ის იქ მყოფთა სული და გული გახდა; უყვარდათ პატიმრებს, მაგრამ სძულდათ მეციხოვნეებს.

კლოდ გემ, საერთოდ, ძალიან ბევრი ჭამა იცოდა; ეს არაჩვეულებრივი თვისება იყო მისი კუჭისა. აქ მიცემული საჭმელი არ ჰყოფნიდა, ის ყოველთვის მშიერი იყო, მაგრამ არაფერს ამბობდა, წუწუნი არ უყვარდა.

ერთხელ, როცა კლოდმა შეჭამა თავისი ლუკმა და კვლავ განაგრძო მუშაობა, რათა შიმშილი არ ეგრძნო, მასთან მივიდა ჭერა ახალგაზრდა, ავადმყოფი შეხედულების ტუსაღი. მას ხელში ეჭირა ჯერ ხელუხლებელი თავისი სადილი. სთხოვა კლოდს ამის შეჭმაში დამეხმარეო, კლოდმა ნახევარი გამოართვა და შეჭამა. ისინი ამ დღიდან დამეგობრდნენ. ამ ჭაბუკს ალბენი ერქვა. იგი კლოდს ყოველდღე უყოფდა საჭმელს. ისიც ჭურდობის გამო იჯდა ციხეში. ეს ორი ადამიანი ისე დაუახლოვდნენ ერთმანეთს, რომ ერთ წუთსაც ვერ ძლებდნენ უერთმანეთოდ. კლოდი 36 წლისა იყო, ალბენი 25-ისა. კლოდი ტანჯვისაგან 50 წლისას ჰგავდა, ალბენი კი პირიქით, ისე იყო დასუსტებული და დაპატარავებული, რომ კლოდს შვილად შეჰფეროდა. კლოდიც უწევდა მამობას, უყვარდა იგი.

ზედამხედველმა შეიძულა კლოდი. მან მუხანათურად დააცილა ეს ორი მეგობარი ერთმანეთს. ალბენი სხვა ბანაკში გადაიყვანა. ამან კლოდი სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა. ყოველდღე ეკითხებოდა ზედამხედველს ალბენის ამბავს, ემუდარებოდა დაებრუნებინა უკან, მაგრამ ამაოდ, გაკერპებული ზედამხედველი ყურსაც არ უგდებდა. კლოდი მას ყოველდღე მოაგონებდა ხოლმე ალბენის ამბავს, მაგრამ არაფერი გამოდიოდა, პირიქით, ამის გულისათვის ზედამხედველმა ის კარცერში ჩასვა.

ერთ დილას კლოდმა მხიარულ გუნებაზე გაიღვიძა. გამოალაგა თავისი ნივთები, ამოიღო ქალის პატარა მაკრატელი და „ეშილის“

ტომი, „ცოლისაგან“ გამოტანებული. მისთვის ორივე სრულიად გამოუსადეგარი იყო, რადგან მან არც კერვა იცოდა და არც კითხვა. კლოდმა ამ დღეს დიდი მონდომებით იმუშავა. შემდეგ მეზობელ სახელოსნოში წავიდა, ყველას გაეხარდა მისი დანახვა. აქ 27 ტუსაღი იყო, მან მათ ცული სთხოვა და უთხრა, რომ დღეს საღამოს მე ჩვენი ზედამხედველი უნდა მოვკლაო. დიდი სიამოვნებით მისცეს მას პატარა ცული. დღე შეუმჩნევლად გავიდა. საღამოს 8 საათზე ყველა ტუსაღი ჩაკეტეს, აქ იყო კლოდიც. სახელოსნოში 82 ქურდი იმყოფებოდა. ზედამხედველების ჩამოვლის შემდეგ, კლოდი დაწვა თავის ადგილზე და ხმამაღლა დაიწყო ლაპარაკი. ყველამ იცის, რომ ალბენი ჩემი ძმა იყო, საშველი რომ არ მყოფნიდა, ალბენი თავისას მიყოფდა, მე ის შემიყვარდა, მასაც ვუყვარდი მე. ზედამხედველმა ჩვენ ერთმანეთს დაგვაშორა. მე ვთხოვე დაებრუნებინა ალბენი, თქვენ თვითონ დაინახეთ, მან ეს არ მოინდომა. მე გავაფრთხილე, რომ მოვუცდიდი ალბენის დაბრუნებას 4 ნოემბრამდე. დღეს ოთხი რიცხვია. ერთი საათის შემდეგ ზედამხედველი ჩამოიცლის და გაფრთხილებთ, რომ მე მას მოვკლავ. რას იტყვით თქვენ? ყველა სდუმდა.

კლოდმა განაგრძო, რომ ის მდგომარეობამ მიიყვანა ასეთ უკიდურესობამდე და აღიარა სიმართლე, მან უნდა მოკლას ზედამხედველი. ერთმა ტუსაღმა ურჩია კიდე ეთხოვნა და მერე შეესრულებინა თავისი განზრახვა. კლოდი დასთანხმდა. ამავე დროს მან დაიწყო თავისი ნივთების ამხანაგებზე დანაწილება; ამხანაგებზე, რომლებიც ალბენის შემდეგ დაუახლოვდნენ მას. თავისთვის მარტო პატარა მაკრატელი დაიტოვა. შემდეგ ყველა გადაკოცნა, ზოგიერთები ტიროდნენ. კლოდი უღიმოდა მათ.

სრულ 9 საათზე შემოვიდა ზედამხედველი, სახელოსნოში სამარისებური სიჩუმე სუფევდა. ზედამხედველი მხიარულ გუნებაზე იყო. მან კლოდს ყურადღება არ მიაქცია. კლოდი მიუახლოვდა და უთხრა, რომ ალბენის შესახებ უნდა მოელაპარაკოს. კიდევ სთხოვა მისი დაბრუნება, მაგრამ სასტიკი უარი მიიღო. მაშინ კლოდმა ჰკითხა მიზეზი, თუ რატომ დააშორეს ისინი ერთმანეთს. ზედამხედველმა აგდებულად უპასუხა: „იმიტომ“, მაშინ კლოდმა აჭოიღო მარჯვენა ჯიბიდან ცული, სამჯერ დაარტყა თავში ზედამხედველს და იქვე მოკლა. 82 კაცი გაქვავებული უყურებდა ამ ამბავს. კლოდმა გადააგდო ცული და დაიყვირა — ახლა მეორის ჯერია, ამოიღო მაკრატელი და ჩაირჭო გულში, მაგრამ მაკრატელი მოკლე აღმოჩნდა და გულამდე ვერ მისწვდა. კლოდმა დაიჭრა გულმკერდის მთელი ძარღვები, სისხლისაგან იცლებოდა, მაგრამ არ მოკვდა, მხოლოდ გრძნობა დაკარგა. როდესაც გონზე მოვიდა, დაინახა ბინტებით იყო

შეხვეული და საწოლზე იწვა, თავს ეჭიმები და მომველელები ეხვია. ეკითხებოდნენ, თუ როგორ არის. კლოდმა ბევრი სისხლი დაკარგა, მაგრამ მაკრატლის არც ერთი დარტყმა არ იყო სასიკვდილო. სასიკვდილო მისთვის მხოლოდ ის ჭრილობები აღმოჩნდა, რომელიც მან ზედამხედველს მიაყენა.

დაიწყო დაკითხვა. მან აღიარა სიმართლე, რომ მოკლა ზედამხედველი, მას ჰკითხეს — რატომ? მან უპასუხა — იმიტომ. ოთხი თვე დასტრიალებდნენ თავს ექიმები, ერთნი მკურნალობდნენ მის ჭრილობებს, მეორენი მისთვის ეშაფოტს ამზადებდნენ. 1832 წლის 16 მარტს ქალაქ ტრუას სასამართლოს წინაშე წარდგა კლოდი. ძალ თავი დინჯად და წესიერად ეჭირა, ღარიბულად, მაგრამ სუფთად ეცვა. ბევრი ხალხი მოგროვდა აქ. დაიწყო სასამართლო, მაგრამ არც ერთი მოწმე 82 კაციდან არ იღებდა ხმას, სანამ კლოდმა თვითონ არ ათქმევინა ძალით. ისინი ამბობდნენ იმას, რაც ნახეს. ქალები ტიროდნენ. გამოიყვანეს ალბენი. მასაც უნდა მიეცა ჩვენება. ის ძლივს იდგა ფეხზე, ცრემლები ახრჩობდა მას. იგი ეცა კლოდს და გულში ჩაიკრა. კლოდმა პროკურორს უთხრა: — აი, ბოროტი, რომელიც თავის პურს უყოფდა მშივრებს,—და ალბენს აკოცა ხელზე.

თავმჯდომარემ საბოლოო სიტყვა წარმოთქვა და ასე დაასკვნა: პირველი ბრალი ედება კლოდ გეს მასში, რომ იგი უკანონოდ ცხოვრობდა გარყვნილ ქალთან, შემდეგ ჩაიდინა ქურდობა და ბოლოს მკვლელობა. ეს ყველაფერი სიმართლეა.

კლოდმა უპასუხა — ეს თითქმის სიმართლე არ არის. მე ქურდი ვარ და კაცის მკვლელი. მე მოვიპარე, მე მოვკალი. მაგრამ რატომ მოვიპარე, რატომ მოვკალი? დასვით ეს ორი კითხვა ერთიმეორის გვერდით, ბატონებო!

კლოდ გეს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, ხოლო მისი კითხვები, თუ რატომ მოიპარა, რატომ მოკლა—უყურადღებოდ დატოვეს.

1832 წლის 8 ივლისს კლოდთან ციხეში შემოვიდა სასამართლოს მდივანი და უთხრა, რომ ერთი საათის სიცოცხლე დარჩენია.— მაშ ასე, — გულგრილად უპასუხა კლოდმა, — მაგრად მეძინა, მაგრამ აწი უფრო მაგრად დამეძინება. მოვიდა მღვდელი და შემდეგ ჯალათიც. კლოდმა წყნარად მოუსმინა მღვდელს. შემდეგ მეციხოვნეს გადასცა პატარა მაკრატელი და სთხოვა ალბენისათვის გადაეცა. წაიყვანეს იგი ხელშეკრული. კლოდი დინჯად და მედიდურად ავიდა ეშაფოტზე. ხელში მას ეჭირა 5-ფრანკიანი ფული, რომელიც ციხეში ავადმყოფობის დროს ექთანმა აჩუქა, — მან გადასცა ის მღვდელს და უთხრა ღარიბებს მიეცითო. ამ დროს საათი მერვეს რეკდა. კეთილშობილსა და ჭკვიან ადამიანს თავი მოკვეთეს.

ქლოდ გე ბუნებით კეთილი, გულით სპეტაკი, ნიჭიერი, — გადაგვარებულ საზოგადოებაში ქურდი ხდება და შემდეგ კაცის მკვლელიც.

1838 წლის 8 ნოემბერს პირველად დაიდგა ფრანგულ სცენაზე ჰიუგოს დრამა „რუი ბლაზი.“ მისი მოკლე შინაარსი ასეთია:

ესპანეთის მეფის კარლოს მეორის სასახლეში ინტრიგებია. მეფე ნადირობით ერთობა და სახელმწიფოს მართვას თავის მინისტრებს ანდობს. უქმადმყოფი მისი მეუღლე დონა მარია თაყვანისმცემლებს გაიჩენს. პირველ რიგში მისი თაყვანისმცემელია პერსოგი დონ გურიტანი.

მეფის მინისტრი დონ სალუსტიო დე ბასანი მოსამსახურე ქალიშვილს შეიყვარებს, რის გამოც მას თანამდებობიდან მოხსნიან. შურისმაძიებელი დონ სალუსტიო სასახლეში დედოფლის წინააღმდეგ ინტრიგების ქსელს აბამს. ამ მიზნის განხორციელებისათვის ის გამოიყენებს თავის ბიძაშვილს, უქნარა, მოქეიფე და არშიყ დოხ სესარს. ეს უკანასკნელი მივა სასახლეში, სადაც ის მოულოდნელად შესვდება თავის ადრინდელ მეგობარს რუი ბლაზს, ამჟამად უკვე სასახლის ლაქიას.

რუი ბალზს დედოფალი უყვარს, ამის შესახებ ის არაყის უმხელდა, მაგრამ თავის ძველ მეგობარს, მისდაუნებურად, ყველაფერში გამოუტყდება. რუი ბლაზი ისეა გატაცებული დედოფლით, რომ ბაღში იმ სკამზე, სადაც დედოფალს უყვარს ჯდომა, ის ხშირად დებს ყვავილების თაიგულს ბარათითურთ.

დონ სალუსტიო რუი ბლაზს თავის მდივნად დანიშნავს და დედოფალთან სატრფიალო წერილს გააგზავნინებს, ვითომდა სესარის მიერ დაწერილს. რუი ბლაზს სესარის ტანსაცმელს გადააცმევენ, სახითაც ის ძალიან ჰგავს მას. სალუსტიო რუი ბლაზს ავალებს ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ გახდეს დედოფლის საყვარელი. მარტოობაში მყოფი დედოფალი ისე გრძნობს თავს, როგორც გალიაში დამწყვდეული ფრინველი. ახალგაზრდა ქალი კიდეც ჩივის ამის გამო: „ჩემთვის უფრო აუტანელია გალიაში ცხოვრება, ვიდრე საცოდავი ფრინველისათვის. ჩემი სამყარო ქვის მაღალი კედლით შემოვლებული ერთადერთი მწვანე ბაღია, უადამიანო. და მოწყენილი, რომელსაც დაჰყურებს ცის თაღი“.

დონ გურიტანი თავს დასტრიალებს დედოფალს, მაგრამ ამაოდ, ქალს ის სძულს, დედოფალი ოცნებობს იმის ნახვას, ვინც ასე საიდუმლოდ და სათუთად ბაღში წერილებსა და ყვავილის თაიგულებს უტოვებს. ერთ დღეს დედოფალს გადასცეს ქმრისგან გამოგზავნილი წერილი. მისი წაკითხვის შემდეგ ქალი მოუხმობს თავისთან ბარათის მომტანს. ჰაბუკი შევა დედოფალთან. ქალს იგი ძალიან მოეწონა. ეს ახალგაზრდა გადაცმული რუი ბლაზი იყო. ისინი ერთმა-

ნეთს გამოელაპარაკებიან. ამ დროს დონ გურიტანი შეამჩნევს, რომ ვაჟი დედოფლითაა გატაცებული, და გამოიწვევს მას დუელში. გაიგებს დედოფალი ამ ამბავს და რუი ბლაზს მოსალოდნელი უბედურება რომ ააცდინოს, დონ გურიტანს სასწრაფოდ გზავნის თავის მამასთან სპეციალური დავალებით.

მეფის მსახურნი შეიკრიბებიან და თათბირობენ, თუ როგორ უღალატონ მეფეს და როგორ დაინაწილონ მისი სამეფო. აქ უეცრად გაჩნდება რუი ბლაზი და მათ მრისხანედ ეტყვის, რომ ისინი მეფეს სამარეს უთხრიან, რომ მათ სურთ დაასუსტონ მისი სახელმწიფო, რომ მან ყველა მათი იდუმალი ზრახვა იცის, იგი კიცხავს შეთქმულებს. გაბრაზებული მინისტრები გარბიან, რუი ბლაზი ოთახში მარტო რჩება, შემოვა დედოფალი და დიდ მადლობას უხდის მას, თურმე ის საიდუმლო ოთახიდან ისმენდა რუი ბლაზის სიტყვებს. დედოფალი და რუი ბლაზი ერთმანეთს სიყვარულს ეფიცებიან. შემდეგ, მარტოდ დარჩენილი, აღშფოთებული რუი ბლაზი თავის თავს ელაპარაკება. იქვე მას მალულად უსმენს დონ სალუსტიო. ის გაიგებს, რომ რუი ბლაზს ნამდვილად უყვარს დედოფალი და, როდესაც ისინი ერთმანეთს შეხვდებიან, რუი ბლაზი დაჭერით ემუქრება. დონ სალუსტიო ეუბნება, რომ ის გასცემს მას.

დონ გურიტანი მოგზაურობიდან ბრუნდება. ის შეხვდება ნამდვილ დონ სესარს, ჰგონია, რომ იგი რუი ბლაზია და დუელში კლავს მას. დედოფალი რუი ბლაზს დონ სესარად იცნობს. დონ სალუსტიო გასცემს მას. ნიღაბს ახდის. მიუხედავად იმისა, რომ რუი ბლაზი ლაქია აღმოჩნდა, დედოფალს მაინც უყვარს იგი. შექმნილ მდგომარეობას დონ სალუსტიო იყენებს თავისი უფლებების აღსადგენად, აშინებს დედოფალს, რომ ის ყველას გააგებინებს მის საქციელს. რუი ბლაზი დედოფლის, შეურაცხყოფისათვის დონ სალუსტიოს. დუელში იწვევს და კლავს მას.

განრისხებული დედოფალი კიცხავს რუი ბლაზს დონ სალუსტიოს მოკვლის გამო. ჩიხში მომწყვდეული რუი ბლაზი საწამლავს სვამს და კვდება. სიკვდილის წინ დედოფალს ეუბნება: „მე სიცოცხლე აღარ მიწერია, ვინაიდან ის თქვენ გაგნებთ, თავს ვიკლავ იმიტომ, რომ ყველაფერი საიდუმლოდ დარჩეს“.

დრამა „რუი ბლაზი“ წარმატებით იდგმებოდა თბილისში კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში.

1840 წელს ვიქტორ ჰიუგო აქვეყნებს ახალი ლექსების კრებულს სათაურით — „სხივები და აჩრდილები“, რომელშიც მან კიდევ უფრო ნათლად გვაჩვენა პოეტის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ჰიუგოსათვის აქაც პოეტი განუმეორებელი გენიაა, ბრძენი ჭურუმია, რომელიც ხალხს გზას უნათებს. ამ კრებულის რიგი ლექ-

სებისა აღსავსეა პოეტის ჰუმანური გრძნობებით, დაჩაგრულთადმი გულწრფელი სიყვარულით. ჰიუგო დასცინის ოქროს მფლობელ მდიდარ ბურჟუას, რომელიც ფულის მონაა და რომელსაც კეთილშობილური მისწრაფებანი არ გააჩნია. სიყვარულით უმღერის ახალგაზრდა მშრომელ ქალს, უმანკოსა და ბეჯითს, მოუწოდებს ბოლომდე შეინარჩუნოს თავისი უმანკოება, იყოს მუდამ მხნე და მხიარული.

1862 წელს ვიქტორ ჰიუგომ გამოაქვეყნა თავისი რომანი „საბრალონი", რომლის წერა 1840 წელს დაიწყო. ამ რომან-ეპოპეას უდიდესი წარმატება ჰქონდა. ხალხი გატაცებით კითხულობდა მას. შემდეგ იგი მრავალ ენაზე ითარგმნა, მათ შორის ქართულზეც. ვიქტორ ჰიუგო ამ რომანში ბურჟუაზიული საზოგადოების სურათს გვიხატავს. ერთი მხრივ, გვიჩვენებს რომანის მთავარი გმირის ჟან ვალჟანის ზნეობრივ გარდაქმნა-გაუმჯობესებას, მეორე მხრივ — სოციალურ ჩაგვრას. ამ ნაწარმოებს დღემდე არ დაუკარგავს ძხიშვნელობა. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ რომანი „საბრალონი" 1948 წელს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ორგანოს გაზეთ „ლუმანიტეს" ფურცლებზე ყოველდღიურად იბეჭდებოდა.

„საბრალონის" წინასიტყვაობაში ვიქტორ ჰიუგო წერს:

„სანამ კანონებისა და ზნე-ჩვეულებათა ძალით იარსებებს სოციალური წყევლა, რომელიც აუვალებულ ცივილიზაციაში ხელოვნურად ქმნის ჯოჯოხეთს და ღმერთზე დამოკიდებული ადამიანის ბედს ამძიმებს საბედისწერო ხვედრით, სანამ არ გადაწყდება ჩვენი დროის სამი ძირითადი პრობლემა: მამაკაცის დამცირება იმის გამო, რომ ის პროლეტართა კლასს ეკუთვნის, ქალის ზნეობრივი დაცემა შიმშილის შედეგად, ბავშვთა დაუძლურება უმეცრებისა და სიბნელის გამო, სანამ საზოგადოების ზოგიერთ ფენაში შესაძლებელი იქნება სოციალური ჩაგვრა, სხვანაირად რომ ვთქვათ, სანამ დედამიწაზე სილატაკე და გონებრივი სიბნელე იარსებებს, ამგვარი წიგნები უსარგებლო არ იქნება".

მორის ტორეზი თავის საინტერესო წიგნში — „ხალხის შვილი" გულთბილად იგონებს რა ვიქტორ ჰიუგოს რომანს — „საბრალონი", წერს: „მე აღტაცებული ვიყავი ულმობელი ბედის მსხვერპლის — ჟან ვალჟანის გულკეთილობით, მაგრამ „საბრალონში" მე განსაკუთრებით მხიბლავდა საოცარი გავროში, რომელიც ბარიკადების სიმაღლიდან დასცინოდა მთავრობის ჯარისკაცებს, გავროში, რომლის სიმღერას ვერ ახშობდა თოფების გრიალი".

„საბრალონის" მთავარი გმირი არის ჟან ვალჟანი. მისი ცხოვრების გზა მოდის სიბნელიდან სიკეთისაკენ. ის ჰუმანურია, სათნო და მოწყალე. ის ჯერ პროტესტით გამოდის სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ და შემდეგ კი ამთავრებს მასთან შერიგებით.

ვიქტორ ჰიუგოს ჩანაფიქრით, ჟან ვალჟანი მთელი ხალხის წარმომადგენელია. მწერალი ჟან ვალჟანს „სოციალური კანონით გასრესილ ჰიანჰეელას“ უწოდებს. შემდეგ განმარტავს, რომ „მატერიალურ სამყაროში ჰიანჰეელა, — შეიძლება გიგანტად იქცეს მორალურ სამყაროში“. ჰიუგოს კონცეფციის მიხედვით, ასეთი მორალური გიგანტები არიან მისი საყვარელი გმირები, უსამართლო ცხოვრებისაგან განკიცხული ადამიანები.

ჰიუგოს აზრით, ცხოვრებაში არსებობს კეთილი და ბოროტი, საზოგადოების ერთი ნაწილი სიკეთის გამოხატულებაა, მეორე ნაწილი კი — ბოროტებისა. ხალხი და სიკეთე ერთი და იგივეა. „საბრალოში“ კეთილის გამომხატველები არიან: ჟან ვალჟანი, ფანტინა, გაეროში, კოზეტა, ბაბუა ფოშლევანი; ბოროტებისა კი — პოლიციელი ჟავერი, ტენარდიე.

ჰიუგომ მხატვრულად წარმოგვისახა ბურჟუაზიული საზოგადოების მსხვერპლი საბრალო ადამიანები. ხალხიდან გამოსული ეს ადამიანები ბუნებით კეთილშობილები არიან, მაგრამ კაპიტალისტურ წყობილებაში „დამნაშავეებად“ იქცნენ.

ფილანთროპიულ პოზიციაზე მდგარ ჰიუგოს არ ესმის ბურჟუაზიული მორალის კლასობრივი ხასიათი, და მისი მსჯელობა სიკეთისა და ბოროტების შესახებ, ხშირად აბსტრაქტულ-მეტაფიზიკური ხასიათისაა.

სათნო და მოწყალე ეპისკოპოსი მირიელი არ არის ტიპიური სახე, იგი მოკლებულია დამაჯერებლობას, ვინაიდან არაა ცხოვრებიდან აღებული, და ჰიუგო ცდებოდა, როდესაც ასეთი სახეების საშუალებით უნდოდა საზოგადოებაში არსებულ ბოროტებათა აღმოფხვრა.

პოლიციის ჯაშუში სასტიკი და უგულო ჟავერი—ბურჟუაზიულ საზოგადოებაში უკანონობის განსახიერებაა, ის ერთგული მონაა ბურჟუაზიული კანონიერებისა. იგი თითქოს არც კი ცხოვრობს ჩვეულებრივი ცოცხალი ადამიანივით. მისი გაყინული გონება მხოლოდ ორ რამეს ემსახურება: „ხელისუფლებისადმი ერთგულებას და მისი მოწინააღმდეგეებისადმი სიძულვილს“. ის ცხოვრების აზრს იმაში ხედავს, რომ „სდიოს, თვალყური ადევნოს“. ჟავერს კრიტიკული, დამოუკიდებელი აზრი არ გააჩნია; მას, ციხეში დაბადებულს, უცნაურად გაზრდილს, მსჯელობა ღვთის უარყოფად მიაჩნია; მისთვის საზოგადოება არ იყო განვითარებადი და მოძრავი რამ, ის ერთგული ნაგაზივით ემსახურებოდა უსამართლობაზე დამყარებულ ბურჟუაზიულ კანონებს; ჟავერი შეუგნებლად ხდება უკანონობის დამცველი და, როდესაც თავის თავში სასტიკ წინააღმდეგობას აღმოაჩენს, თავს იკლავს.

ვიქტორ ჰიუგო აგვიწერს ფანტინას ბავშვის — კატარა კოზეტას ტენარდიების ოჯახში ყოფნას და მთელი მხატვრული სიძლიერით გვიჩვენებს იმ ტანჯვა-წამებას, რომელსაც საბრალო კოზეტა განიცდიდა აქ. მწერლის აზრით, ექსპლოატაცია სასტიკად ჩაგრავს ადამიანს ბავშვობიდანვე.

მარიუსი რევოლუციონერ ანჟოლრასთან ერთად იბრძოლა ბარიკადებზე. შემდეგ კი ჩამოსცილდა რევოლუციურ საქმიანობას და მოაწყო თავისი პირადი ცხოვრება სხვის ხარჯზე. გერცენი მარიუსს უწოდებდა „უგვანო თაობათა ტიპიურ წარმომადგენელს". დოსტოევსკი მას თვლიდა „ფრანგ ბურჟუად ამ სიტყვის უცუდესი აზრით".

„საბრალონის" გმირთა შორის განსაკუთრებულად საინტერესო და დამახასიათებელია გავროშის სახე, გავროში ხალხიდან მოდის. ამიტომაა, რომ ის მუდამ ხალხშია და ხალხის ინტერესებით ცხოვრობს. იგი ცხოვრობს ყველაზე უბედურ და განკიცხულ ადამიანებთან და ინსტინქტურად გრძნობს, თუ ვის მხარეზეა სიმართლე, იბრძვის რესპუბლიკელებთან ერთად მონარქიის წინააღმდეგ. გავროშის მხიარულება, თავისუფლებისმოყვარეობა, დიდსულოვნება ღრმად ხალხურია. და ეს ყველაფერი განსაზღვრავს მის სიდიადეს.

რომანში დიდი ადგილი უჭირავს ვატერლოოს ბრძოლის აღწერას. ჰიუგო მას იმდენად დიდ ყურადღებას აქცევდა, რომ ფიქრობდა მასზე ცალკე ნაწარმოების დაწერას.

რომანი „ზღვის მაშვრალნი" გამოქვეყნდა 1866 წლის მარტში, იმ დროს, როდესაც ჰიუგო გადასახლებაში იმყოფებოდა, როგორც თეითონვე აღნიშნავდა მწერალი, მისი ჩანაფიქრის მიხედვით ეს იყო ტრილოგიის მესამე ნაწილი. პირველს წარმოადგენდა „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი", მეორეს — „საბრალონი", მესამეს კი „ზღვის მაშვრალნი". ჰიუგოს მიზნად ჰქონდა დასახული გამოეხატა პირველ რომანში ადამიანის ბრძოლა ცრუმორწმუნეობრივ სტიქიასთან, მეორეში, — სოციალურ სტიქიასთან და მესამეში, — ბუნების სტიქიასთან. ამრიგად, ჰიუგოს სურდა მოეცა მისი თანამედროვე სინამდვილის ფართოდ განზოგადებული სურათი.

„ზღვის მაშვრალნი" მხატვრულად წარმოგვისახავს შრომის მნიშვნელობას, ძლიერ ნებისყოფას, ადამიანის ამტანობასა და სიმტკიცეს დაბრკოლებათა გადალახვაში. რომანს წამძღვარებული აქვს ჰიუგოს შემდეგი სიტყვები:

„ამ წიგნს ეუძღვნი თავისუფლებისა და სტუმართმოყვარე კლდეებს, პატარა ზღვისპირელი ხალხით დასახლებულ ძველი ნორმადიული მიწის კუთხეს მკაცრს. მაგრამ გულთბილ კუნძულს გერნსის, ჩემს ახლანდელ თავშესაფარს, შეიძლება—ჩემს მომავალ საფლავს".

მორის ტორეზი კმაყოფილების გრძნობით იგონებს ამ საუცხოო

რომანს და წერს: „ზღვაზე ცხოვრებისა და ჟილიატის ბრძოლის აღწერა „ზღვის მაშვრალნში“ ჩემს აღტაცებას იწვევდა, ჰიუგოს ამ წიგნის ფურცლებიდან ზღვის გაშმაგებული ტალღების ხმა მესმოდა“

„ზღვის მაშვრალნი“ ჰიუგოს იმავე ჰუმანისტურ იდეაზეა აგებული, რომელზედაც სხვა მისი ნაწარმოებები. ამის გამო აქაც დამახასიათებელია კეთილისა და ბოროტის დაპირისპირება. ჯერნსისა და გერნსიზე ცხოვრების დროს ვიქტორ ჰიუგოს ყურადღება მიიქცია მეზღვაურთა ცხოვრებამ, მათმა ბრძოლამ ზღვის სტიქიასთან, სწორედ ამის საფუძველზე შეიქმნა „ზღვის მაშვრალნი“.

მეზღვაურ ლეტიერს ჰყავს ნაშვილები დერუშეტა, სათუთად და გულმოდგინედ ზრდის ამ ქალიშვილს. მას აქვს საკუთარი გემი „დურანდა“. თავისი ცხოვრების აზრს ლეტიერი ქალიშვილისა და გემის სიყვარულში ხედავს.

გამოცდილი კაპიტანი კლუბენი გადაწყვეტს დაღუპოს გემი და გაიტაცოს 75 ათასი ფრანკი. მას თავისი განზრახვა სისრულეში მოჰყავს. ამ დროს ჟილიატი, რომელიც გატაცებულია დერუშეტათი, არაფერს არ დაიშურებს იმისათვის, რომ გემიც გადაარჩინოს და ფულიც. მართლაც, გმირული სულისკვეთებით აღსავსე, მტკიცე ნებისყოფის დაუცხრომელი ენერგიის ჟილიატი აღწევს მიზანს. მან იბრძოლა ბუნების მრისხანე ძალებთან — ქარიშხლის დროს ოკეანესთან, შიმშილთან, სიცივესთან, ყოველგვარი წინააღმდეგობა გადალახა და მიზანს მიაღწია.

სამწუხაროდ, ჟილიატს საბოლოოდ არ გაუმართლა ცხოვრებამ. უმანკო და მომხიბლავი დერუშეტა შეიყვარებს ახალგაზრდა ებენეზერ კოდრეს, რომელსაც გემის დაღუპვის დროს გადაარჩენს ჟილიატი. ჟილიატი უარს აცხადებს საკუთარ ბედნიერებაზე და ამით ეხმარება დერუშეტას გაჰყვეს ცოლად თავის სატრფოს. ამნაირად დერუშეტაზე შეყვარებული ჟილიატი თავს სწირავს მას.

თავისი დიდაქტიკურ-მორალური შეხედულებების ერთგულ მწერალს ჰიუგოს სწამს, რომ ცხოვრებაში ნამდვილი გამარჯვება — ეს არის მორალური გამარჯვება. მართალია, ჟილიატი დაიღუპა, მაგრამ ის ამით კიდევ უფრო ამაღლდა მის ირგვლივ მყოფ ადამიანებზე. განსაკუთრებით კი თავის მოწინააღმდეგეებზე. ნაწარმოების ერთერთი მთავარი აზრი და შემეცნებითი ღირებულება ის არის, რომ მისი მთავარი გმირის ჟილიატის სახით ჩვენს წინაშე დგას დიდსულოვანი, მაღალი მორალის ადამიანი, რომელმაც არ იცის უკან დახევა და რომლისთვისაც ცხოვრების აზრი, სიცოცხლის აზრი იმაშია, რომ უშიშრად და ვაჟკაცურად გადალახოს ყოველგვარი დაბრკოლება, ყოველგვარი წინააღმდეგობა და დაუცხრომლად იბრძოლოს მიზნის მისაღწევად.

„ზღვის მაშვრალნი“ წარმოადგენს გარჯისა და შრომის ჰიმნს. საზოგადოების დაბალი ფენიდან გამოსული ჟილიატი ბევრ გმირულ აქმეს ჩადის, ამასთანავე ის არის მქადაგებელი საყოველთაო ძმობისა და ერთობისა.

1869 წლის მაისში გამოდის ჰიუგოს შემდეგი რომანი „კაცი, რომელიც იცინის“. აქ ჰიუგო ეხება XVII—XVIII საუკუნის ინგლისს, განსაკუთრებით ამ დროის ინგლისის მაღალი წრეების მხრივ დაბალი ფენების ჩაგვრას, რაც ნათელ გამოხატულებას პოულობს ეროვნულ ჩაგვრაში. ვიქტორ ჰიუგო ყოველთვის კიცხავდა ინგლისის საზოგადოების ზედაფენებს, ამავე დროს პატივისცემით ეპყრობოდა ინგლისელ ხალხს, წუხდა, რომ ამ ხალხში ის ხედავდა ინგლისელი კაპიტალისტებისა და ლორდების მსხვერპლს.

საინტერესოა, რომ ე. წ. გროტესკი თავის მაღალ, სატირულ ძალას აღწევს ვიქტორ ჰიუგოსთან სწორედ მეორე იმპერიის დროს, ვინიდან თვითონ ეს სინამდვილე გახდა გროტესკული. „მეორე იმპერია დასრულდება ისევე, როგორც დაიწყო: პაროდიით. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ლუი ბონაპარტს სწორედ ევროპის მთავრობებმა და გაბატონებულმა კლასებმა შეაძლებინეს თერამეტი წლის განმავლობაში გაეთამაშებინა სასტიკი ფარსი რესტავრირებული იმპერიისა“[1].

ვიქტორ ჰიუგო ამ რომანში კვლავ სიმპათიითა და სიყვარულით გვიხატავს განკიცხულ ადამიანებს. მაგალითად, აქ ის მოგვითხრობს არისტოკრატი ბიჭის გუინპლენის ცხოვრების ისტორიას, — სულ პატარა გუინპლენი კომპრაჩიკოსებმა გაიტაცეს და საშინლად დაუშახინჯეს სახე. ამით ჰიუგომ ხაზი გაუსვა იმას, რომ ბურჟუაზიული საზოგადოება ადამიანს სულიერადაც ამახინჯებს და ფიზიკურადაც. გუინპლენი ხალხის მორალური თვისებების მატარებელია.

რომანში ყველაზე ძლიერია გუინპლენის გამოსვლა ლორდთა პალატაში, სადაც მან წარმოთქვა შთამაგონებელი სიტყვა. შეუძლებელია ეს სიტყვა კაცმა აუღელვებლად წაიკითხოს. მან თავის გამოსვლაში, როგორც დამახინჯებულმა ლორდმა მეამბოხემ, გაილაშქრა ფეოდალური საზოგადოების წინააღმდეგ, გახრწნილი და გადაგვარებული არისტოკრატიის წინააღმდეგ. მან მზის სინათლეზე გამოიტანა არისტოკრატთა ეგოიზმი და თვალთმაქცობა. რომანის ამ ადგილების მხატვრული ძალა მის სიმართლეში და დამაჯერებლობაშია. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ გუინპლენი ფანტასტიკური სახე კი არ არის, არამედ რომანტიკული სახეა, რომელიც ბევრ რეალისტურ მომენტს შეიცავს. მისი ტრაგედია ის არის, რომ ის მარტო იბრძვის.

[1] კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, რჩეული ნაწერები ტ. I, თბილისი, 1948, გვ. 559.

ურსუსი გუინპლენთან შედარებით განსხვავებული ტიპია. ის განსწავლული ადამიანია. არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობით უკმაყოფილო ხშირად ჰკიცხავს საკუთარ თავს და პესიმისტურადაა განწყობილი. ის ეპვის თვალით უყურებს საზოგადოებრივ ცხოვრების გაუმჯობესების საქმეს. მისი ფილოსოფია იქამდეც კი მიდის, რომ ის სხვებს ასე არიგებს: — იცოდეთ თქვენი ბედნიერება არავინ შეამჩნიოს. რაც შეიძლება მცირე ადგილი უნდა გეჭიროთ. ბედნიერება დიდი სიფრთხილით უნდა დაფაროთ. რაც შეიძლება მეტად მოიკეცეთ, გახდით უფრო შეუმჩნეველი. ღარიბს მხოლოდ ერთი მეგობარი ჰყავს, სახელდობრ — დუმილი. მან უნდა წარმოთქვას მხოლოდ ერთმარცვლიანი სიტყვა — კი.

როგორც ვხედავთ, ურსუსი გასრესილია აუტანელი საზოგადოებრივი ცხოვრების გამო. ის უუფლებოა და ღარიბი. ეს კი მას სულს უხუთავს. ურსუსის სახეში არის სიმართლის ნაწილი, მაგრამ ის უფრო მეტად რომანტიკული სახეა.

რაც შეეხება დეას, რომელიც ჰიუგოს გამოყვანილი ჰყავს, როგორც პატიოსნების განსახიერება, ის მკრთალი სახეა, მასში ნაკლებადაა სიცოცხლე და სიმართლე, ჰერცოგის ასული ჟოზიანა ჰიუგოს მხატვრული ფანტაზიის ნაყოფია.

ამრიგად, რომანის მთავარი გმირი გუინპლენი ფეოდალური საზოგადოების მსხვერპლია. მისი ფიზიკური სიმახინჯე ფეოდალური საზოგადოების სიმახინჯეს გამოხატავს. გუინპლენის დაღუპვა მორალური გამარჯვებაა სოციალურად განწირული საბრალო ადამიანებისა.

1872 წლის 20 აპრილს ვიქტორ ჰიუგო აქვეყნებს ლექსების კრებულს სათაურით: „საშინელი წელი". ეს არის პოეტური დღიური 1870—71 წლის განმავლობაში. პოეტი ამ ლექსებში გამოთქვამს თავის წუხილს საფრანგეთის დამარცხების გამო. ამ ლექსებიდან ირკვევა, რომ ჰიუგო არ იყო ყოველთვის თანმიმდევარი დემოკრატი და არ იდგა ყოველთვის ხალხთა ფართო მასების გვერდით. მაგალითად, პარიზის კომუნის დამარცხებამ ვიქტორ ჰიუგოს გული გაუტეხა. ის როგორც წვრილბურჟუაზიული დემოკრატი სკეპტიკოსად იქცა.

ლექსთა ამ კრებულიდან აღსანიშნავია: „ბავშვის დამცველი დედა", „ღამეა თუ დღე ახლა", „მე ვნახე სისხლი, ის ყოველ მხრიდან მოდიოდა", „აი, მოჰყავთ დატყვევებული ქალი", „დახვრეტილნი", „იმათ, ვისაც ფეხით თელავენ". ამ ლექსებიდან გამოირჩევა შესანიშნავი ლექსი „ბარიკადებზე", რომელშიც მთელი მხატვრული ძალით წარმოსახულია რევოლუციონერი ბავშვის დაუვიწყარი სახე.

1874 წლის 20 თებერვალს ვიქტორ ჰიუგო აქვეყნებს თავის რომანს „ოთხმოცდაცამეტი". ვიქტორ ჰიუგოს, როგორც პროგრესულ

მწერალს. მუდამ აინტერესებდა თავისი ქვეყნის ისტორიული წარსული.

როგორც დავინახეთ, ვიქტორ ჰიუგომ 1830 წლისა და 1848 წლის რევოლუციების, აგრეთვე პარიზის კომუნის შეფასების დროს ცალმხრივობა გამოიჩინა. თითქმის ასეთსავე დამოკიდებულებას იჩენს ჰიუგო საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციისადმი, ამ რევოლუციის ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდის — იაკობინელთა დიქტატურის პერიოდის ჰიუგოსებური დახასიათება ცალმხრივია. მან ცნო ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობა, მაგრამ უარყო იაკობინური ტერორი.

ვიქტორ ჰიუგომ სათანადოდ ვერ გაიგო ისტორიულ-პროგრესული მნიშვნელობა ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმში გარდამავალი პერიოდისა, — აბსოლუტიზმის პოლიტიკური ფორმის შეცვლა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკით.

XVIII საუკუნის საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ სოფლად და ქალაქად მოსპო ფეოდალიზმის ნაშთები, გაანადგურა მანამდე გაბატონებული თავადაზნაურობა და სამღვდელოება და გაკაფა გზა კაპიტალიზმის განვითარებისათვის. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები ამ რევოლუციის განვითარების ხაზს აფასებენ როგორც აღმავალ ხაზს.

1793 წლის ზააფხულს საფრანგეთს ომი ჰქონდა არა მარტო პრუსიასთან და ავსტრიასთან, არამედ ინგლისთანაც, ესპანეთთანაც და ჰოლანდიასთანაც. სწორედ ამ დროს გაჩაღდა კონტრრევოლუციური ამბოხება ვანდეაში (ვანდეა არის საფრანგეთის ჩრდილო-დასავლეთის ოლქი. როდესაც ლაპარაკობენ ვანდეას აჯანყებაზე, მხედველობაში აქვთ გაცილებით მეტი ტერიტორია, ვინემ ვანდეაა, ვინაიდან ეს აჯანყება მეზობელ პროვინციებსაც მოედო).

ვიქტორ ჰიუგო თავისი რომანის პირველ თავებში გვიხატავს ვანდეას აჯანყების სურათს, ამავე დროს ხალხის მტრებს — ფრანგ თავად-აზნაურ ემიგრანტებს. შემდეგ ნაჩვენებია, რომ რევოლუციამ ფრანგი ხალხი ორ მოწინააღმდეგე ბანაკად გაჰყო, რომ იგი შეიჭრა ოჯახებში, რომ მან ყველგან ცეცხლი დაანთო. ბრძოლა გამძაფრდა რესპუბლიკის მომხრეებსა და მის მოწინააღმდეგეთა შორის, ძველსა და ახალს შორის. რევოლუციამ ერთმანეთს შეაჯახა ეროი ოჯახის ორი წევრი: ლანტენაკი და გოვენი.

ვანდეას კონტრრევოლუციურ აჯანყებას მეთაურობს რეაქციონერი ლანტენაკი, ხოლო მისი მემკვიდრე გოვენი — რევოლუციურ ჯარს. სამოქალაქო ომის საშინელებას გადარჩენილი ლანტენაკი დაუბრუნდება ახლახან მიტოვებულ ციხე-სიმაგრეს, სადაც ის ცეცხლმოკიდებული კოშკიდან გლეხის სამ ბავშვს: ჟანას, ალენას და ჟორ-

ჟეტას გამოიყვანს და სიკვდილისაგან გადაარჩენს. გოვენის მიზანი იყო თავისი ჯარით დაემარცხებინა ლანტენაკი და ხელში ჩაგდების შემდეგ სიკვდილით დაესაჯა ის. ყოველივე ეს გოვენს მკაცრად ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ როდესაც ლანტენაკმა თავი გაწირა და ცეცხლს ბავშვები გამოსტაცა, მას გული მოულბა, შეებრალა რევოლუციისა და რესპუბლიკის მტერი და პატია მას რესპუბლიკის წინაშე ჩადენილი დანაშაული.

ლანტენაკმა თავი გვიჩვენა არაჩვეულებრივ ადამიანად. გოვენი ვალდებული გახდა მისთვის ასეთივე კეთილშობილი ქცევით ეპასუხა. მან ლანტენაკი ციხიდან გაათავისუფლა და ამით თავი სასიკვდილოდ გაწირა.

სიმურდენი, ყოფილი მღვდელი, გოვენის მასწავლებელი და უფროსი, სამხედრო დისციპლინის ძალით, რევოლუციის ღალატისათვის გოვენს სიკვდილს მიუსჯის და ამავე დროს თვითონაც იკლავს თავს.

გოვენსა და სიმურდენს თავისებური წარმოდგენა აქვთ საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციაზე. საინტერესოა მათი საუბარი, განსაკუთრებით გოვენის მიერ გამოთქმული აზრები, მისი იდეალები, მისი ოცნებები მომავალი საზოგადოებრივი წყობილების შესახებ, მაგრამ ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ყოველივე ეს უტოპიურია.

გოვენი რევოლუციისათვის თავდადებულია, ბრძოლის დროს მან არ იცის შიში, დანდობა, მაგრამ შემდეგ ის არის სათნოებით აღსავსე და გულჩვილი მტრების მიმართაც კი. გოვენის შეხედულებანი სიმურდენთან საუბრის დროს გამოთქმული, ვიქტორ ჰიუგოს უტოპიური სოციალიზმის გამომხატველია. გოვენი ახალგაზრდა, მამაცი, ნიჭიერი მხედართმთავარია, მაგრამ მეოცნებეა, ის ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ როიალისტმა სულგრძელობით აჯობოს რესპუბლიკელს და ამიტომ თავს წირავს. გასამართლების დროს მან თავი დამნაშავედ ცნო და აღიარა, რომ როდესაც დაინახა კეთილი საქმე — ერთის მხრივ მოხუცებული, მეორეს მხრივ უსუსური ბავშვები, რომლებიც აღიმართნენ მასსა და მის მოვალეობას შორის, ყველაფერი დაავიწყდა. დაავიწყდა გადამწვარი სოფლები, გათელილი ყანები, გაქლეტილი ტყვეები, დაჭრილები, დახვრეტილი ქალები, ინგლისისათვის გამზადებული ღია კარები საფრანგეთის დასარბევად, და გაათავისუფლა კაცი, რომელიც გულში სცემდა მახვილს მის სამშობლოს. ბოლოს გოვენმა ამაყად განაცხადა: „მე უნდა დავისაჯო, ეს სამართლიანიც იქნება და საჭიროც“.

გოვენის ასეთი საქციელი ჰიუგოს სათნო, აბსტრაქტულ ფილანთროპიის გამომხატველია. აქ აშკარად ჩანს მორალური კონფლიქტი

გოვენსა და სიმურდენს შორის, მოწაფესა და მასწავლებელს შორის გოვენი ყოველთვის ხელმძღვანელობს მორალური იდეით, ის რესპუბლიკაზე მაღლა აყენებს საერთო, საკაცობრიო ჰეშმარიტებას. მწერალი აქაც მთავარ გმირს თავის აზრებს ახვევს. ჰიუგო ფიქრობს, რომ ყოველ ადამიანში არის რაღაც საერთო, საკაცობრიო და ამ კაცობრიულით ადამიანი ყოველგვარ კლასობრივზე მაღლა დგას.

სიმურდენი არის საფრანგეთის რესპუბლიკის კომისარი, მან აღზარდა გოვენი და შვილივით უყვარდა იგი. სიმურდენმა რამდენჯერმე გადაარჩინა გოვენი სიკვდილს, მაგრამ ეს დანაშაული აღარ აპატია მოწაფეს და სამართლიანობისა და საჭიროების ძალით სიკვდილით დასაჯა იგი, შემდეგ თვითონაც მოიკლა თავი.

სიმურდენის სახე არ შეიძლება ტიპიურად ჩაითვალოს. მისი საქციელი არ არის ბუნებრივი და არ გამომდინარეობენ სათანადო სიტუაციიდან. რაც შეეხება მოხუც ტელმარშს ის ცხოვრებიდან მოწყვეტილი მეოცნებეა.

ვიქტორ ჰიუგომ „ოთხმოცდაცამეტში" დაგვიხატა აგრეთვე საფრანგეთის რევოლუციის ლიდერები: დანტონი, მარატი, რობესპიერი. ჰიუგოს მიერ მოცემული პორტრეტები საკმაოდ სწორად არ გამოხატავენ რევოლუციის ამ მოღვაწეთა პირად თვისებებს, საქმიანობასა და როლს.

ძირითადად კი ვიქტორ ჰიუგოს ეს რომანი პატრიოტულია. ამ ნაწარმოების მთელი რიგი ადგილები აღსავსეა სამშობლოს სიყვარულით, სამშობლოსათვის თავდადების გრძნობით. ჰიუგოს სწამს, რომ: „სახელს ვერ მოიხვეჭ, გმირი ვერ გახდები, თუ სამშობლოს წინააღმდეგ იბრძვი".

რუსეთის მოწინავე საზოგადოებრიობამ ადრიდანვე დიდი ინტერესი გამოიჩინა ვიქტორ ჰიუგოს შემოქმედებისადმი. XIX საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან ვიქტორ ჰიუგო რუსეთში უკვე ფართოდ იყო ცნობილი. დეკაბრისტი კუხელბეკერი ჰიუგოს უწოდებდა „ბედისაგან დაჩაგრულთა მედგარ დამცველს". პუშკინი ჰიუგოს ლექსებს ბრწყინვალე ლექსებად თვლიდა. ბელინსკი ჰიუგოს უწოდებდა „დიდებულ ტალანტს."

ვიქტორ ჰიუგოს პირადი ნაცნობობა და მეგობრობა ჰქონდა გამოჩენილ რუს რევოლუციონერ-დემოკრატ გერცენთან. გერცენი საფუძვლიანად იცნობდა ვიქტორ ჰიუგოს მხატვრულ ნაწარმოებებს, პუბლიცისტურ წერილებს და პოლიტიკურ სიტყვებს, განსაკუთრე-

ბით ფრანგი მწერლის აქტიურ გალაშქრებას ლუი ბონაპარტის წინააღმდეგ.

კითხულობდა რა გულდასმით სიბნელისა და ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლის პათოსით აღსავსე წიგნს — „ნამყო და ფიქრები", ვიქტორ ჰიუგო სწერდა გერცენს: „თქვენ ნერგავთ დესპოტიზმისადმი სიძულვილს, თქვენ ხელს უწყობთ საშინელების მოსპობას, თქვენში ჩანს შეუპოვარი მებრძოლი და სულგრძელი მოაზროვნე. მე თქვენთან ვარ". როცა გერცენმა ჰიუგოს შესთავაზა ეთანამშრომლა რუსულ ჟურნალ „პოლიარნაია ზვეზდაში", ის დასთანხმდა და გერცენს შემოუთვალა: „თქვენ მოგვეველინეთ... რომ აღმოაბრწყინოთ ჩრდილოეთის ცისკარი, რომ მოსკოვურ ენაზე მოგვიწოდოთ თავისუფლებისაკენ, რომ კაცობრიობის დიადი ოჯახის ხელს გადააჭდოთ სლავთა დიადი ოჯახის ხელი".

რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული კრიტიკა ვიქტორ ჰიუგოს შემოქმედების შეფასებაში პრინციპული იყო. თვით გერცენს არ მოსწონდა ზოგიერთი დამახასიათებელი თვისება ვიქტორ ჰიუგოს სტილისა — „ნაძალადევი გამოთქმები, უცნაური, ეფექტური სიტყვები". მაგრამ, მეორე მხრივ, გერცენის წარმოდგენაში ჰიუგო იყო თავისი დროის ერთ-ერთი უდიდესი ფრანგი მწერალი, რომელშიც დიდი რუსი მოაზროვნე აფასებდა დაბეჩავებულებისადმი თანაგრძნობას, საზოგადოებაში არსებულ ბოროტებათა მხილებას. „ვინ არ ჩაუფიქრებია, — ამბობდა გერცენი, — სიკვდილით დასჯის საკითხებს მოთხრობაში „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა", ვის არ აღუძრა სინდისის ქეჯნის მსგავსი რამ ჰიუგოს მიერ საოცრად და საშინლად ასხულმა საზოგადოებრივი წყლულების, სიღატაკისა და საბედისწერო მანკიერებათა სურათებმა?"

ჩერნიშევსკის არ მოსწონდა ჰიუგოს შემოქმედებითი მანერა, მისი სტილი და მიუთითებდა, რომ მწერლის გმირთა ხასიათები შეთხზულია, მოგონილია, სინამდვილეს დაშორებულია. ჩერნიშევსკის აზრით, ჰიუგოს მხატვრული შემოქმედების ეს ნაკლი შედეგია მისი იდეური დაბნეულობისა. ამავე დროს სწამდა მისი გულწრფელობა და ყოველივე კარგისადმი სწრაფვა.

ალექსი ტოლსტოი წერილში — „შემოქმედების თავისუფლების შესახებ" ასე იგონებს ვიქტორ ჰიუგოს: „ოდესღაც ჩვენ ყველანი ვტიროდით ჰიუგოს სტრიქონების წაკითხვისას. ამ ქვეყანამ, რომელმაც წარგვიტაცა აბსოლუტური სამართლიანობისაკენ, დიდ გრძნობებით ააძგერა ჩვენი ნორჩი გულები".

მეორე სტატიაში — „დიდი რომანტიკოსი" ალექსი ტოლსტოი, იგონებს რა თავის ბავშვობას, წერს: „იმ დროს ჩემს ცხოვრებაში შემოიჭრა პატარა ადამიანი აწეწილი თმით, მისი ხმა ეფინებოდა

მთელ სამყაროს, ის ყვებოდა „ზღვის მუშაკებზე“, „პარიზის ღვთის-მშობლის ტაძრის“ შესახებ, „კაცზე, რომელიც იცინის“... მან განდევნა უქმი, მეშჩანური დღეები და წარმიტაცა დიდი ადამიანის ვნებათა უცნობ სამყაროში.

მან ჩემი ბავშვური გული აღავსო მხურვალე და მკრთალი ჰუმანიზმით. ყოველი სამრეკლოდან ქვაზიმოდოს სახე მიყურებდა. ყოველი მოხეტიალე მათხოვარი ჟან ვალჟანად მეჩვენებოდა.

სამართლიანობა, სათნოება, სიკეთე, სიყვარული ქრესტომათიული ცნებებიდან უცებ ნამდვილ სახეებად გადაიქცნენ... ბავშვის გულს ისინი ცოცხალ ტიტანებად ეჩვენებოდა, გული კი სწავლობდა ტირილს, აღშფოთებას, მხიარულებას დიდი გრძნობების მიხედვით.

ჰიუგო — ტიტანი, რომელმაც ციდან ელვა მოიტაცა, შემოიჭრა ჩემს ყოველდღიურ მოწყენილ ცხოვრებაში, ეს კარგი იყო და გრანდიოზული.

ის მიამბობდა კაცობრიობის ცხოვრებაზე. ის ცდილობდა კაცობრიობა წარმოესახა ისტორიულად, ფილოსოფიურად, მეცნიერულად. მისი რომანების მძლავრი მატერიკები, სადაც ფანტაზია გაშმაგებით ქვაფურცლინებს გვერდებს, ლირიკის მადლიანი ნაკადულებითაა გარემოცული. მისი ჰუმანისტური რომანტიზმი უსისხლო გამარჯვებას აღწევდა უბადრუკ სინამდვილეზე. ის საგანგაშო ზარს რეკავდა: „გაიღვიძეთ. ადამიანები გასაჭირშია, ხალხი გასრესილია უსამართლობით!“.

კაცობრიობის გამოღვიძება — ეს კარგი იყო და გრანდიოზული... თვალწინ წარმომიდგება ჩემი ყრმობის ლანდები, რომელსაც დროის მტვერი გადაფარვია, და მხურვალე მადლიერების გრძნობით მომაგონდება ჩემი მაშინდელი აღტაცება. ჰიუგომ ასწავლა ჩემს გულს ფეთქვა— ჰკუის სწავლება გამომადგა. მე კვლავ დიდ სამყაროში ვარ დიდ ადამიანთა შორის“.[1]

ვიქტორ ჰიუგოს როგორც პირადი, მღელვარე განცდებით აღსავსე ცხოვრება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, ისე მისი უკვდავი შემოქმედება ქართველი ხალხისათვის ადრიდანვე გახდა შთამაგონებელი და მახლობელი, გასაგები და საგულისხმო, ქართული კულტურის მოწინავე წარმომადგენლები მუდამ სიყვარულით იხსენიებდნენ დიდი ფრანგი ჰუმანისტისა და რომანტიკოსის ვიქტორ ჰიუგოს სახელს, გატაცებით თარგმნიდნენ მის მხატვრულ და პუბლიცისტურ ნაწარმოებებს, წერდნენ სტატიებს, წერილებს, მოგონებებს, შრომებს მისი ცხოვრების, მოღვაწეობისა და შემოქმედების შესახებ.

---

[1] А. Толстой. Собр. соч., т. XIII, გვ. 93.

ვიქტორ ჰიუგოს ზოგიერთი მხატვრული ქმნილება ქართულ მწერლობაში გახდა არა მხოლოდ თარგმნის, არამედ მიბაძვის, ლიტერატურული შეჯიბრებისა და პაექრობის საგანი.

განსაკუთრებული როლი ვიქტორ ჰიუგოს ცხოვრებისა და შემოქმედების ქართველი მკითხველისათვის გაცნობის კეთილშობილურ საქმეში ქართული კულტურის მედროშეს ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის. მას ვიქტორ ჰიუგო მიაჩნდა არა მხოლოდ ფრანგული, არამედ მთელი მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ უდიდეს მწერლად.

ქართული ჟურნალისტიკა სისტემატურად ადევნებდა თვალყურს ვიქტორ ჰიუგოს სახელოვან ცხოვრებასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ფართოდ და გულისხმიერად ეხმაურებოდა მის ნაწარმოებებს. ქართულ-ჟურნალ-გაზეთებში ქვეყნდებოდა ჰიუგოს ნაწარმოებთა ქართული თარგმანები და კრიტიკული წერილები მათ შესახებ.

საერთოდ ფრანგული ლიტერატურისადმი, კერძოდ ვიქტორ ჰიუგოსადმი ინტერესის გაღვივებას მე-19 საუკუნის ქართულ საზოგადოებრიობაში დიდად შეუწყო ხელი ალექსანდრე ჭავჭავაძის ოსტატურმა თარგმანებმა ფრანგულიდან.

ალექსანდრე ჭავჭავაძემ პირველმა დაიწყო ვიქტორ ჰიუგოს ლექსების თარგმნა ქართულ ენაზე. მან 1843 წელს გადმოთარგმნა ვიქტორ ჰიუგოს ლექსი „ერთს ქალს“ სათაურით „მეფე რომ ვიყო“. ვ. ჰიუგოს ეს ლექსი დაწერილია 1829 წლის 8 მაისს, იგი არის ლექსთა კრებულის „შემოდგომის ფოთლების“ ოცდამეორე ლექსი.

ალ. ჭავჭავაძის თარგმანი ბრწყინვალეა: იგი შესრულებულია უშუალოდ ფრანგულიდან.

ვიქტორ ჰიუგოს ამ ლექსმა დიდი მოწონება და გამოხმაურება ჰპოვა ქართულ ლიტერატურაში, ეს ლექსი შემდეგ ბევრმა ქართველმა პოეტმაც თარგმნა ქართულად, ანდა ალ. ჭავჭავაძის თარგმანის გაელენით დაწერა ლექსი.[1]

საგულისხმო ფაქტია, რომ 1852 წელს ჟურნალ „ცისკრის“ პირველ ნომერში რედაქტორმა გიორგი ერისთავმა დაბეჭდა მის მიერ ფრანგულიდან თარგმნილი ვიქტორ ჰიუგოს ლექსი „ერთი მინუტის ლიჭაბუკე“. გიორგი ერისთავის კალამსვე ეკუთვნის თარგმანები ვიქტორ ჰიუგოდან: „ო, ნუ კიცხავთ“, „ფრანგულიდან სიმღერა“ ზ. ხითაროვმა თარგმნა: „ნუ შეურაცხყოფთ, ნუ გზიზღავთ“. ითარგმნა

---

[1] ალ. ჭავჭავაძე. თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებით და ლექსიკონით, თბილისი, 1940. აგრეთვე დ. ფანჩულიძე. „ვიქტორ ჰიუგო“, თბილისი, 1951. „ფრანგი მწერლები“, თბილისი, 1960. „ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის“, თბილისი, 1969 წ.

აგრეთვე: „ვინც სიცრუვის და ბოროტების დროს", „ურმა თავისთვის ღიღინებს", „ჩემს ასულს".

ამნაირად, ვიქტორ ჰიუგო საქართველომ გაიცნო უპირველეს ყოვლისა როგორც დიდი პოეტი, რომლის ლექსების ქართულ თარგმანებს სიყვარულითა და გატაცებით დაეწაფა ქართველი მკითხველი.

მე-19 საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე ითარგმნება ვიქტორ ჰიუგოს, როგორც პოეტური, ასევე პროზაული და დრამატურგიული ნაწარმოებები.

ვიქტორ ჰიუგოს პროზაული თხზულებების თარგმნა ქართულ ენაზე დაიწყო ჟურნალმა „ცისკარმა" 1862 წელს განთქმული რომანით „საბრალონით". ამ დიდი რომან-ეპოპეის თარგმნა ქართულ ენაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო არა მხოლოდ ჟურნალ „ცისკრის" საქმიანობაში, არამედ მთელ ქართულ კულტურულ ცხოვრებაში.

ამ თარგმანის ბეჭდვა „ცისკარმა" დაიწყო 1862 წლის მეთერთმეტე ნომრიდან და იბეჭდებოდა მომდევნო შვიდ ნომერში. ეს ფრიად კეთილშობილური საქმე შეასრულა ქუთაისელმა მასწავლებელმა გიორგი დიდებულიძემ.

ცნობილია, რომ ვიქტორ ჰიუგოს „საბრალონის" პირველი ნაწილი „ფანტინა" გამოქვეყნდა 1862 წლის აპრილში, მთელი რომანი კი ამავე წლის ივნისში. როგორც ჩანს, საქართველოში დროზე მიუღიათ იგი და მაშინვე შედგომიან შერჩევით ცალკეული თავების თარგმნას.

ქართველმა საზოგადოებრიობამ მოიწონა „ცისკრის" რედაქციის ინიციატივა „საბრალონის" ქართულად თარგმნის საქმეში.

„ცისკრის" რედაქციამ სავსებით ვერ დააკმაყოფილა ქართველ მკითხველთა მოთხოვნილება — თავიდან ბოლომდე ეთარგმნა და გამოექვეყნებინა „საბრალონი", რასაც ბევრი რამე უშლიდა ხელს: რომანის სიდიდე, ჟურნალის ტექნიკური პირობები და იმდროინდელი მკაცრი ცენზურა.

მთარგმნელმა გ. დიდებულიძემ ასეთი წინასიტყვაობა წაუმძღვარა თავის თარგმანს: „ეს ჩინებული რომანი ფრანცუზულს ენაზე გამოიცა ამა წლის დამდეგში, და მოიპოვა მთელს ევროპაში საზოგადო ყურადღება და დიდი პატივისცემა. ეს გადიღეს ყოველს ევროპულს ენაზედ. სხვადასხვა ჟურნალების რედაქტორებმა მისცეს ჰიუგოს სამასი ათასი ფრანკი იმ აზრით, რომ ნება ჰქონოდათ დაებეჭდათ თავიანთ ჟურნალებში. გარდა ამისა, ეს რომანი გამოიცა ფრანცუზულს ენაზედ საკუთარ წიგნებად და თითო ეკზემპლარი იყიდება სამ-სამ თუმნად; აქამდისინ დაყიდულა ორასი ათასის მანეთისა. საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში იშვიათი თურმე იქნება იმისთანა განათლებული სახლი, რომ ეს ევროპაში განთქმული რომანი არ

წაეკითხოს. სხვათა შორის რამდენიმე ნაწილი ამ რომანისა დაიბეჭდა რუსულს ენაზედაც. დანარჩენის თარგმნა და ბეჭდვა რაღაც მიზეზით შესდგა. რაც აქამომდე დაებეჭდა რუსულს ენაზედ იმათ ქართველთ საზოგადოება წაიკითხავს სამს ანუ ოთხს „ცისკრის" ნომერში".[1]

თარგმანი რომ შესრულებულა ფრანგულიდან, ამის დასადასტურებლად მოვიტანთ ერთ საინტერესო მაგალითს. როდესაც ჟან ვალჟანმა ეპისკოპოს მირიელის სახლში ღამე გაათია, ჩუმად მოიპარა ძვირფასი ნივთები, ფანჯრიდან გადახტა და გაიქცა, ის პოლიციელებმა დააპატიმრეს და ეპისკოპოსს მოუყვანეს. ეპისკოპოსმა პოლიციელებს უპასუხა: ჟან ვალჟანი მე თვითონ დავასაჩუქრე ამ ნივთებითო. პოლიციელები წავიდნენ. მირიელი მიუბრუნდა გაოცებულ ჟან ვალჟანს და უთხრა:

— ნუ დაივიწყებთ ნუ რა ოდეს, რომ როგორც თქვენ აღმითქვით, ეგ ვერცხლი უნდა მოიხმაროთ იმაზედ, რომ შეიქმნეთ პატიოსანი კაცი. ძმაო, ჩემო! ამიერიდან თქვენ ეკუთვნით არა ბოროტებას, არამედ კეთილს. გახსოვდეთ, რომ მე ვიყიდე თქვენი სული, გავსწმინდე ის საძაგლობისაგან და წმინდათ შევწირე ღმერთს".[2]

შევადაროთ ეს თარგმანი ფრანგულ ტექსტს:

— N'oubliez pas. n'oubliez jamais que vous m'avez promis d'employer cet argent à devenir honnête homme..

—Jean Valjean, mon frère. vous n'appartenez plus au mal, mais au bien. C'est votre âme que je vous achète; je la retire aux pènsées noires et à l'esprit de perdition, et je la donne à Dieu.[3]

ილია ჭავჭავაძე სისტემატურად ადევნებდა თვალყურს ჟურნალ „ცისკარში" დაბეჭდილ ლიტერატურას და თვითონაც აქვეყნებდა თავის მხატვრულ ნაწარმოებებს თუ პუბლიცისტურ წერილებს ამ ჟურნალში. მან კარგად იცოდა ვიქტორ ჰიუგოს „საბრალონის" შემოკლებული თარგმანის ბეჭდვის საქმე „ცისკარში". ილია დიდად დაინტერესდა ამ რომანის ღრმა შინაარსით, მისი იდეურ-მხატვრული კონცეფციით და თხოვა ნიჭიერ მთარგმნელს, გიორგი ჩიქოვანს, ეთარგმნა ფრანგულიდან „საბრალონი" თავიდან ბოლომდე. გ. ჩიქოვანმა სიამოვნებით შეასრულა ილიას სურვილი და მოხერხდა მხოლოდ ის, რომ „საქართველოს მოამბის" თერთმეტ ნომერში სისტემატურად ქვეყნდებოდა „საბრალონის" პირველი ნაწილის ქართუ-

---

1 „ცისკარი", 1862 წ., № 11.

2 იქვე.

3 Victor Hugo. Les Misérables—Fantine, Paris, p. 145.

ლი თარგმანი შემოკლებული სახით, ვინაიდან მთლიანი ტექსტის დაბეჭდვის საშუალება ჟურნალს არ ჰქონდა. თარგმანი კარგად არის შესრულებული.

ჰიუგოლოგიას საქართველოში მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ილია ჭავჭავაძემ. მოვიტანთ ამის დამადასტურებელ რამდენიმე ფაქტს.

1863 წლის „ცისკრის" მარტის ნომერში ანტონ ფურცელაძე გამოეხმაურა „საბრალონის" ქართულ თარგმანებს და დადებით მოვლენად ჩათვალა რომანის ახალი თარგმანის ბეჭდვა „საქართველოს მოამბეში"; მან აღნიშნა: „მართლაც, რომ საქებურია ეს თარგმანი (ლაპარაკია გ. ჩიქოვანის თარგმანზე — დ. ფ.) „ცისკარშიც" იყო ეს რომანი, მაგრამ, ჯერ ერთი, ის იყო ძალიან ურიგოდ თარგმნილი, მეორეც, გ. ჩიქოვანის თარგმნილი უფრო შევსილია და ენაც შეუდარებლივ სჯობიან დიდებულიძის ენასა".[1]

ჩვენი დაკვირვებით, არც ის მომხდარა შემთხვევით, რომ ილიამ ხელმეორედ ათარგმნინა „საბრალონი" სხვა მთარგმნელს და დაბეჭდა „საქართველოს მოამბეში".

„საბრალონის" პირველი თავი „ფანტინა" გამოქვეყნდა 1862 წლის აპრილში, ერთდროულად პარიზსა და ბრიუსელში. მალე დაიწყეს მისი თარგმნა ინგლისურ, გერმანულ, იტალიურ, რუსულ ენებზე. ამავე დროს დაიწყო რომანის ცალკე თავების თარგმნა ქართულ ენაზეც. „საბრალონი" მთლიანად გამოქვეყნდა ფრანგულ ენაზე 1862 წლის ივნისში.

რას წერს ილია ამ დროს? ილიას ჯერ დაუწერია მოთხრობა „კაკო", რომელშიც გაერთიანებული ყოფილა სამი ნაწარმოების („გლახის ნაამბობის", „კაცია — ადამიანის?!" და „კაკო ყაჩაღის") იდეა. „კაკო" დაწერილია 1858—1859 წლებში. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება — „მთავარი, რითაც განსხვავდება (ხაზგასმა ჩვენია—დ. ფ.) „კაკოს" ეს ნაწილი „გლახის ნაამბობის" უკანასკნელი რედაქციისაგან, ის არის, რომ „კაკოში" ჯერ კიდევ არაა შეტანილი ეპიზოდური ჩანართი მოთხრობა მღვდლის შესახებ („გლახის ნაამბობის" IV, V, VI თავები)[2].

შემდეგ წლებში ილიას დაუწყია ამ მოთხრობის საფუძველზე სამი სხვადასხვა ნაწარმოების შექმნა, რაც მან კიდევაც განახორციელა — დაწერა: „გლახის ნაამბობი", „კაცია ადამიანი?!" და „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან".

1862 წელს ილიამ საბოლოო სახე მისცა „გლახის ნაამბობის"

---

[1] „ცისკარი", 1863 წ., № 3.

[2] ილია ჭავჭავაძე. თხზ., სრ. კრ. ტ. II, 1950 წ., გვ. 593. ა. ონგოროყვა, ილიას ნაწარმოებთა კომენტარი.

პირველ ნახევარს; სწორედ ამ დროსაა ჩამატებული IV, V და VI თავები და ამ სახით დაიბეჭდა იგი „საქართველოს მოამბის“ 1863 წლის პირველ ნომერში. იმავე წლის „საქართველოს მოამბის“ მეორე ნომერში დაიბეჭდა ვ. ჰიუგოს „საბრალონის“ პირველი ნაწილისა, სადაც სწორედ მირიელის ამბებია გადმოცემული. ეს წიგნი იწყება თავით — „ფანტინა“ და ქვესათაურად აქვს „კაცი მართალი“ (რაც ქართულ თარგმანში რატომღაც გამოტოვებულია — დ. ფ.).

ილიას თავის მხატვრულ კონცეფციაში მოფიქრებული ჰქონდა მღვდლის პიროვნების გამოყვანა მოთხრობაში, მაგრამ საბოლოოდ არ ჰქონდა გადაწყვეტილი და ჩამოყალიბებული. ამ დროს, ილია გაეცნო რა ვიქტორ ჰიუგოს რომანს, მოეწონა ავტორის მიერ დახატული მირიელის პიროვნება, აგრეთვე საერთოდ ვიქტორ ჰიუგოს კონცეფციაც და ამგვარად მისი მიზანი განხორციელებულ იქნა.

კიტა აბაშიძემ პირველმა შეამჩნია, რომ ვ. ჰიუგოს „საბრალონის“ ეპისკოპოსის გავლენითაა შექმნილი ილიას „გლახის ნაამბობის“ მღვდელი, მაგრამ არც ერთი არ მიაჩნია ტიპიურ სახედ, რადგან ისინი ამ მწერლების სურვილ-მისწრაფებათა განმახორციელებელი სიმბოლოები უფროა, ვიდრე ცოცხალი არსებანი. კიტა იქვე დასძენს, რომ მომხიბვლელობა ამ მადლით შემოსილი კეთილი ადამიანისა, მაინც იმდენად დიდია, რომ ჩვენს ლიტერატურაში მისაბაძ საგნად შეიქმნა და ასეთ მიბაძვას წარმოადგენს აგრეთვე ალ. ყაზბეგის მოძღვარიო“[1].

შემდეგ ალ. ყაზბეგის მიმართ კიტა აბაშიძის აზრი გაიმეორა პროფ. ალ. ხახანაშვილმა: „ერთი გულთან მისაწვდომი ნაწერთაგანი, — წერს მკვლევარი, — არის ალ. ყაზბეგის „მოძღვარი“, რომლის შინაარსი შორეულად წააგავს საფრანგეთის რომანისტის ვ. ჰიუგოს თხზულებას „საბრალონს“. მსგავსება გამოიხატება სულიერი მამის კაცთმოყვარე სურათის გამოხატვაში. გმირებიც უბედურნი არიან, როგორც ჰიუგოს „საბრალონისა“.[2]

ვიქტორ ჰიუგოს მირიელი და ილია ჭავჭავაძის მღვდელი არიან კაცნი მართალნი, ისინი ერთმანეთს ჰგვანან, მაგრამ ერთი და იგივე არ არიან: ამ პიროვნებათა მხატვრული განსახიერება ვიქტორ ჰიუგოსთან—ჰიუგოსებურია, ილია ჭავჭავაძესთან—ილიასებურია, თვითეულ მათგანთან სრულიად ორიგინალური და თავისებური გადაწყვეტით.

ვიქტორ ჰიუგოს მირიელი განსწავლული პიროვნებაა, მართალი, კეთილი, სულ იმაზე მზრუნველი, რომ ადამიანებმა რაც შეიძლება

---

[1] კიტა აბაშიძე. ეტიუდები, თბილისი, 1962 წ., გვ. 191.

[2] ალ. ხახანაშვილი. ქართული სიტყვიერების ისტორია, თბილისი, 1917 წ., გვ. 190.

მეტი ისწავლონ, ადამიანის მოყვარულნი იყვნენ. მან მუდამ ალერსიანი და მხიარული ლაპარაკი იცოდა, თავის დროზე მშვენიერი ტკბილი ხუმრობაც ემარჯვებოდა, მსმენელნი სულგანაბულნი უსმენდნენ მას და სხვ. ვ. ჰიუგო წერს: „ეპისკოპოსი თავ-მდაბალი კაცი იყო, მდიდარს და ღარიბს, ყველას ერთნაირად ექცეოდა, დამნაშავეს ის არასდროს არ გაამტყუნებდა, მანამ დანაშაულობის ყოველი მიზეზი კარგად არ შეეტყო და გაერჩია. საზოგადოებაა დამნაშავე და გასამტყუნარიც, რომ სწავლას და განათლებას ხალხს უფულოდ არ აძლევსო; ხალხის გაუნათლებლობა ამ[illegible]თი უფრო საზოგადოებისბრალიაო, რომ შეუძლიან კეთილისქმნა ხალხისათვის დაარა იქმსო, მაშასადამე, პასუხისგებაშიაც თითონ საზოგადოება უნდა იყოსო, რაკი მიზეზი თითონვეაო. ვინც სცოდავს, იმისი ბრალი კი არ არიო, ბრალი იმისაო, ვინც ცოდვის მიზეზი ხდებაო“.[1] (ხაზგასმა ჩვენია — დ. ფ.).

თითქმის ასეთივე სახეა მღვდლისა წარმოდგენილი ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობში“. „ის მღვდელი შუაში იდგა, — წერს ილია, — ხალხი ბუზსავით ირეოდა იმის გარშემო. ზოგს ის ელაპარაკებოდა, ზოგიც დაუზარებლად პასუხს აძლევდა, ზოგი გაეხუმრებოდა, ზოგს თითონაც გაეხუმრებოდა, და მაშინ უნდა გენახათ გულიანი ხარხარი ერისა. ზოგი კიდევ სულგანაბული შესცქეროდა, თითქო დაჯერებულიაო, იმის პირიდამ ოქრო გადმოვარდება, და შიშობს, ხელიდამ არ წამივიდესო. ბევრი სიკეთე უნდა დაეთესოს კაცსა, რომელსაც ეგრე სიყვარულით გარს არტყია ხალხი! კაციც ის არის, შენი ჰირიმე, და ქუდიც იმასა ჰხურავს. ალბათ კაი კაცსაც თაფლი აცხია, რომ დიდი და პატარა ბუზსავით ზედ ეხვევა! დედამიწის ზურგს ბევრი არ უტარებია იმისთანა“.[2]

ცხადია, აქ ლაპარაკი არ შეიძლება გაელენაზე, სესხებაზე, სიუჟეტურ ან იდეურ თანხვდენილობაზე, ვიქტორ ჰიუგო და ილია ჭავჭავაძე იმდენად დიდი, თავისებური და ორიგინალური მოღვაწეები იყვნენ, რომ ასეთი მსგავსების ძებნა მათ ლიტერატურულ ურთიერთობაში ამაო საქმეა.

ილიას უკვე მოფიქრებული მხატვრული კონცეფციისათვის, ვიქტორ ჰიუგოს „საბრალონი“ (აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს უმთავრესად ეპისკოპოს მირიელისადმი მიძღვნილი გვერდები რომანში — დ. ფ.) შეიქმნა ერთგვარი ბიძგის, სტიმულის მიმცემი.

[1] „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 2, გვ. 10—11.
[2] ილია ჭავჭავაძე. თხზ., სრ. კრ., ტ. II, 1956 წ., გვ. 48.

განვიხილოთ ვიქტორ ჰიუგოსა და ილია ჭავჭავაძის ბრძოლა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ.

ცნობილია, რომ თითქმის მთელი მსოფლიო კულტურის ისტორიაში, ვიქტორ ჰიუგო ერთ-ერთი პირველი და მძლავრი ფიგურაა, რომელმაც სიტყვით და საქმით გაილაშქრა ადამიანის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. ამ მხრივაც დიდმა ფრანგმა მწერალმა უხვი და ფრიად საყურადღებო მასალა დაუტოვა კაცობრიობას, რაც საგანგებო კვლევის საგანია. ჩვენ აქ შემოვიფარგლებით მხოლოდ იმ შემხვედრი წერტილებით, რომლებიც ამ საკითხშიაც საერთოა ვიქტორ ჰიუგოსა და ილია ჭავჭავაძისათვის.

ვიქტორ ჰიუგომ 1829 წელს გამოაქვეყნა თავისი მოთხრობა „სიკვდილით დასასჯელის უკანასკნელი დღე", რომელშიც მწერალი პირველად შეეხო საზოგადოებრივ ცხოვრებაში დანაშაულისა და სასჯელის საკითხს. ამ ნაწარმოებმა დიდი ინტერესი გამოიწვია და ფართო პოპულარობა მოუპოვა ავტორს. ქართულად ეს მოთხრობა თედო სახოკიამ თარგმნა და ცალკე წიგნად გამოსცა 1891 წელს.

ქართული საზოგადოებრიობა, რომელიც უკვე იცნობდა ვიქტორ ჰიუგოს რამდენიმე ნაწარმოებს, ინტერესით დაეწაფა ამ მოთხრობასაც, რომელშიც ძლიერი მხატვრული ენით წარმოდგენილი იყო ვიქტორ ჰიუგოს გალაშქრება ადამიანის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. თუ რა წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ქართველ ახალგაზრდობაზე ვ. ჰიუგოს ამ ქმნილებამ, ამას ნათლად გადმოგვცემს გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე გერონტი ქიქოძე. „ჩემი მახსოვრობიდან, — წერს ის, — არასოდეს აღარ წარხოცილა ის ღრმა შთაბეჭდილება, რომელიც ჩემზე ვიქტორ ჰიუგოს მოთხრობამ — „სიკვდილით დასასჯელის უკანასკნელმა დღემ" მოახდინა. მახსოვს ზაფხულის ცხელი დღე იდგა; ჩვენი ეზოს მივარდნილ კუთხეში გავმარტოვდი, ჩრდილოვანი ხის ძირში დავჯექი და მთელი მოთხრობა ისე წავიკითხე, რომ არ ავმდგარვარ. ეს იყო ჰუმანიზმის პირველი გაკვეთილი, მოცემული ორი კაცთმოყვარე მწერლისა, ვიქტორ ჰიუგოსა და მისი ქართველი მთარგმნელის თედო სახოკიას მიერ. თერთმეტ-თორმეტი წლის ბავშვისათვის ეს გაკვეთილი განსაკუთრებით ეფექტური იყო. მან შეიძულა სიკვდილით დასჯა და ყოველივე ძალმომრეობა".[1]

ამავე პერიოდში ითარგმნა ვიქტორ ჰიუგოს მეორე მოთხრობა „კლოდ გე" (1834), რომელიც თითქმის იმავე თემაზეა დაწერილი და რომელშიც მწერალი თავისებურად ეხმაურება ფრანგი მუშათა კლასის დამოუკიდებელ გამოსვლას. ამ პატარა მოთხრობამაც როგორც

---

[1] გერონტი ქიქოძე, მოგონებანი, 1956 წ., გვ. 16.

მხატვრულმა ნაწარმოებმა, ძლიერი ინტერესი გამოიწვია და სამართლიანი მოწონება დაიმსახურა ქართველ მკითხველ საზოგადოებაში. „კლოდ გე“ რამდენჯერმე ითარგმნა ქართულად, პირველად იგი თარგმნა გიორგი წერეთელმა და დაიბეჭდა „დროების“ 1868 წლის რამდენიმე ნომერში, მეორედ — გოლა ჩიტაძემ 1885 წელს, და დაიბეჭდა ცალკე გამოცემად.

როგორც მოთხრობაში „სიკვდილით დასასჯელის უკანასკნელი დღე“, ასევე „კლოდ გეში“ ვიქტორ ჰიუგო ილაშქრებს სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ; ის ქადაგებს ფილანტროპიულ იდეებს და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის ზნეობრივ გარდაქმნა-გადახალისებას თანდათანობითი შთაგონების გზით. ჰიუგოს ღრმა რწმენით, ადამიანი რომ დანაშაულს ჩადის, ეს მისი ბუნებიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების აუტანელი პირობებიდან.

„კლოდ გე“ რომანტიკული მოთხრობაა. მასში ვიქტორ ჰიუგოსათვის დამახასიათებელი ლირიზმით მოცემულია გმირის საშინელ განცდათა ღრმა სოციალური და მხატვრული ანალიზი.

ვიქტორ ჰიუგო, როგორც ყოველთვის და ყველგან, აქაც საზოგადოებას სდებს ბრალს, საზოგადოებას მიიჩნევს დამნაშავედ. ასეთი აზრია გატარებული მოთხრობებში: „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“, „კლოდ გე“, რომანში „საბრალონი“, და სხვა მის მხატვრულ, თუ პუბლიცისტურ ნაწარმოებებში, აგრეთვე ჰიუგოს სიტყვებსა და წერილებში.

ილია ჭავჭავაძემ 1863 წელს თავის „საქართველოს მოამბის“ მერვე ნომერში გამოაქვეყნა ვრცელი წერილი სათაურით: „სიკვდილით დასჯის გადაგდების საქმე და ამის თავობაზე ვიქტორ ჰიუგოს წიგნი“, რომელსაც აქვს შესავალი ნაწილი, შემდეგ კი მოცემულია ქართული თარგმანი ვიქტორ ჰიუგოს პასუხისა ჟენეველი რესპუბლიკელებისადმი. ეს მოხდა ასე: 1862 წლის შემოდგომაზე ჟენევაში გადაწყვიტეს, გადაესინჯათ კონსტიტუცია; ამ გადასინჯვის დროს დიდი კამათი შეიქმნა სიკვდილით დასჯის კანონის გაუქმების ირგვლივ. როდესაც დამფუძნებელ კრებაში პირველი კენჭისყრის დროს შენარჩუნებულ იქნა სიკვდილით დასჯის კანონი, მაშინ მისმა მოწინააღმდეგეებმა თხოვნით მიმართეს კუნძულ გერნსიზე გადასახლებულ ვიქტორ ჰიუგოს, გამოეთქვა თავისი ავტორიტეტული აზრი ამ საკითხზე.

ვიქტორ ჰიუგომ არ დააყოვნა პასუხი; ის სიამოვნებით გამოეხმაურა ჟენეველთა თხოვნას და 1862 წლის 17 ნოემბერს გაუგზავნა მათ ვრცელი წერილი. სწორედ ამ წერილის ქართული თარგმანი გამოაქვეყნა ილიამ თავის ჟურნალში. ეს წერილი დაიბეჭდა „ბ. ვ.“-ს

ხელმოწერით; როგორც ახლა ირკვევა ეს „ბ. ვ.“ არის ილია ჭავჭავაძე“[1].

სანამ ილია ქართველ მკითხველს გააცნობდა ვიქტორ ჰიუგოს წერილის შინაარსს, ის მიმოიხილავს მოკლედ სიკვდილით დასჯის საკითხის მდგომარეობას ევროპაში. ილია აღნიშნავს, რომ მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში არ არსებობს სიკვდილით დასჯის კანონი. მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ამ საგანზე საყურადღებო აზრები გამოუთქვამთ სხვადასხვა მეცნიერებს, კერძოდ ბეკარიოს, მონტესკიეს და სხვ. დღეს კი გაცხარებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა და კამათი მიმდინარეობსო. ყოველივე ამას ის მოჰყვება, რომ დამტკიცდა სიკვდილით დასჯის არამც თუ უვარგისობა, არამედ მისი მავნებლობა.

ილიას დაკვირვებულსა და ფხიზელ ჭკუა-გონებას არ გამორჩენია ის ფაქტი, რომ იმ დროს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ვიქტორ ჰიუგოს სიტყვები და წერილები სიკვდილით დასჯის თაობაზე, განსაკუთრებით კი ის წერილი, რომელიც ილიამ ქართველ მკითხველს გააცნო.

ფრანგი მწერალი ასე იწყებს თავის პასუხს: „თქვენ მშვენიერი საქმე წამოგიწყვიათ. თქვენი ღვაწლი და ცდა კეთილშობილურია, თქვენი სიტყვები მშვენიერია. თქვენ გეჭირვებათ დახმარება და მე მომმართავთ, მადლობელი ვარ; თქვენ მეპატიჟებით და მეც თქვენკენ მოვისწრაფი“.[1]

ვიქტორ ჰიუგო სრკვდილით დასჯას სიზიფის ქვას ადარებს და შენატრის იმ დროს, როდესაც იგი აღარ ჩამოგორდება ადამიანთა საზოგადოებაში და სიტყვა „დასჯა“ შეიცვლება სიტყვით „სწავლა“.

ჰიუგო აღნიშნავს, რომ მრავალი წელიწადია იგი ებრძვის ამ გველეშაპს, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერს გახდა. ის იგონებს ერთ შემთხვევას წარსულიდან. 1816 წელს, როცა ჰიუგო 16 წლისა იყო, ის დასწრებია ასეთ შემაძრწუნებელ სანახაობას: პარიზში იუსტიციის სასახლის წინ მდებარე მოედანზე სამარცხვინო ბოძთან უამრავი ხალხი შეკრებილიყო. ბოძზე კისრით მიეკრათ ახალგაზრდა ქალი, რომელიც შინაურ ჭურდობაში შეეპჩნიათ. როდესაც საათმა თორმეტი დაჰკრა, ვიღაც კაცი ავიდა ეშაფოტზე, იმ ქალს შეხსნა პერანგის ზონრები და წელამდე გააშიშვლა, გავარვარებული შანთი ისე ძლიერად გაატარა შიშველი ქალის ზურგზე, რომ თეთრი ბოლი აადინა. გაისმა საბრალო ქალის წივილ-კივილი.

ამ საშინელმა სანახაობამ გადააწყვეტინა მომავალ დიდ მწე-

---

1 იხ. ა ლ. ქ ა ლ ა ნ დ ა ძ ე. „საქართველოს მოამბე“, 1963 წ., გვ. 38.

2 „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მ ო ა მ ბ ე“, 1863 წ., № 8.

რალს მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ებრძოლა უსამართლობისა და სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ.

ჰიუგო აღნიშნავს, რომ ვილაც კრიმინალისტმა თქვა: „არ უნდა იყოს სიტყვა „სასჯელი", უნდა ვიხმაროთ სხვა სიტყვა „სამაგიერო". კანონი არ კლავს, ის ბოროტ ადამიანს ჩამოგვაცილებს ხოლმე. მწერალი ირონიულად შენიშნავს: „ჩვენ, ჩვეულებრივ მომაკვდავებს, არ გვესმის ეს სიბრძნეო".[1]

ვიქტორ ჰიუგოს მოაქვს მთელი რიგი მაგალითები სიკვდილით დასჯისა, თავისი არა ერთი გამოსვლა ადამიანის სიკვდილით დამსჯელთა წინააღმდეგ და ასაბუთებს, რომ ეს უცნაური კანონი ისეთი უვარგისი და მავნეა, რომ ის აუცილებლად უნდა მოისპოს. ის წერს: „ერთ სასამართლოში ორ ადამიანს ასამართლებდნენ. დამცველმა თქვა, რომ უმეტესი ნაწილი დანაშაულებისა წარმოიშობა უვიცობისა და გაუნათლებლობისაგან, ამიტომ საჭიროა უფასო და სავალდებულო სწავლების შემოღებაო (გავიხსენოთ მირიელის სიტყვები ვ. ჰიუგოს „საბრალონიდან", რომლებიც ზევით მოვიტანეთ—დ. ფ.) გენერალურმა პროკურორმა სასაცილოდ აიგდო ის და უთხრა: აქ პარლამენტი არ არისო. ვექილმა უპასუხა: დიახ, ბატონო პროკურორო, აქ არაა პარლამენტი, მაგრამ აქ სამარეა, სამარე.[2]

ვ. ჰიუგოს აზრით, სიკვდილით დასჯა არავითარ შემთხვევაში არ არის დადებითი. მას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს. სიკვდილით დასჯა ღუპავს ოჯახს: ლუკმა პურის საშოვნელად ქვრივი ქალი იწყებს ამორალურ ცხოვრებას, ობლები ქურდობენ, იმისათვის რომ თავი გამოიკვებონ. თუ საზოგადოება ერთ მავნე კაცს იშორებს თავიდან მისი სიკვდილით დასჯით, სამაგიეროდ რამდენიმეს ასეთს აჩენს. დასჯილის შვილები პატარაობიდანვე იწყებენ ქურდობას, ეჩვევიან ცუდ საქციელს. ამნაირად, სიკვდილით დასჯა ყველაფერზე და ყველაზე უარყოფით გავლენას ახდენს, ის ყველაფერთანაა დაკავშირებული, ამიტომ კაცობრიობის დამღუპველია.

შემდეგ ვიქტორ ჰიუგო კვლავ იმეორებს, რომ, მართალია, სიკვდილით დასჯის კანონის მოსპობა დიდ სიძნელეებს აწყდება და მსხვერპლს მოითხოვს, მაგრამ შუა გზაზე ამ საკითხის დატოვება არ შეიძლება, ვინაიდან ყველა კეთილგონიერი ადამიანი თავისი მიზნის განხორციელებისათვის დაუცხრომლად და შეუდრეკლად უნდა იბრძოდეს.

ცალკე უნდა შევჩერდეთ ერთ ფრიად საყურადღებო საკითხზე,

---

[1] „საქართველოს მოამბე", 1963, № 8. შდრ. Oeuvres complètes de Victor Hugo. Pendant l'Exil, Paris, 1831, p. 305

[2] Ibid., გვ. 306—307.

რომელსაც ვ. ჰიუგო გამოყოფს და ხაზს უსვამს: ასევე გამოყოფს ამ ბრძნულ სიტყვებს ჩვენი ილია ჭავჭავაძეც, ესაა ე. წ. დიდი და პატარა ერის საკითხი.

ვიქტორ ჰიუგო წერს: „მცირე ერი არ არსებობს, დედამიწის ზურგზე... ხალხის სიდიადე სრულიადაც არ გაიზომება მისი რაოდენობით, ისევე როგორც კაცის სიდიადე არ გაიზომება მისი სიმაღლით. ერთადერთი საზომი ერისა მისი ჰკუა-გონება და სიმამაცეა. დიდი ისაა, ვინც დიად მაგალითებს იძლევა"[1] (ხაზგასმა ჩვენია — დ. ფ.).

ცოტა ქვემოთ დიდი ფრანგი მწერალი ასეთივე შესანიშნავ აზრებს გამოთქვამს: „სიტყვა ფუჭია, თუ მასში აზრი არაა. არ კმარა გქონდეს რესპუბლიკა, თუ არა გაქვს თავისუფლება; არ კმარა გქონდეს დემოკრატია, თუ არა გაქვს ჰუმანურობა. ხალხი უნდა იყოს ადამიანი, ხოლო ადამიანს უნდა ჰქონდეს სული"[2] (ხაზგასმა ჩვენია—დ. ფ.).

ვიქტორ ჰიუგოს აზრით, სიკვდილით დასჯის კანონი არის სოციალური ბოროტების გამოხატულება, კაცობრიობის პროგრესის მტერი, ცივილიზაციის შემაფერხებელი. ჰიუგო, როგორც თვითონვე აღნიშნავს ზემოდასახელებულ წერილში, 1818 წლიდან მოყოლებული მუდამ ცდილობდა ეთქვა თავისი აზრი და დაეწერა რამე. და აი, 1829 წელს, მან გამოაქვეყნა „სიკვდილით დასასჯელის უკანასკნელი დღე". აქედან მოკიდებული, მართლაც, ვიქტორ ჰიუგოს სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არ შეუნელებია ბრძოლა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ.

ილია ჭავჭავაძე, ვიქტორ ჰიუგოს მაგალითით აღფრთოვანებული და წახალისებული, ცდილობდა თვითონაც გამოეთქვა თავისი აზრი ამ საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხის გარშემო. ილია

---

[1] Il n'y a pas de petit peuple... La grandeur d'un peuple ne se mesure pas plus au nombre que la grandeur d'un homme ne se mesure à la taille. L'unique mesure, c'est la quantité d'intelligence et la quantité de vertu. Qui donne un grand exemple est grand. „საქართველოს მოამბე", 1863 წ., № 6. შდრ. Oeuvres complètes de Victor Hugo. Pendant l'Exil, Paris, 1883. pp. 310—311.

[2] Les mots sont vains si les idées ne sont pas dessous. Il ne suffit pas d'être la république, il faut encore être la liberté; il ne suffit pas d'être la démocratie, il faut encore être l'humanité. Un peuple doit être un homme, et un homme doit être une âme. Oeuvres complètes de Victor Hugo. Pendant l'Exil, Paris, 1883, p. 311.

დიდხანს მუშაობდა ამ საკითხზე, ეცნობოდა და სწავლობდა საჭირო ლიტერატურას. ილიას დაინტერესება ამ საკითხით პირველად გამოვლინდა მაშინ, როდესაც მან თავის „საქართველოს მოამბეში" გამოაქვეყნა ვიქტორ ჰიუგოს რომანის „საბრალონის" სწორედ იმ ადგილების ქართული თარგმანი, რომლებშიც ფრანგი მწერალი ადამიანის დასჯის საკითხებზე ალაპარაკებს მთავარ გმირს.

დროთა ვითარებაში ილია ჭავჭავაძის აზროვნებასა და პოეტურ წარმოსახვაში ადამიანის დასჯის საკითხი სავსებით მომწიფდა და მას უნდა გამოეთქვა თავისი შეხედულებანი ამის შესახებ და გამოთქვა კიდეც თავის მხატვრულ ნაწარმოებში: „სარჩობელაზედ" (1879 წ.) და სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ სახელმწიფო საბჭოს წინაშე წარმოსათქმელ სიტყვაში (1907 წ.).

მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს ვიქტორ ჰიუგოს „საბრალონიდან": „პირობა დასდო (ჟან ვალჟანმა — დ. ფ.), რომ პირველ შემთხვევაშივე ხალხს მაგიერი გადაუხადოს (ხაზგასმა ჩვენია — დ. ფ.) და თავის ფიქრით დარწმუნდა, რომ სასჯელი, რომელიც დაუნიშნეს და გადაახდევინეს, მარტო უსამართლო და უსვინდისო კი არ იყო, უკანონოც კი იყო. შემდეგ იფიქრა: საზოგადოებას ჩემთვის თავის გაჩენაში სიავის მეტი არა უქნია რა. სიყმაწვილეშიც კი ტკბილი და გულშემატკივარი სიტყვა არავისგან არ შემიტყვია, თითქმის არც თავის ღვიძლი მშობლებისაგან.

ჟან ვალჟანი, როგორც უწინაცა ვთქვი, ბუნებით ბოროტი კაცი არ იყო; როცა გალერებზე გაგზავნეს, ჯერ მაშინაც კიდევ გულკეთილი იყო. იქ ყოფნაში გაასამართლა საზოგადოება და იგრძნო, რომ თანდათან მრისხანე გულისა ხდებოდა, ღვთის განგება გაამტყუნა და გრძნობდა, რომ უსჯულო და უკეთური შეიქმნა.

თანდათან და უფრო შეუბრალებელი შეიქმნა. გული უცივდებოდა, ისე რომ ცხრამეტ წელიწადში, რაც იმან სატუსაღოში დაჰყო, იმის თვალს არც ერთხელ ცრემლი აღარ უნახავს"[1] (ხაზგასმა ჩვენია — დ. ფ.).

ჟან ვალჟანი (თვით ვიქტორ ჰიუგოც — დ. ფ.) საზოგადოებას აბრალებს, რომ ადამიანი დანაშაულს სჩადის, ვინაიდან ამ დანაშაულის წყარო არის უვარგისი საზოგადოებრივი წყობილება „მარტო

[1] „საქართველოს მოამბე". 1883 წ., № 3. Victor Hugo. Les Misérables, livre deuxième. Paris, pp. 121—122.

მე ვარ გასამტყუნარი?“ სვამს კითხვას ჟან ვალჟანი და თვითონვე უპასუხებს: „განა ეს კი არ უნდა ვიფიქროთ პირველად, რომ მე, მუშა კაცი, გულ-ხელდაკრეფილი უსაქმოდ ვიყავ, რომელიც ვერ ვიშოვე,—და მე, შრომისმოყვარე მუშაკს, ლუკმა პური არა მქონდა და შენატრებოდა? მეორედ, მე რომ გავტყდი და სრულიად ვაღიარე ჩემი დანაშაულობა, განა ეს ძალიან მომეტებული და სასტიკი სასჯელი არ დამინიშნეს და არ მომაყენეს: ამითი კანონი და მართებულობა, ამგვარ ჩემ სასტიკ დასჯით უფრო დამნაშავე არ არი, ვინემ მე ქურდი? განა იმ სასწორის მხარეს უფრო არ უნდა დაეძლია, რომელზედაც მოტყუებაა? და იმ მომეტებულის სასჯელის დანიშვნით თვით მოსამართლე და მსაჯული მოვალეობის ქვეშ არ ვარდება და თვით საზოგადოებაც? ერთი ესეც ვიკითხოთ, სასჯელი, რომელსაც მე თითო ჩემს გაქცევაზე მიმატებდნენ, იმას არ მოასწავებს, რომ ძლიერი საზოგადოება ჩემისთანა უღონოსა და საწყალის სიცოცხლეს გადაჰკიდებია? ერთის სიტყვით, ეს საზოგადოების დანაშაულობა არ არის დამნაშავე პირთან, რომლითაც მე ცხრამეტი წელიწადი დამჩაგრეს?

რა უფლება აქვს საზოგადოებას, რომ ასე ძალზე სტანჯავს თავის მოძმეს, ერთი ამხრივ თავის უჭკუო დაუნახველობით და გაუგებრობით, მეორეც — თავის უწყალო განსჯით, გაგებითა და სამუდამოდ საწყალ კაცს აგდებს ნაკლებულების და ნამეტანობის შუა:

ნაკლებულებაში — რომ სამუშაო საქმეს არ უჩენს, და ნამეტანობაში — მომეტებულის დასჯით.

საზარელი არ არის, რომ საზოგადოება ასე ექცეოდეს იმ საწყალ თავის მოძმეთ, რომელთაც შემთხვევით და ბედით ყველაზე ცოტა რგებიათ სარჩო და ჭონება და რომელნიც, საცა სამართალია. ყველაზე უმეტესად შესაბრალისნი არიან?

როცა ეს აზრები ახსნა, მაშინ ჟან ვალჟანმა საზოგადოებას დაუწყო სჯა, თავის გულში ის გაამტყუნა, გაასამართლა და შეიძულა“[1] (ხაზგასმა ჩვენია — დ. ფ.).

ჩვენი აზრით, ბევრი რამ არის საერთო ეიქტორ ჰიუგოს ჟან ვალჟანის ამ სიტყვებსა და ილია ჭავჭავაძის მოთხრობის „სარჩობელაზედ“ მოქმედი პირის ობოლი ბიჭის სიტყვებს შორის, რომელსაც ძმა ჩამოუხრჩეს. ეს ყმაწვილები ადრე დაობლდნენ და მის შემდეგ თავიანთ თავზე გამოსცადეს მთელი სიავე და სიდუხჭირე ამ წუთისოფლისა, ნათესავებისა და საზოგადოების მხრივ გულგრილობა და ზიზღი, რის გამოც ორივემ შეიძულა ნათესავები და მთელი სა-

[1] „საქართველოს მოამბე“, 1863 № 3. შდრ. Victor Hugo. Les Misérables, livre deuxième, გვ. გვ. 121 – 122.

ზოგადოება, დაიწყეს ქურდობა, ბოროტმოქმედებათა ჩადენა, მიეიდნენ კაცის მკვლელობამდე.

აი, როგორ ალაპარაკებს ილია უმცროს ძმას: „გამოვედით ორნი ობოლნი ამ ტრიალ დედა-მიწაზედ უპუროდ, უფულოდ, უბინაოდ, უნუგეშოდ, უთვისტომოდ. ვის შესტკივდებოდა ჩვენთვის გული? ჩვენ ყველასათვის უცხონი ვიყავით, ყველანი ჩვენთვის. გამოვწიეთ ქალაქისაკენ, გაბოროტებულნი, მთელს ქვეყანაზედ გულამღვრეულნი, გადავემტერეთ უსამართლო ქვეყანას, გადავემტერეთ ყველას... პატარები ვიყავით, ყველა ხედავდა, რომ თვალნათლივ გვძარცვავდნენ. არავინ არ გამოგვესარჩლა, არავინ მოგვეშველა, არავინ ხმა არ ამოიღო. ჩვენი ცოდვა ყველამ დაიდო კისრად. მინამ ცოცხალი ვარ, ყველას გადვუხდი... ერთად-ერთი ჩემი სისხლი და ხორცი, ის ერთად-ერთი ძმა-კაცი, ის ერთად-ერთი ადამიანი ჩემი კეთილისმყოფელი ჩემთვის თავდადებული, ჩემი მოსიყვარულე და ერთგული, დღეს ჩემი თვალით ვნახე, რომ კატასავით დამირჩეს!.. განა ამას შეევარჩენ ქვეყანას, მინამ პირში სული მიდგა!... ყველამ უნდა მიზღას ჩემი დანაკარგი. ძმის სისხლს, მინამ ცოცხალი ვარ, ავიღებ— მძულს ქვეყანა და ადამიანი უფრო.[1] (ხაზგასმა ჩვენია — დ. ფ.).

„საბრალონი“ არის ღრმად რეალისტური, მაღალმხატვრული ნაწარმოები, რომელშიც ვიქტორ ჰიუგო ნათლად, გასაგებად, დამაჯერებლად გამოთქვამს თავის ჰუმანისტურ, დემოკრატიულ იდეებს, ესარჩლება ღარიბ, ღატაკ ადამიანებს. რომანში მწერალი ხატავს მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ბურჟუაზიული საზოგადოებრივი წყობილების გულშემზარავ სურათებს. „საბრალონი“ თანამედროვეობის თემაზეა აგებული, იგი ეხმარება ხალხს სოციალური უსამართლობის, სოციალური ბოროტების წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლაში.

„საბრალონი“ ვიქტორ ჰიუგოს შემოქმედებაში, კიდევ უფრო მაღალი საფეხურის გამომხატველია. თვითონ ვიქტორ ჰიუგოსაც მაღალი წარმოდგენა ჰქონდა ამ თავის რომანზე, ის მას თელიდა მსოფლიოს ყველა ხალხისათვის დაწერილ ნაწარმოებად.

ილია ჭავჭავაძისა და ქართული საზოგადოებრიობის მხრივ ასეთი დიდი ყურადღება ჰიუგოს რომანის „საბრალონისადმი“ სავსებით გამართლებული და გასაგებია.

ვიქტორ ჰიუგოს მთელი რიგი ნაწარმოებები, როგორც კი გამო-

---

[1] ილია ჭავჭავაძე. თხზ. სრ. კრებ., ტ. 2, 1950, გვ. 239—240.

ვიდოდა პარიზში, თითქმის მაშინვე ითარგმნებოდა ქართულ ენაზე. 1874 წელს გაზეთ „დროების“ რედაქტორმა სერგეი მესხმა იმოგზაურა ევროპაში. ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებანი მან გამოაქვეყნა თავისი გაზეთის რამდენიმე ნომერში სათაურით „ქართველი ევროპაში“ (ხამი მგზავრის შენიშვნები და ფიქრები). 1874 წლის 15 თებერვლის „დროებაში“ დაიბეჭდა სერგეი მესხის მიერ პარიზიდან გამოგზავნილი შემდეგი ცნობა: „ამ თვის ცხრამეტს აქ გამოვა ვიქტორ ჰიუგოს ახალი რომანი, რომელსაც სახელად ერქმევა „ოთხმოცდაცამეტი“. თქვენ წარმოიდგინეთ, როგორ მოუთმენლად უნდა მოელოდნენ აქ ამ წიგნის დაბეჭდვას. მთელი რომანი სამ ნაწილად იქნება გაყოფილი: პირველ ნაწილს ერქმევა — „ზღვაში“, მეორეს — „პარიზში“ და მესამეს — „ვანდეში“.

აი, როგორ ახლოს მისულა სერგეი მესხი პარიზში ყოფნის დროს ვ. ჰიუგოს ნაწარმოებთა ბეჭდვის საქმესთან, როგორ დაინტერესებული ყოფილა ის ჰიუგოს ახალი ნაწარმოებებით. მართლაც, რო გორც კი გამოვიდა ვ. ჰიუგოს რომანი „ოთხმოცდაცამეტი“, სერგეი მესხმა იქვე გააკეთა მთელი რომანის შემოკლებული თარგმანი და გამოუგზავნა გაზეთ „დროებას“, რომელსაც მისი აქ არ ყოფნის დროს რედაქტორობდა კ. ლორთქიფანიძე. ეს თარგმანი, ცხადია, მაშინვე დაიბეჭდა.

ს. მესხი ამ თარგმანის წინ ასეთ განცხადებას აკეთებს: „ეს ახალი რომანი უწარჩინებულესი ევროპის მწერლისა საფრანგეთის პირველი რევოლუციის დროინდელ ცხოვრებას შეეხება.

საუბედუროდ, ღონისძიება არა გვაქვს, რომ სულ გადმოგვეთარგმნა ეს მშვენიერი რომანი, რომელზედაც მთელი ევროპა ლაპარაკობს... მაგრამ ამ ზოგიერთი ადგილების წაკითხვაც დაარწმუნებს მკითხველს ამ რომანის სიმშვენიერეში და მისი ავტორის ნიჭის სიღრმეში“.

ს. მესხი მოკლე შინაარს გადმოგვცემს და უფრო დამახასიათებელ ადგილებს ზუსტად თარგმნის. ამრიგად, მკითხველს ექმნება გარკვეული და ნათელი წარმოდგენა მთელი რომანის შინაარსზე.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მოწინავე ქართველ ახალგაზრდობას აინტერესებდა გაცნობოდა ვიქტორ ჰიუგოს.

იონა მეუნარგია 1877 წელს პარიზიდან ოლღა გურამიშვილს ვიქტორ ჰიუგოს შესახებ სწერდა: „მე დიდი ხანია პარიზში ვარ. დღითი-დღე იგი იზრდება ჩემს თვალწინ, ეს წარმტაცი პარიზი. დავდივარ თეატრებში, კაფეში, ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში, ლექციებზე... ვიყავი ვიზიტით ჰიუგოსთან. წავიყვანე იქ სანდროც. ძალიან გულითადად მიგვიღო მოხუცმა. გამოთხოვებისას ხელი ჩამო-

მართვა და მთხოვა მასთან შევიდე, თუ მე გამოფენას ვინახულებ. მე ვუთხარი, რომ პარიზიდან მივდივარ. ვილაპარაკეთ საქართველოზე, ლამაზმანებზე, პარიზის გარშემო, საფრანგეთზე და სხვადასხვა. ნეტა თქვენ შეგეძლოთ მისი ნახვა, ოლგა ალექსანდრეს ასულო, ნეტა განახათ უკანასკნელ დღეებში გამოსული მისი თხზულებანი. გასაოცარია, რა შეუმჩნეველად ხდები ადამიანი დიდი პიროვნების თანამედროვე. ჩემთვის ეხლა იგი კერპია (როგორც პოეტი, იგი ყველაზე მაღლა დგას მათ შორის, ეისაც კი ეს სახელი უტარებია) და ამიტომ მის სახლში მე შევედი ისეთივე მოწიწებით, როგორც შედიან ტაძარში".

ამ შეხვედრის დროს ვიქტორ ჰიუგოსა და იონა მეუნარგიას შორის გამართულა საინტერესო საუბარი, რომელიც ი. მეუნარგიას თავის უბის წიგნაკში ჩაუწერია. აი ფრაგმენტი ამ ჩანაწერისა:

„ვ. ჰიუგო — რუსეთიდან ბრძანდებით?

მე — არა, საქართველოდან.

ჰ. — ლამაზი ქალებით განთქმული ქვეყნიდან?

მე — არა მარტო ლამაზი ქალებით, დიდო პოეტო, სხვებითაც.

ჰ. — მაგალითად?

მე — პოეზიით.

ჰ. — ვინ გყავთ გამოჩენილი პოეტი?

მე — რუსთაველი.

ჰ. — რა დაწერა?

მე — საკმირო პოემა „ვეფხისტყაოსანი".

ჰ. — გამიგონია, მხოლოდ შორიდან, საინტერესოა, რომელ საუკუნეში მოღვაწეობდა?

მე — მეთორმეტეში.

ჰ. — კიდევ უფრო საინტერესოა".[1]

ჩანაწერი აქ წყდება. ძნელი სათქმელია, რას ეხებოდა მათი დანარჩენი საუბარი.

სამწუხაროდ, ი. მეუნარგიას ვ. ჰიუგოსთან საუბრის ჩანაწერის დანარჩენი ადგილი ჯერ-ჯერობით არ ჩანს. შეუძლებელია, რომ ეს საინტერესო შეხვედრა მხოლოდ ამით დამთავრებულიყო. ვიქტორ ჰიუგოსა და ი. მეუნარგიას საუბარი უფრო ვრცელი და ფრიად საინტერესო იქნებოდა. ხომ თვითონვე წერს ზემომოყვანილ წერილში ი. მეუნარგია: ვილაპარაკეთ საქართველოზე, ლამაზმანებზე, პარიზისა და, საერთოდ, საფრანგეთზე.

რა მოჰყვა ქართველების შეხვედრას ვიქტორ ჰიუგოსთან? ამ

---

1 ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის მეუნარგიასეული თარგმანის შესახებ, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1946 წ., № 24.

შეხვედრას უპირველეს ყოვლისა, მოჰყვა იონა მეუნარგიას სურვილი და გადაწყვეტილება, რაც შეიძლება მოკლე დროში ეთარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ ფრანგულად, დაებეჭდა და მიეწოდებინა ფრანგი მკითხველისათვის, კერძოდ მოკრძალებით მიერთმია იგი თავისი სათაყვანო მწერლის — ვიქტორ ჰიუგოსათვის, რადგან როგორც ჩანს, ვ. ჰიუგომ ქართველებთან ამ გულთბილი შეხვედრისა და საუბრის დროს ინატრა ჩვენი დიდებული პოემის ფრანგულად წაკითხვა. იონა მეუნარგია პარიზშივე იწყებს „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულად თარგმნას და სახელოვნად ამთავრებს საქართველოში, მაგრამ თარგმანის დაბეჭდვა და გამოქვეყნება სხვადასხვა მიზეზების გამო არ მოხერხდა და ჯერჯერობით გამოურკვეველია თუ რა ბედი ეწია თარგმანს.

აღსანიშნავია, რომ ქართველი მკითხველი მუდამ სიყვარულით და ხალისით ეწაფებოდა ვ. ჰიუგოს ნაწარმოებებს. მაგალითად ანტონ ფურცელაძის მოთხრობის „ვაი მართალთა“ მოქმედი გმირი ლიზა გატაცებით კითხულობდა ვიქტორ ჰიუგოს რომანებს.

1878 წლის 30 მაისს დიდი ფრანგი განმანათლებლის ვოლტერის გარდაცვალების ასი წლისთავისადმი მიძღვნილ სხდომაზე ვიქტორ ჰიუგომ წარმოთქვა საგულისხმო სიტყვა. ეს სიტყვა „ივერიაში“ დაიბეჭდა მისი წარმოთქმის რამდენიმე დღის შემდეგ. ჰიუგო ამ სიტყვაში მაღალ შეფასებას აძლევს ვოლტერის ღვაწლს საზოგადოებრივი პროგრესის საქმეში, კაცობრიობის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაში. ჰიუგო ამ გამოსვლაში სასტიკად კიცხავს ომის გამჩაღებლებს, იცავს საყოველთაო მშვიდობას, ის აცხადებს „თუ მოპარვა სამარცხვინოა, დაპყრობაც არ უნდა იყოს სასახელო... ნუ იქნება ომიანობა და სისხლმოსილი სახელოვანობა... არა, შეუძლებელია, რომ სიცოცხლე შრომობდეს სიკვდილისათვის. არა, მშობელნო, შეუძლებელია, რომ ომიანობამ, ამ მპარველმა გამოგაცალოთ თქვენი ბავშვები. არა, შეუძლებელია, რომ დედა-კაცი ტანჯვით შობდეს, ადამიანი იბადებოდეს, ხალხი სთესდეს და მუშაობდეს, ფილოსოფოსი სჯიდეს, აღებმიცემობა მიეცემოდეს გასაოცარ წარმატებას — მხოლოდ იმისათვის, რომ წამოაყენოს ეს საშინელი ხალხთა შორის გამოფენა, რომელსაც უწოდებენ ომის ველს“[1]

იმავე წლის 31 აგვისტოს ნომერში „ივერია“ კვლავ უბრუნდება ომის საფრთხის საკითხს და ნატრულობს მშვიდობას, სამუდამოდ თუ არა, დროებით მაინც. შემდეგ მიუთითებს პარიზში შემდგარ მშვიდობის მოყვარულთა მსოფლიო ყრილობაზე, რომელზედაც თავმჯდომარეს გამოუქვეყნებია ვიქტორ ჰიუგოს წერილი. „ზავი ჩვენი

[1] „ი ვ ე რ ი ა“, № 22, 1878.

არის თესლი საყოველთაო ერთობისა, -- წერს ჰიუგო, — მთავრობანი ბევრს რასმეს მეცადინეობენ, მაგრამ ყოველი მეცადინეობა ფუჭად ჩაივლის, თუ მიმართული იქნება თავისუფლებისა და ბუშახალხის უფლებათა წინააღმდეგ. წარემართენით წინ, იმუშავეთ და იფიქრეთ. მომავალი თქვენია, რადგან გაქვთ ერთი წადილი — ძმობიახობა"[1].

მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა ვ. ჰიუგოს ასეთ პროგრესულ შეხედულებებს, მის საუცხოო ნაწარმოებებს იყენებდა განსათავისუფლებელი ბრძოლის იდეების ქადაგებისათვის, სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ძველთაგანვე მომდინარე ბრძოლების შემდგომი გაძლიერებისათვის, ეროვნული თვითშეგნების უფრო მეტად გაღვივებისათვის.

ვიქტორ ჰიუგოს დრამატურგიამ გაანაყოფიერა ქართული თეატრი. ქართველი საზოგადოებრიობა ვ. ჰიუგოს დრამატურგიის გაცნობას იწყებს ქუთაისში 1897 წელს. ამ პერიოდში ქუთაისის თეატრს მეთაურობდა ქართული სცენის გამოჩენილი ოსტატი ლადო მესხიშვილი. 1897 წლის 19 ოქტომბერს ქუთაისის თეატრში დადგმულ იქნა ვ. ჰიუგოს პიესა „ერნანი". მთავარ როლებს ასრულებდნენ ლადო მესხიშვილი (ერნანი), ნინო ჩხეიძე (დონა სოლი), ვ. ყიფიანი (გომეც დე სილვა), დ. ჩარკვიანი (დონ კარლოსი).

ქუთაისს მიბაძა თბილისმა და 1898 წლის 8 იანვარს აქ ქართულ სცენაზე წარმოდგენილ იქნა ვ. ჰიუგოს „ერნანი". მთავარ როლებს ასრულებდნენ: ბ. სვიმონიძე (ერნანი), ეფემია მესხი (დონა სოლი), ვ. გამყრელიძე (გომეც დე სილვა), კ. მესხი (დონ კარლოსი).

გაზეთი „ივერია" დიდი კმაყოფილებით გამოეხმაურა ამ შესანიშნავ მოვლენას და ფართოდ გააშუქა იგი. „ივერია" წერდა: „პიესა დიდის ნიჭითა და ხელოვნებით არის დაწერილი და ყურადღებას მსმენელ მაყურებლებისას იტაცებს. სიამოვნებით მივეგებებით ამ დრამის ქართულ სცენაზედ წარმოდგენას... კარგია, რომ ჩვენმა საზოგადოებამ გაიცნო ეს ნაწარმოები საფრანგეთის დიდებულის მწერლისა"[2].

ქართველი საზოგადოებრიობა დიდად დაამწუხარ ვიქტორ ჰიუგოს ავადმყოფობამ, შემდეგ მისმა გარდაცვალებამ. ყოველივე ამის შესახებ სისტემატურად იბეჭდებოდა ცნობები ქართულ ჟურნალ-გაზეთებში.

ვიქტორ ჰიუგო გარდაიცვალა 1885 წლის 22 მაისს. ეს სამწუხარო ცნობა ელვის სისწრაფით მოედო მთელ მსოფლიოს. ქართველი საზოგადოებრიობა ღრმა მწუხარების გრძნობით შეხვდა ფრანგი

[1] „ი ვ ე რ ი ა". № 34, 1878. [2] „ი ვ ე რ ი ა". № 6, 1898.

ხალხის საყვარელი მწერლის სიკვდილს. გაზეთმა „დროებამ" გამოაქვეყნა ვრცელი წერილები ვიქტორ ჰიუგოს სიკვდილისა და დასაფლავების შესახებ. ეს წერილები რედაქციას გამოუგზავნეს პარიზიდან მისმა თანამშრომლებმა პეტრე მირიანაშვილმა და დავით კარიჭაშვილმა.

პეტრე მირიანაშვილი „დროების" ფურცლებზე თავის ვრცელ სტატიას ვიქტორ ჰიუგოს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ იწყებს შოთა რუსთაველის სიტყვებით:

შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი,
შაბაშ საქმე, მისგან ქმნილი.

ავტორი მოუთხრობს ქართველ მკითხველს დიდი ფრანგი მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ის წერს: „1822 წლის 12 ოქტომბერს ვიქტორ ჰიუგო შეეუღლა მას ვინც უყვარდა; ვაჟი იყო ამ დროს ოცი წლისა, ქალი ადელ ფუშე კი ცხრამეტისა, ორივე გავდა გაზაფხულის ვარსკვლავს. პოეტი მისთვის კვდებოდა. მას უგალობდა, მას დახაროდა. აი, რას ამბობს იგი თავის ახალგაზრდა ცოლზე:

„უკუნის ღამეს შენი თვალისჩინი მინათებს, შენი სახე დამშვიდებს მძინარეს, ბნელეთში გზას მაგნებინებს და ზეცის სხივები შენთა თვალთაგან მეცემიან. მიყვარხარ და ვსტირი შენი სახელისათვის. ვსტირი, რადგან ცხოვრება ბოროტებით სავსეა. ამ ჭმუნვარე უდაბნოში თავშესაფარი არა გაქვს და ის ხე, რომლისადმიც მიმართავ, სხვაგნივ იხრის თავის შტოებს".

ამის შემდეგ პეტრე მირიანაშვილი კვალდაკვალ მიყვება ჰიუგოს ცხოვრებასა და მოღვაწეობას, არჩევს მის ნაწარმოებებს, აღწერს ჰიუგოს ნაწარმოებთა დაწერის ისტორიას. ავტორს მოყავს სამშობლოდან განდევნილ ჰიუგოს წერილი, რომელშიც პოეტი გულს არ იტეხს და ვაჟკაცურად ხვდება თავის ბედს. „მკაცრ დევნილებაში ვარ და მიკისრია იგი, თუნდა არა ჰქონდეს არც ბოლო, არც სამზღვარი. და არც ყურადღებას ვაქცევ, თუ ვინმემ წელი მოიდრიკა, იმისთანამ, რომელიც უფრო მხნე ეგონათ; თუ შიში აიცილეს იმისთანებმა, რომელნიც არ უნდა შეშინებულიყვნენ თუ მათი რიცხვი ათასია, მეც იქა ვარ; ასიც, რომ იყვეს, მაინც კიდევ სილას არ შევეპუები. თუნდაც ათიც არ დარჩენილიყოს, მე მეათე ვიქნები; და თუ მხოლოდ ერთიღაა, ეს ერთი მე ვიქნები"[1].

ჩვენი ავტორი საგანგებოდ ჩერდება ჰიუგოს ორ შესანიშნავ წიგნზე; ესენია: „პატარა ნაპოლეონი" და „სასჯელნი", და მიუთი-

[1] „დროება", № 112, 1885.

თებს, რომ „მათ ჯაერისა და დრტვინვის სული უდგიათ, რომ ისინი წარმოადგენენ ორს უმაღლესი მამულისშვილობით აღბეჭდილ გრძნობას. პირველი ამ ნაწარმოებთაგანი 1851 წლის დეკემბრის უბედური დღეების მბასრავი მოთხრობაა და მკვლელობის განმზრახველთა ბრალდების აქტი. ეს ისტორიის უხრწნელი ძეგლია".[1]

ეხება რა ვიქტორ ჰიუგოს ლექსთა კრებულს „სასჯელნი", პ. მირიანაშვილი წერს: „ამ წიგნში ირონია და კიცხვა გენიოსის ხელით არის განვითარებული. მის დღეში არ მიღწეულა ამისთანა ძლიერების ხარისხამდე საზარისა და სასაცილოს კავშირი, იმპერიის დამწესებელნი იქ არიან დადაღულნი გახურებული შანთით და გვემულნი სხვადასხვა კილოთი დაწერილი ტაეპებით"[2]. ავტორი ჰიუგოს ლექსთა კრებულს უწოდებს „უკვდავ თხზულებას"[3].

განდევნილობის წლებში ვიქტორ ჰიუგოს პიროვნება და მისი შემოქმედება კიდევ უფრო პოპულარული გამხდარა. პოეტს ყოველი მხრიდან ქება-დიდება მიდიოდა. იტალიიდან ვიქტორ ჰიუგოს მიუღია დანტეს საიუბილეო მედალი. მხატვარ დავით დანქეს კი მარმარილოდან გამოუკვეთია ვ. ჰიუგოს სახის ბრწყინვალე ბიუსტი. ამ ცნობების შემდეგ პ. მირიანაშვილს მოჰყავს ჰიუგოს სიტყვები იტალიიდან მედლის მიღების გამო: „იტალია განხორციელებულია დანტე ალიგიერში. როგორც იგი, ისე ესეც მამაცია. მაფიქრალი, ამაყი, სულ-დიდი, მეომარი, მოაზრე, როგორც იგი, ისე ესეც უღრმესი სინთეზით რევს ერთად პოეზიას და ფილოსოფიას. მასავით უნდა თავისუფლება. მასავით აქვს დიდება, რომელსაც იმყარებს თავის ცხოვრებაში და თავისუფლება, რომელსაც იმყარებს თავის ნაწარმოებში".[4]

პ. მირიანაშვილს მოყავს ის წერილიც, რომელიც ჰიუგომ მხატვარ დავით დანქეს გაუგზავნა სამშობლოში დაბრუნებისას. „ჩემო მოქანდაკევ, ერთ დღეს თქვენ გვირგვინი დამადგით თავსა და მე გითხარით: „ეგ რად ჰქენით მეთქი". თქვენ გესმოდათ დევნულება. მომეცით ხელი, მარმარილოს პოეტო."[5]

ამის შემდეგ ფელეტონების ავტორი ვიქტორ ჰიუგოს ახასიათებს, როგორც მებრძოლ პიროვნებას, რომელმაც წიგნის — „სასჯელნი"-ს — ჰონორარი გაიღო ქვემეხების ჩამოსასხმელად. ეს მოხდა საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს; როცა ვიქტორ ჰიუგომ მგზნებარე სიტყვით მიმართა გერმანელ დამპყრობლებს და მათ არავითარი ყურადღება არ მიაქციეს საქვეყნოდ ცნობილი მგოსნის მხურვალე მოწოდებას, მაშინ ვიქტორ ჰიუგო ჩადგა სამშობლო საფრანგეთის დამცველთა პირველ რიგებში და აღაგზნო თავისი ხალხი

---

[1] „დროება", № 112, 1885. [2] იქვე. [3] იქვე. [4] იქვე. [5] იქვე.

მამულის დასაცავად. პოეტის პონორარით ჩამოსხმულ ქვემეხს მისი სახელი და გვარი დააწერეს.

სტატიების დასასრულს პ. მირიანაშვილი აღწერს „ენით გამოუთქმელ წარმატებებს", რომელიც ქონდა ვიქტორ ჰიუგოს მხატვრულ ქმნილებებს. აღწერს, თუ როგორ იბრაოდა ვიქტორ ჰიუგო ადაძიანის დაბონების წინააღმდეგ, დესპოტიზმის წინააღმდეგ და მოჰყავს ჰიუგოს შემდეგი სიტყვები: „ძალ-დატანების დრო წავიდა, მოაზრეები უფრო სასარგებლონი არიან, ვიდრე სალდათები; ხმლით წესიერდებიან, მაგრამ აზრით ნათლდებიან"[1].

ორიოდე დღის შემდეგ გაზეთ „დროების" რედაქცია ბეჭდავს პარიზდან თავისი თანამშრომლის დავით კარიჭაშვილის მიერ გამოგზავნილ წერილს: „ვიქტორ ჰიუგოს გარდაცვალება და დასაფლავება".

დ. კარიჭაშვილს მოჰყავს საყურადღებო ცნობები ვ. ჰიუგოს ავადმყოფობის, გარდაცვალებისა და დაკრძალვის შესახებ. მითითებულია იმაზე, რომ ვიქტორ ჰიუგომ მძიმე ავადმყოფობის დღეებში არ მიიღო კლერიკალური წრეების წარმომადგენლები. პოეტს მათთვის შეუთვლია, სარწმუნოებისა და სამღვდელოების შეწევნას არ ვსაჭიროებო. გარდაცვალების დღეს გამოუქვეყნებიათ ჰიუგოს ანდერძი: ვუტოვებ ღარიბებს 50.000 ფრანკს, ჩემი სურვილია მათი ბალდაბინით წამასვენონ სასაფლაოზე, უარვყოფ ყოველგვარ ეკლესიური წესის აგებას. ამ ანდერძმა აღშფოთება გამოიწვია კლერიკალურ წრეებში. „პანთეონიდან ღმერთი გამოაძევეს და. სატანა შეიყვანესო", — გაჰკიოდნენ ისინი.

ვ. ჰიუგო დაასაფლავეს ვოლტერისა და რუსოს გვერდით პანთეონში, რომლის შესავალთან წერია: ღირსეულ შვილთ, მადლიერი სამშობლოსაგან.

დ. კარიჭაშვილი აღნიშნავს, რომ ჰიუგოს დაკრძალვის დღეს პროცესია ხუთ კილომეტრზე იყო გაჭიმული, რომ დიდი მწერლის ცხედარს მიაცილებდა მილიონამდე კაცი. ფრანგები ამბობდნენ. ჯერ არავინ დამარხულა ასეთი დიდებითო.

მისივე ცნობით, ქართველმა სტუდენტობამ, რომლებიც ამ დროს პარიზში სწავლობდნენ ასეთი შინაარსის დეპეშა გაუგზავნეს ჭირისუფალთ: „ვიქტორ ჰიუგოს მსოფლიო გენიით გაკვირვებული პარიზელი ქართველი სტუდენტობა მოწიწებით იხრის თავს დიდი კაცის საფლავის წინაშე და ეზიარება საერთო მწუხარებას, რომელიც ეწვია საფრანგეთს"[2].

---

1 „დ რ ო ე ბ ა", № 113, 1885.

2 „დ რ ო ე ბ ა", № 116, 1885.

ვ. ჰიუგოს დასაფლავების დროს შეტაკება მომხდარა ხალხსა და პოლიციას შორის. ჰიუგოს ცხედრის გასაცილებლად მოტანილი წითელი დროშები პოლიციას გაუტაცნია და დაუწვავია. აქ დ. კარიჰაშვილი შენიშნავს: „იქნებ ამ არეულობის მოლოდინითაც აიხსნება ის, რომ ცხედარს უკან აუარებელი ჯარი მისდევდა, ვითომ და მიცვალებულის პატივ-საცემად"[1].

საყურადღებოა აგრეთვე კოტე მესხის მოგზაურობა ევროპაში, მისი „წერილები საფრანგეთიდან", რომელიც გაზეთ „დროებაში" იბეჭდებოდა. კ. მესხი აღნიშნავს, რომ ვიქტორ ჰიუგოს XIX საუკუნის ვარსკვლავს უწოდებენ, რომ მან არაჩვეულებრივი დიდება დაიმსახურა., კ. მესხი წერს: „ვ. ჰიუგომ გამოსახა ახალი იდეალები მწერლობაში, იქადაგა კეთილშობილური აზრები. თვითონ ენასაც დაეტყო ცვლილება. ისეთი მედიდური, გაბერილი ენა აღარ იყო, როგორიც იმის წინათ სწერდნენ, არამედ უფრო შემუშავებული, ადვილი, ლაზათიანად შეკაშირებული და აზრების მოკლეთ, მაგრამ გასაგებათ და შნოიანად წარმომთქმელი"[2].

კ. მესხი აღნიშნავს, რომ — „ვ. ჰიუგო თანაუგრძნობდა მშრომელი ხალხის კვნესა-გმინვას, მათს ბრძოლას თავისუფლების, ერთობისა და ამობისათვის, რომ ჰიუგო ხალხთან ერთად მიდიოდა ცხოვრებაში, რომ მას და ხალხს ქონდათ ერთი და იგივე ფიქრი, ერთი და იგივე სიხარული და ტანჯვა".

ვიქტორ ჰიუგოს დასაფლავების დღეს პარიზში გაზეთ „მოწოდების" რედაქციას ასეთი დეპეშა გაეგზავნა თბილისიდან: „თბილისის ქართული და სომხური პრესა თანაზიარი ხდება იმ საყოველთაო გლოვისა, რომელიც გამოიწვია დიდი გენიოსის სიკვდილმა; მისი უკვდავი ქმნილება ერთგვარად სულს უდგამდა მთელს კაცობრიობას".

ქართულ ჟურნალ-გაზეთებში აღწერილია დიდი ფრანგი მწერლის ოჯახური ტრაგედიაც, საბედნობრ ის, რომ ვ. ჰიუგომ თავის სიცოცხლეში დამარხა და გამოიტირა ცოლი ადელ ფუშე და სამი შვილი ლეოპოლდინა, შარლი, ფრანსუა, რაც შეეხება მეოთხეს — ადელ ჰიუგოს, ეს ქალიშვილი კუნძულ გერნსიზე ჰიუგოს ოჯახის ცხოვრების დროს მამის დაუკითხავად ცოლად გაჰყვა ინგლისელ ოფიცერს, რომელთან ერთადაც შემდეგ ის ინდოეთში წავიდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ადელ ჰიუგო დაქვრივდა და იგი ჰკუიდან შეშლილი მისმა მოსამსახურემ მოხუცმა ზანგმა ქალმა მოიყვანა პარიზში. ის მოათავსეს პარიზის ერთ-ერთ საავადმყოფოში. ვიქტორ

---

[1] „დ რ ო ე ბ ა", № 3, 1881. [2] „დ რ ო ე ბ ა", № 101, 1885.

ჰიუგო ყოველ კვირას ნახულობდა ხოლმე თავის უბედურ ქალიშვილს.

ფრიად საყურადღებო და საინტერესო ფაქტია ვიქტორ ჰიუგოს ლექსების რუსულად თარგმნა თბილისში და ცალკე კრებულის გამოცემა. ეს წიგნი თბილისში გამოვიდა 1895 და 1896 წლებში. ამ პირველ რუსულ გამოცემაში დაბეჭდილია 259 ნაწარმოები, რომელთაგან სპეციალურად ითარგმნა 125 ლექსი. იგი დაბეჭდა ქართული კულტურისათვის ცნობილმა ივენე თევდორეს-ძე ტხორჟევსკიმ, რომელიც თავის მეუღლე მარიამთან ერთად (მათი საერთო ფსევდონიმი იყო „ივან და მარია") ქართველ პოეტთა შემოქმედებასაც თარგმნიდა რუსულ ენაზე.

ვიქტორ ჰიუგოს ლექსების ეს თბილისური გამოცემა მიძღვნილია ჰიუგოს გარდაცვალების ათი წლისთავისადმი. ამით თბილისმა ჯერ კიდევ მაშინ გარკვეული წვლილი შეიტანა დიდი ფრანგი მწერლის ხსოვნის უკვდავყოფის საქმეში.

1900 წლის ჟურნალ „ჯეჯილში" დაიბეჭდა ნაწყვეტი „საბრალონიდან" სათაურით „მიტივებულნი". თარგმანი ეკუთვნის ამ ჟურნალის რედაქტორ-გამომცემელს ანასტასია წერეთლისას.[1]

1901 წელს გაზეთმა „კვალმა" დაიწყო წერილების სერიის გამოქვეყნება თემაზე: „საფრანგეთის ლიტერატურა XIX საუკუნეში"[2]. გაზეთის ეს ნომერი იწყება წერილით: „ვიქტორ ჰიუგო და ონორე ბალზაკი". პირველსავე გვერდზე ერთად მოთავსებულია ამ დიდ ფრანგ მწერალთა პორტრეტები. აქვე შევნიშნავთ, რომ ყველა ეს წერილი მე-19 საუკუნის ფრანგული ლიტერატურის შესახებ ხელმოუწერელია, ე. ი. სარედაქციოა.

ჩვენ აქ შევჩერდებით წერილის მხოლოდ პირველ ნაწილზე, რომელიც ვიქტორ ჰიუგოს ცხოვრებასა და შემოქმედებას განიხილავს. წერილში აღნიშნულია, რომ „ნიჭის სივრცითა და მრავალფეროვნებით ვ. ჰიუგო იშვიათ პოეტს წარმოადგენს. ის არა თუ ძლიერი პოეტი იყო, ის იყო მეტად ზნემაღალი ჟურნალისტიც, რომელიც უყურადღებოდ არ სტოვებდა არავითარ მოვლენას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ყოველგვარ უსამართლობას სასტიკად ებრძოდა. ის შესანიშნავია, როგორც ლირიკოსი, რომანისტი და დრამატურგი. თავის ლირიკაში ის გულწრფელად გვიხატავს თავის საკუთარ გრძნობებს და თავის იდეალებს...

რომანებსა და დრამებში ვ. ჰიუგო ყოველთვის რაიმე განყენებულ იდეას ატარებს და ეს იდეა იმდენად იმორჩილებდა ავტორის

---

[1] ჟურნ. „ჯ ე ჯ ი ლ ი", 1900, № 12. [2] გაზეთი „კ ვ ა ლ ი", 1901, № 44.

ნიჭსა და ყურადღებას, რომ მისი მოქმედი პირნი ხშირად ბუნებრიობას მოკლებული არიან.

საფრანგეთის თეატრს მან დაუფასებელი სამსახური გაუწია იმით, რომ სამუდამოდ დაამარცხა კლასიციზმი და თეატრი ადამიანის გულისა და ცხოვრების სარკედ გახადა.

ვ. ჰიუგომ შექმნა არა თუ ახალი თეატრი, მან შექმნა ახალი ლიტერატურული ენა; მისი პოეზიის ენა იმდენად მდიდარია, პლასტიკური და მუსიკალური, რომ საფრანგეთის კრიტიკის აზრით ბადალი არა ჰყავს ფრანგთა ლიტერატურაში"[1].

როგორც ვხედავთ „კვალის" რედაქცია მაღალ შეფასებას აძლევს ვიქტორ ჰიუგოს ღვაწლს საკაცობრიო კულტურაში და განაგრძობს:— „ჰიუგო დიდია ლიტერატურის სამივე დარგში — პროზაში, პოეზიაში, დრამატურგიაში, ის აგრეთვე დიდია ჟურნალისტიკაში".

1901 წლის გაზეთ „ივერიის" ფურცლებზე გამოჩნდა ვ. ჰიუგოს დიდი რომანის („საბრალონის") ახალი თარგმანი. „ივერიის სალიტერატურო მიმოხილვაში" ავტორი ალ. ა-შვილი წერს: „ჩვენი ცნობილი და ნამსახური მწერალი ბ. ივ. მაჭავარიანი შეუდგა ვიქტორ ჰიუგოს დიდის რომანის თარგმნას. დიდი მადლობის ღირსია პატივცემული მთარგმნელი, რომ ასეთი უშველებელი შრომა იკისრა და ყველა ვისაც-კი ქართული ლიტერატურისათვის გული შესტკივა, სიხარულით გზას დაულოცავს.

თარგმანის ბეჭდვა მხოლოდ ამ წიგნში იწყება და, რადგანაც დიდხანს გაგრძელდება, მრავალჯერ გვექნება შემთხვევა მისი ღირსება დავაფასოთ.."[2]

რომან — ეპოპეას — „საბრალონის" თითქოს ბედმა გაუღიმა. საქართველოში არსებობს არა მხოლოდ სამნაირი თარგმანი ამ შესანიშნავი ნაწარმოებისა, არამედ ბევრი სხვადასხვა თარგმანი მისი ცალკეული თავებისა.

1902 წლის ჟურნალ „მოამბეში" გამოქვეყნდა ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ დაუდგეს ვ. ჰიუგოს ძეგლი თავის მშობლიურ ქალაქ ბეზანსონში. ამ წერილში ნათქვამია: „საფრანგეთში არ არის მეორე მწერალი, რომლის თხზულებანი ისე გავრცელებული იყოს, როგორც ვიქტორ ჰიუგოსი, რომლის ნაწერები ისე უყვარდეთ, როგორც „საბრალონის" ავტორისა. გარდა ნიჭისა, ამ საერთო თაყვანისცემის მიზეზი ის არის, რომ ჰიუგო მუდამ ემსახურებოდა მაღალ იდეალს თავისუფლებისას, ადამიანის სიყვარულისას...

წერილში გადმოცემულია შინაარსი იმ სიტყვებისა, რომლე-

---

[1] გაზეთი „კვალი", 1902, № 8.

[2] გაზეთი „ივერია", 1901, №№160.

ბიც წარმოითქვა ძეგლის გახსნისას: ჰიუგო იყო ძლიერი ხმა, რომელმაც ქვეყნიერებას გააგონა სიმართლე, და ეს ხმა გადასცილდა საფრანგეთის საზღვრებს. მან გაჰკიცხა ყოველგვარი ტირანია, გამოამჟღავნა უსამართლობა. ვ. ჰიუგო იყო ყოველის უმეტესად დიდებული დემოკრატი, რომელსაც ასე სამართლიანად უყოდეს მომავალი ბრძენიდობიანობისა და სოციალური ჰარმონიის პოეტი[1].

1902 წლის თებერვალში ქართველმა საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა ვ. ჰიუგოს დაბადების ასი წლისთავი. ჟურნალ-გაზეთებმა გააშუქეს ვ. ჰიუგოს ცხოვრებისა და შემოქმედების საკითხები, განსაკუთრებით კი ვ. ჰიუგოს დემოკრატიზმი და ჰუმანიზმი.

ერთ-ერთ წერილში აღნიშნულია, რომ ვ. ჰიუგოს ძლიერ უყვარდა მუშათა წრეში ყოფნა და მათთან საუბარი; მისმა ღრმად კეთილი და ადამიანური გული კარგად ხედავდა ხალხის უბედურების მიზეზი ვინ იყო...[2]

კოტე ყიფიანმა ამ შესანიშნავ საიუბილეო თარიღს კარგი საჩუქარი მიუძღვნა: მთლიანად თარგმნა ქართულად ვ. ჰიუგოს დრამა „ტორკვემადა", რომელიც დაიბეჭდა 1902 წლის ჟურნალ „მოამბეში", რითაც მან ქართველ მკითხველს გააცნო „ტორკვემადა" როგორც ანტიკლერიკალური ხასიათის ნაწარმოები, რომელშიც ნაჩვენებია ეკლესიის უარყოფითი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მისი რეაქციული ბუნება.

1901 წლის თებერვალში ლადო მესხიშვილმა ქუთაისის თეატრში დადგა პიესად გადაკეთებული „საბრალონი". სპექტაკლში თეატრის წამყვანი ძალები მონაწილეობდნენ: ჟან ვალჟანის როლს ასრულებდა ლადო მესხიშვილი, კოზეტასას — ნუცა ჩ[illegible]ეიძე.

1905 წლის რევოლუციის დროს დიდი წარმატებით იდგმებოდა ქართულ სცენაზე — თბილისსა და ქუთაისში ვ. ჰიუგოს დრამა „რუი ბლაზი". მაყურებლები თეატრიდან გამოსვლისას რევოლუციურ სიმღერებს მღეროდნენ.

ვიქტორ ჰიუგოს პიროვნების, საზოგადოებრივი მოღვაწეობის, ცხოვრებისა და შემოქმედების ნამდვილი მეცნიერული შესწავლა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში განხორციელდა.

1935 წლის მაისში ქართველმა საზოგადოებამ ფართოდ აღნიშნა ვიქტორ ჰიუგოს გარდაცვალების ორმოცდაათი წლისთავი.

ჟურნალმა „მნათობმა" დაბეჭდა წერილი „ვიქტორ ჰიუგო" და ჰიუგოს ორი ლექსი „ნუ გძინავთ" თარგმანი ვ. გაფრინდაშვილისა და „რადგან იგრძნო ჩემმა ბაგემ" — თარგმანი გრ. ცეცხლაძისა.

ახალგაზრდობის ჟურნალი „ჩვენი თაობაც" გამოეხმაურა

---

1 ჟურნ. „მ ო ა მ ბ ე", 1902, № 8. 2 გაზ. „ი ვ ე რ ი ა", 1902, № 36.

_ვ. ჰიუგოს გარდაცვალების ორმოცდაათ წლისთავს. მასში გამო-
ქვეყნდა წერილი „ვიქტორ ჰიუგო“ და ჰიუგოს ორი ლექსი „ის
ლერწმებს შორის“ — თარგმანი გივი გაჩეჩილაძისა და „ღამის ოკეა-
ნე“ თარგმანი მიქელ პატარიძისა.

ამავე პერიოდში გამოქვეყნდა ქართულ ენაზე ვიქტორ ჰიუ-
გოს შესანიშნავი რომანები „ოთხმოცდაცამეტი“ თარგმანი ივ. მა-
ჭავარიანისა, და „კაცი, რომელიც იცინის“ თარგმანი ბაბილინასი.

რომანის „კაცი, რომელიც იცინის“ ქართულ თარგმანს წამ-
ძღვარებული აქვს შალვა თაბუკაშვილის წერილი ვიქტორ ჰუგოს
ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

პოეტმა ნოე ზომლეთელმა საუცხოო თარგმანი მოგვცა ვიქტორ
ჰიუგოს გახმაურებული ლექსისა „ბარიკადებზე“.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფრანგული ლიტერა-
ტურის მკვლევარმა მანანე მენაბდემ დაიცვა საკანდიდატო დისერ-
ტაცია თემაზე: „რეალისტური მომენტები ვიქტორ ჰიუგოს შემოქ-
მედებაში“. შრომის ცენტრში, ცხადია, წარმოდგენილია ვ. ჰიუგოს
რომანი „საბრალონი“.

გაზეთმა „კომუნისტმა“ ვ. ჰიუგოს გარდაცვალების ორმოც-
დაათი წლის თავზე გამოაქვეყნა ჩვენი ცნობილი მწერლისა და სა-
ზოგადო მოღვაწის შალვა დადიანის წერილი „ვიქტორ ჰიუგო“.

შალვა დადიანი აღნიშნავდა, რომ მისი მამის სახლში ხშირად
ისმოდა ჰიუგოს სახელი. „ცოტა რომ წამოვიზარდე — წერს ის, და
ქართული კითხვა შევძელი, მამას წიგნებში წავაწყდი ილია ჭავჭა-
ვაძის ჟურნალ „საქართველოს მოამბეს“ და შიგ, სხვათა შორის,
ძველი მწერლის გ. ჩიქოვანის მიერ ნათარგმნ ვიქტორ ჰიუგოს რო-
მანს „საბრალონი“.

გადავიკითხე
ო, როგორ გამიტაცა.
და ამიტომ გადავიკითხე კი არა... გადავყლაპე.

მხოლოდ... თარგმანი არ იყო დასრულებული, მგონი მხოლოდ
პირველი ნაწილი იყო გადათარგმნილი და უნდა წარმოიდგინოთ ჩე-
მი აწრიალება, რა შეწუხებული ვიყავი.

მამას ვეკითხებოდი, ყველას ვაწუხებდი, ეამბნათ ჩემთვის ჟან
ვალჟანის შემდეგი თავგადასავალი, კოზეტას ბედი. ესენი ხომ ჩემი
საყვარელი გმირები იყვნენ, ამ რომანში ახლო გაცნობილნი.

და აი თითქო თვით ვიქტორ ჰიუგოსაც გავუშინაურდი ბავშ-
ვობიდან

ამ ჩემთვის საყვარელი მწერლის ნაწარმოებს, თუ რასმე ჩა-
ვიგდებდი ხელში, არ ვტოვებდი, რომ აღფრთოვანებით არ გა-
დამეკითხა.

დამიპყრო ამ კაცმა, დიდხანს ვიყავი მისი ტყვე. და აი მის დრამებში ჩვენს სცენაზე მეც შემისრულებია როლები „ერნანსა", „ბრუი-ბლაზში" და პიესად გადმოკეთებულ — „ჟან-ვალჟანში".

მხოლოდ ამ კაცით მოხიბლული ცოტა უკმაყოფილო ვიყავი მამაჩემისა, როდესაც მამა ზოგჯერ ჰკიცხავდა ვიქტორ ჰიუგოს: პოლიტიკურ მრწამსს ხშირად იცვლიდაო.

არ გავყევ ამ გაკილვას, თვით მამაჩემისაგან თქმულს და გულს შევინახე ჰიუგოს სიყვარული.

მან კი რა მაჩუქა სამაგიეროდ. ამ შორეულმა, მაგრამ ჩემს წარმოდგენაში თითქო მახლობელმა გიგანტმა. — დიდი სურვილი, რომ მასავე ლაპიდარულად მეწერა. შეკუმშული ფრაზა, მეტაფორა ანასხლეტი.

ცხადია, მე კიდევ ვჯახირობ დიდი კაცისაგან გაბრიყვებული, მაგრამ თუ რამ კარგი შესდგამს ჩემს ფრაზას გამომქლავნებია ამ პონაქცევზე, ეს ამ დიდი მწერლის საფრანგეთის გენიოსის უზარმაზარი გავლენაა.

და აი, საჯაროდ, ტკბილად ვიგონებ ჩემს სიპაბუკის დიდკუმირს — ვიქტორ ჰიუგოს"[1].

1948 წელს ცალკე გამოქვეყნდა „გაეროში" („საბრალონიანი"). თარგმანი ეკუთვნის ირ. ქავჟარაძეს.

1951 წელს გამოქვეყნდა ჩვენი მონოგრაფია „ვიქტორ ჰიუგო" (ცხოვრება და შემოქმედება).

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით 1952 წელს მთელა ქვეყნის მოწინავე პროგრესულმა ხალხებმა დიდი ზეიმით აღნიშნეს ვიქტორ ჰიუგოს დაბადების 150 წლისთავი.

ამ ზეიმმა განსაკუთრებულად ფართო ხასიათი მიიღო საბჭოთა კავშირში, კერძოდ საქართველოში. ქართული საზოგადოებრიობა დიდი ინტერესითა და სიყვარულით შეხვდა ამ შესანიშნავ საიუბილეო თარიღს.

გამოქვეყნდა წერილები: შ. რევიშვილისა — „დიდი ფრანგი მწერალი" — „ზარია ვოსტოკაში", მ. კვესელავასი — „მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის მქადაგებელი" — „ნორჩ ლენინელში", ვ. ჭელიძისა — „ვიქტორ ჰიუგო" — „სახალხო განათლებაში", ა. საჯაიასი — „ვიქტორ ჰიუგო" — „ლიტერატურა და ხელოვნებაში" და ჩვენი წერილები „მნათობსა" და „კომუნისტში".

ეს შრომები შეიცავენ ახალ, საინტერესო მასალებს (მეტ-ნაკლებად) ვიქტორ ჰიუგოს ცხოვრების, მოღვაწეობისა და შემოქმედების შესახებ.

---

[1] შ ა ლ ვ ა დ ა დ ი ა ნ ი. ჩემი მარაო, 1948, გვ. 58—69.

1953 წელს შოთა რევიშვილმა გამოსცა წიგნი „საზღვარგარეთული ლიტერატურა", რომელშიც დიდი ადგილი აქვს დათმობილი ვიქტორ ჰიუგოს ცხოვრების, მოღვაწეობისა და შემოქმედების გარჩევას. ავტორი ცალკე თავს მიუძღვნის ვ. ჰიუგოს რომანის „საბრალონის" ლიტერატურულ-კრიტიკულ ანალიზს.

1960 წელს გამოქვეყნდა ჩვენი ფრანგული ლიტერატურის ნარკვევების კრებული „ფრანგი მწერლები", რომელშიც ვრცლადაა გარჩეული ვიქტორ ჰიუგოს შემოქმედებითი გზის ეტაპები.

ქართულ საბჭოთა კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1963 წელს „საბრალონის" მთლიანი ტექსტის გამოცემა ორ დიდ ტომად, თარგმანი შესრულებულია ივანე მაჭავარიანის მიერ.

ამ გამოცემამ დიდად გაახარა ქართველი მკითხველი. მიუხედავად იმისა, რომ წიგნის ტირაჟი იყო 30.000 ეგზემპლარი, იგი სულ მოკლე დროში გაიყიდა.

წარმატებით დაიდგა ქართულ სცენაზე ვიქტორ ჰიუგოს დრამები: „ანეელო" (1958 წ.) და „მარია ტიუდორი" (1969 წ.).

პოეტმა კონსტანტინე ჭიჭინაძემ გამოაქვეყნა თავისი თარგმანი ვიქტორ ჰიუგოს ლექსისა „უკანასკნელი სიტყვა", ხოლო პოეტმა ხუტა ბერულავამ — „მე კიდევ გეტყვით ორ სიტყვას მხოლოდ".

ახლებურად გაისმის ჩვენს დროშიც ხალხის მგოსნის, პოეტთა უგვირგვინო მეფის ვიქტორ ჰიუგოს მგზნებარე სიტყვები პოეტ ხუტა ბერულავას თარგმანში:

„მე ვიცი, პოეტს უფლება აქვს ხელი ამართოს
და ყველა მეფე ერთი სიტყვით გაასამართლოს.
ლექსი, როდესაც აღშფოთებულ გულში იგრგვინებს
ძაღლის საყელოდ გადააქცევს მეფის გვირგვინებს.
ჭირცხვილის დამღით ყველა მაცდურ მტერს შეაჩვენებს...
შის მრისხანებას ვერაფერი ვერ შაჩერებს...
ღიახ, როს ლექსი ხალხის ტკივილს ესალბუნება,
მყის მავიწყდება მე ოჯახი, ტრფობა, ბუნება,
და... იბადება ყოველის შემძლე და ბედნიერი
სიტყვა მართალი, სიტყვა წმინდა, სიტყვა ძლიერი"[1].

აი ამ „ყოვლისშემძლე, ბედნიერი, მართალი, წმინდა სიტყვით", თავისი უკვდავი მხატერული შემოქმედებით, თავისი მარადიული სიცოცხლით მოვიდა ვიქტორ ჰიუგო შოთა რუსთაველის სამშობლოში. ქართველმა ერმა დიდად დააფასა იგი, შეიყვარა და შეიტკბო.

---

[1] ხუტა ბერულავა, რჩეული თარგმანები, თბილისი, 1955 წ., გვ. 11.

ქართველი ხალხისათვის ახლაც გულში ჩამწვდომია გამოჩენილი ფრანგი პოეტის ლეკონტ დე ლილის მიერ ვიქტორ ჰიუგოს საფლავზე წარმოთქმული სიტყვა: „ჩვენ მუხლს ვიდრეკთ მამაშვილური სიამაყის გრძნობით უდიდესი პოეტის წინაშე, იმის წინაშე, ვისი გენიაც ჩვენთვის იყო და მუდამ იქნება უკვდავი სილამაზის ელვარე შუქურა.

მშვიდობით, ძვირფასო და საყვარელო მასწავლებელო, საფრანგეთის, რესპუბლიკისა და კაცობრიობის სინდისო“.

ფრედერიკ სტენდალი

(1783—1842)

Первое. что делает Стендаля необыкновенно интересным, это как раз то, что один из самых мощных корней, питающих его гений, есть революционное сознание великих десятилетий общественных бурь, пережитых францией.

А. В. Луначарский.

სტენდალი ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელია XIX საუკუნის ფრანგული კრიტიკული რეალიზმისა. გასული საუკუნის 20-იანი წლების ფრანგულ ლიტერატურაში გაჩაღებული ბრძოლა წარმოებდა ლიტერატურულ მიმართულებათა შორის; ამ ბრძოლის აქტიური მონაწილე იყო სტენდალი. ის თავგამოდებით მოითხოვდა საზოგადოებრივი ცხოვრების სიმართლით ასახვას. მან დიდი როლი შეასრულა კრიტიკული რეალიზმის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში.

მაქსიმ გორკი გატაცებით კითხულობდა სტენდალის ნაწარმოებებს. თვლიდა მას მხატვრული სიტყვის უდიდეს ოსტატად. მაქსიმ გორკი ყველას ურჩევდა სტენდალის რომანების კითხვას, რომ ესწავლათ მისგან ბურჟუაზიული საზოგადოებისადმი სიძულვილი.

მწერლის ნამდვილი სახელი და გვარია ანრი ბეილი. ამ დიდ ფრანგ მწერალს სტენდალის ფსევდონიმით იცნობს მკითხველი საზოგადოებრიობა.

სტენდალი დაიბადა 1783 წლის 23 იანვარს საფრანგეთის პროვინციულ ქალაქ გრენობლში, იურისტის ოჯახში. რვა წლის სტენდალს დედა გარდაეცვალა. მან ძლიერ განიცადა ეს მძიმე დანაკლისი, მომავალ დიდ მწერალს არასოდეს დავიწყებია დედის ნათელი სახე. ახალგაზრდობის წლებში სტენდალი გატაცებული იყო მეთვრამეტე საუკუნის ფრანგ განმანათლებელთა ნაწარმოებებით, საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციით, მას იზიდავდა იაკობინელთა მებრძოლი სახეები. სტენდალის პიროვნების, მისი აზროვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებას დიდად შეუწყო ხელი

მისმა ბაბუამ (დედის მხრივ) ანრი განიონმა, რომლის ოჯახში იგი იზრდებოდა და რომელიც ფართოდ განათლებული პიროვნება და ცნობილი ექიმი იყო. სტენდალის მამა კი თავის თავში ჩაკეტილი და გულცივი ადამიანი, შვილებს ყურადღებას არ აქცევდა. სტენდალსა და მის მამას შორის სიძულვილი ჩამოვარდა.

1796 წელს სტენდალი შევიდა გრენობლის „ცენტრალურ სკოლაში", სადაც სწავლობდა 1799 წლამდე. იგი უფრო მათემატიკურ საგნებს დაეწაფა. საშუალო სკოლა მან წარჩინებით დაამთავრა და გაემგზავრა პარიზში პოლიტექნიკურ სასწავლებელში შესასვლელად. ამ პერიოდში სტენდალი გატაცებულია ნაპოლეონის სამხედრო ნიჭითა და უნარით. იგი პარიზში, ჯერ სამხედრო სამინისტროში მოეწყო, შემდეგ კი სამხედრო სამსახურში გადავიდა. როგორც დრაგუნის ოფიცერი, მონაწილეობს ნაპოლეონის არმიის სხვადასხვა ლაშქრობაში.

რევოლუციური იდეებით აღფრთოვანებულ სტენდალს მამასთან კიდევ უფრო სერიოზული კონფლიქტი მოუვიდა, რის გამოც სტენდალი პარიზში გადავიდა საცხოვრებლად. იგი პარიზში ცხოვრების დროს ეკონომიურ ხელმოკლეობას განიცდიდა; ის გატაცებით კითხულობდა მონტენს, მონტესკიეს, ჰელვეციუსს, დიდროს თხზულებებს და ასწავლიდა ინგლისურ ენას.

1806 წელს სტენდალი კვლავ სამხედრო სამსახურშია ნაპოლეონის არმიაში, პრუსიისა და ავსტრიის წინააღმდეგ. სამსახურებრივი მოვალეობის გამო სტენდალი მოგზაურობს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მონაწილეობს ნაპოლეონის არმიის ლაშქრობებში.

სტენდალის დამოკიდებულება ნაპოლეონისადმი წინააღმდეგობრივია. ის თაყვანს სცემდა და ადიდებდა ნაპოლეონს მანამდე, სანამ მასში ხედავდა რევოლუციის საქმის გამგრძობს ევროპაში, ხოლო როცა დარწმუნდა ნაპოლეონის დამპყრობლურ მიზნებში, სტენდალმა აღარ მოისურვა მის არმიაში დარჩენა, ზურგი შეაქცია ნაპოლეონს და დასახლდა მილანოში, სადაც მან გაატარა 7 წელიწადი (1814—1821 წწ.).

ამ დროს იტალიაში ღვივდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ამ მოძრაობის წარმომადგენლებს კარბონარიებს („მენახშირეებს") უწოდებდნენ; მათ მიზნად ჰქონდათ დასახული იტალიის განთავისუფლება ავსტრიისაგან; სტენდალი დაუკავშირდა კარბონარიებს და მათთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა ნაციონალურ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში. ამ თემას მიუძღვნა სტენდალმა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობა „ვანინა ვანინი". ამავე პერიოდს ეკუთვნის სტენდალის წიგნები „ცხოვრება

ჰაიდნისა, მოცარტისა და მეტასტაზიოსი", „იტალიური მხატვრობის ისტორია", „რომი, ნეაპოლი და ფლორენცია".

1821 წელს ავსტრიის მთავრობამ ეჭვი მიიტანა სტენდალზე, როგორც კარბონარიზმის აქტიურ მონაწილეზე, მან ეს გაიგო და იძულებული გახდა დაეტოვებინა მილანო და გამგზავრებულიყო პარიზში. აქ სტენდალმა გაიცნო 18 წლის პროსპერ მერიმე. მერიმეს შესახებ სტენდალი წერდა, — რომ იგი იყო თავისებური სახის ჰაბუკი, ნაცრისფერ ტანისამოსში გამოწყობილი, რომელიც ჩემი საუკეთესო მეგობარი გახდაო. პარიზში სტენდალი ფრიად ნაყოფიერ საზოგადოებრივ და ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწევა. სტენდალის ამ პერიოდის ნაწარმოებებში აშკარად ჩანს სიძულვილი ბურბონებისადმი, ხოლო ღრმა სიყვარული ხალხისადმი. იგი წერს ტრაქტატს „სიყვარულის შესახებ", ნაშრომებს ესთეტიკის საკითხებზე: „რასინი და შექსპირი", „ცხოვრება როსინისა". 1827 წელს აქვეყნებს თავის პირველ რომანს „არმანსს", 1830 წელს „წითელსა და შავს".

1830 წლის ივლისის რევოლუციის შემდეგ სტენდალი — სახელიკი მოძულე ივლისის მონარქიისა — ტოვებს პარიზს და გადადის საცხოვრებლად იტალიაში. სტენდალი ოცნებობს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რესპუბლიკაზე; ის ჯერ საფრანგეთის კონსულია ტრიესტში, შემდეგ კი ჩივიტა-ვეკიაში.

სტენდალის კალამს ეკუთვნის აგრეთვე „ეგოტისტის მოგონებანი", „ცხოვრება ანრი ბრიულარისა", „ლუსიენ ლეუენი", ანუ წითელი და თეთრი" (ეს რომანი დაუმთავრებელია) და „იტალიური ქრონიკები", რომანი „პარმის სავანე" და სხვა.

1841 წლის დასასრულს სტენდალი იტალიიდან პარიზში დაბრუნდა, ამ დროს ის უკვე დაავადებული იყო ნეკრესის ქარებით და სახსრების ანთებით, ამის შემდეგ მას დიდხანს აღარ უცოცხლია. 1842 წლის 22 მარტს სტენდალს, პარიზის ერთ-ერთ ქუჩაზე დაშვება დაეცა და გარდაიცვალა.

სტენდალი დაკრძალეს მონმარტრის სასაფლაოზე. მის კუბოს ოთხი კაცი მიაცილებდა. მათ შორის იყვნენ სტენდალის ახლო მეგობარი და თაყვანისმცემელი პროსპერ მერიმე და ალექსანდრე ივანეს-ძე ტურგენევი. არც ერთ მათგანს სიტყვა არ წარმოუთქვამს. გაზეთებში გამოქვეყნდა პატარა ცნობა, ისიც მცდარი, ვინმე გერმანელი მელექსის ფრედერიკ შტინდეხლის გარდაცვალების შესახებ.

ფრიად საგულისხმო ფაქტია, რომ სტენდალის ანდერძის თანახმად მისი საფლავის ქვას ასეთი წარწერა ამშვენებს იტალიურენაზე: „აქ განისვენებს მილანოელი მოქალაქე ანრიგო ბეილი. ცხოვრობდა, წერდა, უყვარდა".

სტენდალი საფუძვლიანად გაეცნო ფრანგ განმანათლებელთა იდეებს, გაეაკუთრებით კი ჰელვეციუსის, დიდროს, კონდილიაკის და კაბანისის შეხედულებებს. ის ძალიან შეფასებას აძლევდა ჰელვეციუსის წიგნს „სულის შესახებ“ და განიცდიდა მის ძლიერ გავლენას. განმანათლებელთა შეხედულებებში სტენდალს იზიდავდა ბურჟუაზიულ-რევოლუციური იდეები, რაც აშკარა გალაშქრება იყო ძველი ფეოდალური ურთიერთობის წინააღმდეგ.

სტენდალმა წამოაყენა საზოგადოებრივი ცხოვრების სინამდვილის რეალისტური ასახვის პრინციპი, რომლის მიხედვითაც ნატერული შემოქმედება უნდა იყოს ცხოვრების სარკე, ის მოითხოვს ცხოვრების რეალისტურად ასახვას, ე. ი. ცხოვრების სინამდვილის მატერულ ასახვას. ყოველივე ეს, სტენდალის შეხედვით, დაფუძნებული უნდა იყოს მწერლის ბუნებრიობასა და გულწრფელობაზე.

სტენდალმა იცის, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობაში ადამიანის ქცევა რთული პროცესია. მისთვის ადამიანი რაღაც მანქანა კი არ არის, არამედ მუდამ მოქმედი, ცოცხალი, მებრძოლი არსებაა, რომელიც ღელავს, განიცდის, უყვარს, იბრძვის, იღწვის და სხვა.

სტენდალმა კლასიციზმს რომანტიზმი დაუპირისპირა. როდესაც ის რომანტიზმს განმარტავს, ჩვენ აშკარად ვგრძნობთ, რომ ეს არის რეალიზმის განმარტება. სტენდალი რასინსა და შექსპირს ადარებს ერთმანეთს და უპირატესობას აძლევს შექსპირის რეალიზმს. ის ნამდვილ მწერალს მებრძოლ ჯარისკაცს უწოდებდა. მწერლისაგან მოითხოვდა სიმართლეს და სინამდვილის ასახვას. სტენდალს უყვარდა გამოთქმა: „მე არ ვკიცხავ, არც ვაქებ, მე ვუკვირდები“.

სტენდალის შეხედულებით ადამიანი თავისი ბუნებით ტანჯვას გაურბის და სიამოვნებისაკენ ილტვის. პირადი ბედნიერებისაკენ სწრაფვა ადამიანის ნამდვილი და ბუნებრივი მოთხოვნილებაა. საზოგადოებრივი ცხოვრების მამოძრავებელი ძალა ადამიანური ვნება, სტიქია, მისწრაფებაა; სტენდალის აზრით სწორედ ამას უნდა ადევნოს თვალყური მწერალმა და საფუძვლიანად შეისწავლოს იგი, რადგანაც ხელოვნება არის სინამდვილის ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური გამოხატულება, ჭეშმარიტი მწერალი უნდა იყოს ფსიქოლოგი და ამავე დროს ფილოსოფოსიც, მხატერის შემოქმედებით პროცესში მთავარი და გადამწყვეტია ადამიანის აზრისა და გულის ცოდნა. სტენდალი ამბობს: „მე არასოდეს მხატვარი მოაზროვნისაგან არ გამომიყვია, მე არ შემიძლია მხატვრული ფორმა მხატვრულ აზრს გამოვთიშო“.

სტენდალი გაბედულად აყენებს ხელოვნების უტილიტარული

დანიშნულების პრინციპს. ის იბრძვის თანამედროვეობის მხატვრული ასახვისათვის. სტენდალი აცხადებს: „ჩვენ გვესაჭიროება არა ისეთი ლიტერატურა, რომელიც შექმნილია სასახლისათვის, არამედ ისეთი, რომელიც შექმნილია ხალხისათვის“.

სტენდალის შემოქმედება ღრმად ხალხურია. მას სწამდა, რომ ხალხში არის დაუშრეტელი ენერგია, დიდი შემოქმედებითი ძალები, რომ სწორედ გენია ხალხშია, როგორც ნაპერწკალი ქაჯში. მისი აზრით მწერლის ესთეტიკური, იდეური სამყარო უნდა იყოს ფართო და თავისუფალი.

მწერლის პირველი რომანი, რომელშიაც დაპირისპირებულია არისტოკრატიული და ბურჟუაზიული ურთიერთობანი, არის „არმანსი ანუ 1827 წლის პარიზის ცხოვრების სცენები“, ნაწარმოების გმირების, ოქტავ დე მალიეერისა და არმანს ზოილოვას ცხოვრების ურთიერთობის ფონზე, იგი გვიჩვენებს იმდროინდელი ფრანგი ახალგაზრდობის ინტელექტუალურ ცხოვრებას.

ოქტავ დე მალიეერის ოცნებები და გატაცებანი ზედიზედ იმსხვრევიან რესტავრაციის ეპოქაში. ის ადგილს ვერ პოულობს ამ დროის საზოგადოებაში. ამას თან ერთვის მარცხი არმანსთან სიყვარულში. ყოველივე ამან განაპირობა მალიეერის ტრაგედია.

სტენდალის ყველაზე ცნობილი რომანია „წითელი და შავი“, რომელმაც მას დიდი სახელი მოუხვეჭა.

„წითელი და შავი“ ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია იმისა, თუ რა ღრმად იცოდა სტენდალმა ცხოვრება, თუ როგორ საფუძვლიანად და ზედმიწევნით სწავლობდა იგი ნამდვილად მომხდარ, ნამდვილად არსებულ ფაქტებსა და მოვლენებს. ამ რომანის სიუჟეტის შექმნაში გარკვეული როლი შეასრულა ანტუან ბერტეს სასამართლო პროცესმა, რომელიც გაიმართა მწერლის მშობლიურ ქალაქ გრენობოლში და რომლის შესახებაც ქრონიკა გამოქვეყნდა 1827 წლის 15 სექტემბერს „სასამართლოს გაზეთში“. სტენდალმა გულმოდგინედ წაიკითხა ამ გაზეთის ყველა ნომერი მისი დაარსების დღიდან და ის განსაკუთრებით დაინტერესდა სწორედ ანტუან ბერტეს ცხოვრების ისტორიით.

ანტუან ბერტეს სასამართლო პროცესის მოკლე შინაარსი ასეთია: ანტუან ბერტე არის ღარიბი ხელოსნის შვილი. იგი თავისი ნიჭითა და უნარით ყველასაგან განირჩევა. სოფლის მღვდელი, რომელიც ბერტეს ასწავლის, აძლევს მას რეკომენდაციას სასულიერო სემინარიაში შესასვლელად. ბერტე სასულიერო სემინარიაში დიდხანს ვერ ჩერდება, ანებებს მას თავს და იწყებს მასწავლებლობას ქალბატონ მიშუს ოჯახში. გაიელის რამდენიმე ხანი და ბერტესა და მიშუს ერთმანეთი შეუყვარდებათ. მათი ურთიერთობა ისეთ ხა-

სიათს მიიღებს, რომ ბერტეს აძევებენ ქალბატონ მიშუს სახლიდან. ის მიდის სხვა ქალაქში და შედის სასულიერო სემინარიაში. აქედან ის შემდეგ სხვა სემინარიაში გადადის, ამ დროის განმავლობაში ქალბატონი მიშუ და ბერტე ერთმანეთს სასიყვარულო წერილებს სწერენ. ბოლოს ბერტე მოხვდება მდიდარ კარდონის ოჯახში, როგორც მასწავლებელი. აქ ბერტესა და მდიდარ კარდონის ქალიშვილს ერთმანეთი შეუყვარდებათ. ქალბატონი მიშუ გაიგებს ყოველივე ამას და გამოააშკარავებს ბერტეს წარსულს. ბერტეს კარდონის ოჯახიდან დაითხოვენ. ის გადაწყვეტს მოჰკლას ქალბატონი მიშუ, რომელმაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა მის კარიერას, ამ მიზნით ბერტე ეკლესიაში დამბაჩას ესვრის ჯერ ქალბატონ მიშუს და დასჭრის მას, შემდეგ თავის თავს. ორივე გადარჩება სიკვდილს, მაგრამ ბერტეს აპატიმრებენ და სიკვდილით დასჯას გადაუწყვეტენ.

სტენდალმა ისარგებლა ამ მასალით, ოსტატურად გამოიყენა იგი და შექმნა უკვდავი მხატვრული ნაწარმოები. მან დახატა რესტავრაციის ეპოქის ფართო სურათი, გამოააშკარავა იმ დროის სოციალური და პოლიტიკური მანკიერებანი, ახალგაზრდა, ბუნებით ნიჭიერი და კეთილშობილური ადამიანების ცხოვრების ტრაგედია.

რომანის — „წითელი და შავის" მთავარი გმირი არის ჟიულიენ სორელი. იგი საზოგადოების დაბალი ფენიდანაა, ღარიბი გლეხის შვილია. ჟიულიენი ყველასაგან გამოირჩევა თავისი ნიჭით, ენერგიით და ცოდნის შეძენისაკენ მისწრაფებით.

ამაყი და პატივმოყვარე ჟიულიენ სორელი მოხვდება ქალაქ ვერიერის მერის ბატონ დე რენალის ოჯახში, როგორც მასწავლებელი, ჟიულენი ასწავლის ქალბატონ დე რენალის შვილებს. ქალბატონ დე რენალსა და ჟიულიენ სორელს ერთმანეთი შეუყვარდებათ, ეს სიყვარული ისე ძლიერდება, რომ მათ უერთმანეთოდ ცხოვრება ვეღარ წარმოუდგენიათ. ჟიულიენ სორელი ოცნებობს ბედნიერებასა და თავისუფლებაზე, ცდილობს ქალბატონი დე რენალი გამოიყენოს თავისი კარიერის მოსაპოვებლად.

ჟიულიენ სორელისა და ქალბატონ დე რენალის სიყვარულის ამბები გამომჟღავნდა, ჟიულიენი იძულებული გახდა დაეტოვებინა ბატონ დე რენალის სახლი და მისი საყვარელი ადამიანი ქალბატონი დე რენალი. ჟიულიენი მიდის ბეზანსონში და შედის სასულიერო სემინარიაში.

შემდეგ ჟიულიენ სორელს ვხედავთ პარიზში. ის აქ უახლოვდება მარკიზ დე ლა მოლს, რომელიც მას თავისთან მიიწვევს, მარკიზ დე ლა მოლის ოჯახში ჟიულიენ სორელი გაიცნობს მის ამაყსა და თავისებურ ქალიშვილს მატილდას. ჟიულიენ სორელსა და მატილდა დე ლა მოლს შორის რომანი გაჩაღდება. როცა საქმე

ჭორწინებამდე მიეა, ქალბატონი დე რენალისაგან ბატონ დე ლა მოლს მოსდის წერილი (იგი მას სორელის მტრებმა პროვინციელმა მოშურნეებმა დააწერინეს), რომელშიც გამოაშკარავებულია ჟიულიენ სორელის წარსული.

ჟიულიენ სორელი მიდის ვერიერში და ეკლესიაში ლოცვის დროს დამბაჩას ესვრის ქალბატონ დე რენალს და დაჭრის მას. ჟიულიენ სორელს აპატიმრებენ, სასამართლოს გადაწყვეტილებით მას თავს კვეთენ.

მწერალი ჟიულიენ სორელის ცხოვრების ისტორიის ფონზე გვიჩვენებს რესტავრაციის ეპოქის საფრანგეთის საზოგადოების ცხოვრებას — გლეხობას, პროვინციულ თავადაზნაურობას, ბურჟუაზიასა და ქალაქის არისტოკრატიას. მის მახვილ თვალს არაფერი არ რჩება მხედველობიდან.

საფრანგეთის ქალაქ ვერიერის მერი ბატონი დე რენალი და „ღარიბთა თავშესაფარის" დირექტორი ბატონი ვალნო გაუმაძღარი ბურჟუები არიან. მათი ცხოვრება აღსავსეა ფარისეველობით, მატყუარობით, ცბიერებით, სტენდალს ისინი სძულს.

რესტავრაციის ეპოქაში სტენდალი ააშკარავებს სამღვდელოების რეაქციულ როლს. რაც შეეხება სასულიერო სემინარიის რექტორს, აბატ პირარს, ის იანსენისტია და განსხვავდება სხვებისაგან: იგი ოპოზიციაში უდგას კათოლიკურ ეკლესიას.

ჟიულიენ სორელი პირდაპირი და პრინციპულია. ასეთი რამ არ გააჩნიათ ბატონ დე რენალს, ვალნოსა და მარკიზ დე ლა მოლს. ჟიულიენ სორელი გამოხატავს ზოგჯერ ბურჟუაზიულად შეზღუდულ, მაგრამ მაინც რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებს. იგი „იმავე მასალისაგან არის შექმნილი, რომლიდანაც 1793 წლის ტიტანები". ჟიულიენ სორელს მიუხედავად იმისა, რომ ის პლებეია, მაინც ამჩნევია ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმის ზოგიერთი ნიშანი, ყოველივე ამან კი, ის მიიყვანა ნაპოლეონის კულტამდე. მისი ადრინდელი რწმენით მხოლოდ ნაპოლეონის დროს შეიძლებოდა დაწინაურებულიყო. შემდეგ ჟიულიენ სორელი რწმუნდება, რომ ნაპოლეონისადმი მიბაძვას არ მოაქვს მაინც და მაინც კარგი შედეგი, ამიტომ საჭიროა სხვა, დამოუკიდებელი გზის არჩევა და ბრძოლა ბედნიერებისა და თავისუფლებისათვის.

რესტავრაციის ეპოქაში ჟიულიენ სორელსა და საზოგადოებას შორის კონფლიქტს მწვავე ხასიათი აქვს. ჟიულიენი უპირისპირდება ამ საზოგადოებას, ებრძვის მას, მაგრამ ეს არაა ბრძოლა „კოლექტივის", „მასის". ესაა ბრძოლა „პიროვნების", „ინდივიდის". ის თითქმის განმარტოებულია. ჟიულიენ სორელს მისი გარემო წრე, ბატონ დე რენალისი, ვალნოსა და მარკიზ დე ლა მოლის სა-

ზოგადოება გზას უღობავს, კარს უკეტავს, გასაქანს არ აძლევს, ცდილობს ჩაახშოს ამ დიდბუნებოვან ახალგაზრდაში ყოველივე, რაც მას დიდებისა და სახელისაკენ მიაქანებს — ისინი მიზანს აღწევენ, ფიზიკურად ანადგურებენ ჟიულიენ სორელს, მაგრამ ჟიულიენ სორელი ინტელექტუალურად, მორალურად მათზე მაღლა დგას, მათზე იმარჯვებს, ის არ აცხადებს კაპიტულაციას. ბრძოლა კვლავ გრძელდება. ამ მხრივ შესანიშნავია ჟიულიენ სორელის სიტყვა სასამართლო პროცესზე. „მე მაიძულებს შიში ვილაპარაკო ზიზღის წინაშე. თუმცა იმედი მქონდა, რომ მას დავძლევდი სიკვდილის წუთში. ბატონებო, მე ბედნიერება არ მაქვს თქვენს კლასს ვეკუთვნოდე, თქვენს წინაშე სდგას გლეხი, რომელიც აუჯანყდა თავის დაბალ მდგომარეობას. „მე თქვენ არაფითარ შებრალებას არ გთხოვთ... მე სიკვდილი მელის; ის დამსახურებულიც მაქვს... თუნდაც ნაკლებ დამნაშავე ვყოფილიყავი, თქვენ უკან არ დაიხევდით და სიბრალულს არ გამოიჩენდით ჩემი ახალგაზრდობისადმი. თქვენ ჩემს დასჯას მოისურვებდით, რათა სამუდამოდ ამაღლების სურვილი წაგერთმიათ იმ ჰაბუკებისათვის, რომელნიც დაბალ კლასში არიან დაბადებული, დაჩაგრული არიან სიღატაკის მიერ, რაღაც ბედათ კარგი აღზრდა მიუღიათ და გამბედაობა შესწევთ იმ წრეს შეერიონ, რომელსაც მდიდარი ადამიანების ქედმაღლობა კარგ საზოგადოებას უწოდებს.

აი ჩემი დანაშაული, ბატონებო, ის დაისჯება მით მეტის სიმკაცრით, რომ ფაქტიურად ჩემი თანასწორნი როდი მასამართლებენ; მე ნაფიც მსაჯულთა სკამებზე ვერ ვხედავ ვერც ერთ გამდიდრებულ გლეხს, აქ მხოლოდ აღშფოთებული ბურჟუები სხედხართ“.[1]

რომანის ფინალში აშკარად ჩანს ჟიულიენ სორელის რევოლუციური პროტესტი იმდროინდელი საზოგადოების ურთიერთობის წინააღმდეგ. მის ამაყ განცხადებაში ნათლად იგრძნობა გმირი, რომელიც არ მერყეობს, არ ღალატობს თავის პრინციპებს, არ უშინდება სიკვდილს და გამანადგურებელი სიტყვებით მიმართავს გაბატონებულ წრეებს. რომანი „წითელი და შავი“ როგორც მაქსიმ გორკი ამბობდა, „გვასწავლის ბურჟუაზიული საზოგადოებისადმი სიძულვილს“.

რომანის სათაურში — „წითელი და შავი“ — ავტორი გულისხმობს რესტავრაციის პერიოდის გამწვავებულ სოციალურ ბრძოლას, რომელიც თავის გავლენას ახდენს იდეოლოგიურ ბრძო-

---

1 „წითელი და შავი“, ტ. 2, თბილისი, გვ. 257. თარგმანი ფრანგულიდან გ. ჭონტი ჭიჭოძისა.

ლაზე, ამისდა შესაბამისად სტენდალი წითლით გამოხატავს განმანათლებლურ-რევოლუციურ იდეოლოგიას, შავით კი — ბურბონთა დინასტიას. წითელი და შავი ზოლია გავლებული არა მხოლოდ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არამედ ისეთი ძლიერ პიროვნებაშიც როგორც ჟიულიენ სორელია. ის ჯერ ნაპოლეონითა და რევოლუციითაა გატაცებული, ე. ი. წითლით, შემდეგ კი ეკლესიითა და მონასტრით, ე. ი. შავით. ჟიულიენ სორელის ცხოვრება ჯერ ალმავალი ხაზით მიდის (სიყვარული, სიდიადე, წარმატება) შემდეგ დალმავალი ხაზით (მკვლელობა, დაცემა, სიკვდილი). საბოლოოდ ჟიულიენ სორელს წითლით მოსილი გზა სწამს, ე. ი. რევოლუციური გზა.

სტენდალის შემდეგი რომანია „ლუსიენ ლევენი" („წითელი და თეთრი"). იგი მწერალს დაუმთავრებელი დარჩა. ამ რომანში სტენდალი იელისის მონარქიას აკრიტიკებს. ის წითელს (რევოლუციას) უპირისპირებს თეთრს (იელისის მონარქიას). აქ სტენდალმა ძლიერად ამხილა იელისის მონარქიის დროს გავრცელებული მექრთამეობა, ანტიხალხურობა, მატყუარობა, ცინიზმი, მთლიანად იელისის მონარქია.

ლუსიენ ლევენი მილიონერის შვილია, იგი თავისებური ახალგაზრდაა, გამოირჩევა იმ სოციალური წრისაგან, რომელსაც ის ეკუთვნის, იგი უანგარო და კეთილია, მაგრამ მისთვის უცხოა ის გმირული სულისკვეთება და რევოლუციური პათოსი, რომლითაც აღსავსეა ჟიულიენ სორელი. ლუსიენ ლევენს პოლიტექნიკური სასწავლებლიდან აძევებენ რესპუბლიკური იდეების თანაგრძნობისათვის. ის ჯერ ქალაქ ნანსშია, სამხედრო სამსახურში, სადაც მას რომანი აქვს ქალბატონ შედლესთან. ამის შემდეგ ლუსიენ ლევენს პარიზში ვხედავთ შინაგან საქმეთა სამინისტროში. რომანის ეს ნაწილი იმითაა აღსანიშნავი, რომ მწერალი ხატავს საფრანგეთის დედაქალაქის ცხოვრებას, გამყიდველობას, კაპიტალის ბატონობას. ასეთ სულისშემხუთველ ატმოსფეროში ზედიზედ იმსხვრევიან ლუსიენ ლევენის ოცნებები. ის ამაოდ ფიქრობს იელისის მონარქიის პირობებში საზოგადოებრივ წესრიგსა და პატიოსნებაზე.

საბოლოოდ ლუსიენ ლევენის დადებითი იდეები მაინც გაურკვეველია. ის ხედავს, რომ ბურჟუაზიული წყობილება მანკიერებითაა აღსავსე. მაგრამ ამ მდგომარეობიდან გამოსავალს ვერ პოულობს. მასში არ ჩანს პერსპექტივები.

სტენდალი ბევრს წერდა იტალიური ცხოვრებიდან. ასეთებია მისი „იტალიური ქრონიკები": „ჩენჩი", „ვიოლანტე პალიანო", „წმინდა ფრანჩესკოს ეკლესია", „ვანინა ვანინი", და სხვ., რომლებ-

შიც სტენდალი წარმოგვიდგება, როგორც ნოველის შესანიშნავი ოსტატი. უკანასკნელ პერიოდში სტენდალი წერს რომანს „პარმის სავანე", რომელიც აგრეთვე აგებულია იტალიურ თემატიკაზე.

რომანი „პარმის სავანე" სტენდალმა მოკლე დროში დაწერა, მაგრამ მასზე დიდხანს ფიქრობდა და მუშაობდა. როგორც „წითელი და შავი", ისე „პარმის სავანე" შედეგია ცხოვრებაში ნამდვილად მომხდარი ამბებისა და მოვლენებისა, არსებული დოკომენტური მასალების გულმოდგინე, ხანგრძლივი შესწავლისა".[1]

„პარმის სავანეში" სტენდალი ხატავს ნაპოლეონის იტალიურ ლაშქრობებს, იმპერიის დამხობის შემდეგ იტალიაში გამძვინვარებულ ტერორსა და რეაქციას. რომანის მთავარი გმირია ფაბრიციო დელ დონგო. ის ისევე, როგორც ჟიულიენ სორელი გატაცებულია ნაპოლეონის პიროვნებით.

რომანში განსაკუთრებული ადგილი უკავია ვატერლოოს ბრძოლის აღწერას, ლიტერატურის მკვლევარები ნაწარმოების ამ გვერდებს თვლიან სტენდალის მხატვრული შემოქმედების შედევრად. ლევ ტოლსტოი ამბობდა: «Я, больше чем кто-либо другой, многим обязан Стендалю. Он научил меня понимать войну. Перечтите в «Chartreuse de Parme» рассказ о битве при Ватерлоо. Кто до него описал войну такою, то есть такою, какова она есть на- самом деле? Помните Фабриция, переезжающего поле сражения и «ничего» не понимающего»[2]. სწორედ ვატერლოოს ველზე გადაწყდა ბედი ნაპოლეონისა, რომელსაც ფაბრიციომ მთელი თავისი ცხოვრება დაუკავშირა და როდესაც ნაპოლეონის არმია დამარცხდა ამით ფაბრიციომ სასიკვდილო დარტყმა იგემა, რადგან ის მთელ თავის იმედებს, მთელ თავის მომავალს, ნაპოლეონზე ამყარებდა.

ფაბრიციოს ეგონა, რომ ბრძოლაში მიიღებდა მონაწილეობას და გმირი გახდებოდა, მაგრამ მწარე სინამდვილემ იმედები გაუცრუა. ჯერ ციხეში მოხვდა, სადაც 33 დღე დაჰყო, შემდეგ ცხენი დაეკარგა, რომლის გამოც ცხარე ცრემლით ტიროდა. ის თვითონვე ამბობს: „მე ვერასოდეს ვერ გავხდები გმირი".

ფაბრიციომ ვერ შესძლო ბრძოლის ველზე გამოეჩინა გმირობა და მისთვის ისეთივე საბედისწერო ადგილი გახდა ვატერლოო, რო-

---

1 ამ საკითხით დაინტერესებულთ მიეუთითებთ ჟორჟ ედის საინტერესო წერილზე: Как создавалась «Пармская обитель», в защиту мира, 1955, № 54.

2 Л. Н. Толстой о литературе. «Статьи. Письма. Дневник». Гослитиздат, М., 1955, გვ. 663.

გორც ნაპოლეონისათვის. რომანში ამ ისტორიულ ფაქტს მჭიდროდ ენასკვება ფაბრიციოს ყველა იმედისა და ოცნების დამარცხება. ამრიგად ფაბრიციოს გმირობიდან აღარაფერი რჩება

„პარმის სავანეში“ დიდ ყურადღებას იქცევს აგრეთვე შესანიშნავი მხატვრული სახე, ჯინა პიეტრანერა-სანსეევერინა. როგორც ფაბრიციო, ისე სანსეევერინა ნამდვილი განსახიერებანი არიან კეთილშობილი ადამიანებისა. ისინი გულწრფელად თანაუგრძნობენ იტალიის ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. გაბედულად ილაშქრებენ ერნესტო რანუციო მეოთხის ძირგამომპალი რეჟიმის წინააღმდეგ. დაუვიწყარია რომანში გამოყვანილი სახალხო ტრიბუნი, პოეტი-რევოლუციონერი — ფერანტე პალა, რომელიც თავს სწირავს სამშობლო იტალიის განთავისუფლების საქმეს და სიკვდილის წინ ამაყად გაიძახის: „მე სიკვდილი მომისაჯეს, მე ვმონაწილეობდი შეთქმულებაში. მძულს პრინცი, ის ტირანია“. ფერანტე პალა მოგვაგონებს იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გმირს პიეტრო მისირილის („ვანინა ვანინი“).

სტენდალი ძლიერად ააშკარავებს იტალიის რეაქციული წრეების მუხანათურ საქციელს, ერნესტო მეოთხის პოლიციურ რეჟიმს, სარკასტულად წარმოგვიდგენს ამ ტირანს, რომელიც ცდილობს ლუი XIV მიბაძოს და ამ მიზნით სულ მის სურათს უყურებს. ასევეა დახატული ჯალათი რასი, პარმის ციხე-სიმაგრის კომენდანტი ფაბიო კონტი, რომანში მხატვრული სიმართლით აჩის წარმოდგენილი აგრეთვე პარმის მინისტრი გრაფი მოსკა.

ფაბრიციო შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთ გამოსავალს ფაბიო კონტის ქალიშვილი კლელიასადმი სიყვარულში ხედავს, მაგრამ ბედმა მას არც აქ გაუმართლა: კლელიას სიკვდილის შემდეგ სასოწარკვეთილი ფაბრიციო მონასტერში მიდის.

სტენდალის რომანი „პარმის სავანე“ გამოქვეყნდა 1839 წლის იანვარში. ბალზაკმა იგი რამდენჯერმე წაიკითხა გულდასმით, ამას მოყვა მისი აღფრთოვანებული ეტიუდი ამ ნაწარმოებზე. ბალზაკმა თავისი ნარკვევი გამოაქვეყნა 1840 წლის 5 სექტემბერს, სტენდალმა უპასუხა იმავე წლის 30 ოქტომბერს.

ბალზაკმა „პარმის სავანე“ შეაფასა როგორც ლიტერატურის შედევრი, რომელიც არასოდეს არ მიეცემა დავიწყებას, გახარებული სტენდალი ბალზაკისადმი პასუხში წერდა: „თქვენ შეიბრალეთ ობოლი, რომელიც შუა ქუჩაში იყო მიტოვებული. მე არ ვფიქრობდი, თუ 1880 წლამდე წამიკითხავდნენო“.

სტენდალი მწუხარებით აღნიშნავდა, რომ ცხოვრებამ მას არ არგუნა ისეთი მწერლის ბედი, რომელიც სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე გახმაურდება და შარავანდედით იმოსება, რომ-

ლის ნაწარმოებები ზედიზედ იბეჭდება, აზრთა გაცვლა-გამოცვლისა და მსჯელობის საგანი ხდება და სხვ.

შეიძლება ითქვას, რომ ყველასაგან მიტოვებული და დავიწყებული სტენდალი ბალზაკმა აღმოაჩინა და მან პირველმა მისცა მის ბრწყინვალე მხატვრულ ნიჭს პირუთვნელი, მაღალი შეფასება. ბალზაკის ნარკვევი „პარმის სავანეზე“ დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო იმ დროის ფრანგულ ლიტერატურაში, კერძოდ, ორი დიდი მწერლის — ბალზაკისა და სტენდალის ცხოვრებაში. ბალზაკის ეტიუდი, — ესაა საუცხოო მაგალითი მხატვრული ნაწარმოების ღრმა, სერიოზული, ყოველმხრივი ანალიზისა და შეფასებისა. ბალზაკმა სტენდალში დაინახა ცხოვრების სიმართლის ერთგული მწვრალი, რომელსაც შესწევს ძალა და უნარი მოგვცეს სოციალური ტიპები არა უბრალოდ, სქოლასტიკურად, ფოტოგრაფიულად, არამედ მაღალიდეურ, მაღალმხატვრულ განზოგადებებში.

ბალზაკი თავისი დროის ლიტერატურაში სამ სახეობას, თუ სკოლას ხედავს: პირველი, — ეს „იდეების ლიტერატურაა“, მეორე — „სახეების ლიტერატურა“ და მესამე — „ლიტერატურული ეკლექტიზმი“.

ბალზაკის აზრით ყველა ხალხში და ყველა თაობაში არიან მოაზროვნე, ჭვრეტითი ადამიანები, ისინი გატაცებული არიან დიადი სანახაობებით, ეფექტებით. აქედან წარმოიშვა სკოლა „სახეების ლიტერატურისა“. მასში შედის ლირიკა, ეპოპეა და ყველა ჟანრი, რომლებშიც ასეა ასახული საგნები და მოვლენები.

არსებობენ ადამიანები, რომლებიც აქტიურად მოქმედებენ, მიისწრაფიან, მათ იზიდავთ მოძრაობა, კონკრეტულობა, შეჯახებანი, დრამა. მათ არ უყვართ ოცნება. ყოველივე ამის შედეგად შეიქმნა მეორე სკოლა, რომელიც არსებითად განსხვავდება პირველისაგან. ეს არის სკოლა „იდეების ლიტერატურისა“.

ბალზაკის მსჯელობის მიხედვით არსებობენ აგრეთვე მთლიანი ადამიანები, რომლებიც მოიცავენ ყველაფერს — ლირიკას, მოქმედებას, დრამას, ოდას და სხვ. ისინი ფიქრობენ, რომ სრულყოფისათვის საჭიროა ამა თუ იმ მოვლენისა და საგნის ყოველმხრივი გაშუქება, მისი ყოველმხრივი დახატვა, სრული სურათის მოცემა.

ამ მესამე სახეობას ლიტერატურაში ბალზაკი უწოდებს „ლიტერატურული ეკლექტიზმის“ სკოლას.

დაჰყო რა ბალზაკმა ლიტერატურა ასეთ სკოლებად, ამის მიხედვით დააჯგუფა მან მწერლებიც. ასე მაგალითად: ბალზაკის აზრით პირველ სკოლას მიეკუთვნება სტენდალი, მერიმე, ალფრედ დე მიუსე, ბერანჟე და სხვ., მეორეს — შატობრიანი, ლამარტინი, ვიქტორ ჰიუგო, ტეოფილ გოტიე, სენტ-ბევი და სხვ., მესამეს — თვი-

თონ ბალზაკი, შემდეგ უალტერ სკოტი, მადამ დე სტალი, ჟორჟ სანდი და სხვ.

ბალზაკი აგრეთვე იმ აზრს აქითარებს, რომ როგორი ქანრისაც არ უნდა იყოს ნაწარმოები, ის ხალხის ხსოვნაში მხოლოდ მაშინ რჩება, როცა მასში დაცულია კანონი იდეალისა და ფორმისა.

ბალზაკი ხშირად ამაყობდა თავისი რეალისტური მეთოდის მეცნიერულობით, მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა ითქვას, რომ იგი ღალატობს თავის პრინციპს, რადგან ლიტერატურის ასეთ სკოლებად დაყოფა არაა გამართლებული და მეტისმეტად ბუნდოვანია. ძნელი წარმოსადგენია „ლიტერატურა მხოლოდ იდეებისა" ან მხოლოდ „საბეებისა". გაუგებარია აგრეთვე სკოლა ე. წ. „ეკლექტიკური ლიტერატურისა".

ბალზაკის მიერ ლიტერატურის ასეთ მიმართულებებად დაყოფაში ყველაზე არსებითი და მნიშვნელოვანია ის, რომ ბალზაკი თავის თანამედროვე მწერალს სტენდალს (რომლისადმიც მიძღვნილია მისი ეტიუდი) აცხადებს იმ სკოლის წარმომადგენლად, რომელსაც ბალზაკი უწოდებს „იდეების ლიტერატურის" სკოლას. ბალზაკი თითქოს უპირისპირდება სტენდალს, რადგან ის თავის თავს სხვა მიმართულების, კერძოდ, — „ეკლექტიკური მიმართულების" წარმომადგენლად თვლის.

ცნობილია, რომ სტენდალი გატაცებული იყო მეთვრამეტე საუკუნის ფრანგული ლიტერატურით და ფრანგული საგანმანათლებლო ფილოსოფიით, განსაკუთრებით ჰელვეციუსის წიგნებით — „ადამიანის შესახებ" და „სულის შესახებ". სტენდალი ამბობდა, ვისაც უნდა კარგი ფრანგული ენით წერა, მან უნდა იკითხოს არა თანამედროვე რომანტიკოსთა ნაწარმოებები, არამედ იმ მწერალთა ნაწარმოებები, რომლებიც ცხოვრობდნენ მე-19 საუკუნემდე. ვისაც სურს სწორად იაზროვნოს, მან დაბეჯითებით უნდა შეისწავლოს მონტესკიესა და ჰელვეციუსის თხზულებანი.

სტენდალის ასეთი მიდრეკილებანი და შეხედულებანი კარგად იცოდა ბალზაკმა, სწორედ ეს აქვს მხედველობაში ბალზაკს, როცა ის წერს: „მე არ ვთვლი საჭიროდ გამოვხატოთ თანამედროვე საზოგადოება მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეების მკაცრი მეთოდებით. ჩემი აზრით თანამედროვე ლიტერატურაში აუცილებელია შეტანა დრამატიული ელემენტებისა, სახისა, სურათისა, აღწერისა, დიალოგისა. გულწრფელად ვაღიარებ, რომ „ჟილ ბლაზი" დამქანცველია ფორმის მხრივ: მოვლენისა და იდეის ასეთი დატვირთვა უნაყოფოა".

ბალზაკის მსჯელობაში აქ წინააღმდეგობას ეხედავთ. ერთი მხრივ ის აკრიტიკებს და იწუნებს მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე სა-

უკუნეების ლიტერატურას, რომელსაც ის უწოდებს „იდეების ლიტერატურას“ და რომელსაც მიაკუთვნებს სტენდალს, მეორე მხრივ სტენდალის „პარმის სავანეს“ სთელის ლიტერატურის შედეერად.

ჩვენ ბუნებრივად მივადექით ამ ორი დიდი ფრანგი რეალისტის მსოფლმხედველობისა და შემოქმედებითი მეთოდის პრობლემას. ბალზაკსა და სტენდალს შორის საერთო ის არის, რომ ორივე მწერალი უკმაყოფილოა ბურჟუაზიული საზოგადოებით, მათ ორივეს ნამდვილად სძულს ეს საზოგადოება, ორივე კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლები არიან, მაგრამ სინამდვილის ასახვის ის ფორმები, ბურჟუაზიულ საზოგადოების ის მხატვრული სურათები, რომლებსაც სტენდალის და ბალზაკის შემოქმედებაში ვხედავთ, განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: ამ განსხვავების საფუძველი მათი მსოფლმხედველობისა და შემოქმედებითი მეთოდის არსებითი, პრინციპული სხვაობა კი არაა, როგორც ზოგიერთ მკვლევარს ჰგონია, არამედ სინამდვილისადმი თითოეული მათგანის თავისებური მიდგომა, თითოეული მათგანის მიერ სინამდვილის თავისებური მხატვრული ხერხებით ასახვა.

ბალზაკი თავის ეტიუდში აქებს სტენდალს, მისი „პარმის სავანის“ გამო. ის აღფრთოვანებულია ამ ნაწარმოების დინამიკურობით, მისი დრამატიული ელემენტით, მწყობრი და პირდაპირი სისტემით. ბალზაკი წერს: „პერსონაჟები მოქმედებენ, აზროვნებენ, გრძნობენ და დრამაც მუდამ ვითარდება“. ბალზაკი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სტენდალს ახასიათებს კომპოზიციის თანდათანობითი და პირდაპირი გაშლა.

ბალზაკი კმაყოფილების გრძნობით აღნიშნავს, რომ სტენდალი მიისწრაფის ცხოვრების სინამდვილის, საზოგადოებრივი ურთიერთობის, არსებითის გამოხატვისკენ, სწორედ ამაშია სტენდალსა და ბალზაკს შორის მსგავსებაც და განსხვავებაც. ისინი ერთმანეთთან განუყრელ მხატვრულ კავშირში არიან, როცა გატაცებით ცდილობენ ცხოვრების არსის გამოხატვას და სძულთ მწერლის ნატურალისტურ დაწვრილმანება, მაგრამ ერთმანეთს შორდებიან, როგორც უკვე ვთქვით, სინამდვილის მხატვრული ასახვის ნაირობასა და ფორმებში. ჩვენი აზრით სტენდალისათვის უფრო მნიშვნელოვანია გმირის ფსიქოლოგია. მისი მოქმედება, განცდა, ფიქრები, შინაგანი სამყარო, ვიდრე ის ობიექტური გარემო, ის სიტუაცია, რომელშიც მას უხდება ცხოვრება; ბალზაკთან კი, პირიქით, მთავარია ტიპიური გარემოებანი, რომლებიც მის გმირს ხდიან ან ასეთად, ან ისეთად. ბალზაკის შემოქმედებაში ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ცხოვრება თითქოს უფრო სრულადაა წარმოდგენილი, ვიდრე სტენდალ-

თან, ბალზაკი თითქოს უფრო მეტსა და ყოველმხრივ ცოდნას იჩენს ბურჟუაზიული საზოგადოებისას, ვიდრე სტენდალი.

ბალზაკი, როგორც დიდი მხატვარი — რეალისტი, ნათლად ხედავს, რომ სტენდალს ეხერხება თემის არჩევა და იმ ადგილის არჩევაც, სადაც ეს თემა უნდა გაიშალოს. ბალზაკის აზრით სტენდალმა აირჩია თავისი რომანის სამოქმედო ასპარეზად იტალია, კერძოდ, პატარა საგრაფო პარმა, მაგრამ სინამდვილეში სტენდალი თავისი დიდი შემოქმედებითი გაქანებით გასცილდა ამ ვიწრო ჩარჩოებს, პარმის აზნაურთა წვრილმან ინტრიგებს, გასცილდა პატარა საგრაფოს და დახატა აბსოლუტიზმის წყობილებისათვის ასე დამახასიათებელი თვისებები, წარმოგვიდგინა ღრმად ტიპიური ხასიათები. ბალზაკი საესებით სამართლიანად ამტკიცებს, რომ სტენდალმა თავის „პარმის სავანეში“ გასაოცარი სიზუსტით დახატა არსებული საზოგადოებრივი წყობილების წარმომადგენელთა სახეები.

ბალზაკი სტენდალის პიროვნებაში ხედავს თავის მოკავშირეს, თავის თანამებრძოლს, განსაკუთრებით მაშინ, როცა სტენდალი ხატავს თავის გმირთა ტიპიურ სახეებს ტიპიურ გარემოებებში.

„პარმის სავანეში“ ბალზაკმა დაინახა შესანიშნავი მხატვრული სახეები, ტიპიური ხასიათები. ბალზაკი და სტენდალი ბოლომდე ერთგული დარჩნენ თავიანთი ესთეტიკური პრინციპისა; — გამოეხატათ ცხოვრების არსებული დამახასიათებელი მხარეები, რეალისტურად მოეცათ ეპოქის, საზოგადოების ტიპიური ხასიათები. როგორც ბალზაკთან, ასევე სტენდალთან, უარყოფითი სახეებიც ტიპიურია და დადებითი სახეებიც. მაგალითად, ბალზაკის ვოტრენი მხოლოდ წვრილი ბურჟუა კი არაა, არამედ ტიპიური, პირწავარდნილი დამნაშავეა, რომელიც განასახიერებს ყოველივე ბინძურსა და ამორალურს, რაც ბურჟუაზიულ საზოგადოებაშია. მისი ნიზერონი მხოლოდ ჩვეულებრივი კეთილი მოქალაქე კი არაა, ის აგრეთვე მაღალი მორალური იდეალების ადამიანია, ხალხის ინტერესების გამომხატველია. ის „რკინასავით მაგარია და ოქროსავით სუფთა“ ასევეა სტენდალის შემოქმედებაშიც.

სტენდალი „პარმის სავანეში“ ტიპიურ ფიგურებად წარმოგვიდგენს ჰერცოგის ასულს ჯინა სანსევერინას და რევოლუციონერ პალა ფერანტეს. როცა ბალზაკი „პარმის სავანის“ ამ პერსონაჟებს არჩევს, ის იგონებს თავისი „დაკარგული ილუზიებიდან“ რესპუბლიკელ მიშელ კრეტიენს და ადარებს სტენდალის პალა ფერანტეს. ბალზაკი დასძენს, რომ აქ სტენდალმა მას ბევრად გაუსწრო.

„პარმის სავანის“ მთავარმა გმირმა ფაბრიციო დელ დონგომ ბალზაკის მოწონება დაიმსახურა. ბალზაკის აზრით ფაბრიციო თანამედროვე ახალგაზრდა იტალიელია. რომელიც იბრძვის დესპო-

ტიზმის წინააღმდეგ, მაგრამ ის ვერ დგას რომანის სხვა პერსონაჟებზე მაღლა. ამასთანავე ბალზაკი მიუთითებს იმაზე, რომ ფაბრიციოს აღკვეთა მონასტერში არაა სათანადოდ მოტივირებული. ჯინა სანსევერინას შესახებ ბალზაკი წერს, რომ ესაა ნამდვილი იტალიელი ქალი, რომლის სახე ბრწყინვალედაა დახატული. ბალზაკის აზრით გრაფი მოსკას სახით სტენდალი ხატავს გენიალურ პოლიტიკოსს, რომელიც სიყვარულს შეუპყრია, ეს სიყვარული უფრაზებო სიყვარულია, მოქმედი სიყვარულია, ასეთი სიყვარული მოვალეობაზე ძლიერია, ესაა სიყვარული, რომელზეც ქალები ოცნებობენ. „კლელია, — წერს ბალზაკი, მომხიბლავია, იგი ბრწყინვალე ქმნილებაა, რომელზეც კი ოცნება შეიძლება“. ბალზაკს ფაბრიციოს ციხიდან გაქცევა სასწაულად მიაჩნია, რომელიც მოამზადა კლელიამ და რომელსაც კინაღამ შეეწირა მისი მამა გენერალ კონტი.

ბალზაკი ასეთ დასკვნას აკეთებს: „პარმის სავანე“ ლიტერატურის შედევრია, იგი კომპოზიციურად მთლიანია. XIX საუკუნე უკვე ბევრი რამით არის დავალებული სტენდალისაგან. ეს წიგნი ისეთი შედევრია, რომელიც არასოდეს არ მიეცემა დავიწყებას. „პარმის სავანის“ ყველა გმირს სისხლი უდუღს ძარღვებში, ისინი უაღრესად მკვირცხლნი არიან, მათ აქვთ ნათელი გონება. სტენდალი არის ერთ-ერთი უდიდესი ადამიანი XIX საუკუნისა“.

ამასთანავე ერთად ბალზაკმა გააკრიტიკა სტენდალის „პარმის სავანე“, ზოგიერთი (მისი აზრით) ნაკლოვანების გამო.

ბალზაკმა გამოთქვა სურვილი — „პარმის სავანის“ შესავალი ნაწილი, ფაბრიციოს ბავშვობა და სხვა, — ამოღებულიყო. მან აბატი ბლანესის გამოყვანა ზედმეტად მიიჩნია და მოითხოვა მისი ამოღებაც. ბალზაკის აზრით რომანი მოიგებდა თუ იგი დაიწერებოდა ვატერლოოს ბრძოლების აღწერით. რაც შეეხება ნაწარმოების სტილს, იგი ბალზაკმა დაიწუნა და ჩათვალა რომანის სუსტ მხარედ (ბალზაკი ამაყად აცხადებდა ხოლმე, რომ „პარიზში მხოლოდ სამმა კაცმა ვიცით ჩვენი ენა—ჰიუგომ, გოტიემ და მე“).[1] ბალზაკი აღნიშნავდა, რომ შეიძლებოდა ცალკე ნაწარმოების დაწერა, რომლის მთავარი გმირი იქნებოდა ფაბრიციო სათაურით. „ფაბრიციო ანუ მეცხრამეტე საუკუნის იტალიელი“ და იქვე დასძენს: რადგან ავტორმა ეს ახალგაზრდა მთავარ გმირად გამოიყვანა, იგი უნდა წარმოედგინა დიდი ჰკუისა და დიდი გრძნობის ადამიანად,

---

[1] „Il n' y a que trois hommes à Paris qui sachent leur langue: Hugo, Gautier et moi“. ციტატი მოჰყავს რენე დუმიკის წიგნიდან: Histoire de la littérature française. Paris, 1908 წ., გვ. 562.

მიეცა მისთვის ისეთი თვისებები, რომელთა მეოხებითაც თავის ირგვლივ მყოფ ნიჭიერ ადამიანებზე მაღლა დადგებოდა, ფაბრიციოს კი ასეთი თვისებები არ გააჩნიაო.

ასეთია მოკლედ ბალზაკის შეხედულებანი სტენდალის „პარმის სავანეზე".

განვიხილოთ სტენდალის პასუხი.

სტენდალმა ბალზაკს უპასუხა იმავე წლის (1840) 30 ოქტომბერს (ბალზაკის წერილი გამოქვეყნდა 1840 წლის 5 სექტემბერს).

სტენდალმა თავის პასუხში კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ლიტერატურის საქმის ისეთმა შესანიშნავმა მცოდნემ როგორიც ბალზაკი იყო, გამოთქვა თავისი შეხედულებანი მისი რომანის „პარმის სავანის" შესახებ. სტენდალი ასე იწყებს თავის პასუხს ბალზაკისადმი: „თქვენ შეიბრალეთ ობოლი, რომელიც შუა ქუჩაში იყო მიტოვებული. თქვენი ნაბიჯი უჩვეულოა, მე მინდა მოგბაძოთ თქვენ და გულწრფელად გიპასუხოთ. მიიღეთ ჩემი მადლობა უფრო მეტად რჩევისათვის, ვიდრე ქებისათვის".[1]

სტენდალი პირდაპირი და პრინციპული მწერალი იყო. მან მტკიცედ დაიცვა ის, რაც ღრმად სწამდა, როგორც ჭეშმარიტ რეალისტ-მხატვარს. სტენდალს სწორედ ის უფრო მოსწონდა „პარმის სავანეში", რის ამოღებასაც ბალზაკი მოითხოვდა, რომანის პირველი თავები სტენდალს ბრწყინვალე შესავალ ნაწილად მიაჩნდა, რადგან ყოველივე ეს მას თავისი ბავშვობის დღეებს აგონებდა. ცხადია, მწერალი ვერ შეელეოდა ამ ნაწილს. სტენდალმა უარი სთქვა აგრეთვე აბატი ბლანესის მთლიანად ამოღებაზეც.

ბალზაკის აზრი იმის შესახებ, რომ თითქოს ფაბრიციო არ დგას თავის ირგვლივ მყოფ ადამიანებზე მაღლა, არ უნდა იყოს მართებული. ნაწარმოებიდან აშკარად ჩანს, რომ ფაბრიციო, მიუხედავად იმისა, რომ იგი ჰაბუკია, ფლობს ყველა იმ საშუალებებს, რომლებიც საჭიროა მოწინავე და მამაცი ადამიანისათვის, ნაწარმოების გმირისათვის. ის მთლიანად აღებული, როგორც მთავარი გმირი, ცენტრალურ ადგილზეა რომანში, ის უპირისპირდება ყველას, ვინც მოწყვეტილია თავის ხალხს, თავის სამშობლოს, ის იბრძვის დესპოტიზმის წინააღმდეგ, მისთვის სიცოცხლის აზრი დაბრკოლებათა გადალახვაშია, სამშობლოსათვის თავდადებაშია.

ბალზაკი შეცდა, როცა მან ფაბრიციოს აღკვეცა მონასტერში

---

[1] ლიტერატურათმცოდნეობაში დღემდე საბოლოოდ დაუდგენელია ამ პასუხის ტექსტი. არსებობს მისი სამი ვარიანტი. ჩვენ ვისარგებლეთ როგორც ამ სტენდალისეული ვარიანტებით, ის იმ რუსული თარგმანით, რომელიც გამოქვეყნდა 1936 წლის ჟურნალში „Литературный критик" № 1.

ნაწარმოების რელიგიურ ფინალად ჩათვალა. ჯერ ერთი, ასეთი დასკვნა არ გამომდინარეობს თვით „პარმის სავანიდან“, მეორე, — სრულიად არ შეესაბამება საერთოდ სტენდალის შემოქმედებითი განვითარების გზას.

სტენდალი ძალიან მორიდებულია თავის პასუხში ბალზაკისადმი. ის გვერდს უვლის იმ გარემოებას, რომ ბალზაკს სურს სტენდალს თავს მოახვიოს თავისი მეთოდისა და სტილის თავისებურებანი. სტენდალის პასუხში აშკარად ჩანს, რომ სინამდვილის მხატვრული ასახვის ის ფორმები და საშუალებანი, რომელთაც სტენდალი იყენებს, განსხვავდება სინამდვილის ბალზაკისებური ასახვისაგან.

თავის პასუხში სტენდალი წერს: „მე ვცდილობ მართლად და ცხადად გადმოვცე ის, რაც ჩემს გულში ხდება. მე მხოლოდ ერთი წესი ვიცი. ვიყო ნათელი. თუ მე ნათელი არ ვარ, მაშინ მთელი ჩემი ქვეყანაც არ არსებობს“.

ამგვარად, სტენდალი ხაზს უსვამს თავისი შემოქმედებითი მეთოდის სიცხადესა და სინათლეს, დახვეწილობას. ის აგრეთვე იმაზე მიუთითებს, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ მწერალი თავის ნაწარმოებებში უნდა იყოს გულწრფელი და ბუნებრივი.

რომანტიკოსების, კერძოდ შატობრიანის მოძულე სტენდალი ებრძვის რომანტიზმს. ის კატეგორიულად უარყოფს რომანტიკულ სტილს, რომელიც ყველაფერს აზვიადებს და აყალბებს. როგორც უკვე ვთქვით, ბალზაკი აკრიტიკებს სტენდალის სტილს. ის წერს: „სტენდალის გრძელი ფრაზა ცუდადაა აგებული, მოკლე ფრაზა მოკლებულია სიმრგვალეს და სხვ“.

სტენდალმა მთლიანად არც ეს კრიტიკა მიიღო, მან რომანის ზოგიერთი ადგილის გამო გაიზიარა ბალზაკის შენიშვნა და დასძინა, რომ ეს სიჩქარის შედეგია და ბავშვივით გეტყვით, რომ მეტს აღარ ვიზამო.

სტენდალი იყო იშვიათი ლიტერატურული გემოვნების მწერალი, ის ახლოს იდგა თავის დროსთან თავისი ნათელი სტილითაც. ბალზაკისადმი პასუხში სტენდალი აღნიშნავდა, რომ მას სძულს დამრგვალებული სტილი; როცა „პარმის სავანეს“ ვწერდი, ყოველ დილას სწორი ტონის საპოვნელად ორ-სამ გვერდს ვკითხულობდი სამოქალაქო კოდექსიდან. მე არ მაღფრთოვანებს მოდური სტილი, მას მე მოთმინებიდან გამოვყავარო.

სტენდალი საერთოდ გაურბოდა ნაწარმოების ე. წ. გაშალაშინებას, ის წინააღმდეგი იყო ნაწარმოების სწორებისა მისი დაწერის შემდეგ. ამ მხრივ ბევრის მეტყველია პროსპერ მერიმეს სიტყვები:

როცა სტენდალს მოუხდებოდა დაწერილის შესწორება, მაშინ ის ყველაფერს ხელახლა გადააკეთებდა ხოლმეო.

ვინც გულდასმით გადაიკითხავს სტენდალის ნაწერებს, ის დარწმუნდება, რომ სტენდალი არ იყო ეულგარული სტილის მწერალი. ბალზაკის შემდეგ ემილ ზოლას შენიშვნებიდან სტენდალის სტილზე, უნდა მომდინარეობდეს მცდარი აზრები ლიტერატურის მკვლევარებისა, გ. ლანსონის, ა. კირპიჩნიკოვის და სხვებისა.

ფრანგი კრიტიკოსი გუსტავ ლანსონი თავის წიგნში, „ფრანგული ლიტერატურის ისტორია", წერს: „ის (სტენდალი — დ. ფ.) არის საკმარისად ეულგარული და უსიამოვნო ადამიანი, უხეში და პრეტენზიული... მისი პირადი თავგადასავალი არაეითარ ინტერესს არ წარმოადგენს". „...ფორმას სტენდალთან არ აქვს მნიშვნელობა. ის არ არსებობს, როგორც მხატვრული ფორმა, ის არის მხოლოდ იდეის ანალიტიკური გამოხატულება"

პროფ. ა. კირპიჩნიკოვი, რომლის მიერ დაწერილია „მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის" მეოთხე ტომში მთელი თავი მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურის ისტორიისა, სტენდალის რომანის „წითელი და შავის" შესახებ წერს: «Роман написан очень небрежно: в нем вообще мало искусства... жизнь передана плохо... действующие лица вовсе не отличаются полнотой и живостью. Бейль вовсе не заботился о стиле своих произведений, и это важнейшая из причин невнимания к нему современников».

ემილ ზოლას არ მოსწონდა სტენდალის ნაწარმოებები და სტილი. ზოლა თავის ნარკვევში „პარმის სავანეზე" უცნაურ დასკვნას აკეთებს. მისი აზრით „პარმის სავანე" ეს ნამდვილი რომანი არაა, იგი ანალიტიკური ხასიათის. სათავგადასავლო წიგნია, რომელშიც არ არსებობს მეთოდი, არ არსებობს კომპოზიციური მთლიანობა. სტენდალი იღებს ადამიანთა თავებს მხოლოდ და ახდენს მათზე ფსიქოლოგიურ ცდებს, ამიტომაა, რომ მისი გმირები მსჯელობენ, ლაპარაკობენ და არ განიცდიან, ისინი ცხოვრების სინამდვილიდან კი არ არიან აღებული, არამედ შექმნილი არიან სტენდალის გონებით, ამის გამოა, — დასძენს ზოლა, რომ სტენდალის გმირები მკითხველის მეხსიერებაში არ რჩებიან. რაც შეეხება სტენდალის სტილს „პარმის სავანეში", ზოლა მას თვლის მდარე სტილად.

ბალზაკის გამოკვლევა სტენდალის „პარმის სავანეზე", შეუდარებლად მაღლა დგას ემილ ზოლას ამ ცალმხრივ, სუბიექტურ ნარკვევზე.

დიდი რუსი კრიტიკოსი ბესარიონ ბელინსკი ამბობდა: „მწერალს დავიწყებისაგან იხსნის მხოლოდ შინაარსი და არა ენა, არა სტილი“. ნიჭიერი კრიტიკოსის ეს მარჯვე გამონათქვამი თამამად შეიძლება მივუყენოთ სტენდალს და ვთქვათ, რომ შესანიშნავი ფრანგი რომანისტი დავიწყებისაგან იხსნა არა მისმა ენამ და სტილმა, არამედ, უმთავრესად, მისი მხატვრული შედევრების ღრმა შინაარსმა.

ბალზაკმა დიდი დაკვირვება, ცოდნა და ალღო გამოიჩინა სტენდალის მხატვრული მეთოდისა და სტილის ავკარგიანობის შეფასებისას, მან საინტერესო და საგულისხმო აზრები გამოთქვა მწერლის შემოქმედებითი პროცესის შესახებ, მან სტენდალი ჯეროვნად დააფასა და წაახალისა. ის ღრმად ჩაწვდა სტენდალის პიროვნებისა და შემოქმედების არსს, და მოხდენილად უწოდა სტენდალს „ხანძარი კაუში“.

სტენდალიც თავის მხრივ დიდად აფასებდა ბალზაკს, თავის წერილებში ბალზაკისადმი იგი მას უწოდებდა: Mon cher grand romancier[1]. სტენდალი მიმართავდა ბალზაკს, როგორც Roi des romanciers du présent ciècle[2]. ის ბალზაკის ეტიუდს მის „პარმის სავანეზე“ თვლიდა განსაცვიფრებელ წერილად, რომლის მსგავსი მანამდე არც ერთ მწერალს არ მიუღია მეორე მწერლისაგან.

ბალზაკის შემოქმედებითი მეთოდი და სტილი, კომპოზიციის შედგენის ხერხი განსხვავდება სტენდალის შემოქმედებითი მეთოდისა და სტილისაგან, კომპოზიციის სტენდალისებურად შედგენის ხერხისაგან. თითოეულ მათგანს ამ მხრივ თავისი სპეციფიკური თავისებურებანი გააჩნია და ყოველივე ეს ამ დიდ მწერლებს კი არ ამცირებს, პირიქით, მათ ღრმა ორიგინალობაზე მიუთითებს.

ბალზაკისა და სტენდალის შემოქმედება მოიცავს ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ ცხოვრებას საფრანგეთის მეთვრამეტე საუკუნის რევოლუციიდან 1848 წლის რევოლუციამდე. ამ პერიოდის ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებისადმი ბალზაკისა და სტენდალის დამოკიდებულება განსხვავებულია, თითოეული მათგანი თავისებურად წარმოგვისახავს ამ მოვლენებსა და ამბებს.

სტენდალის გმირებისათვის თითქმის არ არსებობს საშუალო გზა. მათი დევიზია: ან ყველაფერი ან არაფერი. ასეთები არიან, მაგალითად, ჟიულიენ სორელი, ფაბრიციო დელ დონგო, ოქტავ მალივერი, ლუსიენ ლევენი.

---

[1] Stendhal. Correspondance, x, Paris, p. 328.

[2] Jbid., p. 132.

სტენდალი გვიჩვენებს გმირის იდეურ ბრძოლებს, აზრისათვის ბრძოლის ატმოსფეროს, გვიჩვენებს ამ გმირის უპირატესობას მის მოწინააღმდეგეებთან, ამ ბრძოლას აქვს პრინციპული ხასიათი. სტენდალი ებრძოდა დოგმატურ რეგლამენტაციას. მისი აზრით მწერლის ესთეტიკური იდეები უნდა იყოს ფართო და თავისუფალი.

ზოგიერთი მკვლევარი ბალზაკისა და სტენდალის ამ ლიტერატურულ პაექრობაში ხედავს ორ სრულიად სხვადასხვა პოლუსზე მდგარ მწერალს, რომელთა მსოფლმხედველობა და შემოქმედებითი მეთოდი დიამეტრულად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, ზოგი კიდევ უფრო შორს მიდის და აცხადებს, რომ ფრანგულ ლიტერატურაში სტენდალი და ბალზაკი არიან ორი ერთმანეთის მოპირისპირე მიმართულების გამოხატულება.

სტენდალი და ბალზაკი ფრანგული კრიტიკული რეალიზმის უდიდესი წარმომადგენლები არიან, ისინი ერთმანეთს ავსებენ. ისინი არიან ფრანგული ლიტერატურის დიადი წყვილი.

მიუხედავად ზოგიერთი ცალმხრივობისა, ბალზაკის ეტიუდ სტენდალის „პარმის სავანეზე" იმის ერთ-ერთი ნიმუშია, თუ როგორი ყურადღებით უნდა ადევნებდეს თვალს მწერალი მისი თანამედროვე მწერლის შემოქმედებას, სერიოზულად არჩევდეს და აფასებდეს მას.

ბალზაკი და სტენდალი არ იყვნენ ცხოვრების პასიური მჭვრეტელნი, ისინი შემოქმედებითად აღიქვამდნენ სინამდვილეს, კი არ იგონებდნენ მხატვრულ სახეებს, არამედ ქმნიდნენ მათ.

მიუხედავად იმისა, რომ სტენდალი და ბალზაკი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, საბოლოოდ მაინც ერთ საერთო პოზიციაზე დგანან და ერთი საერთო ესთეტიკური პრინციპით ხელმძღვანელობდნენ, ეს საერთო პრინციპი კი არის ცხოვრების სინამდვილის ასახვა მის რეალისტურ განვითარებაში, ტიპიური სახეების მოცემა ტიპიურ გარემოებებში.

სტენდალის პიროვნებაში ბალზაკმა აღმოაჩინა ორიგინალური და მართალი მხატვარი — რეალისტი. „პარმის სავანე" ბალზაკმა მიიჩნია ერთ-ერთ საუცხოო თანამედროვე რომანად, ლიტერატურის ისეთ შედევრად, რომელიც არასოდეს არ მიეცემა დავიწყებას. ყოველივე ამით ბალზაკმა პირველმა ფართო გზა გაუხსნა სტენდალოგიას და უკვდავჰყო სტენდალის დიადი სახელი.

* * *

რუსეთის მოწინავე საზოგადოებრიობა ადრევე დაინტერესდა სტენდალის პიროვნებით, მისი ცხოვრებისა და შემოქმედების გა-

ცნობით. ხოლო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ რუსულად არა მარტო სტენდალის ნაწარმოებები ითარგმნა და დაიბეჭდა დიდი ტირაჟით, არამედ დაიწერა და გამოქვეყნდა მონოგრაფიების, გამოკვლევების მთელი სერია დიდი ფრანგი მწერლის შემოქმედებაზე.

წიგნის მოყვარული ქართველი მკითხველისათვის დიდი ფრანგი მწერლის გაცნობის საქმეში ერთი პირველთაგანი იყო გერონტი ქიქოძე. მან მისთვის ჩვეული მხატვრული ოსტატობით თარგმნა ფრანგულიდან სტენდალის „იტალიური ქრონიკები", („ჩენჩი", „ვიოლანტე პალიანო", „წმინდა ფრანჩესკოს ეკლესია", „ვანინა ვანინი"), რომელიც გამოქვეყნდა 1928 წელს.

გერონტი ქიქოძემ სტენდალის ეს ნაწარმოებები სათარგმნელად იმიტომ აირჩია, რომ, მისი აზრით, მათში ბევრი მსგავსებაა საქართველოს ისტორიის ცალკეულ ეპიზოდებთან. გერონტი ქიქოძე ამ კეთილშობილურ საქმეს გულმოდგინედ განაგრძობდა და ქართველი მკითხველი გაახარა კიდევ ახალი თარგმანით. ეს იყო სტენდალის განთქმული რომანი „წითელი და შავი", რომელსაც მან მოკლე, მაგრამ მშვენიერი წერილი დაურთო ავტორისა და მისი შემოქმედების შესახებ. ხოლო გერონტი ქიქოძის ქალიშვილმა თინათინ ქიქოძემ თარგმნა სტენდალის გახმაურებული რომანი „პარმის სავანე". ასე შეიქმნა ჩვენში სტენდალის მხატვრულ ნაწარმოებთა ქართულად თარგმნის კარგი ტრადიციები.

ვალერიან გაფრინდაშვილი სტენდალს უწოდებდა „აზრისა და სიტყვის ბეთჰოვენს": აი სტენდალისადმი მიძღვნილი მისი ლექსი:

მეტეორივით გაატარე სიცოცხლე გზაში
და ზარბაზნების ქუხილის ქვეშ ხშირად გეძინა.
ნახე მოსკოვი უძლეველი და ბერეზინა,
აუსტერლიცის ცა იხილე კეთილსა და წვაში.
კორსიკანელის ელვარებდა კომეტა მაშინ,
შეფეთა ტახტნი ქანაობდნენ, როგორც მესინა.
რევოლუციამ ცრუ კერპები დაგაცლეწინა
და ახალი დრო მედიდურად სჭექდა შენს ხმაში.
როგორც გრენობლი, შენ დასწყეველე ძველი ქვეყანა,
გიყვარდა ბრძოლა, ბაირონი, კარბონარები.
შესძელი გმირად გლეხის შვილი გამოგეყვანა.
და ენერგიას ადიდებდი შენ ნეტარებით.
ას წელმა განვლო, გახდი ჩვენი თანამედროვე
და გისმენთ, როგორც აზრისა და სიტყვის ბეთჰოვენს.

აკაკი გაწერელიამ 1940 წელს გამოაქვეყნა ნიჭიერად და ლაკონიურად დაწერილი სტატია სტენდალზე, რომელშიც დახასიათებულია მწერლის სტილი და მისი მსოფლმხედველობა.

საინტერესოა აგრეთვე ოტია პაჭკორიას ნარკვევი „ფრედერიკ სტენდალი“, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში“ 1968 წელს (№ 2).

სტენდალი შორიდან იცნობდა საქართველოს, როგორც ჩანს, საქართველოში მოგზაური ფრანგი მოღვაწეების ჩანაწერებით. როგორც შატობრიანს, ჰიუგოს, ბალზაკს, ალ. დიუმა — მაჭას და სხვებს, ასევე მასაც, უმთავრესად ეგზოტიკური წარმოდგენა ჰქონია საქართველოსა და ქართველ ხალხზე.

ქართველი ხალხისათვის სტენდალი მახლობელი და საყვარელი მწერალი გახდა. მან კარგად იცოდა ფასი ცხოვრებისა და სიყვარულისა, ის გულშიჩამწვდომად ამბობდა ხოლმე, „საცოდავნი არიან ადამიანები, რომლებიც სიკვდილის გამო ტირიან, მაგრამ არ ტირიან ახალგაზრდობის დაკარგვის გამო!“.

სტენდალს უნდოდა დიდხანს ეცოცხლა და მუდამ ახალგაზრდა ყოფილიყო, რათა დაეძლია ცხოვრების სიძნელენი და აქტიურად ებრძოლა უკეთესი ბედნიერი მომავლისათვის. ამ აზრით ის მუდამ თანამედროვე მწერალია, რომელსაც მადლიერი კაცობრიობა არასოდეს არ დაივიწყებს.

ონორე დე ბალზაკი

(1799 — 1850)

შეხედეთ ბალზაკს — ამ კაცმა ძალიან ბევრი დაწერა, და, მიუხედავად ამისა, აბა თუ იპოვნით მის მოთხრობებში თუნდაც ერთ ხასიათს, თუნდაც ერთ პირს, რომელიც რამდენადმე წააგავდეს მეორეს. ო, ეს არის მიუწვდომელი ხელოვნება ხასიათების ასახვისა მათი ინდივიდუალობის მთელი ელფერით.

ბესარიონ ბელინსკი.

ბურჟუაზიული წყობილებით უკმაყოფილო ონორე დე ბალზაკი ერთ თავის გმირს ასე ალაპარაკებდა: „დიდება მკვდრების მზეა. სიცოცხლეში შენ იქნები უბედური, როგორც ყველა დიდი ადამიანი“.

საკუთარმა გამოცდილებამ და სხვა დიდ პიროვნებათა ბედუკუღმართობამ წამოაძახებინა დიდ ფრანგ მწერალს ეს მწარე სიტყვები.

ბალზაკს სიცოცხლეში არ ღირსებია ჯეროვანი პატივი და დიდება, დაფასება და ბედნიერება. მისი როგორც გმირი ადამიანის, ბუმბერაზი მწერლის მზე მხოლოდ სიკვდილის შემდეგ ამოვიდა. მან გაანათა სამუდამოდ ბალზაკის შემოქმედება და ახლებურად დაანახვა პროგრესულ კაცობრიობას მწერლის ნათელი და დიადი სახე, მისი უკვდავი მხატვრული შედევრები.

* * *

ბალზაკი დაიბადა 1799 წლის 20 მაისს სამხრეთ საფრანგეთის ქ. ტურში. მისი მამა, ბერნარ-ფრანსუა ბალსა წარმოშობით მოჯამაგირე გლეხის შვილი იყო, შემდეგ, როცა მოხელე და ფინანსისტი გახდა, გამდიდრდა, გვარი გამოიცვალა და ბალზაკად გადააკეთა. ამით შეეცადა თავი მაღალი წოდების კაცად ეჩვენებინა; ონორე ბალზაკმა შემდეგ ამ გვარს ნაწილაკი დე მიუმატა, რომ უფრო ნათელი გაეხადა მისი არისტოკრატიული სახე.

ხუთი წლის ბალზაკი შეიყვანეს დაწყებით სკოლაში ქ. ტურ-

ში. შემდეგ კი — ვანდომის იეზუიტურ კოლეჯში, სადაც ის სწავლობდა 1807 წლის 22 ივნისიდან 1813 წლის 22 აპრილამდე. ამ დროის განმავლობაში ბალზაკს თავისი მშობლიური კერა არც ერთხელ არ უნახავს. კოლეჯში ბალზაკმა უსიხარულო, ნაღვლიანი დღეები გაატარა, მას გულს უღონებდა და სულს უშფოთებდა სკოლაში არსებული აუტანელი რეჟიმი, აღმზრდელი იეზუიტების პახინჯი წესები და მეთოდები.

1814 წელს ფრანსუა ბალზაკის ოჯახი პარიზში გადასახლდა. ონორე დე ბალზაკს გზა გაეხსნა, ის მოსცილდა იეზუიტური კოლეჯის ჯოჯოხეთურ პირობებს, გადავიდა მჩქეფარე და დაუცხრომელ პარიზში..

საფრანგეთის დედაქალაქში ბალზაკი სწავლას განაგრძობს ჯერ კერძო პანსიონებში, შემდეგ სორბონის უნივერსიტეტში. აქ ის ინტერესით ისმენს გამოჩენილ მეცნიერთა ლექციებს.

ფრანსუა ბალზაკს უნდოდა შვილი ნოტარიუსად გაეზარდა. ონორე რამდენადმე ანგარიშს უწევდა მამის სურვილს, ამიტომ სწავლასთან ერთად კლერკად მუშაობდა სანოტარო კანტორაში. 1819 წელს ონორე ამთავრებს იურიდიულ ფაკულტეტს, მაგრამ ამ დარგში კი არ იწყებს მოღვაწეობას, არამედ ლიტერატურაში. ამ დროს მისი მამა გადაყენებულ იქნა სამსახურიდან. უხელფასოდ და უპენსიოდ დარჩენილ ფრანსუა ბალზაკის ოჯახს ძალიან გაუჭირდა. ის ოჯახით პარიზიდან გადავიდა ვილპარიზში, ონორეს კი პარიზში უბრალო ბინა დაუქირავა, რომელსაც მომავალი დიდი მწერალი „თავის მანსარდას“ უწოდებდა.

ბალზაკი აქ წერს თავის პირველ ნაწარმოებს „კრომველს“, რომელიც სუსტი აღმოჩნდა. იგი გულს არ იტეხს და აქვეყნებს გასართობ რომანებს სხვადასხვა ფსევდონიმით, მაგრამ ვერ აღწევს დასახულ მიზანს, რადგან ნაჩქარევი და ზერელე იყო ეს ნაწარმოებები.

1823 წელს ლიტერატურულ ასპარეზზე წარუმატებელი, ეკონომიურად ხელმოკლე ბალზაკი კომერციულ საქმეებს იწყებს, აქვეყნებს ფრანგი კლასიკოსების: ლაფონტენის და მოლიერის ნაწარმოებებს. ხელს ჰკიდებს იაფფასიანი ქაღალდების წარმოებას და სხვ. მისი ეს წამოწყებები მარცხით დამთავრდა.

1825 წელს ბალზაკმა სტამბა მოაწყო და მესტამბეობას შეუდგა. ამ საგამომცემლო საქმეში მარცხი მარცხს მოსდევდა. ბალზაკი ერთ ხანს ოცნებობდა სასტამბო შრიფტის ჩამოსხმა დაეწყო, წასულიყო სარდინიაში ვერცხლის საბადოების საწარმოებლად, ანდა პოლონეთში ხე-ტყის წარმოება შეექმნა, მაგრამ ამაოდ, მისი ოცნებები ზედიზედ იმსხვრეოდნენ. ბალზაკი დიდ ვალებში ჩავარდა,

დაიწყო მის ცხოვრებაში ყველაზე აუტანელი პერიოდი — ვალების გასტუმრებისათვის დღე და ღამ შრომა. მან დიდი ნებისყოფა და მოთმინება გამოიჩინა, აუწერელი ტანჯვა-წამებით ძლივს გამოვიდა ვალებიდან სიცოცხლის ბოლო წლებში.

ბალზაკის მწარე ბედზე, ნაღვლიან დღეებზე, ტანჯულ ცხოვრებაზე ნათლად მიუთითებს მისივე სიტყვები: „ყველაფრის მიუხედავად უნდა წერო, მთელი დღეების განმავლობაში, რომ ბოიპოვო დამოუკიდებელი ცხოვრება. სული მეხუთება უსახსრობის გამო, ცოტა მძინავს, ცოტას ვჭამ, ვერავის ვხედავ. პოლიცია კვლავ დამდევს დასაპატიმრებლად. მევალეებისაგან დევნილი, მოუსვენარი ცხოვრებით შეწუხებული, ვეღარ ვეწევი ჩემს საყვარელ ლიტერატურულ საქმიანობას. მე მესაჭიროება მორალური და მატერიალური თავისუფლება“.

ბალზაკს არაფერი გამოუვიდა კომერციულ სარბიელზე, მაგრამ კომერსანტების, გამომცემლების, რედაქტორების წრეში ტრიალმა მას გააცნო ბურჟუაზიული საზოგადოების მტაცებლური ბუნება, მისი ბინძური ხასიათი, ბურჟუაზიული პრესის გამყიდველობა. ყოველივე ეს და სხვა მისთანანი მან კიდევაც გამოხატა თავის უკვდავ ნაწარმოებებში.

საგამომცემლო საქმის შესწავლამ, სტამბასთან დაკავშირებულმა ტანჯვა-ვაებამ, მძაფრმა კონკურენციამ, ფულის ყოლად გამრყვნელმა როლმა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, ბევრ რამეზე აუხილა თვალი ბალზაკს და დააფიქრა იგი.

ბალზაკი დარწმუნდა, რომ მისი მოწოდება მწერლობა იყო და გულმოდგინედ შეუდგა სალიტერატურო ასპარეზზე სერიოზულ და დაუღალავ მოღვაწეობას. თავის საბრძოლო დევიზად დაისახა: „რაც ნაპოლეონმა ხმლით ვერ შეძლო, მე იმას კალმით გავაკეთებ“.

პირველმა რომანმა „შუანებმა,“ ბალზაკს ფართოდ გაუთქვა ნიჭიერი მწერლის სახელი. ის ხალისით, გატაცებით მუშაობს დღე-ღამეში ხშირად თვრამეტ საათსაც და რამდენიმე წლის განმავლობაში ქმნის მსოფლიო ლიტერატურის შედევრებს, უმაგალითო შრომისმოყვარე ბალზაკი ბევრჯერ ასწორებდა და ხვეწავდა თავის რომანებს.

ნიჭიერი დანიელი კრიტიკოსი გეორგ ბრანდესი მოხდენილად უწოდებს ბალზაკს „მძლავრ, გიგანტური ძალით მომუშავე ხუროთმოძღვარს“. მსოფლიო ლიტერატურაში იშვიათია მწერალი, რომელსაც განუწყვეტლივ, როგორც იტყვიან თავაუღებლივ, ასე და ამდენი ემუშაოს და მოკლე დროში შეექმნას საუკეთესო მხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც მუდამ წარმოადგენენ სისტემატური კითხვის, შესწავლის, გატაცებისა და მიბაძვის საგანს.

„შუანების“ გამოქვეყნების შემდეგ ბალზაკმა ფართოდ გაშალა ფრთები, ზღაპრული დევივით გამოდის ლიტერატურული მოღვაწეობის ასპარეზზე, ხშირად ბეჭდავს თავის ნაწარმოებებს გაზეთებსა და ჟურნალებში, აქვეყნებს მათ ცალკე წიგნებად, გულდასმით აგროვებს მასალებს, ახლოს ეცნობა და სწავლობს, როგორც ქალაქების, ისე პროვინციების საზოგადოებრივ ცხოვრებას, ბევრს მოგზაურობს საფრანგეთში და მის გარეთაც, მისი მახვილი თვალი ყველაფერს ამჩნევს, ყველაფერს ხედავს, ყველაფერს აქცევს დაკვირვებისა და შესწავლის ობიექტად.

ბალზაკის სახით კაცობრიობის წინაშე წარმოსდგა საინტერესო მწერალი, გენიალური ნიჭით, ახალი განწყობილებებით, ახალი მსოფლმხედველობით, სინამდვილის ახალი მხატვრული აღქმით.

თვითონ ბალზაკი ხშირად მოგვითხრობს, თუ როგორ ბედმიწევნით აკვირდებოდა და სწავლობდა იმ ცხოვრებასა და ადამიანებს. ბალზაკი უბრალოდ ჩაცმული დადიოდა ხალხში და უსმენდა მათ საუბარს, ეცნობოდა მათ საქმიანობას. ხშირად ბალზაკი ღამით აედევნებოდა ხოლმე მშრომელ ადამიანებს, რომლებიც თეატრიდან შინ ბრუნდებოდნენ. ისინი ნახულ სპექტაკლზე მსჯელობდნენ, შემდეგ მათი საუბარი გადადიოდა პირად ოჯახურ საქმეებზე. სახლში მიმავალი ცოლ-ქმარი ჩიოდა სურსათის გაძვირებაზე, გრძელსა და ცივ ზამთარზე. ისინი ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, თუ რამდენი უნდა გადაუხადონ მეპურეს. შრომაში თავჩარგული უბრალო ადამიანების ასეთი საუბარი იპყრობდა ბალზაკის ყურადღებას. ამ ადამიანთა ცხოვრება, მათი ბუნება, ხასიათი ნათლად იშლებოდა ბალზაკის თვალწინ. ის გრძნობდა, თითქოს მათი ძველი ტანსაცმელი ფარავდა მის სხეულს, თითქოს მათი ძველი ფეხსაცმელები ეცვა ფეხზე და სხვა. ბალზაკი ამ ხალხთან ერთად ფიქრობდა, ღელავდა, განიცდიდა. ასე ახლოს იყო ის ცხოვრებასთან, სინამდვილესთან, ადამიანებთან. ყოველივე ამან და მისმა გენიალურმა ნიჭმა ბალზაკი აიყვანა რეალიზმის მწვერვალზე.

ბალზაკის ბიოგრაფიიდან აღსანიშნავია მისი გატაცება მდიდარი პოლონელი თავადის ქალით — ეველინა ჰანსკათი. 1832 წელს ბალზაკმა ოდესიდან მიიღო წერილი, რომელსაც ხელს აწერდა „უცხოელი ქალი“. ამ წერილის ავტორს ბალზაკმა მაშინვე უპასუხა და დაიწყო მათ შორის მიმოწერა. შემდეგ ბალზაკი ამ „უცნობ ქალს“ შვეიცარიაში შეხვდა. ეს იყო ოცდაშვიდი წლის ქალი, ძალიან ლამაზი და მიმზიდველი, ამასთანავე მდიდარი. ამ დროს ბალზაკის პირადი ცხოვრებისათვის მდიდარი ქალის შერთვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ბალზაკი და ჰანსკა ერთმანეთთან დაკავშირებულნი იყვნენ ნამდვილი, გულწრფელი სიყვარულით. ბალზაკი

ჰანსკას ხვდებოდა აგრეთვე კენაში, დრეზდენში, პეტერბურგში, 1847—1848 და 1849—1850 წლებში ცხოვრობდა მასთან სოფელ ვერხოვნიაში. 1850 წლის მარტში ბერდიჩევში ბალზაკი დაქორწინდა ჰანსკაზე და ახლადშერთული ცოლით გაემგზავრა პარიზს.

აღსანიშნავია, რომ 1843 წელს პეტერბურგში ყოფნის დროს, როცა ბალზაკი მიხეილის თეატრში გამოჩნდა, მაყურებლები ფეხზე წამოდგნენ და გულთბილი ოვაცია გაუმართეს დიდ ფრანგ მწერალს. ეველინა ჰანსკასათვის გაგზავნილ ერთ წერილში ბალზაკი კმაყოფილებით წერდა, რომ მისი რომანები რუსეთში ფართოდ ვრცელდებოდა და ინტერესით იკითხებოდა.

ეველინა ჰანსკას გაცნობამ და მასთან დაახლოებამ ბალზაკი დაახლოვა უკრაინასთან, უკრაინელ ხალხთან. ის სამ წელიწადს ცხოვრობდა უკრაინაში, სადაც რამდენიმე თავისი ნაწარმოები დაწერა. ბალზაკი ინტერესით ეცნობოდა უკრაინის ღირსშესანიშნაობებს, ადამიანებს, ხშირად დადიოდა კიევში, რომელსაც ის „ჩრდილოეთის რომს“ უწოდებდა.

კარგა ხანია უკრაინის სოფელ ვერხოვნიაში ეველინა ჰანსკას სახლი გადაქცეულია მუზეუმად, რომლის სადარბაზო შესასვლელთან მარმარილოს დაფაზე ამოკვეთილია წარწერა „ამ სახლში 1847—1850 წლებში ცხოვრობდა დიდი მწერალი ონორე დე ბალზაკი“. უკრაინელი ხალხი ასე სათუთად ეპყრობა გამოჩენილი ფრანგი მწერლის დიად სახელს.

ბალზაკს ანცვიფრებდა რუსეთის დაუშრეტელი ბუნებრივი სიმდიდრენი, მისი ძლიერება, რუსი ხალხის შრომისმოყვარეობა და ნიჭიერება, ის ამბობდა: „რუსი ხალხი მოწოდებულია დიდი როლის შესასრულებლად მომავალში“. „ინგლისში, — წერდა ბალზაკი რუსეთიდან თავის დას, — ყველაფერი ხელოვნურია, მოჩვენებითი, რუსეთი კი წარმოადგენს დადებით ძალას“.

ბალზაკს სურდა ემოგზაურა ყირიმში, კავკასიასა და თბილისში, მისი აზრით, ამ ადგილებზე უფრო ლამაზი არაფერი არსებობს დედამიწის ზურგზე. ბალზაკს უნდოდა დაეტოვებინა თავისი სამშობლო საფრანგეთი და სამუდამო საცხოვრებლად ჩვენში გადმოსულიყო. ამ სანუკვარი ოცნების განხორციელება გენიალურ მწერალს აღარ დასცალდა. ის გარდაიცვალა გულის დამბლისაგან 1850 წლის 20 აგვისტოს.

* * *

1834 წელს ბალზაკმა გადაწყვიტა დაეწერა თავისი დროის, ე. ი. რესტავრაციისა და ივლისის მონარქიის ეპოქის „საფრანგეთის საზოგადოების ისტორია“. ამ მხატვრულ ეპოპეას ბალზაკმა შემდეგ დაარქვა „ადამიანური კომედია“.

„ადამიანური კომედია“ დაყოფილია სამ ნაწილად. პირველი — „ეტიუდები ზნე-ჩვეულებათა შესახებ“, მეორე — „ფილოსოფიური ეტიუდები“, მესამე — „ანალიტიკური ეტიუდები“.

პირველი ნაწილი — „ეტიუდები ზნე-ჩვეულებათა შესახებ“. შედგება რომანების ექვსი სერიისაგან: პირველი სერია — სცენები კერძო ცხოვრებიდან: „გობსეკი“, „ოცდაათი წლის ქალი“, „საქორწინო ხელშეკრულება“, „ბეატრისა“, „მოდესტ მინიონი“, „მამა გორიო“ და სხვ. მეორე სერია — სცენები პროვინციული ცხოვრებიდან: „ევენი გრანდე“, „ორი სერია რომანებისა“, „პარიზელები პროვინციაში“, „გამქრალი ოცნებანი“ და სხვ. მესამე სერია — სცენები პარიზის ცხოვრებიდან: „ცეზარ ბიროტოს დიდებისა და დაცემის ისტორია“, „ნუსინგენის სახლი“, „პიერ გრასუ“, „კურტიზანთა ბრწყინვალება და სიღატაკე“, „ღარიბი ნათესავები“ და სხვ. მეოთხე სერია — სცენები პოლიტიკური ცხოვრებიდან: „ეპიზოდი ტერორის დროიდან“, „ბნელი საქმე“ და სხვ. მეხუთე სერია — სცენები სამხედრო ცხოვრებიდან: „შუანები“, „ვნება უდაბნოში“ და სხვ. მეექვსე სერია — სცენები სოფლის ცხოვრებიდან: „სოფლის ექიმი“, „სოფლის მღვდელი“, გლეხები“.

მეორე ნაწილი — „ფილოსოფიური ეტიუდები“ შეიცავს რომანებს: „შაგრენის ტყავი“, „გამოუცნობელი შედევრი“, „აბსოლუტის ძიება“ და სხვ. მესამე ნაწილი — „ანალიტიკური ეტიუდები“ წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ნაწარმოებით „ქორწინების ფიზიოლოგია“. დანარჩენის დაწერა ბალზაკს აღარ დასცალდა.

„ადამიანური კომედია“ ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ცხოვრების ენციკლოპედიაა. იგი მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. მასში სამი ათასამდე გმირი მონაწილეობს. ბალზაკი ამბობდა: „ჩემს ნაწარმოებს თავისი გეოგრაფია აქვს, თავისი გენეალოგია, თავისი ადგილები და თავისი საგნები, თავისი ადამიანები და თავისი ღერბები; მას თავისი დიდკაცები და თავისი ბურჟუები ჰყავს, თავისი ხელოსნები და გლეხები, თავისი პოლიტიკოსები და დენდები, თავისი არმია, ერთი სიტყვით, ეს მთელი სამყაროა“.

ამ გრანდიოზული ეპოპეის სათაურს — „ადამიანური კომედია“ — ორგვარი აზრი აქვს: ერთი მხრივ, აქ გაერთიანებულ რომანებში მწერალი მისი თანამედროვე, ბურჟუაზიული საფრანგეთის ცხოვრების რეალისტურ სურათებს იძლევა, ისევე როგორც ეს დანტემ მოგვცა თავის „ღვთაებრივ კომედიაში“. მეორე მხრივ კი, იგი იმას აღნიშნავს, რომ „ადამიანური კომედიის“ მოქმედი გმირები თითქოს თავისებური მსახიობები არიან, რომლებიც ნებით თუ უნებ-

ლიეთ, ამა თუ იმ როლს ასრულებენ ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ცხოვრების კომედიაში.

• •

მარქსმა და ენგელსმა კაპიტალისტური საზოგადოების ღრმა ანალიზის საფუძველზე მეცნიერულად დაასაბუთეს ამ საზოგადოების რევოლუციური აფეთქებისა და დაღუპვის ისტორიული გარდუვალობა.

ბალზაკმა როგორც უდიდესმა რეალისტმა მწერალმა ნიღაბი ახადა ბურჟუაზიულ საზოგადოებას და ამხილა მთელი მისი მანკიერება. ბალზაკის საუცხოო მხატვრული ქმნილებანი შესანიშნავ ილუსტრაციას წარმოადგენენ „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ გამოთქმულ გენიალურ აზრებისას: „სადაც კი ბურჟუაზიამ ბატონობას მიაღწია, ყველგან დაანგრია ყველა ფეოდალური, პატრიარქალური, იდილიური ურთიერთობა. მან შეუბრალებლად დაასმსხვრია ის სხვადასხვანაირი ფეოდალური ჯაჭვი, რომლითაც ადამიანი მიბმული იყო მის „ბუნებრივ მბრძანებელზე“. და არ დატოვა არავითარი სხვა კავშირი ადამიანსა და ადამიანს შორის, გარდა გაშიშვლებული ინტერესისა, გარდა უსულგულო „ნაღდად გადახდისა“ ეგოისტური ანგარიშის ყინულოვან წყალში ჩაახრჩო მან საღმრთო ჟრუანტელი რელიგიური აღტყინებისა, რაინდული აღფრთოვანებისა, მეშჩანური გრძნობიერებისა. მან პირადი ღირსება საცვლელ ღირებულებად გადააქცია და უთვალავ ნაბოძარ და კეთილშენაძენ თავისუფლებათა ადგილას დაამყარა ერთადერთი უსინდისო თავისუფლება ვაჭრობისა. ერთი სიტყვით, რელიგიური და პოლიტიკური ილუზიებით მიჩქმალული ექსპლოატაციის ადგილას მან დაამყარა აშკარა, უსირცხვილო, პირდაპირი, ტლანჭი ექსპლოატაცია.

ბურჟუაზიამ წმინდანობის შარავანდედი ახადა ყველა იმ მოქმედებას, რომელსაც დღემდე საპატიოდ თვლიდნენ და მოწიწების გრძნობით უცქეროდნენ. ექიმი, იურისტი, მღვდელი, პოეტი, მეცნიერი მან სასყიდლით მომუშავე თავის დაქირავებულ მუშებად გადააქცია.

ბურჟუაზიამ ოჯახურ ურთიერთობას მისი მგრძნობიერსანტიმენტალური საბურველი ჩამოაფხრიწა და იგი მარტოოდენ ფულად ურთიერთობად აქცია“.[1]

ბალზაკმა თავისი ძლიერი მხატვრული კალმით გვიჩვენა ბურ-

---

1 კ. მარქსი და ფ. ენგელსი. „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, თბილისი, 1952 წ., გვ. 42.

ქუაზიული ურთიერთობის გამხრწნელი გავლენა საზოგადოებრივ მორალზე. ყოფა-ცხოვრებაზე, მან გამოააშკარავა კაპიტალიზმის ბინძური ხასიათი და ბუნება, მით გამოწვეული, წყლულები, და ის მგლური კანონი, რომელიც საფუძვლად უდევს კაპიტალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობას.

ბალზაკმა მზის სინათლეზე გამოიტანა მთელი სიბინძურე და ბნელი საქმეები ბურჟუაზიული საზოგადოებისა. მან გვიჩვენა, რომ ბურჟუა დესპოტია ოჯახში, საზოგადოებაში, რომ ის მხეცური ინსტინქტების მატარებელია, ტირანი, თვალთმაქცი და ჯალათია, კეთილი გრძნობებისა და ჯანსაღი აზრების ჩამხშობია.

ბალზაკი ღრმა მხატვრული სიმართლით წარმოგვისახავს ფულის მავნე გავლენას ადამიანთა ურთიერთობაზე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, წარმოგვისახავს კაპიტალისტურ წყობილებას, სადაც ადამიანი ადამიანისათვის მგელია, სადაც ადამიანი მორალურად და სულიერად მახინჯდება.

ბრანდესის სიტყვებით რომ ვთქვათ, ფული ბალზაკის შემოქმედებაში „უსახო და უსქესო“ გმირია. ფულით იზომება ყველაფერი, იგი ერთადერთი ძალაა, რომლითაც ადამიანს შეუძლია მიაღწიოს დიდებასა და ბედნიერებას ბურჟუაზიულ საზოგადოებაში.

მოთხრობაში „გობსეკი“ ბალზაკი გვიხატავს მევახშის, ძუნწის მეტად პირქუშ ტიპს. გობსეკი ოქროს ფულის დაგროვებაში ხედავს ცხოვრების აზრს. ის საოცარი არსებაა, მასში ყველაფერი გამოცანაა. ბალზაკი მოხდენილად უწოდებს მას „ადამიან-ავტომატს“, „ადამიან-თამასუქს“. ერთი შეხედვით, ეს ყოვლად გადაგვარებული ქმნილება, შეიძლება გამონაკლისად მოგვეჩვენოს, მაგრამ ეს მხოლოდ გარედან, თვალის ერთი გადავლებით, ნამდვილად კი გობსეკი ტიპიურია, ის პირდაპირი გამოხატულებაა ბურჟუაზიული საზოგადოების მთელი სიმახინჯისა და მანკიერებისა, ის გამოხატულებაა კაპიტალიზმის მახინჯი კანონისა, რომ ფული ერთადერთი, ყოვლისშემძლე საშუალებაა ადამიანთა ურთიერთობისა. გობსეკის ყველა ვნებას წარმართავს ანგარებითი ინტერესი და უსაზღვრო ეგოიზმი.

ბალზაკის აზრით ფული ბურჟუაზიულ წყობილებაში მთავარი ძალაა, რომლითაც ადამიანს შეუძლია მიაღწიოს ყველაფერს. „ოქრო შეიცავს ადამიანთა მთელ ძალას... დიდებისმოყვარულობა მხოლოდ ოქროს ნიაღვრებით კმაყოფილდება... ცხოვრება მანჭანაა, რომელსაც ფული ამოძრავებს... ოქრო თანამედროვე საზოგადოების სპირიტუალიზმია... ფული ყველაფერს სწყვეტს... ფული საჭონელია, რომელიც სრულიად დამშვიდებული სინდისით შეიძლება გაჰყიდო ძვირად ან იაფად, გარემოების მიხედვით“ („გობსეკი“).

ფელიქს გრანდე („ეჟენი გრანდე") პირწავარდნილი ბურჟუაა. მისთვის ფული ყველაფერია. მისი სახით მწერალი ნათლად გვიჩვენებს ბუნწი ადამიანის ეგოიზმს. ფელიქს გრანდე ნათესაურ კავშირს არაფრად არ თელის, მან ფული არ ასესხა გაკოტრებულ ძმას, რომელიც ამის შედეგად იძულებული გახდა, თავი მოეკლა. ძმის ასეთმა სიკვდილმა ფელიქს გრანდე მხოლოდ იმდენად შეაწუხა, რამდენადაც ამ ამბავმა მისი ოჯახის მყუდროება დაარღვია.

ფელიქს გრანდეზე ოქრო სასწაულებრივად მოქმედებს. ოქროს დანახვაზე იგი ყველას და ყველაფერს ივიწყებს, მომაკვდავის სარეცელზე მწოლარე ფელიქს გრანდემ მოითხოვა — ოქრო მომიტანეთო. როცა ეჟენიმ მის წინ ლუიდორები დაყარა, გრანდე გამოცოცხლდა. ძლიერად აგვიწერს, ბალზაკი ფელიქს გრანდეს ზიარების სცენას. როცა მასთან მღვდელი მივიდა საზიარებლად, ჯვრის, შანდლებისა და ვერცხლის სასხურებლის დანახვაზე გრანდემ მიბინდული თვალები ფართოდ გაახილა. „ამ საგნებს მან თვალი დააშტერა და მისი კოპი უკანასკნელად შეინძრა, იმ დროს, როცა მღვდელმა მას ტუჩებთან მოოქრული ჯვარცმა მიუტანა, რათა ამ ქრისტეს გამოსახულებისათვის ეამბორა, იგი საშინლად შეირყა: მას უნდოდა ჯვარცმისათვის ხელი წაევლო და ეს უკანასკნელი მოძრაობა მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა".

ობლად დარჩენილი შარლი მიდის თავისი ბიძის ფელიქს გრანდეს სახლში. აქ მას და მის ბიძაშვილ ეჟენის ერთმანეთი შეუყვარდებათ. ეჟენი მთელ თავის დანაზოგს შარლს აძლევს. ეს უკანასკნელი ისარგებლებს ამით და ინდოეთში გაემგზავრება. იქ შარლი მდიდარ ქალს შეირთავს, ეჟენი კი, რომელიც ამაოდ ელოდებოდა საქმროს, უსიყვარულოდ თხოვდება სხვაზე.

ბალზაკი ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ ნთქავს გამდიდრების წყურვილი ადამიანის ყველა სხვა გრძნობასა და მისწრაფებას.

შარლი ბუნებით პატიოსანი და ენერგიული ახალგაზრდაა. ის სხვა დროსა და სხვა საზოგადოებრივ პირობებში შეიძლებოდა წესიერი ადამიანი, სასარგებლო მოქალაქე გამხდარიყო, ბურჟუაზიულმა საზოგადოებრივმა წყობილებამ შარლი აქცია ცივ, ამორალურ, ანგარებიან და კარიერისტ ადამიანად.

„ადამიანური კომედიის" ერთ-ერთ შესანიშნავ და სახელგანთქმულ რომანში — „მამა გორიო", ბალზაკი აგვიწერს პარიზის მაღალი საზოგადოების ცხოვრებას. ნაწარმოების ცენტრშია ბურჟუა გორიო, რომელიც ყველაფერს შესწირავს თავის ორ ქალიშვილს: ანასტაზისა და დელფინას. ანასტაზი ცოლად მიჰყვება გრაფ დე რესტოს, დელფინა — ბანკირ ნუსინგენს. შემდეგში ისინი მამას თავს არიდებენ და გორიო სიღატაკესა და მარტოობაში ისე კვდე-

ბა, რომ მისთვის მისი ქალიშვილები ერთ ცრემლსაც კი არ იმეტებენ.

ნაწარმოებში, აგრეთვე, გამოყვანილია გაღარიბებული ახალგაზრდა პროვინციელი არისტოკრატი ეუენ რასტინიაკი, რომელიც ცდილობს პარიზში საპატიო მდგომარეობა მოიპოვოს. რასტინიაკს გაიცნობს და მის ცხოვრებას წარმართავს გადასახლებაში ნამყოფი ციხიკოსი — ვოტრენი. ის ასწავლის რასტინიაკს, რომ — „მაღალი საზოგადოება — მატყუარებისა და მოტყუებულთა ხროვაა და მეტი არაფერი. პრინციპები არ არსებობს. არსებობს ამბები. კანონებიც ტყუილია — არის გარემოება, ჭკვიანი კაცი ამ გარემოებას ეგუება, რომ შემდეგ ამით თავისებურად ივაჭროს... ბიწიერება ახლა ძალაშია, ნიჭი კი იშვიათი... პატიოსნება არაფრის მაქნისია".

„ამ ბრბოში, — მაცდური დემონივით ჩასჩურჩულებს ვოტრენი ახალგაზრდა სტუდენტ რასტინიაკს, — ან ყუმბარასავით უნდა შეიჭრა, ანდა შავი პირიყით გადაუარო", „უკუაგდეთ ყველა თქვენი რწმენა და ანგარიშს ნუ გაუწევთ თქვენს სიტყვებს, გაიდეთ ისინი, თუ კი ამის მოთხოვნილება იქნება... პატიოსანი ადამიანი ყველას მტერია... მოიპარე ერთი მილიონი და ყველა სალონში ისე მიგიღებენ როგორც სათნოების განხორციელებას", ვიკონტესა დე ბოსეანი ასე არიგებს თავის ახალგაზრდა ნათესავს რასტინიაკს — „მათრახი ურტყით მარჯვნივ და მარცხნივ და თქვენ შიშის თრთოლვას გამოიწვევთ. კაცებსა და ქალებს ისე უცქირეთ როგორც ფოსტის ცხენებს უცქერით. გარეკეთ ისინი, სანამ არ დაეცემიან და თქვენ თქვენი სურვილების მწვერვალებს მიაღწევთ".

ბალზაკის ფილოსოფიური ეტიუდი „შაგრენის ტყავი" მკაფიოდ მაჩვენებელია იმისა, თუ როგორ იღუპება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ნიჭიერი ადამიანი. ნაწარმოების მთავარი გმირი რაფაელ დე ვალანტენი განსაკუთრებული ტალანტის მქონე ახალგაზრდაა. ის ცდილობს გზა გაიკაფოს ცხოვრებაში და მიაღწიოს დამოუკიდებელ მდგომარეობას. მაგრამ ამაოდ. მისი ოცნებები იმსხვრევიან. ის მარტოდმარტოა, არავინ ეხმარება, შიმშილისაგან სიკვდილი მოელის. დამწუხრებული და სასოწარკვეთილი რაფაელი თვითმკვლელობაზე ფიქრობს. ამ დროს ის შემთხვევით ხელში ჩაიგდებს თილისმას — შაგრენის ტყავს. ამ ტყავს საოცარი თვისება აქვს: იგი ასრულებს პატრონის ყოველ ნება-სურვილს, მაგრამ პატარავდება და ქრება. ასევე მოსდის მისი მფლობელის სიცოცხლესაც... რაფაელის ბრძოლა წარმატებებისათვის გამოხატულია თავისებური ფანტასტიკის სახით.

კაპიტალიზმის მტაცებლური ბუნება დამღუპველად მოქმედებს

სოფლადაც. ამ მხრივ ალსანიშნავია ბალზაკის რომანი „გლეხები". ბურჟუაზიული ურთიერთობის საფუძვლიანი შესწავლის შედეგად ბალზაკი დარწმუნდა, რომ კერძო საკუთრების უფლება აყითარებს ადამიანებში მხეცურ ინსტიქტებს, რომ კერძო საკუთრებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანის ეგოისტური მისწრაფებანი. „გლეხებში" ბალზაკმა ერთმანეთს დაუპირისპირა მიწის ძველი მემამულური საკუთრების დამცველი მონკორნე და ახალი კაპიტალისტური ურთიერთობის წარმომადგენლები: გობერტენი და რიგუ.

მარქსს მოსწონდა ეს ნაწარმოები და იყენებდა მას თავისი თეორიული შეხედულებების საილუსტრაციოდ.

ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი ნაწარმოები ბალზაკის „ადამიანური კომედიისა" არის „გამქრალი ოცნებანი".

„გამქრალი ოცნებანი" შედგება სამი ნაწილისაგან. პირველია— „ორი პოეტი", მეორე — „სახელმოხვეჭილი პროვინციელი პარიზში", მესამე — „გამომგონებლის წამებანი".

პირველ ნაწილი: მოქმედება მიმდინარეობს საფრანგეთის პროვინციულ ქალაქ ანგულემში. ნაწარმოების მთავარი მოქმედი გმირია ლიუსიენ შარდონი, რესპუბლიკური ჯარის ყოფილი სამხედრო ექიმის შვილი. ლიუსიენის დედა, წარმოშობით დე რუბამპრე, დაქვრივების შემდეგ შეძლებულთა ოჯახებში მშობიარეების მომვლელად მუშაობდა და სახლში მოჰქონდა ოცი სუ. ლიუსიენი და მისი და ევა სამრეცხაოში მუშაობდნენ, თხუთმეტ სუს იღებდნენ. დედა და მისი ქალიშვილი ყოველნაირად ზრუნავდნენ ლიუსიენისათვის, რომელზეც ისინი დიდ იმედებს ამყარებდნენ.

ლიუსიენი ანგულემში შეხვდება თავისი სკოლის მეგობარს დავით სეშარს, რომელიც სტამბას განაგებს. ლიუსიენი მუშაობას დაიწყებს დავითთან. პოეზიითა და მეცნიერებით გატაცებული ეს ორი მეგობარი კიდევ უფრო დაუახლოვდებიან ერთმანეთს.

როგორც ბალზაკი გადმოგვცემს: ეს ორი ადამიანი უხვად იყო დაჯილდოებული მაღალგონიერებით, მაგრამ ბედის მწარე დაცინვით ისინი საზოგადოების ფსკერზე დახოხავდნენ. ცხოვრების სიდუხჭირეს მათი მეგობრობის კვანძი მაგრად გამოეკრა. სხვადასხვა გზებს ისინი პოეზიასთან მიეყვანა. ლიუსიენი ლიტერატურული სახელის მოხვეჭაზე ოცნებობდა, დავითს კი მეცნიერება იზიდავდა. ორი ყმაწვილის მეგობრობა, რამდენიმე დღეში გადაიქცა ისეთ გატაცებად, რომელიც მხოლოდ ყრმობის დასასრულს იბადება... ორი ახალგაზრდა მეგობარი საზოგადოებას იმდენად უფრო მკაცრად კიცხავდა, რამდენადაც მის მეტად დაბალ საფეხურზე იდგა: განდევნილი, დამცირებული ადამიანები ხომ თავიანთი ამაღლებული

შეხედულებებით საზოგადოებაზე ერთგვარად შურს იძიებენ. მათი სევდა იმდენად უფრო მწარე იყო, რამდენადაც გონებით მიისწრაფოდნენ იქითკენ, საითაც ნამდვილი ბედისწერა მიაქანებდა.

დავითი ყოველნაირად ცდილობს დაეხმაროს ლიუსიენს. ის ამბობს: „ხარს მინდვრად მუშაობა უწერია, ჩიტს — უზრუნველი ცხოვრება. ხარი მე ვარ, არწივი კი — ლიუსიენი". ლიუსიენთან დაახლოების შემდეგ დავითს უსაზღვროდ შეუყვარდება მისი და ევა. ევასაც თავის მხრივ მოეწონა და შეუყვარდა დავითი, მით უფრო, რომ დავითს ასე ფანტასტიკურად უყვარდა მისი ძმა ლიუსიენი. აი რა მხატვრულად გადმოგვცემს მწერალი ამ სიყვარულის განცდას: „დავითმა გამოიცნო, რა მოეწონებოდა უმეტესად ევას. რათა გამოეხატოთ მათი სიყვარულის უსიტყვო სიტკბოება რით განსხვავდებოდა ბობოქარ ვნებათა ღელვისაგან, იგი უნდა შეევადაროთ მინდვრის ყვავილებს, ესოდენ რომ განსხვავდებიან ორანჟერეის კაშკაშა ყვავილებისაგან. მათი მზერა ნაზი იყო და მორცხვი, ვით ნაკადულზე მონავნავე ცისფერი შროშანი. უნებლიეთ წამოცდენილი სიტყვები მათი ასკილის სურნელებას ედრებოდა, ხოლო სევდა ხავერდოვანი ხავსივით სათუთი იყო. ეს გახლდათ ორი მშვენიერი სულის ყვავილი, მდიდარ, ნოყიერ, გამძლე ნიადაგზე აღმოცენებული. ევამ უკვე მრავალგზის გამოიცნო ძალა ამ სისუსტეში მიმალული და უაღრესად მადლიერიც იყო იმის გამო, რის გამოთქმასაც დავითი ვერ ბედავდა".

ლიუსიენი გაიცნობს მაღალი წრის ქალბატონ ბარჟეტონს, რომლის სალონში იკრიბებიან პროვინციის წარჩინებული პირები და საუბრობენ ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხებზე. ლიუსიენი თხოვს ქალბატონ ბარჟეტონს მიიღოს მის სალონში ნიჭიერი ახალგაზრდა დავით სეშარი. ქალბატონი თანხმდება. შორსმჭვრეტელი დავით სეშარი წინასწარ გრძნობს, რომ ლიუსიენის დაახლოება მაღალი წრის ადამიანებთან ბოლოს მოუღებს მის ნიჭს, ჩაკლავს ყოველივე კარგს, რაც კი მასშია. დავითი ამ თავის წინაგრძნობას ევასაც აუწყებს.

ლიუსიენი გულუბრყვილოდ მიენდობა მაღალი წრის საზოგადოებას. ქალბატონი ბარჟეტონი პარიზში მიდის და თან მიჰყავს ლიუსიენიც. ლიუსიენი გაჰყვა მას იმიტომ, რომ თვალწარმტაცი პარიზი თავისი იდეალების განხორციელების ერთადერთ ასპარეზად წარმოიდგინა, „ანგულემში ცხოვრება კი ჭაობში ჩაძირული ქვის ქვეშ მიყუჟული ბაყაყის ცხოვრებას შეადარა". დავითი ფულით ეხმარება ლიუსიენს, ამხნევებს და აიმედებს. გულში კი ფიქრობს — ვაითუ ამ ცბიერმა ქალბატონმა ლიუსიენი დაღუპოსო.

მეორე ნაწილი: ლიუსიენი პარიზშია. გრაფი სიქს დე შატლე

ქალბატონ ბარჟეტონს ურჩევს — შორს იდგეს ლიუსიენისაგან, რადგან ის მეაფთიაქის შვილია, დაბალი წრიდან წარმოშობილი და შეიძლება მას ჩირქი მოსცხოს.

ლიუსიენი თანდათან რწმუნდება, რომ პარიზში ცხოვრება აღელვებულ ზღვაში ცურვას ჰგავს. აქ ადამიანები გადაგვარებას განიცდიან. ქალბატონი ბარჟეტონი ლიუსიენს ოპერაში წაიყვანს და გააცნობს მაღალი წრის საზოგადოების წარმომადგენლებს: ქალბატონ დესპარს, პოეტ ბატონ დე კანალისს და სხვებს. ქალბატონი ბარჟეტონი ხედავს და გრძნობს, რომ ლიუსიენი მათ წრეში არაფრად მოჩანს, რომ მას გულგრილად და დამცინავად უყურებენ.

ლიუსიენი ყველაფერს ამჩნევს. ის მიხვდა, რომ ამ ხალხისაგან გამორჩევა თავისი ნიჭით, თავდაჯერილობით, ჩაცმულობით. მან ამაყად და ირონიულად გადახედა ამ ადამიანებს, რომლებსაც ჰორიკანობის მეტი არაფერი ეხერხებათ და გულში თქვა: „აი, სამეფო, რომელიც მე უნდა დავიმორჩილო, ღმერთო ჩემო! ოქრო ხომ ყველაფერია? ოქრო ერთადერთი ძალაა, რომლის წინაშეც ყველა თავს ხრის. არა, — ჩასძახებს სინდისი, — ოქრო კი არა, დიდებაა ყველაფერი. დიდება კი შრომაა, შრომა დავითის ეს საყვარელი სიტყვა. ღმერთო ჩემო: მე რა მინდა აქ? მე მივაღწევ ჩემსას". ქალბატონი ბარჟეტონი ჩამოიშორებს ლიუსიენს. ლიუსიენი უკვე მარტოდმარტოა პარიზში. მეგობრებისა და მფარველების გარეშე.

გაივლის ცოტა ხანი. ლიუსიენი გაიცნობს ახალგაზრდა ნიჭიერ მწერალს დანიელ დარტეზს. დანიელი წაიკითხავს ლიუსიენის ნაწარმოებებს და დაინახავს მასში დიდად ნიჭიერ ახალგაზრდას. ის ურჩევს ლიუსიენს გული არ გაიტეხოს, იშრომოს, წეროს და თავისი მხატვრული შეხედულებით მიაღწევს სიმდიდრესაც და დიდებასაც. დარტეზის წრეში ლიუსიენი გაიცნობს ყოველმხრივ შესანიშნავ ადამიანებს: მაღალგონიერ სტუდენტ-მედიკს — ორას ბიანშონს, ღრმად მოაზროვნე ფილოსოფოსს და თამამ თეორეტიკოსს — ლეონ ჟიროს, ახალი სკოლის ერთ-ერთ საუკეთესო მხატვარს — ჟოზეფ ბრიდოს, შთაგონებულ მწერალ-იუმორისტს და სკეპტიკოსს ფულუანს რიდალს და რესპუბლიკელ გმირს, კაცურ კაცს — მიშელ კრეტიენს. „ეს იყო დიდი - სახელმწიფო მოღვაწე, წერს ბალზაკი მიშელ კრეტიენის შესახებ, — რომელსაც შეეძლო სამყაროს სახის შეცვლა. ის დაეცა სენ-მერის მონასტრის კედელთან, როგორც უბრალო ჯარისკაცი, რომელიღაც მედუქნის ტყვიამ განგმირა ეს ერთ-ერთი უცეთილშობილესი ქმნილება, რომლის მსგავსი ოდესმე თუ არსებულა ფრანგულ მიწაზე".

აი, საზოგადოების ჯანსაღი ნაწილი, მშრომელი პარიზის სა-

ხელოვანი წარმომადგენლები, აი მომავლის ადამიანები, რომლებსაც ხედავდა დიდი მწერალი თავისი არწივისებური თვალებით. ამ ადამიანებში ლიუსიენი გამოიყურება როგორც განსახიერება პოეზიისა და მშვენიერებისა. მან ამ ახლად გაცნობილთა წრეში წაიკითხა თავისი სონეტები, რითაც ყველანი აღაფრთოვანა. პარიზის უდაბნოში მან პოვა მეგობრები, რომელთა სითბომ და ალერსმა იგი გამოაცოცხლა, მაგრამ ვინაიდან სათუთ და სუსტი ნებისყოფის ლიუსიენს კარიერის მოპოვების სურვილი ამოძრავებს, ის მიენდობა ბურჟუაზიის დაქირავებულ ჟურნალისტებს, რომლებიც მას სწორ გზას ააცდენენ. ასეთია „იდეებისა და რეპუტაციების დაქირავებული მკვლელი“ — ეტიენ ლუსტო. ამ გაიძვერას ლიუსიენი ოპერაში მიჰყავს. ლიუსიენი აქაც იმავეს ხედავს: ორპირობას, თვალთმაქცობას, გაუტანლობას. ერთმანეთით ვაჭრობას, ხედავს რომ ყველაფერი დამოკიდებულია ფულზე. წარმატებით საიდუმლოება იმაში კი არაა, რომ თვითონ იშრომო, გაისარჯო, არამედ იმაში, რომ სხვა ამუშაო, სხვა გასარჯო, შენ კი უშრომლად, იოლად იცხოვრო, სხვისი შრომით ისარგებლო და მიაღწიო დიდების მწვერვალს.

ლიუსიენი გაიცნობს და დაუახლოვდება ახალგაზრდა მსახიობ ქალს კორალის. ფულისათვის ლიუსიენი ყველაფერს აკეთებს. ლეგიტიმისტები და როიალისტები მას მალე მოიძულებენ, აბუჩად იგდებენ, ლიუსიენი მძიმე ეკონომიურ პირობებში ვარდება. ამ დროს გარდაეცვლება სატრფო კორალი. გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი ლიუსიენი უხეირო, მდარე ლექსებს წერს, აღებული ჰონორარით კორალის ასაფლავებს და შემდეგ იმედდაკარგული თავის მშობლიურ მხარეს უბრუნდება.

მესამე ნაწილი: ლიუსიენი გაჰირვებით ჩადის თავის მშობლიურ ქალაქში. აქ მას საშინელი ამბავი ხვდება, მის მიერ შედგენილი ყალბი თამასუქების გამო მისი სიძე დავით სეშარი შეიწროებას განიცდის. დავითი გულმოდგინედ მუშაობს თავის გამოგონებაზე, იაფფასიანი ქაღალდის შექმნაზე. სასტამბო საქმეს ევა განაგებს. დავითს ბევრი მტერი ჰყავს, მათ შორის თავისი მამა, რომელიც იმდენად ძუნწია, რომ წინააღმდეგობას უწევს დავითს, რათა მან გამოგონებაზე ფული დააბანდოს.

კაპიტალისტმა მტაცებლებმა ძმებმა კუენტეებმა იმდენი მოახერხეს მაქინაციებითა და გაიძვერობით, რომ დავითს წაართვეს თავის გამოგონების გაერცელების უფლება. მძიმე მატერიალურ გაჭირვებაში მყოფ დავით სეშარს აპატიმრებენ. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი დავითი თავის საიდუმლოებას გაანდობს ძმებს კუენტეებს და თავს დაიხსნის პატიმრობისაგან. ლიუსიენი

თავს დამნაშავედ გრძნობს და სახლიდან გაიპარება. ძას გზაში შეხვდება ვოტრენი, ეს ახლად მოვლენილი მეფისტოფელი (ამჯერად ესპანელი მღვდელი და დიპლომატი კარლოს ერერი) და გადაარჩენს სიკვდილისაგან. შემდეგ ლიუსიენს კვლავ ვხვდებით რომანში „კურტიზანთა ბრწყინვალება და სიღატაკე" დე რუბამპრეს გვარით.

ბალზაკის მხატვრული ჩანაფიქრის მიხედვით „გამქრალი ოცნებანი" თავისებური ტრილოგიის მეორე ნაწილია, პირველია „მამა გორიო", მესამე კი — „კურტიზანთა ბრწყინვალება და სიღატაკე".

„გამქრალ ოცნებათა პირველ ნაწილში ბალზაკი გვიხატავს პროვინციული ქალაქის ანგულემის მეშჩანურ და არისტოკრატიულ წრეებს. პატივმოყვარე, გამჭრიახობის წყურვილით შეპყრობილ ახალგაზრდა ლიუსიენ შარდონს და ..ანგულემის დედოფალს" ქალბატონ ბარენტონს.

მეორე ნაწილში მწერალს გადაუყავართ საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში, სადაც გვაცნობს: თეატრებს, გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს, გამომცემლობებს, მწერლებს, მხატვრებს, მეცნიერებს. ყველგან ნათლად გვაჩვენებს, თუ როგორ ქრება ნიჭიერ ადამიანთა ოცნებები, თუ როგორ იღუპებიან ტალანტები ბურჟუაზიულ საზოგადოებაში.

ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ურთიერთობის პირობებში. ახალგაზრდა ნიჭიერი ადამიანის წინაშე საკითხი ასე დგას: ან სიღატაკე, სხვენზე ცხოვრება, უსიხარულო დღეები, ანდა სხვისი შრომის მითვისება, საკუთარი ტალანტით ვაჭრობა, უსინდისობა. ამორალობა. სამწუხაროდ, „გამქრალ ოცნებათა" გმირმა ლიუსიენმა ცხოვრებაში იოლი გზით სვლა ამჯობინა, დაწერილმანდა, დახურდავდა და დაიღუპა.

ბალზაკი თავის რომანში აშიშვლებს მთელი ბურჟუაზიული პრესის გამყიდველურ ხასიათსა და ბუნებას. ის წერს: „ყოველი გაზეთი დუქანია, სადაც ვაჭრობენ ყოველნაირად შეფერადებული სიტყვებით". „სისაძაგლე და სიმხდალე ბურჟუაზიული ჟურნალისტიკის არსია". „ჟურნალისტად ყოფნა სინდისით, ჰკუით, აზრით ვაჭრობას ნიშნავს". „ჟურნალისტი ჯამბაზია". ..გაზეთები აზრთა ბინძური საროსკიპოა".

ბალზაკი მხატვრულად განზოგადებულ სურათებს იძლევა მთელი ბურჟუაზიული ჟურნალისტიკის გამყიდველობისას. მწერალს მხედველობიდან არ რჩება ის ფაქტი, რომ ასეთივე ხასიათი აქვს ბურჟუაზიული პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგს.

გაიძვერა ჟურნალისტი ეტიენ ლუსტო ეუბნება ლიუსიენს „ნუ გგონიათ, რომ პოლიტიკური მოღვაწეობა ლიტერატურულ მოღვა-

წეობაზე უკეთესია: ყველაფერი გახრწნილია, როგორც იქ ისე აქ". ბალზაკი თითქოს წინასწარ გრძნობდა ბურჟუაზიული პრესის დაქირავებული აგენტების სამარცხვინო მომავალს, რაზეც ნათლად მიუთითებს მისი სიტყვები: „შორს არ არის ის დრო, როცა ყველა გაზეთი გახდება ვერაგი, ფარისეველი, უსინდისო, ცრუ და მომაკვდინებელი; ისინი დაღუპავენ ადამიანთა აზრს, დოქტრინებს".

ბალზაკის როგორც ყველა სხვა ნაწარმოებებში, ისე რომანში „გამქრალი ოცნებანი", ახალგაზრდა ადამიანები ბუნებით კეთილნი არიან. მათ მხურვალე გრძნობები და ნათელი იდეალები აქვთ, მაგრამ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ისინი იღუპებიან, ვინაიდან იქ პატიოსან ადამიანს პატიოსანი შრომით არ გაეძლება, იქ პატივში არიან ეგოისტები და ძუნწები, გაიძვერები და კარიერისტები, ჯალათები და არამზადები.

„გამქრალ ოცნებათა" მესამე ნაწილში ასახულია დავით სეშარის ტრაგიკული ცხოვრების ისტორია, ლიუსიენის თვითმკვლელობაზე ფიქრი, მისი ჩავარდნა ვოტრენის კლანჭებში.

რარიგ გულისამაჩუყებელია მწობლიურ კუთხეში დაბრუნებული სასოწარკვეთილი, იმედგაცრუებული ლიუსიენის წერილი. შუაღამისას დაწერილი, რომელიც მან თავის დას ევას დაუტოვა. ამ წერილის შინაარსი ეს არის მწარე, ტრაგიკული აღსარება ახალგაზრდა კაცისა. რომელმაც გაიგო ბურჟუაზიული ცხოვრების არსი. გაიგო თავისი „დანაშაულობანი" დედის, დის, სიძის. ახლო მეგობრების წინაშე და თვითმკვლელობაზე ფიქრობს.

ბობოქარმა პარიზმა, ქალბატონ ბარუეტონის, ლუსტოს, რასტინიაკის და ვოტრენისთანა ადამიანებმა დაფლითეს ლიუსიენის პიროვნება, დაამსხვრიეს მისი ოცნებანი, შეაძულეს ყველაფერი. აწმყო აუტანელი გახადეს მისთვის. ასე მიიყვანა აწეწილ-დაწეწილმა ცხოვრებამ ლიუსიენი იმ მდგომარეობამდე, რომ მას სიკვდილი ურჩევნია სიცოცხლეს. „არსებობენ ადამიანები — მუხები, — წერს ლიუსიენი ევას, — მე კი, ჩანს, პაწია, კოხტა ხე ვარ და ამიჩემებია. გინდა თუ არა კედარი უნდა ვიყო-მეთქი". კონფლიქტმა შესაძლებლობასა და სურვილებს შორის, მერყეობამ, ცვალებადმა ხასიათმა გააცამტვერა ლიუსიენის ოცნებები. ის თავის თავს „საცოდავ ქმნილებას" უწოდებს. ლიუსიენი თხოვს ევას არ დაუწყოს მას ძებნა, აღარ იფიქროს მის ბედზე. მშვიდობით სამარადისოდ, — წერს ის, — სიკბოებას განვიცდი, რადგან ვიცი, თქვენს გულში ვცოცხლობ. იქ იქნება ჩემი საფლავი".

ლიუსიენ შარდონის მეგობარი, ძმადნაფიცი და სიძე დავით სეშარი ყოველმხრივ მომხიბლავი ადამიანია, ის ნიჭიერი და შრომისმოყვარე გამომგონებელია. დაითი მხოლოდ პირადი მდგომა-

რეობის გაუმჯობესებისათვის კი არ იბრძვის, ის იბრძვის იმისათვის, რომ თავისი შრომით და გამოგონებით სარგებლობა მოუტანოს თავის სამშობლო საფრანგეთს, თავის ხალხს. მართალია, დავითი მარცხდება უთანასწორო ბრძოლაში, მის გამოგონებას კაპიტალისტი ძმები კუენტენები დაეუფლნენ, მაგრამ მორალურად ის გამარჯვებული გამოვიდა.

შეუძლებელია ადამიანმა აუღელვებლად წაიკითხოს დავითის, ევას და დედის წერილები ლიუსიენისადმი. მოვიტანთ მხოლოდ რამდენიმე ადგილს:

დავითის წერილიდან: „ნუ გადაუხვევ არჩეულ გზას; იგი მძიმეა, მაგრამ სახელისაკენ მიჰყავხარ. მირჩევნია ათასი გასაჭირი დამატყდეს თავს, ვიდრე შენ გნახო ჩავარდნილი პარიზის წუმპეში. აბა, ყოჩაღად იყავი, თავიდან აიცდინე დამღუპველ ადგილებში მოხვედრა, ბოროტი და თავქარიანი ადამიანების სიახლოვე".

ევას წერილიდან: „ჩემო კარგო, შენმა წერილმა ყველა აგვატირა. ჩემი მეუღლე, საზოგადოებისათვის უცნობი დიდი ადამიანი. რაც დრო გადის, უფრო მეტად მიყვარს, რადგან სულ უფრო და უფრო თავს იჩენს სიმდიდრე მისი სულისა. ისიც ვიცი, რომ შენი, ჩვენი ოჯახის, ჩვენი დედის სიღარიბე მას გულს უკლავს. ჩვენს სათაყვანო დავითს, როგორც პრომეთეს სვავი, გულს უწიწკნის მახვილნისკარტიანი ყვითელი დარდი. ეს კეთილშობილი ადამიანი თავის თავზე სრულიად არ ფიქრობს და მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი გულისათვის სურს გამდიდრება. ქალბატონი დე ბარენტონი უსულგულო ქალი ყოფილა; თუნდაც აღარ ჰყვარებოდი, ვალდებული იყო მფარველობა გაეწია შენთვის და დაგხმარებოდა. მან ხომ გულს მოგგლიჯა და პარიზის საშინელ ზღვაში გადაგტყორცნა. სულ იმას ვნატრობ, გვერდით ამოგდგომოდა ერთგული ქალი, ისეთი როგორც მე ვარ. თუმცა, ახლა, როცა ვიცი, რომ იშოვე მეგობრები, რომლებიც ჩვენსავით სიყვარულით გეპყრობიან, გული დავიმშვიდე.

გაშალე ფრთები, ჩემო მშვენიერო გენიოსო! შენ იქნები ჩვენი სახელი, ისევე როგორც უკვე ხარ ჩვენი სიყვარული".

დედის წერილიდან: „ჩემო ძვირფასო ბავშვო, ყველაფერი შენმა დაიკომ მოგწერა და მე დალოცვის მეტი არაფერი დამრჩა სათქმელი. დარწმუნებული იყავი, რომ ჩემი ლოცვა და ფიქრები მხოლოდ შენ გეკუთვნის და იმათთვის, ვისაც ვხედავ, აღარაფერი დავიტოვე. არსებობენ ისეთი ადამიანები, რომელთა გულები მხოლოდ წასულებს ეკუთვნის და ასეთივე გული აქვს დედას".

ბალზაკმა, როგორც ყველა თავისი სხვა ნაწარმოებში, ისე აქაც „გამქრალ იცნებებში" მხატვრულად აგვისახა იმ დროის საფ-

რანგეთის ბურჟუაზიული სინამდვილე. დაგვანახვა, რომ კაპიტალისტურ წყობილებაში „ადამიანი ადამიანისათვის მგელია“, რომ აქ „ადამიანს ყიდულობენ და ყიდიან“. ამავე დროს დიდმა მწერალმა წარმოგვიდგინა მეორე საფრანგეთი, მშრომელი ადამიანების საფრანგეთი, რომელსაც ნათელი მომავალი უწინასწარმეტყველა.

ბალზაკი მოხდენილად ამბობდა ხოლმე — გენია ხალხშია, ისე როგორც ნაპერწკალი ქაჟში, ხალხი უკვდავია, მომავალი მისიაო.

მარქსი და ენგელსი განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევდნენ ბალზაკის მხატვრულ შემოქმედებას. მათ სურდათ ცალკე გამოკვლევა დაეწერათ ბალზაკზე. მარქსისა და ენგელსის შრომებში უხვადაა მოტანილი საილუსტრაციო ადგილები ბალზაკის ნაწარმოებებიდან.

მაქსიმ გორკი ბალზაკს უწოდებდა კრიტიკული რეალიზმის უდიდეს ოსტატს. გორკი 1911 წელს წერდა: „ადამიანური კომედია“ მე წავიკითხე ჯერ კიდევ ოცი წლისამ. ამ წიგნმა ჩემს გაუფორმებელ რომანტიზმს ძლიერი ბიძგი მისცა. მე მასში ვიგრძენი ბალზაკის გენია და შემიყვარდა იგი მხურვალე სიყვარულით ისე, როგორც უყვართ ხოლმე მასწავლებელი და მეგობარი.

ორი-სამი წლის შემდეგ გამოვიდა რუსეთში ბალზაკის თხზულებათა მთლიანი კრებულის თარგმანი, მე ორჯერ წავიკითხე ყველა მისი წიგნი და გავიგე ამ მწერლის მთელი სიდიადე, მისი ნიჭის ეპიკურმა გაქანებამ განმაცვიფრა და დამიპყრო. მრისი გეგმების სიფართოვე, აზრის სითამამე, სიტყვის სიმართლე... მას ხდის მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს მასწავლებლად“[1].

მაქსიმ გორკი გულმოდგინედ კითხულობდა ფრანგ რეალისტ მწერლებს, რომელთაგან მას ყველაზე მეტად ბალზაკი მოსწონდა. გორკი ამბობდა: „ბალზაკის წიგნები ყველაზე ძვირფასია ჩემთვის ადამიანებისადმი იმ სიყვარულით, ცხოვრების იმ შესანიშნავი ცოდნით, რომელთაც მე მუდამ დიდი ძალით და სიხარულით შევიგრძნობდი მის შემოქმედებაში“.[2]

ბალზაკი იყო კარგი მცოდნე და დამფასებელი მოწინავე მწერლების მხატვრული შემოქმედებისა. როცა ის ნაწარმოებებში ხედავდა ცხოვრების სინამდვილეს, აღფრთოვანებული იყო და გულწრფელად აქებდა ავტორს, ხოლო როცა ნაწარმოები არ გამოხატავდა ცხოვრების სიმართლეს, ბალზაკი მოურიდებლად აკრიტიკებდა მის ავტორს და გმობდა ასეთ ნაწარმოებს.

---

[1] Максим Горький. О литературе, М., 1953, გვ. 126.

[2] იქვე.

ბუნებრივად ისმის კითხვა, რა იყო საზომი სხვა მწერალთა მხატვრული შემოქმედების შეფასების დროს ბალზაკისათვის? ეს საზომი იყო ტიპიურობის პრობლემა. ამა თუ იმ ნაწარმოების ავკარგიანობის გამორკვევისას, მისი იდეურ-მხატვრულ ღირსებათა შეფასებისას ბალზაკი ემყარებოდა ტიპიურობის საკითხს, ე. ი. იმას, თუ როგორაა ცხოვრების სინამდვილე წარმოსახული, რა სიმაღლეზეა განზოგადება, განსახიერება, არის თუ არა მხატვრული სახე ტიპიური. ამ საზომით მიუდგა ბალზაკი ვიქტორ ჰიუგოს, სტენდალის ალფრედ დე მიუსეს, ეჟენ სიუს, შატობრიანის, ჟორჟ სანდის, უალტერ სკოტის და სხვა მრავალი მწერლის შემოქმედებას.

ბალზაკი ხელოვნებას იხილავს, როგორც ცხოვრების გამოხატულებას, როგორც ცხოვრების სარკეს. „ადამიანური კომედიის" წინასიტყვაობაში ბალზაკი იმაზე მიუთითებს, რომ მწერალს დიდი მოვალეობა აკისრია საზოგადოების წინაშე, ხალხის წინაშე, ის ერთგული უნდა იყოს თავისი პრინციპებისა, მას უნდა ჰქონდეს მტკიცე შეხედულებანი მორალსა და პოლიტიკის საკითხებზე, ის თავის თავს უნდა თვლიდეს ადამიანთა მასწავლებლად. მწერლისაგან ბალზაკი მოითხოვს ამა თუ იმ მოვლენის, ამა თუ იმ ფაქტის ამომწურავ დახასიათებას, მწერლის კალამს ქვეშ ყველაფერი ნათლად უნდა მოჩანდეს. ყოველივე ამის მისაღწევად, საჭიროა დიდი შრომა, დაკვირვება, ცხოვრებიდან მიღებული მასალის ანალიზი. საჭიროა ხელი ჩასჭიდო იმას, რაც ცხოვრების არსს შეადგენს, ბოლოს კი მწერლის მხატვრულ ლაბორატორიაში საბოლოოდ იქმნება ტიპიური სახეები.

ისტორიკოსთან შედარებით მწერლის ამოცანა მეტად რთულია. ბალზაკის აზრით ჭეშმარიტმა რეალისტმა მწერალმა უნდა გადალახოს ემპირიზმი, მან იმის ასლი კი არ უნდა გადაიღოს, რაც არის, არამედ შემოქმედებითად უნდა აღიქვას იგი. ამავე დროს ბალზაკი მიუთითებს, რომ მხატვრული ფანტაზია არ ნიშნავს ტყუილის გამოგონებას, პირიქით, იგი (მხატვრული ფანტაზია) რეალური ფაქტების ერთ ფოკუსში მხატვრულ შერწყმას, მათ განზოგადებას ახდენს. ამ გზით იქმნება ტიპიური სახეები. ბალზაკის კონცეფციის მიხედვით არ კმარა იყო მწერალი, ამავე დროს უნდა იყო შენი ქვეყნის მოქალაქე, შენი ერის შვილი.

ბალზაკის ნაწარმოებში „გამოუცნობელი შედევრი", რომელიც ძალიან მოსწონდა მარქსს, მხატვარი ელაპარაკება თავის მოწაფეს: „ხელოვნების ამოცანა ის კი არ არის, რომ ბუნების ასლი გადაიღოს, არამედ ის, რომ გამოხატოს იგი, შენ უბადრუკი ასლის გადამღები როდი ხარ, პოეტი ხარ... ჩვენ ხელი უნდა ჩაეჭი-

დოთ სულს, აზრს, ნიუთთა და არსებათა სახეს.— ამრიგად, ძირი თადის, დამახასიათებელის ხელის ჩაჰიდების გზით შეიქმნება ტიპი.

როგორ განსაზღვრავს ბალზაკი ტიპს? თავისი რომანის „ბნელი საქმე" წინასიტყვაობაში იგი წერს — „ტიპი არის ისეთი პერსონაჟი, რომელიც თავისში რეზიუმეს უკეთებს ყველა იმათ დამახასიათებელ თვისებებს, რომლებიც მას მეტად თუ ნაკლებად ჰგავს, ის არის სახის ნიმუში". ამასთანავე ბალზაკი გვაფრთხილებს, რომ ეს პერსონაჟი, ეს ტიპი არ უნდა იყოს იდენტური მოცემული ეპოქის ამა თუ იმ პირისა. ცხადია, ისინი ერთმანეთს უნდა ჰგავდნენ. ისინი უნდა მოგვაგონებდნენ ერთმანეთს ან სხვებს, მაგრამ ერთი და იგივენი არ უნდა იყვნენ, ვინაიდან მსგავსება საერთოდ არ ნიშნავს იგივეობას, მით უმეტეს მსგავსება მხატვრულ ნაწარმოებში არამც და არამც არ ნიშნავს იგივეობას, სხვანაირად არ შეიძლება, რადგან მხატვრული პერსონაჟი, მხატვრული ტიპი უკვე აღარ იქნებოდა აღმოჩენა და მწერლის როლი და ფუნქციაც გაქრებოდა".

ამრიგად, ბალზაკის ნათელი მსჯელობის მიხედვით ტიპი არ არის ამა თუ იმ ერთი პირის, ერთი ადამიანის სურათი. ეს ტიპი უნდა ჰგავდეს სხვებს, უნდა მოგვაგონებდეს მოცემული ეპოქის სხვა პირებს, მაგრამ არ უნდა იყოს მათი ფოტოსურათი, მათი ასლი. თვითონ ბალზაკის, როგორც მხატვრის გენიალობა სწორედ ისაა, რომ იგი არ იღებდა სინამდვილის ფოტოგრაფიულ სურათს, ის არ იყო გატაცებული რომელიმე კონკრეტული პიროვნების სურათის დახატვით. მას დიდი სოციალური ფსიქოლოგიური, მხატვრული განზოგადებანი იტაცებდა და კიდეც იყო ყოველივე ამის ბრწყინვალე ოსტატი. ბალზაკის ნაწარმოებთა გმირებს: გობსეკს, რაფაელს, ვოტრენს, ფელიქს გრანდეს, მამა გორიოს, ეჟენ რასტინიაკს, არ გააჩნდათ კონკრეტული პროტოტიპები. ისინი ცხოვრებიდან აღებული მხატვრულად განზოგადებული სახეებია, ბალზაკისათვის ტიპი და ინდივიდი ერთი და იმავე მოვლენის ორი მხარეა, ისინი ერთმანეთს ავსებენ. ბალზაკი ტიპიურს, სიცოცხლისუნარიანს ხდის ინდივიდუალიზაციის გზით და ინდივიდუალურს ტიპიზაციის გზით. როცა „მამა გორიოს" ავტორი ხასიათებს ქმნის, ის უწინარეს ყოვლისა გულმოდგინედ სწავლობს გარემოებებს, რომლებშიც ისინი წარმოიშვებიან, იზრდებიან, ვითარდებიან და რომელთა ნიშანს ისინი ატარებენ.

ბალზაკი ბრწყინვალედ ხატავს ტიპიურ სახეებს ტიპიურ გარემოებებში. ის თავისებურად აღწერს ბუნებას, ადამიანთა საცხოვრებელ ადგილებს და ეს ყველაფერი ადამიანური ცხოვრებისა და ურთიერთობის გახსნას ემსახურება.

ბალზაკის შემოქმედებას ახასიათებს ხალხურობა, რომელიც

უფრო სრულს ხდის მწერლის მიერ ასახულ სინამდვილეს, მის მიერ დახატულ ტიპიურ სახეებს. ამ მხრივ დამახასიათებელია წყლის მზიდველი ბურჯა („ათეისტის წირვა"). ის თავის თავს აკლებდა, გაჭირვებულად ცხოვრობდა, ამ დანაზოგით ღარიბ სტუდენტს ეხმარებოდა, რომელიც შემდეგ სახელგანთქმული ქირურგი გახდა, ბურჯა ხალხიდან გამოსული უსწავლელი და ღატაკი, მაგრამ ბუნებით კეთილშობილი და უანგარო ადამიანია.

ბურჯა მოგვაგონებს ძველ ჯარისკაცს ვერნიოს („პოლკოვნიკი შაბერი"). ხალხისადმი ღრმა სიყვარულს ამჟღავნებს ბალზაკი, აგრეთვე, მოთხრობაში „ფაჩინო კანე" და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ბალზაკი ყველაზე პატიოსან, უანგარო ადამიანებად თვლის უბრალო ხალხიდან გამოსულთ. მუშებს მწერალი უწოდებს „პარიზის ყველაზე მოქმედ ნაწილს". ის ამართლებდა ლიონელი ფეიქრების აჯანყებას, რომლებმაც თავიანთ დროშაზე დააწერეს „პური ან სიკვდილი„!"

* *

ბალზაკის შემოქმედებაში ფეხმოკიდებული იყო ქართული თემატიკა. ახლა ირკვევა, რომ ფრანგი მწერალი აგროვებდა და სწავლობდა მასალებს, ცნობებს საქართველოსა და ქართველი ხალხის შესახებ. ჯერ კიდევ თავის საუცხოო ნაწარმოებში „გამოუცნობელი შედევრი", რომელიც დაწერილია 1832 წელს, ყოველმხრივ შესანიშნავ ჟილეტას ბალზაკი ადარებს ქართველ ქალს, როგორც ადამიანური სრულყოფის ნიმუშს.

ბალზაკი ამით არ დაკმაყოფილდა. მან სპეციალური რომანი შექმნა ქართველ ქალზე. ეს არის მისი „ოქროსფერთვალება ქალი-შვილი", რომელიც მწერალმა 1834—1835 წლებში დაწერა და მიუძღვნა ფრანგ მხატვარს ეჟენ დელაკრუას.

ქართველი მკითხველი, რომლისთვისაც დიდი ხანია ძვირფასი და მახლობელია ბალზაკის შემოქმედება ინტერესით და სიყვარულით კითხულობს მისი ნაწარმოებების მშვენიერ ქართულ თარგმანებს, მასზე დაწერილ საინტერესო გამოკვლევებს.

ვიქტორ ჰიუგომ ბალზაკის დასაფლავებაზე თავის გამოსათხოვარ სიტყვაში აღნიშნა: „ბალზაკი იყო ერთი პირველთაგანი დიდ ადამიანთა შორის, ერთი საუკეთესოთაგანი რჩეულთა შორის...

ბალზაკი ჩვენ გვიტოვებს მაღალსა და დღეგრძელ შემოქმედებას, ძვირფას მხატვრულ ქმნილებებს, გრანიტის მძლავრ მონუმენტს, რომლის მწვერვალიდან მარად იცისკროვნებს მისი დიადი სახელი. დიდი ადამიანები თვითონ ქმნიან თავიანთ კვარცხლბეკს; მომავალი ზრუნავს ძეგლის აგებაზე...

მისმა სიკვდილმა შესძრა პარიზი. სულ რამდენიმე თვის წინათ დაბრუნდა იგი საფრანგეთში. იგრძნო რა სიკვდილის მოახლოება, მოენატრა სამშობლოს ნახვა, როგორც შორეული მოგზაურობის წინ მიდიან ხოლმე დედასთან გამოსათხოვებლად...

ამიერიდან ბალზაკი იქნება ღრუბლებზე მაღლა და ჩვენი სამშობლოს ვარსკვლავებს შორის იციმციმებს".

ეს ვარსკვლავი არასოდეს არ გაქრება, ის მუდამ იციმციმებს, და სწორედ ამაშია ბალზაკის სიდიადე.

გუსტავ ფლობერი

(1821—1880)

თუ ზუსტად იცი, რისი თქმაც გსურს. მაშინ კარგად იტყვი.

გუსტავ ფლობერი

ფრანგული რომანი განთქმულია მსოფლიოში. მისი ავტორები გენიოსთა სახელს ატარებენ. ასეთები არიან პირველ რიგში ფრანგული რეალისტური რომანის დიდოსტატები: სტენდალი და ბალზაკი. მათ გვერდში დგას „მადამ ბოვარისა" და „სალამბოს" შემქმნელი, გამოჩენილი მწერალი და ხელოვანი გუსტავ ფლობერი.

სტენდალისა და ბალზაკის შემდეგ, ვიქტორ ჰიუგოს ცხოვრებისა და სამწერლო მოღვაწეობის დროს ძნელი იყო შთამაგონებელი რომანის დაწერა. ამას სჭირდებოდა განსაკუთრებული ნიჭი და ნოვატორობა, იშვიათი მხატვრული აღღო და ორიგინალობა. ყოველივე ეს აღმოაჩნდა გუსტავ ფლობერს და თამამად და გაბედულად ამოუდგა გვერდში თავის უბადლო თანამოკალმეებს; ამავე დროს გახდა ძვირფასი და საყვარელი მასწავლებელი უმცროსი თანამებრძოლების: ემილ ზოლასი, ალფონს დოდესი, გი დე მოპასანის, ძმები გონკურების და სხვების.

გუსტავ ფლობერმა თავისი უკვდავი შემოქმედებით, თავისი ორიგინალური, ლაკონური, ნატიფი სტილით კიდევ უფრო გაამდიდრა და დაამშვენა ფრანგული ლიტერატურა.

* *

გუსტავ ფლობერი დაიბადა 1821 წლის 12 დეკემბერს რუანის საავადმყოფოს მთავარი ქირურგის ოჯახში. ის ბავშვობისას მეტად მგრძნობიარე და კეთილი იყო. განსაკუთრებულ სიყვარულს იჩენდა მხატვრული ლიტერატურისადმი. ცდილობდა დაეწერა შინაარსიანი, საინტერესო მოთხრობები, მაგრამ ეს მხოლოდ ჯერ კიდევ ვარჯიში და ცდები იყო დიდი მხატვრული შედევრების შექმნის სახელოვან გზაზე.

1832 წელს გუსტავ ფლობერი შეიყვანეს ლიცეუმში, მაგრამ იქ არსებულმა აუტანელმა პირობებმა მას გული აუცრუეს სწავ-

ლაზე. ახალგაზრდა ფლობერი ინტერესით კითხულობდა ფრანგი, ინგლისელი და გერმანელი კლასიკოსების თხზულებებს.

1840 წელს ფლობერმა მიიღო ბაკალავრის ხარისხი. ამის შემდეგ იწყებს მოგზაურობას თავის სამშობლოში და იმის გარეთაც. ინტერესს იჩენს იურიდიული მეცნიერებისადმი.

1846 წელი მძიმე იყო გუსტავ ფლობერის ცხოვრებაში მან დაკარგა ძვირფასი მამა და და. ამ მწარე მომენტებში ის იძულებულია მიატოვოს უნივერსიტეტი და დედასთან ერთად დასახლდეს პატარა მყუდრო სოფელ კრუასეში — მამის მიერ შეძენილ კარმიდამოში.

გუსტავ ფლობერი უეცრად გარდაიცვალა სისხლის ჩაქცევისაგან 1880 წლის 8 მაისს თავის სამუშაო ოთახში.

გორკის ეამაყებოდა, რომ ფრანგულმა მწერლობამ მასზე ნამდვილი და ღრმა აღმზრდელობითი ზეგავლენა მოახდინა. ის ურჩევდა ახალგაზრდა მწერლებს ეკითხათ და ესწავლათ: სტენდალი. ბალზაკი, ფლობერი. „ეს ნამდვილად გენიალური მხატვრები. ფორმის დიდი ოსტატები".

ფლობერის ლიტერატურული მემკვიდრეობა რაოდენობით არაა დიდი. მის კალამს ეკუთვნის შემდეგი ნაწარმოებები: „მადამ ბოვარი", „სალამბო", „სანტიმენტალური აღზრდა", „წმინდა ანტუანის ცდუნება", „ბუვარი და პეკიუშე", „უბრალო გული", „ლეგენდა მწირთა შემფარებელ წმინდა ჟიულიენზე", „ჰეროდია".

ამ რამდენიმე მხატვრული შედევრით და შესანიშნავი წერილებით გუსტავ ფლობერმა შესძლო გამხდარიყო ფრანგული ლიტერატურის დიდება და სიამაყე.

პირველი რომანი, რომელმაც დიდი სახელი გაუთქვა ფლობერს, ეს არის მისი „მადამ ბოვარი". ამ ნაწარმოებში ფლობერისათვის დამახასიათებელი იდეური და მხატვრული სრულყოფით, წარმოდგენილია ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ცხოერება მთელი თავისი მანკიერებით. რომანის მთავარი გმირი ემა ბოვარი დაუეიწყარი მხატვრული სახეა, რთული და წინააღმდეგობრივი. ემა — ბუნების ეს მშვენიერი არსება, თავისი ენებების, გატაცებების. ოცნებების, მეშჩანური საზოგადოებრივი ცხოერების მსხვერპლია. ლეონ დიუპუი, როდოლფ ბულანჟე ვერაგი, სულმდაბალი, გულცივი, ეგოისტი ადამიანები არიან. მათ ხელში საბრალო ემა სათამაშო, გასართობი საგანია. მძიმე პირობებში ჩავარდნილი ნაზი გრძნობების ქალი ეძებს ნამდვილ, თანასწორ მეგობარს და ვერ პოულობს. მისი ოცნებები ზედიზედ იმსხვრევა. გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი ემა ბოვარი თავს იკლავს, იღუპება მთელი მისი ოჯახი.

მწერალი ემას თანაუგრძნობს. გმირი ქალის სიკვდილმა ძა-

ლიან დაამწუხრა ის. — მთელი დღეების განმავლობაში დარიშხანის გემოს ვგრძნობდი პირშიო — ამბობდა ფლობერი.

ვიქტორ ჰიუგოს „მადამ ბოვარი“ მიაჩნდა „ხელოვნების ნამდვილ ნაწარმოებად“.

„სალამბო“ ერთ-ერთი ბრწყინვალე ისტორიული რომანია მსოფლიო ლიტერატურაში. ვიქტორ ჰიუგოს სიტყვებით რომ ვთქვათ, „სალამბო“ არის მშვენიერი, ძლიერი და შინაარსიანი წიგნი“. მასში ავტორმა ანტიკური სამყაროს დიდი ცოდნა გამოავლინა. იშვიათი მხატვრული ინტუიციითა და ალღოთი გადმოგვცა გარდასულ დროთა სურნელება და მომხიბვლელობა. მეცნიერული და მხატვრული სიზუსტით გვიჩვენა მესამე საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე კართაგენში მომხდარი ამბების მსვლელობა. ფლობერმა თავისი მხატვრული კალმით გააცოცხლა ადამიანები, აგვიწერა ბარბაროსთა სარდლის მათოს და კართაგენის მხედართმთავრის ასულის სალამბოს ვნებიანი სიყვარული და ამ სიყვარულის ტრაგიკული დასასრული.

„სანტიმენტალური აღზრდა“ თანამედროვე თემაზეა დაწერილი. მისი ქვესათაურია „ერთი ახალგაზრდა კაცის ისტორია“. ამ რომანში ფლობერი გვიხატავს მისი დროის საფრანგეთის ბურჟუაზიული საზოგადოების ყოფაცხოვრებას. ნაწარმოების მთავარი გმირი ფრედერიკ მორო ფუქსავატი და უპრინციპო ახალგაზრდაა, გამოურკვეველი ტიპია. 1848 წლის რევოლუციის დღეებში, იმის მაგივრად, რომ ამბოხებულ ხალხთან ერთად იბრძოლოს თავისუფლებისათვის, თავის პირად ბედნიერებაზე ფიქრობს და საყვარლებს იცვლის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფლობერმა თავისი მსოფლმხედველობრივი შეზღუდულობის გამო, ვერ შესძლო მოეცა 1848 წლის საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის რეალისტური სურათი.

* * *

ქართულ ლიტერატურაში გუსტავ ფლობერის შემოქმედება გასულ საუკუნეშივე გახდა საინტერესო და საგულისხმო. ჩვენი მწერლები და კრიტიკოსები, მკითხველი საზოგადოებრიობა დიდი ყურადღებით, გატაცებით ეცნობოდა ფლობერის მხატვრულ ქმნილებებს. ვაზიანმა (ვ. ჩერქეზიშვილმა) და კიტა აბაშიძემ ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“ შეადარეს გუსტავ ფლობერის „წმინდა ანტუანის ცდუნებას“ და საქმის ცოდნის საფუძველზე უპირატესობა „განდეგილს“ მიანიჭეს.

ქართული და ფრანგული ლიტერატურის გამოჩენილი მკვლევარი კიტა აბაშიძე ჩვენი „ხევის ბეთჰოვენს“ ალექსანდრე ყაზბეგს,

როგორც დიდ მხატვარს თბამამად ადარებდა გუსტავ ფლობერს.

აღსანიშნავია ფრანგული ლიტერატურის ღირსეული მცოდნის და დამფასებლის ნიკო ნიკოლაძის შეხედულებანი გუსტავ ფლობერის შემოქმედების შესახებ. ნიკო ნიკოლაძის აზრით გუსტავ ფლობერი არის ფრანგული მხატვრული სიტყვის ჩინებული ოსტატი. ის არჩევს ფლობერის ოთხ ნაწარმოებს: „მადამ ბოვარის", „სალამბოს", „სანტიმენტალურ აღზრდას", „წმინდა ანტუანის ცდუნებას" და მაღალ შეფასებას აძლევს „მადამ ბოვარის" და „სალამბოს", როგორც შინარსის, ისე ფორმის მხრივ.

ნიკო ნიკოლაძე იმაზე მიუთითებს, რომ „მადამ ბოვარის" როგორც ძლიერ მხატვრულ ნაწარმოებს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში, ვინაიდან ამ ფრანგი დიდოსტატის წერის მანერიდან ბევრი რამაა შესწავლისა და გამოყენების ღირსი ახალგაზრდა ქართველი მწერლებისათვის.

ნიკო ნიკოლაძეს აკვირვებდა გუსტავ ფლობერის ძლიერი ტალანტი და იშვიათი შრომისმოყვარეობა. ამ მხრივ მას სამაგალითოდ მიაჩნდა რომანი „სალამბო". ნიკო ნიკოლაძე აღნიშნავს, რომ ფრანგი მწერლის მიერ ასეთი ზუსტი და ყოველმხრივი შესწავლა წარსულისა შეიძლება ფრანგებისათვის მეორეხარისხოვანი იყოს, მაგრამ ჩვენთვის, ქართველებისათვის, მას აქვს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა. ქართველ მწერლებს რომ ფლობერის მეთოდისა და ნიჭის მსგავსად შეესწავლათ საქართველოს ისტორია და შეექმნათ ღრმად იდეალური და მაღალმხატვრული ნაწარმოებები ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის შესახებ, ისინი დიდად შეუწყობდნენ ხელს ქართული ლიტერატურის შემდგომი წინსვლისა და განვითარების საქმეს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გუსტავ ფლობერის პიროვნება და მისი მხატვრული შემოქმედება კიდევ უფრო პოპულარული გახდა. ქართულად ითარგმნა და გამოიცა ფლობერის რომანები: „მადამ ბოვარი" (მთარგ. არისტო ჭუმბაძე), „სალამბო" (მთარგ. კარლო ჭილარჯიანი და მანანა გიგინეიშვილი), „სანტიმენტალური აღზრდა" (მთარგ. არისტო ჭუმბაძე), მოთხრობები: „ლეგენდა მწირთა შემფარებელ წმინდა ჟიულიენზე", „ჰეროდია" (მთარგ. მანანა გიგინეიშვილი).

გუსტავ ფლობერის თხზულებათა ოთხტომეულის გამოცემა ქართულ ენაზე, ამავე პირთა მშვენიერი თარგმანებით, შესავალი წერილებით და კომენტარებით, გივი მელაძის მაღალკვალიფიციური რედაქციით, მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში, ესაა საშვილიშვილო საქმე, ძვირფასი საქუჩარი ქართველი მკითხველისათვის.

ეჟენ პოტიე

(1816—1887)

ეჟენ პოტიემ პეშმარიტად ხალხუქმნელი ჭეგლი დაგვიტოვა.

ვ. ლენინი.

ეჟენ პოტიეს სახელი განუყრელადაა დაკავშირებული პარიზის კომუნასთან. პარიზის კომუნა — დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო, და ეჟენ პოტიემ არ მარტო საუცხოო ლექსები შექმნა პარიზის კომუნის შესახებ, არამედ იგი მისი აქტიური მონაწილეც იყო, ამის გამო კომუნარები ეჟენ პოტიეს „რევოლუციის ჯარისკაცს" უწოდებდნენ.

ეჟენ პოტიე დაიბადა 1816 წლის 4 ოქტომბერს პარიზში ხელოსნის ოჯახში. მან ცხოვრების მძიმე და რთული გზა განვლო. ეჟენ პოტიეს ადრიდანვე აინტერესებდა საზოგადოების დაბალი ფენების ყოფაცხოვრება, რაც შემდეგში მისი მხატვრული შემოქმედების მთავარ თემად იქცა. ჯერ კიდევ 1830 წელს თავისი ლექსების პირველ კრებულში „ახალგაზრდა მუზა", რომელიც მან ბერანჟეს მიუძღვნა, წარმოგვიდგინა ღარიბი ხალხის ცხოვრება და თამამად ასახა მშრომელი მასების რევოლუციური განწყობილებანი.

პოტიეს პიროვნებასა და შემოქმედებაზე დიდი გავლენა იქონია ჯერ 1830 წლის ივლისის რევოლუციამ. შემდეგ 1848 წლის თებერვლის რევოლუციამ. ყოველივე ამან კიდევ უფრო გააძლიერა ეჟენ პოტიეს კრიტიკული დამოკიდებულება ბურჟუაზიულ წყობილებისადმი. 1848 წლის რევოლუციაში ეჟენ პოტიე აქტიურად მონაწილეობდა პროლეტარიატთან ერთად ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ჰქმნიდა ლექსებს, რომლებითაც ის მგზნებარედ მოუწოდებდა მუშათა კლასს კაპიტალიზმის წინააღმდეგ იერიშისაკენ. 1866 წელს ეჟენ პოტიე პირველი ინტერნაციონალის წევრი გახდა. საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს მან ხელი მოაწერა გერმანიის სოციალისტებისადმი მიმართულ ომის საწინააღმდეგო მოწოდებას. ეჟენ პოტიე აქტიურ მონაწილეობას იღებდა პარიზის კომუნის მომზადებასა და გამარჯვებაში. 1871 წლის 18 მარტს იგი არჩეულ იქნა კომუნის

წევრად. კომუნის დამარცხების შემდეგ პოტიე იატაკქვეშეთს შეეფარა.

ასეთ მძიმე პირობებში (1871 წლის ივნისში) პროლეტარიატის ნიჭიერი მგოსანი ჰქმნის თავის განთქმულ ლექსს „ინტერნაციონალს“. ამის შემდეგ მას უკვე აღარ დაედგომებოდა პარიზში და სწავლის მისაღებად გაემგზავრება ინგლისში, სადაც თითქმის სამი წელი დაჰყო, შემდეგ გადავიდა ჩრდილო ამერიკაში და ცხოვრობდა იქ 1880 წლამდე. სამშობლოდან განდევნილი პოეტი გულს არ იტეხს, სულით არ ეცემა, კვლავ იმედებს ამყარებს მუშათა კლასის ნათელ მომავალზე, მუშაობს ფაბრიკაში, წერს ლექსებს, ეწევა საზოგადოებრივ საქმიანობას, გატაცებულია მეცნიერული სოციალიზმით. ემიგრაციაში ეჟენ პოტიემ დაწერა პოემები: „პარიზის კომუნა“, „მუშათა პარტია“ და „ამერიკელი მუშა საფრანგეთის მუშებს“. ამ პოემებში, ისევე როგორც ამ პერიოდის ლექსებში ეჟენ პოტიე გაბედულად ესხმის თავს ამერიკულ კაპიტალიზმს და აღვიძებს მუშათა კლასში რევოლუციური ბრძოლის ცეცხლს.

1880 წელს საფრანგეთის მთავრობამ ამნისტია გამოაცხადა და კომუნარებს ნება მიეცათ დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში. 64 წლის ეჟენ პოტიე დაბრუნდა პარიზში და ჩადგა მუშათა პარტიის რიგებში, რომელსაც მეთაურობდნენ პოლ ლაფარგი და ჟიულ გედი. 1884 წელს დიდი წვალების შედეგად ეჟენ პოტიემ გამოსცა თავისი ლექსების ორი კრებული: „ვინღაა უგნური“ და „სოციალურ-ეკონომიური პოეზია“. 1887 წელს პოტიეს მეგობარმა კომუნარებმა შეაგროვეს ფული და გამოსცეს პოეტის ლექსთა ახალი კრებული „რევოლუციური სიმღერები“, ამ კრებულში პირველად დაიბეჭდა დაწერის დღიდან თექვსმეტი წლის შემდეგ ლექსი „ინტერნაციონალი“.

„რევოლუციური სიმღერების“ გამოცემამ დიდი სიამოვნება და სიხარული მოჰგვარა მოხუც პოეტს; სამწუხაროდ, ეს სიამოვნება და სიხარული უკანასკნელი აღმოჩნდა, რადგან ამის შემდეგ პოეტს დიდხანს აღარ უცოცხლია. იგი გარდაიცვალა 1887 წლის 6 ნოემბერს. პარიზის მშრომელებმა დიდი პატივისცემით გააცილეს თავიანთი საყვარელი მგოსნის ნეშტი პერ-ლაშეზის სასაფლაოზე. პოეტის კუბოს ამშვენებდა კომუნის წევრის ალისფერი ყელსახვევი. პოლიციამ სამგლოვიარო პროცესია დაარბია. შეიქმნა საშინელი ხოცვა-ჟლეტა, დაპატიმრებულ იქნა. პროცესიის მრავალი მონაწილე. მიუხედავად ამისა, მუშები ხმამაღლა გაიძახოდნენ „გაუმარჯოს კომუნას“.

ეჟენ პოტიეს ლექსები უმთავრესად მიძღვნილია XIX საუკუნის საფრანგეთის რევოლუციებისადმი, საფრანგეთის მუშათა

კლასის რევოლუციური მოძრაობისადმი, საფრანგეთ-პრუსიის ომისა და პარიზის კომუნისადმი. პოეტის ლექსებში აშკარად იგრძნობა მგოსნის ღრმა რწმენა ხალხის ნათელი მომავლისა, მუშათა კლასის გამარჯვებისა. ბურჟუაზიული წყობილების აუცილებელი დამხობისა. სწორედ ამაშია ეჟენ პოტიეს შემოქმედების მებრძოლი რევოლუციური ხასიათი, მისი იდეურ-შემეცნებითი ღირებულება.

ეჟენ პოტიე თავის ლექსებში ეხება მუშათა კლასის საარსებო საკითხებს, მის შეიარაღებულ გამოსვლებს ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მუშათა კლასის სოლიდარობას, მზის სინათლეზე გამოაქვს კაპიტალიზმის მგლური ბუნება. ამ მხრივ აღსანიშნავია ლექსები: „ხალხი", „შინშილი", „1848 წლის იანვისი" და სხვ.

საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს ეჟენ პოტიე თავის ლექსებში აშკარავებდა პრუსიელთა დამპყრობლურ პოლიტიკას და აღვივებდა ფრანგ ხალხში პატრიოტულ გრძნობებს. პარიზის კომუნის გამარჯვების დღეებში პოეტის ქნარი უფრო ძლიერად აჟღერდა. ის მთელი არსებით მიეცა პარიზის კომუნის საქმიანობას, როგორც მუშათა კლასის საქმის მგზნებარე ენთუზიასტი. სწორედ ამ პერიოდში დაწერა მან თავისი განთქმული ლექსი „ინტერნაციონალი".

პარიზის კომუნის დამარცხების შემდეგ მოწინავე რევოლუციონერი პოეტი ეჟენ პოტიე ნათლად ხედავდა, რომ პარიზის კომუნამ ვერ გამოიჩინა სათანადო სიფხიზლე მტრების მიმართ, მათ ლმობიერად მოეკიდა, არ მოახდინა ბანკის კონფისკაცია და სხვა. სწორედ პარიზის კოუნის დამარცხების ამ მიზეზებს ეხება პოტიე ლექსში „პარიზის კომუნა".

პოტიეს შემოქმედების შემდეგი პერიოდიდან გამოირჩევიან ლექსები: „უმუშევრობა", „კომუნარების ძეგლი", „ჟიულ ვალესი", „მეამბოხე", „კომუნის კვალი წარუშლელია", „კრიზისი", „ღატაკი ჟანი", „წინ, მუშათა კლასო!" და სხვა. ლექსში „ღატაკი ჟანი" პოტიე ხატავს საბრალო მშრომელი ადამიანის ტრაგიკულ ცხოვრებას და ეს ყველაფერი პოეტს ისეთი ძლიერი მხატვრული საღებავებით აქვს წარმოდგენილი, რომ მკითხველში ღრმა, წარუშლელ კვალს სტოვებს. ჟანი წინათ თერძი იყო, დილით ადრე დგებოდა და სახელოსნოში გარბოდა, და აი, როცა ის მოხუცდა, სამუშაოდან დაითხოვეს. ვაჟი ომში დაეღუპა, ქალიშვილი გააუბედურეს. ასეთ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი ჟანის ცხოვრებაში ერთ დღეს ნანატრი დღლა გათენდა, ის შეიარაღდება და კომუნარებს გაჰყვება. კომუნის გამარჯვებაში აქტიურად მონაწილეობს, მაგრამ მისი დამარცხების შემდეგ საბრალო ჟანს აპატიმრებენ და ღამით მას სხვებთან ერთად ხვრეტენ. სიკვდილის წინ ჟანი გაიძახის „გაუ-

მარჯოს კომუნას". ეს ლექსი ღრმად იდეური და ამავე დროს მხატვრულად დახვეწილი ნაწარმოებია.

ეჟენ პოტიეს შემოქმედებაში ყველაზე ძვირფასი, ყველაზე ძლიერი ლექსია, როგორც იდეური, ისე მხატვრული თვალსაზრისით მისი უკვდავი „ინტერნაციონალი". ეს ლექსი ეჟენ პოტიემ დაწერა 1871 წლის ივნისში. „ინტერნაციონალი" მებრძოლი, ოპტიმისტური განწყობილებებით აღსავსე ლექსია. მასში ნათლად იგრძნობა „კომუნისტური პარტიის მანიფესტში" გამოთქმული იდეები. პირველი ინტერნაციონალის რევოლუციური აზრები, ეს მოწინავე იდეები მსოფლიო პროლეტარიატს მოუწოდებდნენ სოლიდარობისაკენ, შეერთებისაკენ, ერთ მთლიან, უძლეველ ძალად გაერთიანებისაკენ.

„ინტერნაციონალი" არის მსოფლიო პროლეტარიატის ჰიმნი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ „ინტერნაციონალი" მიღებული იქნა საბჭოთა სახელმწიფოს ოფიციალურ ჰიმნად, 1944 წლიდან კი — პარტიულ ჰიმნად.

ეჟენ პოტიეს ლექსი „ინტერნაციონალი" ექვსი სტროფისაგან შედგება (თვითეულ სტროფში რვა სტრიქონია). ყოველ სტროფს ერთი და იგივე რეფრენი (მინამღერი) აქვს. პარტიულ ჰიმნში პოტიეს „ინტერნაციონალის" ტექსტი განახევრებულია, იგი შედგება სამი სტროფისა და სამი რეფრენისაგან (მასში გამოტოვებულია მესამე, მეოთხე და მეხუთე სტროფი).

მოგვაქვს „ინტერნაციონალის" (პარტიული ჰიმნის) ტექსტი, რომლის თარგმანი ეკუთვნის ცნობილ ქართველ საბჭოთა პოეტს სიკო ფაშალიშვილს.

აღსდექ კრულვითა დაღდასმულო
ქვეყანავ მშიერ მონების,
საბედისწერო ომში გვიწვევს
დღეს აღშფოთება გონების!

ჩაგვრის სამეფოს მთლად აღმოვფხვრით
და მოესპობთ ძირფესვიანად,
ჩვენ ჩვენს ქვეყანას შევქმნით ახალს,
დაჩაგრულს გავხდით სეიანად!

ეს არს მედგარი ჩვენი გადამწყვეტი ბრძოლა,
ინტერნაციონალში ჰპოვებს შეებას ყველა!

მონობისაგან ჩვენ ვერ გვიხსნის
ვერც ღმერთო, მეფე, ვერც გმირი,
თავისუფლებას მოგვანიჭებს
ჩვენივე მკლავი ძლიერი!

თუ გესურს მძლე ხელით ჩაგვრა მოვსპოთ,
ვიხსნათ საუნჯე ჩვენია.
დავბეროთ ქურას და მხნედ ვკედოთ,
სანამ რკინა ცხელია!

ეს არს მედგარი ჩვენი გადამწყვეტი ბრძოლა,
ინტერნაციონალში ჰპოვებს შეებას ყველა!

მხოლოდ ჩვენ, მშრომელთ მთელი ქვეყნის,
გვეკუთვნის ვფლობდეთ სამყაროს,
ხოლო ჩვენ, შრომის დიად რაზმსა,
მუქთახორებს კი არასდროს!

და როს ჯალათთ და ძაღლთა ხროვას
დასპექს ცა შურისძიებით,
ჩვენთვის კვლავ იწყებს დიად ბრწყინვას
მზე ცეცხლოვანი სხივებით!

ეს არს მედგარი ჩვენი გადამწყვეტი ბრძოლა,
ინტერნაციონალში ჰპოვებს შეებას ყველა!

1871 წელს დაწერილი „ინტერნაციონალი" გამოქვეყნდა 1887 წელს. ერთი წლის შემდეგ ე. ი. 1888 წელს ამ ტექსტის მიხედვით ბელგიელმა მუშამ, მხატვარ-დურგალმა პიერ დეგეიტერმა (1848—1932) შექმნა მუსიკა, რომელიც საჯაროდ იმღერეს 1888 წლის 23 ივნისს ქ. ლილში გაზეთის მუშაკთა კავშირის მიერ მოწყობილ მუშათა დღესასწაულზე. ამის შემდეგ „ინტერნაციონალის" ჰიმნი მთელ მსოფლიოს მოედო და გადაიქცა მსოფლიოს მუშათა კლასის საბრძოლო ჰიმნად. მალე „ინტერნაციონალი" ითარგმნა მსოფლიო ხალხთა სხვადასხვა ენაზე.

რუსულ ენაზე „ინტერნაციონალის" ტექსტის სამი სტროფი თარგმნა პარიზში 1902 წელს რუსმა რევოლუციონერმა ემიგრანტმა მუშამ არკადი კოცმა. იგი ჩქარა გავრცელდა რუსეთში, მას მღეროდნენ რუს რევოლუციონერთა ფართო ფენები. 1937 წელს კი იმავე არკადი კოცმა ეყენ პოტიეს ლექსთა კრებულისათვის მთლიანად თარგმნა „ინტერნაციონალი".

საგულისხმო ფაქტია, რომ ჯერ კიდევ პირველი რევოლუციის პერიოდში ქართულ ენაზე მთლიანად ითარგმნა ეყენ პოტიეს „ინტერნაციონალი". ამის შემდეგ ქართულ ენაზე „ინტერნაციონალის" რამდენიმე თარგმანი დაიბეჭდა. ამ შესანიშნავი ლექსის ერთი პირველი მთარგმნელთაგანი ქართველი ხალხის საყვარელი პოეტი აკაკია. აკაკისეული თარგმანი „ინტერნაციონალისა" დაიბეჭდა „პატარა გაზეთის" 1906 წლის პირველი იანვრის ნომერში. ამის შედეგად მეფის მთავრობამ დახურა „პატარა გაზეთი" და პასუხის-

ჯებაში მისცა როგორც გაზეთის რედაქტორი კ. მესხი, ასევე მთარგმნელი აკაკი წერეთელი. „ჩაგერის სამეფოს მთლიანად აღმოსაფხვრელად“ აღმდგარი ხალხი ხმამაღლა გაიძახოდა თავისი საყვარელი მგოსნის აკაკის მიერ გადმოქართულებულ „ინტერნაციონალის“ ბრწყინვალე სიტყვებს:

ყოველი მხრის მუშა ხალხი
დროა, შევკრბეთ, ნუ გაქვთ შიში!
უნდა შედგრად მივიტანოთ
იმ ჩვენს მტრებზე იერიში!

ემილ ზოლა

(1840—1902)

ემილ ზოლას გრანდიოზული შემოქმედება და დიდი ღვაწლი ამკობენ საშობლოს და მთელ მსოფლიოს.

ანატოლ ფრანსი.

ემილ ზოლა გამორჩენილი წარმომადგენელია XIX საუკუნის მეორე ნახევრის ფრანგული, რეალისტური ლიტერატურისა. იგი სამართლიანად ითვლება სტენდალისა და ბალზაკის კრიტიკული რეალიზმის გამგრძელებლად. მდიდარი და მრავალფეროვანია მისი შემოქმედება. ზოლას კალამს ეკუთვნის რომანები, მოთხრობები, ნოველები, პიესები და კრიტიკული სტატიები. ემილ ზოლა თავისი მხატვრული შემოქმედებითა და საზოგადოებრივი მოღვაწეობით XIX საუკუნის მეორე ნახევრის საფრანგეთის საზოგადოებრივ-ცხოვრების ცენტრში იდგა.

ემილ ზოლა დაიბადა 1840 წლის 2 აპრილს პარიზში. მისი მამა ფრანსუა წარმოშობით იტალიელი, არხების მშენებელი ინჟინერი იყო, დედა კი ფრანგი. 1843 წელს ფრანსუა ზოლა გადავიდა სამუშაოდ სამხრეთ საფრანგეთის ქ. ექსში და ოჯახიც თან წაიყვანა. ემილ ზოლას ექსის კოლეჯში დააწყებინეს სწავლა. ფრანსუას უეცარმა სიკვდილმა ოჯახი უკიდურეს გაჭირვებაში ჩააგდო. 1858 წელს ემილ ზოლა დედასთან ერთად კვლავ პარიზში გადადის, მაგრამ კოლეჯს აქაც ვერ ამთავრებს, რადგან ეკონომიური ხელმოკლეობა აიძულებს იმუშაოს და ოჯახი შეინახოს. ზოლა მუშაობს გაზეთის რედაქციაში, გამომცემლობაში და წერს კრიტიკულ წერილებს. 1864 წლის შემდეგ ის თავის საბოლოო პროფესიად ირჩევს ლიტერატურულ მოღვაწეობას. ამიერიდან ზოლამ გადაწყვიტა მთელი თავისი ძალღონე, ნიჭი და უნარი გამოეყენებინა დემოკრატიული იდეალების განხორციელებისათვის.

საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს (1870 წ.) ზოლა ავადმყოფობის გამო განთავისუფლებულ იქნა სამხედრო სამსახურიდან, იმ ოჯახით მიდის მარსელში და იქ აარსებს რესპუბლიკურ გაზეთს

„მარსელიოზას“. ზოლა აქტიურად იბრძოდა ნაპოლეონ მესამის ძირგამომპალი რეჟიმის წინააღმდეგ. აღფრთოვანებით ეხმაურებოდა ვიქტორ ჰიუგოს პატრიოტულ გამოსვლებს და იტალიელ ჯუზეპე გარიბალდის ნაციონალურ-გამათავისუფლებელ ბრძოლებს.

1871 წლის შემოდგომაზე ზოლა კვლავ ბრუნდება პარიზს, სადაც აგრძელებს ლიტერატურულ მოღვაწეობას, წერს შესანიშნავ რომანებს, რომლებმაც მას მსოფლიო მწერლის სახელი მოუპოვა. ემილ ზოლას მოღვაწეობაში დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო მისი გმირული გამოსვლა ალფრედ დრეიფუსის დასაცავად და გალაშქრება საფრანგეთის იმდროინდელი რეაქციული ძალების წინააღმდეგ. ამ პერიოდის ემილ ზოლას მოღვაწეობის შესახებ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი მორის ტორეზი აღნიშნავს, რომ ზოლამ — „გამოააშკარავა ფაშიზმის წინამორბედთა ბნელეთის მოციქულობა, სიყალბე და რასიული სიძულვილი“.

ემილ ზოლა გარდაიცვალა 1902 წლის 29 სექტემბერს. ანატოლ ფრანსმა ზოლას ცხედართან წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნა — „კაცობრიობამ დაჰკარგა ერთ-ერთი დიდი მოაზროვნე და დიდი გრძნობის ადამიანი. ზოლა ტოვებს დიად შემოქმედებას და კეთილშობილ მაგალითს“.

ემილ ზოლას პირველ ლიტერატურულ ცდებს ატყვია ფრანგული რომანტიზმის გავლენა. ამ მხრივ აღსანიშნავია ნოველების კრებულები: „ნინონის ზღაპრები“, „ახალი ზღაპრები ნინონისა“. ამ დროინდელი კრებულებიდან ყურადღებას იქცევს ზოგიერთი ნაწარმოები იმით, რომ მასში ზოლა გადმოგვცემს მშრომელ ადამიანთა ფიქრებს და აზრებს, ცხოვრების, შრომის პროცესებს, მუშათა ყოფაცხოვრებას. ასეთია მაგალითად: „მჭედელი“. „უმუშევრობა“ და სხვა. ამის შემდეგ ზოლა ქმნის რეალისტურ მოთხრობებს, როგორიცაა „წყალდიდობა“, „ზეიმი კოკილში“ და „წისქვილის დარბევა“.

ამავე პარიოდში ემილ ზოლა აქვეყნებს ავტობიოგრაფიულ რომანს „კლოდის აღსარება“ და სათავგადასავლო ხასიათის რომანს „მარსელის საიდუმლოებანი“. ირკვევა, რომ იგი ჯერ გატაცებულია რომანტიზმით, 60-იან წლებში კი რეალიზმისაკენ იხრება. 60-იანი წლების ბოლოს ზოლა ძმების გონკურების ე. წ. ფიზიოლოგიური ნატურალიზმის გავლენას განიცდის, რის შედეგადაც მან აღფრთოვანებული სტილით დაწერა სტატია გონკურების რომანზე „ჟერმინი ლასერტე“. აღსანიშნავია, რომ იმ დროს ემილ ზოლა გატაცებული იყო დარვინიზმითაც.

ემილ ზოლას ნატურალიზმის თეორია აგებულია სამ ძირითად

წყაროზე. ეს წყაროებია: პოზიტივისტი ფილოსოფოსის ოგიუსტ კონტის (1798—1857) „პოზიტიური ფილოსოფიის კურსი", ლიტერატურის ისტორიკოსისა და სოციოლოგის იპოლიტე ტენის (1828—1893) ე. წ. „გარემოს თეორია" და ბუნებისმეტყველის ფიზიოლოგისა და პათოლოგის კლოდ ბერნარის (1813—1878) შრომა „ექსპერიმენტული მედიცინის შესავალი".

ემილ ზოლამ შეისწავლა ამ ფრანგ მკვლევართა შრომები და მექანიკურად გააერცელა მათში გამოთქმული აზრები მხატვრულ ლიტერატურაზე. ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ ხელოვნებას, კერძოდ ლიტერატურას თავისი თავისებურება, თავისი სპეციფიკა აქვს, რომ არ შეიძლება მისი გაიგივება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან და სხვა. საკითხებისადმი ასეთმა ცალმხრივმა, არამეცნიერულმა მიდგომამ ზოლა მიიყვანა იქამდე, რომ მან წამოაყენა ექსპერიმენტული რომანის თეორია, რომელსაც მიუძღვნა თავისი ლიტერატურული ნარკვევები: „ექსპერიმენტული რომანი", „რომანის განსაზღვრა", „ნატურალიზმი თეატრში", „წერილი ახალგაზრდობისადმი", „ფულის როლი ლიტერატურაში".

ემილ ზოლა ილაშქრებდა ფანტაზიის, წარმოსახვის, შთაგონების წინააღმდეგ. „წარმოსახვა აღარაა საჭიროო", — აცხადებს ის, და შეეცადა ყოველივე ეს შეეცვალა ექსპერიმენტებითა და დოკუმენტებით. ზოლას წარმოდგენით ნატურალიზმი უნდა ყოფილიყო რეალიზმის უფრო მაღალი ფორმა, რომელიც გააფართოებდა მწერლის ჰორიზონტს დაკვირვებებითა და ექსპერიმენტებით. ზოლას აზრით მწერალმა უნდა ასახოს სინამდვილე ისე, როგორც ის არის ემპირიულად, ე. ი. ფოტოგრაფიულად. ამით ზოლამ დაამდაბლა მწერლის როლი და ფუნქცია საზოგადოებრივი ცხოვრების მხატვრული ასახვის საქმეში, დაუკარგა მხატვრულ ლიტერატურას აღმზრდელობითი, გარდამქმნელი მნიშვნელობა.

ნატურალისტური თეორიის გაელენით დაწერა ზოლამ ორი ნაწარმოები „ტერეზა რაკენი" და „მადლენა ფერა", რომლებშიაც ადამიანები დახატულია ვიწრო ფიზიოლოგიური თვალსაზრისით, ბიოლოგიური და პათოლოგიური მონაცემებით.

ნატურალიზმის წარმოშობას ხელი შეუწყო 1848 წლის რევოლუციამ, რასაც მოჰყვა ბურჟუაზიული იდეოლოგიის კრიზისი ბურჟუაზიას დაეტყო რომ ის დაეშვა რეაქციისაკენ. ყოველივე ამით უნდა აიხსნას ნატურალიზმის კავშირი დეკადენტურ მიმდინარეობებთან, კერძოდ ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ნატურალისტი მწერალი შემდეგ დეკადენტი გახდა.

დიდი რუსი მწერალი სალტიკოვ-შჩედრინი გმობდა ნატურალიზმს, როგორც ანტირეალისტურ მიმდინარეობას. ასევე მაქსიმ

გორკი აკრიტიკებდა ნატურალიზმს საერთოდ, კერძოდ ფრანგულ ნატურალიზმს, რომელიც გამოხატავდა ბურჟუაზიული ხელოვნების დაქვეითებას.

ემილ ზოლას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან თავისი შემდგომი პერიოდის მხატვრულ ნაწარმოებებში ძირითადად დასძლია ნატურალისტური შეზღუდულობანი, საბოლოოდ ის არ გაჰყვა ნატურალიზმის გზას, რადგან მწერალი მალე დარწმუნდა, რომ სოციალური ურთიერთობის მხატვრული ასახვის გარეშე შეუძლებელია ნამდვილი შემოქმედება. 70-იანი წლების სოციალურ-პოლიტიკურმა ძვრებმა, საფრანგეთ-პრუსიის ომმა, პარიზის კომუნამ, მუშათა რევოლუციური მოძრაობის ახალმა აღმავლობამ, კიდევ უფრო გააძლიერა ემილ ზოლას სიმპათიები მშრომელი მასებისადმი, კრიტიკული დამოკიდებულება ბურჟუაზიული წყობილებისადმი, და გაბედული გამოსვლები რეაქციული ძალების წინააღმდეგ.

ემილ ზოლამ შეადგინა ოცტომიანი სერიის გეგმა და კიდევაც განახორციელა იგი. ამ ოცი რომანისაგან შემდგარ ეპოპეას ზოლამ შემდეგ უწოდა „რუგონ-მაკარები". „რუგონ-მაკარები", — როგორც თვითონ ზოლა ამბობს, არის „მეორე იმპერიის ეპოქის ერთი ოჯახის ბუნებრივი და სოციალური ისტორია". იგი შედგება შემდეგი ნაწარმოებებისაგან: „რუგონების კარიერა", „ნადავლი", „პარიზის სტომაქი", „პლასანის დაპყრობა", „აბატ მურეს შეცოდება", „მისი აღმატებულება ეჟენ რუგონი", „ხაფანგი", „სიყვარულის ფურცელი", „ნანა", „მდუღარე ქოთანი", „ქალთა ბედნიერება", „სიცოცხლის სიხარული", „ჟერმინალი", „შემოქმედება", „მიწა", „ოცნება", „ადამიანი მხეცი", „ფული", „განადგურება", „დოქტორი პასკალი".

პირველ რომანში „რუგონების კარიერა" ზოლა ხატავს მშრომელი მასების გამოსვლას ნაპოლეონ მესამისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ. მწერალი გულისხმიერად აღწერს აჯანყებული ხალხის ბრძოლებს, ჰქმნის უბრალო ადამიანების დაუვიწყარ სახეებს. ეს უბრალო ადამიანები წინ მიუძღვიან აჯანყებულებს, ამ მხრივ აღსანიშნავია მუშა სილვერი და გულწრფელი ქალიშვილი მიეტა.

რომანებში „ნადავლი", „პარიზის სტომაქი", „ფული", „ნანა", ზოლა გვაჩვენებს ბურჟუაზიულ წყობილებაში ფულის ყოვლად გამრყვნელ გავლენას ადამიანებზე, ოჯახებზე, საზოგადოებაზე. არისტიდ რუგონი იგივე არისტიდ საკარი („ნადავლი") ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ გამდიდრდეს. მისი რწმენით ფული ყოველის-შემძლეა, ფულით ყველაფერს მიაღწევს და აი, მდიდარი არისტიდი მეორე ქალზე დაქორწინდება, ეს მეორე ცოლი „მეოცნებე რენე" სიმდიდრისა და ფუფუნების ზღვაში იხრჩობა, ის მსუბუქი ყოფაქცევის გზას დაადგება, დაუკავშირდება თავის გერს და ოჯახს და-

არღვევს. ამას თან მოსდევს არისტიდის ფინანსიური კრახი. არისტიდი რუგონი-საკარი კვლავ გვხვდება რომანში „ფული“, რომელშიც ის უპირისპირდება მილიონერ გუნდერმანს. ამ ორი ფინანსიური ურჩხულის ბრძოლა შეადგენს რომან „ფულის“ ძირითად თემას. ყოფილი მილიონერი არისტიდ საკარი იმდენად თავხედია, რომ რკინის გალიაში გამომწყვდეული იმედს არ კარგავს და გაიძახის: — „რისი გაკეთებაც ნაპოლეონმა ვერ შესძლო ხმლით ჩვენ მას გავაკეთებთ ნიჩბებითა და ოქროთი“. რომანში „პარიზის სტომაქი“ წარმოდგენილია საფრანგეთის დედაქალაქი პარიზი, როგორც უზარმაზარი სტომაქი, რომელშიაც თავმოყრილია ბირჟები, ბაზრები, სპეკულანტები, ფინანსისტები, ბანკირები. ამ სტომაქს წვდება მხოლოდ ის, ვისაც ბევრი ფული აქვს, ვისაც არა აქვს ფული, ის იღუპება. ესაა სიმბოლური სურათი ბურჟუაზიული ქალაქისა, სადაც მდიდრები თავისუფლად თარეშობენ და სისხლს სწოვენ მშრომელ ადამიანებს, ხოლო კაპიტალისტები უსირცხვილოდ ითვისებენ მუშების ნაშრომს. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ფულით იზომება ყველაფერი; ეს ადრიდანვე შეიგნო მრეცხავის შვილმა ნანამ („ნანა“), რომელმაც უპირატესობა ფულს მიაკუთვნა. ნანამ გაიგო, რომ კაპიტალისტური წყობილების დროს ყველაფერი გადაქცეულა სპეკულაციის, ყიდვა-გაყიდვის საგნად და ისიც ყიდის თავის სხეულს, ხან ძვირად, ხან იაფად, გარემოების მიხედვით.

შრომასა და კაპიტალს შორის წინააღმდეგობის საკითხს, მუშათა კლასის ნამდვილი სახის ჩვენებას ემილ ზოლამ მიუძღვნა მთელი რიგი ნაშრომები, ამ მხრივ აღსანიშნავია მისი ცნობილი რომანი „ჟერმინალი“, ამ ნაწარმოების შექმნას წინ უძღოდა მოსამზადებელი პერიოდი; ზოლამ დიდძალი მასალა შეაგროვა, თვითონ მოიარა შახტები, გაეცნო მუშათა შრომის პირობებს. შეისწავლა მათი ოჯახური ყოფა-ცხოვრება.

რომანის სათაური „ჟერმინალი“ (ქართული თარგმანი — „მალაროებში მომუშავენი“ ეკუთვნის ვანო ავალიშვილს) ზოლამ აიღო 1793 წლის საფრანგეთის რევოლუციის დროს შემოღებულ რესპუბლიკური კალენდრიდან. ამ კალენდრის მიხედვით წელთაღრიცხვა იწყებოდა საფრანგეთის რესპუბლიკად გამოცხადების დღიდან, ე. ი. 1792 წლის 22 სექტემბრიდან. ყოველ თვეს სახელი დაარქვეს წლის დროთა თავისებურების მიხედვით. გაზაფხულის თვეს, ამ ახალი კალენდრის შესაბამისად, რიცხვით მეშვიდეს, ეწოდა ჟერმინალი ე. ი. თესლის გაღვივების თვე — 21 მარტიდან — 19 აპრილამდე. რომანის ფინალი სავსებით გამოხატავს სათაურს.

ემილ ზოლამ „ჟერმინალში“ დამახასიათებელი, ტიპიური სახეები შექმნა მუშათა კლასისა. ასეთებია ძველი მუშა მაე, მისი ქალი-

შვილი, განსაკუთრებით კი, ნაწარმოების მთავარი გმირი ეტიენ ლანტიე და გაფიცულ მუშათა ჯგუფი. რომანის ნაკლოვანი მხარე ისაა, რომ მწერალი მასში რეფორმისტულ, ანარქისტულ შეხედულებებს ანვითარებს, რაც აშკარად ჩანს ნაწარმოების ურთ-ერთი გმირის სუვარინის პიროვნებაში. ემილ ზოლა ბოლომდე ვერ ამაღლდა კლასობრივი ბრძოლის მარქსისტულ გაგებამდე, მეცნიერულ სოციალიზმამდე.

მიუხედავად ამისა, „ჟერმინალს“ გარკვეული მხატვრული მნიშვნელობა აქვს. ესაა პირველი რეალისტური რომანი მუშათა კლასის შესახებ XIX საუკუნის ფრანგულ ლიტერატურაში. თვითონაც ემილ ზოლას ძალიან მოსწონდა „ჟერმინალი“, ის ამბობდა, — ჩემი ჩანაფიქრი უფრო მნიშვნელოვანი გახდება XX საუკუნეშიო.

ვ. ი. ლენინი ემილ ზოლას ნაწარმოებებიდან ყველაზე მეტად „ჟერმინალსა“ და „სიცოცხლის სიხარულს“ აფასებდა. მორის ტორეზი ასევე მაღალ შეფასებას აძლევს „ჟერმინალს“ და აღნიშნავს, რომ იგი განსაკუთრებით საინტერესო წიგნია მეშახტეებისათვის.

რომანი „ხაფანგიც“ მშრომელ ადამიანთა ცხოვრებას აგვიწერს. მასში წარმოდგენილია კუპოსა და ჟერვეზას ოჯახი, მათი უკიდურესი ეკონომიური გაჭირვება. ამ რომანში პირველად ეხვდებით პატარა ნანას, რომელიც გრძნობს მოახლოებულ უბედურებას და გარბის სახლიდან, რათა თავი დააღწიოს საშინელ წუმპეს, მაგრამ შემდეგ რომანიდან „ნანა“ ვიცით, რომ იგი უარეს წუმპეში ვარდება და იღუპება.

ემილ ზოლას მახვილ თვალს არ გამორჩენია საფრანგეთ-პრუსიის ომისა და პარიზის კომუნის ამბები. მან ამ თემაზე დაწერა შესანიშნავი, დოკუმენტური ხასიათის რომანი „განადგურება“. ზოლა დამაჯერებლად ხატავს ნაპოლეონ მესამის არმიის სამარცხვინო დამარცხებას, განადგურებას სედანთან, მეორე იმპერიის საშინელ კატასტროფას. რაც შეეხება პარიზის კომუნისადმი მიძღვნილ ნაწილს, უნდა ითქვას, რომ ზოლა ბოლომდე ვერ ჩაწვდა პარიზის კომუნის არსს, ბოლომდე ვერ გაიგო მისი ისტორიული მნიშვნელობა. ნაწარმოებში გამოყვანილი ინტელიგენტი კომუნარი მორისი არაა ტიპიური სახე. რომანი „განადგურება“ ძირითადად პატრიოტული ხასიათის ნაწარმოებია. მასში აშკარად იგრძნობა თავისუფლებისმოყვარე ფრანგი ხალხის შემოქმედებითი ძალებისადმი რწმენა, სიძულვილი პრუსიელი დამპყრობლებისადმი და სიყვარული სამშობლოსადმი.

„რუგონ-მაკარების“ ამ დიდი ეპოპეის შემდეგ ემილ ზოლამ დაწერა ჯერ ტრილოგია: „სამი ქალაქი“ („ლურდი“, „რომი“ და „პარიზი“) შემდეგ ტეტრალოგია, რომლიდანაც მხოლოდ სამი თავი დაი-

წერა: „ნაყოფიერება“, „შრომა“ და „პეშმარიტება“, მეოთხე თავის „სამართლიანობის“ დამთავრება მწერალს აღარ დასცალდა.

XIX საუკუნის 90-იან წლებში მუშათა მოძრაობის ახალმა აღმავლობამ კიდევ უფრო გააძლიერა ემილ ზოლას კრიტიკული ტენდენციები ბურჟუაზიულ წყობილებისადმი. ამ პერიოდში ზოლა აქტიურად, გაბედულად გამოვიდა საფრანგეთის იმპერიალისტური წრეების წინააღმდეგ, რაც უმთავრესად გამოიხატა მის განთქმულ წერილში „რესპუბლიკის პრეზიდენტის ფელიქს ფორდისადმი“ (1898 წ.) ეს წერილი ცნობილია სახელწოდებით „ბრალს ვდებ“. ამ წერილმა ორ ბანაკად გაყო საფრანგეთი: ერთი ებრძოდა რეაქციას. მეორე კი მხარს უჭერდა მას. ემილ ზოლა სათავეში ჩაუდგა საფრანგეთის მოწინავე, პროგრესულ ძალებს და კიდევაც მიაღწია გამარჯვებას. ზოლას გამოსვლის ისტორია მოკლედ ასეთია:

1894 წლის ზაფხულში პარიზში, გერმანიის საელჩოში იპოვეს იატაკზე დავარდნილი ბარათი. საფრანგეთის გენერალური შტაბის კონტრდაზვერვის განყოფილებამ გასინჯა ბარათი და დაასკვნა, რომ ვილაც ჯაშუში გერმანიის მთავრობას აცნობებდა საფრანგეთის სამხედრო საიდუმლოებას. ეჭვი მიიტანეს საფრანგეთის არმიის გენერალური შტაბის ოფიცერზე — ალფრედ დრეიფუსზე. იგი ეროვნებით ებრაელი იყო. 1894 წლის სექტემბერში ალფრედ დრეიფუსი დააპატიმრეს, გაასამართლეს და სამუდამოდ გადაასახლეს ეშმაკთა კუნძულზე. ასეთი უკანონო განაჩენი გამოტანილ იქნა სრულიად დაუსაბუთებლად.

1896 წელს გენერალური შტაბის საინფორმაციო ბიუროს უფროსმა პიკარმა გამოარკვია, რომ სამხედრო საიდუმლო ცნობებს გერმანიის მთავრობას აწვდიდა არა ალფრედ დრეიფუსი, არამედ სხვა ოფიცერი, სახელდობრ, ესტერჰაზი. რეაქციონერები დაფრთხნენ იმის გამო, რომ მათ უდანაშაულო ადამიანი გადაასახლეს და რომ მიეჩქმალათ საქმე პიკარი თავიდან მოიშორეს, გაგზავნეს იგი შორეულ კოლონიაში. ცნობა პიკარის მიერ გახსნილი საქმის შესახებ გამოქვეყნდა პრესაში. დრეიფუსის საქმემ დიდად აღაშფოთა ხალხი.

ამ დროს ალფრედ დრეიფუსის ძმამ მატიე დრეიფუსმა აღძრა საქმე ესტერჰაზის წინააღმდეგ. შედგა სამხედრო სასამართლოს სხდომა, მაგრამ ნამდვილი დამნაშავე გაამართლეს. ამ პროცესიდან ორი დღის გასვლის შემდეგ 1898 წლის 13 იანვარს დიდი ფრანგი მწერალი ემილ ზოლა ჩაერია დრეიფუსის საქმეში, მან ღია წერილით მიმართა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს, რომელშიც ის ბრალს სდებდა სამხედრო სამინისტროს, გენერალურ შტაბს და სამხედრო სასამართლოს, იმის გამო, რომ მათ წინასწარ განზრახვით, შეგნებულად დასაჯეს უდანაშაულო ადამიანი და გაამართლეს დამ-

ნაშავე. საფრანგეთის რეაქციულმა წრეებმა და სამხედრო ხროვამ ზოლას ეს გამოსვლა არმიის შეურაცხყოფად ჩათვალეს. მწერალი სასამართლოს გადასცეს და მიუსაჯეს მას ერთი წლით პატიმრობა. ზოლამ პატიმრობას იმით დააღწია თავი, რომ იგი 1898 წლის ივნისში ინგლისს გააპარეს, სადაც მან თითქმის ერთი წელი დაჰყო. დრეიფუსის დამცველებად ზოლასთან ერთად გამოვიდნენ საფრანგეთის ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები: ანატოლ ფრანსი, ოქტავ მირბო და ბევრი სხვა.

1898 წლის დასასრულს და 1899 წლის დასაწყისში დრეიფუსის საქმე ხელახლა გაარჩიეს და იმის მაგივრად, რომ მთლიანად გაეთავისუფლებინათ იგი, მას მხოლოდ სასჯელი შეუმცირეს. 1899 წლის სექტემბერში იგი შეიწყნარეს, ხოლო 1906 წელს კი დრეიფუსი სავსებით რეაბილიტირებულ იქნა. არსებობს კინოსურათი „ბრალს ვდებ“, რომელიც გვიჩვენებს ზოლას ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ამ სურათში დაწვრილებით არის აღწერილი ზოლა და დრეიფუსის საქმე.

ემილ ზოლა თავის გამოსვლას დრეიფუსის დასაცავად რევოლუციურ აქტად თელიდა. სიმართლისა და ჭეშმარიტებისათვის მებრძოლმა ზოლამ ხალხში დიდი სახელი მოიხვეჭა. ის დარწმუნებული იყო, რომ სიმართლე აუცილებლად გაიმარჯვებდა, რომ სიკეთე იზეიმებდა ბოროტებაზე, ასეც მოხდა.

1875 წლიდან 1880 წლამდე ემილ ზოლამ თავისი ნოველები და სამოცამდე სტატია გამოაქვეყნა პეტერბურგის ჟურნალში „ვესტნიკ ევროპი“. იგი დიდად მადლიერი იყო რუსი ხალხის და მისი მოწინავე წარმომადგენლებისა. ზოლა მაღალ შეფასებას აძლევდა რუსულ ლიტერატურას. პუშკინის დაბადების ასი წლისთავის ზეიმის დროს ზოლა ამბობდა: ყოველივე ეს მთელი ცივილიზაციის ზეიმიაო.

მორის ტორეზი თავის წიგნში „ხალხის შვილი“ გულთბილად იგონებს ემილ ზოლას და მის რომანებს. მარსელ კაშენი მიუთითებს ზოლას დამსახურებაზე ფრანგი ხალხის წინაშე, პოლ ლაფარგი ზოლას უწოდებს „მძლავრ ტალანტს“. ანრი ბარბიუსმა 1932 წელს გამოაქვეყნა საინტერესო წიგნი ემილ ზოლას შესახებ, რომელშიც გადმოცემულია ზოლას ცხოვრებისა და შემოქმედების უმთავრესი მომენტები. ზოლას შემოქმედების დიდ ღირებულებაზე მიუთითებენ აგრეთვე რომენ როლანი, ლუი არაგონი, და სხვ.

პოლ ბურჟე

(1852—1935)

ჩემო ახალგაზრდა შეგობარო, იშრომე, ეცა-
დე სული არ მოკვდეს შენში შენზე უწინ.
პოლ ბურჟე.

როდესაც ფრანგული ლიტერატურით დაინტერესებული მკითხველი უახლესი პერიოდის ფრანგ მწერალთა მხატვრულ ნაწარმოებებს ეცნობა, არ შეიძლება მისი ყურადღება არ მიიქციოს ფსიქოლოგიური რომანების იშვიათმა ოსტატმა, თავისებურმა და ფაქიზმა მწერალმა, ადამიანის ინტიმური გრძნობების ნიჭიერმა გამომხატველმა პოლ ბურჟემ, რომელსაც ცნობილი ფრანგი კრიტიკოსი გუსტავ ლანსონი სტენდალის შემდეგ ყველაზე დიდ მხატვრად აღიარებს ფსიქოლოგიური რომანის დარგში.

პოლ ბურჟე დაიბადა 1852 წელს ქ. ამიენში, მათემატიკის მასწავლებლის ოჯახში. მან პარიზში დაამთავრა მაღალი წრეების ბავშვებისათვის განკუთვნილი ლიცეუმი. პოლ ბურჟეს თავიდანვე იტაცებდა ხელოვნება და ლიტერატურა.

პოლ ბურჟე ლიტერატურულ სარბიელზე გამოვიდა ლექსების კრებულით „მოუსვენარი ცხოვრება“, რომელშიც გაისმოდა იმ დროს ფართოდ გავრცელებული დეკადენტური მოტივები. პოლ ბურჟეს მსოფლმხედველობაზე გარკვეული გავლენა იქონია იპოლიტე ტენის ე. წ. „გარემოს თეორიამ“, შემდეგ ფერდინანდ ბრიუნეტიერის ევოლუციურმა მოძღვრებამ. ყოველივე ეს კიდევაც გამოიხატა პოლ ბურჟეს კრიტიკულ შრომაში „ცდები თანამედროვე ფსიქოლოგიის შესახებ“. პოლ ბურჟეს კალამს ეკუთვნის პიესებიც, მაგრამ ის უმთავრესად ცნობილია როგორც ნიჭიერი რომანისტი, რომელმაც ორმოცდაათამდე რომანი დაგვიტოვა.

თავისი შემოქმედებითი აღმავლობის პერიოდში მე-19 საუკუნის 80-იან, 90-იან წლებში, — პოლ ბურჟემ გამოაქვეყნა რომანების მთელი სერია „საშინელი გამოცანა“, „ცოდვა სიყვარულისა“, „ანდრე კორნელი“, „სიცრუე“, „მოწაფე“, „ქალის გული“, „ნეტარი ქვეყანა“, „კოსმოპოლიტები“ და სხვ.

რომანში „საშინელი გამოცანა“ პოლ ბურჟე გადმოგვცემს არისტოკრატიული ჩამომავლობის ახალგაზრდა კაცის ჰუბერტის

ცხოვრების ისტორიას. ამ ახლაგაზრდას ქალთა დიდი უმრავლესობა ცბიერ და ამორალურ არსებებად მიაჩნია. მან დაკარგა ყველაფრის რწმენა და ნდობა, ჩავარდა პესიმისტურ მდგომარეობაში. ვინაა დამნაშავე, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადგილი აქვს ადამიანთა შორის ღალატს, მოტყუებას, შემაძრწუნებელ ფაქტებს? რატომ ხდება, რომ სათუთი, სპეტაკი და გულწრფელი სიყვარული იქცევა უხეშ, ბინძურ და ბოროტ გრძნობად? მწერალი ვერ უპასუხებს ამ კითხვებზე, რადგან მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ თვით ცხოვრებაა საშინელი გამოცანა.

პოლ ბურჟეს გახმაურებული რომანი „ცოდვა სიყვარულისა" ტრადიციულ ადულტერულ სამკუთხედზეა აგებული: ქმარი, ცოლი და საყვარელი.

ამ რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირია არმან დე კერნი. ის ახლო მეგობარია ალფრედ შაზელისა, რომელმაც ცოლად შეირთო ლამაზი ქალი ელენე. ელენეს თავიდანვე არ მოსწონდა და არ უყვარდა თავისი პატიოსანი და შრომისმოყვარე ქმარი. მას თვალი მუდამ ქმრის მეგობრის არმან დე კერნისაკენ ეჭირა. ის მოსწონდა. ის უყვარდა, მას ანაცვლებდა თავის ოჯახს, თავის სიცოცხლეს. ყოველივე ამან სერიოზული და მკაცრი ხასიათი მიიღო: მოწონება სიყვარულში გადაიზარდა, სიყვარული — შეცოდებაში, შეცოდება — დანაშაულში და ყველა დაიღუპა.

პოლ ბურჟემ ასეთი სიყვარულის საფუძველზე ჩადენილი ცოდვა ბოლოს და ბოლოს დანაშაულად მიიჩნია (ვინაიდან ასეთ სიყვარულს დანაშაულობამდე მიჰყავს ადამიანები), თუმცა ვერ გამოარკვია ამ დანაშაულის სოციალური ახრი.

საერთოდ, ცოლ-ქმარს შორის უთანხმოებას პოლ ბურჟე ხსნის ფიზიოლოგიური, და არა სოციალური მიზეზებით. ელენეს თითქოს ყველაფერი აქვს: ჰყავს ქმარი, შვილი, ცხოვრობს კარგად და მაინც თავს უბედურად თვლის, რადგან ჯერ კიდევ არ დაუფლებია სიყვარულის გრძნობა. ასეთ პირობებში მყოფი ქალი ადვილად დაიპყრო და დაიმორჩილა მსუნაგმა, მატყუარა და გაიძვერა არმან დე კერნიმ, რომელიც ელენეს ასე ძლიერ შეუყვარდა.

პოლ ბურჟე მთელი თავისი მხატვრული ოსტატობით გადმოგვცემს ყოველივეს, რაც ხდება მისი გმირების სულში. ამ მხრივ ბურჟე დიდი მცოდნეა ადამიანის ფსიქოლოგიისა, იშვიათი აღმწერია ადამიანის ტანჯვისა და ბედნიერების, მწუხარებისა და სიხარულის, განსაკუთრებით ძლიერია ის სიყვარულის გამო ჩადენილი შეცოდების დახატვასა და გადმოცემაში.

არმან დე კერნი ნაპოლეონ მესამის დროის გაჭნილი ახალგაზრდაა, რომელსაც ვერაფერს ვერ გაუგებ. ერთს ფიქრობს და

სხვას ამბობს. მას არ მიუდგება თქმა თვალი ადამიანის გულის სარკეაო, რადგან მის მაცდურ თვალებში რამდენიც უნდა გეცქირათ, ვერ ამოიკითხავდით იმას, რაც მათ იქით იმალებოდა.

არმანი თავზე ხელაღებული კაცია, მოდის ამყოლი ახალგაზრდა. მას საზოგადოებრივ ცხოვრებაში არც ადგილი აინტერესებს და არც საქმე იზიდავს იმის გამო, რომ მდიდარია. არმანი ნებივრობამ და ლაზღანდარობამ გარყვნილების მორევში გადააგდო. ის გახდა პატივმოყვარე, რომელიც არაივის არ ენდობა, სულ ბულვარებში დასეირნობს, ხან ერთ ქალთან, ხან მეორესთან. ქალებს ტანისამოსივით იცვლის, სხვის ცოლებს ერთგული ნაგაზივით დასდევს, თუმცა ქალები ეზიზღება და ეჯავრება.

ერთხანს არმანს სურდა, რაიმე იდეით ყოფილიყო გატაცებული, მაგრამ ამაოდ. ან გენიოსი უნდა იყოო, — იტყოდა ხოლმე, — ანდა მეტიჩრობდე და თავხედობდეო. ორმოცდამეათე თუ იქნი მწერალთა შორის, ეგ რაღა ვაჟკაცობააო. არ არის ისეთი კოცნა, რომელიც არ ჰგავდეს სხვა ათას კოცნას და ყოველივე ეს, მართალია, სასიამოვნოა, მაგრამ სწრაფწარმავალია, წუთიერი და არარაო.

არმანი ხშირად ზიზღით უყურებს ყველაფერს, პესიმისტურ გუნება-განწყობილებაზეა „მე ხომ არ მითხოვნია, — ამბობს არმანი, — რომ სიცოცხლე მომენიჭა. თუ უწესობა და ცუდი საქმე, — და საშინლად საძაგელი საქმეც, — ჩამიდენია, ტანჯვაც ბევრი გამომივლია: ერთიცა და მეორეც რომ ერთმანეთს შეეუწონო, ნება მექნება ვუთხრა მიუწვდომელს ძალას, რომელმაც გამაჩინა და დამარჩინა: შემიბრალე, შემიბრალე და შემიწყალე თუ გული გაქვს-მეთქი"[1].

ქალების მხრივ ღალატი და მოტყუება, საყვარლებში მარცხი, ხშირად გულის გამწყალებელი მარტოობა არმანს მწარედ წამოაძახებინებს ხოლმე: „ფუ, ასეთ სიცოცხლესაც რა ვუთხარი! ღმერთო ჩემო, განა ასეთი სიცოცხლეც სიცოცხლეა?!"

არმანი უცნაური ახალგაზრდაა. მას არაფითარი მიზანი არ

---

[1] რა კარგად აქვს გამოთქმული ყოველივე ეს ჩვენს ნიჭიერ პოეტს ტერენტი გრანელს:

„შენ, დედა-მიწავ, უფრო მაშინებ,
როცა ოცნებით ზეცას მოვიარ;
წმინდაო ღმერთო, რად გამაჩინე,
მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია?!"

ტერენტი გრანელი,
რჩეულ. თბილისი, 1961 წ., გვ. 36.

გააჩნია. მისი ცხოვრების შინაარსია: საუზმე და სადილი, სადილი და პაემანი. პაემანი და საღამო, საღამო და პაემანი.

რა ცინიკურად ჟღერს არმანის უსირცხვილო სიტყვები. მე რომ არ ვიყო, სხვა იქნება, თუ მე არ ვისარგებლე, სხვა ისარგებლებს. ქალები ახირებული მხეცები არიან. ყველა ქალი მოღალატეა. ელენე ღალატობს ქმარს ჩემისთანა მასხარასათვის. ეს ფარული სიყვარული ფრიად საზიზღარი და სამარცხვინო საქმეა. როგორ დაიჯეროს კაცმა რომ ქვეყნად არსებობს სიმართლე და სათნოება წუთისოფელი ამბავი: დამნაშავენი შემთხვევით იქცევიან დამნაშავეებად. შვილები იტანჯებიან მამების გამო, მართალნი — მტყუანთა მაგიერ, უდანაშაულო ადამიანები — დამნაშავეთა მაგიერ.

არმანი არც ცხოვრებას ალამაზებს და არც თავის თაეს აქებს. ის ყველას და ყველაფერს მაღლიდან უყურებს მედიდურად, აბუჩად აგდებით. ყველას ზომავს თავისი „მეს“ პრიზმიდან. არმანი ზედმეტი ადამიანია, ის სოციალური ხორცმეტია.

საყურადღებო ფაქტია: ილია ჭავჭავაძის „ივერიამ“ რომანის— „ცოდვა სიყვარულისა“ ქართული თარგმანის ბეჭდვა რომ დაიწყო, ქართველ მკითხველს ასე აუწყა: „ამ რომანმა დიდი ყურადღება მიიქცია საზოგადოებისა საფრანგეთში, სახელი გაუთქვა ახალგაზრდა რომანისტსა და დიდი შეძლებაც შესძინა. დიდი ღირსება ამ რომანისა საკვირველი, ძლიერი და მძაფრი გამოხატვაა ადამიანის სულის მოძრაობისა, ესრეთწოდებული ტრმა ფსიქოლოგიური ანალიზია. მოქმედნი პირნი თითქოს ნამდვილნი და ცოცხალნი არიანო. განსაკუთრებული თვისება ამ რომანისა ის არის, რომ სულ სამი მოქმედი პირია და არავითარის ბუნების აღწერას არა ჰნახავთ. ეს იშვიათია რომანებში. ინტერესი კი დიდი აქვს რომანსა. ჰკითხულობ ამ ნაწერს შესანიშნავი რომანისტისას და კიდევ გინდა ხელმეორედ გადაიკითხო. ზნეობრივი შეხედულება და აზრები ავტორისა, გამოთქმული ამ რომანში, ყოველად მაღალი და წმინდა შეხედულება და აზრებია“.

ამ რომანის ქართული თარგმანი მთლიანად დაიბეჭდა „ივერიაში“. რამდენიმე წლის შემდეგ იგი ცალკე წიგნადაც გამოვიდა და ინტერესი გამოიწვია ქართველ მკითხველ საზოგადოებრიობაში. ისევე როგორც ილია ჭავჭავაძის მიერ ქართულად თარგმნილმა ფრანგი მწერლის ალექსის ბუვიეს რომანმა „იზამ“.

ასეთივე სიუჟეტზეა აგებული პოლ ბურჟეს შემდეგი რომანი „ანდრე კორნელი“. ავტორი მოგვითხრობს ანდრე კორნელის ოჯახში დატრიალებულ უბედურებას. ის ცხრა წლის ბავშვი იყო, როდესაც მისი მამა, ჟუსტენ კორნელი, მოჰკლეს. ეს ბინძური დანაშაული საქმე უნდოდათ დაეფარათ. მაგრამ ამაოდ. ანდრემ, რო-

გორეკ ფხიზელმა და ერთგულმა შვილმა, დღე და ღამ სდია დანაშაულის კვალს და დიდი ვაივაგლახისა, ტანჯვისა და ბრძოლის შემდეგ კიდევაც მიაგნო. რა მოხდა?

ანდრეს დედა მარი უსიყვარულოდ გაჰყვა ჟუსტენ კორნელის. ის წარმოშობით ბერძენი იყო, ლამაზი და ეშხიანი, ფერმკრთალი და ტანადი. გრძელი თმა კოჭებამდე სწვდებოდა. უსიყვარულოდ ვიდოდა მისი ცხოვრების დღეები ქმართან, რომელიც თანდათან შეჯავრდა, ვინაიდან მარი გატაცებული იყო ქმრის მეგობრით ბ-ნი ჟაკ ტერმონდით.

განვლო დრომ და ჟაკ ტერმონდმა ჟუსტენ კორნელი უსულგულოდ ჩამოიცილა გზიდან. იგი მოაკვლევინა თავის ძმას, თავზე ხელაღებულ ედუარდ ტერმონდს და მარი თვითონ შეირთო ცოლად. მკვლელობა დაიფარა. მკვლელი მიიმალა. თითქოს ყველამ დაივიწყა მომხდარი უბედურება, მაგრამ არ დავიწყებია ის ერთადერთ კაცს და ეს კაცი იყო ვერაგულად მოკლული მამის შვილი — ანდრე კორნელი.

ამ საზარელი მკვლელობიდან ორი წლის შემდეგ ანდრე კიდევ უფრო დანაღვლიანდა, ვინაიდან დედის გათხოვების შემდეგ მის სახლში ყველაფერი გაქრა, ანდრეს პატრონი აღარავინ იყო. შემდეგ და შემდეგ მის მამასაც აღარ ახსენებდნენ. ანდრეს შესძულდა მამინაცვალი. მამის გამოურკვეველი მკვლელობა, დედის მეორედ გათხოვება მძიმე ლოდად დააწვა ჰაბუკის გულს. ანდრე არ ჰგავდა ისეთ ბავშვებს, რომლებმაც არ იციან დარდი, ფიქრი და მწუხარება. ის მწარედ განიცდიდა ყველაფერს, ყველაფერი გულთან მიჰქონდა. განსაკუთრებით დატრიალდა ანდრე მამის მკვლელობის გამოსარკვევად მას შემდეგ, როცა მას ხელში ჩაუვარდა მამის მიერ მამიდისათვის გაგზავნილი წერილები. ამ წერილებიდან ანდრემ შეიტყო, თუ რა საშინელი, მძიმე და აუტანელი უთანხმოება ყოფილა მის მშობლებს შორის და რარიგ იტანჯებოდა სიცოცხლეში მამამისი იმის გამო, რომ მას ცოლი ღალატობდა, რომ ცოლს არ უყვარდა. ანდრეს მამა ყველაფერს სწერდა თავის დას ლუიზას; სწერდა, თუ რა უბედურება ტრიალდება მის თავზე და მის ოჯახში; თუ რა შემაძრწუნებელ სურათს ხედავდა ხოლმე თავისი სახლის ჰერ ქვეშ, თუ რა ზედმეტი ნივთი იყო თავის სახლში და როგორ ითმენდა ყოველივეს იმის გამო, რომ უსიამოვნებას ერიდებოდა.

როდესაც ქალბატონი ლუიზა გარდაიცვალა, ძაძით მოსილი ანდრეს დედაც ჩავიდა სოფელში და ბევრი იტირა. აი, აქ დედამ ანდრე გაიხმო ცალკე ოთახში და უამბო როგორ გაჰყვა იგი ცოლად მის მამას, რომელსაც მარი თავიდანვე მოსწონდა, უყვარდა და აღმერთებდა, ქალს კი ასეთი გრძნობა მისდამი არასოდეს არ ჰქონია.

დედის ასეთმა აღსარებამ კიდევ უფრო დააფიქრა და შეაძრწუნა ანდრე. ის დაემსგავსა სადავე მიშვებულ ბედაურს. რომელიც მირბის და უნდა, თავის ჩრდილს გაასწროს.

ერთ დღეს შეიარაღებული ანდრე კორნელი სასტუმროში მყოფ ედუარდ ტერმონდთან შევიდა და ყველაფერი აღიარებინა, საბუთები გამოართვა და ცოცხალი გაუშვა. ამ საბუთებით ხელში ანდრე წამოვიდა. მამინაცვალთან და ყველაფერი უთხრა, რაც მან გაიგო და რაშიც დარწმუნდა. შეშინებული ჟაკ ტერმონდი გერს შეეეედრა — ნუ მომკლავ, რადგან ეს დედაშენს ყველაფერს გაუმჟღავნებს და საშინელ მდგომარეობაში ჩავარდებაო. ანდრემ ვეღარ მოითმინა ჟაკ ტერმონდის მზაკვრული საქციელი, ვეღარ დააყოვნა თავის განზრახვის შესრულება და ხანჯალი შიგ გულში ჩასცა მამის მკვლელს. ჟაკ ტერმონდმა მოიკრიბა უკანასკნელი ძალღონე, წამოიწია ღა ქაღალდზე დაწერა: „მომიტევე, მარი, ძალიან ვიტანჯებოდი და სიცოცხლე მოვისწრაფე", ამის შემდეგ ერთხელ კიდევ შეხედა ანდრეს და მოკრილ ხესავით დაეცა იატაკზე.

„ანდრე კორნელი" ინტერესით იკითხება. პოლ ბურჟე აქაც მისთვის ჩვეული მხატვრული ოსტატობით გადმოგვცემს მოქმედ გმირთა სულიერ განცდებს, დედის უსაქციელობის გამო შვილის საშინელ ტანჯვას, მის ტრაგიკულ მდგომარეობას.

რომანში „სიცრუე" პოლ ბურჟეს გამოყვანილი ჰყავს ლიტერატორები კლოდ ლარშე და რენე ვენსი. კლოდს კავშირი აქვს ერთ გარყვნილ მსახიობ ქალ კოლეტთან. რენეს უყვარს სუზანა. კოლეტი რენეს გააგებინებს, რომ სუზანა ვილაც ამორალური ყოფაქცევის კაცთან ცხოვრობს. ყოველივე ამას რენე გაგიჟებამდე მიჰყავს.

ამ რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირი კლოდ ლარშე ისეთივე ცინიკოსია, როგორც არმან დე კერნი. ისიც უარყოფითი წარმოდგენისაა ქალებზე. ქალები მას მიაჩნია ცარიელ, გაბერილ, მედიდურ პრანჭიებად. მისი აზრით, უამრავი ქალებიდან რამდენიმესაც ვერ ამოირჩევს ისეთს, რომელსაც გულწრფელი სიყვარული შეეძლოს. მათ შორის ყველაზე პატიოსანია ის, რომელსაც მხოლოდ ერთი საყვარელი ჰყავს. ჩაიხედეთ მათ გულში და დაინახავთ უამრავ სიცრუესა და ტყუილს. თითოეული მათგანის ერთადერთი სურვილია ყველა სხვა ქალს აჯობოს.

მწერალი ხაზს უსვამს იმას, რომ საზოგადოების ერთ ნაწილში სიცრუე, ორპირობა, ღალატი და გარყვნილებაა, რომ ეს მსუბუქი ყოფაქცევის დემონდენები საზოგადოებრივი ცხოვრების ზედმეტი ადამიანები არიან.

პოლ ბურჟეს რომანმა „მოწაფე" დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. აქ ავტორი ახალ საკითხებს ეხება. ესენია: მეცნიერებისა და

ფილოსოფიის გავლენა ადამიანზე, იდეალის ძალა და მნიშვნელობა საზოგადოებრივ ურთიერთობაში, მეცნიერებისა და ხელოვნების წარმომადგენელთა პასუხისმგებლობა თავიანთ თხზულებებში ახალი იდეების წამოყენებისა და განვითარების დროს და სხვ.

ფილოსოფოს სიქსტის მოწაფე რობერ გრელუ პოზიტივისტი და დეტერმინისტია. რომანის შინაარსს შეადგენს გრელუს ცხოვრების ისტორია, მისი აღსარება, მისი დანაშაული, ამ დანაშაულის მიზეზების გადმოკეთა.

რობერ გრელუ როგორც წყლის წვეთი წვეთს, ისე ჰგავს ბურჟეს სხვა გმირებს, განსაკუთრებით ქალებისადმი დამოკიდებულებაში. სიქსტის ფილოსოფიით გატაცებული გრელუ თავისი ინტელექტუალური „მეთი“ ამაყობს. თავისი მიზნის მიასლწევ გზაზე ის არაფერს ერიდება. როდესაც გრელუ რომანტიკული სიტურფით აღსავსე ქალიშვილს შარლოტას შეხვდება და დაუახლოვდება, სულ იმის ფიქრშია, ისეთი რამ არ ჩაიდინოს, რაც მეცნიერული თეორიიდან არ გამომდინარეობს. „მე გადავწყვიტე, — ამბობს გრელუ, — სრულიად გულგრილად ამ ქალის მოხიბლა ისე, რომ არც კი მყვარებია, მხოლოდ ფსიქოლოგიური ცნობისმოყვარეობისათვის უბრალოდ, თავის შესაქცევად მეთამაშებინა ეს გულუბრყვილო სული და ხშირად მეკვრიტა ამ ვნებათა ღელვის მექანიზმისათვის“.

რამდენადაც შარლოტა გულუბრყვილო და ალალმართალია, იმდენად გრელუ ბოროტი და ეერაგია. რა არ გააკეთა მან ამ სათნო ქალიშვილის გულის მოსაგებად, როგორ მოიმკვდარუნა თავი მის წინაშე, როგორ ღერიდა ფარისეველურ ცრემლებს ამ ქალიშვილის კალთაში, როგორ აკითხებდა ვნებათა ღელვის აღმძვრელ წიგნებს. როგორ დაყავდა ტყეში და უკოცნიდა ტუჩებს. რამდენჯერ გადაწყვიტა საბრალო გოგონამ ჩამოცილებოდა ამ გაიძვერა და მატყუარას, ერთხელ კიდევაც დასთანხმდა გაჰყოლოდა ცოლად თავისი ძმის — ანდრეს მეგობარს, მაგრამ ამაოდ. ისე ხდებოდა თითქოს თავისი საშინელი ბედისწერის ქარი სულ გრელუს ხელში აგდებდა მას. გრელუ ლაპარაკობს, რომ არსებობს ქვეყნად მტაცებელი სული ისევე, როგორც მტაცებელი მგელი, ვეფხვი, არწივი და თავის თავს მიიჩნევს მტაცებელ სულად. ასეთმა შეხედულებებმა ის კიდევაც დაღუპა.

ახალგაზრდა ქვრივი ქალის თავგადასავალია მოთხრობილი პოლ ბურჟეს რომანში „ქალის გული“.

ამ ქალს დიდი ხნის განმავლობაში ჰყავდა საყვარელი. ერთ დღეს, როდესაც ის ეტლით მიდიოდა საქმეზე, ეტლიდან გადმოვარდა და ფეხი იტკინა. შეივიდა თავის მეგობარ ქალთან. აქ გაიცნო დარდიმანდი ახალგაზრდა და შეუყვარდა იგი. ყოველიეე ამან ქა-

ლი საგონებელში ჩააგდო. გამოუვალ ჩიხში მოექცა, ვერ გადაწყვიტა პირველ საყვარელს დაბრუნებოდა, თუ ამ ახლად გაცნობილ ყმაწვილთან დარჩენილიყო და ამიტომ მონასტერში აღკვეცა ამჯობინა.

ამ რომანშიც წინ წამოწეულია ფატალისტური მოტივები. ბედისწერა ის ძალაა, რომელიც მართავს ყოველივეს და ყველაფერს. უბედურმა შემთხვევამ ქალის ცხოვრება უკუღმა დაატრიალა და მონაზვნად აღკვეცა ის. პოლ ბურჟეს ეს ქალის უბედურებად კი არ მიაჩნია, არამედ უბედურებისაგან თავის დაღწევად.

•

მე-19 საუკუნის 90-იან წლებში რევოლუციურმა აღმავლობამ მოიცვა მთელი ევროპა, განსაკუთრებით კი საფრანგეთი, სადაც ცნობილი დრეიფუსის პროცესთან დაკავშირებით მუშათა რევოლუციურმა მოძრაობამ ახალი გაქანება მიიღო. ბურჟუაზიული კულტურა ღრმა კრიზისის ხანაში შევიდა, რამაც გარკვეული გაელენა მოახდინა ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. ამ დროს პოლ ბურჟეს შემოქმედება დაქვეითებას განიცდის, ვინაიდან მწერალი მონარქიზმისა და კათოლიციზმის ტყვეობაში ვარდება. პოლ ბურჟეს მხატვრულ ნაწარმოებებში უფრო და უფრო იკიდებს ფეხს და ძლიერდება დაცემულობითი ფილოსოფია, დეკადენტური ტენდენცია. ის აქვეყნებს ტრილოგიას: „ეტაპი", „გაყრა", „ემიგრანტი", რომლებშიც ნათლად გამოიხატა პოლ ბურჟეს ანარქიულ-ინდივიდუალისტური მიდრეკილებანი, მისი თეოლოგიური მრწამსი.

პირველი მსოფლიო ომის წინ საფრანგეთში მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობა კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა. მან ფართო მასობრივი ხასიათი მიიღო.

ლენინი ასე ახასიათებს ამ პერიოდს: „რომანულ ქვეყნებში — იტალიაში, მეტადრე საფრანგეთში — კლასობრივი ბრძოლის გამწვავება მეღავნდება განსაკუთრებით მძაფრი, მკვეთრი, ნაწილობრივ პირდაპირ რევოლუციური აფეთქებით, როდესაც პროლეტარიატის გულში ჩამარხული სიძულვილი თავისი მჩაგვრელებისადმი უეცარი ძლიერებით ამოხეთქს ხოლმე, და პარლამენტური ბრძოლის „მშვიდობიანი" ვითარება იცვლება ნამდვილ სამოქალაქო ომის ცეცხლით".

პოლ ბურჟე, მართალია, გამოეხმაურა ამ სოციალურ-პოლიტიკურ ძვრებსა და მოვლენებს, მაგრამ ცალმხრივად, თავისებურად. მან სათანადოდ ვერ გაიგო, რა ხდებოდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ვერ ჩასწვდა კლასობრივი ბრძოლისა და რევოლუციური მოძრაობის ნამდვილ არსს: პოლ ბურჟეს ასეთი შეზღუდულობა და

წინააღმდეგობა ნათლად ჩანს მის რომანებში და აგრეთვე პიესებში. მაგალითად, ისეთ პიესაში როგორიცაა ბურჟეს „ბარიკადა“. პოლ ბურჟეს მსოფლმხედველობრივი კრიზისის გამო ვერ გაიაზრა და ვერ გაითვალისწინა პროლეტარიატის ისტორიული როლი, მისი ნათელი მომავალი.

ლენინი პარიზში ცხოვრების დროს დადიოდა ფრანგულ თეატრში. მან ფრანგულ სცენაზე ნახა პოლ ბურჟეს პიესა „ბარიკადა“, რომლის გამოც წერდა: „რეაქციულია, მაგრამ საინტერესოაო“. როგორც ვხედავთ, ლენინი აკრიტიკებს პოლ ბურჟეს პოლიტიკურ მრწამსს, პიესის იდეურ ჩანაფიქრს, მაგრამ აფასებს მწერლის მხატვრულ ნიჭს.

მე-20 საუკუნის დასაწყისში პოლ ბურჟეს შემოქმედებაში აღმავლობას ვეღარ ვხედავთ, პირიქით, მწერალი დაქვეითებას განიცდის, როგორც მხატვარი. ის გაიტაცა ფსიქოპათოლოგიური მოვლენების ასახვამ. ყოველივე ეს ნათლად ჩანს პოლ ბურჟეს ამ პერიოდის ნაწარმოებებში: რომანში „შუა დღის ეშმაკი“, ნოველების კრებულში, „კულისებში“. პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობის დროს პოლ ბურჟე დეკადენტურ პოზიციებზე იდგა და შოვინისტურ იდეებს ქადაგებდა, რაც გამოიხატა მის რომანში „სიკვდილის აზრი“.

პოლ ბურჟე გარდაიცვალა 1935 წელს.

• •

პოლ ბურჟეს მოსწონდა და უყვარდა დიდი ფრანგი რეალისტი მწერალი სტენდალი, მისი მხატვრული სტილი და თელიდა მას თავის მასწავლებლად. პოლ ბურჟეს კიდევაც ეტყობა სტენდალის გავლენა, როგორც ფსიქოლოგიური რომანის ოსტატს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პოლ ბურჟე მივიჩნიოთ სტენდალის სახელოვანი, რეალისტური ტრადიციების ბოლომდე განმგრძობად, ანდა, ყოველთვის დავაყენოთ რეალისტი სტენდალის გვერდით, როგორც მოაზროვნე და მხატვარი.

პოლ ბურჟეს ადრინდელ შემოქმედებას ემჩნევა გამოჩენილი რუსი მწერლის დოსტოევსკის იდეური გავლენა, განსაკუთრებით ერთ საკითხში, ესაა „ტანჯვის განსაწმენდელი მნიშვნელობა“ ადამიანის ცხოვრებაში (ჩვენ უმთავრესად მხედველობაში გვაქვს დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელი“ და პოლ ბურჟეს „მოწაფე“), თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ვიქტორ ჰიუგომ ეს ფაქტი ამ მწერლებზე ადრე გამოთქვა და გამოხატა თავისი შესანიშნავი ლექსების კრებულში „აღმოსავლური ჰანგები“. ნაპოლეონისადმი მიძღვნილ ლექსში „იგი“ ვიქტორ ჰიუგო პირდაპირ წერს, რომ ტანჯ-

ვა და უბედურება აწრთობს ადამიანის სულს, აკეთილშობილებს მას, ამაღლებს, უფრო დიადს და საინტერესოს ხდის მის პიროვნებას.

როდესაც პოლ ბურჟეს ნაწარმოებებს ეკითხულობთ, ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ მწერალი აგრძნობინებს და შეაგნებინებს ხოლმე თავის გმირებს მათ დანაშაულს, დაგვიხატავს მათ ზნეობრივ ტახჯვა-ვაებას და მიიყვანს შეცოდებების მონანიებამდე, ზოგჯერ პოლ ბურჟეს გმირები სასტიკად ისჯებიან იმის გამო, რომ მწვავედ იგრძნონ და გაიგონ თავიანთი პასუხისმგებლობა ანტისაზოგადოებრივი ქცევისათვის, არაადამიანური მოქმედებისათვის, მაგრამ აქვე უნდა ვთქვათ, რომ ყოველივე ეს არ გამომდინარეობს ნაწარმოების შინაგანი განვითარებიდან, ცხოვრების სიმართლიდან, რადგან მწერლის მიერ რაღაც გარედან თავზე მოხვეული განაჩენის. შთაბეჭდილებას სტოვებს და ხშირად ეს ხდება იმ დროს, როცა ყველაფერი დამთავრებულია.

პოლ ბურჟე სასტიკად კიცხავს ნაპოლეონ მესამის ძირგამომპალ რეჟიმს, რომელიც, მწერლის სამართლიანი აზრით, ასაზრდოებდა გათავხედებული, გაცუღლუტებული ახალგაზრდების ამორალობასა და მტაცებლობას, ძლიერი პიროვნებების განდიდებას.

მართალია, პოლ ბურჟეს მხატვრულ შემოქმედებაში, პუბლიცისტურ შრომებში გვხვდება რეაქციული შეხედულებანი, მაგრამ ამ შეხედულებებმა ვერ შესძლეს ჩაეხშოთ პოლ ბურჟეს შემოქმედების პირველი პერიოდის შესანიშნავი ნაწარმოებების კრიტიკული და მამხილებელი ძალა.

პოლ ბურჟემ თავის რომანებში (ნებით თუ უნებლიეთ) გვიჩვენა, არა მხოლოდ დეტერმინისტული თეორიის დამღუპველი გავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და ადამიანთა ურთიერთობაზე, არამედ მან გვიჩვენა აგრეთვე ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმის დამარცხებაც.

პოლ ბურჟემ, თავისი შემოქმედების ადრინდელი პერიოდის მხატვრული ნაწარმოებით, გარკვეული წვლილი შეიტანა ფრანგული ფსიქოლოგიური რომანის წინსვლისა და აყვავების საქმეში.

მან, როგორც ნიჭიერმა მხატვარმა, დამაჯერებლად დახატა მეორე იმპერიის დროინდელი საფრანგეთის „მაღალი“ საზოგადოების გადაგვარება და დაცემა. ამასთანავე პოლ ბურჟემ სცადა მოეცა დადებითი იდეალების მქონე ადამიანთა სახეები, მაგრამ ეს კეთილშობილური ჩანაფიქრი ბოლომდე ვერ განახორციელა.

ქართული ლიტერატურის გამოჩენილი კრიტიკოსის, ამავე დროს ფრანგული ლიტერატურის საუცხოო მცოდნისა და დამფასებლის კიტა აბაშიძის კალამს ეკუთვნის საინტერესო გამოკვლევა

პოლ ბურჟეს შესახებ. კიტა წერდა: „საფრანგეთის ლიტერატურა ჩვენ გვგონია, უფრო მეტი ყურადღების ღირსია; მას ისეთი თვისებები გააჩნია, რომლებსაც ჩვენისთანა ცოცხალი ბუნებიანი ერისათვის სწორედ დიდი მნიშვნელობა აქვს“.

კიტა აბაშიძის აზრით, ფრანგული ლიტერატურა გამოირჩევა დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების ლიტერატურისაგან თავისი ნოვატორული ხასიათით, საკითხების ახლებურად დაყენებითა და გადაწყვეტით, ახალი მიმართულებებისათვის ბრძოლით. „ფრანგული ლიტერატურა თავის უწინდელს გულგრილობას სტოვებს და ცდილობს გაატაროს მაღალზნეობრივი აზრები“,[1] — წერდა კიტა აბაშიძე.

გარდა ამისა, ფრანგული ლიტერატურა ყველაზე უფრო მეტი ყურადღების ღირსია იმიტომ, რომ ამ უკანასკნელ დროსაც საერთოდ საზღვარგარეთულ ლიტერატურაში მას უკავია პირველი ადგილი. კიტას აზრით, ამ ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლების მხატვრული შემოქმედება მთელი ევროპის ყურადღებას იპყრობს. ფრანგული ლიტერატურა და ფილოსოფია ყოველთვის შესანიშნავია იმით, რომ ფრანგ ავტორებს ეხერხებათ მარტივად და მკაფიოდ გამოთქვან რთული აზრებიც კი.

კიტა იმაზე ამახვილებს ყურადღებას, რომ საფრანგეთის ლიტერატურაში თავს იჩენს და ძლიერდება ისეთი მიმართულება, რომელიც ეწინააღმდეგება ძველს, პოზიტიურს, გაზვიადებულ ნატურალიზმს, ცინიკურ პესიმიზმსა და მიზანთროპიას. ამ ახალი ლიტერატურის წარმომადგენლად კიტა სთვლის პოლ ბურჟეს.

კრიტიკოსი თავისი დროის ფრანგულ მწერლობაში ორ მიმართულებას ხედავს: ერთს — განსაკუთრებით ფილოსოფიურს, რომელიც ემყარება თანამედროვე მეცნიერულ თეორიებს, მაგრამ არ იფარგლება ამ თეორიებით. მეორეს — მორალურ-ფილოსოფიურს, რომელიც სარწმუნოებრივ დოგმებს ემყარება. პირველ მიმართულებას სათავეში უდგანან ფილოსოფოსი და პოეტი გიუო და ფილოსოფოსი ფუიე, ხოლო მეორე მიმართულების წარმომადგენლებია: ფილოსოფოსი სეკრეტანი და მწერალი პოლ ბურჟე.

კიტა აბაშიძემ ფრიად საყურადღებო და ფართო ამოცანა დაისახა მიზნად, რაც ნათლად ჩანს მის შემდეგ განცხადებაში: „დავიწყებთ ჯერ ლიტერატურიდან და მერე, თუ ძალი და ხელოვნება შეგვეწევა, ვეცდებით ფილოსოფოსებიც გავაცნოთ ჩვენს საზოგადოებასა“[2].

კიტა პოლ ბურჟეს პირველ ადგილზე აყენებს იმ დროის ფრანგ

---

[1] კიტა აბაშიძე, ახალი მიმართულება საფრანგეთის ლიტერატურაში, პოლ ბურჟე, ჟურნ. „მმბ“, 1894 წ., № 8, გვ. 2.

[2] იქვე.

მწერალთა შორის. იგი წერს: „აზრის მხრით ბურჟე ბევრად მაღლა დგას თვით ზოლაზეც და დოდეზეც“[1].

კიტა აბაშიძე პოლ ბურჟეს უწოდებს ფსიქოლოგიური რომანის დიდოსტატს, ჩინებულ მწერალს. „პოლ ბურჟე, — წერს კიტა, ძველისა და ახლის მიმართულები შუაზედა დგას. ერთის მხრით, მასზედ დიდი გავლენა ჰქონდა ძველი აზრების მოციქულთა, ისეთი გავლენა, რომ დღესაც კი ვერ განთავისუფლებულა მთლად მისის გავლენისაგან; მეორეს მხრით ის კარგად ჰგრძნობს, რომ ამ აზრებმა თავის დრო მოსპოვეს, და ახლისაკენ იწევს, თუმცა ეს ნაბიჯი პირველად კიდევ გაუბედავი და გაურკვეველია. აქისათვის ბურჟე საინტერესოა არამცთუ როგორც მართლა შესანიშნავი მწერალი განახლებული ლიტერატურის ფორმის — ფსიხოლოგიური ანუ, როგორც თვით უწოდებს, ანალიზის რომანის ბატონი, საინტერესოა არამცთუ როგორც წინამორბედი ახალის აზრებისა და ძველის კრიტიკოსი, არამედ იგი შესანიშნავია, როგორც ფსიქოლოგიური სურათი... თავდაპირველად ბურჟე არ არის ძველის წარმომადგენელი, რადგან მრავალს ახალს აზრებს ეპოტინება და ვერ არის ახლის გუწრფელი თაყვანისმცემელი, რადგან მას ჯერ მხოლოდ ეპოტინება, იმდენად ძლიერია და საფუძვლიანი უწინდელი გავლენა მასზედ“[2].

მიუხედავად ყოველივე ამისა, პოლ ბურჟემ მაინც გადადგა გაბედული ნაბიჯი წინ, ახალი მიმართულებისაკენ. ის მიემხრო სარწმუნოებრივ მორალისტებს და სცადა მორალური საკითხები რელიგიურ ნიადაგზე გადაეწყვიტა. საგულისხმოა, რომ კიტა აბაშიძე კარგად ამჩნევს პოლ ბურჟეს გაორებულ ბუნებას, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ: ბურჟეს „ორბუნებოვნებას“ და გაურკვეველობას, არა მხოლოდ მხატვრულ ნაწარმოებებში, არამედ მის წიგნში „ცდა თანამედროვე ფსიქოლოგიის შესახებ“.

ასეთი ჩანს ბურჟე ყველგან, სადაც ის მსჯელობს დეკადენტიზმზე, დილეტანტიზმზე ათეიზმსა და სხვა ასეთ საკითხებზე. პოლ ბურჟეს შემოქმედებაში ხშირად ვხედავთ წინააღმდეგობას, საიდანაც ავტორი გამოსავალს ვერ პოულობს. ხშირად ვხვდებით ბურჟეს სასოწარკვეთილს, პესიმისტს, სკეპტიკოსსა და ფატალისტს.

კიტა პოლ ბურჟეს მხატვრულ ქმნილებებს ორ ჯგუფად ყოფს. პირველ ჯგუფში ათავსებს ნაწარმოებებს: „საშინელი გამოცანა“ „ქალის გული“ და ზოგიერთ პატარა მოთხრობას, მაგალითად, „გამოუსწორებელი“. მეორე ჯგუფში — „ანდრე კორნელი“, „ცოდვა

[1] კ ი ტ ა ა ბ ა შ ი ძ ე. ახალი მიმართულება საფრანგეთის ლიტერატურაში. პოლ ბურჟე, ჟურნ. „მმბ“, 1894 წ., № 8, გვ. 2.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 5.

სიყვარულისა", „სიცრუე", „მოწაფე", „ნეტარი გვეყანა", „კოს მოპოლიტები" და ზოგიერთი პატარა მოთხრობა, მაგალითად, „წმინდანი".

თავის გამოკვლევაში კიტა აბაშიძე ვრცლად არჩევს პოლ ბურჟეს რომანს „ცოდვა სიყვარულისა", ვინაიდან იგი მიაჩნია მწერლის მთავარ ნაწარმოებად. იგი საქმის ცოდნით ახასიათებს ნაპოლეონ მესამის ძირგამომპალ რეჟიმს, რომლის დროსაც ხდება რომანში აღწერილი ამბები. კიტა წერს: „50 წლის სისხლის ღვრით მოპოვებული რევოლუციის პრინციპები შებღალულ იქმნენ, სიტყვისა და მოქმედების თავისუფლება მოსპეს. ყოველივე, რაც კი რაიმე ძალას წარმოადგენდა, რომელსაც შეეძლო ტირანიისათვის წინააღმდეგობა გაეწია, დამხობილი და შესუსტებული იყო. პარლამენტის საუკეთესო წევრნი, ენერგიულნი, თავგანწირულნი, დამცველნი ლიბერალური იდეებისა, განდევნილ-განძეულებულნი იქმნენ სამშობლოდან. ვინც შინ დარჩა, სატუსაღოებში ამწყვდეულნენ და სხვა ათასნაირ სასჯელს იგონებდნენ მათთვის. განდევნილთა სიაში ისეთ დიდებულ სახელებს იპოვნით, როგორც ვიქტორ ჰიუგო, ედგარ კინე, ტიერი და სხვ. უნივერსიტეტის კარები დახურული იყო... 51 წლის დეკემბრიდან ყოველივე პოლიტიკური მოძრაობა და ცხოვრება ჩაქრა. პოლიტიკურ სჯა-ბაასს მმართველობა არ ითმენდა. საფრანგეთს არ ახსოვს, რომ პრესა ასე შეეიწროებული ყოფილიყოს როდისმე. ლიტერატურაში ისეთი მწერლები მეფობდნენ, რომლებიც ან ჩუმად იყვნენ, ანდა კვერსა სცემდნენ და გუნდრუკს უკმევდნენ გონებასა"[1].

კიტა აბაშიძე 1851 წლის 2 დეკემბრის სახელმწიფო გადატრიალებას სრულიად სამართლიანად „წყეულს" უწოდებს და იქვე მოაქვს აგრეთვე თვით პოლ ბურჟეს მიერ ასევე დამახასიათებელი მეორე იმპერიის დროინდელი საფრანგეთის საზოგადოებრივი ცხოვრება. როგორც ფრანგ მწერალს, აგრეთვე ჩვენს კრიტიკოსსაც სწორად ესმის ნაპოლეონ მესამის მმართველობის დროს საფრანგეთში გაძლიერებული ტირანია, ეგოიზმი და მკაცრი სინამდვილის ტიპების გამრავლების საფუძველი, როგორც მათი უხამსი საქციელი. ეს ის დროა, როდესაც მოდაშია ძლიერი, ღონიერი კაცი, რომელიც ადამიანურ სინდისს არაფრად აგდებს. ასეთი ადამიანი მხოლოდ სიმდიდრისა და ფუფუნებისათვის იბრძვის, ვინაიდან წუთიერი სიამოვნება მისთვის ყველაფერია.

კიტა აბაშიძე საგანგებოდ ჩერდება რომანის ფინალის საკითხ-

---

[1] კიტა აბაშიძე. ახალი შემართულება საფრანგეთის ლიტერატურაში. პოლ ბურჟე. ჟურნ. „მნათობი", № 3. 1894 წ., გვ. 13.

ზე. მას ძალიან მოსწონს ბოლო ნაწილი რომანისა, რომელიც ელენეს აღსარებით იწყება და რომელშიც თითქოს არმანის სრული გარდაქმნაა წარმოდგენილი. კიტა წერს: „ბურჟე რომ ნამდვილი გრძნობიერი და კაცობრიული მწერალი არ იყოს, რომ ის იყოს ან გარდამეტებული პესიმისტი ან „კაცის მბეცობის“ აღმსარებელი, მაშინ ამ რომანს აქ დაათავებდა (ე. ი. არმანის გადაწყვეტილებით ელენესთან კავშირის გაწყვეტის შესახებ — დ. ფ.). კაცმა რომ სთქვას, ცხოვრების ნამდვილი სურათიც იქნებოდა.

ზოლა და ზოლას მიმდევარი უთუოდ ასე მოიქცეოდა. თვით ბურჟე „საშინელი გამოცანის“ ავტორიც სწორედ ასეთ ადგილზე წყვეტს თავის რომანს. რეალიზმის (ზოლას რეალიზმის) თაყვანისმცემელი იტყვის, ეს უკანასკნელი ნაწილი სრულიად რომ არ დაეწერა ბურჟეს, უკეთესი იქნებოდაო, ჩვენ კი გვგონია, რომ ეს უკანასკნელი ნაწილი არ იყოს, მისი რომანი ყოველ მორალურ ღირსებას დაჰკარგავდა და დარჩებოდა უბრალო ანალიზის რომანი, რომელიც ვერც თავის სიუჟეტის ორიგინალობითა და ვერც მხატვრობითის მხრით იმდენს ვერას გვასიამოვნებდა და ისეთ გავლენას ვერ იქონიებდა, როგორც ეს უკანასკნელი ნაწილი. არც სინამდვილეს წაუგია რამე, წინააღმდეგ, ბევრი მოიგო. რაც შეეხება ანალიზს, აქ მისი გმირის ფსიქოლოგიური მხარე საუკეთესოდ აღწერილია. საბედნიეროდ ბურჟეს კიდევ დარჩენია რწმენა კაცის ადამიანობისა, სწამს, რომ თუ მხეცია კაცი, ყველა მხეცზე მაინც უფრო მაღლა დგას იგი თავისი სულიერის და გონების სიდიადით. ამიტომაც აქამდინ საოცარ და საშინელს დე კერნში კაცობრიულ გრძნობას გააღვივებს და მთლად გარდაქმნის მას“.

ჩვენი ნიჭიერი კრიტიკოსის ამ შეხედულებას ვერ გავიზიარებთ. ცხადია, იმის თქმა, რომ ბურჟეს ეს ბოლო ნაწილი არ დაეწერა, რომანი უკეთესი იქნებოდაო, გადაჭარბებულია. მაგრამ უფრო გადაჭარბებულია იმის თქმა, რომ, ამ უკანასკნელი ნაწილის გარეშე, რომანი ყოველ მორალურ ღირსებას დაკარგავდა და დარჩებოდა უბრალო ანალიზის ნაწარმოებად.

„ცოდვა სიყვარულისა“ შედგება თერთმეტი თავისაგან. მეცხრე თავამდე ავტორი წარმოგვიდგენს არმანს, როგორც მთლიანად უარყოფით ტიპს, გადაგვარებულ არსებას, რომელიც დაგორებულ ქვასავით ვერსად ფეხს ვერ იკიდებს, სულ ქვეით ეშვება და ცხოვრების საშინელ წუმპეში ვარდება.

მეცხრე თავში ელენე მიდის არმანთან სახლში და ეუბნება: „ა, მოვედი თქვენთან და გეუბნებით, რომ დავნებდი ბ-ნ ვარადს და ამის მიზეზი თქვენ ბრძანდებით, თქვენი უსამართლობა, და ის, რომ ასე უმოწყალოდ მკარით ხელი და ჩვარსაით გადამისროლეთ,

მაგრამ იცოდეთ, თქვენს გაცნობამდე წმინდა ვიყავი" და სხვ.

არმანს შეეშინდა და უკან გამოჰყვა შინ დაბრუნებულ ელენეს და, როცა დარწმუნდა, რომ ქალს თავი არ მოუკლავს, დამშვიდდა და თავისთვის ჩაილაპარაკა: „მადლობა ღმერთს, რომ ადამიანის მკვლელი მაინც არ გავხდი".

მეათე თავში არმანი წარმოდგენილია როგორც ანალიტიკოსი. ის ჩაუფიქრდა ყველაფერს, მაგრამ უკვე გვიანაა. ის ფიქრობს. მსჯელობს, ერთ აზრს გამოთქვამს, იქვე მის საწინააღმდეგოს იტყვის, აღარაფერი გამოსდის. მან იგრძნო თავისი სულმდაბლობა, სიყვარულის საშინელი შეცოდება, მაგრამ ყოველივე ამის პირველ მიზეზად თავის თავს არ თვლის. ის კვლავ ძველებურად მსჯელობს. „თავისუფლება განა ფუჭი სიტყვა არ არის? და თუ ეს ასეა, მაშასადამე, ფუჭი სიტყვაა სიკეთეცა და ბოროტებაც, ბიწიერებაცა და სათნოებაც. რა ვარ მე? მე ვარ ნაყოფი მემკვიდრეობისა და გარემოებისა. რაკი ასეთი და არა ისეთი გარემოებანი შეჰკრბა ერთად, მეტი ღონე აღარ იყო, უნდა მეგრძნო ხოლმე ისე, როგორც ვგრძნობდი, მეფიქრა ისე, როგორც ვფიქრობდი, მდომოდა ისე, რასაც ვდომობდი".

არმანი განაგრძობს ასეთ უცნაურ მსჯელობას და ამბობს: „განა შესაძლებელია, რომ კაცმა თავის თავს ძალა დაატანოს და უთხრას: აი, ეს უნდა გჯეროდეს და ეს არაო, ამას უნდა ფიქრობდე და არა იმასაო? განა მე ვიყავი დამნაშავე? არა. ჩემ წინ ყოველთვის იდგა მაცდური ხატება, რომელიც მატყუებდა... რაღაც სხვა ძალა მართავს ადამიანის ცხოვრებას, მაცდური ხატება ძლიერია კაცის ნებასა და სურვილზე. ჩემი ასეთი საქციელი სულ ამ ხატების ბრალია. ნებისა და სურვილის თავისუფლება არ არსებობს".

ავტორი მეათე თავის ბოლოს არმანს ასეთ სიტყვებს ათქმევინებს: ახლა ელენეს ვენდობი და მწამს მისი სიმართლე, მაგრამ რაღა დროს? გვიანღა არის. შეიძლება ახლა ელენე მართლაც ძვირფასი იყოს მისთვის, მაგრამ არა როგორც ცოცხალი არსება, არამედ როგორც მიცვალებული. სულ ბოლო თავში პოლ ბურჟე ამბობს: სინდისის მხილებამ და ქენჯნამ განწმინდა არმანიო, მაგრამ სადაა ეს განწმენდილი, გაპატიოსნებული, გაკეთილშობილებული, — როგორც კიტა ამბობს, — ადამიანურ გრძნობა-გაღვივებული და მთლად გარდაქმნილი არმანი? ჩვენ ასეთ არმანს ვერ ვხედავთ.

კიტა აბაშიძე საქმის ცოდნით არჩევს ყველა ზემოთ დასახელებულ ნაწარმოებს.

განსაკუთრებით საინტერესოა კიტას შეხედულებანი პოლ ბურ-

ეს ერთ-ერთ მთავარ და გახმაურებულ ნაწარმოებზე „მოწაფე“.

კიტა ფერდინანდ ბრიუნეტიერის დამოწმებით „მოწაფეს“ უძღვნის რომანს უწოდებს.

კიტა აბაშიძეს „მოწაფე“ მიაჩნია მობრუნების პუნქტად პოლ ბურეეს შემოქმედებაში. ის წერს: „რომანი იწყება წინასიტყვაობით, რომელიც გაჟღენთილია წრფელის სიყვარულითა სამშობლოსა და მისის საუკეთესო შვილების — ყმაწვილ-კაცობისადმი. ეს წინასიტყვაობა კი არა, მოწოდებაა მთელი ახალის თაობისა ენერგიულად შრომისათვის კაცობრიობისა და სამშობლოსათვის. ამით ბურეე დილეტანტობას სტოვებს და მაგრად იკიდებს ფეხს მორალისტის ნიადაგზე. იგი დღეიდან შეიგნებს ლიტერატურის დიადი მნიშვნელობას საზოგადოებისათვის და შეიქმნება მისთვის გულწრფელი მშრომელი. ამ რომანით ის ჩაერია ახალი აზრების ბრძოლაში, გაუმკლავდა ეგრეთწოდებულს „უარ-მყოფლობასა“ და ჩადგა ზნეობისა და მოვალეობის დამცველთა ჯგუფში“[1].

კიტა აბაშიძე სავსებით სამართლიანად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პოლ ბურეეს მიერ რომანის წინასიტყვაობაში გამოთქმულ აზრებს და მოაქვს მისი უმთავრესი ნაწილი ქართულად.

კიტა აბაშიძე საჭირო გულისხმიერებით და საქმის ცოდნით არჩევს სიქსტის მოწაფის გრელუს აღსარებაში გამოთქმულ აზრებს, მის სულიერ ტანჯვებს, მის განცდებს. მართლაც, პოლ ბურეეს, როგორც ნიჭიერ მხატვარ-რომანისტს, ემარჯვება მთელი სისრულით დახატოს ადამიანი, რომელსაც აფორიაქებს მძიმე ტანჯვა, რომელსაც ღრმად შეუთვისებია ეს ფილოსოფიური მოძღვრება, მიუყენებია იგი ცხოვრებისათვის და შეხებისთანავე დამსხვრეულან მისი ოცნებანი და ჩავარდნილა საგონებელში.

ჩვენი მკვლევარი გრელუს აღსარებაში იმას უსვამს ხაზს, რომ მოწაფე თავისი მასწავლებლის პასუხისმგებლობაზე ლაპარაკობს. რომ გრელუ სამუდამოდ დატანჯული უნდა ყოფილიყო თავისი მასწავლებლის სიქსტის ფილოსოფიისაგან.

ეს აზრი ღრმად ჩასწვდა სიქსტის გულს და მთლად შესძრა იგი. სიქსტი იმანაც შეაწუხა, რომ გრელუ თავის დანაშაულს მასწავლებლის თეორიებით ამართლებდა. მან იგრძნო, რომ რაღაც სულიერი ლაქა ეცხებოდა მის პიროვნებას, მან თავის მოწაფეში თავისი თავი დაინახა.

ირკვევა, რომ ცხოვრებისაგან განაპირებული, თავისთვის ჩაკეტილი სიქსტი მხოლოდ ქალაღდის ფურცლებზე ყოფილა უარ-

---

[1] კიტა აბაშიძე, ახალი მიმართულება საფრანგეთის ლიტერატურაში. პოლ ბურეე. „მნა“, 1894 წ., № 8, გვ. 4.

მყოფელი, ნიჰილისტი და პესიმისტი. ნამდვილად კი მისი გული აღსავსეა კეთილშობილებითა და კაცთმოყვარეობით.

გრელუ ნაყოფიერი ფსიქოლოგიური ნიადაგი აღმოჩნდა, რომელზედაც სიქსტის თეორიებმა მომაკვდინებელი მცენარე აღმოაცენა. კიტა მართებულად მიუთითებს, რომ სიქსტი თავს დამნაშავედ სთვლის. როდესაც სიქსტმა უკანასკნელად დაინახა გრელუ, ცხედარი, რომელსაც ცხარე ცრემლით დასტიროდა დედა, დაიჩოქა და აქვითინდა.

საკითხმა მეცნიერთა პასუხისმგებლობის შესახებ მათი თხზულებების გამო, სხვადასხვა აზრთა შეხლა-შემოხლა გამოიწვია. იგი გახდა მკაცრი მსჯელობის საგანი. კიტა კარგად იცნობს ამ შეხედულებებს: მოღვაწეთა ერთი ჯგუფი ამტკიცებდა, რომ ავტორებმა პასუხი უნდა აგონ თავიანთი თეორიების გამო. მეორე ჯგუფი, პირიქით, მოითხოვდა, რომ მეცნიერებს არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ თავიანთ მოძღვრებათა შედეგების გამო.

კიტა აბაშიძე სავსებით სამართლიანად მხარს უჭერს პირველს, სახელდობრ იმ აზრს, რომ მეცნიერებმა პასუხი უნდა აგონ თავიანთ თხზულებებში წამოყენებული და განვითარებული იდეების გამო. კიტას მოაქვს ფერდინანდ ბრიუნეტიერის სიტყვები: „ის ფილოსოფოსნი, რომელნიც ბედავენ ყოველივეს შეიხონ, ყოველივეს დაეტაკონ და ყოველივე უარჰყონ. ისეთივე დამნაშავენი არიან, თუ არა მეტად. როგორც გრელუ, ნუ მეტყვით, რომ მეცნიერი თავის ლაბორატორიაში და ფილოსოფოსი თავის კაბინეტში სრულიად არ აქცევენ ყურადღებას იმას. თუ ხალხი რა აზრს მისცემს მათ თეორიებს და მათ მეცნიერულ გამოკვლევებს! კმარა ბატონებო, ამის ლაპარაკი, დროა ეს ინდიფერენტიზმი განვაძეოთ. მეცნიერნი პასუხისმგებელნი არიან თავიანთი ნაწერებისთვის"[1].

აქ აუცილებელია აღვნიშნოთ შემდეგი: მეცნიერებს, ცხადია, უნდა ჰქონდეთ პასუხისმგებლობის გრძნობა, მაგრამ ეს საკითხი დაზუსტებას მოითხოვს, რადგან მეცნიერის ესა თუ ის აღმოჩენა, გამოკვლევა, გამოგონება შეიძლება ბოროტად იქნეს გამოყენებული, მაშინ მეცნიერია დამნაშავე?

მოვუსმინოთ თვით კიტა აბაშიძეს: „ჩვენ გვგონია, რომ რომანში სიქსტი გამოდის და თვითონვე აღიარებს თავს დამნაშავედ და ჩანს პასუხისმგებლობასაც კისრულობს". ჩვენი მკვლევარი იქვე ასეთ საინტერესო და საგულისხმო აზრს გამოთქვამს: „ჩვენ გვგონია რომ მეცნიერნი და ფილოსოფოსნი

---

1 კიტა აბაშიძე. ახალი მიმართულება საფრანგეთის ლიტერატურაში. პოლ. ბურჟე. „მზბ", 1894 წ., № 9, გვ. 28.

პასუხისმგებელნი უნდა იყვნენ, მაგრამ ისე თავისი აზრებისათვის არა, როგორც იმ განყენებულ ცხოვრებისათვის, რომელიც მათ ჩვეულებად აქვთ. მეცნიერებმა უნდა იცოდნენ, რომ მათი თხზულებანი ცოცხალ არსებათა შორის დატრიალებს, იძიებს ზოგის აღტაცებას და ზოგის ზიზღს, პოულობს თავის მორწმუნეთა და მოწაფეთა გუნდს. ამიტომ ისინი ცხოვრებას არასოდეს არ უნდა განუკერძოვდნენ, თორემ უთუოდ იგივე მოუვათ, რაც სიქსტს"[1] (ხაზგასმა ჩვენია — დ. ფ.).

„სიქსტი უბიწო კაცი, სიყვარულზე ათას უცნაურ თეორიებს წერდა. მას არც კი შეეძლო წარმოედგინა, რომ მოიძებნებოდა ვინმე ისეთი, რომელსაც უბიწოება დიდის ხნიდან დაკარგული ექნებოდა და ბიწიერებას ჩაიდენდა გრელუს მსგავსს. სიქსტს სკამისათვისაც კი არ უხლია ხელი. მაგიდასთან გაატარა თავის სიცოცხლე და, რასაკვირველია, არც სიძულვილი გამოუცდია და არც სიყვარული. აქ კი სიხარბეზე და მემკვიდრეობით გადმოცემულ სიძულვილზე თეორიებს ადგენს, რომელნიც გრელუს დაეხმარებიან ანდრესადმი თავის ზიზღის ასახსნელად.

თუ ის გამოსულიყო ცხოვრებაში, თუ ენახა, რომ არის ტანჯვა, არის ცრემლები მის გარშემო, არის კვნესა და ოხვრა, რომ იმ ბავშვებს, რომელთა ექსპერიმენტად მოხმარებაც მას უნდოდა. ჰყავდა დედა, რომელიც ცრემლებს დააფრქვევს მათთვის, — მაშინ ივრცნობდა, რომ ყოველივე გრძნობისა და ზნეობრივი მოქმედების უარყოფა არის უაზრობა და შეუძლებელია კაცისათვის, მაგრამ ის განყენებული იყო და ყოველივე მისი ბრალი ამაშია, რომ მისი თეორიები კარგად შეგნებულნი და კარგის კაცისაგან აწონილ-დაწონილნი გამყრუნელნი არ არიან, ამას თვით სიქსტის პირადობა გვიმტკიცებს"[2].

კიტა სწორედ იქცევა, როცა არ ეთანხმება ფრანგ ფილოსოფოსებს, რომელის აზრითაც, თუ მწერალს სურდა გამოეხატა თეორიების ცუდი გავლენა ადამიანზე, მაშინ მას გრელუ ბუნებით გარყვნილ და სულით ავადმყოფ ახალგაზრდად კი არ უნდა გამოეყვანა, არამედ ისეთად, რომლის ზნეობრივად დაცემის მიზეზი მხოლოდ აზრი იქნებოდა.

ჩვენს მკვლევარს ფრანგი მეცნიერის ასეთი შეხედულება უსა-

---

[1] კიტა აბაშიძე, ახალი მიმართულება საფრანგეთის ლიტერატურაში. პოლ ბურჟე, „მნბ". 1894 წ., № 9, გვ. 30.

[2] იქვე.

ფუძვლოდ მიაჩნია და თავის მხრივ დასძენს: „რომანი მათემატიკა არ არის. რომანს უნდა ჰქონდეს კავშირი ცხოვრებასთან, უნდა სინამდვილეს გვიჩვენებდეს, ამიტომაც ბურჟემ მშვენიერი ნიადაგი მოსძებნა ამ აზრების ნაყოფის გამოსაღებად და დიდებულადაც მიაღწია თავის განზრახვას. ჩვენთვის საკმარისია, რომ გრელუს გარყვნის ერთ-ერთ მიზეზად ეს აზრები იყვნენ, ესეც დიდი დანაშაულია“[1].

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ ფაქტს, რომ პოლ ბურჟეს მხატვრული შემოქმედებით გატაცებული ჩვენი ნიჭიერი კრიტიკოსი აკარებს, როცა ბურჟეს ამ რომანს მრავალი გამოჩენილი მწერლის ნაწარმოებებზე მაღლა აყენებს. კიტამ „მოწაფე“ შეადარა ბალზაკის „აბსოლუტის ძიებას“, სტენდალის „წითელსა და შავს“, დოსტოევსკის „დანაშაულსა და სასჯელს“, ფეიეს „სიკვდილს“, სენ კევიჩის „უდოგმატოს“ და გამოიტანა დასკვნა, რომ ბურჟეს რომანი „მოწაფე“ ყველა ამ ნაწარმოებზე მაღლა დგას როგორც აზრით, ისე მხატვრულობის მხრით.

აღსანიშნავია, რომ კიტა აბაშიძეს გამჭრიახ გონებას მხედველობიდან არ რჩება პოლ ბურჟეს თეოლოგიური მრწამსი. ის აღნიშნავს, რომ სიქსტისა და გრელუსათვის არ არსებობს ღმერთი, მაგრამ თავიანთი ტრაგიკული მდგომარეობის უმაღლეს საფეხურზე ისინი გრძნობენ ღვთის საჭიროებას, ლოცვის საჭიროებას. „თუ კი არ სუფევდეს ეს ზეციური მამა, განა მოგვწყურდებოდა ამ წუთში მასთან მიმართვა? ასეთ სიტყვებს ვკითხულობთ რომანის ბოლოს. ბურჟეს სხვა რომანებიც, მაგალითად, „ნეტარი ქვეყანა“ და „კოსმოპოლიტები“ უკვე გამოცხადებული აღსარებაა სარწმუნოებისა, მაგრამ სამწუხაროა, რომ ჩვენი მკვლევარი არ ჩერდება ამ საკითხის განხილვაზე.

კიტა აბაშიძე პირდაპირ წერს: „ჩვენ არ შევუდგებით, თუ რამდენად მართალია ბურჟე თავის თეოლოგიურ ფილოსოფიაში, რამდენად აქვს საფუძველი, რომ მორალს ამყარებს სარწმუნოებაზე. ჩვენ ის გვაინტერესებს მხოლოდ, როგორც მორალისტს, რაზე უნდა იყოს მორალი დამყარებული. ყოველი მორალისტის ვალდებულებაა, კეთილი გვიქადაგოს და ბოროტი შეგვაძაგოს. თუ მთელს თავის თხზულებაში ამას ცდილობს ბურჟე, მეტი ჩვენ არ გვინდა-რა“[2].

ჩვენი აზრით, კიტას შეეძლო და კიდევაც უნდა ჩასწვდომოდა ამ აზრს, რადგან სწორედ ეს რელიგიური საფუძველი, ეს თეოლო-

---

[1] კიტა აბაშიძე, ახალი მიმართულება საფრანგეთის ლიტერატურაში. პოლ ბურჟე, „მმბ“, 1894 წ., № 9, გვ. 30.

[2] იქვე, გვ. 31.

კიერი ცრურწმენანი ბურჟუს მსოფლმხედველობისა, წარმოადგენენ მისი დეტერმინიზმისა და ფატალიზმის განმსაზღვრელ ფაქტორებს.

ყოველივე ამის დასამტკიცებლად ჩვენ მოვიტანთ კიდევ პოლ ბურჟეს ორ საინტერესო ნაწარმოებს: „საშობაო მოთხრობას" და „აღსარებას". „საშობაო მოთხრობის"[1] მოკლე შინაარსი ასათია: შობის ღამეა. გარეთ ცივა. გრაფ ეისევის სახლში სამარისებური სიჩუმეა. კარგა ხანი გაუდა მას შემდეგ, რაც მისი ახალგაზრდა მეუღლე ალისა ცხენიდან გადმოვარდა და გარდაიცვალა.. მას დარჩა სამი შვილი: თერთმეტი წლის პიერი, ცხრა წლის ანშანი და რვა წლის ქალიშვილ სიმონა.

ბავშვები ძლიერ განიცდიან ობლობას, უფრო მეტად კი უმცროსი სიმონა, რომელსაც ჰგონია, თითქოს დედამისი ზეცას გაფრინდა და მალე დაბრუნდება. ამ შობის დღეს განსაკუთრებით მოწყენილია პატარა სიმონა. წინათ ის გრაფს ძალიან უყვარდა, დედის სიკვდილის შემდეგ კი აღარ. ბავშვი საგონებელშია ჩავარდნილი. რა მოხდა? ეკითხება ის თავის თავს და პასუხს ვერ პოულობს. მამა რომ მოვიდოდა ხოლმე სახლში, მიუალერსებდა და გადაჰკოცნიდა ვაჟიშვილებს, სიმონას კი არა.

თანდათანობით ძმებმაც გულგრილად დაუწყეს ყურება სიმონას. ის ყველაფრიდან გამოთიშეს. ბავშვს თავის თავი უცხო ადამიანებში ჰგონია და იტანჯება.

ამ შობის ღამეს მას, ერთადერთს, არ სძინავს, რადგან ჰგონია, იესო ქრისტე ჩამოვა ზეციდან, და ელოდება. გარედან ისმის ქარის ზუზუნი. სიმონამ დაწერა წერილი — „დედაჩემს ზეცაში", რომელიც უნდა გაატანოს იესო ქრისტეს. პატარა სიმონამ ღამით ეს ბარათი გაიტანა სასტუმრო ოთახში და დადო ბუხრის გვერდით.

როცა გრაფმა ცოლი დამარხა და ღამით მის ოთახში შევიდა. გამოსწია უჯრა და წაუწყდა წერილების მთელ გროვას. მან გაიგო, რომ ალისას და მის მეგობარს მარკიზ ედის ერთმანეთი ჰყვარებიათ. შეიტყო ცოლის მხრით ღალატი და რაც უველაფერზე საზარელია — სიმონას დაბადების საიდუმლოებით მოცული ამბავი. გრაფმა გაიგო, რომ სიმონა, რომელიც მას უველას ერჩია, მისი შვილი არ იყო. ვაჟებს ეტყობოდათ, რომ ისინი გრაფის შვილები იყვნენ, სიმონას კი არა. ის მთლად დედას ჰგავდა და არაფერი ემჩნეოდა გრაფის. ალისამ შვიდი წელიწადი ატყუა ქმარი. გაგიუებამდე მისულმა ქმარმა თავი შეიკავა. იმით დაკმაყოფილდა, რომ მეგობარი ედი ჩამოიცილა, ბავშვებს არაფერი აგრძნობინა.

---

[1] ქართული თარგმანი ეკუთვნის გ. გრძელიშვილს, დაიბეჭდა 1891 წ., „ივერიაში", № 175.

ამ შობის ღამეს არც მას ეძინა. წარსულზე ფიქრობდა. მოიგონა, როგორ შეიცრუა ალისა, როგორ უყვარდა ის, როგორ დაიღუპა მის თვალწინ, ერთი წლის წინათ ის და მისი ცოლი. როგორ ამ ზადებდნენ საჩუქრებს ბავშვებისათვის, ახლა კი ის აღარაა, საყვარელი ცოლი, მაგრამ მოღალატე.

გრაფმა მოიწმინდა თვალებიდან ცრემლი, ტირილი სულმდაბლობად მიიჩნია, მოაელო ხელი სიმონას სათამაშოებს და წაიღო სასტუმრო ოთახისაკენ. ბუხრის გვერდით კუთხეში მან შეამჩნია ბარათი, აიღო, გაბსნა და წაიკითხა. „იგ ეწერა: „ჩემო საყვარელო დედიკო! გწერ ამ წერილს იმისათვის, რომ ჩემი ნაწერიც გაჩვენო. სასტუმრო ოთახში აღარ შევდივარ, აღარაფერი მართობს, არმანს თმა შეკრიპეს, მე შავი კაბა მაცვია, პიერი გრძელი შარვლით დადის ხოლმე და მაბრაზებს. როცა ვტირი, არმანი მომეფერება ხოლმე. აღმზრდელი ქალი მეუბნება, რომ შენ ზეცაში ხარ და კარგად ცხოვრობ. მეც წამიყვანე მანდ, ჰკვირად მოვიქცევი. დედა, მამას შემოუთვალე, რომ ისევ შემიყვაროს, როგორც შენს დროს ვუყვარდი. პიერი და არმანი სულ მამასთან არიან, მე კი — აღმზრდელთან, ვითომდა იმისათვის, რომ არ ვიცელქო. მამას ვერ ვუყურებ. მისი თვალების მეშინია. გარწმუნებ, დედიკო, რომ ცუდს არაფერს ვშვები. მოვა ხოლმე მამა, ეალერსება და ჰკოცნის პიერსა და არმანს, მე კი სულ მიტოვებული ვარ, არ მეკარება, მე ვტირი ხოლმე, რომ მალე დამეძინოს. მამას აღარ ვუყვარვარ, მინდა მოვკვდე. გეხვევი და გკოცნი". ბოლოს ეწერა: „შენი სიმონა, რომელსაც ძლიერ უყვარხარ".

გრაფი დაბრუნდა თავის ოთახში და კვლავ ფიქრებს მიეცა, დარწმუნდა, რომ ბავშვს საშინელი სულიერი ტრავმა აწუხებდა და შეეცოდა ის. ეს სიმონაც ხომ მისი ცოლის იყო, იმ ცოლის, რომელიც მას ასე ძლიერ უყვარდა. წამოვარდა ზეზე. შევიდა სიმონას ოთახში და თავზე დაადგა მძინარე ბავშვს. როცა სიმონამ გაიღვიძა, თავი კვლავ სიზმარში ეგონა. მამამ მიუალერსა და გადაკოცნა. ამიერიდან გრაფს სიმონა ძალიან შეუყვარდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მისი ნამდვილი მამა თავიდან მოიშორა. ეს მოხდა ასე: ერთხელ, როცა გრაფმა ელისეს მინდვრებზე დაინახა, თუ როგორ აკოცა და მიუალერსა ედიმ სიმონას, მან იგი დუელში გამოიწვია და მოკლა.

„აღსარებაში"[1] გადმოცემულია ახალგაზრდა ფეხმძიმე ქალის ჯულიეტას თავზე დატრიალებული უბედურება. ერთ დღეს, საღა-

---

[1] ქართული თარგმანი ეკუთვნის ი. გამრეკელს, დაიბეჭდა 1892 წ., „იეერიაში", № 65.

მოს, როცა აბატი რენო ეკლესიიდამ გამოსვლას აპირებდა, მასთან მივიდა ჯულიეტა, დაუჩოქა და შეევედრა, წინაწარ ეპატიებია მისთვის დანაშაული, რომელიც მან მალე უნდა ჩაიდინოს. ქალმა არ გაამხილა საიდუმლო, არ გაამხილა, თუ რა დანაშაული უნდა ჩაედინა, მაგრამ მღვდელი რენო მიხვდა ყოველივეს და ქალს უთხრა სანამ მას დაახრჩობდეთ, მანამ ძუძუ აწოვეთო. ქალი გაოცებული დარჩა ხუცესის ასეთი გამჭრიახობით: ის შინ დაბრუნდა. რა მოხდა?

ჯულიეტამ წარმატებით დაამთავრა სასწავლებელი. შემდეგ პარიზში ერთ მდიდარ ოჯახში მოეწყო ბავშვების აღმზრდელად. მან იქ გაიცნო და შეიყვარა ამ ოჯახის ახლობელი ბარონ დე კერნი. რომლისგანაც ის ფეხმძიმე შეიქმნა. დე კერნიმ უსირცხვილოდ მიატოვა ჯულიეტა ბედისამარად. ქალი იმდენად ამაყი იყო, რომ არაფერი უთქვამს დე კერნისათვის. ის ერთხელაც კი აღარ მისულა ამ უსულგულო კაცთან.

ეკლესიიდან შინ დაბრუნებულმა ჯულიეტამ გადაწყვიტა შეესრულებინა ჩანაფიქრი ცალკე ოთახში, შემდეგ ბავშვის სხეულ რკინიგზაზე დაეგდო, განთავისუფლებულიყო და დაეწყო ხელახალი ცხოვრება. ჯულიეტა საშინელმა ტკივილებმა შეაწუხა. მოახლოვდა მშობიარობის ჟამი. მის თვალწინ გაიელვა წარსულის სურათებმა, ახალგაზრდობამ, მშობლების სიღარიბემ, სწავლამ, დიპლომმა. გაიხსენა, თუ როგორ ხარობდა მისი მამა, რომ შვილი მასწავლებელი უნდა გამხდარიყო. მოაგონდა სახლი, სადაც ბარონ დე კერნი გაიცნო, რომელმაც უკუღმა დაატრიალა მისი ცხოვრების ჩარხი. ამ მწარე განცდებისას ჯულიეტას ქალიშვილი შეეძინა, იგი დამშვიდდა, გონს მოვიდა და შეასრულა აბატი რენოს რჩევა. ბავშვი გულში ჩაიკრა და ძუძუ აწოვა, თვალზე ცრემლი მოადგა, მტირალი იმეორებდა სიტყვებს: შვილო, ჩემო საყვარელო შვილო. დედამ კი აღარ მოიცილა შვილი, არამედ ჩაიხუტა და ალერსი დაუწყო.

როგორც ვხედავთ, პატარა მოთხრობებშიც კი, პოლ ბურჟე იმავე თვალსაზრისს ატარებს, რასაც დიდ რომანებში. ეს თვალსაზრისია — სარწმუნოების ყოვლისშემძლეობა და ბედისწერის გარდუვალობა.

ჩვენ გზადაგზა აღვნიშნეთ კიტა აბაშიძის ცალკეული შეცდომები და გამოვთქვით ჩვენი აზრი მათზე, მაგრამ ძირითადი და მთავარი ეს კი არ არის, არამედ ის, რომ კიტა აბაშიძე პოლ ბურჟეს შემოქმედების ობიექტურ, ძირითადად სწორ მეცნიერულ შეფასებას იძლევა. ის სწორად ახასიათებს მეორე იმპერიის დროინდელ საფრანგეთის ეკონომიურ, პოლიტიკურ; კულტურულ ცხოვრებას და გამოაქვს სათანადო დასკვნები. კიტამ მოგვცა ამავე დროს იშ-

ციათი მხატვრული ანალიზი პოლ ბურჟეს მთავარი ნაწარმოებებისა.

დღესაც ახლებურად გაისმის კიტა აბაშიძის ღრმააზროვანი სიტყვები: „მეცნიერება მაშინ არის კარგი, მაშინ არის სანატრელი, თუ იგი ემსახურება კაცობრიობას, თუ იგი ეხმარება და შველია მისი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, თორემ მეცნიერება მეცნიერებისათვის, ხელოვნება-ხელოვნებისათვის, ეს სწორედ უაზრო რამ არის"[1] (ხაზგასმა ჩვენია — დ. ფ.).

კიტა აბაშიძის მართებული აზრით, დიდი მოაზროვნე, მეცნიერი, მწერალი ყოველთვის ცხოვრობს თავისი ეპოქის ინტერესებით, თავისი ხალხის ინტერესებით. „მწერლის ინდივიდუალური თვისებანი და მისი სამშობლოსა და დროის ზედ-გავლენა ყოველთვის თავისებურს ბეჭედს სვამს მის ნაწარმოებებზე".[2].

მეცნიერებისა და ხალხის ურთიერთობის საკითხს კიტამ მიუძღვნა ვრცელი წერილი, რომელშიც ის ბევრ საინტერესო აზრს გამოთქვამს და კვლავ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ადამიანის ცხოვრების მთავარი მიზანია ემსახუროს ხალხს, სიტყვით და საქმით განამტკიცოს ხალხთა შორის ძმობა და ერთობა"[3].

---

[1] კიტა აბაშიძე. ახალი მიმართულება საფრანგეთის ლიტერატურაში, პოლ ბურჟე, „მმბ". 1894 წ., № 9. გვ. 32.

[2] „ივერია", 1895 წ., № 150.

[3] კიტა აბაშიძე. Henri Bérenger. L'aristocratie intellectuelle. „ივერია", 1895 წ., № 183

ანრი ბარბიუსი

(1873—1935)

საბჭოთა თანამემამულენო, პატიოსანო განთავისუფლებულო ხალხო, თქვენ დიდი ხალხი ხართ, მომავალში უველაზე უფრო დიდი იქნებით.

ანრი ბარბიუსი

საზღვარგარეთელი მწერლებიდან ანრი ბარბიუსი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელიც აღფრთოვანებით გამოეხმაურა დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას. უველგან გაიხმოდა ანრი ბარბიუსის ხმა — დაიცავით „წმინდათაწმინდა თავისუფლება", „რუსეთის რევოლუცია". ბარბიუსი გაბედულად გამოდიოდა საბჭოთა სამშობლოს დასაცავად. ის ყოველთვის თავდადებით იცავდა საბჭოთა ქვეყანას, რომელმაც ალმართა მშრომელი კაცობრიობის განმათავისუფლებელი ძლევამოსილი წითელი დროშა.

ანრი ბარბიუსი ახალი ტიპის რევოლუციონერი მწერალია დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში. მისი დიადი შემოქმედება ფრანგულ ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმის წარმოშობასა განვითარებაზე მიუთითებს.

ანრი ბარბიუსი დაიბადა 1873 წლის 17 მაისს ქ. ანიერში ჟურნალისტის ოჯახში. 1887 წელს ბარბიუსი შევიდა პარიზის კოლეჯში, რომელიც მან წარჩინებით დაამთავრა, ამის შემდეგ სწავლა განაგრძო სორბონის უნივერსიტეტში ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. ბარბიუსი აქაც დიდ სიბეჯითეს იჩენდა სწავლაში, განსაკუთრებით იტაცებდა მას ლიტერატურა და ფილოსოფია. 1894 წელს ბარბიუსმა დაამთავრა უნივერსიტეტი, დაიცვა ფილოსოფიის მაგისტრის ხარისხი. 1895 წელს მან გამოსცა თავისი ლექსების კრებული „მოტირალნი". ამ ლექსებში აშკარად ჩანს დეკადენტური მოტივები, ასევე იგრძნობა, რომ ბარბიუსი ცდილობს დაძლიოს დეკადენტური განწყობილებანი, დაუახლოვდეს მშრომელ მასებს და იქცეს მათ მომღერლად.

900-ანი წლების სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები გარკვეულ გავლენას ახდენენ ანრი ბარბიუსის შემოქმედებაზე. 1903

წელს ის აქვეყნებს თავის პირველ რომანს „მაევდრებელნი“, რომელშიც მწერალი რელიგიის წინააღმდეგ ილაშქრებს, ხოლო 1903 წელს მეორე რომანს — „ჯოჯოხეთი“, რომელსაც ეტყობა ნატურალიზმის გავლენა; საერთოდ ამ ნაწარმოების იდეურ-შემეცნებითი ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ მასში ბარბიუსმა სცადა ეჩვენებინა ბურჟუაზიული წყობილება, როგორც სოციალური ჯოჯოხეთი.

• • •

პირველი მსოფლიო ომის დაწყების ტრაგიკულ დღეებში საფრანგეთის დედაქალაქ პარიზის სამხედრო კომისარიატში მივიდა მაღალი, გამხდარი, მხრებში მოხრილი კაცი და თავისი სათუთი ხელით დაწესებულების მოხელეს წარუდგინა საბუთები და შეავსებინა ანკეტა. ის საექიმო კომისიის დასკვნით განთავისუფლებული იყო სამხედრო სამსახურიდან, მაგრამ მაინც დაბეჯითებით მოითხოვდა მოქმედ არმიაში წასვლას მოხალისედ და წავიდა კიდეც. ეს კაცი იყო ორმოცდაერთი წლის ანრი ბარბიუსი, მომავალი დიდი ფრანგი მწერალი.

ჯარში წასვლის წინ ანრი ბარბიუსი გაზეთ „ლუმანიტეს“ რედაქტორს სწერდა: „მივდივარ ომში მოხალისედ, უბრალო ფეხოსნად. მივდივარ იმიტომ კი არა, რომ უარი ვთქვა იდეებზე, რომლებსაც მუდამ უანგაროდ ვიცავდი. არა, ვიღებ იარაღს და ვეფიქრობ ვემსახურო ამ იდეებს. ეს სოციალური ომია. ის შეიძლება გადამწყვეტი ნაბიჯი იყოს ჩვენი საერთო საქმის განხორციელების გზაზე....

თუ მე მსხვერპლად მიმაქვს ჩემი სიცოცხლე და სიხარულით მივდივარ ბრძოლაში, ეს არა იმდენად, როგორც ფრანგი, რამდენადაც როგორც ადამიანი“.

ომმა გარდაქმნა ბარბიუსი. ომის ცეცხლში მან იგრძნო, დაინახა და გაიგო, რომ ბურჟუაზიული წყობილება ომების გაჩაღების წყაროა, რომ იმპერიალიზმის დროს შექმნილ წინააღმდეგობებიდან გამოსავალი მხოლოდ სოციალისტურ რევოლუციაშია, რომ ერთადერთი პოლიტიკური დოქტრინა ეს სოციალიზმია. ამ მხრივ აღსანიშნავია ბარბიუსის „წერილები ფრონტიდან“, რომლებშიც უკვე მოსჩანს მომავლის დიდი მხატვარი რეალისტი.

ომის წლებში ბარბიუსი ჩამოყალიბდა როგორც სრულიად ახალი ტიპის მწერალი საზღვარგარეთულ ლიტერატურაში. ბარბიუსი ლექსთა კრებულის „მოტირალნის“, რომანების „მაევდრებელნის“ და „ჯოჯოხეთის“ ავტორი მტკიცედ დაადგა რევოლუციის გზას, კაპიტალიზმის უღლისაგან მუშათა კლასის განთავისუფლების გზას და შექმნა დიადი წიგნები „ცეცხლი“ და „სიცხადე“, რომელ-

თაც დადებითად გამოეხმაურა ვ. ი. ლენინი. „მასებში რევოლუციური შეგნების ზრდის ყველგან შემჩნეული მასობრივი მოვლენის ერთ-ერთ განსაკუთრებით თვალსაჩინო დადასტურებაა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — შეიძლება მივიჩნიოთ ანრი ბარბიუსის რომანები „ცეცხლი“ და „სიცხადე“ — უბრალო ადამიანის რევოლუციონერად გადაქცევა სწორედ ომის გავლენით ნაჩვენებია არაჩვეულებრივი სიძლიერით, ნიჭიერად და მართლად“.

მაქსიმ გორკი აღნიშნავდა, რომ ანრი ბარბიუსმა „ყველაზე ღრმად, ვინემ სხვა რომელიმემ მანამდე, ჩაიხედა ომის არსში და ახალი სახარების მაუწყებელი ტონით აჩვენა ხალხებს მათი საოცარი გზააბნეულობა. მისი წიგნის ყოველი ფურცელი რკინის უროსავით ურტყამს სიცრუის, პირმოთნეობის, სისასტიკის, ტალახისა და სისხლის იმ მასას, რომელსაც ომი ეწოდება“.

მაღალმა მოქალაქეობრივმა სინდისმა, სიმართლის ერთგულებამ, ანრი ბარბიუსს ათქმევინა შემდეგი სიტყვები: „ომს აწარმოებს ოცდაათი მილიონი მონა, მაგრამ მომავალი მათ ხელშია, შოვინიზმი ჩრჩილია; უნდა მოვკლათ ომი“.

აღსანიშნავია, რომ ანრი ბარბიუსის წიგნს „ცეცხლი“ გონკურების პრემია მიენიჭა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ანრი ბარბიუსი კიდევ უფრო გაიზარდა, როგორც საზოგადო მოღვაწე და მწერალი. მან შექმნა რევოლუციური პუბლიცისტიკის ნიმუშები: „მებრძოლის სიტყვები“, „სინათლე უფსკრულში“, „დანით კბილებში“ და რომანი „რგოლები“. 1923 წელს ბარბიუსი საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წევრი გახდა. ერთ-ერთმა პირველმა დასავლეთ ევროპაში ხმა აღიმაღლა ფაშისტური ტერორის წინააღმდეგ. ამას მიუძღვნა მან თავისი წიგნი „ჯალათები“.

ანრი ბარბიუსი დაუნდობლად ამხელდა იმპერიალისტურ წრეებს, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებას აპირებდნენ ბარბიუსი იყო ინიციატორი 1932 წელს ომის საწინააღმდეგო კონგრესისა.ამსტერდამში, 1933 წელს ანტიფაშისტური კონგრესისა პარიზში, 1935 წელს კულტურის დაცვის მსოფლიო კონგრესისა პარიზში. ამ კონგრესს, როგორც დელეგატი ესწრებოდა საქართველოს სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე. იგი იჯდა პრეზიდიუმში ანრი ბარბიუსის გვერდით. თბილისში დაბრუნებისას გამოაქვეყნა ლექსების ციკლი, რომელშიც დიდი ადგილი აქვს დათმობილი ანრი ბარბიუსის პიროვნებას. აღნიშნულმა კონგრესმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. რომენ როლანი ამბობდა: „ქვეყნის რომელ კუთხეშიც გამოჩნდებოდა ბარბიუსი მოსიარულე რაინდის მსგავსად. ყველგან „ჯვა-

როსნულ ომს“ აჩაღებდა სოციალური უსამართლობისა და იმპერიალისტური ყაჩაღობის წინააღმდეგ“.

საზღვარგარეთელი მწერლებიდან ანრი ბარბიუსი ერთ-ერთი პირველი სულ იმისაკენ მიისწრაფოდა, რომ გაეერთიანებია მსოფლიოს პროგრესული ინტელიგენციის ახალ-ახალი ძალები იმპერიალისტური რეაქციის წინააღმდეგ საბრძოლველად. მან ჩამოაყალიბა მწერალთა საერთაშორისო ჯგუფი, რომელსაც ეწოდა „კლარტე“. მასში გაერთიანებული იყვნენ მსოფლიოს პროგრესული მწერლები. ამ ჯგუფმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

ანრი ბარბიუსი იყო მწერალი—ჰუმანისტი, მწერალი—რევოლუციონერი, მგზნებარე პატრიოტი, გულწრფელი ინტერნაციონალისტი.

რომენ როლანი ანრი ბარბიუსს „რევოლუციის პრომეთეს“ უწოდებდა, და მართლაც, ასეთი იყო იგი თავისი დაუცხრომელი ბუნებით, თავისი თავდადებული ბრძოლით ფაშიზმის წინააღმდეგ. მან არ იცოდა უკან დახევა, მერყეობა და შიში, მშრომელი მასების მტრებს პირდაპირ ეკვეთებოდა ხოლმე თავისი სიტყვითაც და საქმითაც. ამის ერთ-ერთ საუცხოო ნიმუშს წარმოადგენს ბრწყინვალედ დაწერილი პამფლეტი „მე ბრალს ვდებ“. მშვიდობისათვის ბრძოლა ბარბიუსისათვის განუყოფლად იყო დაკავშირებული საბჭოთა კავშირის დაცვასთან, საბჭოთა კავშირი, დიდ ფრანგ მწერალს, საესებით სამართლიანად მიაჩნდა მსოფლიო მშვიდობის ბურჯად, მის მედროშედ. წერილში „მოვალეობის ნათელი გაგებისათვის“ ბარბიუსი წერდა: „საბჭოთა კავშირი თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე თანმიმდევრულად და მოფიქრებულ მუშაობას ეწეოდა მშვიდობისათვის. მის საგარეო პოლიტიკაში არ იყო არც ერთი ფაქტი, რომელიც მშვიდობის საწინააღმდეგოდ ყოფილიყოს მიმართული“ (ხაზგასმა ჩვენია, დ. ფ.).

ანრი ბარბიუსს სწამდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარი, მას აღაფრთოვანებდა საბჭოთა კავშირის დიადი წარმატებანი, საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტის სწრაფი ზრდა, ის იყო ჩვენი სოციალისტური სამშობლოს, საბჭოთა ხალხის ნამდვილი მეგობარი, მისი ინტერესებისათვის თავდადებულ მებრძოლი. ანრი ბარბიუსი საბჭოთა კავშირს თავის მეორე სამშობლოდ თვლიდა. ის ამბობდა: „როცა აქ, მოსკოვში ჩამოვდივარ, უშუალოდ განვიცდი ყოველ ნივთს, ყოველ ფაქტს, რათა შემდეგ შინ,

ჩემს ქვეყანაში რომ დავბრუნდები, სრულიად კონკრეტული ფაქტებით მოვუთხრო იქაურებს, თუ როგორ მძლავრად იზრდება საბჭოთა კავშირი" (ხაზგასმა ჩვენია, დ. ფ.).

დიდი ფრანგი რევოლუციონერი მწერალი ანრი ბარბიუსი რამდენჯერმე იყო საბჭოთა კავშირში. ის აქ პირველად ჩამოვიდა 1927 წელს. მას ახარებდა საბჭოთა კავშირში სოციალიზმის წინსვლა და გამარჯვება, შრომის ნაყოფიერების ზრდა, გმირი საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომა, წითელი არმიის ძლევამოსილება, საბჭოთა კულტურის უმაგალითო აყვავება. ყოველივე ამას მოჰყვა მისი მშვენიერი წიგნები „აი რა უყვეს საქართველოს", „რუსეთი", „სტალინი".

ანრი ბარბიუსისათვის მოსკოვი გახდა მშობლიური ქალაქი. ის ამბობდა: „მოსკოვის ნიშანდობლივობა ისაა, რომ იგი მსოფლიო ისტორიაში უმაგალითო რყევის ძრავია და აკუანია იმ ახალი ქვეყნიერებისა, რომელიც თვით დედამიწის წიაღიდანაა შობილი ბრძოლის კანონების ძალით".

ანრი ბარბიუსი თავის მდიდარ და ნაყოფიერ მოღვაწეობაში ხელმძღვანელობდა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით. მას უნდოდა დაეწერა წიგნი ლენინზე, დაიწყო კიდევაც, მაგრამ სიკვდილმა ხელი შეუშალა განეხორციელებინა ეს კეთილშობილური ჩანაფიქრი. რისი დაწერაც მოასწრო, იქიდანაც ნათლად ჩანს მისი გატაცება დიდი ლენინის პიროვნებით, რომელიც ბარბიუსის სიტყვებით რომ ვთქვათ: იყო „უდიდესი და ყოველმხრივ უსპეტაკესი შეძოქმედთაგანი ისტორიისა, ადამიანი რომელზე მეტიც არავის გაუკეთებია ადამიანისათვის".

ანრი ბარბიუსი მჭიდროდ იყო დაკავშირებული სოციალისტური ლიტერატურის ფუძემდებელთან მაქსიმ გორკისთან. ის დიდად დავალებულად თვლიდა თავს მაქსიმ გორკისაგან და უწოდებდა მას თავის მასწავლებელს. ბარბიუსის ღრმა რწმენით მსოფლიოს ყველა მოწინავე მწერალმა უნდა მიბაძოს მაქსიმ გორკის, უნდა იაროს მისი გზით.

ანრი ბარბიუსი საბჭოთა კავშირში პირველი ჩამოსვლისთანავე დაინტერესდა საქართველოს ნახვით, ქართველი ხალხის გაცნობით. ეს ფაქტი ფრიად მნიშვნელოვანი და სერიოზულია, არა მხოლოდ დიდი ფრანგი მწერლის შემოქმედებით ბიოგრაფიაში, არამედ ქართველი ხალხის ცხოვრების ისტორიაშიც. ანრი ბარბიუსმა ამიერკავკასიის რესპუბლიკები: საქართველო, სომხეთი და აზერბაი-

ჯანი ინახულა 1927 წლის შემოდგომაზე. მან საქართველოში დაჰყო ათი დღე, ერევანში — ოთხი, ხოლო ბაქოში — ორი დღე.

სტუმართმოყვარე მოძმე რესპუბლიკების ხალხები გულთბილად შეხვდნენ გამოჩენილ ფრანგ მწერალს.

სწრაფად გავრცელდა ხმა, ანრი ბარბიუსი საქართველოში მოდისო. გამომგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე ანრი ბარბიუსმა მოსკოვიდან ასეთი შინაარსის დეპეშა გამოუგზავნა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას:

„იმის მოლოდინში, რომ მომეცემა ამის რეალური შესაძლებლობა, მე აქედანვე ხელს ვუწვდი ამხანაგ რედაქტორებს და მკითხველებს ქართული „კომუნისტისას“, რომელიც ემსახურება დიად საქმეს ლამაზ ქვეყანაში“.

„კომუნისტმა“ გამოაქვეყნა თავისი მოსკოველი კორესპონდენტის ცნობა: „ანრი ბარბიუსის საქართველოში გამომგზავრების წინ“, რომელშიც ვკითხულობთ ბარბიუსის სიტყვებს:

„საქართველოს ნახვით ფრიად დაინტერესებული ვარ. პირველ ყოვლისა მაინტერესებს თქვენი ქვეყნის ნახვა, იქ მომუშავე ამხანაგების და აგრეთვე მუშაობის გაცნობა; მაინტერესებს აგრეთვე საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების გაცნობა და იმის გაგება, თუ რა მდგომარეობაშია თქვენი ლიტერატურა, მხატვრობა და საერთოდ ხელოვნება. მიზიდავს თქვენი ლამაზი ბუნება, რომელზეც ბევრი მსმენია“.

ექვს ოქტომბერს ქ. კავკავში (ორჯონიკიძეში) ანრი ბარბიუსს შეხვდა ქართველი მწერლების დელეგაცია. „კომუნისტის“ სპეციალურ კორესპონდენტს ანრი ბარბიუსმა განუცხადა:

„მე ჩამოვდივარ საბჭოთა კავშირში არა როგორც ტურისტი და ბურჟუაზიული პრესის ჟურნალისტი, არამედ როგორც კომუნისტი, რევოლუციისა და პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს მეგობარი. მე მსურს ფაქტიურად, ადგილობრივ გაეცნო საქმის ვითარებას, რომ კონკრეტული მასალების მიხედვით უფრო ავტორიტეტულად გამოვთქვა აზრი ამ საკითხის გარშემო“.

დელეგაციის თანხლებით ანრი ბარბიუსი იმავე დღეს ჩამოვიდა ფასანაურში, სადაც ღამე გაათია, მეორე დღეს კი ჩამოვიდა თბილისში. ქართველი ხალხი ყველგან გულღიად, ვარდ-ყვავილებით ხვდებოდა ძვირფას სტუმარს.

ანრი ბარბიუსის თბილისში ჩამოსვლისთანავე მწერალთა კავშირში გაიმართა დიდი საზეიმო სხდომა. გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა მიხეილ ჯავახიშვილმა თავის სიტყვაში აღნიშნა:

„უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ჩვენმა სამშობლომ მრავალი ხელობის უცხოელები ნახა: მეომრები, დიპლომატები,

პოლიტიკოსები, მეცნიერები, მოგზაურები. დღეს კი ქართველი მწერლები პირველად ხვდებიან თავიანთ სახლში თავის შორეულ მოძმეს, მთელ ქვეყანაში ცნობილ ლიტერატორს. მაგრამ აქამდე ჩვენ მხოლოდ ფიზიკურად ვიყავით ერთმანეთს დაშორებულნი, ხოლო სულიერად ჩვენ ხშირად გადმოგვცილახავს მანძილი და შემოვსულვართ თქვენს გონებრივ სამყაროში, რადგან ასეთია სიტყვის ძალა: მისთვის არ არსებობს არც მანძილი, არც დრო და არც კედელი. ახლა თქვენ ფიზიკური მანძილიც გადმოლახეთ და შორეულ საქართველოში შემოიხედეთ.

...იმ ადამიანთა სიაში, რომლებმაც ხმა აღიმაღლეს პირველი მსოფლიო ომის წინააღმდეგ, თქვენი სახელიც წერია. დანარჩენს რომ თავი დავანებოთ, თქვენი რომანი „ცეცხლი“ ისეთი დოკუმენტია, რომ ის ცეცხლითაც კი ვერ ამოიწვის ლიტერატურის ისტორიიდან.

კეთილი იყოს თქვენი ჩამოსვლა, ჩვენი გაცნობა და დაახლოება. ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენი პირადი შეხვედრა განამტკიცებს ჩვენ სულიერ ნათესაობას და მომავალშიც გამოგვადგება იმ დიადი საქმისათვის, რომელსაც კაცობრიობის საუკეთესო ნაწილი ემსახურება“.

ბარბიუსმა დიდი ყურადღებითა და ინტერესით მოისმინა ქართველ მწერალთა გულთბილი და შინაარსიანი სიტყვები. საპასუხო სიტყვაში მან თქვა:

„მე არ შემიძლია იმ აღტაცების გამოთქმა, რომელიც ჩემში გამოიწვია თქვენმა თბილმა შეხვედრამ. მე ბევრი გამიგონია თქვენს სტუმართმოყვარეობაზე, ღია ხასიათზე, მაგრამ სინამდვილემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ნება მომეცით გულითადი მადლობა გადაგიხადოთ ასეთი შეხვედრისათვის.

ჩემი აქ ჩამოსვლის მიზანია გაცნობა საქართველოს მდგომარეობისა, ამ მიზანს ჩემი მოგზაურობის ამოცანებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მე მაინტერესებს მისი როგორც პოლიტიკურ-ეკონომიური, ისე კულტურული ცხოვრება.

მე მაინტერესებს თქვენი ლიტერატურა.

მწვამს სოციალური გარდაქმნები საფრანგეთში, მომავალი რევოლუცია გამოიწვევს ხელოვნებისა და ლიტერატურის გადახალისებას და აყვავებას, მის შინაარსეულ გამდიდრებას. საჭიროა გამსკვალვა, გადატანა საფრანგეთის ლიტერატურაში რუსეთის რევოლუციის ცეცხლისა. ეს დუღაბი იქნება ამ ორი ხალხის შესაერთებლად. ერთხელ კიდევ მადლობას გიძღვნით მეგობრული შეხვედრისათვის“.

ფრანგი მწერალი შეხვდა ქართველ მხატვრებს, იყო თბილისის

ფაბრიკა-ქარხნებში, ესაუბრა მუშებს. ქალაქის ღირსშესანიშნაობების დათვალიერების დროს მოხდა საინტერესო რამ: ძველი თბილისის ერთ-ერთ უბანში გაივლისას ანრი ბარბიუსთან მივიდა ხელოსანი და ჰკითხა: თქვენ ფრანგი მწერალი ანრი ბარბიუსი ბრძანდებით? — დიახ, მიუგო ბარბიუსმა. რა გნებავთ? თავის მხრივ კითხა ბარბიუსმა. ხელოსანმა უთხრა: „გაზეთში წავიკითხე, რომ თბილისში ჩამოვიდა მწერალი ანრი ბარბიუსი — „ცეცხლის“ ავტორი. რომელსაც ჩვენ სანგრებში ეკითხულობდით ომის დროს და ვერკვევოდით, თუ ვინ იყო მშრომელთა მტერი და ვინ იყო ომის გამჩაღებელი. გმადლობთ, ბატონო ბარბიუსო, კარგი, სასარგებლო წიგნის დაწერისათვის“.

ამ სიურპრიზმა ძალიან გააკვირვა და გაამხიარულა ბარბიუსი და მისი თანმხლები ქართველი მწერლები.

ანრი ბარბიუსმა შემოიარა მთელი სამხრეთი და დასავლეთი საქართველო, დაათვალიერა უძველესი ღირსშესანიშნაობები, ქალაქები, სოფლები, იმოგზაურა შორეულ კუთხეებშიც, ესაუბრა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, მუშა-მოსამსახურეებს, გლეხებს, ყოფილ სამხედრო პირებს, ყოფილ თავადაზნაურებს, სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს...

საქართველოში მოგზაურობისას შემოდგომაზე, ამ ხავერდოვან დღეებში, ანრი ბარბიუსი განთიადისას დგებოდა, რომ დამტკბარიყო საქართველოს ბუნების საკვირველებით, საქართველოს ცით და მიწით, ქართული დილის სურნელებით, ქართული ბაღ-ვენახების ცვარ-ნამით, თვალწარმტაცი მთებით, ოქროს ყანებით, ბროწეულებით, სამუშაოზე მიმავალი ახოვანი მამაკაცებისა და თვალტანადი ქალების ცქერით.

საქართველოს რაიონებში მოგზაურობიდან თბილისში დაბრუნებულმა ანრი ბარბიუსმა თქვა:

„მე არ მქონდა გარკვეული წარმოდგენა საქართველოს პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და არც დაწვრილებით ვიცნობდი მის წარსულს, კერძოდ მისი უკანასკნელი წლების ისტორიას...

ჩემს მიერ საქართველოში ნახულისა და გაგონილის შემდეგ უნდა ვთქვა, რომ ყოველ გულწრფელ ადამიანს დღევანდელ საქართველოსთან გაცნობის შემდეგ არ შეუძლია არ აღიაროს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველო ჩააყენა ისეთ მდგომარეობაში, რომლის მსგავსი არ ახსოვს მის ხანგრძლივ ისტორიას...

მე გადაჭრით ვადასტურებ, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიერ წარმოებული პოლიტიკა სავსებით შეეფერება ყველა ეროვნების მოსახლეობის და პირველ რიგში, გლეხობის მისწრაფებას:

და სურვილებს. ეროვნული პოლიტიკის წარმოება და ეროვნული კულტურის განვითარება იმ ფორმით, რომლითაც იგი ხორციელდება ამჟამად, არათუ არ აბრკოლებს ქვეყნის სამეურნეო განვითარებას, არამედ, პირიქით — მეტისმეტად უწყობს ხელს ქვეყნის სამეურნეო წინსვლას, რადგან ასეთი პოლიტიკის წყალობით იქმნება ერთი მთლიანი პოლიტიკური ოჯახი, რომლის წევრები გამსჭვალული არიან თანამშრომლობის წრფელი მისწრაფებით".

ბარბიუსს მოეწონა ამიერკავკასიის ხალხთა ძმური, მეგობრული ურთიერთობა, თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება, მოეწონა, რომ საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი, ხელიხელჩაკიდებულნი ეწევიან დიად მშენებლობებს და წარმოადგენენ დიდი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ მოწინავე რესპუბლიკებს.

„საბჭოთა საქართველოს მიღწევები იმდენად დიდია, ამბობდა ბარბიუსი, რომ მათი ჩამოთვლა ხანმოკლე საუბრის დროს შეუძლებელია. საქართველოზე მე გამოვცემ ცალკე წიგნს, სადაც შეეცდები დაწვრილებით აღვნუსხო საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები თქვენში".

ფრანგმა მწერალმა პირნათლად შეასრულა თავისი დაპირება. 1929 წელს გამოაქვეყნა მშვენიერი და საინტერესო წიგნი „აი რა უყვეს საქართველოს", რომლის კარგი ქართული თარგმანი, არისტო ჭუმბაძის მიერ შესრულებული, დაიბეჭდა თბილისში 1930 წელს. იგი შედგება ხუთი თავისაგან: „კავკასიის საღამოები", „დილები", „ის, რაც მოხდა", „მიღწევები", „ეროვნება და თავისუფლება". წიგნში ნაჩვენებია, თუ როგორ განთავისუფლდა და აყვავდა საქართველო საბჭოთა ხელისუფლების დროს. მწერალი აღწერს იმ დიდ მიღწევებს, რომლებიც მოიპოვა ქართველმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

ანრი ბარბიუსამდე და შემდეგაც, არა ერთ და ორ საზღვარგარეთელ მწერალს უმოგზაურია საქართველოში. ანრი ბარბიუსი ყველა მათგანისაგან გამოირჩევა თავისი კომუნისტური სულისკვეთებით, ობიექტურობით, სისპეტაკით, იდეურ-მხატვრული სიმართლით.

ამიტომაც არის, რომ ქართველი ხალხი თავის გულში წმინდად ინახავს მისთვის ადრიდანვე საყვარელი გამოჩენილი ფრანგი მწერლის ანრი ბარბიუსის ღრმა სიყვარულსა და პატივისცემას.

* *

ანრი ბარბიუსი გარდაიცვალა მოსკოვში 1935 წლის 30 აგვისტოს. ამ დროს მარსელ კაშენი წერდა: „ბედმა ისურვა, რომ ბარბიუსი გარდაცვლილიყო განთავისუფლებულ ხალხთა შორის, რო-

მელიც ძას ასე ძალიან უყვარდა". საბჭოთა ადამიანებმა, დიდი მწუხარებით გააცილეს ანრი ბარბიუსის ცხედარი უკანასკნელ გზაზე — მოსკოვიდან პარიზამდე. პარიზში კი მიაბარეს პერ-ლაშეზის სასაფლაოს, კომუნარების საფლავის გვერდით. ურალელმა მუშებმა მას აუგეს ძეგლი, რომლის კვარცხლბეკს ამშვენებს უბრალო წარწერა: „საფრანგეთის მუშათა კლასის მეგობარს, ფრანგი ხალხის ღვაწლმოსილ შვილს, იმპერიალიზმისა და ფაშიზმის წინააღმდეგ მშრომელთა ერთიანი ფრონტის მებრძოლს ამხანაგ ანრი ბარბიუსს — ურალელი მუშები".

აი ასე დააფასა საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა დიდი ფრანგი მწერალი, რაშიაც გამოიხატა მთელი საბჭოთა ხალხის ღრმა სიყვარული და პატივისცემა ანრი ბარბიუსისადმი. მისი დასაფლავება პარიზში მთელ დემონსტრაციად გადაიქცა, ფეხზე დადგა პარიზის მუშათა კლასი და ღირსეული პატივი სცა თავის სახელოვან და საყვარელ მწერალს. „1935 წლის ზაფხულმა და შემოდგომამ, — წერდა მორის ტორეზი, — უჩვენა სახალხო ფრონტის ზრდა-წარმატება. ბარბიუსის გარდაცვალება სექტემბრის დასაწყისში გადაიქცა გრანდიოზულ დემონსტრაციად. ვიქტორ ჰიუგოს გარდაცვალების შემდეგ, ასე არ დასაფლავებულა არც ერთი მწერალი". სწორედ რომ ღირსი იყო ასეთი დიდი პატივისცემისა და დაფასებისა ძვირფასი ადამიანი და ნიჭიერი მწერალი — ანრი ბარბიუსი.

მაქსიმ გორკიმ მოხდენილად სთქვა: „ისეთი ადამიანებისათვის, როგორიც ანრი ბარბიუსია, სიკვდილის დღე არის მათი მუშაობის შედეგის დასაწყისი, ამ მუშაობის რევოლუციური მნიშვნელობის გაფართოებისა და გაძლიერების დასაწყისი".

ანრი ბარბიუსის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა დიდად მნიშვნელოვანი და ფასეულია დღესაც, ვინაიდან ეხმარება მსოფლიოს ხალხებს მშვიდობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ამ მხრივ ანრი ბარბიუსი დღესაც ჩვენი თანამედროვე, ჩვენი მეგობარია, რომელიც კვლავ იბრძვის და იღწვის კაცობრიობის მოწინავე იდეალების განხორციელებისათვის.

გიორგი დიმიტროვი ასე ახასიათებდა ანრი ბარბიუსის დაუცხრომელ პიროვნებას: „ჩემთვის რომ ეთხოვნათ დამესახელებინა კაპიტალისტური ქვეყნების ნამდვილი მოწინავე მწერალი, რომელშიაც შეერთებულია მაღალი მხატვრული ოსტატობა, მილიონების განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიურ მხარდაჭერასთან, მე უყოყმანოდ მიუთითებდი ანრი ბარბიუსზე". ანრი ბარბიუსის გარდაცვალების შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა მსოფლიო საზოგა-

დოებრივ ცხოვრებაში ზოგიერთი მწერლის სიკვდილსა და დავიწყებას მოვესწარით, მაგრამ არასოდეს არ მოკვდება მწერალი, რომელმაც ადრე გაიგო და იგრძნო, რომ ისტორია მშრომელი მასების მხარეზეა, რომ საბოლოო გამარჯვება მათ ეკუთვნის, და მთელ თავისი შინაარსიანი და მჩქეფარე სიცოცხლე ამ დიადი საქმისათვის ბრძოლას შესწირა.

ასეთი მწერლის ნიმუში იყო ანრი ბარბიუსი და ამიტომ იგი მარად უკვდავია.

რომენ როლანი

(1866—1944)

მე ყოველთვის გულითადად მწადდა მეგრძნო სულიერი კავშირი მშრომელ მასებთან, დამემსახურებინა მათი სიყვარული და ნდობა.

რომენ როლანი

მაქსიმ გორკი რომენ როლანს საფრანგეთის ლევ ტოლსტოის უწოდებდა. გორკი ბედნიერად თვლიდა თავს, რომ მისთვის ბავშვობიდანვე საყვარელ საფრანგეთში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ისეთი მშვენიერი ადამიანი და ისეთი გულითადი მხატვარი, როგორიც იყო რომენ როლანი.

რომენ როლანი ერთ-ერთი უდიდესი მხატვარი-რეალისტია XX საუკუნის ფრანგული ლიტერატურისა და, შეიძლება ითქვას, მთელი დასავლეთ ევროპის ლიტერატურისა. როლანის სახით კაცობრიობის წინაშე წარმოდგა დიდი მწერალი თავისი მაღალი მორალური იდეალებით და გულწრფელობით, წარმოდგა საინტერესო პიროვნება, რომელსაც „ევროპის სინდისი", „დიდი ევროპელი", „ევროპის თვალი" შეარქვეს. ათასობით მშრომელი ადამიანი თვლიდა რომენ როლანს „ცხოვრების მასწავლებლად".

შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ რომენ როლანმა ერთ-ერთი თავისი საუცხოო ნაწარმოების „მოხიბლული სულის" გმირს რივიერი, ე. ი. მდინარე, დაარქვა. ჩვენი ილია ჭავჭავაძის მსგავსად ფრანგი მწერალი სწორედ მდინარებაში ხედავს ცხოვრების აზრს, გაღვიძებულ ცხოვრებას, მუდმივ მოძრაობას, მუდმივ მოქმედებას, წინ სწრაფვას, ცვალებადობას და სიცოცხლეს, ცხოვრების მაჯისცემას, მუდმივ დინებას. ვინც თვალს გადაავლებს რომენ როლანის ცხოვრებასა და შემოქმედებას, ის დარწმუნდება, რომ იგი არის მუდმივი დინება, მუდამ ახლისაკენ სწრაფვა, ახალი გზების ძიება.

რომენ როლანმა განვლო ცხოვრებისა და შემოქმედების წინააღმდეგობებით აღსავსე ძნელი და გრძელი გზა — წვრილბურჟუა-

ზიული პოზიციებიდან. ის საბოლოოდ პროლეტარიატთან და სოციალიზმთან მივიდა, დაუკავშირდა დიდ საბჭოთა კავშირს, რომელიც მას პროგრესული კაცობრიობის დიად შუქურად მიაჩნდა.

• • •

რომენ როლანი დაიბადა 1866 წლის 29 იანვარს ბურგუნდიის პატარა ქალაქ კლამსში, პროვინციელი ნოტარიუსის ოჯახში. დედა მისი გატაცებული იყო მუსიკით და სწორედ მან ჩაუნერგა ჯერ კიდევ პატარა რომენ როლანს განსაკუთრებული სიყვარული მუსიკისადმი, რამაც წარუშლელი კვალი დაამჩნია შემდეგ როლანის მთელ ცხოვრებასა და შემოქმედებას; უფრო მეტიც, ხელოვნებამ და მისდამი ღრმა სიყვარულმა განსაზღვრა თითქმის მთელი შემოქმედება მწერლისა.

რომენ როლანი ადრევე გაიტაცა გამოჩენილმა ადამიანებმა — მიქელანჯელომ, შექსპირმა, ბეთჰოვენმა, მოცარტმა, შემდეგ. პარიზში სწავლისას, ამ სახელებს შეუერთდა ბარუხ სპინოზა და რიჰარდ ვაგნერი, რომელთა შემოქმედება ასევე გატაცების საგანი გახდა ჭაბუკი როლანისათვის, შემდეგ მათ მიემატა გოეთე და ვიქტორ ჰიუგო, ხოლო მალე ყველა მათგანზე მაღლა როლანმა დააყენა დიდი რუსი ხალხის სიამაყე და მშვენება ლევ ტოლსტოი. რომენ როლანი ლევ ტოლსტოის თვლიდა არა მარტო თავის მასწავლებლად, არამედ, საერთოდ, ცხოვრების მასწავლებლად.

რომენ როლანი ჯერ მშობლიურ ქალაქ კლამსში სწავლობდა. შემდეგ (1880 წ.) გადავიდა პარიზში, სადაც ის შევიდა უმაღლეს პედაგოგიურ სკოლაში. აქ როლანი ბეჯითად სწავლობდა ფილოსოფიას, ისტორიას, გეოგრაფიას, მუსიკას. ამ სკოლის დამთავრების შემდეგ რომენ როლანი ორწლიანი მივლინებით მიემგზავრება საზღვარგარეთ — გერმანიასა და იტალიაში. ამ ქვეყნებში ის ეცნობა მსოფლიო კულტურის ძეგლებს. სამშობლოში დაბრუნებული როლანი უმთავრესად მუშაობს ხელოვნების ისტორიაში. სწორედ ამ დარგში გამოაქვეყნა მან თავისი პირველი გამოკვლევა: „იტალიური მხატვრობის დაქვეითების მიზეზების შესახებ".

1895 წელს პარიზში გამოვიდა როლანის სადისერტაციო ნაშრომი: „ევროპული ოპერის ისტორია ლიულიმდე და სკარლატიმდე", რომელიც მან იმავე წელს დაიცვა. ამ შრომაში რომენ როლანი, სტენდალის მსგავსად, დიდ სიყვარულსა და პატივისცემას ამჟღავნებს იტალიური მუსიკისადმი. მალე ის ინიშნება მუსიკის ისტორიის პროფესორად უმაღლეს პედაგოგიურ სკოლასა და სორბონში. როლანი კითხულობს ლექციებს წარსულის დიდი კომპოზიტორების შესახებ,

ჯერ უმაღლეს პედაგოგიურ სკოლაში, შემდეგ სორბონში, ბოლო სოციალური ცოდნის უმაღლეს სკოლაში, ამავე დროს ეწევა შემოქმედებით მუშაობას მხატვრულ ლიტერატურაში.

• •

რომენ როლანს სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა მაშინ მოუხდა, როდესაც კაპიტალიზმი შეეიდა თავისი განვითარების უმაღლეს და უკანასკნელ სტადიაში, იმპერიალიზმის სტადიაში. ამ დროს საფრანგეთის ბურჟუაზიას თავისი კაპიტალი გააქვს საზღვარგარეთის ქვეყნებში და ამით იგი ერთგვარ „სარგებლობას“ იღებს.

ლენინი თავის შრომაში „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“, მიუთითებს, რომ „ინგლისის კოლონიური იმპერიალიზმისაგან განსხვავებით, საფრანგეთის იმპერიალიზმს შეიძლება სავახშო იმპერიალიზმი ვუწოდოთ“[1]. ამნაირად, ფრანგი ბანკირები, რომლებიც ევროპის მევახშეები“ გახდნენ, უსინდისოდ ძარცვავენ და აწიოკებენ ხალხებს, ქადაგებენ შოვინიზმს, ყოველნაირად ცდილობენ ჩააქრონ მუშათა რევოლუციური გამოსვლები.

XX საუკუნის დასაწყისში იმპერიალისტური რეაქცია კიდევ უფრო გაძლიერდა ევროპაში, კერძოდ საფრანგეთში; 1905 წელს საფრანგეთის ბურჟუაზია სესხით დაეხმარა მეფის რუსეთს და ამით „ფეხი დააყირა“ მას, აღათქმეეინა ერთგვარი დათმობანი.

ცნობილია, რომ „მეფის თვითმპყრობელობას 1905 წლის რევოლუციის ჩაქრობაში დაეხმარნენ დასავლეთ ევროპის იმპერიალისტები. უცხოელ კაპიტალისტებს ეშინოდათ რუსეთში დაბანდებული თავისი კაპიტალების და უდიდესი შემოსავლის დაკარგვისა. ამას გარდა, მათ ეშინოდათ, რომ რუსეთის რევოლუციის გამარჯვების შემთხვევაში რევოლუციისათვის აღსდგებოდნენ სხვა ქვეყნების მუშებიც. ამიტომ დასავლეთ ევროპის იმპერიალისტები დაეხმარნენ ჯალათ მეფეს. საფრანგეთის ბანკირებმა დიდი სესხი მისცეს მეფეს რევოლუციის ჩასაქრობად. გერმანიის მეფეს მზად ჰყავდა მრავალათასიანი არმია ინტერვენციისათვის რუსეთის მეფის დასახმარებლად“[2].

იმპერიალისტური ტენდენციების ასეთი ზრდის დროს, მუშათა რევოლუციური მოძრაობის ახალი აღმავლობის პერიოდში, ფრანგულ (ისე როგორც სხვა ქვეყნების) ლიტერატურაში შეიქმნა მოწინავე, პროგრესულ მწერალთა ბანაკი, რომელმაც აქტიური ბრძოლა

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 22, გვ. 304.

[2] საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, 1953 წ., გვ. 113.

გააჩაღა იმპერიალისტური რეაქციის წინააღმდეგ. ამ ბანაკის ბრწყინვალე პლეადის წარმომადგენლები არიან ანატოლ ფრანსი, რომენ როლანი, ანრი ბარბიუსი და სხვ.

* * *

რომენ როლანი ცდილობდა გამოსავალი ეპოვნა იმპერიალიზმის წინააღმდეგობებიდან, კრიტიკულ მომენტებში მან თვალი მიაპყრო კაცობრიობის კულტურულ წარსულს, ამ საქმეში მას ცოტა სამსახური როდი გაუწია იმ გარემოებამ, რომ როლანს უკვე ამ დროსაც ჰქონდა სათანადო ცოდნა წარსული კულტურისა და ამ კულტურის გამოჩენილი წარმომადგენლების შემოქმედებისა. მან იცოდა აგრეთვე დიდი სოციალურ-პოლიტიკური ამბები, კერძოდ რენესანსის ანუ აღორძინების პერიოდი, საფრანგეთის 1789 წლის რევოლუცია და სხვა. ერთი სიტყვით, XIX საუკუნის დასასრულისათვის რომენ როლანი წარმოგვიდგება, როგორც ენციკლოპედური განათლების ადამიანი, რომელმაც წარსულის გმირული ამბები და ჰუმანისტი მოღვაწეები დაუპირისპირა თავისი დროის გახრწნილსა და გადაგვარებულ ბურჟუაზიულ კულტურას.

ამ მხრივ აღსანიშნავია როლანის საუცხოო ნარკვევების ციკლი „დიდი ადამიანების ცხოვრება", რომელშიც შედის: „ცხოვრება ბეთჰოვენისა", „ცხოვრება მიქელანჯელოსი" და „ცხოვრება ლევ ტოლსტოისა".

დიდმნიშვნელოვანი ფაქტია ამ დროის რომენ როლანის ცხოვრებაში — მისი გატაცება რუსული კულტურით, რუსული ლიტერატურით, კერძოდ დიდი რუსი მწერლით — ლევ ტოლსტოით. ფრანგ მწერალს აფიქრებდა და აღელვებდა ხელოვნებისადმი ლევ ტოლსტოის დამოკიდებულების საკითხი. რომენ როლანმა 1887 წლის 16 აპრილს აღფრთოვანებული წერილი გაუგზავნა ლევ ტოლსტოის. ეს იყო პირველი წერილი, რომელსაც თვითონ ლევ ტოლსტოი „მშვენიერ წერილს" უწოდებდა. ასე დაიწყო მათ შორის მიმოწერა და მეგობრობა.

საგულისხმოა, რომ სულიერი კრიზისის დროს ფრანგი მწერალი დიდ რუს მწერალს თხოვდა რჩევას თუ როგორ მოქცეულიყო, და ტოლსტოიც დინჯად და დამაჯერებლად ურჩევდა მას ხალხთან ყოფნას, ხალხთან კავშირს. ლევ ტოლსტოი თავის პასუხში როლანის კითხვებზე მუდამ იმას უსვამდა ხაზს, რომ მწერალს ხალხი უნდა უყვარდეს, რომ ნამდვილი ხელოვნება იქნება ხალხთან კავშირსა და ურთიერთობაში. ყოველივე ამან ნაყოფიერი გავლენა მოახდინა როლანის მსოფლმხედველობისა და შემოქმედების განვითარებაზე.

ლევ ტოლსტოი როლანისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავ-

და: „ძვირფასო ძმაო, მივიღე თქვენი პირველი წერილი, მან ისე ამიჩუყა გული, რომ თვალაცრემლებული ვკითხულობდი“.

ამ მიმოწერის შემდეგ რომენ როლანი დარწმუნდა, რომ ტოლსტოი იბრძოდა არა საერთოდ ხელოვნების წინააღმდეგ, არამედ თავისი დროის ბურჟუაზიული ხელოვნების წინააღმდეგ.

რომენ როლანი ლევ ტოლსტოის პიროვნებაში ხედავდა ბრწყინვალე სინათლეს, ნუგეშსა და იმედს. ის წერს: „დიადი რუსული სული, რომლის ცეცხლი ასი წლის წინათ დაინთო დედამიწაზე, ჩემი თაობის ადამიანებისათვის ყველაზე ბრწყინვალე სინათლე იყო, რომელმაც მათი ახალგაზრდობა გააცისკროვნა. მეცხრამეტე საუკუნის მიწურულის მძიმე, დაბინდულ პერიოდში იგი გამოჩნდა მანუგეშებელ ვარსკვლავად, რომლის მზერა ჩვენს ჭაბუკურ სულს ხიბლავდა და ამშვიდებდა: ჩვენთვის ძალიან ცოტა იყო ტოლსტოის შემოქმედებით აღტაცება: ჩვენ ვცხოვრობდით ამ შემოქმედებით, იგი ჩვენი იყო. ჩვენი იყო თავისი მხურვალე ცხოველმყოფელობით, გულის სიჭაბუკით, ჩვენი იყო თავისი ირონიული გულგატეხილობით, თავისი ულმობელი პრინციპულობით, თავისი სიკვდილის საშინელებით. ჩვენი იყო თავისი ოცნებით, ძმური სიყვარულითა და კაცთა შორის მშვიდობით. ჩვენი იყო ცივილიზაციის სიცრუეთა მრისხანე მამხილებლობით, თავისი რეალიზმითა და მისტიციზმით, ბუნების ჭროლვით, უხილავი ძალების შეგრძნობით, უსაზღვროებით, დათრობით“.

„დიდი ადამიანების“ ცხოვრების პირველ ნაწილში, რომელიც მიძღვნილია ბეთჰოვენისადმი, როლანი წერს: „მე მიყვარს, მაშასადამე, მე ვარსებობ“. მისთვის ადამიანი უწინარეს ყოვლისა არის ტემპერამენტი, სტიქია, ენება. ამ დროისათვის როლანის მსოფლმხედველობა ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია. ის ჯერ კიდევ უმეტესად მეოცნებე იდეალისტია, რომელიც ქადაგებს ამბოხებას ბურჟუაზიული საზოგადოების წინააღმდეგ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ეს როლანისებური ამბოხება არსებულთან შერიგებით თავდება.

„დიდი ადამიანების ცხოვრებაში“ როლანს ბეთჰოვენი, მიქელანჯელო და ლევ ტოლსტოი ისეთ ადამიანებად მიაჩნია, რომლებიც თავიანთი მოღვაწეობით იძლეოდნენ გმირობის მაგალითებს. აქ როლანი იმაზე მიუთითებს, რომ ისინი (ცხადია, არა სამივე ერთნაირად, დ. ფ.) იყვნენ რწმენის, გრძნობისა და განცდის ადამიანები, უარყოფდნენ ბურჟუაზიულ თეორიას „ხელოვნება-ხელოვნებისათვის“ და თავიანთი შემოქმედებითა და გმირული სულისკვეთებით ემსახურებოდნენ კაცობრიობის აღზრდისა და განათლების საქმეს.

რომენ როლანის ადრინდელ ნაწარმოებთა სერიას — „რწმენის ტრაგედიებს“ („წმინდა ლუი“, „აერტი“, „მოვა დრო“) ყველა წარსულში გადაუყავართ.

საკითხავია, რატომ მიმართავს როლანი ასე ხშირად ისტორიას? როლანი ისტორიულ წარსულს იმიტომ მიმართავს (გარდა იმისა, რაც ზემოთ უკვე ვთქვით), რომ ის იქ ეძებს ე. წ. „მარადიულ ხასიათებს", „მარადიულ პრობლემებს".

როლანს იმდენად ის კი არ აინტერესებს, თუ რა მიზანი აქვს გმირთა ბრძოლას, რამდენადაც ის, თუ როგორია მათი რწმენა, თუ რატომ განიცდიან და გრძნობენ ისინი. მწერალი იმ აზრს ავითარებს, რომ, რა ხასიათიც არ უნდა ჰქონდეს მოპირდაპირეთა ბრძოლას, ორივე მხარეში მაინც იღვიძებს ჰუმანიზმის, სათნოებისა და ძმობის გრძნობა, რომელიც ფარავს ყველაფერს. ასე მაგალითად, ტრაგედიაში „მოვა დრო" პაციფისტ ოუენს მწერალი ასეთ სიტყვებს ათქმევინებს: „მოვა დრო და ადამიანები შეიცნობენ ჭეშმარიტებას. ლომი და კრავი ერთმანეთის გვერდით დაწვებიან". ამნაირად, როლანის კონცეფციის მიხედვით, დადგება ისეთი დრო, როცა მგელი და ცხვარი ერთად მოძოვს. აქ ყველაფერი გადატანილია მორალურ ფაქტორებზე, ზნეობრივ სრულყოფაზე, სათნოებაზე და გამორიცხულია კლასობრივი ბრძოლა, რაც იმას მოწმობს, რომ ძლიერი იყო ლევ ტოლსტოის გავლენა რომენ როლანზე, კერძოდ ლევ ტოლსტოის ქადაგება, რომ „ბოროტებას წინააღმდეგობა არ გაუწიოს ძალადობით"[1].

„რწმენის ტრაგედიებით" რომენ როლანს სურდა შეექმნა სახალხო თეატრი და ამის მეოხებით შთაენერგა ხალხში ბრძოლის სულისკვეთება, გამოეწვია ამბოხება ბურჟუაზიული საზოგადოების წინააღმდეგ, მაგრამ აქაც გაორებას ვხედავთ მწერლის პიროვნებაში, ვინაიდან ეს ამბოხება უძლურია: იგი შერიგებით, კომპრომისით თავდება. როლანი ვერ იჩენს ბოლომდე თანმიმდევრობას. რით უნდა აიხსნას მწერლის ასეთი არათანმიმდევრობა და გაორება? ეს უნდა აიხსნას როლანის წვრილბურჟუაზიული ჰუმანიზმით. როლანის გმირის ამბოხება თუ პროტესტი ფაქტიურად რაღაც აბსტრაქტული, ზოგადსაკაცობრიო ქადაგებით თავდება.

ცხადია, რომენ როლანს ვერ ეუსაყვედურებთ, თითქოს მას კულტურფელად არ სძულდეს ბურჟუაზიული საზოგადოება, საფრანგეთის მესამე რესპუბლიკა; მაგრამ ის ფაქტია, რომ მწერალი არ აყენებს ამ საზოგადოების რევოლუციურად შეცვლის ან მოსპობის საკითხს, მისი გმირები ოცნებობენ რაღაც არარსებული „სიყვარულისა და ჰარმონიის სამეფოზე".

ამნაირად, რომენ როლანი აშკარად ხედავს, რომ ბურჟუაზიული საზოგადოება გადაგვარებასა და დაცემას განიცდის, მწერალს ბურ-

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 15, გვ. 38.

ჟუაზიული წყობილება ნამდვილად სძულს, მაგრამ მას არ ესმის მის წინააღმდეგ ბრძოლის რეალური გზები და საშუალებანი.

ასეთივე იდეურ კონცეფციაზეა აგებული რომენ როლანის „რევოლუციის თეატრი". ამ ციკლში, ავტორის გეგმით, გათვალისწინებული იყო ათი დრამა, დაწერილია მხოლოდ რვა: „მგლები", „გონების ზეიმი", „დანტონი", „თორმეტი იელისი", „სიყვარულისა და სიკვდილის თამაში", „ბზობა", „ლეონიდები" და „რობესპიერი".

ეს ნაწარმოებები ახალი შემოქმედებითი აღმავლობის მაჩვენებელია რომენ როლანის შემოქმედებაში.

დრამების ამ სერიაში რომენ როლანი მიმართავს ნაციონალურ-რევოლუციურ თემატიკას, კერძოდ XVIII საუკუნის საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციას. როგორც ცნობილია, ამ თემაზე საინტერესო ნაწარმოებები შექმნეს ვიქტორ ჰიუგომ („ოთხმოცდაათიმეტი) და ანატოლ ფრანსმა („ღმერთებს სწყურიათ").

ვიქტორ ჰიუგომ რომანტიკულ-რეალისტური გაშუქება მისცა საფრანგეთის რევოლუციის ყველაზე მნიშვნელოვან პერიოდს — 1793 წელს, იაკობინელთა დიქტატურის პერიოდს. მწერალი რევოლუციის საქმის დამცველებს გულთბილად გვიხატავს, რადგან მათ უმთავრესად თავიანთი ხალხისა და სამშობლოსადმი სიყვარული ამოძრავებთ. ძირითადად ჰიუგოს ეს რომანი პატრიოტული ნაწარმოებია, მასში მწერალი მკაფიოდ ამბობს: „სახელს ვერ მოიხვეჭ, გმირი ვერ გახდები, თუ სამშობლოს წინააღმდეგ იბრძვი". მესამე რესპუბლიკა, ჰიუგოს აზრით, უნდა იქნეს სათნოების რესპუბლიკა. „ამნისტია, ამბობს ჰიუგო, „ყველაზე მშვენიერი სიტყვაა, როგორიც კი წარმოთქმულა ადამიანურ ენაზე". მიუხედავად ამისა, ვიქტორ ჰიუგომ 1789 წლის რევოლუციისადმი მაინც ცალმხრიობა, გაორებული დამოკიდებულება გამოიჩინა. მან ცნო ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობა, მაგრამ უარყო იაკობინური ტერორი. რევოლუციის ლიდერებიდან ვიქტორ ჰიუგო თანაუგრძნობს დანტონს, რაც შეეხება რობესპიერსა და მარატს, მწერალმა სათანადოდ ვერ შეაფასა მათი როლი ამ რევოლუციაში.

ვიქტორ ჰიუგოს რომანი „ოცხმოცდაცამეტი" რომ შევადაროთ ანატოლ ფრანსის რომანს „ღმერთებს სწყურიათ", მათ შორის დიდ განსხვავებას დავინახავთ. ჰიუგო უფრო ახლოა ისტორიულ სინამდვილესთან, ვიდრე ანატოლ ფრანსი. ფრანსი ყალბად წარმოგვიდგენს ამ რევოლუციას (და საერთოდ რევოლუციას), მწერალი შორს დგას მისი რეალისტური გააზრებისა და გაგებისაგან. ის ცალმხრივად ხატავს რობესპიერისა და მარატის მოღვაწეობის სურათებს, მწერალი მათ „ბალღებსა და უკუღმართ ადამიანებს" უწოდებს.

დამახასიათებელია ნაწარმოების სათაური — „ღმერთებს სწყუ-

რიათ", იგი ამოღებულია ბერძნული მითოლოგიიდან, რომლის მიხედვითაც, როცა ღმერთებს სწყურიათ, მაშინ დიდი სისხლის ღვრა უნდა მოხდეს. ანატოლ ფრანსის აზრით, რევოლუცია არის მხოლოდ სისხლის ღვრა, ამიტომ იგი (რევოლუცია) უაზროა. მწერალს რევოლუცია ესმის, როგორც მხოლოდ დანგრევა, განადგურება; ვერ ხედავს, რომ საფრანგეთის ამ რევოლუციამ დაამსხვრია ძველი ფეოდალურ-მონარქისტული წყობილება და გზა გაუკაფა ახალ ბურჟუაზიულ წყობილებას.

განვიხილოთ, თუ როგორ მიუდგა რომენ როლანი თავის „რევოლუციის თეატრში" ამ დიდმნიშვნელოვან, ისტორიულ მოვლენას.

თავისი შემოქმედებითი ზრდის პროცესში რომენ როლანი თანდათანობით რწმუნდება, რომ ხელოვნების განვითარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხს. ის ცდილობს ამ მხრივ წარმართოს ცხოვრების სინამდვილის მხატვრული ასახვა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ამისა, სინამდვილის ეს როლანისებური ასახვა კვლავ აბსტრაქტულია და შეზღუდული.

ზემოაღნიშნული ციკლის ზოგიერთ ნაწარმოებში რომენ როლანი გარკვეულ წარმატებას აღწევს, როგორც მოაზროვნე მხატვარი. ამ მხრივ დრამა „თოთხმეტი იულისი" გამოირჩევა თავისი რევოლუციურ-დემოკრატიული სულისკვეთებით. მასში როლანი აგვიწერს, თუ როგორ აჯობა შეტევით ხალხმა 1789 წლის თოთხმეტ იულისს ბასტილია, რომელიც რევოლუციის დაწყებას მოასწავებდა. აქ და სხვა დრამებში ხალხთა მასების აჯანყებანი მწერალს ისე კარგად და შთამაგონებლად აქვს აღწერილი, რომ ისინი მკითხველის მეხსიერებაში წარუშლელ კვალს ტოვებენ.

მიუხედავად ყოველივე ამისა, საფრანგეთის ეს პირველი ბურჟუაზიული რევოლუცია ამ დროის როლანს მაინც უმთავრესად სტიქიური ძალების გამოვლინებად ეჩვენება, მწერლის აზრით, ეს სტიქიური ამბოხებანი წარმოშობენ ადამიანთა ძლიერ ვნებებსა და ხასიათებს. როგორც ეხედავთ, როლანი გატაცებულია არა რევოლუციის ნამდვილი მამოძრავებელი ძალებით, არა მისი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის არსის გაგებით, არამედ ცალკეულ პიროვნებათა აბსტრაქტული გმირობით.

„რევოლუციის თეატრის" ციკლის წინანდელ დრამებში აშკარად ჩანს რომენ როლანის მსოფლმხედველობის შეზღუდული მხარეები, მისი იდეალისტური ილუზიები. მაშინ როლანი ჟირონდისტებს განადიდებდა. იაკობინელებს კი აკრიტიკებდა, დანტონი მას გმირობის მწვერვალად მიაჩნდა, ის ამ ფიგურას მოძრაობის სათავეში აყენებდა. ამ მხრივ აღსანიშნავია დრამა „დანტონი".

შემდგომ წლებში, როცა რომენ როლანის მსოფლმხედველობა-

სა და შემოქმედებაში გარდატეხა მოხდა, როცა ჯერ დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ და მერე დიადმა სოციალისტურმა სინამდვილემ ძლიერი, კეთილმყოფელი გავლენა იქონია რომენ როლანზე, ის შეუდგა თითქმის სრულიად ახალი დრამის წერას და დაამთავრა იგი 1938 წელს. ეს ახალი დრამა არის „რობესპიერი".

როგორც თვითონ რომენ როლანი აღნიშნავს, ის ცამეტი წლის იყო, როცა შეუდგა XVIII საუკუნის საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დიდი ეპოპეის შექმნას. ის დიდხანს ფიქრობდა დაეწერა ცალკე ნაწარმოები რობესპიერის შესახებ, მაგრამ აყოვნებდა. ვიდრე მთლიანად არ დაეუფლებოდა სიუჟეტს და მხოლოდ მაშინ. როცა ყველაფერი მომწიფდა და დადგა დრო, სამოცდათორმეტი წლის რომენ როლანმა დაამთავრა და გამოაქვეყნა დრამა „რობესპიერი".

ამ შესანიშნავმა დრამამ ფართო გამოხმაურება პოვა მოწინავე საზოგადოებრიობაში, განსაკუთრებულად დიდი წარმატება ხვდა მას საბჭოთა მკითხველისა და მაყურებლის თვალში. თვითონ რომენ როლანი სამართლიანად თვლიდა ამ ნაწარმოებს ეპოპეის მწვერვალად.

უნდა აღვნიშნოთ, რომ არსებითი, პრინციპული განსხვავებაა რომენ როლანსა, რომელმაც საუცხოო ისტორიული ნაწარმოები „რობესპიერი" შექმნა, და იმ როლანს შორის, რომელმაც „რევოლუციის თეატრის" ადრინდელი დრამები დაწერა.

„რობესპიერში" წვრილბურჟუაზიული მსოფლმხედველობისა და იდეალისტური ილუზიებისაგან ძირითადად განთავისუფლებულმა როლანმა ახლებურად შეაფასა საფრანგეთის 1789 წლის რევოლუცია და ახლებურად აგვისახა იგი.

მწერალი აღნიშნავდა, რომ ამ დრამაში, ისევე როგორც თავისი „რევოლუციური თეატრის" სხვა დრამებში, ის უფრო ხასიათების მორალური სიმართლისაკენ მიისწრაფოდა, ვიდრე ფაქტიური სინამდვილისაკენ, თუმცა მაინც ფაქტიურ სინამდვილეს უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა.

რომენ როლანი დარწმუნებული იყო, რომ ისტორიის ჭეშმარიტი სახე „რობესპიერში" უფრო სწორადაა მოცემული, ვიდრე მის „დანტონში", რომელიც გაცილებით ადრე დაიწერა.

პიესის მოქმედება გაშლილია 1794 წლის 5 აპრილიდან ამავე წლის 28 ივლისამდე, დანტონის სიკვდილის დასჯის დღიდან იაკობინელთა დიქტატურის დამხობამდე. ნაწარმოები იწყება დრამატული ეპიზოდით:

...რახარუხით მიგორავს საშინელი ურიკა სენ-ონორეს ქუჩაზე, იმ სახლის ახლოს, რომელშიც ცხოვრობს მაქსიმილიან რობესპიერი.

გაფითრებული და შეშფოთებული უსმენს რობესპიერი ბრბოს ხმაურს.

ეს — დანტონი და დემულენი მიჰყავთ გილოტინაზე.

— რობესპიერ, — ყვირის დანტონი.

— შენ აქ ხარ, ამ სახლში, შენ დაიმალე... მკვლელო! და შორს წასული ურიკიდან მოისმის დანტონის თითქოს გამოსათხოვარი ხმა.

— რობესპიერ, მე ვწევები საფლავში, შენც ეს დღე მოგელის...

— „რობესპიერი" მდიდარია სახეებითა და იდეებით. განსაკუთრებით ამაღელვებელია მთელი რიგი სცენები და ადგილები დრამისა. ასე, მაგალითად, დაჭრილი რობესპიერი მაგიდაზე წევს და სისხლისაგან იცლება. ამ მწარე მომენტებში როლანი ხატავს რობესპიერის განვლილი ცხოვრების სურათებს: რობესპიერი ბავშვი, უდედოდ რომ იზრდებოდა; კოლეჯის მოსწავლე მორცხვი ყმაწვილი, გაცრეცილი ხალათით და დახეული ფეხსაცმლებით რომ დადიოდა. შემდეგ მწერალი გვიჩვენებს რობესპიერს ჟან ჟაკ რუსოს საფლავთან დაჩოქილს, ბასტილიის ასაღებად მიმავალი ხალხის მასების მაცქერალს, ეროვნული კრების დეპუტატს და სხვ.

გულისამაჩუყებელია სცენა, როდესაც ხელგაწვდილი რობესპიერი მიმართავს ხალხს:

— ო, ხალხო, ჩემო ხალხო, ჩემო ერთადერთო მეგობარო! რაც უნდა მოხდეს, განუყრელი დავრჩებით! ბედნიერება და უბედურება, მხიარულება და ტანჯვა, სიცოცხლე, სიკვდილი, — არაფერი არ მსურს ისეთი, რაც აგრეთვე შენიც არ არის! შენი სიყვარული და შენი ნდობა ერთადერთი აზრია ჩემი ცხოვრებისა. ნუ მომაკლებ მათ! მე შენ გეკუთვნი! მე ასე დიდხანს ვიბრძოლე შენთვის! გემუდარები, ნუ მიმატოვებ".

ამის შემდეგ ვხედავთ რობესპიერის, კუტონის და სენ-ჟიუსტის სიკვდილით დასჯის დრამატულ სცენას. გაისმის „მარსელიოზის" ჰანგები, ისინი თანდათანობით გადადიან გამარჯვების ჰიმნში — „ინტერნაციონალში", რითაც მთავრდება ნაწარმოები.

„რობესპიერი" არის რომენ როლანის შესანიშნავი ისტორიული დრამა, ღრმად იდეური, მაღალმხატვრული ნაწარმოები. იგი მიძღვნილია სიფხიზლისა და სიმამაცისადმი. ამ დრამამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა სახალხო ფრონტისათვის ბრძოლის წლებში, მეორე მსოფლიო ომის დროს ფრანგული წინააღმდეგობის მოძრაობისას.

რომენ როლანის შემოქმედების პირველი პერიოდის მთავარი ნაწარმოები არის რომანი — ეპოპეა „ჟან კრისტოფი". შეიძლება

ითქვას, რომ ეს ეპოპეა ოქტომბრის რევოლუციამდელი პერიოდის როლანის შემოქმედების მწვერვალია.

„ჟან კრისტოფი“ შედგება ათი წიგნისაგან და დაყოფილია სამ ნაწილად. პირველ ნაწილს ეწოდება „ჟან კრისტოფი“; ამ ნაწილს შეადგენს სერია წიგნებისა: „განთიადი“, „დილა“, „ყრმობა“, „ამბოხება“. მეორე ნაწილს ეწოდება „ჟან კრისტოფი პარიზში“; ამ ნაწილს შეადგენს სერია წიგნებისა: „ბაზრობა მოედანზე“, „ანტუანეტა“, „სახლში“. მესამე ნაწილს ეწოდება „მგზავრობის დასასრული“; იგი შედგება წიგნებისაგან: „მეგობრები“, „უწვავი მაყვლოვანი“, „ახალი დღე“.

რომანი იბეჭდებოდა ჟურნალ „ორკვირეულში“ — 1902 წლის თებერვლიდან 1912 წლის ოქტომბრამდე, ე. ი. ათი წლის განმავლობაში. 1913 წელს „ჟან კრისტოფმა“ მიიღო აკადემიის პრემია. ნაწარმოებმა იმთავითვე მოიპოვა პოპულარობა მკითხველთა ფართო წრეებში.

მთავარი თემა, რომელზეც აგებულია „ჟან კრისტოფი“, არის ხელოვანისა და ხელოვნების ბედი ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. ამ თემამ ბევრი საზღვარგარეთელი მწერლის ყურადღება მიიპყრო. ასე მაგალითად, ამ პრობლემას მიუძღვნეს თავიანთი ნაწარმოებები ამერიკელმა მწერალმა თეოდორ დრაიზერმა („გენიოსი“) ჯეკ ლონდონმა — („მარტინ იდენი“), გერმანელმა მწერალმა თომას მანმა — („სიკვდილი ვენეციაში“, „დოქტორი ფაუსტუსი“) და სხვებმა.

რომენ როლანმა „ჟან კრისტოფში“ ნიჭიერი ხელოვანი დაუპირისპირა გადაგვარებულ ბურჟუაზიულ საზოგადოებას, ამხილა იმპერიალიზმის მტაცებლური ბუნება, მაგრამ მან ვერ შეძლო ბოლომდე სწორად გადაეწყვიტა ხელოვანისა და ხალხის ურთიერთობის საკითხი.

ბალზაკმა, ბურჟუაზიული საზოგადოების ერთ-ერთმა საუცხოო მცოდნემ, თავის „ადამიანურ კომედიაში“ მთელი ამ საზოგადოების რეალისტური ისტორია წარმოგვიდგინა, ემილ ზოლამ თავის „რუგონ-მაკარებში“ მეორე იმპერიის დროინდელი საფრანგეთის სოციალური ურთიერთობათა სურათი დახატა; მათი ჯანსაღი ტრადიციების განმგრძობმა რომენ როლანმა „ჟან კრისტოფში“ მოგვცა ხელოვანის ცხოვრების ისტორია იმპერიალიზმის ეპოქაში.

პირველი ოთხი წიგნი „ჟან კრისტოფისა“ („განთიადი“, „დილა“, „ყრმობა“, „ამბოხება“) მოგვითხრობს მთავარი გმირის ჟან კრისტოფის ბავშვობის, ყრმობის და სიჭაბუკის შესახებ. რომანის ამ ნაწილში აშკარად ჩანს ლევ ტოლსტოის ტრილოგიის — „ბავშვობა, ყრმობა და სიჭაბუკე“ — გავლენა რომენ როლანზე. აღწერილია ჟან კრისტოფის დაბადება ღარიბ პროვინციულ ოჯახში. მისი მშობლები

გერმანელებია. თერთმეტი წლის ჟან კრისტოფი იმდენად ნიჭიერია, რომ ის ყველა ინსტრუმენტზე უკრავს, მას გასაოცარი მუსიკალური სმენა აქვს. ჟან კრისტოფმა ძლიერად განიცადა თავისი პირველი მასწავლებლის ძვირფასი ბაბუის გარდაცვალება.

ჟან კრისტოფი თანდათანობით გრძნობს, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ცხოვრება ტანჯვა-წვალებაა, საჭიროა შეუპოვარი ბრძოლა არსებობისათვის, და მას თვალი აეხილება ბევრ რამეზე, პირველ რიგში კი იმაზე, რომ საჭიროა იყო ადამიანი. ჟან კრისტოფს ცხოვრება წარმოდგენილი აქვს მოქმედებისა და შემოქმედების ასპარეზად. მას ჰგონია, რომ, რადგან ნიჭიერი ხელოვანია და დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობანი აქვს, ამით იგი კავშირს დაამყარებს ცხოვრებასთან და ხელს შეუწყობს კაცობრიობის წინსვლას: ის ილუზიებით, ოცნებებით ცხოვრობს. შემდეგ რწმუნდება, რომ მის სამშობლო გერმანიაში სულის შემხუთველი ატმოსფეროა, აქ ნიჭიერ. პატიოსან ადამიანს არ გაეძლება. ის თავის ირგვლივ ეგოიზმს, სიცარიელეს, გაუტანლობას ხედავს. ჟან კრისტოფი გადაწყვეტს დატოვოს გერმანია და წავიდეს საფრანგეთში.

რომანის მეორე ნაწილის მიხედვით, ჟან კრისტოფს უკვე პარიზში ვხედავთ. აქ ის შეხვდება თავისი ბავშვობის მეგობარს ოტო დინერს, რომელმაც მას იმედები გაუცრუა. შემდეგ ჟან კრისტოფი გაიცნობს სილვენ კონს, რომელმაც მას თავშესაფარი მისცა. სილვენ კონი ჟან კრისტოფს გააცნობს პარიზის საზოგადოების სხვადასხვა წრეებს. კერძოდ ხელოვნებისა და ლიტერატურის წარმომადგენლებს. ჟან კრისტოფი მალე დარწმუნდება, რომ სილვენ კონი და მისთანები ხელოვნებისა და ლიტერატურის სახელით მოეპარე ადამიანებია. ის ხედავს. რომ საფრანგეთის ბურჟუაზიული კულტურაც ისეთსავე გადაგვარებას, გახრწნას განიცდის, როგორც გერმანიის ბურჟუაზიული კულტურა. ჟან კრისტოფი აქაც ამჩნევს „გონებრივ პროსტიტუციას". მწერლის ყურადღებას არაფერი არ ეპარება, ის თავისი მახვილი თვალით ყველაფერს ნათლად ხედავს. მზის სინათლეზე გამოაქვს იმდროინდელი საფრანგეთის საზოგადოებრივი ცხოვრების მახინჯი, მანკიერი მხარეები, სასტიკად კიცხავს დეგრადაციის გზაზე დამდგარ ბურჟუაზიულ წყობილებას.

ჟან კრისტოფის ცხოვრებაში ახალი ხანა იწყება. ის გაიცნობს და დაუმეგობრდება ფრანგ ენთუზიასტ პოეტს ოლივიე ჟანენს, რომელიც ჟან კრისტოფის მსგავსად გატაცებულია ხელოვნებითა და ლიტერატურით. ის უხსნის ჟან კრისტოფს, რომ ყველაფრის ძალა ხალხშია; რასაც ჩვენ ვხედავთ და ვგრძნობთ, რაც ხშირად გულს აგვიყრის ხოლმე საერთოდ ცხოვრებაზე, წარმავალია, ნამდვილი საფ-

რანგეთი ის კი არაა, რომელიც ინგრევა და იღუპება, არამედ ის, რომელიც ხალხის გულშია და რომელსაც მომავალი ეკუთვნის. ასეთივე წარმოდგენა შეექმნება ჟან კრისტოფსაც თავისი სამშობლო გერმანიის შესახებ. გერმანელი ჟან კრისტოფისა და ფრანგი ოლივიე ჟანენის დამეგობრება მწერლის ჩანაფიქრის მიხედვით გერმანელი და ფრანგი ხალხის დამეგობრებისათვის ბრძოლას ნიშნავს, როლანს უნდა, რომ ისტორიულად მოქიშპე ეს ორი ხალხი ერთმანეთთან დაახლოს და დააკავშიროს. შემდეგ ჟან კრისტოფს აგრეთვე იტალიელი ქალი გრაცია დაუმეგობრდება. ამნაირად, რომენ როლანი ინტერნაციონალურ სოლიდარობაზე ფიქრობს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ყოველივე ეს როლანის პაციფისტური ინტერნაციონალიზმის გამოხატულებაა, რასაც საერთო არაფერი აქვს პროლეტარულ ინტერნაციონალიზმთან.

რომანის შემდეგ თავებში ჟან კრისტოფსა და ოლივიე ჟანენს ვხედავთ მუშებს შორის. ისინი უახლოვდებიან მუშათა წრეებს, ეცნობიან სოციალისტურ იდეებს, მონაწილეობენ მუშათა დემონსტრაციებში. პირველი მაისის დღესასწაულის დღეს ოლივიე ჟანენი დაიღუპა ქუჩაში ბრძოლის დროს. ჟან კრისტოფი სხვა ბარიკადზე იბრძოდა, ის ვერ მიეშველა მეგობარს. მარტოდ დარჩენილი ჟან კრისტოფი შვეიცარიაში გაიქცევა და თავს შეაფარებს ექიმ ბრაუნის ოჯახში. აქედან ჟან კრისტოფი ჯერ ალპებში მიდის დასასვენებლად, შემდეგ იტალიაში, სადაც ის გაიცნობს და დაუმეგობრდება გრაციას. ამ დროს ჟან კრისტოფს კონცერტების გასამართავად იწვევენ პარიზში. ის უბრუნდება საფრანგეთის დედაქალაქს, საიდანაც თავის შთაბეჭდილებებს სწერს იტალიელ ქალს გრაციას.

მეათე წიგნში „ახალი დღე", როლანი აღწერს ჟან კრისტოფის ცხოვრების დასასრულს. მოხუც ჟან კრისტოფთან იკრიბება ჰუმანისტების შემცველი ახალი თაობა. აქაა დაღუპულ ოლივიეს ვაჟი ჟორჟი, გარდაცვლილი გრაციას ქალიშვილი აურორა და პოეტი ემანუილი. ჟან კრისტოფი ბურჟუაზიულ საზოგადოებისადმი სიძულვილს ამთავრებს მასთან შერიგებით.

„ჟან კრისტოფს" ევროპული ცხოვრების ენციკლოპედიას უწოდებენ. ამ დიდ რომან-ეპოპეაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მწერლის კრიტიკული რეალიზმი, რომლის საშუალებითაც ივი გზადაგზა დაუნდობლად ააშკარავებს ბურჟუაზიული საზოგადოების, ბურჟუაზიული კულტურის სიყალბეს, სიმახინჯეს და გადაგვარებას.

რომენ როლანი გაურბის სოციალურ, კლასობრივ წინააღმდეგობათა ჩვენებას. ის ფიქრობს ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ცხოვრების მშვიდობიან განვითარებაზე. მისთვის ნაწარმოებში გა-

მოყვანილი გმირები ამა თუ იმ კლასის წარმომადგენლები კი არ არიან, არამედ „წმინდა ადამიანურობისა". ისინი სიმპათიურად არიან განწყობილი მუშათა მოძრაობისადმი, მაგრამ პრინციპულად არ ეხმარებიან მას, ისინი ვერ ამაღლდნენ კლასობრივი ბრძოლის მნიშვნელობის გაგებამდე, მეცნიერული სოციალიზმის იდეების ჰეშმარიტ გაგებამდე. ჟან კრისტოფი ვერ პოულობს გამოსავალს თავისი დროის წინააღმდეგობებიდან. ის ვერ ახერხებს კავშირი გასწყვიტოს კაპიტალისტურ საზოგადოებასთან და განმარტოებულ მებრძოლად რჩება.

ყველაფერი ეს კი იმით უნდა აიხსნას, რომ როლანი პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში პატიფისტურ პოზიციაზე იდგა, მწერლის მსოფლმხედველობა წინააღმდეგობებს შეიცავდა, მისი ჰუმანიზმი წვრილბურჟუაზიული შეზღუდულობით ხასიათდებოდა.

მიუხედავად ასეთი და სხვა ნაკლოვანებებისა, რომენ როლანის „ჟან კრისტოფი" შესანიშნავი მხატვრული ნაწარმოებია. მას დიდი იდეურ-შემეცნებითი ღირებულება აქვს. ეს რომანი იძლევა იმის ნათელ სურათს, თუ როგორ გამანადგურებლად მოქმედებს ბურჟუაზიული წყობილება ხელოვნებაზე, როგორ მტრულადაა განწყობილი იგი ნიჭიერი ხელოვანისადმი.

დარკინულ საპყრობილეში ყოფნისას საფრანგეთის კომპარტიის გენერალური მდივანი მორის ტორეზი გოეთეს, ჰაინეს, ანატოლ ფრანსის ნაწარმოებებთან ერთად გატაცებით კითხულობდა „ჟან კრისტოფს", მორის ტორეზი წერს: „ჟან კრისტოფი" ჩემი მეგობარი იყოო".

1914 წელს როლანმა დაწერა „კოლა ბრიუნიონი", რომელიც გაბოქვეყნდა 1918 წელს. ესაა ხალხური იუმორით გაჟღენთილი რეალისტური მოთხრობა. როლანი ეჩაფერს არ იშურებს იმისათვის, რომ, რაც შეიძლება რეალისტური ფერებით დახატოს ხალხიდან გამოსული გმირის კოლა ბრიუნიონის სიცოცხლითა და სიყვარულით აღსავსე ცხოვრება. კოლა ბრიუნიონი სიცოცხლისუნარიანი, ცხოვრებსმოყვარული ადამიანია. იგი თავისი დროის სამხედრო ლაშქრობებისა და აჯანყებების მოწმე და მონაწილეა.

ავტორს ამ მოთხრობით წარსულში გადაეყავართ, კერძოდ ჰუმანიზმის, რენესანსის ეპოქაში. კოლა ბრიუნიონი ხალისიანი პიროვნებაა, ის ვაკაცურად იტანს ყოველგვარ გაჭირვებას, სძლევს სიძნელეებს. კოლა ბრიუნიონი არა მარტო ნიჭიერი მეჩუქურთმეა, არამედ მეომრობაზე, მამაცი და მოქეიფე ადამიანიც. ამ მოთხრობაში ჩანს რაბლეს გავლენა როლანზე. „კოლა ბრიუნიონი" საუცხოო რეალისტური ნაწარმოებია. იგი ახალი, მაღალი ეტაპის მაჩვენებელია რომენ როლანის შემოქმედებაში.

„კოლა ბრიუნიონი“ ჯანსაღი სიცილის წიგნია, ეს სიცილი საზოგადოებრივი ცხოვრების პირმშოა. კოლას აქვს მახვილი გონება, გამჭრიახი თვალი და გესლიანი ენა. ყოველივე ეს უმსუბუქებს მას ცხოვრების ჭირ-ვარამს.

კოლა ბრიუნიონი ხალხის ნაწილია, ხალხის უკვდავი სული მასში ნაპერწკალივით ანათებს. კოლა არ ეკუთვნის წარსულს, ის არის არა ის, რაც იყო, არამედ ის, რაც იქნება, ის მომავალშია თავისი მარად მომღიმარი სახით. ამაშია მისი სიცოცხლის სიბრძნე და ძალა.

შრომა ბრძოლაა. ბრძოლა კი სიამოვნება, — აი კოლა ბრიუნიონის დევიზი.

მაქსიმ ვორკი „კოლა ბრიუნიონს“ შესანიშნავ მოთხრობად თვლიდა. იგი მისი საყვარელი წიგნი იყო. საბჭოთა ახალგაზრდობა ინტერესით კითხულობს ამ ნაწარმოებს. კოლა ბრიუნიონში ის ხედავს შრომისმოყვარე ხელოვანს, თავისი პროფესიით გატაცებულს, მხნესა და თავდადებულ ადამიანს.

•

როგორც ვთქვით, პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის დასაწყისში რომენ როლანს პაციფისტური პოზიცია ეკავა, მაგრამ ის მალე ჩაება პოლიტიკურ ბრძოლებში და აქტიურად დაიწყო თავისი ანტიიმპერიალისტური მოღვაწეობა. როლანი ბეჭდავს სტატიებს, რომლებშიც ის გმობს ომს, ააშკარავებს მის საშინელებას, ომს კაცობრიობის უდიდეს უბედურებად თვლის.

ასეთ მომენტებში რომენ როლანი კვლავ მიაპყრობს თვალს რუსეთს, რუს ხალხს, რუსულ კულტურას, რომენ როლანმა მაღალი შეფასება მისცა მაქსიმ გორკის გამოსვლას ომის წინააღმდეგ და მისალმება გამოუგზავნა მას; ფრანგი მწერალი აღფრთოვანებული იყო მაქსიმ გორკის დიადი გონებით, კაცობრიობისადმი მისი მგზნებარე სიყვარულით.

რომენ როლანი აქვეყნებს სტატიების კრებულებს: „შეხლა-შემოხლის ზემოთ“ (1915), „ხალხებს, რომელთაც ხოცავენ“ (1916) და სხვ., რომლებშიც მწერალი მოუწოდებდა მსოფლიოს მოწინავე ადამიანებს დარაზმულიყვნენ ომის წინააღმდეგ საბრძოლველად და ამისათვის გამოეყენებინათ მთელი თავიანთი ძალღონე. შემდეგ იბეჭდება როლანის მხატვრული ნაწარმოებები: „პიერი და ლიუსი“ (1918), „ლილიული“ (1919) და „კლერამბო“ (1920).

მოთხრობა „პიერი და ლიუსი“ გაშლილია პირველი მსოფლიო ომის დამამთავრებელი პერიოდის ფონზე, აღწერილია ამ დროის (ე. ი. 1918 წლის იანვარი, თებერვალი, მარტი) საფრანგეთის რეა-

ლური ცხოვრების ამბები. გადმოცემულია პიერისა და ლიუსი-სიყვარულის ისტორია. ამ ორი შეყვარებული ახალგაზრდის ბედი ტრაგიკულია. გერმანელთა შორსმსროლელ ქვემეხთა ყუმბარების ნამსხვრევები მოხვდა ეკლესიას და დაანგრია იგი, პიერი და ლიუსი მოხვდნენ ამ ეკლესიის ნანგრევებქვეშ და დაიღუპნენ.

როლანის აზრით კაპიტალისტური წყობილება ომის გაჩაღების წყაროა. კაპიტალისტების მილიტარიზმმა გამოიწვია ომი. ომმა კი სიცოცხლეს გამოასალმა ორი მშვენიერი ახალგაზრდა. ამნაირად, ნამდვილი სიყვარული ვერ ხარობს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, აქ ყველაფერი წინასწარ განწირულია დასაღუპავად.

მართალია, მწერალი მიუთითებს ომის მთელ საშინელებებზე, მის მიზეზებზე, მაგრამ მას ჯერ კიდევ ვერ მოუნახავს ნამდვილი რეალური გამოსავალი ომიდან. ის ამბებსა და მოვლენებს ცალკეულ პიროვნებას უპირისპირებს, პიროვნებას, რომელიც ჩაქეტილია თავის თავში. მოთხრობის „პიერი და ლიუსი" მთავარი ნაკლი ისაა, რომ პიერის სახე განმარტოებული ინდივიდუალისტის სახეა.

რომანში „კლერამბო" როლანი ხატავს ბურჟუა ინტელიგენტის ტიპს. კლერამბო არის პაციფისტი და დემოკრატი მწერალი ის ჯერ ჰუმანისტურ და დემოკრატიულ იდეებს ქადაგებს, შემდეგ ომის პროპაგანდას ეწევა, ხოლო როცა შვილი ფრონტზე დაეღუპება ომის წინააღმდეგ გამოდის. კლერამბოს ბრალს სდებენ სახელმწიფო დანაშაულში და საზოგადოებრივი უშიშროების დარღვევაში, კიცხავენ გაზეთში, შემდეგ პასუხისგებაში აძლევენ, მაგრამ ვიდრე იქ წარდგებოდეს, ომის საწინააღმდეგო იდეების ქადაგებისათვის ქუჩაში კლავენ.

თუ ადრე, პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდში, რომენ როლანმა მთლიანად ვერ განიცადა და ვერ გაიაზრა კაპიტალისტური წყობილების გადაგვარება და გახრწნა, ომის დროს ის დარწმუნდა, რომ ომს კაპიტალისტები აჩაღებენ, რომ მას აურაცხელი უბედურება მოაქვს ხალხისათვის, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ყველაფერი ყიდვა-გაყიდვის საგანია, მაგრამ რომენ როლანი ამ დროს ჯერ კიდევ ვერაა იქამდე ამაღლებული, რომ გაარჩიოს სამართლიანი ომი უსამართლო ომისაგან, ის საერთოდ უარყოფს ყოველგვარ ომს. მისთვის ბევრი რამ ჯერ კიდევ ბუნდოვანი და გაურკვეველია, ის ვერ მიდის ომის კლასობრივი ხასიათის გაგებამდე.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დიდი გავლენა მოახდინა რომენ როლანის მსოფლმხედველობასა და შემოქ-

შედებაზე. ის თანდათანობით ჩამოსცილდა წვრილ-ბურჟუაზიული ჰუმანიზმისა და აბსტრაქტული პაციფიზმის პოზიციებს და საბოლოოდ დაუკავშირდა საბჭოთა კავშირს, საბჭოთა ხალხს.

რომენ როლანმა საბჭოთა კავშირის სახით პოვა მეორე სამშობლო, რომელსაც მან თავისი ცხოვრება და შემოქმედება დაუკავშირა. როლანი მაღალი წარმოდგენისა იყო რუსულ კულტურაზე. ის ამბობდა: „რუსული აზროვნება მსოფლიო აზროვნების ავანგარდიაო".

რომენ როლანი აღფრთოვანებით გამოეხმაურა დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას. ის წერდა:

„მე დავიცავ იმ გმირულ საქმეს, რომელსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს. მე ჩემი, როგორც ინტელიგენტის მოვალეობა, მუდამ ხალხისათვის სამსახურში მესმოდა. მე ბავშვობიდანვე მიტაცებდა ხალხური ხელოვნება. მე გატაცებული ვიყავი საზოგადოების მაღალი წრეებისა და მათი ხელოვნების ტოლსტოისტური კრიტიკით. მუდამ სამშობლოს დიდებისათვის ვიბრძოდი და ომის მწარე დღეებში მთელი მსოფლიოს გასაგონად გადმოვისროლე სევდიანი ლოზუნგი: „ხალხებს, რომელთაც ხოცავენ".

როგორც კი გავიგე, რომ რუსეთში რევოლუციამ გაიმარჯვა, გულწრფელად მივესალმე ამ დიდ ფაქტს და გადაჭრით ჩავდექი რევოლუციის მეგობართა რიგებში. ამ მსოფლიო ისტორიული მოვლენით შეძელი დამემსხვრია ხიდები, რომლებიც წარსულთან მაკავშირებდა. მე აღარასოდეს დავუბრუნდები წარსულს".

მწერალი ასე მიმართავს საბჭოთა ხალხს: „მიგულეთ მუდამ თქვენთან მახლობელ მეგობრად, და ვიაროთ ერთად ნათელი მოძავლისაკენ". სხვა ადგილას როლანი აღნიშნავდა, რომ „ოქტომბრის დღესასწაული — ეს არის დღესასწაული მთელი ქვეყნის ყველა თავისუფალი ადამიანისა. ეს ჩვენი დღესასწაულია, სულით და გულით ვუერთდები მას".

შემდეგ როლანი იმის შესახებ ლაპარაკობს, თუ როგორ მივიდა ის კომუნიზმთან, რომელიც, მისი აზრით, ერთადერთი გზაა გონებისა და სამართლიანობისათვის. მწერალი საბჭოთა კავშირს უწოდებს „მძლავრი სინათლის კერას" და დასძენს: „ჩემო საბჭოთა კავშირელო ძმებო, გმადლობთ, რომ ჩემი სიცოცხლის მწუხრის ჟამს ეს მზე მიძღვენით; როგორც ის, ვინც დანტე ჯოჯოხეთის უკანასკნელ სტრიქონებში ბნელი ხეობიდან გამოსვლისას კვლავ ხედავს ბრწყინვალე ვარსკვლავებს — „ჩვენ გამოვედით იქიდან და კვლავ ვიხილეთ ვარსკვლავებიო" — მეც პესიმიზმით გაჟღენთილი ახალგაზრდობისა, უთანამებრძოლო მკაცრი ბრძოლით აღსავსე ცხოვრების შემდეგ, კვლავ ვპოვე თავისუფალი არე, სიცო-

ცხლის სიხარული, ის „ახალი დღე“, რომელიც სიკვდილის წინ იგრძნო, მაგრამ ვერ დაინახა ჟან კრისტოფმა, და ჩემი მოხუცებულობა, თქვენი მეოხებით განთიადად იქცა“.

მორის ტორეზი წერს: „რომენ როლანი მშვიდობისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში იყო. პირველ მსოფლიო ომში იგი „შეხლა-შემოხლის ზემოთ“ იდგა, მაგრამ ერთ-ერთმა პირველმა გამოუცხადა მხურვალე თანაგრძნობა რუსეთის რევოლუციას. იგი მიემხრო დამონებულ ხალხებს კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაში. რომენ როლანი ყველა პატიოსან ადამიანს მოუწოდებდა გაერთიანებისაკენ“[1].

ამნაირად, საზღვარგარეთული პროგრესული ლიტერატურის სხვა დიდ წარმომადგენლებთან, ანრი ბარბიუსთან, მარტინ ანდერსენ ნექსუნთან, ჰაინრიხ მანთან, თეოდორ დრაიზერთან ერთად, რომენ როლანი გახდა საბჭოთა კავშირის, საბჭოთა ხალხის ერთგული მეგობარი, მისი მიღწევებისა და წარმატებების მგზნებარე პროპაგანდისტი.

ოქტომბრის რევოლუციის შემდგომი პერიოდის როლანის შესანიშნავი ნაწარმოებია რომანი-ეპოპეა „მოხიბლული სული“ (1922—1933). იგი შედგება წიგნებისაგან: „ანეტა და სილვია“, „ზაფხული“, „დედა და შვილი“, „ერთი ქვეყნის სიკვდილი“, „დაბადება“.

ამ რომანში რომენ როლანმა სცადა ახლებურად დაეყენებინა საკითხები და ახლებურადვე გადაეწყვიტა ისინი. როლანს სურდა დაეხატა სახე რევოლუციური სულისკვეთების მქონე თანამედროვე ქალისა. ამ მხრივ აღსანიშნავია „მოხიბლული სულის“ მთავარი გმირი მებრძოლი ქალი ანეტა რივიერი. მწერალი უკვე რევოლუციური ჰუმანიზმის პოზიციებიდან უყურებს სინამდვილეს. მისი ანეტა რივიერი აქტიურად იბრძვის კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ; გამწვავებული კლასობრივი ბრძოლა ბევრ რამეს ასწავლის ამ ქალს, ზრდის მის რევოლუციურ შეგნებულობას.

ანეტა რივიერის ვაჟი მარკ რივიერი აგრეთვე მნიშვნელოვანი მხატვრული სახეა. მასაც სძულს ბურჟუაზიული საზოგადოება. ის უახლოვდება მუშათა მოძრაობას და სოციალისტი ხდება. მარკ რივიერი მგზნებარე პუბლიცისტია, ის კიცხავს ფაშისტებს, ებრძვის მათ, ყოველივე ამის გამო იგი ფაშისტური ტერორის მსხვერპლი ხდება. შვილის ასეთმა ტრაგიკულმა დაღუპვამ ანეტა რივიერს კიდევ უფრო მეტად შეაძულა კაპიტალისტური წყობილება. ის კიდევ უფრო მეტი გატაცებით ჩაება რევოლუციურ ბრძოლაში ბურ-

---

[1] მ ო რ ი ს ტ ო რ ე ზ ი. ხალხის შვილი, 1952 წ., გვ. 121.

ფაშიზმის წინააღმდეგ და კიდეც შესწირა მას თავისი სიცოცხლე.

რომენ როლანი „მოხიბლულ სულში“ აშიშვლებს იმპერიალისტური წრეების რეაქციულ პოლიტიკას. მწერალი აქ რევოლუციურ ჰუმანიზმს ქადაგებს, ის ილაშქრებს ომის წინააღმდეგ, რაც, მწერლის აზრით, ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლას ნიშნავს, რადგან ფაშიზმი — ეს ომია. რომანის ბოლო თავები: „ერთი ქვეყნის სიკვდილი“ და „დაბადება“ თავისებურ მძაფრს პოლიტიკურ პამფლეტს წარმოადგენენ პირველი მსოფლიო ომის შემდგომ ბურჟუაზიულ ევროპაზე; მათში როლანი დაუნდობლად აშკარავებს იმპერიალიზმის მტაცებლურ ბუნებას.

მწერლის ჩანაფიქრით ანეტა რივიერი ახალი კაცობრიობის დედის სახე უნდა ყოფილიყო. ამ მხრივ რომენ როლანმა მიბაძა მაქსიმ გორკის შესანიშნავ რევოლუციურ რომანს „დედას“, მაგრამ უნდა ითქვას, რომ როლანმა ეს კეთილშობილური ჩანაფიქრი სათანადოდ ვერ განახორციელა. ახალი კაცობრიობის დედის შესანიშნავი სახის დახატვა ისტორიამ ბედად არგუნა მაქსიმ გორკის, მისი რომანი „დედა“ მსოფლიო მნიშვნელობის უკვდავი მხატვრული ნაწარმოებია.

რომენ როლანის ცხოვრებასა და შემოქმედებაში განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს მისი დაუცხრომელი მოღვაწეობა და ბრძოლა ომისა და მისი გამჩაღებლების წინააღმდეგ. რომენ როლანი აქტიურად იდგა მშვიდობისა და დემოკრატიის სადარაჯოზე, ის მგზნებარედ მოუწოდებდა პროგრესულ კაცობრიობას გაერთიანებულიყო ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ, მშვიდობის დასაცავად.

XX საუკუნის 30-იან წლებში მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა გამწვავებული ხასიათი მიიღო. ამ დროს იმპერიალიზმის წინააღმდეგობებმა უკიდურეს საზღვრამდე მიაღწიეს, მომაკვდავმა ბურჟუაზიამ გამოსავალი ამ ჩიხიდან ფაშიზმში პოვა. რომენ როლანმა ფართო მუშაობა გააჩაღა იმპერიალისტური რეაქციის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ 1926 წელს რომენ როლანმა ანრი ბარბიუსთან ერთად შექმნა „ფაშიზმთან ბრძოლის საერთაშორისო კომიტეტი“, რომელმაც თავისი გარკვეული დადებითი როლი შეასრულა ფაშისტი ბარბაროსების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

1932 წელს რომენ როლანის, ანრი ბარბიუსის და საზღვარგარეთის პროგრესულ მწერალთა და მეცნიერთა ინიციატივით ამსტერდამში გაიმართა ომის საწინააღმდეგო კონგრესი. კონგრესზე მიწვეული იყვნენ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებიც მაქსიმ გორკის მეთაურობით, მაგრამ ჰოლანდიის მთავრობამ საბჭოთა დე-

ლეგატებს ამსტერდამში ჩასვლის ნება არ მისცა. ამ სამარცხვინო ფაქტმა კანონიერი აღშფოთება გამოიწვია მსოფლიო პროგრესულ კაცობრიობაში. მაქსიმ გორკის მიერ კონგრესზე წარმოსათქმელი სიტყვა შემდეგ ცალკე ბროშურად დაიბეჭდა სათაურით: „ომის საწინააღმდეგო კონგრესის დელეგატებს“ (სიტყვა, რომელიც არ წარმოთქმულა), მასში მაქსიმ გორკი ნათლად ააშკარავებს ომის გამჩაღებელთა ბნელ საქმიანობას, მათ აგრესიულ ზრახვებს. კონგრესზე შეიქმნა ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის მუდმივი კომიტეტი, რომელშიც ერთხმად იქნა არჩეული მაქსიმ გორკი.

სწორედ ამ წელს გამოაქვეყნა რომენ როლანმა თავისი სტატიების კრებული: „ახალი მსოფლიოს დასაცავად“, რომელშიც ფრანგი მწერალი მოუწოდებდა ყველა პატიოსან მოქალაქეს სიფხიზლისაკენ. ის წერდა: „სამშობლო საფრთხეშია, ...ჩვენს ინტერნაციონალურ სამშობლოს საბჭოთა კავშირს ემუქრებიან... ხელი ჩავკიდოთ ერთმანეთს, შევქმნათ მშვიდობის ფერხული“.

1935 წელს რომენ როლანმა ანრი ბარბიუსთან ერთად მოამზადა კულტურის დაცვის მსოფლიო კონგრესი პარიზში. ამ კონგრესმაც დიდი მუშაობა გასწია ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ. კონგრესს ესწრებოდნენ საბჭოთა კავშირიდან: ალექსი ტოლსტოი, ნიკოლოზ ტიხონოვი, ვსევოლოდ ივანოვი, ილია ერენბურგი, თეოდორე პანფიოროვი, იაკუბ კოლასი, საქართველოს სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე, მოწინავე ფრანგული ლიტერატურის წარმომადგენლები: ანრი ბარბიუსი, ლუი არაგონი, ჟან-რიშარ ბლოკი, მოწინავე გერმანელი მწერლები: ჰაინრიხ მანი, იოჰანეს ბეხერი, ანა ზეგერსი, პროგრესული დანიელი მწერალი მარტინ ანდერსენ-ნექსე.

ავადმყოფობის გამო მაქსიმ გორკის საშუალება არ ჰქონდა დასწრებოდა კონგრესს, მან მიმართვა გაუგზავნა კონგრესის დელეგატებს, რომელშიც ყველანი აღაფრთოვანა. კონგრესის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს მიმართვის ტექსტი, მქუხარე ოვაციებით გამოეხმაურნენ მას, რითაც გამოხატეს თავიანთი ღრმა სიყვარული და პატივისცემა მსოფლიო მოწინავე მწერლების მასწავლებლისა და მეგობრის მაქსიმ გორკისადმი.

ჰიტლერის მთავრობას სურდა მოელბო რომენ როლანის გული, გადაებირებინა მწერალი თავის მხარეზე; ამ მიზნით მან გერმანიის ელჩს ვენეციაში დაავალა რომენ როლანისათვის გადაეცა მედალი: „ხელოვნებისა და მეცნიერებისათვის“. რომენ როლანმა, როგორც მებრძოლმა ჰუმანისტმა, გაბედა და უარი თქვა ამ „საპატიო საჩუქარზე“. მან ჰიტლერელთა პოლიტიკა შეაფასა როგორც „დანაშაული კა-

ცობრიობის წინაშე". ჰიტლერელები განრისხდნენ და შური იძიეს რომენ როლანზე, მათ დაწვეს დიდი მწერლის წიგნები.

მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელმა ფაშისტებმა საფრანგეთის ოკუპაცია რომ მოახდინეს, დიდი ფრანგი მწერალი რომენ როლანი მოწყვიტეს ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას, ნათესავებს, მეგობრებს და საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსეს. მებრძოლმა ჰუმანისტმა რომენ როლანმა ასეთ პირობებშიც კი შეინარჩუნა თავისი ღრმა სიყვარული და პატივისცემა საბჭოთა კავშირისადმი, საბჭოთა ხალხისადმი.

წლების განმავლობაში ხალხმა არაფერი იცოდა რომენ როლანის ადგილსამყოფელისა და სიცოცხლის შესახებ. როცა ძლევამოსილი საბჭოთა არმია შეტევაზე გადავიდა ფაშისტური არმიის წინააღმდეგ და გამანადგურებელი დარტყმები აგემა მას, საფრანგეთსაც მიეცა საშუალება დაეწყო თავისი მიწა-წყლიდან ჰიტლერული ურდოების განდევნა. საბჭოთა ხალხმა, საბჭოთა არმიამ თავის მხრებზე გადაიტანა ომის თითქმის მთელი სიმძიმე. მოსპო გერმანელი ფაშისტები და იაპონელი იმპერიალისტები, დაუბრუნა მსოფლიოს ხალხებს მათთვის სანატრელი მშვიდობა.

რომენ როლანის საბედნიეროდ უნდა ითქვას, რომ ის მოესწრო თავისი სამშობლოს განთავისუფლებას. საშოცდაცხრამეტ წელს მიტანებული მწერალი მივიდა პარიზში საბჭოთა საელჩოში და გამოთქვა თავისი უდიდესი კმაყოფილება და უსაზღვრო სიხარული გმირი საბჭოთა ხალხისადმი და მისი უძლეველი არმიისადმი. ამის შემდეგ არ გაუვლია დიდხანს და 1944 წლის 30 დეკემბერს რომენ როლანი გარდაიცვალა. საფრანგეთი სალუტით გაშოეთხოვა თავის საყვარელ მწერალს.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი მორის ტორეზი თავის შესანიშნავ წიგნში „ხალხის შვილი" ასე გულთბილად იგონებს რომენ როლანს: „რამდენჯერმე ვყოფილვარ რომენ როლანისას, მის სახლში ვილნევს, ჟენევის ტბის ნაპირას. იგი მუდამ გულღია და სტუმართმოყვარე იყო. ეს იყო მაღალი, ფერმკრთალი, სუსტი ჯანმრთელობის მქონე კაცი, რომელიც მხრებზე არასოდეს არ იშორებდა პლედს. მის ჭროღა თვალებში გამოსჭვიოდა ენერგია, შორსმჭვრეტელობა და გულკეთილობა. მის თვალებში შეიძლებოდა ამოგეკითხა სიყვარული ხალხისადმი, ჰეშმარიტებისადმი. ჩვენ დავსეირნობდით ხოლმე ამ პატარა მწვანე კუთხეში, რომელსაც თავს დაჰყურებდნენ ალპის მთების მწვერვალები. ჩვენ ვსაუბრობდით ხოლმე მშვიდობისათვის ბრძოლაზე, მუშათა მოძრაობის წარმატებაზე, პარტიის მუშაობაზე; იგი ამაყობდა

იმით, რომ ეკუთვნოდა კომუნისტურ პარტიას. ესაუბრობდით აგრეთვე ლიტერატურასა და ხელოვნებაზე.

შემდეგ ვეწვეოდი ხოლმე ვეზლეიში, სადაც რომენ როლანი ჩამოსდიოდა, რათა უფრო ახლოდან ეგრძნო საფრანგეთის გულისცემა. ჩვენ ვსეირნობდით ხოლმე ძველი შესანიშნავი საბატონო ტერასაზე, საიდანაც წმიდა ბერნარი ხალხს ოდესღაც მოუწოდებდა ჯვაროსნული ლაშქრობისაკენ. ჩვენ ვიგონებდით ვეზლეის კომუნას, ამ პატარა ქალაქის მოქალაქეთა საუკუნეობრივ ბრძოლას მათი ძლევამოსილი აბატის წინააღმდეგ და იმ სასტიკ რეპრესიებს, რომლებიც მათ რამდენჯერმე განიცადეს. მიწა, რომელზეც ჩვენ ვიდექით, გაჟღენთილი იყო მრავალი წამებულის სისხლით. მაგრამ მათი ადგილი დაიკავეს სხვებმა და დაიკავებენ მომდევნონი, სანამ უველასათვის არ დადგება სამართლიანობისა და ბედნიერების დღე"[1].

ბურჟუაზიული ლიტერატურისმცოდნეები, რომლებმაც ისარგებლეს რომენ როლანის ცალკეული შეცდომებითა და დროებითი მერყეობით, შეეცადნენ მოეწყვიტათ მწერალი თავის სამშობლოსა და თავისი ხალხის ინტერესებისაგან, რეაქციური ჰუმანიზმისაგან, ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაგან; შეეცადნენ დაეიწყებინათ ხალხისათვის იგი, როგორც მშვიდობისა და დემოკრატიისათვის აქტიური მებრძოლი.

რომენ როლანის ცხოვრებისა და შემოქმედების ასეთი გაყალბების წინააღმდეგ იმთავითვე ხმა აღიმაღლეს და სასტიკად გაილაშქრეს სახელოვანმა ფრანგმა კომუნისტმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა: ანრი ბარბიუსმა, პოლ ვაიან-კუტურიემ, მარსელ კაშენმა, ლუი არაგონმა, ჟან ლაფრტმა. მათ გამოაქვეყნეს მთელი რიგი სტატიები, რომლებშიც დაიცვეს რომენ როლანი იმპერიალისტების შემოტევისაგან. მათ სრულიად სამართლიანად მაღალი შეფასება მისცეს როლანის მხატვრულ შემოქმედებას, მის დაუცხრომელ ბრძოლას ომის წინააღმდეგ, მის ნაყოფიერ მოღვაწეობას ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის.

საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობაში რომენ როლანის ცხოვრება და შემოქმედება ფართო შესწავლის საგანია. საბჭოთა მკვლევარები მაღალ შეფასებას აძლევენ როლანის მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობას. საბჭოთა კავშირში მრავალათასიანი ტირაჟით გამოდის რომენ როლანის თხზულებანი. რომენ როლანის როგორც ცალკეული ნაწარმოებების, ისე საერთოდ მისი ცხოვრებისა და შე-

---

1 მ ო რ ი ს ტ ო რ ე ზ ი. ხალხის შვილი, 1952 წ., გვ. 121—122.

მოქმედების შესახებ გამოქვეყნებულია მნიშვნელოვანი შრომები და სტატიები.

რევოლუციური ტრადიციების მქონე ფრანგი ხალხის მოწინავე წარმომადგენლებს მუდამ შეჰქონდათ თავიანთი წვლილი მსოფლიო კულტურის საგანძურში. თავისუფლებისმოყვარე ფრანგ ხალხს არაერთხელ დაუმტკიცებია, რომ მას მძიმე განსაცდელის დროსაც კი შეუძლია გამოიჩინოს სიმტკიცე, ენერგია და ხალისი. სამშობლოსადმი ღრმა სიყვარული და პატივისცემა, დასძლიოს სიძნელეები თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე. რომენ როლანის უკვდავი შემოქმედება დღესაც ეხმარება ფრანგ ხალხს ამ დიად ბრძოლებში.

რომენ როლანი დაინტერესებული იყო საქართველოს ნახვით, ქართველი ხალხისა და მისი კულტურის გაცნობით. 1935 წელს მოსკოვში სტუმრად ჩამოსული რომენ როლანი დიდი ინტერესით და ყურადღებით ეცნობოდა იმ მასალებს, რომლებიდანაც ნათლად იგრძნობოდა, თუ რა გრანდიოზული მზადება მიმდინარეობდა მთელ საბჭოთა კავშირში შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ დაწერიდან 750 წლისთავის იუბილეს ჩასატარებლად.

როლანი სიამოვნებით უსმენდა ქართულ მუსიკას, ქართულ სიმღერებს. ის გაოცებული იყო ქართული ხალხური სიმღერების ჰარმონიითა და მდიდარი რიტმებით. ძალიან მოსწონდა ჩვენი „ხასანბეგურა“ და „შვიდკაცა“. კრიმანჩულით აღტაცებული ფრანგი მწერალი მას „ვაჟურ კოლორატურას“ უწოდებდა. ერთი და იგივე სიმღერის სხვადასხვანაირმა შესრულებამ შესანიშნავი მუსიკათმცოდნე როლანი დიდად გააკვირვა: „რა მდიდარი მუსიკა გქონიათ. მდიდარი ეროვნული კულტურა!“ უთხრა მან მაქსიმ გორკის თანდასწრებით ქართული სიმღერების ნიჭიერ შემსრულებლებს.

რომენ როლანი მთლად მოიხიბლა, როდესაც მან მოისმინა ჯახური მრავალჟამიერი, ქუთაისური სიმღერები და ქართული ცეკვები. ყოველივე ამან წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ფრანგული მხატვრული სიტყვის დიდოსტატზე.

ქართველი ხალხი მუდამ იჩენდა ღრმა სიყვარულსა და პატივისცემას ფრანგული კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურისადმი. გატაცებით კითხულობდა და კითხულობს გამოჩენილი ფრანგი მწერლების შესანიშნავ ნაწარმოებებს, რომელთა შორის გამორჩევა სიცოცხლის სიყვარულით გამსჭვალული რომენ როლანის უკვდავი თხზულებანი თავისი მაღალი ჰუმანისტური იდეალებით, მებრძოლი სულისკვეთებითა და იშვიათი მხატვრული სრულყოფილებით.

ს ა რ ჩ ე ვ ი

კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი ფრანგული ლიტერატურის შესახებ 5
ვ. ი. ლენინი და ფრანგული ლიტერატურა 21
ფრანგი მწერლები ვ. ი. ლენინის შესახებ 31
ვიქტორ ჰიუგო და ფრანგული მწერლობა 45
ჟან რასინი 56
ჟან ბატისტ მოლიერი 61
შარლ ლუი მონტესკიე 81
ჟან ჟაკ რუსო 89
პიერ ჟან ბერანჟე 99
ალექსანდრ დიუმა (მამა) 106
ფრედერიკ სტენდალი 189
ონორე დე ბალზაკი 212
გუსტავ-ფლობერი 234
ემილ ზოლა 238
პოლ ბურჟე 244
ანრი ბარბიუსი 252
რომენ როლანი 275

რედაქტორი ნ. სუხიტაშვილი
მხატვრული რედაქტორი მ. ასათიანი
ტექრედაქტორი ნ. ჯყოიძე
კორექტორი ნ. ჩხიკვიშვილი
უფროსი კორექტორი მ. ჩაჩხიანი
გამომშვები ნ. დოგუზაშვილი

გადაეცა წარმოებას 11/VII-74 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/XI-74 წ.
ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆. საბეჭდი ქაღალდი № 2.
ნაბეჭდი თაბახი 19,5. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 16,81.
უე 00491. ტირაჟი 2000. შეკვ. № 810.
ფასი 1 მან. 88 კაპ.

გამომცემლობა „განათლება", თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Марджанишвили № 5.
1974

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამსახკომის
სტამბა № 4. თბილისი 380060, მედქალაქის II კორპ.
Тбилисская типография № 4. Госкомиздата Совета Министров
Грузинской ССР. Тбилиси 380060. Медгородок II корп.